იმერი ბასილაძე
იაგორ ბალანჩივაძე
მანონი ბერუჩაშვილი

ადრეული განათლების კურიკულუმები
და მათი განვითარების
სხვადასხვა ასპექტები

ქუთაისი
2018

დამხმარე სახელმძღვანელოში განხილული და გაანალიზებული საკითხები, მსოფლიო ქვეყნების გამოცდილება ადრეული განათლების განვითარების საქმეში გარკვეულ დახმარებას გაუწევს, როგორც პროფესიული პროგრამის სტუდენტებს, ასევე სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელ- მასწავლებლებს.

რედაქტორები: ვლადიმერ ადეიშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ნატო ქობულაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

რეცენზენტები: ნინო ორჯონიკიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ნატო დვალი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ქეთევან ძოწენიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
მაკა აბულაძე, ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანების № 13 ფილიალში დირექტორის წარმომადგენელი;
თინათინ გამცემლიძე, ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანების № 13 ფილიალში მეთოდისტი.

ISBN 978-9941-455-62-9
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

შინაარსი

შესავალი.....4

§1. ადრეული განათლების მნიშვნელობა.....9

§ 2. კურიკულუმის არსი, კურიკულუმის ძირითადი ნაწილები:
მიზანი, შინაარსი, პროცესი, შეფასება. კურიკულუმის
ძირითადი განზომილებები.....20

§ 3. კურიკულუმის ფორმირების დომინანტური იდეოლოგიები.....36

§ 4. კურიკულუმის კომპეტენციის გამომუშავებაზე და
საქმიანობაზე მიმართული მოდელები.....49

§ 5. ადრეული განათლების კურიკულუმის განსხვავებული
ფორმები და სკოლამდელი განათლების სისტემა სხვადასხვა
განვითარებული ქვეყნების მიხედვით.....80

§ 6. ფრიდრიხ ფრებელის პედაგოგიკური კონცეფცია.
თამაშით სწავლება.....136

§ 7. მონტესორის პედაგოგიური სისტემა.....150

§ 8. კონსტრუქტივიზმი და ბავშვის აზროვნების განვითარების
სტადიები პიაჟეს მიხედვით, ვიგოცკის სოციალური
კონსტრუქტივიზმი და ბრუნერის აღმოჩენებით სწავლება.....169

§ 9. ური ბრონფენბრენერის (1917-2005 წწ) ეკოლოგიური
სისტემების თეორია.....178

§ 10. ტყის სკოლები. მაღალი შესაძლებლობების სკოლები.....190

§ 11. რეჯიო ემილიას საგანმანათლებლო ფილოსოფია.....204

§ 12. ტე ვარიკი- ადრეული განათლების კურიკულუმი.....224

§ 13. გამოცდილებითი განათლება ვალდორფის სკოლა.....250

§ 14. სელესტენ ფრენეს ახალი სკოლის მეთოდიკა -
ინვარიანტები (ურთიერთქმედების და კომუნიკაციის
პედაგოგიკა, ადრეული განათლება.....260

§ 15. ადრეული განათლების კურიკულუმები საქართველოში
(XIX – XX საუკუნეები).....273

§ 16. თანამედროვე ადრეული განათლების კურიკულუმი და
სტანდარტი ოცდამეერთე საუკუნის საქართველოში(2000-2017).....297

შესავალი

დამხმარე სახელმძღვანელო შედგენილი და შექმნილია მოდულური პროფესიული პროგრამის „ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის“ სტუდენტებისათვის. იგი მოიცავს პროფესიული განათლების პროგრამის „ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის“ ერთ-ერთ მოდულს - „ადრეული განათლების კურიკულუმი“ და ჩვენი აზრით, პასუხობს მასში დასახულ სწავლის შედეგებს.

დამხმარე სახელმძღვანელო შედგება 16 პარაგრაფისგან. წიგნში განხილულია ადრეული განათლების განვითარების საკითხები მისი ჩამოყალიბებიდან დღემდე. კერძოდ: ადრეული განათლების მნიშვნელობა, კურიკულუმის არსი, კურიკულუმის ძირითადი ნაწილები: მიზანი, შინაარსი, პროცესი, შეფასება. კურიკულუმის ძირითადი განზომილებები, კურიკულუმის ფორმირების დომინანტური იდეოლოგიები, კურიკულუმის კომპეტენციის გამომუშავებაზე და საქმიანობაზე მიმართული მოდელები, ადრეული განათლების კურიკულუმის განსხვავებული ფორმები და სკოლამდელი განათლების სისტემა სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების მიხედვით, ფრიდრიხ ფრებელის პედაგოგიკური კონცეფცია, მონტესორის პედაგოგიკური შეხედულებები, კონსტრუქტივიზმი და ბავშვის აზროვნების განვითარების სტადიები პიაჟეს მიხედვით, ვიგოცკის სოციალური კონსტრუქტივიზმი და ბრუნერის აღმოჩენებით სწავლება, ური ბრონფენბრენერის, რეჯიო ემილიას, ტე ვარიკის, ვალდორფის, სელესტენ ფრენეს საგანმანათლებლო ფილოსოფიები, ადრეული განათლების კურიკულუმების განვითარების ეტაპები საქართველოში (XIX – XX საუკუნეები) და თანამედროვე ადრეული განათლების კურიკულუმი და სტანდარტი ოცდამეერთე საუკუნის საქართველოში.

ბავშვის სიცოცხლის პირველი წლები გადამწყვეტია მისი განვითარებისთვის და მისი მომავლისთვის. ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების უდიდესი ნაწილი ყალიბდება სიცოცხლის პირველ წლებში. თანდაყოლილი მიდრეკილებების უდიდესი ნაწილი ვითარდება სკოლამდელ ასაკში, ეს ასევე ეხება სწავლის უნარს. ბავშვის საგანმანათლებლო ღონისძიებები, ინტელექტუალური და სოციალური განვითარების სტიმულირება, ყველაზე ეფექტურია სწორედ სკოლამდელ ასაკში.

ადრეულ განათლებაში განასხვავებენ ემერჯენტულ კურიკულუმს და ჰოლისტურ კურიკულუმს. „ემერჯენტული“ კურიკულუმი ეს არის კურიკულუმი, რომელიც ემყარება ადრეული ბავშვობის პერიოდის საგანმანათლებლო გარემოში ბავშვის ემერჯენტულ (ჩანასახოვან) ინტერესებს“. ჰოლისტური ჰქვია ისეთ კურიკულუმს, რომელიც შემუშავებულია ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური, სოციალურ-ემოციური საჭიროებების, ძლიერი მხარეებისა და ინტერესების, ისევე როგორც მათი სოციალური და კულტურული ფონის გათვალისწინებით“ (კლერ მაკლაქლანი, მერილინ ფლიერი, სუზან ედვარდსი).

მსოფლიოში არსებული კურიკულუმების შესწავლა ცხადყოფს, რომ მათ შორის ძალზედ დიდი განსხვავებაა. ზოგი უფრო კონკრეტულია, ზოგიც კი ძალზედ ზოგადი. თუ სკოტის შეხედულებებს გავიზიარებთ კურიკულუმთან დაკავშირებით, კურიკულუმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ეროვნული დოკუმენტი, ან დაწესებულების დონეზე არსებული დო-

კუმენტი, ან განსაზღვრულ გეოგრაფიულ ტერიტორიულ დონეზე არსებული დოკუმენტი (უფრო მასშტაბური, ვიდრე დაწესებულება, მაგრამ ეროვნულ დონეზე უფრო პატარა).

სასწავლო გეგმა, ანუ კურიკულუმი თავისი შინაარსით უფრო ფართოა, ვიდრე დღემდე არსებული სასწავლო გეგმა. ტერმინ კურიკულუმის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ცნობილი ამერიკელი პედაგოგის, ჯონ დიუის რეფორმისტული პედაგოგიკა. ჯონ დიუი ყურადღებას ამახვილებდა ბავშვის სწავლის ინდივიდუალურ პროცესზე. სასწავლო გეგმა მხოლოდ მასწავლებლისათვის არ უნდა იყოს შექმნილი, მან უნდა მოახდინოს ყურადღების კონცენტრირება ყოველ ინდივიდუალურ მოსწავლეზე და მის სწავლაზე. ამდენად, კურიკულუმი არის სასწავლო დროის განმავლობაში მიმდინარე სასწავლო პროცესი, რომლის ყურადღების ცენტრშია მოსწავლე და ბავშვი.

ჩვენი შეხედულებით, როდესაც არჩევანს ვაკეთებთ, თუ რომელი კურიკულუმის მოდელით ვასწავლოთ, ან თუნდაც ვმუშაობთ მოცემულ კურიკულუმის საზღვრებში, ყოველთვის მნიშვნელოვანია ვაცნობიერებდეთ, რა ნაწილებისგან შედგება ის და ზოგიერთ შემთხვევაში რა აკლია, რის შევსებას მოითხოვს ჩვენს მიერ ან განათლების სისტემაში მოცემულ სხვა დოკუმენტებისგან. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ყველა პროფესორ-მასწავლებელს უნდა ჰქონდეს თავისი სამუშაო კურიკულუმი, რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს განვითარებას. კურიკულუმი აგებული უნდა იქნას საგნის სპეციფიკაზე და დაეყრდნოს იმ მოთხოვნებს, რომელიც ზოგადად კურიკულუმს მოეთხოვება.

იდეოლოგიების თვალსაზრისით ხდება კურიკულუმების კლასიფიცირება. როგორც კლერ მაკლაქლანი, მერილინ ფლიერი, სუზან ედვარდსი (2016) აღნიშნავენ, არსებობს კურიკულუმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განზომილება. ეს არის დიზაინის მხარდამჭერი იდეოლოგია და იშველიებენ შიროს აზრს, იმასთან დაკავშირებით, რომ კურიკულუმის პრაქტიკის ფორმირებას ახდენს ოთხი დომინანტური იდეოლოგია: სამეცნიერო აკადემიური იდეოლოგია; სოციალური ეფექტიანობის იდეოლოგია; მოსწავლეზე ორიენტირებული იდეოლოგია; სოციალური რეკონსტრუქციის იდეოლოგია.

ადრეული განათლების კურიკულუმების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კლასიკური პედაგოგიკის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორებიც იყვნენ: არისტოტელე, პლატონი, მარკ ფაბიუს კვინტილიანე, იან ამოს კომენსკი, პესტალოცი, ფრიდრიხ ფრებელი, მარია მონტესორი და სხვა.

დღეს ნიდერლანდულ ქვეყნებში კურიკულუმები ეფუძნება დემოკრატიულ ღირებულებებს. შესაბამისად, ხაზგასმულია ბავშვის, როგორც ზრდასრულთა კომპეტენტური და აქტიური თანამონაწილის პატივისცემა და განსაკუთრებული ადგილი უკავია ბავშვის მონაწილეობას აქტივობათა დაგეგმვის პროცესში. საბავშვო ბაღების (*école maternelle*) ფრანგული კურიკულუმი განსხვავდება ნორდული მიდგომისგან, ვინაიდან ის განსაზღვრავს განვითარების/სწავლის სფეროებს, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებს მოეთხოვებათ, ბავშვებთან ერთად დაგეგმონ უფრო სტრუქტურული აქტივობები.

დასავლეთის ზოგიერთი ქვეყანა, სადაც თამაში, ტრადიციულად, სკოლამდელი განათლების ძირეული „საყრდენი” იყო, დღესდღეობით გამოწვევის წინაშე დგას, რაც სკოლამდელ ასაკში აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებაზე გაზრდილ მოთხოვნებს უკავშირ-

დება. ნეოლიბერალური საგანმანათლებლო პოლიტიკის კონტექსტში წინ წამოიწია სასკოლო მზაობისა და მომავალი აკადემიური წარმატების საკითხმა, რამაც ხელი შეუწყო უფრო სტრუქტურირებული და სტანდარტიზებული სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებას სხვადასხვა ქვეყანაში.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ადრეული განათლების მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი დაინტერესდა და იყენებს სოციალურ-კონსტრუქტივისტულ თეორიას, რომელიც თავდაპირველად ლევ ვიგოცკიმ ჩამოაყალიბა. ვიგოცკის მიდგომა ბავშვს მოიაზრებს კომპეტენტურ არსებად, რომელიც სხვებთან ურთიერთობის გზით ვითარდება და სწავლობს. ერთი მხრივ, თეორიის მომხრეები აკრიტიკებენ ბავშვზე ფოკუსირებულ ე.წ. თავისუფალ (laissez-fair) მიდგომას, რომელმაც შესაძლოა ვერ უზრუნველყოს ღირებული მნიშვნელობებით დატვირთული და მდიდარი გამოცდილების შეძენა საგანმანათლებლო ფუნქციის მქონე სკოლამდელ გარემოში. მეორე მხრივ, შეუსაბამოდ განიხილება ტრადიციული სწავლება და აკადემიური უნარ-ჩვევების ხელშეწყობა, ვინაიდან ხელს უშლის ბავშვის ინტერესების გამოვლენას და ხელშეწყობას, ზღუდავს მონაწილეობის უფლებას და ა.შ.

ვიგოცკის მიდგომის პრაქტიკაში დანერგვა გულისხმობს ბავშვის კომპეტენტურობის აღიარებას, აგრეთვე – სკოლამდელ კონტექსტში თანატოლებსა და მასწავლებლებთან ურთიერთობის სასწავლო და განმავითარებელ შესაძლებლობებს.

მკვლევარები ხშირად იყენებენ რეჯიო ემილიას მიდგომას, როგორც წარმატებულ მაგალითს, სადაც კურიკულუმი ბავშვზე ან მასწავლებელზე არ არის ფოკუსირებული. ორივე, ბავშვიცა და მასწავლებელიც, მოაზრებულია, როგორც „მოსწავლე"; მასწავლებლებს მოეთხოვებათ, ბავშვთა ინტერესების ფარგლებში გაუზიარონ ბავშვებს ცოდნა და ასწავლონ მათ. არსებობს კვლევებიც, რომლებმაც გამოავლინა, რომ თავისუფალ თამაშზე ორიენტირებული კურიკულუმი სტრუქტურირებულზე გაცილებით პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს მეტყველების განვითარების გრძელვადიან შედეგებზე.

დამხმარე სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის განვითარებას საქართველოში. იგი იწყება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. მანამდე, კი ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში სკოლამდელი ასაკის ბავშვის ოჯახში აღზრდას აქცევდნენ მთავარ ყურადღებას. მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან საბავშვო ბაღებში აღზრდა და სწავლება ხორციელდებოდა პროგრამის - სახელმწიფოებრივი დოკუმენტის მიხედვით. პროგრამა განსაზღვრავდა სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვებთან მუშაობის მიზნებს, ამოცანებსა და შინაარსს. მასში გათვალისწინებული იყო ჰარმონიული აღზრდის ამოცანა ბავშვის ასაკისა და ინდივიდუალურ თავისებურებებათა შესაბამისად.

დამხმარე სახელმძღვანელოს ბოლო პარაგრაფში განხილულია თანამედროვე ადრეული განათლების კურიკულუმი და სტანდარტი ოცდამეერთე საუკუნის საქართველოში. ცნობილია, რომ XX საუკუნის ბოლოს ქვეყნის მთავრობა ცდილობდა მოეძებნა სხვადასხვა გზები და საშუალებები საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის სისტემის სრულყოფისათვის. მაგრამ, მათ მხოლოდ ადგილობრივი პროფესიული კადრების საშუალებით ვერ მოახერხეს სკოლამდელთა განათლების სრულყოფა. უფრო მეტიც უნივერსიტეტთა უმეტეს ნაწილში,

სადაც მზადდებოდა სკოლამდელი აღზრდის აღმზრდელ-მასწავლებლები გააუქმეს მიღება. ყველა ადამიანს, რომელსაც ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება (ინჟინერი, მათემატიკოსი, ბიოლოგი, ქიმიკოსი და სხვა), მაგრამ საერთოდ არ იცოდა ბავშვის ფსიქოლოგია, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, არ ჰქონდა სპეციალური პედაგოგიური მომზადება, არ იცნობდა ბაგა-ბაღში სწავლების მეთოდებს, მიეცა სკოლამდელ დაწესებულებებში აღმზრდელ-მასწავლებლობის უფლება. შედეგად მივიღეთ აღზრდისა და სწავლების დაბალი დონე, ბავშვების ფსიქოლოგიური სტრესი (არასპეციალისტი მასწავლებლები ბავშვების დასაწყნარებლად იყენებდნენ ასეთ მეთოდებს: გაჩერდით, თუ არა მგელი მოვა და შეგჭამთ), ფიზიკურად არა ჯანმრთელი თაობა, შემცირდა ბაღების რაოდენობა, მივიღეთ უმუშევარი აღმზრდელ-მასწავლებლები.

ქვეყანა დარჩა უცხოური, არასამთავრობო ორგანიზაციების იმედზე.

1998 წლიდან საქართველოში დაინერგა **ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა,** რომელიც მიზნად ისახავდა ჩაენაცვლებინა იმდროინდელი ავტორიტარული სწავლება ბავშვზე ორიენტირებული მიდგომით.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან გაუმჯობესებული ეკონომიკისა და განათლების დაფინანსების ზრდის ფონზე სკოლამდელ განათლებაზე მოთხოვნაც გაიზარდა.

UNICEF-ის მონაცემებით 2005 წლისათვის, საქართველოში სკოლამდელი განათლების 3-5 წლის ასაკის ბავშვების დაახლოებით 43% სწავლობდა. სკოლამდელი დაწესებულებების დიდი წილი უფრო მეტად ქალაქზე მოდიოდა. საქართველოში მშობლების უმრავლესობისათვის საბავშვო ბაღი ძირითადად ბავშვის უსაფრთხო გარემოში დატოვებისა და არა ბავშვის განვითარებისათვისა და აღზრდისათვის აუცილებელი საშუალებას წარმოადგენს. რაც შეეხება სამართლებრივ საფუძვლებს, 2006 წლამდე სკოლამდელი განათლების მართვა ცენტრალურ დონეზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ხდებოდა.

2006 წლიდან განხორციელდა სისტემის დეცენტრალიზაცია და სკოლამდელი განათლების სფეროს მართვა და დაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებლობის ქვეშ მოექცა. არ არსებობდა ბავშვის განვითარების სტანდარტი, არც საგანმანათლებლო პროგრამის სახელმღვანელო დოკუმენტი და სწავლა-აღზრდის განსაზღვრული მეთოდოლოგია. ამ წელს მოხდა სკოლამდელი განათლების სისტემის რეორგანიზაცია და შედეგად ადგილობრივ თვითმმართველობებს დაეკისრათ სკოლამდელი განათლების დაწესებულების შექმნის, მათი დებულებების დამტკიცების, საქმიანობის მართვისა და დაფინანსების ვალდებულება.

2007 წლიდან პროფესიული საზოგადოების და აღმასრულებელი, თუ საკანონმდებლო ორგანოების მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პრობლემებზე. მართალია, არ შემუშავებულა სკოლამდელი განათლების ერთიანი კონცეფცია, მაგრამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და UNICEF-ის ძალისხმევით დაიწყო ბავშვთა ადრეული განვითარების სტანდარტზე მუშაობა, საბავშვო ბაღებისათვის შემუშავდა სააღმზრდელო გეგმა და საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც 2012 წლიდან უკვე იყენებენ საბავშვო ბაღები.

2010 წელს გამოიცა „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები“, 2011 წელს „საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო“, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 2012 წელს შემუშავდა „სასწავლო სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის“, 2015 წელს „სასკოლო მზაობის პროგრამა“, 2016 წელს დამტკიცდა საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“.

§1. ადრეული განათლების მნიშვნელობა

ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარებაზე ყველა საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფორმაციაში, ტრადიციულად, ოჯახი ზრუნავდა. მეცხრამეტე საუკუნის ევროპაში მრეწველობის კიდევ უფრო განვითარებამ და გაძლერებამ ხელი შეუწყო ქალთა დასაქმების ზრდას. გაჩნდა აუცილებლობა, რომ ადრეულ ასაკში ბავშვსა და მის განათლებაზე ზრუნვა ოჯახთან ერთად საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებებს უნდა ეკისრათ.

ასეთი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულებები მე-19 საუკუნის შუახანებში გაჩნდა საფრანგეთში, გერმანიაში, შოტლანდიაში, რუსეთში, საქართველოში და სხვა.

დღეს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში სკოლამდელი ასაკის ბავშვების უმეტესობა დღის მნიშვნელოვან ნაწილს ადრეული განათლების დაწესებულებებში ატარებს. რაც განაპირობებს, იმას რომ მომავალი თაობის ჯანსაღი განვითარების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სკოლამდელი განათლების სეგმენტის განვითარებას.

ამრიგად, საზოგადოების განვითარების ისტორიამ ნათლად დაგვანახა, რომ განათლების სისტემა იცვლება საზოგადოებრივი ურთიერთობების, პოლიტიკური, ეკონომიკური საფუძვლებისა და სოციალური მდგომარეობის ცვალებადობასთან ერთად.

საქართველოში დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ახალი საზოგადოებრივი წყობის მშენებლობის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესმა მწვავედ დააყენა განათლების სისტემის რეფორმის საკითხი. ჩვენს ქვეყანაში განათლების სახელმწიფო პროგრამის მიხედვით განათლება გამოცხადდა სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიულად პრიორიტეტულ მიმართულებად. აღზრდისა და სწავლების გონივრულად მოწყობილმა და ესთეტიკურად დახვეწილმა გარემომ ხელი უნდა შეუწყოს ინდივიდის ცნობიერების ფორმირებას, დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას აზროვნებასა და ყოფაში, მისი ნიჭის, უნარის, შესაძლებლობების განვითარებას, მოამზადოს ახალგაზრდობა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. აქედან გამომდინარე, პედაგოგიური პროცესი გახდა შეუვალი და განთავისუფლდა ზედმეტი ადმინისტრირებისაგან. შესაბამისად, საქართველოს განათლების სისტემა გადემოკრატიულდა, გაჰუმანურდა და მრავალფეროვანი გახდა. ჩამოყალიბდა ზოგად სახელმწიფო პრინციპები:

- **სკოლის დემოკრატიზაცია.** იგი გულისხმობს ისეთი საგანმანათლებლო პროცესის აგებას, რომელიც განათლების სისტემაში დაამკვიდრებს დემოკრატიულ ატმოსფეროს. ე.ი. როცა განათლებაში მონაწილე ყველა სუბიექტი - სახელმწიფო, საზოგადოება, პიროვნება თანაბრად აქტიურია.
- **განათლების, სკოლის ავტონომიზაცია.** მასში იგულისხმება განათლებისა და აღზრდის ერთიანი განუყოფელი პროცესის განთავისუფლება სახელმწიფო დიქტატისაგან. თავის საგანმანათლებლო მიზნის მისაღწევად თვითონ აირჩიოს დარგის განვითარების სტრატეგიული გზა, გამოკვეთოს მიზნები, ამოცანები, შეარჩიოს სწავლების შინაარსი და მეთოდები.
- **სკოლისა და განათლების ღიაობა**, რაც გულისხმობს ყოველგვარი პარტიული და პოლიტიკური იდეოლოგიზმებისაგან განთავისუფლებას.

- **სკოლისა და განათლების მრავალსახოვნება, ვარიანტულობა.** იგი, პირველ ყოვლისა, საგანმანათლებლო სტრუქტურების ნაირგვარობას გულისხმობს, მასში შედის აგრეთვე, საგანმანათლებლო დაწესებულებათა საკუთრების სხვადასხვა ფორმა, რის შედეგადაც არასახელმწიფო სტრუქტურამ სათანადო ადგილი უნდა დაიმკვიდროს განათლების სექტორში;
- **სკოლის გაეროვნულობა.** განათლებამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ეროვნული სახისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. ყველა არაქართულ სკოლაში სავალდებულოდ უნდა იქცეს ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია;
- **სკოლის ჰუმანიზაცია**, რაც გულისხმობს სამყაროს მეცნიერული შემეცნების პროცესში ადამიანის ფაქტორის გაცნობიერებასა და გააქტიურებას" (1, გვ. 7).

განათლების შინაარსის თვალსაზრისით საქართველოში სახალხო განათლების სისტემა ეფუძნება შემდეგ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს:

- „განათლების დაფუძნება ზოგადსაკაცობრიო, ეროვნულ კულტურაზე, მის საგანმანათლებლო ღირებულებებზე, თანამედროვე პედაგოგიურ მიღწევებზე;
- განათლების უწყვეტობა და მემკვიდრეობითობა;
- სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა;
- განათლების შინაარსის რაციონალიზაცია და სწავლების ინტენსიფიკაცია;
- განათლების საერო ხასიათი;
- კოლექტიური აღზრდის ფორმებთან ერთად სწავლებისა და აღზრდის ინდივიდუალიზაცია, თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების დანერგვა;
- საერო და სასულიერო განათლების შერწყმა, შეხამება;
- სახელმწიფო და კერძო სისტემის სკოლების შეხამება;
- სწავლების ყველა საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მომავალი თაობის გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, ფიზიკურ და შრომით აღზრდას, როგორც ერის სიჯანსაღისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აუცილებელ პირობას."(2, გვ. 12).

უნდა აღინიშნოს განათლების სამინისტროს მიერ სკოლამდელი განათლების დაწესებულებისადმი ყურადღების განსაკუთრებით გამახვილება. რა თქმა უნდა, სკოლამდელი განათლების საკითხი მწვავედ იდგა 90-იანი წლების საქართველოში. ფაქტობრივად, არ არსებობდა ერთი სტანდარტი ან პროგრამა, რომელიც გახდებოდა ამ დაწესებულებებში წარმართული სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის საფუძველი ამავე პერიოდისათვის დამახასიათებელია კერძო საბავშვო ბაღების მომრავლება. ცხადია, მათი ჰიგიენური ნორმების, სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების კონტროლის მექანიზმი სახელმწიფოს არ გააჩნდა და, თუნდაც შეემუშავებინა, მისი განხორციელებისას მნიშვნელოვან სირთულეებს გადააწყდებოდა. ზოგადად, 1990-2008 წლებში სკოლამდელი განათლების სისტემაში განსაკუთრებით შემცირდა ამ საფეხურის დაწესებულებები. 1990-2000 წლებში 2-ჯერ შემცირდა სკოლამდელ დაწესებულებათა რაოდენობა, ხოლო მასწავლებლების რაოდენობა კი - თითქმის 3-ჯერ. ეს ტენდენცია გაგრძელდა შემდგომ წლებშიც (4, გვ. 28). როგორც ჩანს, სწორედ ამ რეგრესულმა ტენდენციამ გადააწყვეტინა სახელმწიფოს შეემუშავებინა და გამოეცა ბრძანება ,,სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ" (5) აღ-

ნიშნული ქმედება, რა თქმა უნდა, ვერ მოხსნიდა ყველა იმ პრობლემას, რომელიც იმხანად სკოლამდელი განათლების სფეროში სუფევდა, მაგრამ საკითხის დასმა და მის მოგვარებაზე სახელმწიფო დონეზე ყურადღების გამახვილება ნამდვილად მნიშვნელოვან წინსვლად უნდა მივიჩნიოთ.

მოგვიანებით საქართველოში მომხდარმა და მიმდინარე ამგვარმა ცვლილებებმა გამოიწვია სკოლამდელ დაწესებულებათა ტიპებისა და სახეებისადმი სხვა კუთხით მიდგომა. სკოლამდელი განათლების ხარისხიანად განვითარების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეიქმნა სკოლამდელი განათლების სამმართველო.

როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტორს ვებ-გვერდზეა **(mes.gov.ge)** გაცხადებული სამმართველოს მიზანია:

- სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება;
- მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა და დახმარება სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მართვისა და ორგანიზების საქმეში;
- სკოლამდელი დაწესებულებების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა და მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება;
- სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- თითოეული ბავშვის სკოლისათვის მომზადება და მათთვის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ოცდამეერთე საუკუნის დასაწყიში შეიქმნა:

1. „სკოლამდელი განათლების ვებ-გვერდი **www.preschooleducation.ge,** რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია, როგორც ზოგადად სკოლამდელი განათლების, ასევე დრეული განათლების კუთხით საერთაშორისო კონფერენციების შესახებ. ადრეული განათლებით დაინტერესებულ პირებს ეძლევა საშუალება, რომ გაეცნოს საკონფერენციო თემებს, პრეზენტაციებს და სკოლამდელი განათლების სფეროში არსებულ პუბლიკაციებს;

2. სკოლამდელი განათლების მონაცემთა ბაზა, რომელშიც განათავსებულია ინფორმაცია საქართველოს მასშტაბით არსებული საბავშვო ბაღებისა და იქ არსებული მდგომარეობის შესახებ;

3. გამოიცა მეთოდური სახელმძღვანელოები სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელთა და სპეციალისტთათვის: ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები, სკოლამდელი ასაკის ბავშვის შეფასების ფორმა, თამაშები და აქტივობები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის გზამკვლევი, სკოლამდელი დაწესებულებების ფიზიკური გარემო, სახელმძღვანელო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის შესასწავლად;

4. 2015 წელს მომზადდა **კანონპროექტი**: „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ , რომელიც როგორც კანონი დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 8 ივნისს. კანონით გათვალისწინებულია ორსაფეხურიანი სწავლების სისტემა: ადრეული განათლება და ზრუნვა დაბადებიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, სკოლამდელი

განათლება 2 წლის ასაკიდან ბავშვის სკოლაში შესვლამდე. თითოეული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებას ყველა ბავშვისათვის, ანუ საგანმანათლებლო მიდგომას, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ხარისხიან განათლებას დაწესებულებებში მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. მიუხედავად მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული, თუ სხვა მახასიათებლებისა. კანონით სააღმზრდელო დაწესებულებებში აკრძალულია ბავშვთა მიმართ ძალადობა, მათშორის ფიზიკური დასჯა, უგულვებელყოფა, შეურაცხმყოფელი ანდა დამამცირებელი მოპყრობა. განმტკიცებულია ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი განათლების მომსახურებაში მშობელთა სრული ჩართულობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში იქმნება საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც ხელს უწყობენ დაწესებულებების ეფექტურ ფუნქციონირებას და სხვა (3).

4. შეიქმნა მოდულური პროგრამა „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“ (15).

ამდენად სკოლამდელი განათლება ეს არის მნიშვნელოვანი ეტაპი ადამიანის ცხოვრებაში. იგი განსაზღვრავს მის სამომავლო წარმატებებს. „ადრეულ ასაკში ბავშვის მრავალმხრივი განვითარება, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისათვის საჭირო გარემოსა და პირობების შექმნა შესაძლებელია ერთობლივად, მშობლების, ოჯახის, სასწავლო დაწესებულებებების, სახელმწიფოსა და სრულიად საზოგადოების მხრიდან. შესაბამისად, თითოეული ჩვენთაგანი სათანადოდ უნდა აცნობიერებდეს ამ სფეროს მნიშვნელობას და ზრუნავდეს ადრეულ ასაკში ბავშვის განათლებისა და განვითარების ხელშეწყობაზე“ (15).

ბუნებრივია ისმის კითხვა. რატომ არის მნიშვნელოვანი ადრეული განათლება? მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ ადრეული განათლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას როგორც ბავშვის მომავალი აკადემიური, პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის, ისე საზოგადოების განვითარებისთვისაც. კვლევები სრულიად განსხვავებული დისციპლინების, მათ შორის - ნეირომეცნიერების, ეკონომიკის, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის ფარგლებში ხორციელდება. ნეირომეცნიერებაში განხორციელებულ კვლევათა შედეგები ცხადყოფს, რომ ადამიანის ტვინი ყველაზე ინტენსიურად სწორედ სკოლამდელ ასაკში ვითარდება. ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბავშვი მასტიმულირებელ და უსაფრთხო გარემოში იზრდებოდეს, სადაც ის თავს დაცულად იგრძნობს, საშუალება მიეცემა, განივითაროს სხვადასხვა უნარი და დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა. კვლევის შედეგები ცხადყოფს იმასაც, რომ ბავშვის კოგნიტურ და ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა და განათლება განუყოფელია ერთმანეთისგან: „ერთი მხრივ, ბავშვების სიყვარული და, მეორე მხრივ, მათი სწავლება თავისთავად, ცალ-ცალკე, არ არის საკმარისი ბავშვის ოპტიმალური განვითარებისთვის“ .

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბავშვის ფსიქიკა ამ პერიოდში განსაკუთრებით მგრძნობიარეა და მუდმივად მოითხოვს ზრდასრულის მზრუნველობასა და თანადგომას.

ადრეული განათლების ეკონომიკურ მნიშვნელობასთან დაკავშირებულ გამოკვლევათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნობელის პრემიის ლაურეატის ჯეიმს ჰეკმანის კვლევებს, რომლებიც აანალიზებს სკოლამდელ განათლებაში დაბანდებული ინვესტიციების შედეგებს სხვადასხვა კონტექსტში. მეცნიერს მიაჩნია, რომ განათლების სხვა საფეხურებთან შედარებით სწორედ სკოლამდელ განათლებაში ჩადებულ თანხას მოაქვს ყველაზე დიდი "მოგება" წლების შემდეგ, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ყოველ 1 დოლარზე 8 დოლარს უდრის. ჰეკმანი ხაზს უსვამს ადრეულ ასაკში ინვესტირების მნიშვნელობას სოციალური, თუ ეკონომიკური პრობლემების მქონე ბავშვებისთვის: „ინვესტირება არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები ბავშვებისთვის იშვიათი საჯარო პოლიტიკის ინიციატივაა, რომელიც ხელს უწყობს სამართლიანობასა და სოციალურ თანასწორობას და იმავდროულად ზრდის პროდუქტიულობას ეკონომიკასა და მთლიანად საზოგადოებაში. არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები ბავშვებისთვის გამიზნულ ადრეულ ინტერვენციას გაცილებით მეტი შედეგი მოაქვს, ვიდრე გვიანს, ისეთს, როგორიცაა სკოლაში მასწავლებლისა და მოსწავლეების დაბალი თანაფარდობა, სამსახურისთვის გადამზადება, მსჯავრდადებულთა სარეაბილიტაციო პროგრამები, სწავლის სუბსიდიები, ან პოლიციის ხარჯები.

ადრეულ ასაკში სწავლის დაწყება ხელს უწყობს სწავლას მომავალში, ხოლო ადრეული წარმატებები იწვევს წარმატებებს მომავალში ისევე, როგორც ადრეული მარცხი იწვევს მარცხს მომავალში. წარმატება ან მარცხი ამ ეტაპზე საფუძველს უყრის წარმატებას, ან მარცხს სკოლაში, რაც თავის მხრივ, იწვევს წარმატებას, ან მარცხს სკოლის შემდგომ სწავლის პროცესში" (14, გვ. 30).

კვლევები განვითარების ფსიქოლოგიასა და განათლების მეცნიერებაში ცხადყოფს, რომ სკოლამდელი ასაკი კოგნიტური, ემოციური, მეტყველებისა და სოციალური განვითარებისთვის კრიტიკული პერიოდია. სწორად დაგეგმილი ადრეული განათლება ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივი უნარების განვითარებას, სკოლისთვის მის მომზადებას და წარმატებას მომავალ ცხოვრებაში.

„სკოლამდელი განათლება მიზნად ისახავს ბავშვების მომზდებას დაწყებითი კლასების მოთხოვნათა შესაბამისად. სპეციალური სკოლამდელი დაწესებულებები ბოლო ხანებში საბავშო ბაღებმა ჩაანაცვლა. ეს უკანასკნელნი თითქმის აღარც არსებობენ უკვე გერნამიაში. სკოლამდელი განათლების ამოცანაა რაც შეიძლება გაუადვილოს მოზარდებს ბაღსა და სკოლას შორის გარდამავალი ეტაპი, ბავშვმა იგი ნაკლები სირთულით განიცადოს, რათა ადაპტაცია არ გაუჭირდეს სასკოლო გარემოში. სკოლამდელთა სწავლება თამაშის სახით მიმდინარეობს, მხოლოდ ერთი განსხვავებით, ამჯერად ბავშვები მაგიდასთან უფრო ხანგრძლივად სხედან და მთელი კონცენრტაციით ასრულებენ მიცემულ დავალება, როგორიცაა ხატვა, ძერწვა და ასე შემდეგ. ასევე მოზარდებს ასწავლიან, რომ ამხანაგები წარმომავლობის, ფერის, რასის და რელიგიის მიხედვით არ უნდა განასხვაონ" (Bildungsforschung Band 34, Der Übergang von der Grundschule in die weiterführende Schule Leistungsgerechtigkeit und regionale, soziale und ethnisch-kulturelle Disparitäten, Autoren / : Kai Maaz , Jürgen Baumert , Cornelia Gresch, 2010) .

საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ სკოლამდელი განათლება წარმოადგენს საგანმანთლებლო სისტემის საფუძველს, რომელმაც ბავშვი უნდა მოამზადოს სასკოლო საფეხურზე სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად. მას ხუთი მახასიათებელი გააჩნია:

- **განმავითარებელი** - ხელს უწყობს ბავშვის შემეცნებითი უნარების, მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, მეტყველების უნარების და სოციალურ - ემოციური სფეროს განვითარებას, ასევე სკოლისათვის აუცილებელი უნარებისა და და ჩვევების ჩამოყალიბებას. ბავშვის განვითარების სტიმულირება შესაძლებელია მხოლოდ ბავშვის განვითარების უახლოესი ზონის გათვალისწინებითა და მისი პატივისცემით
- **საგანმანათლებლო** - უზრუნველყოფს ბავშვების შემეცნების სტიმულირებას, ბავშვის მშობლების განათლებას და ინფორმირებას ბავშვის აღზრდის, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე. მხარს უჭერს ოჯახს ბავშვის აღზრდასა და სწავლასთან დაკავშირებით და ხელს უწყობს ოჯახის წევრების ჩართულობას ბავშვის ადრეული განათლების პროცესში.
- **პრევენციული** - ხელს უწყობს ბავშვი პრობლემის დროულ გამოვლენას და დახმარების სტრატეგიის სროულ შემუშავებას. სასკოლო პერიოდისათვის 50%-ით ამცირებს განვითარებაში პრობლემის მქონე ბავშვების რაოდენობას და უფრო ეფექტიანს და ნაკლებ ხარჯიანს ხდის სასკოლო განათლების სისტემას. სკოლამდელ და განსაკუთრებით ადრეულ ასაკში განხორციელებული ინტერვენცია, ბავშვისათვის ბუნებრივ გარემოსა და განმავითარებელ კონტექსტში მნიშვნელოვნად ამცირებს სპეციალური განათლების ხარჯებს.
- **ინკლუზიური** - ხელს უწყობს განვითარების სხვადასხვა ტემპისა და განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სასკოლო მზაობის ჩამოყალიბებას. ეს განსხვავებები მნიშვნელოვნად მცირდება სასკოლო ასაკისათვის.
- **ფიზიკური ჯანმრთელობის დამცველი** - ადრეული ასაკიდან ბავშვის ჯამრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა მოზრდილი ადამიანის ჯანმრთელობისა და სრულყოფილი ფუნქციონირების ერთ-ერთი პირობაა. ადრეული ასაკის ბავშვების კვება და ფიზიკური ჯანმრთელობა განსაკუთრებით აისახება ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ განვითარებაზე. ამიტომ აუცილებელია დროული და სისტემატიური ზრუნვა სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფიზიკურ ჯანმრთელობაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს ხარისხიანი განათლება. კველევები ადასტურებს, რომ ხარისხიანი სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას, მის აკადემიურ და სოციალურ წარმატებას. უცხოური სკოლამდელი განათლების პროგრამების ანალიზიდან გამომდინარე აღმოჩნდა, რომ:

- **მხოლოდ ხარისხიან სკოლამდელ განათლებას მოაქვს დიდი სარგებელი ბავშვებისათვის.**
- **ხარისხიან სკოლამდელ განათლებას აქვს არა მხოლოდ ხანმოკლე ეფექტი ბავშვის განვითარებაზე, არამედ ხანგრძლივი გავლენა აქვს მომავალი პიროვნების ჩამოყალიბებასა და სრულფასოვან ფუნქციონირებაზე საზოგადოებაში.**
- **საბავშვო ბაღში მოსიარულე ბავშვები უფრო დამოუკიდებლები არიან და აღწევენ აკადემიურ წარმატებას.**

ადრეული განათლების მკვლევარი ლილიან კათზი ადრეული განათლების ხარისხის ინდიკატორებს შემდეგი სახით წარმოგვიდგენს:

- **უსაფრთხოების განცდა** - ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ ის უყვართ, პატივს სცემენ, აინტერესებთ მისი გრძნობები და მოქმედებები. ამ შემთხვევაში მას უჩნდება ფსიქოლოგიური უსაფრთხოების განცდა;
- **ოპტიმალური თვითშეფასება** - ბავშვის ოპტიმალურ თვითშეფასებას მუდმივად უნდ ასაზრდოებდნენ და ხელს უწყობდნენ მოზარდები, ოჯახის წევრები და თანატოლები;
- **შეგრძნება, რომ ცხოვრება მნიშვნელოვანია** - ბავშვებს უნდ ჰქონდეთ შეგრძნება, რომ ცხოვრება საინტერესოა. ამის მისაღწევად მათ უნდა დაგეგმონ და შეასრულონ გარკვეული ამოცანები, მისდიონ საკუთარ ინტერესებს, განავრცონ საკუთარი ცოდნა და უნარები ზრდასრულების ხელშეწყობით;
- **მხარდაჭერა გამოცდილების გაზიარებისათვის** - ბავშვებს სჭირდებათ სხვა ადამიანების დახმარება, რათა გაარკვიოს საკუთარი წარმოდგენები საკუთარი გამოცდილებისა და სამყაროს შესახებ;
- **ავტორიტეტული ზრდასრულები** - ბავშვებს სჭირდებათ ავტორიტეტული ზრდასრულები, რომლებიც ფლობენ გარკვეულ ძალაუფლებას, მაგრამ მუდამ მზრუნველნი არიან და ეხმარებიან დაწესებული ნორმების გააზრებაში;
- **სასურველი როლური მოდელები** - ბავშვებისათვის მნიშვნელოვანია ურთიერთობა ჰქონდეთ ისეთ ადამიანებთან, რომლებიც მათთვის პოზიტიურ მაგალითს იძლევიან. მიუხედავად კულტურული განსხვავებისა (მაგალითად, სხვებზე ზრუნვის უნარი, გულწრფელობა, სწავლის სიყვარული და სხვ.) (18).
- ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მასწავლებლის და მშობლის როლი ხარისხიანი სკოლამდელი განათლების ინდიკატორების განსახორციელებლად.

მასწავლებლის როლი შემდეგში გამოიხატება:

- ბავშვებთან აქტიური ვერბალური კომუნიკაცია და თბილი ურთიერთობები;
- ბავშვებს ეთამაშებიან და თამაშით ასწავლიან;

• ბავშვებს ასწავლიან აზრებისა და ემოციების გაზიარებას;

• ბავშვებს ასწავლიან თანამშრომლობას და თანაგრძნობას;

• ხელს უწყობენ ბავშვების ინიციატივას და შემეცნებით ინტერესებს;

• იყენებენ ქცევის მართვის სტრატეგიებს;

• პერიოდულად აფასებენ ბავშვის პროგრესს განვითარებაში;

• მასწავლებელი იცნობს ბავშვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებს და მიმართავს სპეციალისტს.

• მასწავლებელს აქვს პროფესიული დაოსტატებისა და სრულყოფის მოთხოვნილება;

• განვითარებისა და ცოდნის თვალსაზრისით ყველა ბავშვის მიმართ აქვთ დადებითი განწყობა;

• არ არსებობს უპერსპექტივო ბავშვი;

• აქტიურად თანამშრომლობს ოჯახთან და თემთან.

მშობლის როლი გამოიხატება:

• მშობლებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამაში, როგორც მოხალისეებმა და მასწავლებლის დამხმარეებმა;

• მიიღონ ინფორმაცია ბავშვის განვითარების შესახებ;

• მიიღონ განათლება ბავშვის აღზრდისა და განვითარების საკითხებზე;

ხარისხიანი სკოლამდელი განათლების პრინციპებია:

• ბავშვზე ორიენტირებული განათლება;

• ჰოლისტური და არა ფრაგმენტული მიდგომა;

• განვითარების უახლოესი ზონის გათვალისწინება;

• თამაში, როგორც სკოლამდელი ასაკის ბავშვის ქცევის წამყვანი ფორმა;

• ბავშვის დამოუკიდებლობის და ცნობისმოყვარეობის სტიმულირება;

• ჯგუფის სიმცირე (ბავშვების მცირე რაოდენობა ჯგუფში) და ზრდასრულებისა და ბავშვების მაღალი თანაფარდობა;

• პერიოდული შეფასება და მონიტორინგი;

• დაკვირვება;

• ოჯახთან მჭიდრო კავშირი და მისი აქტიური ჩართვა სასაწავლო-სააღმზრდელო პროცესში;

• ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;

• მასწავლებლის პროფესიონალიზმი და კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული ეთიკა.

უკანასკნელ ხანს საერთაშორისო ორგანიზაციები - გაეროს ბავშვთა ფონდი ((UNICEF),), გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და სხვ. - განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა ქვეყანაში ადრეული განათლების პოლიტიკის ანალიზსა და სისტემების გასაუმჯობესებლად კვლევაზე დაფუძნებული გზების ძიებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტები, რომელთა დაკმაყოფილება ქვეყნების მიერ სკო-

ლამდელი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის სტატუსის ინდიკატორადაა მიჩნეული.

მინიმალური სტანდარტები 10 ძირითად პუნქტს მოიცავს:

1. ერთ წლამდე დეკრეტული შვებულება ხელფასის 50%-იანი ანაზღაურებით;
2. ეროვნული სტრატეგია, რომელიც განსაკუთებულ ყურადღებას უთმობს არახელსაყრელ პირობებში მცხოვრებ ბავშვებს;
3. სუბსიდირებული და რეგულირებადი ბავშვზე ზრუნვის სერვისები 3 წლამდე ასაკის ბავშვების 25%-ისთვის;
4. სუბსიდირებული და აკრედიტებული ადრეული განათლების სერვისები 4 წლის ბავშვების 80%-ისთვის;
5. ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების თანამშრომელთა 80%-ის სათანადო პროფესიული მომზადება;
6. ადრეული განათლების აკრედიტებულ დაწესებულებებში თანამშრომელთა 50% უმაღლესი განათლებით შესაბამის სფეროში;
7. ადრეული განათლების დაწესებულებებში თანამშრომლებისა და ბავშვების მინიმალური თანაფარდობა 1:15;
8. მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-ის გაღება ადრეულ ასაკში ბავშვთა სერვისების უზრუნველსაყოფად;
9. ბავშვთა სიღარიბე არა უმეტეს 10%-ისა;
10. თითქმის ყველა ბავშვის უზრუნველყოფა ძირითადი ჯანდაცვის სერვისებით.

სტანდარტების ათივე პუნქტს მხოლოდ ერთი ქვეყანა - შვედეთი აკმაყოფილებს, 9 პუნქტს - ისლანდია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი და ნორვეგია-8-ს. გასათვალისწინებელია, რომ სტანდარტები მოითხოვს სახელმწიფოს მნიშვნელოვან ჩართულობას ბავშვის ადრეულ განათლებასა და განვითარებაში, რაც ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში, ტრადიციულად, ოჯახისა და კერძო სექტორის ვალდებულებად მოიაზრება. გასაკვირი არ არის, რომ ისეთი ქვეყნები, როგორებიც არის, მაგალითად, ირლანდია, აშშ, ავსტრალია, ესპანეთი და კანადა, მხოლოდ სამ ან ნაკლებ პუნქტს აკმყოფილებს. ამასთანავე, რთულია მხოლოდ ამ სტანდარტების საშუალებით სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სისტემების შედარება. მაგალითისთვის, განვიხილოთ ხარისხის ერთ-ერთი ინდიკატორი -ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების თანამშრომელთა 80%-ის სათანადო პროფესიული მომზადება. სხვადასხვა ქვეყანაში „სათანადო პროფესიული მომზადების“ ცნება შესაძლოა სრულიად სხვადასხვანაირად ესმოდეთ; ერთ შემთხვევაში იგულისხმებოდეს ერთთვიანი მომზადება, მეორეში კი ორწლიანი განათლება უმაღლესი განათლების საფეხურზე. მიუხედავად ამისა, მინიმალური სტანდარტები წარმოადგენს ერთგვარ სახელმძღვანელოს ქვეყნებისთვის, რომლებიც მზად არიან, გაიღონ სახელმწიფო რესურსები, რათა ბავშვებს ხარისხიან ადრეულ განათლებაზე მიუწვდებოდეთ ხელი. ეს ზოგადი სტანდარტები, რომლებიც მშობლობასთან დაკავშირებულ პოლიტიკას, ბავშვთა ზოგად მდგომარეობას (ჯანმრთელობა, სიღარიბე), ადრეული განათლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას უკავშირდება, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა. სტანდარტების ადგილობრივ კონტექსტთან და განათ-

ლებაში არსებულ ტრადიციებთან შეჯერებით შესაძლებელია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ყველაზე უკეთ დაიცავს ბავშვთა ინტერესებსა და უფლებებს”(10).

ამრიგად ადრეული განათლების მიზანს წარმოადგენს:

- საფუძველი ჩაუყაროს ბავშვთა აზროვნებას;
- მოახდინოს ყურადღების მობილიზაცია;
- სწორი ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა;
- ბავშვებთან და უფროსებთან ურთიერთობა-კომუნიკაცია;
- პირადი ჰიგიენისა და წესრიგის დაცვის ჩვევების განვითარება;
- ბავშვი მომზადდეს სკოლაში შესასვლელად.

ამრიგად ბავშვის სიცოცხლის პირველი წლები გადამწყვეტია მისი განვითარებისთვის და მომავლისთვის. ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების უდიდესი ნაწილი ყალიბდება სიცოცხლის პირველ წლებში. თანდაყოლილი მიდრეკილებების უდიდესი ნაწილი ვითარდება სკოლამდელ ასაკში, ეს ასევე ეხება სწავლის უნარს. ბავშვის საგანმანათლებლო ღონისძიებები, ინტელექტუალური და სოციალური განვითარების სტიმულირება ყველაზე ეფექტურია სწორედ სკოლამდელ ასაკში.

კითხვები თვითშეფასებისა და თვითანალიზისათვის

1. რამ განაპირობა მეცხრამეტე საუკუნის ევროპაში ადრეული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმოშობა?
2. დაახასიათეთ რა მდგომარეობა იყო სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მე-20 საუკუნის 90-იან წლების საქართველოში.
3. რომელ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს ეფუძნება განათლების შინაარსის თვალსაზრისით საქართველოში სახალხო განათლების სისტემა?
4. მოკლედ დაახასიათეთ რაში მდგომარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების სამმართველოს მიზანი?
5. მოკლედ დაახასიათეთ რაში მდგომარეობს ადრეული განათლების მნიშვნელობა.
6. ჩამოთვალეთ ის ხუთი მახასიათებელი, რომელიც აუცილებელია სკოლამდელი ასაკის ბავშვის სკოლისათვის მოსამზადებლად.
7. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ხარისხიანი სკოლამდელი განათლების ინდიკატორები.
8. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ ხარისხიანი სკოლამდელი განათლების პრინციპები.
9. სკოლამდელი აღზრდის რომელ მიზნებს იცნობთ?

ლიტერატურა:

1. ბასილაძე ი., კოხრეიძე ქ., პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, ქუთაისი, 2004 .
2. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., სწავლებისა და სწავლის პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება, ქსუ გამომც. 2005., ISBN 99928–79–27–6.
3. საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, www.parliament.ge/.../adreuli-agzrdisa-da-ganatlebis-shesaxeb-**kan**.).
4. ჯაში მ., თოქმაზიშვილი მ.,, საქართველოს ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილებები, თბილისი, 2009 .
5. საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის ბრძანება № 469 , 30.09.97
6. სკოლამდელი განათლების 1-ელი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი 2013 .
7. ბაგა ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო,თბილისი, 2015.
8. ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგია , თბილისი, 2011.
9. ჯანიაშვილი ვ., ფალელიშვილი ლ., სკოლამდელი განათლების როლი მოსწავლის აკადემიურ მიღწევებში, gypa.ge 5.12. 2014.
10. ჯანელიძე ა., ადრეული განათლების მნიშვნელობა მომავალი წარმატებისათვის, 27 აგვისტო, 2015, www. mastavlebeli.ge
11. ბასილაძე ი., ბერუჩაშვილი მ., ადრეული განათლების კურიკულუმის არსის საკითხისათვის თანამედროვე ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის(პედაგოგიური ფაკულტეტი) VIII საერთაშორისო კონფერენციის შრომები, სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები,ISSN:2298-0539, ქუთაისი, 2017.
12. ბასილაძე ი., ახვლედიანი მ.,**ადრეული განათლების მნიშვნელობის ზოგიერთი საკითხისათვის თანამედროვე ქართულ პედაგოგიკაში,** თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ მეცნიერება და ცხოვრება“-№2(16) ,2017 წ.UDC(უაკ)001.1+001.5]051.2 მ-621 ISSN 1987-9377.
13. ბასილაძე ი., ბერუჩაშვილი მ., **ბავშვზე(მოსწავლეზე) ორიენტირებული კურიკულუმის ძირითადი პრინციპები ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში,** თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ მეცნიერება და ცხოვრება“-№2(16) ,2017 წ.UDC(უაკ)001.1+001.5]051.2 მ-621. ISSN 1987-9377
14. Bildungsforschung Band 34, Der Übergang von der Grundschule in die weiterführende Schule Leistungsgerechtigkeit und regionale, soziale und ethnisch-kulturelle Disparitäten, Autoren / : Kai Maaz , Jürgen Baumert , Cornelia Gresch, 2010) .
15. **mes.gov.ge**).
16. https://wdrguria.files.wordpress.com/.../skolamdeli-ganatleba).
17. **www.preschooleducation.ge**
18. www. naeec.ge

§ 2. კურიკულუმის არსი, კურიკულუმის ძირითადი ნაწილები: მიზანი, შინაარსი, პროცესი, შეფასება. კურიკულუმის ძირითადი განზომილებები

სწავლების ახალი ტექნოლოგიების გამოყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უმთავრეს სახელმწიფოებრივ პრიორიტეტად ითვლება. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე გამოცდილება, რომლის დანერგვა, გარკვეული კანონზომიერებების დაცვით აუცილებელია, საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის დასრულების საქმეში.

ჩვენ დღეს ვხვდებით, ისეთ ახალ ტერმინებს და ტექნოლოგიებს, რომელთა დანიშნულებისა და მნიშვნელობის ახსნა - განმარტება აუცილებელია. ერთ - ერთ ასეთ ტერმინს წარმოადგენს კურიკულუმი. ბუნებრივია ისმის კითხვა: რა არის კურიკულუმი?

კურიკულუმი ლათინური სიტყვაა მას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს და გზას, ბილიკს, მოძრაობას, შეჯიბრს, მარათონს ნიშნავს. იგი გამოიყენება სასწავლო პროგრამის აღ–სანიშნავად, რომელშიც დასახულია სწავლების მიზნები, გზები. მთლიანობაში კურიკულუმი არის განათლების შინაარსი, რომელიც მოიცავს სასწავლო გეგმის, პროგრამის, შინაარსის, სტრუქტურის, მეთოდის, დამხმარე აუდიო-ვიზუალური საშუალებების ერთობლიობას. (1, გვ. 3).

მეცნიერები გამოყოფენ სასკოლო კურიკულუმის შემდეგ სახეობებს:

- **პირდაპირი კურიკულუმი** - სავალდებულო საგნები, რომელიც ისწავლება სკოლაში იმ ცოდნისა და უნარების ასათვისებლად, რომელიც განსაზღვრულია სკოლის მისიის მიხედვით.
- **ირიბი კურიკულუმი** - გაკვეთილები, რომლებიც გამომდინარეობს სკოლის კულტურიდან, ამ კულტურის ქცევების, დამოკიდებულებებისა და მოლოდინების მიხედვით.
- **ფარული კურიკულუმი** - მოიცავს სკოლის ფიზიკურ და ემოციურ გარემოს, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობების კულტურას.
- **არასავალდებულო კურიკულუმი** - თემები და საკითხები, რომლებიც ამოღებულია კურიკულუმიდან.
- **დამატებითი აქტივობები** - სკოლის მიერ დაფინანსებული დამატებითი აქტივობები, პროგრამები, პროექტები, თეატრალური, სპორტული, თუ სხვადასხვა მიმართულების ინტერესთა ჯგუფების კლუბები.

სასკოლო კურიკულუმი არის მიზანმიმართული, გეგმაზომიერი, თანმიმდევრული, ორგანიზებული ინსტრუქციებისა და გამოცდილებების ერთობლიობა, რომელიც ემსახურება იმ იდეების, კონცეფციების, პრინციპების, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებას მოსწავლეებში, რასაც მიზნად ისახავს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

ტერმინს "კურიკულუმი" ხშირად იყენებენ ფსიქოლოგები, პედაგოგები და მეთოდისტები, მაგრამ ქართულ პედაგოგიურ მეცნიერებაში ამ ტერმინის მნიშვნელობის შესახებ საერ–თო აზრი ჩამოყალიბებული არ არის.

ამ პარაგრაფში წარმოგიდგენთ სხვადასხვა ხედვას კურიკულუმთან დაკავშირებით: რა უნდა იყოს კურიკულუმი. რა არის და რა მიზანს ემსახურება ბავშვის ადრეული განათლების კურიკულუმი.

პირველი მეცნიერი, რომელმაც დასვა საკითხი, თუ რა არის კურიკულუმი და როგორია მისი წარმოშობის ეტიმოლოგია, არის ჯოზეფ დოლჩი. XVII საუკუნეში ტერმინმა "კურიკუ–ლუმი" შეცვალა გეგმა, ხოლო შემდეგ - სასწავლო გეგმა.

სასწავლო კურიკულუმის პიონერებად მიჩნეულნი არიან ჰილდა თაბა და რალფ ტაილერი. 1962 წელს ჰ. თაბამ გამოსცა წიგნი"კურიკულუმის განვითარება. თეორია და პრაქტიკა". ის წარმოგვიდგენს სწავლების დაგეგმვისათვის საჭირო შვიდ საფეხურს:

- საჭიროებების დიაგნოსტიკა;
- მიზნების ფორმულირება;
- შინაარსის შერჩევა;
- შინაარსის ორგანიზება;
- სწავლების გამოცდილების შერჩევა;
- სწავლის გამოცდილების ორგანიზება (მეთოდების განვითარება);
- განისაზღვროს რა და როგორ შეფასდეს(13).

ადრეული განათლების სფეროში მომუშავე პირებისათვის (კლერ მაკლაქლანი., მერილინ ფლიერი., სუზან ედვარდსი.,) კურიკულუმი (2) არის:

- მოდელი;
- დოკუმენტი;
- გარემოს მოწყობის ფორმა;
- ბავშვის სწავლის დაგეგმვის მეთოდი;
- მასწავლებლის მიერ ყოველდღე მიღებული გადაწყვეტილება ბავშვებისა და სწავლის შესახებ;
- საკითხი, რომელიც თანხმდება მშობლებთან, თემთან და გარე უწყებებთან;
- ის, რისი ნახვაც სურთ გარე შეფასების უწყებებს?

ადრეულ განათლებაში განასხვავებენ ემერჯენტულ კურიკულუმს და ჰოლისტურ კურიკულუმს. „ემერჯენტული" კურიკულუმი ეს არის კურიკულუმი, რომელიც ემყარება ადრეული ბავშვობის პერიოდის საგანმანათლებლო გარემოში ბავშვის ემერჯენტულ (ჩანასახოვან) ინტერესებს" (2, გვ. 14). „ჰოლისტური ჰქვია ისეთ კურიკულუმს, რომელიც შემუშავებულია ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური, სოციალუ-ემოციური საჭიროებების, ძლიერი მხარეებისა და ინტერესების, ისევე როგორც მათი სოციალური და კულტურული ფონის გათვალისწინებით" (2, გვ. 16).

„სკოტი კურიკულუმს შემდეგნაირად განსაზღვრავს: კურიკულუმი შეიძლება ემსახურებოდეს სისტემას, ეროვნული კურიკულუმის შემთხვევაში; ასევე - ინსტიტუციას, სკოლის-/სკოლამდელი დაწესებულების კურიკულუმის შემთხვევაში; შესაძლოა, - კონკრეტულ დაწესებულებასაც - როგორც, მაგალითად, სკოლის გეოგრაფიის კურიკულუმის შემთხვევაში (2, გვ.21).

„სკოტის მიხედვით, კურიკულუმი შეიძლება აგებული იყოს კონკრეტიკაზე და მოიცავდეს ოთხ საზომს (2, გვ.22):

- მიზნები ან ამოცანები (კურიკულუმში აისახება კონკრეტული საკითხები);
- შინაარსი ან საგნები (შინაარსი, საგნები, მიდგომები, საკითხების არჩევა და მათი ორგანიზების ფორმა);
- მეთოდები ან პროცედურები;
- ევალუაცია და შეფასება) (გულისხმობს იმ საშუალებებს, რომლებიც განსაზღვრავს, რამდენად წარმატებულად შესრულდა კურიკულუმი)“.

მსოფლიოში არსებული კურიკულუმების შესწავლა ცხადყოფს, რომ მათშორის ძალზედ დიდი განსხვავებაა. ზოგი უფრო კონკრეტულია, ზოგიც კი ძალზედ ზოგადი. თუ სკოტის შეხედულებებს გავიზიარებთ კურიკულუმთან დაკავშირებით კურიკულუმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ეროვნული დოკუმენტი, ან დაწესებულების დონეზე არსებული დოკუმენტი, ან განსაზღვრულ გეოგრაფიულ ტერიტორიულ დონეზე არსებული დოკუმენტი(უფრო მასშტაბური ვიდრე დაწესებულება, მაგრამ ეროვნულ დონეზე უფრო პატარა.

სასწავლო გეგმა ანუ კურიკულუმი თავისი შინაარსით უფრო ფართოა, ვიდრე დღემდე არსებული სასწავლო გეგმა. ტერმინ კურიკულუმის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ცნობილი ამერიკელი პედაგოგის, ჯონ დიუის რეფორმისტული პედაგოგიკა. ჯონ დიუი ყურადღებას ამახვილებდა ყოველი ბავშვის სწავლის ინდივიდუალურ პროცესზე. სასწავლო გეგმა მხოლოდ მასწავლებლისათვის არ უნდა იყოს შექმნილი, მან უნდა მოახდინოს ყურადღების კონცენტრირება ყოველ ინდივიდუალურ მოსწავლეზე და მის სწავლაზე. ამდენად, კურიკულუმი არის სასწავლო დროის განმავლობაში მიმდინარე სასწავლო პროცესი, რომლის ყურადღების ცენტრშია მოსწავლე და ბავშვი. (1, გვ. 9).

ჯონ დიუი გამოჰყოფს ბავშვსა და კურიკულუმს შორის არსებულ სამ უმთავრეს წინააღმდეგობას:

1. ბავშვის პირადი, ვიწრო სამყარო სივრცესა და დროში გაშლილ უსასრულო სამყაროს წინააღმდეგ;
2. ბავშვის სამყაროს, როგორც ერთი მთელის აღქმა, დანაწევრებული და სპეციალიზირებული კურიკულუმის წინააღმდეგ;
3. ბავშვის ემოციური და პრაქტიკული ცხოვრება ლოგიკური კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის აბსტრაქტული პრინციპის წინააღმდეგ.

„ბრაზილიელი სწავლული და ფილოსოფოსი პაულო ფრეირი (1921-1997) „ჩაგრულთა პედაგოგიკაში“ ამტკიცებს კურიკულუმის ჰუმანიზაციის აუცილებლობას. მისი აზრით, კურიკულუმის მთავარი მიზანი უნდა იყოს მოსწავლეთა განთავისუფლება მონური და ჩაგრული ცხოვრებისაგან, მათში მაღალი თვითშეფასების განვითარება, დიალოგის, კრიტიკული

მსჯელობის და შემოქმედებითი უნარების გამომუშავება, მოსწავლეთა სამყაროსთან და ერთმანეთთან დაკავშირება.

ფრეირის კურიკულუმი მიზნად ისახავს დიალოგის წარმართვას მოსწავლეებთან, რომლის წარმატებით განხორციელების კრიტერიუმებია: კრიტიკული აზროვნება, წარმატების მიღწევის იმედი, ნდობა, სიყვარული, მოკრძალება და რწმენა“ (9, გვ.72).

ფრეირს მიაჩნია, რომ სასკოლო საგნები უნდა გადავაქციოთ სასკოლო თემებად, ანუ მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთად უნდა შეარჩიონ საკვლევი თემა და ეს საკითხი უნდა იკვლიონ, არა მარტო ერთი რომელიმე კუთხით, არამედ ყოველი მხრივ, ყოველ გარემოში, ეპოქალური ცვლილებების ჭრილში.

ჩვენ მიერ შესწავლილი და გაანალიზებული ლიტერატურიდან გამომდინარე სასწავლო კურიკულუმის ძირითადი კომპონენტებია:

- საგნის მიზნები და ამოცანები
- შინაარსის მოკლე განხილვა
- მეთოდები
- რეკომენდირებული ლიტერატურის სია
- ინფორმაცია შეფასების შესახებ
- სწავლის შედეგები
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

ჩვენი აზრით, ეს რვა ძირითადი შემადგენელი ნაწილი განსაზღვრავს ეფექტური კურიკულუმის მოდელებს.

განასხვავებენ კურიკულუმის მოდელებს. „ბერნშტეინის აზრით კურიკულუმის ორი ძირითადი მოდელი არსებობს. ესენია დემონსტრირებაზე და კომპეტენციაზე ორიენტირებული კურიკულუმები“ (2, გვ.24).

დემონსტრირებაზე ორიენტირებული მოდელი ეფუძნება ქცევით მისწრაფებებს:

- მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ მკაცრად დადგენილი საგნობრივი საზღვრების ფარგლებში;
- მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ ცოდნის ტრადიციული ფორმებით, სწავლების გამოცდილი წესებით და და მკაფიოდ გაწერილი შეფასების კრიტერიუმებით;

კომპეტენციაზე ორიენტირებული მოდელი ეფუძნება:

- მოსწავლეებს აქვთ გარკვეული კონტროლი კურიკულუმის არჩევანზე, ტემპსა და თანმიმდევრობაზე.

ჩვენი შეხედულებით, როდესაც არჩევანს ვაკეთებთ, თუ რომელი კურიკულუმის მოდელით ვასწავლოთ ან თუნდაც ვმუშაობთ მოცემულ კურიკულუმის საზღვრებში, ყოველთვის მნიშვნელოვანია ვაცნობიერებდეთ, რა ნაწილებისგან შედგება ის და ზოგიერთ შემთხვევაში რა აკლია, რის შევსებას მოითხოვს ჩვენს მიერ ან განათლების სისტემაში მოცემულ სხვა დოკუმენტებისგან.

აქედან გამომდინარე, ყველა პროფესორ-მასწავლებელს უნდა ჰქონდეს თავისი სამუშაო კურიკულუმი, რომელიც უნდა ექვემდებაებოდეს განვითარებას. კურიკულუმი აგებული

უნდა იქნეს საგნის სპეციფიკაზე და დაეყრდნოს იმ მოთხოვნებს, რომელიც ზოგადად კური–კულუმს მოეთხოვება.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში, ცალკეული სასწავლო კურსის, მოდულის თუ პროგრამის წარმოდგენილი კურიკულუმი უნდა დაეფუძნოს შემდეგ მოთხოვნებს:

- სურვილი, გარდავქმნათ განათლების სისტემა;
- გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს საგანმანათლებლო ტრადიციები (მემკვიდრეობითობის პრინციპები);
- უნდა გავითვალისწინოთ ევროპული გამოცდილება და დავუახლოვოთ სორბონა-ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს;
- საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტურობის გაუმჯობესება;
- კურიკულუმი ღია და გამჭვირვალეა ყველა დაინტერესებულ პირთათვის;
- მეცნიერულობა;
- ინოვაციური პედაგოგიური ექსპერიმენტი;

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კურიკულუმის ზოგადი სქემა ასეთია:



ხოლო კურიკულუმი, როგორც მარათონი, რეისი, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ასეთი შინაარსის და მიმართულების მატარებელია:

- კურიკულუმი, როგორც შინაარსი;
- კურიკულუმი, როგორც პროცესი;
- კურიკულუმი, როგორც პროდუქტი;
- დაგეგმვა, გაძღოლა შეფასება;
- ეს არის შემოქმედებითი წინსვლა, სადაც იგეგმება მიზან-მიმართულება;
- არის შედეგი ცოდნის, უნარების სახით, რომელიც უნდა მივიღოთ ასეთი რეისის დროს;
- მეთოდები და პროცედურები;
- ტესტი;
- პორთფოლიო, რუბრიკა;

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი სქემები მთლიანობაში წარმოადგენს კურიკულუმს, როგორც შინაარსს, პროცესს და პროდუქტს, რომელიც ხელს უწყობს სწავლების პროცესის

დაგეგმვას, განხორციელებას, ორგანიზებას, აქტივობებისა და ქმედების განსაზღვრას, კრი–ტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას.

2015 წელს გამოცემულ ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის მოდელის დამუშავებისას, მის ნაწილებთან ერთად, აუცილებელია, ყურადღება მივაქციოთ მის რამდენიმე მახასიათებელს, რომელიც შეიძლება გვაძლევდეს წინასწარ დასკვნის საშუალებას, თუ რამდენად ეფექტური იქნება ეს მოდელი მოცემულ სოციო-კულტურულ რეალობაში. ელენ ფრიდი და დებრა აკერმანი (2007) გამოყოფენ რვა მახასიათებელს: 1. მასწავლებლისა და მოსწავლის როლი სასწავლო პროცესში; 2. სწავლების სფეროები; 3. ბავშვზე მორგებადობა; 4. შეფასების სისტემა; 5. კვლევითი საფუძველი; 6. მასწავლებელზე მორგებადობა; 7. მასალა და 8. მშობლების ჩართულობა.

განვიხილოთ თითოეული მახასიათებელი ცალ-ცალკე:

1. **მასწავლებლისა და მოსწავლის როლი სასწავლო პროცესში.** კურიკულუმის მოდელები განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმით, თუ როგორ ანაწილებენ სასწავლო პროცესის წამყვანის როლს აღმზრდელსა და ბავშვს შორის, ამის მიხედვით შეგვიძლია სამ ტიპად დავყოთ კურიკულუმები - პირდაპირი-ინსტრუქციული, სოციალიზაციის და კონსტრუქტივისტული კურიკულუმი (3, გვ. 15).

პირდაპირ-ინსტრუქციული კურიკულუმი ეყრდნობა ბიჰევიორისტულ და სოციალური სწავლების თეორიებს. ამ მოდელში, მასწავლებელი ინფორმაციას აცნობს მთელ ჯგუფს ერთად, იყენებს სტრუქტურირებულ და გამეორებაზე აგებულ გაკვეთილებს და ასწავლის ნაბიჯ-ნაბიჯ კონკრეტულ უნარებს ან იზოლირებულ ფაქტებს.

სოციალიზაციის კურიკულუმი ეყრდნობა რწმენას, რომ ბავშვები უნდა აძლევდნენ მიმართულებას სწავლებას. ბავშვი სწავლობს, თუ ის შესაბამის განვითარების დონეზეა და მასწავლებელი ხელს უწყობს, ამარაგებს მასტიმულირებელი მასალით და მხარს უჭერენ ბავშვის არჩევანს. ამ მიდგომის უმთავრესი აქტივობა არასტრუქტურირებული თამაშია და პირველი მიზანი სოციალიზაციაა. მასწავლებელს აქვს თავისუფლება აქტივობები თავის კრეატიულობაზე, გამოცდილებაზე და მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით ააგოს. შესაბამისად შესაძლებელია აქტივობა მოერგოს ინდივიდუალური ბავშვის უნარებსა და საჭიროებებს.

კონსტრუქტივისტული კურიკულუმი ეყრდნობა პიაჟესა და ვიგოცკის კონსტრუქტივისტულ თეორიებს. ხედავს სწავლებას, როგორც ბავშვსა და მის გარემოს ურთიერთქმედებას. ამ მოდელში მასწავლებელი ინიცირებას უკეთებს აქტივობას, რომელიც მიმართულია ბავშვის აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებაზე, ისინი ასევე ერთვებიან ბავშვის მიერ წამოწყებულ თამაშში, რათა დაამატონ ახალი იდეები, ან ხელი შეუწყონ სწავლებას. თანატოლებთან ურთიერთობაც მიჩნეულია სწავლის პროცესის მნიშვნელოვან ნაწილად.

ეს დაყოფა ხისტად არ უნდა წარმოვიდგინოთ. კურიკულუმის მოდელები ხშირად მკაფიოდ გამოხატული ერთი ტიპის არ არის. ჯობია ისინი დავინახოთ კონტინიუმზე პირდაპირ ინსტრუქციულსა და სოციალიზაციას შორის. კვლევები გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი ტიპის კურიკულუმმა შეიძლება მიაღწიოს თავის მიზანს, თუმცა სხვაობა მიღწევის ეფექტურობაშია. მეტად ეფექტური კი არის ის კურიკულუმი, რომელიც ამ კონტინიუმის შუაში ხვდება, რადგან ის ეყრდნობა ღია ჩარჩოს პრინციპს (6).

როგორც გამოსახულებაშია ნაჩვენები ღია ჩარჩოს პრინციპი დაცულია, როდესაც სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში აღმზრდელის და ბავშვის ინიციატივა მაღალია და თანაბარი.

2. **სწავლების სფეროები**. მნიშვნელოვანია გავარკვიოთ როგორ არის ორგანიზებული სწავლება. რა სფეროების სწავლებას ისახავს მიზნად კურიკულუმი? როგორ არის ის დაყოფილი: ცალკეულ საგნებად, უნარ-ჩვევებად, აქტივობის ტიპებად, თუ ეს ყველაფერი ინტეგრირებულია ერთმანეთში?

დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა მიგვანიშნებს, რომ განსაკუთრებით ადრეულ ასაკში უფრო ეფექტურია ინტეგრირებული სწავლება, სადაც ცალკეულ საგნებს არ ასწავლიან,

რომელიც ფოკუსირებულია „მთლიანი ბავშვის“ სწავლებაზე, ანუ ყველა სფეროს განვითარებაზე. ამ ტიპის კურიკულუმებს მრავალმხრივი, კომპლექსური კურიკულუმი ეწოდებათ. უკეთესად რომ წარმოვიდგინოთ, მრავალმხრივი კურიკულუმი, არ ყოფს სასწავლო პროცესს საგნებად, მაგალითად მათემატიკის გაკვეთილი, ხატვის გაკვეთილი და სხვა. ეს კურიკულუმი სასწავლო პროცესის თითოეულ აქტივობაში აერთიანებს საგნებს, უნარ-ჩვევებს და ცოდნას, დასახული მიზნის შესაბამისად; ბავშვი განსაზღვრულ დროსა და სივრცეში კი არ სწავლობს, და ივითარებს რომელიმე უნარს, არამედ ნებისმიერ დროს ნებისმიერი აქტივობისას სწავლობს და ვითარდება. ასევე მთლიანობითი მიდგომა გულისხმობს იმას, რომ კურიკულუმი თანაბარ ყურადღებას უთმობს, როგორც აკადემიურ საგნებს, შესაბამის უნარ-ჩვევებს და ცოდნას, ასევე სხვა სფეროებს, როგორიც არის მაგალითად სოციალურ-ემოციური სფერო (6).

3. **ბავშვებზე მორგებადობა**. იმის მიუხედავად, რომ თითოელი კურიკულუმი ცდილობს იყოს მორგებული ბავშვზე, მნიშვნელოვანია ამ კომპონენტზე კარგად ვიფიქროთ. კურიკულუმის მოდელი შეიძლება ცდილობდეს „საშუალო“ ბავშვზე იყოს მორგებული, ასეთ მოდელებს „კონტექსტისგან თავისუფალ“ კურიკულუმებს უწოდებენ, რადგან ამ მოდელებში მოცემულია კონკრეტულად თუ რა და როგორ უნდა ისწავლებოდეს და ეს მოცემულობები ეყრდნობა „საშუალო“ ბავშვის ტიპურ განვითარების ეტაპებს. ამის საპირისპიროდ არსებობს „კონტექსტ-სენსიტიური“ კურიკულუმი, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ კონტექსტიდან გამომდინარე, ანუ ბავშვის შესაძლებლობებიდან, უნარებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე დაგეგმოს აღმზრდელმა რა და როგორ ასწავლოს. ამ შემთხეევევაში, კურიკულუმის **ინდივიდუალიზაციაა** შესაძლებელი და ის ხდება მორგებული თითოეულ ბავშვზე, რომელიც ჩართულია მოცემულ პროგრამაში.

4. **შეფასების სისტემა**. კურიკულუმის მოდელები გვთავაზობენ სხვადასხვა ტიპის შეფასების სისტემას, მაგალითად ხშირად პირდაპირ ინსტრუქციული კურიკულუმები იყენებენ სტანდარტიზებულ ტესტებს, ხოლო სოციალიზაციის კურიკულუმები დაკვირვებას. შეფასების სისტემაში შეიძლება შეგვხვდეს პორტფოლიო, რეფლექსია, ჩეკლისტი (6) და სხვა.

გარდა შეფასების სისტემის ფორმისა, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ ესა თუ ის კურიკულუმის მოდელი, რა მიზნით იყენებს შეფასებას. მიზანი შეიძლება ოთხნაირი იყოს:

- სასწავლო-სააღმზრდელო მიზნების მიღწევის დადგენა;
- ინფორმაციის შეგროვება სწავლების პროცესის შესახებ;
- ბავშვების შეფასება მნიშვნელოვან უნარებში და რეალისტურ კონტექსტში;
- ინდივიდუალური ბავშვის განვითარების აღწერა;

5. კვლევითი საფუძველი. ცხადია, რომ იმ კურიკულუმის მოდელი უფრო შედეგიანია დასახული მიზნების მისაღწევად, რომელიც ეყრდნობა შესწავლილ თეორიულ მოდელს, და რომლის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ის ეფექტურია. შესაბამისად მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ თითოეული კურიკულუმის მოდელი, რა თეორიული საფუძველი აქვს და ეყრდნობა თუ არა თანამედროვე კვლევებს; ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თავად ეს მოდელი გამხდარა, თუ არა კვლევითი ინტერესის სფერო და თუ რას გვეუბნებიან კვლევები ამ მოდელის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, მის ეფექტურობაზე (6).

6. მასწავლებელზე მორგებადობა. კურიკულუმი მხოლოდ ბავშვზე არ უნდა იყოს მორგებული, არამედ აღმზრდელზეც. მასწავლებლის კომპეტენციის დონეები (Tanner and Tanner, 2000) სამად შეიძლება დავყოთ:

I დონე - მასწავლებელი იყენებს მზა რუტინულ მასალას, როგორიცაა სამუშაო ფურცლები. არ ხდება მასალის კრიტიკული შეფასება და გამოყენებულია იზოლირებულ აქტივობებში.

II დონე - მასწავლებლი ცდილობს ინტეგრირება გაუკეთოს დაუგეგმავად წამოჭრილ საკითხებს და ყველა სწავლების სფეროს, მაგრამ ის შეიძლება ყოველთვის წარმატებულად ვერ ართმევდეს თავს.

III დონე - მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ფართო თემებზე, რომელიც დაკავშირებულია თითოეულ სწავლების სფეროსთან და ასევე იღებს საკმაოდ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს კურიკულუმის ბავშვების საჭიროებებზე ადაპტაციისთვის.

სხვადასხვა კურიკულუმის მოდელი სხვადასხვა კომპეტენციის დონის მქონე მასწავლებელზეა მორგებული. რადგან ეს კომპეტენციის დონეები არ არის საფეხურეობრივი, მესამე კომპეტენციის დონის მასწავლებელსაც გაუჭირდება იმ კურიკულუმის მოდელში მუშაობა, რომელიც შექმნილია კომპეტენციის პირველი დონის მასწავლებლისთვის. შესაბამისად თუ მიღებული კურიკულუმის მოდელი არ შეესაბამება ქვეყანაში, ან ბაღში მომუშავე აღმზრდელების კომპეტენციის დონეს, აუცილებელია მათი გადამზადება, რათა ეფექტური მოდელი გამოდგეს (6).

10. **მასალა**. ადრეულ ასაკში ბავშვების კოგნიტური და სოციალურ-ემოციური განვითარება ხდება ფიზიკურ საგნებთან ურთიერთქმედების საშუალებით. შესაბამისად იმის განსაზღვრა, თუ რა მასალის გამოყენებას გვთავაზობს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში კურიკულუმის მოდელი, შეიძლება გადამწყვეტი იყოს მიზნების მიღწევისთვის. მასალის კატეგორიზაცია ბევრნაირად შეიძლება გავაკეთოთ, თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ დახურული და ღია მასალა, როგორც მნიშვნელოვანი განმასხვავებლის მქონენი. დახურული- მასალა არის ისეთი მასალა, რომელსაც კონკრეტული გამოყენების წესი აქვს, მაგალითად ფაზლი, სათამაშო ტელეფონი, წიგნი და სხვა; ხოლო ღია მასალა იძლევა შემოქმედებითი მიდგომის საშუალებას, რადგან ის შეიძლება მრავალმხრივ იყოს გამოყენებული, ასეთია მაგალითად ქსოვილი, ქაღალდი, მუყაოს ყუთები, პლასტმასი, კენჭები, კუბები და სხვა.

11. **მშობლების ჩართულობა**. კურიკულუმის მოდელი შეიძლება არ მოიაზრებოდეს, გულისხმობდეს ან ექსპლიციტურად ხაზს უსვამდეს მშობლის ჩართულობას სასწავლო სააღმზრდელო პროცესში. თანამედროვე კვლევები გვიჩვენებენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მშობლისა და თემის ჩართულობა პროცესში, და რომ ასევე მნიშვნელოვანია ამის ხაზგასმა კურიკულუმში. მშობელი შეიძლება ჩართული იყოს სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა მიზნით. ის შეიძლება იყოს, როგორც დამკვეთი ანუ ადამიანი, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს. ამ შემთხვევაში ის ჩართულია, როგორც ადმინისტრაციულ საკითხებში, ისე სასწავლო პროცესში. მშობელი შეიძლება იყოს ინფორმაციის წყარო, რომელიც უმნიშვნელოვანესია აღმზრდელისთვის, რომ სწორად დაგეგმოს სასწავლო პროცესი. მშობელი ასევე შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ბავშვის პირველი აღმზრდელი, რომელთან თანამშრომლობაც გა-

დამწყვეტია, რათა ბაღში შეძენილი უნარ-ჩვევების გენერალიზაცია მოხდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მშობლის ჩართულობის მიზანი შეიძლება იყოს კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნა ბავშვებისთვის. რომ შევაჯამოთ, კურიკულუმის მოდელი - არის „თეორიული მოცემულობების, ადმინისტრაციული წესებისა და პედაგოგიური კომპონენტების იდეალური წარმოდგენა პროგრამაში, რომელიც მიზანმიმართულია კონკრეტული საგანმანათლებლო შედეგისკენ“ (Frede and Ackerman, 2007).

ფრიდისა და აკერმანის აზრით, დღემდე არსებული კვლევები არ ძლევა საშუალებას გამოვკვეთოთ ერთი რომელიმე კურიკულუმი, როგორც საუკეთესო და გამორჩეული. მათ მიაჩნიათ, რომ საჭიროა ნებისმიერმა პიროვნებამ რომელიც სკოლამდელი განათლების სასწავლ-სააღმზრდელო პროცესშია ჩართული, გააცნობიეროს, გაითავისოს ეფექტური კურიკულუმებისა და მათი მახასიათებლების ცოდნის აუცილებლობა, რათა უზრუნველყონ ბავშვების სკოლისა და მომავალი ცხოვრებისათვის მომზადება (3, გვ. 16);

საინტერესოა, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის შემუშავება. მისი შემუშავების პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს. მიგვაჩნია, რომ თითოეულმა პედაგოგმა, რომელსაც საქმე აქვს სკოლამდელი განათლების სასწავლო-სააღმზრდელო პროცესთან უნდა იცოდეს კურიკულუმის შემუშავების ინსტრუქცია და ეტაპები.

მაგალითის სახით განვიხილოთ სკოლამდელი განათლების **საბაკალავრო კურიკულუმის** შემუშავების ინსტრუქცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- **პროგრამის სახელწოდება (ქართულად);**
- **პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/ კოორდინატორი;**
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად);**
- **პროგრამის მოცულობა კრედიტებით;**
- **სწავლების ენა;**
- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი;** პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიას, ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, იყოს დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული და მიღწევადი; (დასაქმების სფეროს განსაზღვრისას რეკომენდებულია აქტიური კონსულტაციები პოტენციურ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან, რომ მათთან ერთად განისაზღვროს ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რაც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად). მაგალითად, **სკოლამდელი განათლების საბაკალავრო კურიკულუმის (პროგრამა) მიზანია** მოამზადოს სკოლამდელი განათლების მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც შეძლებს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებთან სკოლამდელი განათლების საფეხურზე. აღნიშნული გულისხმობს ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების შესახებ ცოდნის მიღებასა და იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომლებიც მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში ბავშვის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის. აღჭურვოს იგი პროფესიული ცოდნით, უნარ-ჩვევებითა და თანამედროვე ტექნოლოგიებით, ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანსაღი და სრულყოფილი მომა-

ვალი თაობის აღზრდისათვის. **საბაკალავრო საფეხურზე** სკოლამდელი განათლების პროგრამის მიზანია იმ ბაზისური თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი ცოდნისა და უნარების შექმნის ხელშეწყობა, რომლებიც მნიშვნელოვანია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასებისთვის. შესაბამისად, პროგრამა გულისხმობს, როგორც თეორიულ სწავლებას, აგრეთვე პრაქტიკულ კურსს სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში (მაგ. საბავშვო ბაღი, ბაგა-ბაღი, დღის ცენტრი და ა.შ.) და სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე მცირე კვლევითი პროექტების განხორციელებას. პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს უწყვეტი განათლების ეროვნულ პრიორიტეტებზე, რათა მომზადდეს კრიტიკული აზროვნების მქონე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სპეციალისტი, რომელსაც საკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები ექნება პროფესიული მიმართულებით.

- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** განსაზღვრული უნდა იქნეს პროგრამაზე ჩარიცხვის/დაშვების კონკრეტული წინაპირობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება გამჭვირვალობა და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას;
- **სწავლის შედეგი** : განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციისა და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები აღიწერება ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციებით, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად; მაგალითად: ა) შედეგზე დაფუძნებულ განათლების სისტემაში საგანმანათლებლო შედეგები მკაფიოდ და ცალსახადაა ჩამოყალიბებული; ბ) სწავლის შედეგები განსაზღვრავს კურიკულუმის შინაარსს, მის ორგანიზებას, სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებს, კურსის ერთეულებს, შეფასების პროცესს, საგანმანათლებლო გარემოსა და კურიკულუმის განხორციელების ვადებს. ის ასევე გვაძლევს საფუძველს კურიკულუმის შესაფასებლად; გ) სწავლის შედეგი არის განაცხადი იმ მოლოდინის შესახებ, თუ რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს სასწავლო აქტივობის შემდეგ; დ) სწავლის შედეგი არის განაცხადი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა ეცოდინება სტუდენტს ან რისი გაკეთება შეეძლება მას სასწავლო აქტივობის შედეგად; ე) შედეგები ჩვეულებრივად აღიწერება, როგორც ცოდნა, უნარები ან დამოკიდებულებები; ვ) სწავლის შედეგი არის ზუსტი აღწერა იმისა, თუ რა უნდა იცოდეს, გაიგოს/გაიაზროს და რისი გაკეთება უნდა შეძლოს სტუდენტმა სწავლის შემდეგ; ზ) სწავლის შედეგი არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, გაიგოს/გაიაზროს და/ან რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მას სასწავლო პერიოდის დასრულების შემდეგ და, როგორ ხდება ნასწავლის დემონსტრირება; თ) სწვლის შედეგი აღწერს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების დემონსტრირება შეეძლება სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ.

- **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები** : უნდა აღიწეროს სწავლების რა მეთოდები იქნება გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში;
- **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** - უნდა აღიწეროს შეფასების ზოგადი სისტემა და ასევე კონკრეტული პროგრამისათვის ადეკვატური შეფასების მეთოდები (სხვადასხვა სასწავლო კურსი/მოდული შეიძლება ითვალისწინებდეს შეფასების განსხვავებულ მეთოდებს, რაც დეტალურად უნდა აღიწეროს კონკრეტული სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსში); მაგალითად, შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას, რომელიც რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.

ამ პუნქტებიით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე. უნივერსიტეტი ზემოთმოყვანილი შეფასებიდან გამომდინარე ადგენს თავის შეფასების სისტემას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო გეგმა)** - სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტის მინიჭება. კომპონენტის მითითებისას აღინიშნება: ა) სახელწოდება; ბ) მოცულობა კრედიტებით; გ) სტუდენტის დატვირთვის სახეები (საკონტაქტო - ლექცია/ პრაქტიკუმი/ ჯგუფში მუშაობა/ სემინარი/ ლაბორატორიული/ პრაქტიკა და სხვ., შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის განკუთვნილი დრო და დამოუკიდებელი მუშაობა) გათვლილი ასტრონომიულ საათებში; დ) სწავლების სემესტრი; ე) კომპონენტზე დაშვების წინაპირობების მატრიცა; სასწავლო გეგმას უნდა დაერთოს სწავლის შედეგების რუქა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით განსაზღვრულ კომპეტენციებთან (საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ);
- **სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);**

სილაბუსი არის სასწავლო დისციპლინის (ან მისი ნაწილის) პროგრამა, გეგმა, რომელიც სრულად და დეტალურად ასახავს სწავლების შინაარსს, მოცულობასა და თანმიმდევრობას. ლექტორი სილაბუსში აღწერს იმ გზას, რომელშიც ეპატიჟება სტუდენტს. სილაბუსის ფორმა უცვლელია, სავალდებულო და არჩევითი კურსებისათვის. საერთაშორისო აკრედიტაციი–სათვის სილაბუსი უნდა იყოს 2 ენაზე - სახელმწიფო სწავლების ენაზე და ინგლისურზე. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ქართული ენა საჯაროს ხდის ინფორმაციას მომხმარებლის - სტუ–

დენტისათვის და სწავლების ხარისხის კონტროლისათვის - სახელმწიფოში. ინგლისური ენა კი განკუთვნილია გარე შეფასებისათვის. აჩვენებს პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკა–ციას და მათ ინტეგრირებულობას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. სილაბუსი მასწავლებლის საქმიანობის მაჩვენებელია თითოეული საკონტაქტო საათის განმავლობაში. აქვე მოცემულია მითითებული თემა და განსახილველი საკითხები, მითითებული ლიტერა–ტურა.

სილაბუსი წარმოადგენს სტუდენტის საქმიანობის მაჩვენებელს:

- რა დავალების შესრულება უწევს სტუდენტს
- რისი ათვისება უნდა შეძლოს
- რა ჩვევები უნდა შეიძინოს

სილაბუსი ეფექტური რომ იყოს, ამისათვის საჭიროა შემდეგი მოთხოვნების დაცვა:

- თანმიმდევრულობა
- ლოგიკურობა
- გეგმაზომიერება
- მიზანმიმართულობა
- სისტემურობა
- რომელ კომპეტენციებს ავითარებს
- სწავლება/სწავლის მიზნებისა და შედეგების განსაზღვრა
- გამოყენებული მეთოდების და აქტივობების მითითება
- შეფასების კრიტერიუმები
- არ უნდა იყოს დაწერილი სტუდენტისათვის გაუგებარი ენით
- შესრულებადი ამოცანები
- დრო, ვადები
- უნდა იგრძნობოდეს ინტრიგა
- ბიძგის და სტიმულის მიმცემი
- არ უნდა იყოს ძალიან დიდი, დაახლოებით 11-12 გვერდი

ამრიგად, სილაბუსი გვიჩვენებს, თუ როგორ არის დაცული სალექციო და სასემინარო მუ–შაობის თანაფარდობა. რას ეყრდნობა და რამდენად გაზომვადია სტუდენტის შეფასება. არის თუ არა სწავლების პროცესი მიმართული კონკრეტული უნარ-ჩვევების შეძენისაკენ.

- **სასწავლო გეგმის ძირითადი ამოცანები**

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სკოლამდელი განათლების სასწავლო გეგ-მა ითვალისწინებს ისეთი შინაარსის სწავლებას, რომელიც ხელს შეუწყობს ამ საფეხურის-თვის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანათა რიგს გა-ნეკუთვნება:

- კომუნიკაციური უნარების განვითარება;
- სოციალიზაციის ხელშეწყობა;
- აღქმის განვითარება;
- მოტორული, სენსორული, კინესთეტური სისტემების დახვეწა-განვითარება;
- კოგნიტური უნარების (მეხსიერება, ყურადღება, აზროვნება) განვითარება;

• წარმოსახვის და შემოქმედებითი უნარების განვითარება;
• ნებელობის განვითარება;
• დამოუკიდებლობის უნარის განვითარება;
• დადებითი განწყობის ჩამოყალიბება სწავლისა და სასკოლო გარემოს მიმართ.

- **სკოლამდელი განათლების საფეხურზე სწავლა-სწავლებისა და აღზრდის ძირითადი სფეროები და მათი ზოგადი აღწერა**

დასახული საგანმანათლებლო მიზნებისა და ამოცანების განხორციელების ხელშესაწყობად, სკოლამდელი განათლების სასწავლო გეგმა ხუთ საგანმანათლებლო სფეროდ იყოფა. ეს სფეროებია:

- მეტყველება;
- მოსწავლედ ჩამოყალიბება;
- ფიზიკური განვითარება;
- სამყაროს აღმოჩენა;
- ხელოვნება.

თითოეულ სფეროს ერთმანეთისგან განსხვავებული შინაარსი აქვს და ბავშვის სპეციფიკური ცოდნითა და უნარებით აღჭურვას ითვალისწინებს, ამავდროულად, თითოეული მათგანი, თავისი სპეციფიკის გათვალისწინებით, სკოლამდელი განათლების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას ემსახურება.

ამ მიზნებსა და ამოცანებში აისახება სკოლამდელი განათლების გამჭოლი, ანუ ყველა სფეროსთვის საერთო საგანმნათლებლო პრიორიტეტები. საგანმანათლებლო სფეროებად დაყოფის მთავარი ფუნქციაა მრავალფეროვანი სასწავლო შინაარსისა და სწავლების პროცესის ორგანიზების ხელშეწყობა. მასწავლებელს საშუალება ეძლევა, ყოველდღიური სასწავლო მიზნები და აქტივობები სფეროების მიხედვით დაგეგმოს. თითოეული სფერო შეიცავს რამდენიმე მიმართულებას, რაც შეესაბამება ამ სფეროში შემავალ მთავარ უნარ-ჩვევებს. თავად მიმართულებებში, მისაღწევი შედეგების სახით, გაწერილია ის სპეციფიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც ბავშვმა სკოლამდელი განათლების დასრულებისას უნდა წარმოაჩინოს. განვიხილოთ თითოეული სფეროს ძირითადი შინაარსი და მიმართულებები.

- **ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ.**
- **დამატებითი ინფორმაციის სახით სასურველია მიეთითოს, სტუდენტთა რა რაოდენობის მომსახურება შეუძლია პროგრამას.**

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალებიდან გამომდინარე ადრეული განათლების კურიკულუმი წარმოგვიდგება, როგორც დოკუმენტი, მოდელი, კულტურის შუამავალი, დინამიური კონცეფცია, დაკვირვება, შინაარსი, პროცესი, პროდუქტი, რომელიც ხელს უწყობს ადრეულ ასაკში სწავლა/სწავლების ბავშვზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვას, გარემოს მოწყობას და ორგანიზებას, პრაქტიკისა და თეორიის ერთიანობას, მეთოდებისა და აქტივობების განსაზღვრას, შეფასებას და ევალუაციას (რისამე ღირებულებების, ფასეულობების და ხარისხის დადგენის პროცესი), ბავშვის ემერჯენტულ (ჩანასახოვან) და ჰოლისტურ (ფიზიკურ, კოგნიტურ, სოცია-

ლურ-ემოციურ საჭიროებებს) ინტერესებს, შემოქმედებით წინსვლას, კრიტიკული, დამოუკიდებელი აზროვნების და ჰუმანისტური ღირებულებების განვითარებას.

კითხვები თვითშეფასებისა და თვითანალიზისათვის

1. რას ნიშნავს სიტყვა კურიკულუმი?
2. როგორია სიტყვა კურიკულუმის ეტიმოლოგია?
3. ჩამოთვალეთ კურიკულუმის ძირითადი კომპონენტები?
4. მოკლედ დაახასიათეთ რა განასხვავება ემერჯენტულ კურიკულუმს და ჰოლისტურ კურიკულუმს შორის.
5. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს კურიკულუმი?
6. თქვენი კურიკულუმის შესწავლის შემდეგ განსაზღვრეთ, რომელ მოდელს მიეკუთვნება იგი-კომპეტენციაზე, თუ დემონსტრირებაზე ორიენტირებულს.
7. კურიკულუმის, რომელ 8 მახასიათებელს იცნობთ? ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ მოკლედ.
8. რომელ ეტაპებს მოიცავს სკოლამდელი განათლების **საბაკალავრო კურიკულუმის** შემუშავების ინსტრუქცია? დაახასიათეთ თითოეული ეტაპი.
9. განმარტეთ რა არის ადრეული განათლების კურიკულუმი?

ლიტერატურა:

1. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., სწავლებისა და სწავლის პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება, ქსუ გამომც. 2005., ISBN 99928–79–27–6.
2. კლერ მაკლაქლანი., მერილინ ფლიერი., სუზან ედვარდსი., ადრეული ბავშვობის კურიკულუმი: დაგეგმვა, შეფასება და განხორციელება. კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამოცემა 2013 (1. McLachlan, C., Fleer, M., & Edwards, S. (2013). Early childhood curriculum: Planning, assessment, and implementation. Cambridge University Press.).
3. ელენ ფრიდი და დებრა ჯ. აკერმანი., სკოლამდელი კურიკულუმი, გადაწყვეტილების მიღება: განზომილებების გააზრება. დოკუმენტი მიღებულია 2007 წლის 15 თებერვალს. 2006 (2. Frede, E., & Ackerman, D. J. (2006). Curriculum decision-making: Dimensions to consider. Document retrieved February, 15, 2007.).
4. ფერე ლივერსი., სასწავლო გეგმა, როგორც ადრეული ბავშვობის განათლების ხარისხის გაზრდის საშუალება. მინიშნებები პოლიტიკისათვის. ევროპული ადრეული გაანთლების კვლევების ჟურნალი, 13(1), 2005 (3. Laevers, F. (2005). The curriculum as means to raise the quality of early childhood education. Implications for policy. European Early Childhood Education Research Journal, 13(1).
5. ელენ ფრიდი და დებრა აკერმანი., ადრეული განათლების ფილოსოფია და კურიკულუმი, 2007.
6. ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბილისი, 2015.

7. კლერ მაკლაქლანი, მერილინ ფლიერი, სუზან ედვარდსი, ადრეული ბავშვობის კურიკულუმი მეორე გამოცემა, კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამოცემა, 2016 წ.
8. ინანეიშვილი მ., აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი, საგანმანათლებლო კურიკულუმები, სამაგისტრო ნაშრომი ხელნაწერის უფლებით, ქუთაისი, 2016 წ.
9. ფრეირი, პ. , ჩაგრულთა პედაგოგიკა, თბილისი, 2005.
10. Алхасов я., содержание и структура куррикулума как новой модели обучения в азербайджанской республике, Бакинский славянский университет, Азербайджан *ISSN 2075-146X. Витоки педагогічної майстерності. 2013. Випуск 12,* УДК 37.013(479.24)
11. Te Whariki, He Whàriki Màtauranga mò ngà Mokopuna o Aotearoa Early, Childhood Curriculum Ministry of Education Learning Media, Learning Media Wellington, 1996.
12. Dewey, J. *Child and Curriculum,* Chicago : University of Chicago Press, 1902.
13. S.Smith Hilda Taba - Curriculum Pioneer and Arcitect http://tspoetter.weebly.com/uploads/9/5/8/7/9587563/smith_taba.pdf)

§3. კურიკულუმის ფორმირების დომინანტური იდეოლოგიები. სამეცნიერო აკადემიური იდეოლოგია, სოციალური ეფექტიანობის იდეოლოგია, მოსწავ-ლეზე ორიენტირებული იდეოლოგია, სოციალური რეკონსტრუქციის იდეოლოგია

დღეისათვის მსოფლიოში სხვადასხვაგვარი იდეოლოგია არსებობს. საინტერესოა თვით ტერმინ იდეოლოგიის ეტიმოლოგია. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონის მიხედვით მას აქვს სხვადასხვაგვარი განმარტება: 1. იდეათა სისტემა, რომელიც საფუძვლად უდევს სოციალურ და პოლიტიკურ მოღვაწეობას; 2. ვიწრო მნიშვნელობით იდეათა სისტემა, რომელიც ერთი ჯგუფის მეორეზე ბატონობას აკანონებს; 3. ყოვლისმომცველი ენციკლოპე-დიური ცოდნა, რომელსაც უნარი შესწევს დაანგრიოს ცრურწმენები და გამოყენებული იქნეს სოციალურ რეფორმებში (სწორედ ამ მნიშვნელობით გამოიყენა იგი ანტუან დესტიუ დე ტრასმა (9). დღეს ეს ტერმინი იდეოლოგია ძირითადად პირველი და მეორე მნიშვნელობით გამოიყენება.

იდეოლოგიის პრობლემატიკა თავდაპირველად ინგლისში XVII ს–ის დასაწყისში ჩნდება ფრენსის ბეკონთან (1561–1626). მისი აზრით, ყოველ საზოგადოებაში ადამიანს გარკვეული იდეოლა აქვს . ბეკონის მიერ იდეოლების კრიტიკა შეიცავს საზოგადოების კრიტიკის არსე-ბით ნიშნებს. ევროპული განმანათლებლობა თვით მარქსამდე, იდეოლოგიის წყაროების ანა-ლიზის მეშვეობით ცდილობდა აზროვნების ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენას, რათა მოეხდინა მათი აღმოფხვრა. აზროვნების ასეთ ხელისშემშლელ ფაქტორებად სახელდებოდა სურვილები (ჰობსი 1588–1679), წარმოსახვა (ლამეტრი 1709–1751), ინტერესები და ვნება (კონდილაკი (1715–1780), ჰელვეციუსი). ენციკლოპედისტების, ჰოლბახისა და (1723–1789) და ჰელვეციუსის (1715–1771) ცენტრალურ თემას წარმოადგენდა იდეების საზოგადოებრივი ვითარებით განპირობებულობა (9).

სიტყვა იდეოლოგია საფრანგეთის რევოლუციის დროს გამოიგონა ანტონ დესტა დე ტრე-სიმ (1754-1836), საჯაროდ კი ის პირველად 1796 წელს გამოიყენეს. დე ტრესისათვის idéologie ნიშნავდა ახალ „მეცნიერებას იდეათა შესახებ“, სიტყვასიტყვით, იდეაოლოგიას. განმანათ-ლებლობისათვის დამახასიათებელი რაციონალისტური გატაცებით, მას სწამდა, რომ შესაძ-ლებელი იყო იდეათა წარმომავლობის ობიექტური ახსნა, და აცხადებდა, რომ ეს ახალი მეც-ნიერება იმავე სტატუსს დაიმკვიდრებდა, როგორც ტრადიციულ მეცნიერებები, მაგალითად, ბილოგიას ან ზოოლოგიას, ჰქონდა. დე ტრესი კიდევ უფრო შორს მიდიოდა: რაკი ყველა კვლევა იდეებს ემყარება, იდეოლოგია საბოლოოდ მეცნიერებათა დედოფლად უნდა ეცნოთ. მაგრამ, ამ ამაღლებული მოლოდინის მიუხედავად, ტერმინის პირველად მნიშვნელობას მის შემდგომდროინდელ გამოყენებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

ლევან ბერძენიშვილისა და გიგა ბოკერიას მიხედვით იდეოლოგია არის “რაციონალუ-რად განსაზღვრული პრინციპთა სისტემა, რომელშიც ერთიან სისტემაშია მოყვანილი გარ-კვეული წარმოდგენები რეალობაზე, ზოგადი ღირებულებითი ორიენტაციები და პრაქტიკუ-ლი მოქმედების პრინციპები. უპირატესად იგი მაინც სხვადსხვა პოლიტიკური პროგრამის ფილოსოფიური წინამძღვრების ერთობლიობას აღნიშნავს, ანუ მასში ძირითადად იგულის-ხმება სამი ელემენტი: გარკვეული ზოგადი წარმოდგენა სამყაროზე, რეალობაზე (არსები-

თად, ცხადია, სოციალურ რეალობაზე - ადამიანთა საზოგადოებაზე); ღირებულებით წარმოდგენათა ერთობლიობა, ე.ი. შეხედულებები იმაზე, თუ რა ღირებულებებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა სოციალური სისტემის აგებისას (პიროვნების თავისუფლება, თანასწორობა, ტრადიციების დაცვა, და ა.შ.) და ბოლოს, პრაქტიკული მოქმედების პრინციპი, რასაც უშუალოდ ემყარება პოლიტიკური პროგრამები (ე.ი. წარმოდგენები იმაზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს უპირატესად მიჩნეული ღირებულებები სოციალურ რეალობაში (10).

სხვა განმარტებით იდეოლოგია არის „იმ იდეებისა და შეხედულებების სისტემაა, რომლითაც განისაზღვრება ინდივიდების, სოციალური ჯგუფების, ხალხთა დამოკიდებულება სინამდვილისა და ერთმანეთისადმი. იდეოლოგია სჭირდებათ ადამიანებს, რათა გაერკვნენ და თავი გაართვან არეულ დროებასა და დამაბნეველ ვითარებებს. იდეოლოგია თავისი მიმდევრებისათვის ამას ახერხებს ოთხი მნიშვნელოვანი და, შესაძლოა, აუცილებელი ფუნქციის შესრულებით. იგი ეხმარება ადამიანებს, ახსნან პოლიტიკური ფენომენი, რომელიც სხვაგვარად იდუმალი და თავსატეხი რჩება. იდეოლოგია თავის მიმდევრებს უზრუნველყოფს შეფასების კრიტერიუმებითა და სტანდარტებით იმის გადასაწყვეტად, თუ რა არის სწორი ან მცდარი, კარგი ან ცუდი. იდეოლოგია მიმართულია იმისაკენ, რომ განუმარტოს, შეაგნებინოს თავის მიმდევრებს, ვინ არიან ისინი და რომელ სოციალურ და კულტურულ ჯგუფებს მიეკუთვნებიან, რის საშუალებით უნდა განსაზღვრონ და დაადასტურონ თავიანთი ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობა. იდეოლოგია თავის მიმდევრებს აწვდის საწყის, ელემენტარულ პოლიტიკურ პროგრამას. ეს პროგრამა უზრუნველყოფს პასუხს კითხვაზე - რა უნდა გაკეთდეს? და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია — ვინ უნდა გააკეთოს? მოკლედ, იდეოლოგია არის ორიენტირი და კომპასი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ტყეში.” (8).

არსებობს განათლების იდეოლოგიები: რელიგიური ორთოდოქსია 2. კოგნიტური პროცესები 3. თვითაქტუალიზაცია 4. ტექნოლოგიზმი 5. აკადემიური რაციონალიზმი 6. სოციალური რეკონსტრუქციონიზმი. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

რელიგიური ორთოდოქსია

წანამძღვრები:

- ღმერთის არსებობა, რელიგიურ- კონფესიური ტრადიცია, ბიბლიური სიბრძნე;

მთავარი მიზანი:

- ისეთი ჩვევებისა და ღირებულებების გამომუშავება, რომლებიც მოსწავლეს რწმენასთან შესაბამის ცხოვრებამდე მიიყვანს;
- მორალური ნორმების შეთვისება.
- სასწავლო პროგრამის მახასიათებლები: ბიბლიური ტექსტების შესწავლა; ლოცვა; შესაძლოა არ იყოს წახალისებული კრიტიკული აზროვნება, შეკითხვების დასმა, მეცნიერული სკეპტიციზმის გამოხატვა და ა. შ.

კოგნიტური პროცესები

წანამძღვრები:

- კოგნიტური ფსიქოლოგია, ინფორმაციული აფეთქება;

მთავარი მიზანი:

- რაციონალური აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების, უწყვეტი სწავლის უნარების გამომუშავება;
- სასწავლო პროგრამის მახასიათებლები: კვლევის სტრატეგიები და პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული აქტივობები, მეტაკოგნიტური სტრატეგიები, სოკრატული მეთოდი.

თვითაქტუალიზაცია

წანამძღვრები:

- მოსწავლე – სუბიექტი; სწავლისა და შემოქმედების პოტენციალი;

მთავარი მიზანი:

- თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური მონაცემების ხორცშესხმა, თანდაყოლილი შემოქმედებითი პოტენციალის გაფურჩქვნა;
- სასწავლო პროგრამის მახასიათებლები: მულტისენსორული სწავლება, მოსწავლის ინტერესებისა და არჩევანის გათვალისწინება, თვითრეგულირებული პროგრესი, თემატური ბლოკები.

ტექნოლოგიზმი

წანამძღვრები:

- ბიჰევიორიზმი, ანგარიშვალდებულება, ქვეუნარები, სწავლის გაზომვა;

მთავარი მიზანი:

- ქვეუნარების დაუფლების გზით წინასწარ განსაზღვრული უნარების ათვისება და გამოყენება;
- სასწავლო პროგრამის მახასიათებლები: დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი ტესტები, სტანდარტიზებული გარე შეფასებები, სავარჯიშოები.

აკადემიური რაციონალიზმი

წანამძღვრები:

- მასწავლებელი – სუბიექტი, უფროსთა სიბრძნე, მოსწავლე – ჭურჭელი/თიხა;
- მთავარი მიზანი: მოსწავლეთათვის ფუნდამენტური ცნებებისა და კონცეფციების, მოდელებისა და ღირებულებების სწავლება;
- სასწავლო პროგრამის მახასიათებლები: კლასიკური ტექსტები, დიდი წიგნები, ლექციები, დემონსტრირება, პრაქტიკუმი, შემაჯამებელი გამოცდები.

სოციალური რეკონსტრუქციონიზმი

წანამძღვრები:

- კაცობრიობის დიდი პრობლემები, გლობალური საფრთხეები, მოსწავლე – საზოგადოების წევრი და კულტურის წარმომადგენელი;

მთავარი მიზანი:

- სოციუმის პრობლემებზე რეაგირების უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- სასწავლო პროგრამის მახასიათებლები: ეკოლოგიური აქტივობები, სამოქალაქო განათლება, საზოგადოებრივი პროექტები, თანამშრომლობითი სწავლა, მულტიკულტურული განათლება.

დღეისათვის ახდენენ განათლების იდეოლოგიების ახალ კლასიფიკაციას:

- სოციალური ეფექტურობა;

- აკადემიური რაციონალიზმი;
- მოსწავლეზე ორიენტირება;
- სოციალური რეკონსტრუქცია.

იდეოლოგიების თვალსაზრისით ხდება კურიკულუმების კლასიფიცირება. როგორც კლერ მაკლაქლანი, მერილინ ფლიერი, სუზან ედვარდსი (2016) აღნიშნავენ არსებობს კურიკულუმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განზომილება. ეს არის დიზაინის მხარდამჭერი იდეოლოგია და იშველიებენ შიროს აზრს, იმასთან დაკავშირებით, რომ კურიკულუმის პრაქტიკის ფორმირებას ახდენს ოთხი დომინანტური იდეოლოგია:

- სამეცნიერო აკადემიური იდეოლოგია;
- სოციალური ეფექტიანობის იდეოლოგია;
- მოსწავლეზე ორიენტირებული იდეოლოგია;
- სოციალური რეკონსტრუქციის იდეოლოგია.

სამეცნიერო აკადემიური იდეოლოგია ემყარება იმ შეხედულებებს, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩვენს კულტურაში დაგროვილი ცოდნა უნივერსიტეტებში არსებულ აკადემიურ დისციპლინებშია ორგანიზებული და თავმოყრილი.

ამ იდეოლოგიის მიმდევართა აზრით, აკადემიური დისციპლინა იერარქიულია (11, გვ.28):

- ჭეშმარიტების მაძიებლები (უნივერსიტეტის პროფესორები);
- ჭეშმარიტების მასწავლებლები (სიმართლის გამავრცელებლები;
- ჭეშმარიტების მოსწავლეები (მოსწავლეები, რომელთა საქმეც სწავლაა).

სოციალური ეფექტიანობის იდეოლოგია ემყარება ფრანკლინ ბობბითის 1913 წელს გამოცემულ წიგნს „კურიკულუმი“. ამ იდეოლოგიის მიმდევართა მიხედვით „ სკოლა ქარხანაა, ბავშვი კი ნედლი მასალა“(11, გვ. 30). ამ მსოფლმხედველობის მიხედვით, განათლება განიხილება, როგორც ფორმირების პროცესი, რომელიც ამზადებს ბავშვებს უკეთესი საზოგადოების შექმნისთვის. სწავლება არის მოსწავლის კურკულუმთან მისადაგება და კურიკულუმის მოსწავლეზე მორგება.

„ამ ტიპის მოდელის მიხედვით, სწავლება შეიძლება შეფასდეს იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ეფექტური იყო მასწავლებელის ხელშეწყობა და მხარდაჭერა მოსწავლის წარმატების მიღწევაში“. (11, გვ. 31).

მოსწავლეზე ორიენტირებული იდეოლოგია ემყარება მოსაზრებას იდეალური სკოლის შესახებ. ეს არის იდეოლოგია, რომელიც ჯონ დიუიმ (1915) წიგნში „მომავლის სკოლა“ განავითარა. თანამედროვე მოდელები, რომლებიც ამ მსოფლმხედველობას იზიარებენ, მონტესორის (Montessori) სკოლამდელი დაწესებულება და რეჯიო ემილიას სკოლაა (Reggio Emilia). მოსწავლეზე ორიენტირებულ იდეოლოგიაში უმთავრესი ასპექტი თითოეული ბავშვის და არა მასწავლებლის, სასკოლო საგნების, სკოლის ადმინისტრაციის ან თემის საჭიროებებია. ბავშვზე ორიენტირებული კურიკულუმის მქონე სკოლაში მასწავლებელი ეყრდნობა იმ ტიპის სასწავლო გეგმას, რომლის მიზნებიც „ინდივიდუალური კომპეტენციის გამომუშავება და საკუთარი თავის აღქმაა“(11, გვ.31). ამ იდეების ისტორია კარგად ჩანს რამდენიმე წამყვანი მოაზროვნის მოსაზრებებში: კომენიუსი (1592–1670), რომელიც აცხადებდა, რომ სწავლა

იწყება კონკრეტული გამოცდილებით და თანდათან გადადის აბსტრაქტულ აზროვნებაში; ჟან-ჟაკ რუსოს (1712–78) სწამდა, რომ განათლების მიზანია, ასაზრდოოს ბავშვის შინაგანი სათნოებანი და სწავლა უნდა მოდიოდეს ბუნებასთან პირდაპირი გამოცდილებისა და კონ-კრეტულ საგნებთან სენსორული გამოცდილების შედეგად; იოჰან ჰაინრიხ პესტალოცი (1746–1827) ამტკიცებდა, რომ ბავშვებს უნდა მიეცეთ თავისუფლება, მისდიონ საკუთარ ინ-ტერესებს და მხარს უჭერდა მოსაზრებას ბავშვის, როგორც მთლიანი არსების შესახებ; ამ მსოფლმხედველობის მიმდევარი გახლდათ ფრიდრიხ ფრებელი (1782–1852), რომელმაც შექმნა ბავშვის გრძნობების განვითარებასა და "საჩუქრებისა" და "საქმიანობების" გამოყენე-ბაზე დამყარებული საბავშვო ბაღი, რაც ბავშვებს ბუნების სილამაზის და კანონზომიერების აღქმის საშუალებას აძლევდა მასთან ურთიერთობის გზით.

მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმის მომხრე ავტორები ისეთი ფორმით წარმო-ადგენენ კურიკულუმს, რომელიც ახდენს ცოდნის ინტეგრირებას ბავშვის მიერ საკუთარი თავის, როგორც საზოგადოების წევრის, მზარდ შეგრძნებასთან.

როგორც ნ. კობახიძე წერს: „მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას არ აქვს ერთი უნი-ვერსალური განსაზღვრება, რაც ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა და რასაც ხშირად მის არასწორ გაგებამდეც კი მივყავართ. ხანდახან, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება გარკვეულ იდეოლოგიადაც ყალიბდება, რომელსაც მისი არსის გაუაზრებლად აფეტიშებენ და რასაც სხვა გვერდით ეფექტებთან ერთად, შედეგად მასწავლებლის ავტორიტეტის დაკ-ნინება მოსდევს. მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება, ფართო გაგებით, რამდენიმე პრინციპს ემყარება და უპირისპირდება ე.წ. მასწავლებელზე ორინტირებულ მიდგომას. მას-წავლებელზე ორიენტირებული მიდგომა უფუძნება იმ გაგებას, რომ ცოდნის გადაცემა ხდე-ბა ერთი მიმართულებით - მასწავლებლიდან მოსწავლისკენ. ასეთ დროს მასწავლებელს აქვს დიდი ავტორიტეტი. ის არის ექსპერტი და ცოდნის მფლობელი. მოსწავლეზე ორიენტირე-ბული სწავლება არის განათლების ის მოდელი, სადაც მოსწავლეები არიან სწავლების პრო-ცესის ცენტრში. მოსწავლეთა საჭიროებები, მათი შეხედულებები, აზრები, მისწრაფებები სწავლების დროს გათვალისწინებულია. ამ მოდელის მიხედვით, მასწავლებლისთვის მთა-ვარია ხელი შეუწყოს მოსწავლეებს განვითარებაში, დაეხმაროს სწავლაში, შეუქმნას პოზი-ტიური გარემო და იყოს სასწავლო პროცესის ფასილიტატორი" (6,).

ბრაზილიელ განმანათლებელს, ფსიქოლოგს, პედაგოგს, ფილოსოფოსს, ჰარვარდის უნი-ვერსიტეტის პროფესორს, საგანმანათლებლო პრაქტიკაში არაფორმალური და სახალხო გა-ნათლების მკვლევარს, ე. წ. „კრიტიკული პედაგოგიკის" ერთ-ერთი ფუძემდებელს და მე-20 საუკუნის პედაგოგიკის გამორჩეულ თეორეტიკოსს პაულუ ფრეირეს (1920 – 1997) ეკუთვნის ნაშრომები „ჩაგრულთა პედაგოგიკა", „განათლება როგორც თავისუფლების პრაქტიკა", „იმე-დის პედაგოგიკა". აღნიშნულ ნაშრომებში იგი ავითარებს აზრს, რომ „ადამიანის თავისუფ-ლება გამოიხატება მის მიერ საკუთარი, დამოუკიდებელი სამეტყველო ენის გამოყენების შე-საძლებლობით. ენა თავისთავად მოიცავს მოქმედებისა და აზროვნების მოდელებს, ნიმუ-შებს და ადამიანის ენას „ავსებენ" არსით ქმედებისა და აზროვნების პროცესში" (7). მისი აზ-რით, „ მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობების (ნებისმიერ დონეზე, სკოლაში თუ მის გარეთ) ყურადღებით შესწავლისას კარგად ჩანს, რომ ეს ურთიერთობები ძირითადად

ნარატიულია (თხრობითია), ეს ურთიერთობები გულისხმობს მთხრობელს, სუბიექტს, რომელიც ჰყვება (მასწავლებელს), და მომთმენ მსმენელ ობიექტს (მოსწავლეს). შეიძლება ითქვას, რომ განათლება დაავადებულია თხრობის დაავადებით“ (7). პაულუ ფრეირეს მიაჩნია, რომ ნარატიულ სწავლებას მივყავართ იმისკენ, რომ მოსწავლეები მექანიკურად იმახსოვრებენ მონათხრობს. ხოლო უარესი ის არის, რომ ასეთი აქტივობა ცარიელ კონტეინერებად, ერთგვარ ჭურჭლად აქცევს მოსწავლეებს, რომელსაც მასწავლებელი ავსებს. ცოდნა მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც იგი ახალი აღმოჩენის შედეგია. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ჩნდება წინააღმდეგობა, როდესაც მასწავლებელი მათ მიიჩნევს უცოდინარებად. „განათლება უნდა იწყებოდეს მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის ამ წინააღმდეგობების მოგვარებით, საპირისპირო პოლუსების შეთანხმებით და იმის აღქმით, რომ ორივე მხარე ერთდროულად არის მასწავლებელიც და მოსწავლეც”(7). სხვა შემთხვევაში შემოსაზღვრული განათლების წესი და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა დაჩაგრულ საზოგადოებას ასახავს. კერძოდ:

1. მასწავლებელი ასწავლის - მოსწავლეები სწავლობენ.
2. მასწავლებელმა ყველაფრი იცის, მოსწავლეებმა - არაფერი.
3. მასწავლებელი ფიქრობს - მოსწავლეთა ნაცვლად ფიქრობენ.
4. მასწავლებელი ლაპარაკობს - მოსწავლეები მორჩილად უსმენენ.
5. მასწავლებელი დისციპლინას ამყარებს - მოსწავლეები ემორჩილებიან დისციპლინას.
6. მასწავლებელი აკეთებს არჩევანს და თავს ახვევს ამ არჩევანს - მოსწავლეები ემორჩილებიან.
7. მასწავლებელი მოქმედებს - მოსწავლეებს აქვთ ილუზია მასწავლებლის მოქმედების წყალობით.
8. მასწავლებელი განსაზღვრავს სწავლების პროგრამის შინაარს - მოსწავლეები (რომლებსაც ისედაც არავინ არაფერს ეკითხება) ეთანხმებიან მას.
9. მასწავლებელი არ მიჯნავს ცოდნის ძალას მისი პროფესიული ძალისგან და ამით უპირისპირებს მას მოსწავლეთა თავისუფლებას.
10. სწავლების პროცესში მასწავლებელი სუბიექტია, მაშინ როცა მოსწავლეები მხოლოდ სწავლების ობიექტები არიან (7).

პაულუ ფრეირეს მიაჩნია, რომ მასწავლებელი აღარ უნდა იყოს ერთადერთი აქტიორი, იგი უნდა გახდეს მოსწავლეებთან ერთად დიალოგის პროცესის ერთ-ერთი მონაწილე. რადგან, თავის მხრივ, მოსწავლეები სწავლის პროცესში ასწავლიან მასაც. ირივე მხარე დატვირთულია პასუხისმგებლობით, რაც მათი ზრდის საწინდარია.

ამრიგად მასწავლებელზე ორიენტირებულ სწავლებას პაულუ ფრეირე უწოდებდა “განათლების ბანკირებს.” ფრეირე წერდა, რომ ამ დროს მასწავლებელი მოაზრებულია, როგორც ბანკირი, ვისაგანაც მოსწავლეს შეუძლია ნაღდი ფულის, ანუ ცოდნის გამოტანა. ფრეირესთვის განათლების ბანკირების იდეა მიუღებელი იყო. ის ფიქრობდა, რომ სწავლის პროცესში მოსწავლე და მასწავლებელი თანაბარია, მასწავლებელი ისევე სწავლობს მოსწავლისაგან, როგორც მოსწავლე - მასწავლებლისაგან.

ფრეირეც და დიუიც მოსწავლეს განათლების სისტემის ცენტრში აყენებდნენ და განათლებას ხედავდვნენ, როგორც ძალას, რომელსაც უნდა შეექმნა უფრო ძლიერი, თანასწორი და სამართლიანი სოციალური სისტემა.

„საინტერესოა, რომ ნეოლიბერალურ ეპოქაში მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება გახდა ბაზარზე ორიენტირებული და სულაც არ გულისხმობს განათლებას, რომელიც თანასწორობის პრინციპზეა დამოკიდებული. ოპონენტები მიუთითებენ, რომ ასეთ სისტემაში მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობა ემსგავსება კლიენტისა და პროვაიდერის ურთიერთობას, როდესაც კლიენტი ცდილობს მიიღოს სიკეთე პროვაიდერისაგან და არა - პარტნიორისაგან, რასაც ფრეირე ან დიუი გულისხმობდნენ. ასეთი მოდელის შემთხვევაში, ვიღებთ განათლებას, სადაც მხოლოდ მოსწავლის შედეგია ღირებული და არა სწავლის პროცესი. განათლება ორიენტირებულია გამოცდაზე და მასწავლებელი ანგარიშვალდებულია სისტემის წინაშე. ასეთი განათლება სცილდება ფრეირესა და დიუის განათლების გაგებას და ივიწყებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, მისწრაფებას, წინარე გამოცდილებას და მიზნებს“ (6).

მოსწავლეზე ორიენტირებულ კურიკულუმთან დაკავშირებით საინტერესოა გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის (1886-1950 წწ) შეხედულებები მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე, რომელსაც დიმიტრი უზნაძემ „აღზრდის ტრაგედია“ უწოდა. რა არის აღზრდის რთული ბუნების ერთ-ერთი გამომხატველი ეს ტრაგედია? დიმიტრი უზნაძის აზრით, ის აღმზრდელისა და აღსზრდელის მისწრაფებათა წინააღმდეგობაში მდგომარეობს. ბავშვი იოლად არ ემორჩილება აღმზრდელობით ღონისძიებებს, რადგან ისინი თავიანთი სოციალური მიზანდასახულობით გაუგებარია მისთვის. ეს, მართლაც, სიძნელეს ბადებს აღზრდის პროცესში: „ის, რაც აღმზრდელის შეხედულებით კეთილდღეობასა და ბედნიერებას წარმოადგენს, აღსაზრდელის რწმენით ხშირად უბედურება და წამება იქნება....აღმზრდელი სოციალური თვალსაზრისით ჭვრეტს ამ კეთილდღეობას და აღსაზრედელი კი თავისი საკუთარი ინტერესების მხრით, ინდივიდუალურად. გონიერება მოითხოვს, მყობადი აწმყოს შეწიროთ, მცირე სიამოვნება დიდსა და ხანგრძლივ კეთილდღეობას ანაცვალოთ. მაგრამ მოზარდი სულ სხვაგვარად ფიქრობს და სულ სხვას მოითხოვს. მას მომავალი არა სწამს და მას აწმყოს ვერასდროს და ვერაგზით ვერ ანაცვალებს. იგი მომენტით ცხოვრობს და მომენტის მონაა. ამიტომ იგი ერთი წუთითაც კი არავის დაუთმობს თავის აწმყოს“ (4, გვ.430).

დ. უზნაძის აზრით, „აღზრდის ტრაგედიის“ გადალახვაში გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს მასწავლებელი, რომელსაც ძალუძს ემპირიული ზედაპირიდან ადამიანის არსში შეღწევა“. პედაგოგიური პროცესის ძირითად პირობას, სწორედ, ბავშვის ბუნების უშუალო წვდომა, მისი გრძნობებისადმი, „სულიერი მღელვარებისადმი“, თანაგრძნობა – ის, რასაც ახლა ემპათიურ უნარებს ეძახიან, მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა მისცემს შესაძლებლობას მასწავლებელს, „უმტკივნეულოდ შეუხამოს სოციალური ხასიათის მიზნები ბავშვის ბუნებრივი განვითარების მიმართულებას“(4, გვ.431).

უზნაძის მიხედვით, რას წარმოადგენს განწყობა? უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან პიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი, „სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ქცევა განწყობის სახით მოცემული“.

განწყობის ცნების შინაარსს უზნაძე ინდივიდის მიზანშეწონილ ქცევის ანალიზიდან გამომდინარე ხსნის. რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას? მოთხოვნილება, რომელიც რაღაცის დეფიციტს გულისხმობს. მოთხოვნილება არის ის სუბიექტური, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია ქცევის განსახორციელებლად. თუ ადამიანს შემეცნებითი მოთხოვნილება აქვს, ის სათანადო სიტუაციას ეძებს მის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, სიტუაცია, გარემო წარმოადგენს ობიექტურ, აუცილებელს ფაქტორს ქცევის განხორციელებისთვის. მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის, სიტუაციის შესატყვისად იცვლება.

დიმიტრი უზნაძის აზრით, ეს ყველაფერი უნდა იცოდეს მასწავლებელმა, რაც დაეხმარება მას გაკვეთილების, აქტივობების წარმატებით ჩატარებაში. რადგან მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩასართავად სჭირდებათ სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარ–ჩვევებს. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა მიაწოდოს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ–ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა) ე.წ. ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს.

აქედან გამომდინარე, მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩართვისათვის სჭირდება სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებს და უნარ ჩვევებს. განწყობის თეორია ხომ არსებითად ქცევის ახსნითი მოდელია. როგორიც მოტივია, ისეთია ქცევაც. მოტივი (ან მოთხოვნილება) განსაზღვრავს ქცევის ფსიქოლოგიურ შინაარსს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, როგორ უნდა გამოვიყენოთ უზნაძის კონცეფცია საკლასო ოთახში? ჩვენი აზრით, მასწავლებელმა უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

1. შეუქმნას მოსწავლეს დადებითი განწყობა;
2. მოარგოს მასალა მოსწავლის განწყობას/აქტუალური დონე + წინსვლა/;
3. შექმნას მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული საკლასო გარემო, რაც მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს.
4. ნუ გააკეთებთ აქცენტს მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე. აუცილებელია მთელი ბუნების მოქმედებაში მოყვანა, პიროვნების მთელი ძალების გახსნა.

როგორ შევუქმნათ მოსწავლეს განწყობა?

სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, ანუ მთლიან პიროვნულ მზაობას, რომელიც განსაზღვრავს აქტივობაში მოსწავლის ჩართვას. თუ ახალი აქტივობის მიმართ (დისკუსია, ახალი ტიპის ტესტები) მოსწავლეებს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შეუქმნით, შედეგი აუცილებლად დადებითი იქნება.

დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოარგებთ სასწავლო მასალას მოსწავლის განწყობას, მის სამოქმედოდ განწყობილ ძალებს. როგორი უნდა იყოს ეს მასალა?

1. „მასალა ერთი მხრივ, შესაფერისი უნდა იყოს მოსწავლის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის, მეორე მხრივ, იგი დაშორებული უნდა იყოს მას საკმარისად. წინააღმდეგ შემთხვევაში წინსვლა შეუძლებელი იქნება. მოსწავლის ჩარევა სწორედ ამ პირობის რეალიზაციას ახდენს, მასწავლებელი მასალას ისე აწვდის მოწაფეს, რომ იგი მისაწვდომი გახდეს. მასწავლებლის როლი სასწავლო მასალისა და მოწაფის ძალთა შორის შუამავლობასა და მისი ნამდვილი განვითარების შესაძლებლობის აუცილებელი პირობის შექმნაში მდგომარეობს“ (1. გვ. 108). საკლასო ოთახში შექმენით ბავშვის განვითარების შესატყვისი გარემო. გახსოვდეთ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს.

რომ შევაჯამოთ, ბავშვზე ორიენტირებული კურიკულუმის მიდგომის ძირითადი პრინციპები ასეთია:

- ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება, რაც მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ ზრდასა და განვითარებას ემსახურება. ეს უფლება არის ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველი. შესაბამისად, ყოველდღიური ურთიერთობა ბავშვებთან ფუნდამენტურ კითხვას უნდა პასუხობდეს - ვასწავლი და მხარს ვუჭერ თუ არა თითოეული ბავშვის ზრდისა და განვითარების ყველა სფეროს - სოციალურს, ემოციურს, ფიზიკურს, ენობრივს და შემეცნებითს?
- თითოეული ბავშვი უნიკალური და განსაკუთრებული ინდივიდია. უნდა ვასწავლოთ ინდივიდუალურ ბავშვებს, პატივი ვცეთ და გავითვალისწინოთ მათი ასაკობრივი, სქესობრივი, კულტურული, ტემპერამენტული და სწავლის ინდივიდუალური თავისებურებები.
- ბავშვები თავიანთ განვითარებასა და განათლებაში აქტიურად მონაწილეობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი უნდა იყვნენ გონებით ჩართულები, ფიზიკურად აქტიურები იმის სწავლაში, რის ცოდნასა და კეთებასაც საჭიროებენ.

ბავშვების აზრები, უპირატესობები, სწავლის სტილი და ინტერესები გათვალისწინებული უნდა იყოს პრაქტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისას (12).

სოციალური რეკონსტრუქციის იდეოლოგია ეფუძნება მოსაზრებას, რომ უამრავი საფრთხის წინაშე მდგომ ჩვენ საზოგადოებას მხოლოდ განათლება უშველის და გადაარჩენს.

ამ იდეოლოგიის მიხედვით, სწავლება და სწავლა ემყარება გარემოებას, თუ სად იზრდებიან ბავშვები და რა პრობლემებია მათ თემში. აღსანიშნავია, რომ შვედურ კურიკულუმში ბავშვებს არა მხოლოდ აცნობენ, ასწავლიან, ვთქვათ, ადამიანის უფლებებს, არამედ აქტიურად რთავენ სწავლის პროცესში. მაგალითად: კურიკულუმის ერთ-ერთი მიზანია „საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება სხვადასხვა ეთიკურ დილემაზე და სიცოცხლის ფუნდამენტურ საკითხებზე“. სწავლა ემყარება გამოცდილებას, რომელიც ინტელექტუალურად და ემოციურად მოიცავს ბავშვებს. ჯგუფური დისკუსია სწავლების მთავარ მეთოდია, სადაც ხდება ღირებულებების, გრძნობების, უსამართლობის, ალტერნატივების და გამოსავლის თაობაზე მსჯელობა. მასწავლებელი განიხილება გამოცდილების მქონე კოლეგად და არა - ექსპერტად. საგანმანათლებლო დაწესებულებები მიიჩნევა ცვლილების ინსტიტუტად, სადაც ბავშვებს ამზადებენ საზოგადოების უკეთესობისკენ შესაცვლელად. ბავშვებს განიხილავენ და მიიჩნევენ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად, სოციალურ აქტორებად და საზოგადოების პოტენციურ მონაწილეებად, რომლებსაც რეკონსტრუქციის პროცესში დახმარება შეუძლიათ. ბავშვები მიიჩნევიან „არსის შემქმნელებად“: აქტიურ მოსწავლეებად, რომლებიც აღიქვამენ, ახდენენ ინტერპრეტაციას და საკუთარი რეალობის ორგანიზებას. შვედური ეროვნული კურიკულუმის შესწავლისას მასში აშკარად იკვეთება სოციალური რეკონსტრუქციის იდეოლოგის საფუძველი. ადრეული ბავშვობის სხვა, სულ რამდენიმე კურიკულუმი თუ ეხება ასე სოციალურ რეკონსტრუქციას. თუმცა შესაძლებელია მოძიება ადრეული ბავშვობის კურიკულუმის ისეთი პროფესიონალებისა, რომლებმაც გაიზიარეს სოციალური რეკონსტრუქციის იდეოლოგია საკუთარ ცენტრებში, როგორც მათი მსოფლმხედველობა სწავლასა და სწავლებაზე“(11. გვ. 35-36).

რეფორმატორული პედაგოგიკა, ანუ „ახლებური აღზრდის მოძრაობა“, გამოხატავდა ტრადიციული სკოლების სულ უფრო მკვეთრ შეუსაბამობას, აღნიშნულ ქვეყნებში, ახალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებთან, იმ ახალ მოთხოვნებთან, რასაც უყენებდნენ აღზრდისა და განათლების სისტემას. ჯერ კიდევ, განმანათლებლობის ეპოქის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ჟან-ჟაკ რუსომ იქადაგა პროგრესივიზმის რეფორმატორული მოძრაობის პრინციპი, ერთგვარი პედოცენტრიზმის სახით, რომელიც პედაგოგიური აღზრდის პროცესის განმსაზღრელ კრიტერიუმად ბავშვის აქტიური მოქმედების პრიორიტეტს განიხილავდა. სწორედ ამგვარი შინაარსით წარმოგვიდგება პროგრესივიზმი და რეკონსტრუქტივიზმი.

როგორც ასოც. პროფესორი ბ. ფორჩხიძე აღნიშნავს „პროგრესივიზმის ფილოსოფიური დაფუძნების ინიციატივა პრაგმატიზმის დამსახურებაა, რომელსაც საწყისი ბიძგი მისცა უ. ჯემსის ფილოსოფიურმა გამოკვლევებმა, ხოლო დასრულებული სისტემის სახე, აღნიშნულმა მიმართულებამ მიიღო ჯ. დიუის შრომებში, სადაც იგი უარყოფს ჭეშმარიტების ობიექტურობას და აიგივებს მას სარგებლობასთან. მან წამოაყენა თეზისი: „ჭეშმარიტია, ის, რაც სასარგებლოა,“ რაც შეეხება ცნებებსა და თეორიებს, მათ განიხილავდა, როგორც გარემოსთან შეგუების ინსტრუმენტებს. დაახლოებით ანალოგიური მიდგომა ჰქონდა მას პედაგოგიურ აღზრდასთან მიმართებაშიც. იგი ამოდიოდა თითოეული ბავშვის ინდივიდუალური და გა-

ნუმეორებელი უნარ-შესაძლებლობის მონაცემებიდან, რისი გათვალისწინებითაც, სწავლების პროცესში, უპირატესობას ანიჭებდა თამაშში შერწყმულ საქმიანობას, ბავშვისთვის სასარგებლო, მიზნობრივი ძალისხმევის გასაძლიერებლად. „სწავლა საქმიანობის (კეთების) მეშვეობით“, გაცილებით უფრო შეესატყვისება აღსაზრდელის შინაგან ბუნებას, ვიდრე ტრადიციული ცოდნის სისტემების დეკლარირება; აქედან გამომდინარე, განათლების შინაარსი მიმართულია ცხოვრებისეული ამოცანების გადასაწყვეტად, რომელიც არის გამოცდილების შემენისა და სასწავლო გარემო პირობების გაუმჯობესება-გამდიდრების საწინდარი. რაც შეეხება, ამ პროცესში, მასწავლებლის როლსა და აღმზრდელობით ფუნქციას, იგი მდგომარეობს, მოსწავლის განათლების პროფილის, ბუნებრივ ნიჭთან და შესაძლებლობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში“ (13). ჯ. დიუი ილაშქრებდა, სოციალური კონტექსტისგან განყენებულად, სასკოლო პრობლემატიკის განხილვის წინააღმდეგ. იმდენად, რამდენადაც აღიარებდა სასკოლო განმანათლებლობით და აღმზრდელობით ფუნქციებს, იგი ემიჯნებოდა ყოველგვარი სახის პარტიულობასა და რევოლუციურ ჩარევას აღმზრდელობით ფუნქციებში. ნაშრომში: „დემოკრატია და განათლება,“ მეცნიერი ხაზს უსვამდა მასწავლებლის საპასუხისმგებლო საქმიანობას, სწავლების პროცესში, მოსწავლეთა გათვითცნობიერების აუცილებლობას სოციალური ასპექტების პრობლემურ კონტექსტში. კონსერვატორთა წინააღმდეგ აქტიური პოზიცია მას არ ზღუდავდა რეფორმატორული რადიკალიზმის დაგმობისა და მხილების პირუთვნელი აზრის გამოხატულებაში.

ჯ. დიუის რეფორმატორულ იდეათა პრაქტიკული განხორციელების მცდელობა, აღმოცენებას იწყებს, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში. მათ შორის აღსანიშნავია კაროლინა პრატის სკოლა ნიუ-იორკში 1914 წელს, უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის, სადაც სხვადასხვა მასალების გამოყენებით გართობისა და თამაშის თანადროულ პროცესში, მოზარდები იძენდნენ ელემენტარულ ცოდნას და სათანადო უნარ-ჩვევებს. სკოლის საქმიანობა მხარდაჭერილი იყო მხატვრულ-შემოქმედებითი ინტელიგენციის მიერ, რომელთა ინტერესებშიც შედიოდა უმცროსი თაობების მიზიდვა და ჩართვა თავიანთ მოღვაწეობაში. მათი რწმენით, ხელოვნებისა და შემოქმედების თვითნაბადი იმპულსი თვით ბავშვის ბუნებაშია ჩადებული, რომლის გაღვივებისა და აღორძინების გზით, ამერიკელები თავს დააღწევდნენ თავიანთი კულტურის ნაკლოვანებებისგან, რითაც განმსჭვალული გახლდათ მათი მთელი ინდუსტრიული ცივილიზაცია. 1915 წ. მარგარეტ ჰაუმბურგმა დააფუძნა პროგრესივისტული მიმართულების სასწავლო დაწესებულება, რომელმაც მოგვიანებით მიიღო ვალდენური სკოლის სახელწოდება, შემდეგი დევიზით: „ცოდნა, კეთება და ყოფნა“. ჰაუმბურგი უარყოფდა მასწავლებლისა და სახელმძღვანელოების უპირობო ავტორიტეტს, უპირისპირებდა მას აზროვნების თავისუფლებას და ბავშვის შემოქმედებით დამოუკიდებლობას. მოზღვავებულ სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტის ოპტიმალურ გზას ის პიროვნული თვითგანვითარების უზრუნველყოფაში ხედავდა. ამ ტიპის სკოლებში სწავლება ინდივიდუალური სპეციფიკით განისაზღვრებოდა, სადაც მასწავლებელი კონსულტანტის როლში გვევლინებოდა. აქ ძირითადად, ბავშვები კავდებოდნენ მხატვრული თვითშემოქმედების ინიციატივებით, რომელიც მათ ანიჭებდათ თავდაჯერებასა და ფაქიზი მგრძნობელობის უნარს. „ასეთივე თვალსაჩინო რაფორმატორი გახლდათ ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორი, იუჯინ სმიტი,

რომელმაც სახელი გაითქვა თავისი არაორდინალური საქმანობით. საკუთარი თანამოაზრეებისაგან იგი იმით გამოირჩეოდა, რომ გავრცელებული სახელმძღვანელოების გამოყენებაზე უარის თქმის მიუხედავად, უარს არ ამბობდა ტრადიციული პედაგოგიკის აპრობირებულ მეთოდებზე, რასაც იგი ორგანულად უხამებდა საკუთარ ნოვატორულ იდეებს. საკუთარი მეთოდოლოგიის სისტემატიზაცია მან განახორციელა 1926 წ. გამოსულ ფუნდამენტურ შრომაში, „განათლება წინ მიიწევს“, სადაც განიხილება თანამედროვე პერიოდის აქტუალური პრობლემები: ინტელექტუალური ინიციატივების განვითარება, ესთეტიკური აღქმა და განცდა- მგრძნობელობა, მოსწავლე ახალგაზრდობის სიჯანსაღეზე ზრუნვა და სხვა. ჯ. დიუის თეორიაზე დაყრდნობით, განსაკუთრებით ხაზგასმული იყო ბავშვის აქტიური ჩართულობა სოციალური ურთიერთობების ქსელში, სადაც ის დატვირთულია თავისი წილი პასუხისმგებლობითა და ვალდებულებებით. სწავლება უნდა დამყარებოდა მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს და მასწავლებლის მაღალ პროფესიონალიზმს“ (13).

2. ულიამ კილპატრიკი წიგნში „პროექტების მეთოდი“ სწავლების პროცესში გვთავაზობს ოთხსაფეხურიან სისტემას: მიზანდასახულობას, გეგმაზომიერებას, შესრულებას და რეზულტატთა შეფასებას. ის მიიჩნევდა, რომ შესასწავლი თემები აღებული უნდა ყოფილიყო ცხოვრებისეული სინამდვილიდან, მაგალითად: „როგორ ახარებს მისის ჯონსი მშვენიერ ვარდებს?“, რასაც ირჩევენ თვითონ მოსწავლეები. მანაც წამოაყენა საკუთარი დევიზი: „უნდა ვასწავლოთ ის, თუ როგორ იფიქროს და არა ის, თუ რა იფიქროს“(13). კილპატრიკის მიერ შემოთავაზებულმა მეთოდოლოგიამ ფართო გავრცელება ჰპოვა ოციანი წლების მეორე ნახევარში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის, იმ პერიოდის საბჭოთა კავშირშიც.

კითხვები თვითშეფასებისა და თვითანალიზისათვის

1. განმარტეთ როგორია ტერმინ იდეოლოგიის ეტიმოლოგია?
2. რომელ საუკუნეში გაჩნდა იდეოლოგიის პრობლემატიკა?
3. რას ნიშნავდა სიტყვა იდეოლოგია დე ტრესისათვის?
4. განმარტეთ რა არის იდეოლოგია?
5. განათლების, რომელ იდეოლოგიებს იცნობთ?
6. ჩამოთვალეთ კურიკულუმის რომელ ოთხ დომინანტურ იდეოლოგიას იცნობთ?
7. დაახასიათეთ სამეცნიერო აკადემიური იდეოლოგიის მთავარი მახასიათებლები.
8. დაახასიათეთ სოციალური ეფექტიანობის იდეოლოგიის მახასიათებლები.
9. დაახასიათეთ მოსწავლეზე ორიენტირებული იდეოლოგიის მახასიათებლები.
10. შეაჯამეთ ბავშვზე ორიენტირებული კურიკულუმის მიდგომის ძირითადი პრინციპები.

ლიტერატურა

1. უზნაძე დ., განწყობის თეორია, თბილისი, 2008.
2. სწავლებისა და განვითარების თეორიები, თბილისი, 2012

3. მ. ბოჭორიშვილი პედაგოგიკის საკითხები, თბილისი, 2015.
4. უზნაძე დ., ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალ,1912.
5. უზნაძე დ., აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა, ჟურნალი „განათლება“, №6, 1912.
6. კობახიძე ნ., მასწავლებლის ავტორიტეტის კრიზისი და მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება, 2014, 12 დეკემბერი, mactavlebeli.ge.
7. ალფაიძე ლ.,, პაულუ ფრეირე: განათლება, როგორც თავისუფლების პრაქტიკა, 2013, 16 აგვისტო, mactavlebeli.ge.
8. დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა : სატრენინგო მასალები / შემდგ.: მალხაზ ბეგიაშვილი, დავით ბოსტოღანაშვილი, დიანა ლეჟავა და სხვ. - თბილისი, 2007.
9. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი სარედაქციო ჯგუფი ედვარდ კოდუა და სხვ.; გამომცემელი ლაშა ბერაია, თბილისი, ლოგოსი პრესი, 2004, სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინე ჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2.
10. სამოქალაქო საზოგადოება., ფონდ ევრაზიის გრანტის საფუძველზე [რედ.: ლევან ბერძენიშვილი და გიგა ბოკერია]; სამოქალაქო განვითარების საერთაშ. ცენტრი - თბილისი, 1998;
11. კლერ მაკლაქლანი, მერილინ ფლიერი, სუზან ედვარდსი, ადრეული ბავშვობის კურიკულუმი მეორე გამოცემა, კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამოცემა, 2016 წ.
12. ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბილისი, 2015.
13. ბადრი ფორჩხიძე, პროგრესივიზმი და რეკონსტრუქტივიზმი განათლების ფილოსოფიაში, აწსუ-ს პირველი საერთაშორისო კონფერენცია:უმაღლესი განათლება - ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები ქუთაისი (საქართველო) 1-2 მაისი, 2015 წ. HENTI-2015 atsu.edu.ge.
14. მელიქიშვილი მ., ჯონ დიუის პედაგოგიკური კონცეფცია, თბილისი, 2013 წ.
15. История педагогики и образования: Учебное пособие для педагогических учебных заведений / Под ред. А. И. Пискунова. М., 2001.

§4. კურიკულუმის კომპეტენციის გამომუშავებაზე და საქმიანობაზე მიმართული მოდელები

იდეა საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის განვითარების აუცილებლობის შესახებ პირველად ჩამოაყალიბეს სოციალ–უტოპისტებმა, რომლებიც ეძებდნენ გზებს ადამიანთა სრულყოფილი საზოგადოების შესაქმნელად. მაგრამ მხოლოდ XIX საუკუნის შუა ხანებში, დაისვა საკითხი საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის მნიშვნელობაზე. ის განხილული იქნა, როგორც უმნიშვნელოვანესი საშუალება მშრომელი ქალის – დედის ყმობისაგან განსათავისუფლებლად. ამიერიდან ქალს შესაძლებლობა მიეცა აქტიური მონაწილეობა მიეღო საწარმოო, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ადამიანის ისტორიის ადრეულ ეტაპზე, პირველყოფილი წყობილების დროს ცხოვრებისათვის ბავშვების მომზადების ძირითადი საშუალება იყო თამაშობანი პრიმიტიული სათამაშოებით, რომლებიც გამოხატავდნენ სამონადირეო და შრომით იარაღებს, მიბაძვა უფროსების საქმიანობისა. მორალური აღზრდის საშუალებას წარმოადგენდა ფოლკლორი (ზღაპრები, გამოცანები, ანდაზები და თქმულებები), ის გადასცემდა ახალ თაობებს, ცხოვრების სხვადასხვაგვარ სიტუაციებში, ადამიანის ქცევის წესებსა და ნორმებს.

ანტიკურ საბერძნეთში გაჩნდა პედაგოგიკური თეორიის ჩანასახები, რომელშიც გათვალისწინებული იყო სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდის იდეა ოჯახში. სახელი გაითქვა სპარტანული და ათენური აღზრდის სისტემებმა. ისინი თავიანთი მიზნებითა და საშუალებებით არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სპარტაში, სამხედრო მონათმფლობელურ სახელმწიფოში, ცდილობდნენ ბავშვები აღეზარდათ მოქალაქე–მეომრებად. საზოგადოებრივი მორალი ადრეული წლებიდანვე აწესებდა აღეზარდათ გაბედული, გაკაჟებული ბავშვები ნაკლებ მომთხოვნი საჭმლისა და ტანსაცმელისა, ბავშვს არ უნდა სცოდნოდა, რა იყო ტირილი და თვითნებობა. მათი მიზანი იყო ყოლოდათ მომავალში ჯანმრთელი ბავშვები; ყურადღება ექცეოდა გოგონებისა და ქალიშვილების ფიზიკურ აღზრდას.

მონათმფლობელების ბავშვები ათენში იმყოფებოდნენ ქალებისათვის განკუთვნილ სახლის იზოლირებულ ნაწილში; ისინი შედარებით აზიზად იზრდებოდნენ, ვიდრე სპარტანელები, ძიძის ხელიდან ბავშვი გადადიოდა პედაგოგის ხელში (პედაგოგი წარმოსდგება ორი სიტყვისაგან: „პაიდოს“ –ბავშვი და „აგო“ –ტარება, ხელით მიმყავს), პედაგოგი ხშირად აჰყავდათ მონებიდან, რომელთაც ფიზიკური მუშაობა აღარ შეეძლოთ.

პედაგოგიური თეორიის საფუძვლების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსების – პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებს.

პლატონს (427–348 წვ. წ. აღრ–მდე) ეკუთვნის უმნიშვნელოვანესი პედაგოგიური ცნებების განსაზღვრა, ისეთებისა, როგორიცაა აღზრდისა და სწავლების არსი, საზოგადოებრივი წყობის დაკავშირება აღზრდასთან. მან წამოაყენა თავისუფალ მოქალაქეთა ბავშვების ადრეული ასაკიდან აღზრდა საზოგადოებრივ სისტემაში. ბავშვებისათვის 7 წლის ასკამდე პლატონს შექმნილი აქვს სკოლამდელი აღზრდის მთელი სისტემა. გადიების ხელმძღვანელობით ყველა 3-6 წლის ასაკის ბავშვები თავს იყრიან სალოცავებთან მდებარე საბავშვო მოედნებზე.

პლატონმა მიუთითა თამაშზე, როგორც აღზრდის მნიშვნელოვან საშუალებაზე და განსაზღვრა ძირითადი მოთხოვნილებანი იმ პირთა მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ ბავშვის აღზრდაში. „ ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აგრეთვე ბავშვებისათვის თხრობას და აყენებს სათხრობი მასალის, კერძოდ ზღაპრების გულდასმით შერჩევის საკითხს“ (1. გვ. 41).

არისტოტელემ (384–322 ლ.წ. ჩვ. წ. აღრ–მდე) ჩამოაყალიბა პიროვნების ჰარმონიული განვითარების იდეა, რომელიც მოიცავდა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბუნებრივ მოსაზრებულობას. სკოლამდელ პერიოდს არისტოტელე გამოყოფდა, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებების განსაკუთრებით მნიშვნელოვან ეტაპს. მისი შეხედულებით 7 წლამდე ასაკის ბავშვები იზრდებიან ოჯახში. აღნიშნავს ბავშვის რძით კვების აუცილებლობას, ჰიგენის მნიშვნელობას. ამ პერიოდში სხვადასხვაგვარ თამაშობასთან ერთად, მისი აზრით, საჭირო იყო გამოეყენებინათ გონების გასავარჯიშებელი მოთხრობები, ხუთი წლის ასაკიდან დაწყებული კი მოემზადებინათ ბავშვები სკოლისათვის.

პედაგოგიკის ისტორიაში სკოლამდელი აღზრდის თეორიის საფუძვლების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სპეციალურმა პედაგოგიურმა ტრაქტატმა, რომელიც დაწერა რომაელმა პედაგოგმა **მარკუს ფაბიუს კვინტილიანმა** (42–118) „მჭერმეტყველების სწავლება“(12 წიგნი). მასში საუბარია სკოლამდელი აღზრდის შესახებაც. კვინტილიანე ხაზს უსვამდა გარემომცველი წრის ზეგავლენის მნიშვნელობას ბავშვის პირველდაწყებითი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე და მიუთითებდა თანამედროვე საზოგადოების მავნე, გამხრწნელ ზეგავლენაზე.

კვინტილიანი ლაპარაკობს რა ბავშვის სკოლამდელ აღზრდაზე, მიმართავს მშობლებს, ძიძას და პედაგოგს. ძიძისაგან, გარდა ფიზიკური ჯანმრთელობისა, მოითხოვს მაღალ ზნეობას და კარგ, სწორ მეტყველებას. პედაგოგის შერჩევა კვინტილიანის აზრით, რთული საქმეა, ვინაიდან ბავშვი პედაგოგისაგან ღებულობს ცოდნას სამყაროზე, ითვისებს წარმოდგენებს მორალის ნორმებზე. კვინტილიანეს შესაძლებლად მიაჩნია, რომ სკოლამდელ ბავშვებთან მეცადინეობა ტარდებოდეს სისტემატურად, მაგრამ გადაცემული ცოდნის მოცულობა არ უნდა იყოს ძალიან ფართო, მათი გადაცემის მეთოდიკამ უნდა შექმნას ბავშვებში მხიარული განწყობილება, გამოიწვიოს ინტერესი, „რომ ბავშვებმა არ შეიძულოს სწავლა, რომლის შესაყვარებლად ჯერ კიდევ დრო არ ჰქონდა“ (5. გვ.110).

ფეოდალიზმის პერიოდში აღზრდაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენდა კათოლიკური ეკლესია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ყოველი ადამიანი თავისთავში ატარებს ცოდნის საწყისებს. ამ ცოდვების დამარცხება, საეკლესიო სწავლების თანახმად, შეიძლებოდა მხოლოდ მიწიერი ცხოვრების გარდაქმნით. საიქიო ცხოვრებისათვის მოსამზადებელი ეტაპით ადამიანმა, რომ დაიმსახუროს მომავალი სამოთხის ბედნიერება, უნდა ცხოვრობდეს ეკლესიის მიერ დაწესებულ სრულ მორჩილებაში, ღვთის მუდმივი შიშით, ზრუნავდეს ხორცის დათრგუნვაზე. ბავშვს საჭიროა პატარაობიდანვე ჩავუხშოთ მისწრაფება ცელქობისადმი, ამქვეყნიური სიხარულისადმი, თამაშისა და გართობისადმი, ამგვარი გამოვლინებები დაუოკონ, მოათვინიერონ მკაცრი საშუალებებით, მათ რიცხვში ფიზიკური დასჯითაც. კათოლიკური ეკლესია მტრულად იყო განწყობილი ანტიკური კულტურის, როგორც წარმართთა მიერ შექმნილი კულტურის მიმართ (5. გვ.110).

XIV-XVI საუკუნეებში, აღორძინების ეპოქაში, საზოგადოებრივი აზრი კვლავ უბრუნდება ადამიანს, ხდება ჰუმანური (humanus – ადამიანური). მოწოდებულია ააღორძინოს ანტიკური ცივილიზაცია – კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება. იცვლება შეხედულებები ბავშვზეც, ჰუმანისტები მას განიხილავენ, როგორც ბუნების შვილს, რომელსაც აქვს მხიარული ცხოვრების, ფიზიკური განვითარების, თამაშის, ინტელექტუალური საქმიანობის უფლება. აღზრდის ამოცანას შეადგენს პიროვნების განვითარება. ყველა დიდი ჰუმანისტი პედაგოგი მოუწოდებს ფსიქოლოგიური თავისებურებათა გათვალისწინებისაკენ.

პირველმა სოციალისტ–უტოპისტებმა **თომას მორმა (1478–1535)** და თომაზო კამპანელმა (1568–1639) შრომებში – პირველმა „უტოპიაში“, მეორემ „მზის ქალაქში“ გამოხატეს თავიანთი ოცნებები ადამიანთა სრულყოფილ საზოგადოებაზე, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ექსპლუატაციისაგან, სიღარიბისა და კლასობრივი უთანასწორობისაგან. თ. მორის და თ. კამპანელის იდეალურ სახელმწიფოში გათვალისწინებულია საზოგადოებრივი აღზრდა ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვისათვის. დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვის ფიზიკურ განვითარებას. სწავლება მიმდინარეობს თამაშით, თვალსაჩინოების ფართო გამოყენებით (6. გვ.62.).

დიდი ჩეხი პედაგოგი **იან ამოს კომენსკი (1592–1670**), რომელმაც მეცნიერული პედაგოგიკის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი, დიდ ყურადღებას უთმობდა სკოლამდელ ბავშვთა აღზრდას. კომენსკი ეკუთვნოშდა „ჩეხი ძმების“ რელიგიურ თემს, ის გამოდიოდა კათოლიკური რელიგიისა და ფეოდალური უღლის წინააღმდეგ და აერთიანებდა ჩეხ ხალხთა მასებს. ის იყო მორწმუნე ადამიანი. მას მიაჩნდა, რომ ადამიანი როგორც ბუნებრივი არსება, განიცდის მუდმივ განვითარებას. კომენსკი ხაზს უსვამდა, რომ აღზრდის შემწეობით –„ყოველი ბავშვისაგან შეგვიძლია შევქმნათ ადამიანი“ (6. გვ.63).

კომენსკიმ, ემყარებოდა რა მისი გაგებით უნივერსალურ ბუნებრივ შესაბამისობის პრინციპს, ბუნებისა და ადამიანის განვითარების ერთიანობის კანონებს, დაამუშავა ასაკობრივი პერიოდიზაცია. ახასიათებდა რა ადამიანის განვითარების პერიოდებს (ბავშვობა, ყრმობა, ახალგაზრდობა, მოწიფულობა), იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პირველ მათგანს, რომელიც გრძელდებოდა 6 წლამდე. კომენსკის მიაჩნდა, რომ იმ პერიოდში, როდესაც მიმდინარეობს გაძლიერებული ფიზიკური ზრდა და გრძნობების ორგანოების განვითარება, უმცროსი ბავშვები უნდა იზრდებოდნენ დედათა სკოლებში, ოჯახში, რომელსაც ბრძენი დედანი ხელმძღვანელობენ, აქვთ პედაგოგიური ნიჭი და უყვართ თავიანთი აღსაზრდელები. კომენსკის სპეციალური შრომა სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდის შესახებ „დედათა სკოლა“ მოგვევლინა მსოფლიოში სკოლამდელი აღზრდის პირველ პროგრამად და სახელმძღვანელოდ. კომენსკი მოუწოდებდა გულმოდგინედ ეზრუნათ ბავშვის ჯანმრთელობასა და ფიზიკურ განვითარებაზე. მან მოგვცა რიგი მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელი მითითებანი ქალის ცხოვრების თავისებურებაზე ფეხმძიმობის პერიოდში. შემოგვთავაზა ხალხურ გამოცდილებასა და თანამედროვე მედიცინაზე დამყარებული კონკრეტული რეკომენდაციები ახალშობილთა მოვლის, კვების, ტანსაცმლის, რეჟიმის შესახებ და ასე შემდეგ. „ბავშვს, – წერდა კომენსკი, –უნდა შევუქმნათ ფიზიკური განვითარების პირობები. თუ საჭიროება არ მოითხოვს, არ უნდა შევუზღუდოთ მათ მოძრაობანი, პირიქით, უნდა განვუვითაროთ: თავის დაჭერის, დაჯდომის, აღების, მოღუნვის, გადაბრუნების, დაწყობის ჩვევები და სხვ. ჩვევები-

სა და უნარების დაუფლება უნდა ხდებოდეს აუცილებლად თამაშის ფორმით, რაც ბავშვის განვითარების ძირითადი საშუალებაა“ (5. გვ.112.).

კომენსკის მიაჩნია, რომ ზნეობრივი ნორმების შეთვისება მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიურ აღზრდასთან, მაგრამ მიზანი ღვთის მსახურებისათვის მზადება კი არ უნდა იყოს, არამედ ადამიანის ზნეობრივი პრინციპებისა და რეალური პირობების შეფარდება საზოგადოებრივ მოვლენებთან. ფასდაუდებელია კომენსკის რეკომენდაციები ისეთი თვისებების გამომუშავებისათვის, როგორიცაა მისწრაფება საქმიანობისადმი, შრომის სიყვარული, სიმართლე, სიფაქიზე, ზრდილობა და სხვა.

კომენსკი აღიარებდა ზომიერი და გონიერი დისციპლინის პრინციპს, ურჩევდა ბავშვებზე ემოქმედათ პირადი მაგალითით, გონიერი დარიგებებით, შეგონებით, საყვედურით. ფიზიკური დასჯა დასაშვებად მიაჩნდა მხოლოდ ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში.

კომენსკი ზნეობრივ აღზრდას მჭიდროდ უკავშირებდა შრომას; ითვალისწინებდა არა მარტო შრომითი ჩვევის ჩამოყალიბებას ასაკის შესაბამისად, არამედ შრომისადმი სიყვარულის აღზრდას.

კომენსკი სკოლამდელ ასაკს განიხილავდა, როგორც მომზადების პერიოდს სკოლაში სისტემატური სწავლებისათვის. ის თვლიდა, რომ დედათა სკოლა მოწოდებულია ხელი შეუწყოს ბავშვში კონკრეტულ წარმოდგენათა დაგროვებას და დეტალურად მოხაზა ელემენტარულ ცოდნათა ფართო წრე გარე სამყაროს შესახებ, რომელსაც უნდა ფლობდეს სკოლამდელი ასაკის ბავშვი. ასე მაგალითად, ბუნებისმცოდნეობის სფეროში 7 წლის ბავშვმა უნდა იცოდეს, რა არის ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა, წვიმა, თოვლი, ყინვა, ტყვია; რკინა და ა.შ. გაარჩიოს მზე, მთვარე, ვარსკვლავები, იცოდეს როდის არის დღე გრძელი და როდის მოკლე. ბავშვმა მათემატიკაში უნდა ისწავლოს თვლა 20–მდე, უნდა იცოდეს კენტი და ლუწი რიცხვები, უნდა ესმოდეს, რომ 7 მეტია 5–ზე, აგრეთვე 15 მეტია 13–ზე, შეითვისოს თუ რა არის „გრძელი“, „მოკლე“, „განიერი“, „ვიწრო“, იცოდეს ძირითადი გამოსახულებანი – წრე, კვადრატი, ჯვარი, სიგრძისა და მოცულობის ძირითადი საზომები –ნაბიჯი, იდაყვი, მეოთხედი. გეოგრაფიული ცნებანი – თუ რა არის ქალაქი, სოფელი, მინდორი, ბაღი, უნდა იცოდეს თავისი სოფლის ან ქალაქის სახელი, ამის გარდა, უნდა იცოდეს წლის დროები, შესძლოს გაგება ტერმინების „საათი“, „დღე“, „კვირა“, „თვე“ და „წელიწადი“(5. გვ. 110.).

ურჩევს რა დედებს განუვითაროს ბავშვს მეხსიერება და აზროვნება. კომენსკი გვთავაზობს ადვილად დასაძლევ ფორმებში გავაცნოთ ბავშვებს ისტორიის, ეკონომიკის, პოლიტიკის, საერთაშორისო საკითხების საწყისები. ის გვირჩევს არა მარტო ვიმოქმედოთ ბავშვის მეხსიერებაზე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, განვუვითაროთ მათ გააზრებული აღქმა და გარესამყაროს მოვლენების გაგება.

კომენსკის მრავალი დებულება – ფიზიკური აღზრდის, მეტყველების და აზროვნების განვითარების, ზნეობრივი თვისებების აღზრდის შესახებ მნიშვნელოვანი საგანძურია მსოფლიო პედაგოგიკის განვითარებაში. სკოლამდელი აღზრდის სწორად დაყენებისათვის კომენსკი აუცილებლად სთვლიდა მშობლებისათვის სახელმძღვანელოს შედგენას. ი.ა. კომენსკის ცნობილი შრომა „დედათა სკოლა“, დაწერილი თითქმის ოთხი საუკუნის წინათ, პირველი ბრწყინვალე ცდა არის სკოლამდელი აღზრდის თეორიის შექმნისა, რომელმაც საფუძვე-

ლი დაუდო გააზრებულ და ორგანიზებულ მუშაობას პატარა ბავშვებთან, მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ადამიანის სულისა და სხეულის ფორმირების საკითხით ყოველთვის დაკავებული იყო ფილოსოფოსების გონება. ფსიქოლოგიის სფეროში ექსპერიმენტები დაიწყო XVIII ს. შუახანებში. მათ დაუდეს საწყისი საკითხის გარკვევას, თუ როგორ ჩამოყალიბდა შეხედულება იმის შესახებ რა შეიძლება და რა არა, როგორი ურთიერთკავშირი აქვთ დედა-შვილს, თვით დისციპლინა, რა განეკუთვნება ბუნებრივი განვითარების საფეხურებს. მაგალითად როგორ ვითარდება საკუთარი „მეს“ შეხედულება, კერძოდ დედაზე მიჯაჭვა; შიშის გრძნობა და საზოგადოებაში ყოფნის საჭიროება. პედაგოგები რომლებიც ჩართული იყვნენ ბავშვთა ჯგუფების შექმნაში, საუბრობდნენ დასჯის საჭიროებაზე ან არსაჭიროებაზე, წახალისებაზე, შეჯიბრზე, აღზრდის პასუხისმგებლობაზე, ოჯახური თუ საზოგადოებრივ განათლებაზე, საბავშვო ბაღში მიღების ასაკზე, განებივრებაზე და ა.შ. განიხილებოდა კომენიუსის, ლოკის, რუსსოს, პესტალოცის, ოუენის ვილდერსპინის იდეები. ბავშვი - „სუფთა დაფა“? თავიდან ცოდვილია, თუ უცოდველი, არსებაა, რომელშიც უკვე ყველაფერი ჩადებულია? აღზრდით აღმოცენდება ის რაც უკვე მასში არის? ვინ არის ბავშვთან ახლოს? ვინ არის უკეთესი აღმზრდელი? მამა თუ დედა? ამ კითხვებზე მიიღეს სხვადასხვა პასუხები, რომლებიც ურთიერთგამომრიცხავიც იყო.

სკოლამდელი აღზრდის თეორიის შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გამოჩენილ შვეიცარიელ პედაგოგ–დემოკრატს **ჰენრიხ ჰესტალოცს (1746–1827)**. ის ცხოვრობდა ფეოდალური წყობის რღვევისა და კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდში. ნახა ხალხის დიდი გაღატაკება და წინანდელი მორალური ნორმების დაცემა. ოცნებობდა რა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, პესტალოცი თვლიდა, რომ ამას შეიძლება მივაღწიოთ სწორი აღზრდისა და საყოველთაო განათლების შედეგად. მისი აზრით, განათლება საუკეთესო ცხოვრების გარანტიას აძლევს ხალხის მასებს. ბავშვში იმთავითვე შეიმჩნევა ნიჭი, რაც შემდგომში ვითარდება. იგი ხელმძღვანელობდა ბუნებრივი საზრიანობის პრინციპით. პედაგოგისაგან მოითხოვდა ბავშვების ასაკობრივ თავისებურებათა და შესაძლებლობათა გათვალისწინებას. პესტალოცი იყო ერთი პირველთაგანი, რომელიც მიისწრაფოდა სწავლება აეგო ბავშვის ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებაზე. ითვალისწინებდა რა ბავშვთა აღქმის თავისებურებას, იგი მოითხოვდა თანდათანობით გადასვლას სწავლების პროცესზე – ელემენტიდან – მთლიანობაზე, უახლოესიდან – შორეულზე, მარტივიდან – რთულზე; ამავე დროს გვირჩევდა თანამიმდევრობისა და განუწყვეტლობის დაცვას (5. გვ.113.).

პესტალოცი აღზრდის სისტემის წინაშე აყენებდა ბავშვის ჰარმონიულ–ფიზიკური, შრომითი, ზნეობრივი და გონებრივი განვითარების ამოცანას. მან წამოაყენა „ელემენტარული ვარჯიშის“ სისტემა, რომელიც დამყარებულია ბავშვისათვის შედარებით ტიპურ ბუნებრივ მოძრაობაზე, მან წამოაყენა აგრეთვე საინტერესო იდეა შექმნილიყო „უნარის ანბანი“, რომლის განვითარების შედეგი გახდებოდა „ინდუსტრიული ვარჯიში“. ეს ვარჯიში, მისი შეხედულებით, მოამზადებს ბავშვს შრომითი საქმიანობისათვის, ამასთან წარმოებაში მუშაობისათვისაც (5. გვ.114.).

ზნეობრივ აღზრდას, ადამიანებისადმი სიყვარულს წამყვანი როლი ეკისრება პესტალოცის სისტემაში. მასობრივი აღზრდის საშუალებებია, უპირველეს ყოვლისა, კეთილმოსურნეობის გავრცელება, ბავშვის დამოკიდებულება უახლოეს გარემოცვასთან. ადამიანების ფართო წრესთან, მოვალეობებთან, საგნებთან და მეორე მხრივ პედაგოგების დახმარებით დაგროვილი ბავშვის საკუთარი დადებითი გამოცდილება (გამოქომაგების აუცილებლობა, თავის განწირვა სხვისი გულისათვის და ა.შ.) ზნეობრივი მოქმედების ასეთი ცდების საფუძველზე ბავშვი სწავლობს პირადი ინტერესის დათმობას, ღებულობს შეგნებულ კმაყოფილებას, რომ სხვას დაეხმაროს.

„გონებრივი აღზრდის გარემოში პესტალოცს მიეკუთვნება ორი მეტისმეტად მნიშვნელოვანი დებულება, რამაც დიდად განსაზღვრა მისი მნიშვნელობა პედაგოგიკის ისტორიაში. პირველი იყო სწავლის პროცესში თვალსაჩინოების აუცილებლად გამოყენების მტკიცება და პროპაგანდა. შემეცნების ამოსავალ მომენტად პესტალოცი თვლიდა გრძნობით აღქმას და აუცილებლად მიაჩნდა, რომ ბავშვებში ჩამოყალიბებულიყო დაკვირვების კულტურა. რიცხვი. ფორმა. სიტყვა (დასახელება) ყოველი საგნისათვის დამახასიათებელია. ისინი ყველაზე უბრალო ელემენტებია, ამიტომ საჭიროა პირველყოვლისა, ვასწავლოთ თვლა, გაზომვა, მეტყველება. პესტალოცმა დაამუშავა ბავშვებისათვის მშობლიური ენის პირველდაწყებითი სწავლების, თვლისა და გაზომვის მეთოდიკა; ისე გააადვილა იგი, რომ ყველა გლეხის ქალს შეეძლო მისი გამოყენება შვილებთან მეცადინეობის დროს. მის მიერ მოწოდებული სხვადასხვა დიდაქტიკური მასალა შემდეგში ფართოდ გავრცელდა.

პესტალოცის მეორე მნიშვნელოვანი დებულება იყო განვითარებული სწავლების იდეა, ე.ი. სწავლების პროცესის ისეთი აგება, რომელიც მარტო დაგროვილ ცნებებს კი არ ემყარება, არამედ ბავშვის ნიჭიერების განვითარებასაც. ამზადებს მას მომავალი დამოუკიდებელი საქმიანობისათვის. ეს იდეა მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა და შემდეგში განვითარდა მრავალი პედაგოგის შრომებში (5. გვ.114.).

პესტალოცს მთავარ და საუკეთესო აღმზრდელად დედა მიაჩნდა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პირველდაწყებით ოჯახურ აღზრდას და ზრუნავდა მის სწორ მიმართულებაზე, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო სპეციალური სახელმძღვანელოს შექმნაში „წიგნი დედებისათვის, ან სახელმძღვანელო დედებისათვის, როგორ უნდა ასწავლონ ბავშვებს დაკვირვება და ლაპარაკი“. წიგნის მასალა უნდა დახმარებოდა დედებს, რათა მათ გაეფართოებინათ და მოეწესრიგებინათ ბავშვის წარმოდგენა გარესამყაროზე.

1771 წელს მეგობართაგან შემოწირული თანხებით მან თავის სახლში მოაწყო უზედამხედველო ბავშვთა თავშესაფარი, შეიძინა მამული, უწოდა მას „ნეიჰოფი“(ახალი ეზო). მოსწავლეთა აღზრდა აღნიშნულ თავშესაფარში ემყარებოდა მის მიერ შემუშავებულ პედაგოგიურ ექსპერიმენტს-მწარმოებლურ შრომასთან სწავლების შეერთების შესახებ. ბავშვები მუშაობდნენ და თან სწავლობდნენ. ექსპერიმენტი მარცხით დამთავრდა. „ვინაიდან მოსწავლის შრომა ვერ იქნება საწარმოო შრომა. იგი სასწავლო შრომაა და მას მხოლოდ შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება შეუძლია“(6. გვ.118.).

1780 წელს პესტალოცმა დახურა ბავშვთა თავშესაფარი და შეუდგა ნეიჰოფის(ახალი ეზოს) ექსპერიმენტის თეორიულ დამუშავებას. ამ მიზნით (1781-1787 წწ) დაწერა რომანი

„ლინჰარდი და ჰერტრუდა. რომანში მთავარი ადგილი უჭირავს მწარმოებლურ შრომასთან სწავლების შეერთების იდეას. რომანში აღწერილია კარგი სკოლა და კარგი მამული.

პესტალოცმა და მისმა მხურვალე სიყვარულმა, ხალხისადმი, განმანათლებლურმა მოღვაწეობამ და მის მიერ წამოყენებულმა იდეებმა დიდი ზეგავლენა მოახდინეს მსოფლიო პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაზე. მან ფართოდ განსაზღვრა სახალხო სკოლაში სწავლების შინაარსი, წამოაყენა სწავლების პროცესში ბავშვის ფსიქოლოგიური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინების მოთხოვნა, განავითარა მოძღვრება თვალსაჩინო სწავლების შესახებ.

1696 წელს ჯონ ბელერსმა (1654 – 1725 წწ) გამოუშვა ტრაქტატი: „ყველა სასარგებლო ხელობის და სოფლის მეურნეობის შრომითი კოლეჯის“ დაარსების პროექტი, მდიდართა გადასარჩენად, ღარიბთა შეძლებული ცხოვრებისათვის და ახალგაზრდობის კარგად აღსაზრდელად. ტრაქტატს წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი „ შრომას მოაქვს სიუხვე, უსაქმურმა უნდა იაროს ძონძებში. ვინც არ შრომობს, მან არც უნდა სჭამოს“.

ბელერსი ასაბუთებს, რომ საზოგადოებრივი აღზრდა უფრო ძვირფასია, ვიდრე კერძო, ვინაიდან კოლეჯში აღზრდა შეერთებულია შრომასა და სწავლებასთან. მისი აზრით უდიდესი აღმზრდელობითი გავლენა ექნება ბავშვებზე შრომით დისციპლინას, ბავშვები რაკი დაინახავენ, თუ როგორ მუშაობენ და უფრთხილდებიან დროს სხვები, ბავშვები, თამაშის მაგიერ დაიწყებენ რაიმე წარმოების შესწავლას, მუშაობა მათთვის არ იქნება თამაშზე ძნელი, რაკი დაინახავენ, თუ როგორ მუშაობენ სხვები, ისინი მიბაძავენ მათ, მიბაძვა კი მისცემს მათ რამდენიმე სიამოვნებას, რამდენსაც თამაში.

ბელერსი დიდ მნიშვნელობას აძლევს აღზრდას და მას შესაძლებლად მიაჩნია აღზრდის გზით საზოგადოების გარდაქმნა. იგი პროტესტს აცხადებს რვა საათის განმავლობაში წიგნზე მუშაობით ბავშვების გადატვირთვიის და ზეპირობის წინააღმდეგ. მოითხოვს ბავშვის მეტყველების განვითარებას. მას სურს, რომ სწავლება შეაერთოს საწაროო შრომასთან და გახადოს ის სახალისო.

ბელერსის აზრით, ხელგარჯილობა აღზრდის სისტემაში საყურადღებოა იმით, რომ წარმოადგენს საშუალებას რაიმე პროფესიის შესასწავლად: „ხელის შრომას მოაქვს სარგებლობა, აძლევს გონებას სიბრძნეს, წრთვნის ნებისყოფას და ამტკიცებს სიკეთეს“(1. გვ. 196.). ამრიგად, ჯონ ბელერსის პედაგოგიკური შეხედულებები მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ მის მოსაზრებებში მნიშვნელოვანია აღზრდის განასაკუთრებული როლი პიროვნების ფორმირებაში, სწავლების საწარმოო შრომასთან დაკავშირება და პროტესტი სქოლასტიკური სწავლა - აღზრდის წინააღმდეგ.

როგორც ე. მედინსკი აღნიშნავს 100 წლის შემდეგ რობერტ ოუენმა ჯონ ბელერსის ბროშურა სხვენიდან ჩამოიღო, რადგან მას განსაკუთრებით იზიდავდა სწავლების საწარმოო შრომასთან დაკავშირების იდეა. ოუენმა გამოსცა ბელერსის ბროშურა ათას ცალად და დაიწყო მისი პროპაგანდა.

გერმანელმა პასტორმა და ქველმოქმედმა ჟან ფრედერიკ ობერლენმა(1740 -1826) თავის წინაშე დასვა ამოცანა, რომ გაეუმჯობესებინა, როგორც მატერიალური, ისე სულიერი მდგომარეობა თავის მრევლის. დაიწყო გზების მშენებლობა და ხიდების აღდგენა. თავის საქმია-

ნობით შეუქმნა მოტივაცია გლეხებს, რათა მხარი დაეჭირათ მისი საქმიანობისათვის. ის თავადაც არ თაკილობდა შრომას. ერთობლივ შრომით საქმიანობაში, გაჩნდა იდეა, რომ გაეუმჯობესებინათ ადგილობრივი სოფლის მეურნეობა. დაარსა სასოფლო სამეურნეო საზოგადოება და შექმნა ურთიერთდახმარების(კასა) ფონდი. აშენდა ახალი შენობები. დაარსდა მოძრავი ბიბლიოთეკა, ორგანიზაცია გაუკეთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას და დაწყებით სკოლას. პედაგოგიურ საქმიანობაში მას დახმარებას უწევდა მისი მეგობარი ლეგრანი ეკონომკა ლუიზა შეპლერი(1763-1837), რომელიც სათავეში ედგა მის მიერ შექმნილ საბავშვო სახლს.

მსოფლიოს მასშტაბით, პედაგოგები, რომლებიც დაკავებული იყვნენ სკოლამდელი აღზრდის პრობლემატიკით, ყოველთვის ეძებდნ თავიანთ საქმიანობაში განათლების და აღზრდის ახალ და უფრო სრულყოფილ მეთოდებს. სკოლამდელ აღზრდაში ბევრი ინტერნაციონალური მიმდინარეობა იყო თავმოყრილი: მაგ. ოუენს აინტერესებდა ობერლენის, ბელერსის და პესტალოცის ექსპერიმენტები. მის სკოლებს სტუმრობდნენ გერმანიიდან, იტალიიდან ავსტრალიიდან, უნგრეთიდან, შვეიცარიიდან, შვედეთიდან და ნიდერლანდებიდან, მაგრამ იდეების გადანერგვა ცვლის როგორც მის ფორმას, ასევე მის არსს, კერძოდ კულტურული ტრადიციები, პოლიტიკური სისტემები, და ა.შ. ეს არის არსებითი ფაქტორები რომლებიც განსაზღვრავენ ყველაზე სრულყოფილი პროგრამების შეთვისებას და გამოყენებას.

რობერტ ოუენი (1771–1858) მიეკუთვნება გამოჩენილ სოციალისტ–უტოპისტების რიცხვს. მან წარმატებით განახორციელა მუშათა ბავშვების საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის პირველი ცდა.

ოუენი იყო ნიუ–ლანარკის (შოტლანდია) ბამბის სართავი ფაბრიკის ჯერ მმართველი და შემდეგ მეპატრონეთაგანი. მან შეამცირა სამუშაო დღე 10.5 საათამდე (ნაცვლად 14–16 საათისა), აკრძალა სამუშაოზე ბავშვების მიღება 10 წლამდე, გაადიდა ხელფასი, ააგო ახალი სახლები, დიდ ყურადღებას აქცევდა ახალი ადამიანის ფორმრებას, რომელიც თავისუფალი იქნებოდა კაპიტალისტური წყობის მანკიერებისაგან. ამ მიზნით მან ნიუ–ლანარკში დააარსა „ხასიათის გამომუშავების ახალი ინსტიტუტი“, რომელშიც შედიოდა: ბავშვთა ბაგები –1–დან 3 წლამდე, „სკოლა პატარაბავშვებისათვის“ – 3–დან 5 წლამდე, დაწყებითი სკოლა ბავშვებისათვის –5–დან 10 წლამდე. „ახალ ინსტიტუტში“ ტარდებოდა მეცადინეობა მუშა ახალგაზრდობისათვისაც, ლექციები და კულტურული გართობანი მუშებისა და მათი ოჯახებისათვის (5. გვ.115.).

სკოლამდელთა დაწესებულებები ემსახურებოდა 300–მდე ბავშვს, მეცადინეობა ტარდებოდა სპეციალურად გამოყოფილ, ლამაზად გაფორმებულ შენობებსა და სათამაშოდ განკუთვნილ მოედანზე. ამ დაწესებულებათა ორგანიზაციას ორი მიზანი ჰქონდა, პირველი, დედა–მუშა ქალები თავისუფლდებოდნენ მუშაობის დროს შვილების მზრუნველობისაგან, მეორე, რ. ოუენი ისწრაფოდა, რაც შეიძლება ნაადრევად დაეცვა ბავშვები გარემოს ცუდი გავლენისაგან. დიდ ყურადღებას აქცევდა ბავშვებში აღეზარდა პატიოსნება, სამართლიანობა, ზრდილობა, აღეზარდა ისინი კოლექტივიზმის სულისკვეთებით. იმ მიზნით, რომ ბავშვებში განევითარებინათ კარგი მანერები და გემოვნება, აცმევდნენ კარგად, ლამაზ, ეროვნულ შოტ-

ლანდიურ კოსტიუმებს ან თავისუფალ კაბებს, რომლებიც ძველ რომაულ სამოსელს მოგაგონებდათ, ასწავლიდნენ ცეკვასა და სიმღერას.

ბავშვები დღის მეტ ნაწილს ჰაერზე თამაშში ატარებდნენ. თამაშობის დროს აღმზრდელები ბავშვების ყურადღებას გარემო ბუნებაზე დაკვირვებას აქცევდნენ, შენობაში კი მათთან ტარდებოდა ძალდაუტანებელი, ლაღი საუბარი. ეცნობოდნენ მოწყობილობის საგნებსა და მათ მნიშვნელობას, მეცადინეობის დროს ფართოდ იყენებდნენ თვალსაჩინოებას. დაწყებით სკოლაში შესვლამდე ბავშვებს არ ასწავლიდნენ კითხვას, რადგან რ. ოუენი წინააღმდეგი იყო ბავშვებისათვის ნაადრევად კითხვის დაწყებისა. ის თვლიდა, რომ ძალდაუტანებელი საუბრები, დაკვირვება ბუნებაზე, გაცნობა საგნებისა და რეალური ცხოვრებისეული მოვლენებისა უფრო ეფექტური საშუალებაა მათი განვითარებისათვის (5. გვ.116).

რ. ოუენი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პედაგოგთა შერჩევას, პედაგოგთა მთავარ ღირსებად თვლიდა არა განათლებულობას, არამედ ბავშვის სიყვარულს, სიკეთეს და პატიოსნებას.

სკოლამდელი აღზრდის სფეროში რ. ოუენის მოღვაწეობას მოწინავე საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა. ფ. ენგელსი წერდა: „ოუენმა მოიგონა და პირველად ნიუ–ლანარკში შემოიღო საბავშვო ბაღები. ორი წლის ასაკიდან ბავშვები მოჰყავდათ საბავშვო ბაღში, სადაც ისინი ისე კარგად ერთობოდნენ, რომ ძნელი ხდებოდა მათი შინ წაყვანა“ (5. გვ.116.).

როგორც პროფ. ნ. ვასაძის რედაქტორობით 2004 წელს გამოცემულ პედაგოგიკის ისტორიაშია აღნიშნული თავის „ ავტობიოგრაფიაში“ ოუენი იძლევა ერთგვარ შეჯამებას, თუ რა მიზნით შექმნა „მუშათა კლასის შვილების ხასიათის ფორმირების“ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები. რ. ოუენი 10 პუნქტს მიუთითებს:

1. ჩემს სკოლებში ვიცავდით პრინციპს - არასდროს არ ლანძღონ და არ დასჯონ ბავშვები;
2. სკოლებში მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის დანერგილი იყო ნამდვილი სიყვარული და ურთიერთნდობა;
3. სწავლების ძირითად პრინციპს წარმოადგენდა სინამდვილის, საგანთა თვისებების შესწავლის პრინციპები. ახსნა ხორციელდებოდა მარტივი საუბრის ფორმით. მოსწავლეებს ყოველთვის ეძლეოდათ შეკითხვის უფლება ახსნის ან დამატებითი ცოდნის მიღების მიზნით;
4. კითხვებზე მოსწავლეები პასუხობდნენ ხალისიანად და რაციონალურად. თუ მასწავლებელს არ ჰყოფნიდა ცოდნა დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მას დაუყონებლივ უნდა ეღიარებინა თავისი არცოდნა, რათა მოსწავლეებისათვის არ აებნია გზა-კვალი ცოდნის შეძენაში;
5. სკოლაში მკაცრად იყო დაცული გაკვეთილების ჩატარების განრიგი. მასწავლებლები ვალდებულნი იყვნენ დროულად შეენიშნათ შეეძლოთ თუ არა მოსწავლეებს გაკვეთილზე მეცადინეობის გაგრძელება, თუ დაიღალნენ, მაშინ მასწავლებელს უნდა შეეცვალა მეცადინეობის ფორმა;
6. სკოლაში ასწავლიდნენ სამხედრო საქმეს. ამით ბავშვებს აჩვევდნენ წესრიგს, დისციპლინას, სიზუსტის დაცვას. ამასთან დაკავშირებით ოუენი შენიშნავს, რომ ის თავის სკოლაში

სამხედრო საქმესთან ერთად ორივე სქესის მოსწავლეებს ასწავლიდა ცეკვებს და მუსიკას. მათი სწავლება ოუენს მაჩნდა მძლავრ საშუალებად კარგი, რაციონალური და ზნეკეთილი ხასიათის გამომუშავებისათვის.

7. როცა მოსწავლეებს გაუვლიდა დაღლილობა, მასწავლებლები დაუბრუნდებოდნენ საგაკვეთილო მეცადინეობას - გონებრივ მუშაობას;

8. სკოლაში მიღებული იყო გასეირნებები ბავშვებთან ერთად. მასწავლებლები ამ გასეირნებების დროს მუშათა კლასის შვილებს ასწავლიდნენ ბაღჩების, ბაღების, ველების, ტყეების, შინაური ცხოველების და ა. შ.სარგებლიანობას.

9. ახალი იყო ოუენის სკოლაში ის, რომ მუშათა კლასის შვილებს ასწავლიდნენ ფიქრს და რაციონალურ მოქმედებას, ცოდნის შეძენას, რაც საჭირო იყო მათთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე;

10. სკოლაში მუშათა ბავშვები ჰყავდათ უკეთეს პირობებში, ვიდრე სხვა სკოლებში, სხვა კლასის შვილები.

მრავალმხრივმა მოღვაწეობამ **რ. ოუენს** დიდი სახელი მოუხვეჭა. ნიუ–ლანარკში დადიოდნენ მეწარმეები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები. ოუენის სახელი ევროპაში ცნობილი გახდა. მან პირველმა დაასაბუთა და განახორციელა საზოგადოებრივი აღზრდის იდეა მათი ცხოვრების პირველი წლებიდანვე. ოუენმა პირველმა შექმნა მსოფლიოში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ღარიბთა ფენის შვილებისათვის.

საზოგადოებრივი აღზრდის მნიშვნელობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ცნობილი ფრანგი პედაგოგი **შარლ ფურიე (1772 – 1837).** მისი შეხედულებით აღზრდის მთავარი მიზანი არის ერთის მხრივ ადამიანში ინდუსტრიული ჩვევების და მისწრაფებების განვითარება, მეორეს მხრივ - საზოგადოებრივი გრძნობების განვითარება - განმტკიცება და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მუშაკების მომზადება. იგი წინააღმდეგია ოჯახური აღზრდის და ამტკიცებს საზოგადოებრივი აღზრდის უპირატესობას შრომით პირობებში, თანატოლთა შორის. ფურიე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებას და ცდილობს, რომ თავისი აღზრდის სისტემაში გამოიყენოს ბავშვობის ასაკის თავისებურებები. ფურიე იძლევა ბავშვობის ასაკობრივი პერიოდიზაციის დეტალურ დაყოფას ასაკობრივ ჯგუფებად. ბავშვებს ფურიე, როგორც პროფ. ე. მედინსკი წერს 3 წლამდე ყოფს სამ კატეგორიად: „1.დაბადებიდან ერთ წლამდე; 2. ერთი წლიდან ორ წლამდე და 3. ორი წლიდან სამ წლამდე. უფრო მოზრდილ ბავშვებს ის ყოფს რაზმებად: 1. 3-დან 4 ½ წლამდე; 2. 4 ½ -დან 6 ½ წლამდე; 3. 6 ½- დან 9 წლამდე და ა.შ. თითოეული შემდეგი რაზმის ასაკობრივ ფარგლებს ის ადიდებს 1/2 წლით და თითოეულ რაზმს აძლევს დამახასიათებელ სახელწოდებას“ (1. გვ. 330.).

ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფის გარდა ფურიე პატარა ბავშვებს ყოფდა ქვეჯგუფებად მათი ტემპერამენტის მიხედვით. ასე მაგალითად, ძუძუთა ბავშვები იყოფიან წყნარებად, მოუსვენრებად და ეშმაკუნებად.

ფურიეს სააღმზრდელო დაწესებულებაში თითოეულ ჯგუფს გამოეყოფა საგანგებო დარბაზი. ყოველ ჯგუფს ჰყავს თავის მომვლელი გადიები. გადიები განაწილებული არიან ბავშვთა ტემპერამენტისა და ხასიათის მიხედვით: უფრო ნაკლებად მომთმენი გადიები უვლიან

წყნარ ბავშვებს, უფრო მეტად მშვიდნი მოუსვენრებს და ეშმაკუნებს. გადიას მოვალეობა-ეს არის საზოგადოებრივი მოვალეობა. დედები მოდიან დანიშნულ საათებში, რათა ბავშვებს აწოვონ ძუძუ. დედის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ფურიეს გამოყოფილი ჰყავს დამატებითი ძიძები(ესეც საზოგადოებრივი მოვალეობაა) ტემპერამენტისა და ხასიათის მიხედვით. ბავშვები იმყოფებიან ექიმების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. ისინი გასამრჯელოს იღებენ არა ავადმყოფ ბავშვთა რიცხვის მიხედვით, არამედ ჯანმრთელ ბავშვთა რაოდენობის მიხედვით. ბავშვები, რომლებიც დამოუკიდებლად დადიან აუცილებლად დაჰყავთ სასეირნოდ.

შარლ ფურიე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბავშვთა ფიზიკურ და შრომით აღზრდას. სამი წლიდან დადიან ბავშვები სახელოსნოებში, სადაც პატარა ხელსაწყოების დახმარებით მუშაობენ მათი ამხანაგები. თითოეული ჯგუფის ბავშვებისათვის არსებობს ასაკისათვის დასაძლევი სამუშაოები და ასაკისათვის შესაფერი საწარმოო იარაღები.

ფურიე მიუთითებს ბავშვის ნაადრევი გონებრივი განვითარების მავნებლობაზე. მისთვის მიუღებელია 6 წლის ბავშვებიდან ნაადრევი მეცნიერების შექმნა.

ამრიგად **შარლ ფურიეს** პედაგოგიკურ შეხედულებებში ჩვენ ვხედავთ ბევრ მნიშვნელოვან აზრს. მათ შორის აღსანიშნავია: ბავშვთა თვისებებზე დაკვირვების უნარი, ბავშვის თავისებურებების გათვალისწინების მოთხოვნილება, ბავშვებისადმი დიდი ყურადღება, ბავშვის შემოქმედების განვითარების მოთხოვნა, შრომითი და ფიზიკური აღზრდის მოთხოვნილება და მინიშნება საზოგადოებრივი აღზრდის უპირატესობაზე.

XIX საუკუნის II ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში ევროპაში ფართოდ გავრცელდა გერმანელი პედაგოგის **ფრიდრიხ ფრებელის (1782–1852**) სკოლამდელი აღზრდის თეორია.

ფრებელს აღზრდა ესმოდა, როგორც ადამიანის თანდაყოლილი ოთხი ინსტინქტის განვითარება. ესენია: გარჯითი, შემეცნებითი, მხატვრული და რელიგიური საწყისები. მისი აზრით, აღზრდის მიზანია – გამოამჟღავნოს ბავშვში ჩასახული ღვთაებრივი საწყისი, რომელიც ახასიათებს ყველა ადამიანს; სწორედ ფრებელის ასეთმა მსჯელობამ მისცა საფუძველი ბუნებრივი საზრიანობის პრინციპს. მას მიაჩნდა, რომ აღზრდა არაფერს უმატებდა იმას, რაც მოცემულია ბუნებისაგან, მხოლოდ ავითარებს ბავშვში ბუნების მიერ მოცემულ თვისებებს.

ამასთან ერთად. ფ. ფრებელი პროპაგანდას უწევდა საყურადღებო აზრებს, ადამიანისა და ბუნების დაუსრულებელი განვითარების შესახებ მთელი ცხოვრების მანძილზე. იგი სკოლამდელ აღზრდას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. თამაშს თვლიდა განვითარების ძირითად საშუალებად, გვიჩვენებდა მის დიდ როლს ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჩამოყალიბებაში. გამოდიოდა ბავშვის ბუნებრივი თავისებურებებიდან. ფრებელი თვლიდა, რომ ბავშვის საქმიანობისა და სხვა ბავშვებთან ურთიერთობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია აღვზარდოთ იგი თანატოლების გარემოში. მან მოგვცა ღრმა პედაგოგიური დასაბუთება ამ იდეებისა და ბევრი გააკეთა მისი პოპულარიზაციისა და ფართოდ გავრცელებისათვის.

ფრებელმა შემოიღო ტერმინი **„საბავშვო ბაღი“,** რამაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა მთელ მსოფლიოში. სკოლამდელი დაწესებულებების ამ სახელწოდებაში და აგრეთვე იმაში, რომ აღმზრდელს ფრებელი უწოდებდა „მებაღეებს“, ნათლად გამოსჭვივოდა მისი სიყვარუ-

ლი ბავშვებისადმი; იგი მოუწოდებდა პედაგოგებს დახმარებოდნენ ბავშვს მომწიფებასა და განვითარებაში; მაღალ შეფასებას და მნიშვნელობას აძლევდა პედაგოგის მიზანმიმართულ ზეგავლენას.

ფრებელმა საფუძველი დაუდო დიდაქტიკური თამაშების სისტემის საწყისებს და მრავალმხრივ საქმიანობას, შეიმუშავა მათი განხორციელების მეთოდური მითითებანი. მან მნიშვნელოვნად გაამდიდრა სკოლამდელი აღზრდის პრაქტიკა, დაამუშავა ბავშვებთან მუშაობის მრავალფეროვანი ხერხი ასაკის გათვალისწინებით.ფრებელმა დეტალურად გვიჩვენა ბავშვთა ადრეული და სკოლამდელი ასაკის მეტყველების ფორმირების ეტაპები, მან წამოაყენა მოთხოვნა, რომ საგნის გაცნობას წინ უნდა უძღოდეს მისი დასახელება. ფრებელის წამოყენებულ მოსაზრებებში მრავალი უმნიშვნელოვანესი აზრია ბავშვებთან სხვადასხვა მასალაზე მუშაობის შესახებ (ჩხირი, მძივები, თივა, ქაღალდი) (5. გვ.118.).

ფრებელის იდეები ფართოდ გავრცელდა. მიუხედავად ამისა, პროგრესულმა პედაგოგებმა იგი მკაცრად გააკრიტიკეს ბავშვების საქმიანობის ზედმიწევნით მკაცრი რეგლამენტაციისათვის, ვარჯიშისა და მეცადინეობის გართულებისათვის. ბავშვის ბუნების მისტიკური განმარტებისათვის. ფრებელის მნიშვნელობა პედაგოგიკის ისტორიაში განისაზღვრება იმით, რომ მან სკოლამდელი პედაროგიკა გამოყო სხვა მეცნიერებებიდან, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი. მან პირველმა შექმნა სკოლამდელთა დაწესებულებების მუშაობის თეორია და ბევრი გააკეთა სკოლამდელი აღზრდის იდეის პროპაგანდისა და საბავშვო ბაღების ფართოდ გავრცელებისათვის.

ფრებელის სისტემის თამაშის მეთოდის უარყოფამ გამოიწვია ორი კონკრეტული თეორიის წარმოქმნა. ერთის მიხედვით, ითვლებოდა, რომ გამეორება ადრეულ ასაკში მანამ, სანამ არ არის დაწყებული დაზეპირება ნაყოფიერია. მეორეს მიხედვით საჭიროა ბავშვი განვავითაროდ ისეთი ძალებით, რომ მან შეძლოს არსებული სტერეოტიპების დამსხვრევა და წინსვლა.

საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის იდეის განვითარებაში განსაკუთრებით გამოირჩევა იტალიელი ექიმი–ფსიქიატრი და პედაგოგი **მარია მონტესორი (1870–1952**). მის მიერ დაარსებულ საბავშვო სახლებში ჩაბმული იყვნენ სკოლამდელი ასაკის ბავშვები, ხორციელდებოდა აღზრდის თავისებური სისტემა. აღმზრდელისაგან მოითხოვდნენ ჩაურევლობას, მათ მხოლოდ შესაფერისი პირობები უნდა შეექმნათ თვითაღზრდისათვის, მაგრამ ამასთანავე აღმზრდელის გავლენა უდავოდ უნდა შეენარჩუნებინათ. უპირველეს ყოვლისა, ბავშვები იზრდებოდნენ ნათლად გამოხატული რელიგიური სულისკვეთებით, რაც განაპირობებდა ბავშვის ზნეობრივ ფორმირებას, მიმართავდნენ სპეციალურ ვარჯიშს მორჩილების გამოსამუშავებლად. უარყოფდნენ ბავშვთა მოქმედების კოლექტიურ ფორმას; ცალკეულ ბავშვთან მეცადინეობა ტარდებოდა ისეთი მეთოდით, რომ მასში გამომუშავებულიყო მკვეთრი ინდივიდუალისტური თვისებები.

მ. მონტესორიმ გონებრივი აღზრდა არსებითად შეცვალა მგრძნობელობითი ორგანოების აღზრდით, რისთვისაც მან შეიმუშავა შესაფერისი დიდაქტიკური მასალა. მეცადინეობას საფუძვლად დაედო მასალები და სავარჯიშოები, რომლებიც აღებული იყო გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვების პრაქტიკული სამუშაოდან. ვარჯიშის სისტემა მიმართული იყო ბავ-

შვებში გარკვეული უნარისა და ჩვევების გამომუშავებისაკენ: განესხვავებინათ საგნები ფორმის, წონის და ფერის მიხედვით. გაერჩიათ სხვადასხვაგვარი ხმა და სუნი. ცალ–ცალკე ეს საინტერესო სავარჯიშოები გამოიყენებოდა მეტად პედანტურად და ზედმეტი დეტალიზაციით, რაც პიროვნების ფართო განვითარების ნაცვლად მთავრდებოდა სხვადასხვა გრძნობების წვრთნით. თამაშისა და ფანტაზიის ყოველგვარი ელემენტს მოკლებული ეს ვარჯიშები, იქცეოდა მექანიკურ, მოსაწყენ შრომად და უარყოფითად მოქმედებდა ბავშვის განვითარებაზე (5. გვ.119.).

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ინგლისსა და შოტლანდიაში დიდი გავრცელება მიიღო საბავშო სკოლებმა(საბავშვო ბაღებმა) ბავშვებისათვის 3-დან 5 წლამდე. ამ სკოლებში ბავშვები იღებდნენ ფიზიკურ აღზრდას, უვითარდებოდათ გარე გრძნობათა ორგანოები, მეტყველება, ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ანგარიშს. ინგლისში ეს იყო გამოწვეული ომით. ამ ომის დროს ცხადი გახდა, რომ ჯარისკაცებს ჰქონდათ ცუდი ფიზიკური აღზრდა, იმიტომ რომ ისინი სკოლაში სწავლობდნენ უფროსი საკის ბავშვებთან ერთად. შედეგად ძალისხმევა იყო მიმართული იმაზე, რომ გაეძლიერებინათ ოჯახური აღზრდა, მოსახლეობის მასაში მოეხდინათ ჰიგიენის საკითხების პროპაგანდა.

ამერიკაში საბავშვო ბაღების ქარიშხლისებური ზრდა დაიწყო 1860 წელს, ეს განპირობებული იყო: ქალთა მოძრაობის აღმავლობით, ახალი ადამიანების აღზრდით, სათამაშოების ინდუსტრიის ზრდით და ემიგრანტ ბავშვებში პრევენციული ჩარევის აუცილებლობით. მათი მიზანი იყო ემიგრანტი ბავშვები გადაექციათ ამერიკის სრულფასოვან მოქალაქეებად. დროთა განმავლობაში ფრებელის მოწინავე იდეებიც დაიკარგა, დარჩა მხოლოდ ადრეული აღზრდის იდეები.

ამერიკაში პედაგოგიკის განვითარება უკავშირდება ჰოლის საქმიანობას, რომლის იდეები 1895 წელს გავრცელდა. კერძოთ მან ექსპერიმენტების გზით დაადგინა, რა იციან და რა არ იციან 4-8 წლის ბავშვებმა. მან შეაგროვა და დაამუშავა 10 000 ბავშვის ანკეტა სხვადასხვა ცხოვრებისეული ასპექტის მიხედვით და შექმნა ,, რეკაპიტულაციის'' საკუთარი იდეა. შემლო განვითარების შემთხვევების შეჯამება. ინტუიციური მიხვედრილობის მაგივრად გაჩ-

ნდა რწმენა მეცნიერულად დასაბუთებული შედეგებისა. ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ სამეცნიერო თეორიები. ბავშვის ნორმალური განვითარების მსვლელობის გააზრებამ მისცათ საშუალება მოეხდინთ ბავშვთა აღზრდის კორექტირება, რომელიც გადახრილი იყო ნორმისგან. 1897 წლის შემდეგ დედების საერთაშორისო კონგრესზე, რომელზე განხილული იყო ბავშვთა საკითხები და პრობლემები, წარმოშვა დისკუსიები, რა უფრო აუცილებელია ბავშვისთვის ქსოვა, თუ ჭრის გაკვეთილები (ფრეზელი), თუ თავისუფალი თამაში (ჰოლი), თუ ნივთების შექმნა (დიუი).

1899 წელს გამოვიდა დიუის წიგნი „სკოლა და საზოგადოება," სადაც მან აჩვენა, რომ ფსიქოლოგია და პედაგოგიკა უნდა იყოს მიმართული რეალური პრობლემების გადაჭრისკენ და იგი უნდა გახდეს ახალი თაობის პედაგოგების დასაყრდენი. დიუიმ ხაზი გაუსვა სკოლაში საზოგადოების მინიატურული მოდელის წარმოქმნის აუცილებლობას, რომელიც გადაჭრიდა როგორც საერთო პრობლემებს ასევე კონკრეტული კლასის მოსწავლის, ან საბავშვო ბაღის აღსაზრდელების ტიპიურ პრობლემებს. ბავშვებმა უნდა ისწავლონ თავიანთი სურვილებით და ნებაყოფლობა, რათა ბუნებრივი გზით ითანამშრომლონ გარშემომყოფებთან, ამასთან მოსწავლეც და მასწავლებელიც თანაბრად უნდა მონაწილეობენ სასწავლო პროცესში. არ არის განზოგადებული ბავშვი, არის უნარები, ინტერესები და შესაძლებლობები, რომლებსაც ყველა სხვდასხვაგვარად გამოხატავს და ეს ყველაფერი დამოკიდებულია სოციალურ კონტექსტზე. დიუის ეკუთვნის ლოზუნგი - „ვისწავლოთ კეთებით" ფაქტობრივად ეს იყო მცდელობა, რომ მიეღოთ საუკეთესო შედეგი ბავშვებთან და შობლებთან ერთად გაწეული შრომიდან.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ზეგავლენა სწავლის პრაქტიკაზე მოახდინა ე.ლ. თორნდაიკმა (1874-1949 წწ.), რომელიც იყო წიგნის ავტორი „პედაგოგიური ფსიქოლოგია".ის მივიდა დასკვნამდე, რომ სასწავლო შედეგებზე ზეგავლენას ახდენს ერთმანეთთან დაკავშირებული მრავალი ფაქტორი. თორნდაიკმა შეადგინა თავისი თეორია მის მიერ კონტროლირებადი ლაბოროტორიული კვლევების საფუძველზე. ის თვლიდა, რომ ამოცანების ამოხსნა მოითხოვს არა მხოლოდ აზროვნებას, არამედ საჭიროა გამოცდილება და ვარჯიში.

განათლების დარგში კვლევებზე არსებითი მნიშვნელობა მოახდინეს ბიულერის, ფროიდის, პიაჟეს და აიზეკის წიგნებმა. ეს წიგნები ძირითდად აღწერილობითი ხასიათის იყო. პოპულარობით სარგებლობდა ბიჰევიორიზმი. ა. გეზელი იყო მათ შორის ვინც იყენებდა კვლევებში ახალ მეთოდებს: ერთი მხრივ გამჭირვალე სარკე, ფოტო გადაღება, დაკვირვება განსაზღვრულ მოკლე მონაკვეთებში, სტატისტიკა .

ჩვილი ბავშვების ექსპერიმენტალურ დაწესებულებებში (ბაგა-ბაღებში) გამოიყენებოდა შედეგების ანალიზი, რომელიც ეფეძვნებოდა სასწავლო პროცესის შემადგენლობის ცვალებადობას: ხდებოდა ამღზრდელების ქცევის ვარირება, ასევე ჯგუფის წევრების რაოდენობის და შემადგენლობის ცვლილება. დიდი ყურადღება ექცეოდა კოლექტიურ სკოლამდელ განათლებას, დადებითი ზეგავლენის აღმოჩენას ბავშვის პიროვნულ მხარეებზე, კერძოთ, კი ინტელექტის განვითარებას. უარყოფითად კი იყო აღიარებული დედის დაუფიქრებელი ზრუნვის შედეგები.

საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის განვითარება რუსეთში იყწება პეტრე I დროს. კერძოდ უპატრონო ბავშვებზე ზრუნვა სახელმწიფოებრივ ხასიათს იღებს.

1706 წ. გაიხსნა პირველი **„სახლი მიტოვებული ბავშვებისათვის“** ან კიდევ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „სახლი სამარცხვინოდ გაჩენილი ბავშვებისათვის“, **პეტრე I** ბრძანებულებით ზოგიერთ მონასტერში გაიხსნა თავისებური სააღმზრდელო სახლები. XVII საუკუნის II ნახევარში პეტერბურგსა და მოსკოვში ყალიბდება სახელმწიფო თავშესაფრები მიტოვებული და უპატრონო ბავშვებისათვის. 1763 წ. მოსკოვში იხსნება სააღმზრდელო სახლი, რომელთა ფილიალები მოგვიანებით გაიხსნა მთელ რიგ სხვა ქალაქებშიც (5. გვ. 120.).

თავშესაფრებსა და სააღმზრედლო სახლებში უაღრესად დიდი სიკვდილიანობა იყო, განსაკუთრებით ძუძუმწოვართა შორის.

სიკვდილიანობის მიზეზს სააღმზრდელო სახლებში, თავშესაფრებში – განმარტავს პედიატრიაში გამოყენებული ტერმინი –„ჰოსპიტალიზმი“. იგი მოიცავს კომპლექსს იმ მავნე მოვლენებისას, რომლებსაც ეწირებოდნენ ბავშვები, დახურულ, როგორც სამკურნალო, ისე სამზრუნველო დაწესებულებებში, იღუპებოდნენ უპირატესად ინფექციური ავადმყოფობით, კუჭ–ნაწლავის აშლილობით, რაც გამოწვეული იყო არასრულფასოვანი ხელოვნური კვებით, ბავშვთა სიმრავლით, ცუდი ჰიგიენური პირობებით, გადარჩენილები ფიზიკურად ცუდად ვითარდებოდნენ: ჩამორჩებოდნენ სიმაღლესა და წონაში, გამოირჩეოდნენ მძიმე ავადმყოფობის მიმართ დაქვეითებული იმუნიტეტით (5. გვ. 120.).

მცირე ეფექტიანი აღმოჩნდა **პატრონობის სისტემა,** ე.ი. ბავშვების გადაცემა ოჯახში აღსაზრდელად, რომელთაც სახელმწიფო მცირე დახმარებას უწევდა. მოსკოვის სააღმზრდელო სახლის მონაცემებით 1772 წლიდან 15 წლის მანძილზე საპატრონოდ გაცემული იყო 9 ათასზე მეტი ბავშვი. ვადის დამთავრების შემდეგ ცოცხალი გადარჩა მხოლოდ ერთი ათასი (5. გვ.121.).

რუსული სკოლამდელი პედაგოგიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ **ი.ი. ბეცკოიმ (1704–1795)**. პირველად რუსეთში მისი პროექტით გაიხსნა **სააღმზრდელო სახლები** და შეიქმნა მათთვის საგანგებო სახელმძღვანელოები.

დიდად საინტერესო **იყო ნ. ი. ნოვიკოვის (1744–1818) „ბავშვების აღზრდისა და დარიგების ტრაქტატი“,** რომელშიც ღრმად იყო გაშუქებული გონებრივი და ზნეობრივი აღზრდისა და ემოციური განვითარების საკითხები (5. გვ.122.).

რუსეთში სკოლამდელი აღზრდის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიდმა რუსმა პედაგოგმა **კონსტანტინე დიმიტრის ძე უშინსკიმ (1824–1870).** ცნობილ შრომაში „ადამიანი, როგორც აღზრდის საგანი“ კ.დ. უშინსკიმ წინ წამოწია და დაასაბუთა მნიშვნელოვანი დებულება ყოველი ბავშვის ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინების საჭიროების აუცილებლობის შესახებ. „თუ პედაგოგიკას, – წერდა ის, – უნდა ადამიანი ყოველმხრივ აღზარდოს, მაშინ მან ჯერ იგი უნდა შეიცნოს ყოველმხრივ“.

შექმნა რა მეცნიერულ–ფსიქოლოგიური მონაცემების საფუძველზე ბავშვთა თამაშის თეორია, კ.დ. უშინსკიმ დაგვანახა მისი აღმზრდელობით–საგანმანათლებლო მნიშვნელობა. იგი თვლიდა, რომ ბავშვის ფსიქიკურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს წარმოდგენა, რომლის

მთლიანი რეალიზება ხდება თამაშის დროს. „თამაშობაში ბავშვი, –წერდა იგი, –უკვე მომწიფებული ადამიანია. იგი თავის ძალებს სინჯავს და დამოუკიდებლად განაგებს თავისავე შექმნილს“. მან გვიჩვენა როგორ ზეგავლენას ახდენს ხასიათსა და თამაშის შინაარსზე სოციალური გარემო და ბავშვის ასაკი, როგორ შეიცნობა თამაშში ძირითადი საზოგადოებრივი ურთიერთობანი. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხურ თამაშობებს. მასში იგი ძლიერ აღმზრდელობით საშუალებას ხედავდა. კ. დ. უშინსკის აზრები ბავშვთა თამაშობაზე მნიშვნელოვანი განძია მსოფლიო და რუსულ სკოლამდელ პედაგოგიკაში (5. გვ.123.).

კ.დ. უშინსკი სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღზრდის საქმეში დიდ ადგილს უთმობდა ბუნების გაცნობას, ესთეთიკურ და ზნეობრივ აღზრდას. იგი თვლიდა, რომ მხოლოდ ზნეობრივი აღზრდა აქცევს ბავშვს ადამიანად. უშინსკი გონებრივი აღზრდის აუცილებელ დასაყრდენად აღიარებდა თვალსაჩინოებას და მის კავშირს კონკრეტულობასა და ხატოვნებასთან. მისი შეხედულებით, ბავშვებისათვის განკუთვნილი ნაწარმოები უნდა გამოირჩეოდეს თხრობის სიმარტივით, აზრის სისხარტითა და მაღალი მხატვრული ღირსებით. ამ მოთხოვნილებებს მთლიანად შეესაბამებოდა მისი საკუთარი ნაწარმოებები; მის მიერ დაწერილ მრავალ მოთხრობას, წიგნიდან „მშობლიური სიტყვა“, ახლაც იყენებენ საკითხავად და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის საამბობლად.

კ.დ. უშინსკი, მიუხედავად იმისა, რომ მაღალ შეფასებას აძლევდა საზოგადოებრივ აღზრდას, უფრო ბუნებრივ გარემოდ სკოლამდელის აღზრდისათვის მაინც ოჯახს თვლიდა, ამასთან დაკავშირებით განსაზღვრავდა ბავშვის ოჯახური აღზრდის ამოცანებს, მშობლების უფლებას და ვალდებულებას. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დედის როლს.

პირველი საბავშვო ბაღები რუსეთში გამოჩნდა XIX საუკუნის 60–იან წლებში კერძო პირთა, ქველმოქმედთა, ფილანტროპიული საზოგადოებისა და ზოგიერთი მოწინავე ერობის ინიციატივით. ეს ბაღები მცირერიცხოვანი იყო და იშვიათი გამონაკლისის გარდა, ფასიანი. სახელმწიფო არ მონაწილეობდა მის ორგანიზაციაში. კერძო საბავშვო ბაღებში გადასახადი დიდი იყო, ბავშვის იქ ყოფნის დრო ოთხი საათით განისაზღვრებოდა, ამიტომ მათი მომსახურებით სარგებლობა შეეძლო მხოლოდ შეძლებულ მშობლებს. აღმზრდელობითი მუშაობის მიმართულება და აღმზრდელ პერსონალთა შერჩევა მთლიანად დამოკიდებული იყო მათზე, ვინც საბავშვო ბაღებს ინახავდა.

პირველი უფასო, ე.წ. სახალხო საბავშვო ბაღები დაბალი ფენის მოსახელობის ბავშვებისათვის გაიხსნა 1866 წელს პეტერბურში, საქველმოქმედო „იაფფასიანი ბინების“ საზოგადოებასთან. მეცადინეობა იქ, ისევე როგორც სხვა სკოლამდელ დაწესებულებაში, ფრებელის სისტემით ტარდებოდა.

გამოჩნდა რამდენიმე საბავშვო ბაღიც, სადაც ძირითადში ცნობილი რუსი მეცნიერებისა და პედაგოგების იდეებზე დაყრდნობით ტარდებოდა ახალი გზების ძიება სკოლამდელი აღზრდისათვის. მაგ., XIX საუკუნის 60–იან წლებში პეტერბურგში დიდი ექსპერიმენტული მუშაობა ტარდებოდა ცოლ–ქმარ ი.მ. და ა.ს. სიმონოვიჩების საბავშვო ბაღში.

სკოლამდელი აღზრდა რუსეთში არსებობდა და ვითარდებოდა პედაგოგების ენთუზიაზმის წყალობით, რომელთა შორის საჭიროა გამოიყოს ა.ს. სიმონოვიჩი, ე.ნ. ვოდოვოზოვა, ლ. კ. შლეგერი, ე.ი. ტიხეევა.

საზოგადოებრივ–პოლიტიკური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე **ადელაიდა სიმონის ასული სიმონოვიჩი (1840–1933)** წინასწარ გაეცნო საბავშვო ბაღების მუშაობას შვეიცარიაში. 1866 წ. პეტერბურგში მეუღლესთან ერთად გახსნა ინტელიგენციის ბავშვებისათვის ფასიანი საბავშვო ბაღი და პირველად რუსეთში დაიწყო ჟურნალის **„საბავშვო ბაღი“** გამოცემა. შეისწავლა ბავშვების თვისებები, დარწმუნდა ფრებელის სისტემით სწორი აღზრდის შეუძლებლობაში და მიმართა კ.დ. უშინსკის მიერ შემოთავაზებულ ხალხური აღზრდის იდეას.

ა.ს. სიმონოვიჩი თვლიდა, რომ 3 წლამდე ბავშვმა აღზრდა უნდა მიიღოს ოჯახში, დედის აქტიური მონაწილეობით, 3–დან 8 წლამდე ოჯახს უნდა დაეხმაროს საბავშვო ბაღი.

იხილავდა რა საბავშვო ბაღს, როგორც ოჯახისა და სკოლის „დამაკავშირებელ რგოლს“, მას აუცილებლად მიაჩნდა ბავშვების მომზადება სკოლაში სწავლისათვის, მისი აზრით, საბავშვო ბაღში მეცადინეობას თამაშის ხასიათი უნდა ჰქონდეს. მას სკოლამდელი აღზრდის უფროს ასაკში საჭიროდ მიაჩნია სკოლისათვის უფრო სისტემატური მომზადების შემოღება სპეციალურ ელემენტარულ კლასში. ბავშვი განაგრძობს თამაშს, ამასთანავე ეჩვევა მუყაითობას, ეცნობა ანბანს, წერას და ანგარიშს. კლასში მეცადინეობა ისე უნდა აიგოს, რომ ბავშვებში ყალიბდებოდეს ხალისიანი წინასწარი განწყობა გაკვეთილებისადმი.

ა.ს. სიმონოვიჩის აზრით, მუშაობის წარმატება საბავშვო ბაღებში ბევრად არის დამოკიდებული აღმზრდელის პიროვნებაზე. მისი შეხედულებით „ბავშვთა მებაღე“ უნდა იყოს განათლებული, ენერგიული, მხნე, მხიარული, მკაცრი, მაგრამ არა გულღვარძლიანი, მომთხოვნი, მაგრამ არა შარიანი, მან უნდა იცოდეს ბავშვის ბუნება. ა.ს. სიმონოვიჩის აზრით, მებაღის გონებრივ და ზნეობრივ განვითარების დონეზეა დამოკიდებული საბავშვო ბაღის შინაარსი და მიმართულება (5. გვ.125.).

ჩამოაყალიბა რა ბავშვებთან თამაშისა და მეცადინეობის გარკვეული სისტემა 5–7 წლის ბავშვებისათვის მთელი კვირის განრიგით ა.ს. სიმონოვიჩს მაინც მიაჩნდა შესაძლებლად ახალი, გაუთვალისწინებელი სიტუაციის, ან აღსაზრდელის განწყობებთან დაკავშირებით ზოგიერთ დათმობაზე წასვლა. იგი უკმაყოფილი იყო თამაშისა და მეცადინეობის ჩატარების ფრებელისეული მეთოდიკით. მან გამოიმუშავა საკუთარი სანიმუშო მეთოდები, მშობლიური ენის მოძრავი თამაშობები, ვარჯიში, თხრობა, ხატვა და გამოფენა, კონსტრუქტირება, გამოჭრა, დაწვნა და მუშაობის სხვა სახეები. იგი აუცილებლად თვლიდა ბავშვების მიზიდვას ზოგიერთი მოვალეობის შესასრულებლად (მაგ., მორიგეობის), ურთიერთდახმარებისა და ამხანაგობის შეჩვევას, სურვილების შეკავებას.

ელიზავეტა ნიკოლოზის ასული ვოდოვოზოვა (1844–1923) შრომაში „გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა ბავშვის ცნობიერების გაჩენის დღიდან სასკოლო ასაკამდე“ განიხილავდა და აკრიტიკებდა ფრებელის სისტემას, აღნუსხავდა მის ნაკლოვანებებს. მან მშობლებს და საბავშვო ბაღების მუშაკებს შესთავაზა თავისი ორიგინალური მეთოდიკა თამაშობისა და მეცადინეობის ჩასატარებლად საბავშვო ბაღებში.

თავის პედაგოგიურ სისტემაში ვოდოვოზოვა თამაშობათა შერჩევას და მეცადინეობის დაგეგმვას ისე ახორციელებდა, რომ ბავშვების ცხოვრება საინტერესო და შინაარსიანი ყოფილიყო, ყველაფერს აგებდა რუსული ტრადიციის სულისკვეთებით, აღვივებდა და აკმაყოფილებდა ბავშვების ინტერესს გარემოსადმი. ამავე მიზანს ემსახურებოდა მისი პროგრამით რე-

კომენდებული გასეირნების განრიგი, ექსკურსიების და დაკვირვებები, შემოქმედებითი მუშაობა, ფიზიკური ვარჯიში, მოძრავი ხალხური თამაშობანი, ბავშვებისათვის დასაძლევი შრომა და ა.შ. ყველა სამუშაო თანდათანობითი გართულების პრინციპს ექვემდებარებოდა (5. გვ.126-127.).

ვოდოვოზოვას პროგრამებში დიდი ადგილი ეთმობოდა გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას, როგორც გონებრივი განვითარების საშუალებას. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ბუნების გაცნობას, მის შინაარს უკავშირებდა გარემო ცხოვრებას, შრომისა და ხალხის ყოფაცხოვრებას. ზნეობრივი აღზრდის რეკომენდაცია მიმართული იყო ბავშვებში შრომისმოყვარეობის, სურვილების მართვის უნარის ჩამოყალიბებისაკენ.

ელიზავეტა ვოდოვოზოვას სოციალური და პედაგოგიური შეხედულებანი თავისი დროისათვის პროგრესული იყო, მისი შრომა „ბავშვების გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა“ ერთ–ერთ ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენდა საბავშვო ბაღების აღმზრდელებისათვის რუსეთში (5. გვ. 127.).

ლუიზა კარლოს ასული შლეგერის (1863–1942) პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო 1882 წელს. 1905 წელს იგი გახდა აქტიური მონაწილე საზოგადოებებისა –„სეტლემენტი“ და „ბავშვთა შრომა და დასვენება“, რომლებიც ატარებდნენ აღმზრდელობით ღონისძიებებს მოსკოვის ღარიბი ბავშვებისათვის. მოსკოვის რაიონის მუშათა ერთ–ერთ გარეუბანში გაიხსნა საბავშვო ბაღი, სადაც შლეგერი და საზოგადოების სხვა წევრები უსასყიდლოდ მუშაობდნენ. მათ გადახედეს ფრებელის დიდაქტიკურ მასალებს. აღმზრდელობითი მუშაობის საფუძვლად გაიხადეს ეგრეთ წოდებული ბავშვების ცხოვრების გეგმა, რომელშიაც უპირატესობა მისცეს თავისუფალი აღზრდის იმ დროს გავრცელებულ თეორიას, ბავშვებს მისცეს სრული თავისუფლება თამაშსა და მეცადინეობაში. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იძულებული გახდნენ დაეწესებინათ ბავშვებზე ორგანიზებული ზემოქმედება. ამასთანავე შეიტანეს მეცადინეობაში ეგრეთ წოდებული შეთავაზებული და სავალდებულო მეცადინეობები აღმზრდელის გეგმით.

შლეგერის მთელი რიგი შრომები „მასალა პატარა ბავშვებთან საუბრისათვის“, „პრაქტიკული მუშაობა საბავშვო ბაღებში“ და სხვ. მოიცავდა მნიშვნელოვან რჩევებს სკოლამდელთათვის საუბრების მოწყობის ორგანიზაციის მეთოდიკაში, ბავშვების გაცნობა–შესასწავლად, ინდივიდუალური მუშაობისათვის, სპეციალური ვარჯიშების გამოსაყენებლად მგრძნობელობის ორგანოების განვითარებისათვის (5. გვ.127-128.). მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სკოლამდელი აღზრდის თეორიაზე. საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც იგი აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა სკოლამდელი აღზრდის თეორიულ და პრაქტიკულ განვითარებაში.

ელიზავეტა ივანეს ასული ტიხეევა (1867–1943) 1907 წელს დაინტერესდა სკოლამდელი აღზრდის პრობლემებით. 1913–1917 წლებში ხელმძღვანელობდა პეტერბურგის სკოლამდელი აღზრდის დამხმარე საზოგადოებას და მის სასკოლო კომისიას. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბავშვების სკოლისათვის მომზადებას. თავის შრომებში „მშობლიური ენა და მისი განვითარების გზები“, „საბავშვო სახლი, მისი მნიშვნელობა და მოწყობილობა“, „საბავშვო სახლები რომში, მათი თეორია და პრაქტიკა“ და სხვ. იგი ავითარებდა სკოლამდელი აღზრდის საკუთარ თეორიას. ტიხეევა თვლიდა, რომ საბავშვო ბაღის ატმოსფერო უნდა იყოს

მხიარული, ეს კი შესაძლებელია თამაშობათა ფართო გამოყენებით, ცოცხალი სიტყვითა და მუშაობის კოლექტიური ფორმების დანერგვით (5. გვ. 128.).

თავისუფალი აღზრდის თეორიის მომხრეების საწინააღმდეგოდ, იგი ადასტურებდა, რომ წამყვანი როლი ბავშვის განვითარებაში განეკუთვნება ორგანიზებულ მეცადინეობას შესაბამისი გეგმით. ტიხეევა აღმზრდელის პიროვნებას მაღალ მოთხოვნებს უყენებდა. ის თვლიდა, რომ აღსაზრდელებს საბავშვო ბაღში უნდა ჰქონდეს თავისი ნაკვეთი, ბაღი ან ეზო. მის მიერ შექმნილმა დიდაქტიკურ მასალათა სისტემამ დიდი წვლილი შეიტანა ბავშვების მგრძნობელობითი ორგანოების განვითარებაში, აგრეთვე მეტყველების განვითარების მეთოდიკის დამუშავებაში.

იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სკოლამდელი აღზრდის საბჭოთა სისტემის შემუშავებაში.

საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის განვითარება საქართველოში იწყება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. მანამდე ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში სკოლამდელი ასაკის ბავშვის ოჯახში აღზრდას აქცევდნენ მთავარ ყურადღებას.

საბავშვო ბაღების წარმოშობას საქართველოში, ისე როგორც რუსეთშიც წინ უსწრებდა უპატრონო ბავშვების თავშესაფრის შექმნა.

1827 წელს თბილისის სამხედრო გუბერნატორმა სიპიაგინმა სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს გაეხსნა თბილისში „სააღმზრდელო სახლი, რომელიც პირველ ყოვლისა, განკუთვნილი უნდა ყოფილიყო „უბედურ“(ანუ „უკანონოდ“ და დედ-მამის მიერ მიტოვებულ) ახალშობილთათვის“ (Акты, № 7, გვ. 2). მაგრამ ეს განზრახვა სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი.

სკოლამდელი აღზრდის პირველი დაწესებულება თბილისში გაიხსნა 1859 წელს. კერძოდ გაიხსნა მცირეწლოვან ბავშვთა თავშესაფარი, სადაც იღებდნენ სხვადასხვა წარმოებაში მომუშავე მშობელთა ბავშვებს 3-დან 10 წლის ასაკამდე. ბავშვები გაყოფილი იყო ორ ჯგუფად. პირველს შეადგენდნენ 3-7 წლის ასაკის ბავშვები, მეორეს კი 8-10 წლისა. აქედან გამომდინარე, პირველი ჯგუფი შეადგენდა სკოლამდელთა ჯგუფს შესაფერისი პროგრამით და მუშაობის მეთოდებით.

სკოლამდელი აღზრდის შემდეგი დაწესებულება საქართველოში გაიხსნა 1865 წელს. ის ეკუთვნოდა თბილისის საქველმოქმედო საზოგადოებას და განკუთვნილი იყო ბავშვებისათვის ექვსი კვირის ასაკიდან 6 წლის ასაკამდე. ამ დაწესებულებასაც „თავშესაფარი“ ეწოდებოდა. იღებდნენ „უპირატესად იმ ღარიბ მშობელთა შვილებს, რომლებიც თავს ირჩენენ დღიური მუშაობით თავის სახლს გარეშე და ამიტომ არა აქვთ საშუალება ბავშვები თავისთან იყოლიონ“ (10. გვ. 5.).

1868 წელს თბილისში დაარსდა 2 საბავშვო ბაღი. ერთი კუკიის უბანში, მ. ჯაბადარის ქალის ხელმძღვანელობით, ხოლო მეორე სოლოლაკში, ლიდია ლავრენკოს ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელს განაგებდა პედაგოგიური საბჭო. ორივე საბავშვო ბაღში იღებდნენ ორივე სქესის ბავშვებს 3-7 წლის ასაკში. მეცადინეობა მიმდინარეობდა სპეციალური, საბავშვო ბაღისათვის დამახასიათებელი პროგრამით.

1870 წელს თბილისში დაარსდა კიდევ ერთი საბავშვო ბაღი, პეტერბურგის ჟურნალ „Детский сад“-ის (1866-1868 წწ) ყოფილი რეაქტორ - გამომცემელის ა. სიმონოვიჩის ქალის ხელმძღვანელობით“ (10. გვ. 57.).

საბავშვო ბაღის გახსნას პირველი გამოეხმაურა გაზეთი „დროება“ და მისი რედაქტორი გიორგი წერეთელი. მან თავის წერილში „უჩინ - მაჩინის ქუდოსანი და იმის საუბარი მკითხველთან“ რამდენიმე გვერდი დაუთმო მას. გაარჩია პესტალოცისა და ფრებელის შეხედულებანი ადრეულ ასაკის ბავშვთა აღზრდის შესახებ.

მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელი გაფართოვდა და საბავშვო ბაღი ქართულ მოსახლეობაში თანდათანობით პოპულარული გახდა.

1885 წლის 30 სექტემბრის განკარგულებით კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დართო გერმანელ ქალს ც. მეტკემერს გაეხსნა საბავშვო ბაღი თბილისში

1892 წელს იოსებ ოცხელმა ქუთაისში გახსნა საბავშვო ბაღი მოსამზადებელი კლასით. ოცხელმა მასწავლებლად მოიწვია მარიამ ყაუხჩიშვილი. იგი გაემგზავრა პეტერბურგში და სამი თვის განმავლობაში სწავლობდა ფრებელის სისტემით მომუშავე ბაღებს (11. გვ. 73.). ოცხელის ბაღმა 1900 წლამდე იარსება.

1898 წელს ეკატერინე კულიჯანოვას მიეცა ნება გაეხსნა თბილისში საბავშვო ბაღი ორივე სქესის ბავშვებისათვის და შერეული სკოლა პანსიონით. ეს სკოლა გაიხსნა 1899 წელს ბაღის ქუჩაზე. პირველად ბაღში 14 ბავშვი იყო (11. გვ. 75.).

საბავშვო ბაღების ქსელების გაფართოებასთან ერთად, ჩასახვას იწყებს სკოლამდელი აღზრდის თეორიაც. ივანე როსტომაშვილმა 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“(№167) დაბეჭდა სტატია „ სკოლა სეირნობისა, ანუ საბავშვო ექსკურსიატი“. იგი დაწვრილებით განიხილავს ფრებელის სისტემით მოწყობილი საბავშვო ბაღების მუშაობის შინაარსს და მის ნაკლოვან მხარეებად თვლის: „1. მრავალსაგნიანობა; 2. კარჩაკეტილობა; 3. ბავშვთა მოძრაობისა და თავისუფლების შეზღუდვა; 4.სიძნელე მისის წარმოებისა, რის გამოც თვით საგანგებოდ ამისათვის მომზადებულ მასწავლებელ ქალთაც კი უძნელდებათ საბავშვო ბაღის რამდენადმე მაინც ხეირიანად მართვა; 5.ძალად გართობა ბავშვებისა იმ საგნებსა და საქმეში, რომელიც ზოგიერთი ხასიათისათვის სრულიად უცხო და შეუფერებელია; 6. კარჩაკეტილობა და საკლასო მეცადინეობა (11. გვ. 74.).

ივანე როსტომაშვილი უპირატესობას ანიჭებს სეირნობის ბაღებს, რომლის იდეა მე-19 საუკუნის 90-იანი წლების დასავლეთ ევროპაში აღმოცენდა. იგი მოითხოვს ასეთი ბაღების გახსნას საქართველოში, კერძოდ თბილისში და ერთგვარ პროგრამასაც გვთავაზობს.

მე–20 საუკუნის 10–იანი წლებიდან დაიწყო ,,ბავშვთა კლუბების, ბავშვთა სახლების, სასკოლო სამეურნეო კლუბების, კოლონიების“ და სხვა პედაგოგიური ორგანიზაციების გახსნა.

1910 წელს თბილისში დაარსდა „კავკასიის ფრებელის საზოგადოება“. დაარსდა „ფრებელის საზოგადოების ქალთა უმაღლესი პედაგოგიური კურსები, სადაც მზადდებოდა აღმზრდელები სკოლამდელი დაწესებულებებისათვის. პედაგოგიურ პრაქტიკას კურსების მსმენელები გადიოდნენ სოფიო არღუთინსკაიას „ქალთა უმაღლეს კურსებზე“. აღნიშნული კურსები მუშაობდა ფრებელის სისტემით და მან დიდი როლი შეასრულა კავკასიაში სკო-

ლამდელი აღზრდის პროფესიულუ კადრების აღზრდისა და მომზადების საქმეში. კურსებმა 1921 წლამდე იარსება.

საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ 1919 წლიდან დაიწყო სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოება, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე.

მთავრობამ მიიღო დადგენილება საბავშვო ბაღებისათვის ყოველწლიურად 19 200 მან. გამოეყო. საბავშვო ბაღი გაიხსნა ქუთაისშიც, ამ საქმის მაღალ დონეზე დაყენების მიზნით 1920 წ. სამინისტრომ გადაწყვიტა იტალიიდან ინსტრუქტორად მოეწვია მილანელი მეცნიერი, საბავშვო ბაღების მოწყობისა და ბავშვის აღზრდის ახალი მეთოდის მონტესორის სისტემის ერთ–ერთი აღიარებული სპეციალისტი, ჰუმანიტარული საზოგადოების დირექტორი ქ. კონდულმო. მოწვეულმა სტუმრებმა თან დიდძალი ლიტერატურაც ჩამოიტანეს და 9 აგვისტოდან დაიწყო ლექციების კითხვა, ხოლო 10 აგვისტოდან თბილისში გაიხსნა სპეციალური კურსები 40 მსმენელისათვის. (16. გვ. 4).

ქალების იძულებითი ჩართულობა შრომით პროცესში, პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ, გახდა ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც განაპირობა სკოლამდელი დაწესებულებების ზრდა. დადგინდა, რომ ისინი ვინც განიცდიდა ფსიქოლოგიურ პრობლემებს, იყვნენ ბავშვობაში დედის სიყვარულს მოკლებულნი. იდეალური გამოსავალი გახდა თანატოლებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობა, სასკოლო სწავლებაში ოჯახის მხარდაჭერა. დაამტკიცდა, რომ მშობლები ხშირად ვერ ხედავენ თავის შვილებში იმას, რაც ბავშვში შეიძლება აღმოაჩინოს მასწავლებელმა ან აღმზრდელმა. შეიძლება მასწავლებელსაც გამორჩეს ბავშვის გატაცება, ან ბავშვის განვითარების რაიმე თავისებურება, თუ არ აქვს ოჯახიდან ინფორმცია, რომელიც მიღწევადია, მხოლოდ მშობლისთვის.

1951 წელს ინგლისელმა ფსიქიატრმა ჯ. ბოულბიმ და მ. ეინსფორტმა შეიმუშავეს მიჯაჭვულობის თეორია. მიჯაჭვულობა ძლიერი, გრძნობითი კავშირია, რომელიც ადამიანებს მათთვის ემოციურად მნიშვნელოვანი ადამიანების მიმართ აქვთ. ჩვილები მიჯაჭვულები არიან მათთან ახლოს მყოფ ადამიანებზე, ძირითადად დედებზე. ჯ. ბოულბი დაინტერესდა იმ გავლენით ბავშვის პიროვნების განვითარებაზე, რასაც ახდენს მშობლებთან ბავშვის ადრეული განშორება. ეს სერიოზული პრობლემა აღმოჩნდა ინგლისში II მსოფლიო ომის დროს. აქ ასობით ბავშვი დააცილეს მშობლებს და გახიზნეს სოფლებში, რათა ისინი ქალაქების საავიაციო დაბომბვებისგან ეხსნათ. განმტკიცდა დეპრივაცია ე.ი. ემოციური კავშირის დარღვევა დედასა და შვილს შორის. ყოველივე ზემოთქმულმა გამოიწვია დანაშაულის ზრდა და ეპიდემიური დავადებების გავრცელება. ამ დროს, კი კოლექტიური აღზრდა სასარგებლოა, თუ ბავშვი საბავშვო ბაღში, ან სკოლაში მიდის სოციალურად დაუცველი ოჯახიდან . გადაიდგა ნაბიჯი კონცენტრაციიდან ინტრაფსიქიკურისკენ, ინდივიდუალურ - პირადული კონფლიქტებიდან იტერფსიქიკურისკენ.

ბოულბის მიჯაჭვულობის თეორიის ძირითადი პრინციპებია:

- მიჯაჭვულობას, როგორც ჰაერსა და საკვებს, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ბავშვისთვის. მის გარეშე ჩვილს არ შეუძლია იცოცხლოს და განვითარდეს;
- ბავშვს დაბადებიდანვე აქვს მაღალი მოტივაცია იმისთვის, რომ ჩამოიყალობოს და შეინარჩუნოს მიჯაჭვულობა მასზე მზრუნველ პირთან;

• ბავშვები ყველაფერს გააკეთებენ მიჯაჭვულობის შესანარჩუნებლად და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

• სიცოცხლის პირველ წელს ბავშვი სპეციფიკურ ემოციურ კავშირს ამყარებს მასზე მზრუნველ ადამიანთან.

• ჩვილი იყენებს მიჯაჭვულობას, როგორც "სანდო ბაზას".

• მიჯაჭვულობის ობიექტები „ფსიქოლოგიური მშობლები" ხდებიან.

• ყველა ბავშვი „ეჯაჭვება", მაგრამ უსაფრთხო მიჯაჭვულობა დამოკიდებულია მზრუნველის პასუხებზე ბავშვის საჭიროებებისადმი.

• მიჯაჭვულობის სისტემა აქტიურდება შიშისა და განშორების სიტუაციებში.

• ემოციურად ახლობელ ადამიანთან ბავშვის ფიზიკურ კონტაქტს მიჯაჭვულობის სისტემა ხელახლა მოჰყავს გაწონასწორებულ მდგომარეობაში.

• აუცილებელი არაა, რომ «ძირითადი» ახლობელი ადამიანის როლი ბიოლოგიურ დედას/მამას ეკუთვნოდეს.

• ჩვილის ემოციური კავშირი მოზრდილ ადამიანთან არ არის გენეტიკურად განსაზღვრული. ჩატარებული მეცნიერული კვლევებით არ დადასტურდა მიჯაჭვულობის „სისხლით ნათესაობით" განპირობებულობა.

ამ ცვლილებების ფონზე არ შეიძლება, რომ არ ავღნიშნოთ პედაგოგის, ფსიქოლოგის და ფსიქიატრის ბ. ბეტელჰეიმის (1903-1990) წიგნები ,, გზა ლაბირინთიდან" (1975 წ.) და ,, თვით დაბადება'' (1976 წ.) და სხვ. წიგნებში განხილულია ის საკითხი, რომ არ შეიძლება იყოს აღზრდის და განათლების ისეთი პრობლემა, რომელიც არ შეიძლება დაძლეული იქნას. მასწავლებელს და მშობელს არ უნდა ეშინოდეს დაშვებული შეცდომების და კონცენტრირება არ უნდა მოახდონონ თავის დადანაშაულებაზე. პირიქით უნდა იპოვონ დანაშაულის კონპენსაციის გზები, იხელმძღვანელონ სიყვარულით, ყურადღებით და კეთილ განწყობით. ხელი შეუწყონ ცხოვრებაზე დადებითი დამოკიდებულების პროპაგანდას და აღიარონ, რომ თითოეულს აქვს შიშები და სურვილები, ხშირად ეს სურვილები საერთოდაც არ არის კეთილი. ბეტელჰეიმ აღმოაჩინა პედაგიგიური კანონების ახალი თანაარსებობა, როგორ დავძლიოთ საკუთარი კომპლექსები. თავის გამოცდილებაზე დაყრდნობით, კერძოდ კი, ბავშვის ინტერესების წახალისება ზღაპრებით და წიგნებით. მისი მთავარი აღქმაა - მივიღოთ ბავშვები ისეთი, როგორებიც არიან, მივცეთ მათ ის, რაც მათ სჭირდებათ, ვასწავლოთ მუდმივად იპოვონ და შექმნან საკუთარი ცხოვრების აზრი. ეს ყეველაფერი თავდაჯერებულებას მატებს მათ ძალებს და მომავლის იმედს (22. გვ. 240 .).

დაახლოებით, იმავე პერიოდში განათლების ხარისხის კრიტერიუმი გახდა თითეოეული ადამიანის პირადი გრძნობები, ანუ უფლება გადაეწყვიტათ მოსწონთ, თუ არ მოსწონთ ის რაც ხდება; უპირობოდ არ მიეღოთ ის რაც ზევიდან არის გადმოცემული. ამ მიმართულების ერთ-ერთი იდეოლოგი გახლდათ ბ. სპოკი (1903-1997) მისი წიგნი ,, ბავშვის და ჩვილის მოვლა" პირველად გამოაქვეყნდა (1964) წელს, მაგრამ მოგვიანებით მოხდა მისი გავრცელება 50-70-იან წლებში. ის ცდილობდა შესულიყო ოჯახების მდგომარეობაში, რომლებსაც ჰყავდათ პატარა ბავშვები. სპოკი არ იძლეოდა არანაირ რჩევებს და გადაწყვეტილების მიღების მიმართ შეფასებას სწორია, თუ არასწორია, მაგრამ აღნიშნავდა, რომ ბავშვის ბედნიერი და თა-

ვისუფალი განვითარება მოითხოვს დედების ემოციურ და შრომატევად საქმიანობას. მან დაახასიათა ყველა გავრცელებული ბავშვური სიმპტომები რამაც ხელი შეუწყო მშობლებს დაეძლიათ საკუთარი შიშები ბავშვის ქცევის გამო და ეგრძნოთ, რომ არამხოლოდ ისინი არიან ასეთ მდგომარეობაში. სპოკის მიმდევრებმა ბავშვებს მისცეს სრული თავისუფლება თვით განვითარებაში. ამის გამო მოუწიათ შეჯახება მოსწავლეების ცხოვრებისეულ უუნარობაზე. დამტკიცდა, რომ არ არის საკმარისი შევიცნოთ ბავშვის საჭიროებები სრულყოფილად და ღრმად. ეს არ ნიშნავს იმას რომ ვუმკლავდებით მათ. შედეგად სპოკის შეხედულებები არ აღმოჩნდა ისეთი, როგორიც ჩაფიქრებული იყო, მაგრამ მისმა შეხედულებებმა მაინც მოახდინა აღზრდაში რევოლუცია.

ამ წლებში პედაგოგიკის განვითარებაზე, დიდი ზეგავლენა ჰქონდა მ. კლეინის თეორიას (1882-1960). მან გამოიკვლია ტრიადა: მამა - დედა - შვილი. ყურადღება გაამახვილა დედა--შვილის ურთიერთობაზე. კლეინმა გვიჩვენა, რომ არასრულყოფილი ოჯახი შეიძლება იყოს კარგი საწყისი, რომ პიროვნება აღიზარდოს და მას განუვითარდეს საუკეთესო თვისებები, რაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თანამედროვე სამყაროში, სადაც ასე ბევრი ოჯახი ინგრევა. ამის შედეგად მამაკაცები რომლებიც იყვნენ მამების როლში იცვლიან ამ როლს, დედები, კი უმრავლეს შემთხვევაში რჩებიან ბავშვებთან მთელი ცხოვრების მანძილზე. კლეინი აკრიტიკებდა ცხოვრების ერთ პერიოდზე კონცენტრაციას, მაგალითად ბავშვობაზე. რადგნ ადამიანის განვითარების ყველა სტადია მნიშვნელოვანია. ასევე ხაზგასმული იყო რომ, არამხოლოდ დედას, არამედ საგანმანათლებლო დაწესებულებასაც შეუძლია გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პიროვნების ფორმირებაზე (22. გვ. 240).

1968 წელს ადრეული პედაგოგიკაში, როგორც მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაშ დაიწყო ახალი პერიოდი. გადაიხედა ტრადიციული ღირებულებები. დედები და შემდეგ მამებიც აქტიურად ემზადებოდნენ თავისი მომავალი როლისათვის. კითხულობდნენ სამეცნიერო პრაქტიკულ ლიტერტურას, ესწრებოდნენ მშობლებთან გამართულ სემინარებს. დროთა განმავლობაში, ისინი აღზრდის საკითხებში გახდნენ ექსპერტები და თავის მოვალეობას - ბავშვის მოვლას ასრულებდნენ მაღალ პროფესიულ დონეზე. ბ. კოლდუელი გამოვიდა წინადადებით, ადრეულ პედაგოგიკაში გაბატონებული შეხედულებების პოპულარიზაციის შესახებ, კერძოდ:

- ღარიბი ოჯახებიდან ბავშვების სასკოლოდ მომზადება, მათი ინტელექტის ამაღლება და ბავშვის აღზრდაში მამის როლის გაზრდა;
- ბავშვის ცხოვრების პირველ წლებში, ოჯახური აღზრდის ფუნქციის გაფართოება;
- ბავშვთა ცენტრებში მუშაობის ხარისხის ამაღლება;
- მშობლების პედაგოგიური განათლება ოჯახური აღზრდის საკითხებში;
- დეპრივაციის პრობლემის გადაწყვეტა და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა.

სულ სხვაგვარად ვითარდებოდა მოვლენები ადრეულ განათლებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირში. საბჭოთა აღზრდის მიზნად ითვლებოდა ვარირება უტოპიურიდან პრაგმატულამდე, ახალი მორალის შექმნა მსოფლიოში, ბავშვთა დანაშაულის აღკვეთა და მათი მომზადება განათლების მისაღებად. დიდაქტიკური მეთოდები მიმართული იყო თვითდისციპლინისკენ. იმედ გაცრუება მოვიდა მაშინ, როდესაც კიდევ ერთხელ აღმოჩნდა, რომ ადა-

მიანების ერთი ჯგუფი, რომლებიც იყვნენ განათლების მაღალ საფეხურზე ვერაფერს ვერ წყვეტდნენ. სკოლამდელი აღზრდაც ავტორიტარულ მეთოდოლოგიას ეფუძნებოდა. ერთი მხრივ საჭირო იყო წლები, რომ ზოგადი მორალი შეცვლილიყო, ხოლო მეორე მხრივ მორალური განათლება და ინტელექტუალური განვითარება.

ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის მცდელობა დაკავშირებულია მაღალი ტექნოლოგიური ეპოქის დასაწყისთან. ეპოქა უკვე მოითხოვდა გონებრივად მაღალ საფეხურზე მყოფ გავნითარებულ ადამიანებს, ადეკვატური შემეცნებითი ქცევის მქონე ბავშვების აღზრდას.

ყველაზე უფრო პოპულარული გახდა ჯ. ბრუნერის აღმოჩენებით სწავლის თეორია დ. აუზიბელის თეორია- სწავლება აღქმით. შემუშავდა სწავლების ახალი სტრატეგიები. სწავლების განსხვავებული მიდგომები და მისი ორგანიზაციის ფორმები დამოკიდებულია მოსწავლეების ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და გაკვეთილის მიზნებზე.

წინა პლანზე წამოვიდა კიდევ ერთი ცნობილი მიდგომა ე. წ. პრობლემური ანალიზი. ეს თეორია დაამუშავა რ. განიემ. ის წერდა: „ იმისათვის, რომ მოსწავლემ გადაჭრას პრობლემა მან უნდა აღიქვას ის თანმიმდევრულად, ცალკეული საკითხების სახით. თავდაპირველად მან უნდა განსაზღვროს, თუ რა შესაძლებლობებს უნდა დაეუფლოს, შემდეგ ახალი უნარების გამოყენებისთვის, რომელი კომპონენტები უნდა ჩართოს და ბოლის უნდა გადაწყვიტოს, როგორ გამოიყენოს ცალკეული უნარები საერთო პრობლემის გადასაჭრელად“ (22.გვ. 240).

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში სკოლამდელი აღზრდის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შემდეგმა პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიურმა თეორიებმა:

- ბ. ბლუმის განათლების მიზნების ტაქსონომია: იძლევა დეტალურ სტრუქტურას სწავლების დაგეგმვის და სასწავლო მეთოდების ეფექტურობის შესახებ. მოიცავს კოგნიტური ანუ შემეცნებითი სფეროს 6 დონეს(ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება);
- ა. მასლოუს ჰუმანისტური თეორია(მოთხოვნილებათა იერარქიის თეორია): ამ თეორიის მიხედვით ადამიანს გააჩნია 5 ძირითადი მოთხოვნილება(ფიზიოლოგიური, უსაფრთხოება, სიყვარული და მიკუთვნება, დაფასება და თვითრეალიზაცია).
- ჟ. პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია: გულისხმობს მოსწავლის აზროვნების, შემეცნებითი, განსჯითი უნარების და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებას. ბავშვები აგებენ ცოდნას სამყაროს შესახებ შემდეგი პროცესების დახმარებით: სქემები, აკომოდაცია, ასიმილაცია და ექვილიბრიუმი.
- ლ. ვიგოცკის სოციო-კულტურული თეორია: ვიგოცკი თვლიდა რომ, სულაც არ არის აუცილებელი უკვე არსებული ცოდნის თავიდან აღმოჩენა. სოციალური კომუნიკაციის შედეგად ბავშვი ვითარდება. ბავშვის აზროვნება ვითარდება უფრო მცოდნე და გამოცდილ ადამიანებთან კომუნიკაციის შედგად. ვიგოცკიმ განასხვავა ბავშვის განვითარების დონეები: განვითარების ამჟამინდელი/არსებული დონე ე.ი. ბავშვს დავალებების შესრულება დახმარების გარეშე შეუძლია ; განვითარების პოტენციური დონე ე.ი. სხვების მხარდაჭერით შეუძლია, ან სხვების დახმარების მიუხედავად, მაინც არ შეუძლია. ვიგოცკიმ შემოიღო დამხმარე საშუალებთა სისტემა ე.წ. სკაფოლდინგი (Scaffolding) – „ხარაჩოს

დადგმა“. სკაფოლდინგი მოსწავლეს საშუალებას აძლევს, შეასრულოს დავალებები, რომლებიც მისი უახლოესი განვითარების ზონის ფარგებში ჯდება.

- ე. ერიქსონის ფსიქო-სოციალური განვითარების თეორია: ერიკსონს მიაჩნდა, რომ ადამიანთა შეხედულებები საკუთარ თავსა და სხვა ადამიანების შესახებ მთელი ცხოვრების მანძილზე მნიშვნელოვნად იცვლება. ერიკსონის ადამიანის განვითარების კლასიკური თეორია მოიცავს 8 ფსიქო–სოციალურ სტადიას: I. ნდობა - უნდობლობა (ჩვილობის ასაკი, პირველი წელი)– იმის მიხედვით, თუ როგორ ექცევიან ჩვილს, უფროსები იმსახურებენ ბავშვის ან ნდობას ან უნდობლობას; II. ავტონომია- სირცხვილი, ეჭვი (1–3 წელი) – ამ დროს ბავშვი ცდილობს თავად დაიკმაყოფილოს ზოგიერთი მოთხოვნილება. III. ინიციატივა - დანაშაულის გრძნობა (3–5 წელი) – ამ დროს შეიძლება განუვითარდეს ბავშვს ინიციატივისა და საქმის დაგეგმვისა და შესრულების უნარი; ხოლო, თუ არ მისცემენ უფროსები ამის უფლებას ან დასცინებენ და აბუჩად აიგდებენ მის მცდელობას, ბავშვს განუვითარდება დანაშაულის გრძნობა საკუთარი მოთხოვნილებისა და სურვილების მიმართ; IV. ბეჯითობა - არასრულფასოვნების გრძნობა (6–12 წელი)– ამ დროს ბავშვს საშუალება ეძლევა ჩაერთოს სხვადასხვა საქმიანობაში, შექებისა და მოწონების შემთხვევაში იგი ბეჯითი და შრომისმოყვარე გახდება. ხოლო, თუ დავცინებთ და ყოველ მის მცდელობას, სასაცილოდ მივიჩნევთ, განუვითარდება არასრულფასოვნების გრძნობა; V. პიროვნების იდენტობა - საკუთარ როლთან დაკავშირებული გაურკვევლობის გრძნობა (12–20 წელი) მოზარდობის ხანაში გადასვლისას იწყება ფიქრი საკუთარი ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ. მოზარდები გაურკვევლობის გრძნობას განიცდიან იმის თაობაზე, თუ რა როლი უნდა ითამაშონ საზოგადოებაში; VI. ინტიმურობა - განმარტოება (20–39 წელი) – მას შემდეგ, რაც ადამიანი იპოვის საკუთარ თავს, იგი მზადაა საკუთარი ცხოვრება სხვას დაუკავშიროს. თუ მას სხვა ადამიანებთან ურთიერთობის უნარი აქვს, მალე იპოვის თანამგრძნობს, ხოლო თუ არ გააჩნია ახლო ურთიერთობის დამყარების უნარი, მაშინ განმარტოებას ამჯობინებს;VII. პროდუქტულობა - სტაგნაცია (40–59 წელი) – ხანდაზმულობის ასაკში ადამიანის მთავარი ამოცანაა, საზოგადოებას სარგებელი მოუტანოს და მომავალ თაობას მეგზურად მოევლინოს, თუ მას ამის საშუალება არ მიეცემა, განუვითარდება სტაგნაციის გრძნობა; VIII. მორალური და ეთიკური სიძლიერე სასოწარკვეთილება (60 წლიდან) – განვითარების ბოლო სტადიაა რეტროსპექტივა: ადამიანი თუ თვლის, რომ მისი ცხოვრება ბედნიერი და ნაყოფიერი იყო, მას უვითარდება მორალური და ეთიკური სიძლიერის შეგრძნება.

მეოცე საუკუნის 90 - იან წლებში განხორციელდა ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი ,, ჰაუ სკოუპი“. ამ პროექტის მომხრეები ორიენტირებული იყვნენ აღზრდის თავისუფლებაზე. ისინი ხაზს უსმევდნენ იმას, რომ ბავშვი გაიზრდება, ისეთი როგორსაც მას აღზრდი. თუ გააკრიტიკებ ბავშვს - ის დაგმობს, თუ არ ენდობი - მაშინვე გაჩნდება აგრესია, თუ დასცინი - მას საკუთარი თავის შერცხვება, თუ რამეს ძალდატანებით თავს მოახვევ - ის იგნორირებას გაუწევს სხვის მოსაზრებას. მაგრამ თუ ბავშვს გაუწევ მხარდაჭერას, მოექცევი მოთმინებით და კეთილგანწყობით, შეაქებ და წაახალისებ მის ინიციატივას, იქნები მისი პატიოსანი და საიმედო პარტნიორი, მიიღებ მის ბუნებას და დაუდგები ნამდვილ მეგობრად, მაშინ ბავშვი

აღიზრდება მშვიდი, მეგობრული, მიმდობი, სამართლიანი, მომთმენი, ექნება თავმოყვარეობის გრძნობა, ეყვარება ირგვლივ სამყარო და სხვა ადამიანები.

დღეს დედამიწაზე ექვს მილიარდიანი მოსახლეობაა. მოსახლეობა იზრდება აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში, აზიაში, მაგრამ მცირდება ევროპაში და ჩრდილოეთ ამერიკაში. წარმოიშვა დისკუსიები შობადობის პრობლემასთან დაკავშირებით. ასევე ფსიქოლოგების და პედაგოგების დიდ შემოქმედებით არეს წარმოადგენს ინტეგრაციული პროგრამები შეზღუდული გონებრივი განვითარების მქონე ბავშვებისათვის. დროდადრო იღვიძებს ინტერესი ვუნდერკინდების მიმართ. ხდება ძალზე ნიჭიერი ბავშვების ჯგუფების შექმნა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების. როგორც ერთნი, ასევე მეორენი ითვლებიან, როგორც ,,ნორმიდან გადახრილნ“ და სჭირდებათ განსაკუთრებული ყურადღება. იხსნება ერთობლივი სკოლები სხვადასხვა რელიგიური მწამსის მქონე ბავშვებისთვის. ირლანდიაში თვლიან, რომ ყველა ბავშვი მიუხედავად ყველაფრისა უნდა ცხობვრობდეს და სწავლობდეს ერთ გარემოში, იმისათვის რომ უკეთ გაუგონ ერთმანეთს.

სასწავლო პროგრამები, როგორ წესი ეფუძვნება ბავშვის განვითარების განზოგადებულ იდეებს და არა ყველა თეორიას ერთად. ამიტომ სასწავლო პროგრამების შემუშავების დროს პედაგოგები ითვალისწინებენ ბავშვების საშუალო განვითარების მაჩვენებელს და ასაკობრივი სტადიების ტიპიურ გამოვლინებებს. მეცნიერებმა და მეთოდისტებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ბავშვები ვითარდებიან სხვადასხვანაირად, რომ ინტელექტუალურ სიმწიფეს თან შეიძლება ახლდეს ემოციური სფეროს ჩამორჩენა, მათემატიკური მიღწევები, მაგრამ კითხვის უუნარობა და ა.შ. აქედან გამომდინარე ნებისმიერი სამუშაო, რომელიც უნდა შესრულდეს ბავშვების ჯგუფთან და, ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ ის ყველა ბავშვზე იყოს ორიენტირებული. მკვლევარი-პედაგოგების ამოცანაა: არ მოხდეს ბავშვების დისკრიმინაცია, ისე რომ ნიჭიერი და ჩამორჩენილი ბავშვი განვითარდეს საკუთარი განვითარების დონის შესაბამისად. ამის გამო ბავშვმა თავი არ უნდა იგრძნოს გარშემომყოფებისგან განცალკავებულად. მიზანშეწონილია კონკრეტული ბავშვის ჩამორჩენილობის მიზეზების დადგენა (კვება, მშობლების უყურადღებობა, კითხვის დეფიციტი, მემკვიდრეობა თუ სხვა).

დღესდღეობით განათლების აქცენტი გადაინაცვლა კონკრეტული უნარების დაუფლებისკენ და კონკრეტული ცოდნის შეძენაზე ,, სწავლა სწავლებით'', ე.ი. დამოუკიდებელი შემეცნებითი აქტივობების განვითარება. უნდა იყოს გათვალისწინებული ბავშვის აზრი, რისი შესწავლა სურთ მათ. შეუძლიათ აირჩიონ რომელიმე თემა და იმუშავონ მასზე მცირე ჯგუფში. მასწავლებელი კი მათთან ერთად გადაწყვეტს, რომელი საკითხი იქნება განხილული კონკრეტული თემის ფარგლებში. როგორ ეხება ეს თემა მათ და რას თვლიან ისინი განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად.მაგ: ბავშვებმა გადაწყვიტეს შეესწავლათ ხის ცხოვრება თვალი ადევნეს ხეს 1 წლის განმავლობაში. აფიქსირებდნენ მას ნახატებით, სურათებით და ა.შ. შემდეგ განხილვის დროს სხვებს მოუყვებიან რა გაიგეს ხის ცხოვრებაზე ამ ერთი წლის განმავლობაში. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შედგენილი სამუშაო გეგმის მიხედვით აჯამებს ჩატარებულ სამუშაოს. კარგია, რომ ასეთი სამუშაოების ჩატარების დროს ამოქმედებულია სხვადასხვა შესაძლებლობები, კონკრეტული ცოდნა და უნარჩვევები: ხატვა, ძერწვა, სურათის გადაღება, თვლა, სქემების შედგენა და ა.შ. პროექტის თემატიკა აუცილებლად

უკავშირდება პრაქტიკულ ცხოვრებას და ბავშვების უშუალო გარემოს. ისინი აანალიზებენ რა ხდება ირგვლივ და აგროვებენ საკუთარ გამოცდილებას. სწავლობენ მის შეფასებას, დამოუკიდებლად ასრულებენ თავის სამუშაოს. თუმცა ბევრი პადაგოგი პროექტს არ თვლის სერიოზულ საქმიანობად და ცდილობენ პროექტს დაუთმონ კვირაში ერთი დღე, ან ერთი კვირა სასწავლო წლის ბოლოს. პროექტებს სხვა სირთულეც ახასიათებს. ის, რომ მასზე შუშაობენ მცირე ჯგუფებად, ამის გამო უნდა მოხდეს ცხრილის დარღვევა, მომზადდეს ცალკე ახალი მასალა, გაუმკლავდეს გაუთვალისწინებულ გარემოებებს ყველა უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ა. შ..

ასე რომ იმაზე შეხედულება, თუ რა არის სასარგებლო ბავშვისთვის და რა საზიანო დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე: კულტურაზე, მოსახლეობის ფენაზე, სოფელზე, თუ ქალაქზე, რელიგიურ და ეთნიკირ შეხედულებაზე. ამიტომ ბავშვის აღზრდის მეთოდები ყოველთვის განსხვავებულია. ის რაც მნიშვნელოვანია მასწავლებელისათვის შეიძლება ბავშვის ოჯახისთვის მიუღებელი აღმოჩნდეს. ამ ინტერესების შეჯერებაში დიდ იროლი ითამაშა მეცნიერების მიღწევების პოპულარიზაციამ. აღზარდეს მშობლების, ისეთი თაობა რომელიც დარწიმუნებული იყო იმ სოციალური ფასეულობების სისწორეში, როგორიცაა გენდერული თანასწორება და ბავშვების ადრეული სოციალიზაცია. ამაში დიდი როლი ითამაშა მედიამ, ისინი აცნობდნენ საზოგადოებას იმ დადებით შედეგებს, რომლებიც არსებობდა ოჯახს და საბავშვო ბაღს, ოჯახს და სკოლას შორის. როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი დარწმუნდა იმაში, რომ ბავშვს არ ვნებს დღეში რამოდენიმე საათის გატარება პროფესიულად მომზადებული აღმზრდელების მეთვალყურეობის ქვეშ, კარგად აღჭურვილ, კეთილ მოწყობილ, ბავშვის საჭიროებებზე ადაპტირებულ ოთახებში, სადაც რეგულარულად უტარდებათ მეცადინეობები, აქვთ თანატოლებთან და კომპეტენტურ პირებთან ურთიერთობა, ამ ყველაფერმა ერთად დიდი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებაზე. საზოგადოებამ მხარი დაუჭირა სკოლამდელი განათლების სისტემის პროგრამების პოპულარიზაციას.

ბოლო წლებში ყურადღება ექცევა იმ ფაქტებს, თუ რა გამოსდით უკეთ იმ ბავშვებს რომლებიც აღიზარდნენ სახლში და რა იმ ბავშვებს, რომლებმაც გაატარეს ბავშვობა საბავშვო ბაღში. ეს ბუნებრივია, რადგან ოჯახის სტრუქტურა, ფუნქციები დრო და დრო იცვლება. ცხადია, რომ მშობლები ვერ იქნებიან პასუხისმგებლები ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების ყველა ასპექტზე, რადგან გენეტიკა და საზოგადოება ყოველთვის ახდენს თავის ზეგავლენას. თანაფარდობა ,,ოჯახი-საზოგადოება- აღზრდა“ მუდმივად არის განხილვის საგანი.

თანამედროვე მსოფლიოში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სპეციალისტების პროფესიული განვითარების სტანდარტები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში. მაგალითად, **ფინეთში** სკოლამდელი და დაწყებითი განათლების სექტორებში უნდა მუშაობდნენ პედაგოგები უმაღლესი განათლებით. სკოლამდელი დაწესებულების სპეციალისტს დამთავრებული უნდა ქონდეს **ბაკალავრიატი სკოლამდელი განათლების პედაგოგის** სპეციალობით. სპეციალისტს შეუძლია მიიღოს სპეციალური ან საკორექციო სწავლების მასწავლებლის დამატებითი კვალიფიკაცია გონებრივად ჩამორჩენილი

და შენელებული ფსიქიკური განვითარების მქონე ბავშვებთან სამუშაოდ, შესაბამისი სპეციალიზირებული პროგრამის გავლის შემდეგ (13).

საბავშვო ბაღის აღმზრდელებს, რომლებსაც აქვთ შესაბამისი უმაღლესი განათლება, ასევე შეუძლიათ იმუშაონ სამედიცინო დახმარების დღის ცენტრებში ან სკოლებში სკოლამდელი მომზადების მასწავლებლად.

ავსტრალიაში საკმაოდ პოპულარულია ე.წ. **მენტორობის პრაქტიკა,** როდესაც პროფესიული მენტორობის პროგრამის ფარგლებში (The Professional Mentoring Program for Early Childhood Teachers) ახალგაზრდა მასწავლებელი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მაღალკვალიფიციურ პედაგოგთან (მეწყვილე) ერთად ატარებს გაკვეთილებს მისგან პროფესიული გამოცდილების გაზიარების, კონსულტაციის და რეკომენდაციების მიღების მიზნით.

გერმანიაში სკოლამდელი განათლების აღმზრდელს უმაღლესი განათლება მიღებული უნდა ქონდეს პედაგოგიურ ან სოციალურ-პედაგოგიურ სფეროში. თეორიულ კურსებთან ერთად (პედაგოგის პროფესიული სწავლების აუცილებელი საგანმანათლებლო საფეხური), საჭიროა პრაქტიკული პედაგოგიური მომზადება სპეციალიზირებულ ინსტიტუტებსა და სკოლებში. პედაგოგების შერჩევისას სკოლამდელ დაწესებულებებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ შემოქმედებით პოტენციალს.

სხვადასხვა ქვეყნებიდან მიგრანტი ბავშვების ადაპტაციასა და სოციალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტისთვის, შექმნილია კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, რომლის ფარგლებშიც პედაგოგებს აცნობენ პატარა ბავშვებისთვის გერმანული ენის სწავლების მეთოდიკას (13).

აშშ-ში არსებობს სხვადასხვა პროფესიული ორგანიზაციები და ასოციაციები, რომლებიც აწყობენ ყველა დონის, მათ შორის, სკოლამდელი განათლების პედაგოგებისთვის სხვადასხვა მოკლევადიან კურსებს, სემინარებს და ვორკშოფებს. კურსებზე დასწრება ითვალისწინებს საორგანიზაციო შენატანის გადახდას. ამასთანავე, ტარდება კონფერენციები, რომლებიც სხვადასხვა შტატების და ქვეყნების პედაგოგებს შორის გამოცდილების გაზიარების საუკეთესო საშუალებაა.

სკოლამდელ აღმზრდელებს შეუძლიათ დაგეგმონ ღონისძიებები თავიანთი პროფესიული განვითარებისთვის ერთი სასწავლო წლით ადრე. თუ საბავშვო ბაღს არ აქვს საშუალება დაფაროს საჭირო თანხები თავისი აღმზრდელის მონაწილეობისთვის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებში, ამის სანაცვლოდ ამოქმედდება ქვეყანაში კარგად განვითარებული *მენტორობის სისტემა.* სკოლამდელი განათლების „ვეტერანები“ წარმატებით ასრულებენ პედაგოგიური გამოცდილების გადაცემის და ახალი თაობის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ამოცანას.

აშშ-ში, ბევრი ევროპული ქვეყნისგან განსხვავებით, აღმზრდელთა განათლებისა და პროფესიული მომზადების მიმართ მოთხოვნები მინიმალურია. ზოგიერთ შტატში აღმზრდელები და პედაგოგები სამსახურში მიღებისას მხოლოდ შესაბამისი ცოდნის ტესტს გადიან. სხვაგან საკმარისია ბაკალავრის და სწავლების უფლების სერტიფიკატის წარდგენა.

სკოლამდელი დაწესებულებები (საბავშვო ბაგა-ბაღები, დღის მოვლის დაწესებულებები და სხვ.) შეიძლება იყოს სახელმწიფო, კერძო, საეკლესიო, საზოგადოებრივი და ა.შ. არსებობს კოლეჯთან არსებული ექსპერიმენტული საბავშვო სკოლების ან „სკოლამდელი ლაბორატორიების“ ჯგუფები, რომელთა მიზანია კვლევით საქმიანობასთან ერთად მასწავლებელთა მომზადების უზრუნველყოფა (13).

დიდ ბრიტანეთში სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება - რომელსაც მიიღებენ პედაგოგიურ კოლეჯში ან უნივერსიტეტში სპეციალური პედაგოგიური მომზადებით. მასწავლებლებმა უნდა უზრუნველყონ შეფასების და კონტროლის მოქნილი სისტემების შექმნა, ბავშვების მიღწევების შეფასება მათთან ინდივიდუალური მიდგომის და არსებული პროგრამის შეხამების საფუძველზე. სკოლამდელი პროგრამის დასასრულისთვის მათ ფსიქოლოგიურად უნდა მოამზადონ ბავშვები საშუალო სკოლაში უმტკივნეულოდ გადასასვლელად.

საფრანგეთში აღმზრდელების და პედაგოგების განათლების დონე არ უდა იყოს ბაკალავრიატზე დაბალი. აღმზრდელებმა კარგად უნდა გაიცნონ აღსაზრდელები და შეისწავლონ მათი ფსიქოლოგიური თავისებურებები. მასწავლებლებს უნდა შეეძლოთ საგანმანათებლო პროგრამების შედგენა ბავშვების მიმართ კეთილგანწყობის საფუძველზე, უნდა ქონდეთ თამაშის, როგორც სწავლების ბუნებრივი ფორმის, გამოყენების უნარი.

სამხრეთ კორეაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღმზრდელის კვალიფიკაციის ამაღლებას ჯგუფში მუშაობის პროცესში. ამგვარი პროფესიული (თვით)განათლების და განვითარების აღსანიშნავად, გაჩნდა ცნება „პედაგოგიური კვლევა“ (teacher research), რომელიც თავისი არსით ექსპერიმენტულია და იძლევა ამა თუ იმ პედაგოგიური მეთოდების ტესტირების საშუალებას. ასეთი კვლევების შედეგები, რომლებიც, როგორც წესი, ყოველთვის არ ქვეყნდება, მეტად სასარგებლოა პედაგოგიური საზოგადოებისთვის - პედაგოგები ეზიარებიან ერთმანეთის მნიშვნელოვან გამოცდილებებს. ამგვარი კვლევითი საქმიანობის გატარება კორეაში ითვლება სავალდებულოდ სახელმწიფო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა მუშაკისთვის (13).

ჩინეთში საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგებისთვის არსებობს განსაზღვრული საგანმანთლებლო ცენზი, რომელიც ითხოვს სპეციალური პედაგოგიური განათლების მიღებას სპეციალიზირებულ პედაგოგიურ სასწავლებელზე არანაკლები დონის საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ამრიგად მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არსებობდა და არსებობს სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგთა პროფესიული განვითარების და დაოსტატების სხვადასხვა გზები.

სკოლამდელი აღმზრდელის მაღალი კვალიფიკაცია მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც ის ემსახურება სკოლამდელი აღსაზრდელების მომზადებას დაწყებით სკოლაში სწავლის გაგრძელებისთვის.

კითხვები თვითშეფასებისა და თვითანალიზისათვის

1. პირველმა ვინ ჩამოაყალიბა იდეა საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის განვითარების აუცილებლობის შესახებ?
2. მოკლედ დაახასიათეთ პლატონის, არისტოტელეს, და კვინტილიანეს შეხედულებები სკოლამდელი აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით.
3. მოკლედ დაახასიათეთ დიდი ჩეხი პედაგოგის იან ამოს კომენსკის შეხედულებები დედობრივი სკოლის შესახებ.
4. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი აღზრდის თეორიის შექმნაში, თუ როგორი დიდი ღვაწლი მიუძღვის გამოჩენილ შვეიცარიელ პედაგოგ – დემოკრატს ჰენრიხ ჰესტალოცს.
5. ვინ განახორციელა მუშათა ბავშვების საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის პირველი ცდა?.
6. მოკლედ დაახასიათეთ რ. ოუენის შეხედულებები სკოლამდელი აღზრდის სფეროში.
7. რა მიზნით შექმნა რ. ოუენმა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები?
8. მოკლედ დაახასიათეთ შარლ ფურიეს შეხედულებები სკოლამდელი აზღრდის სფეროში.
9. მოკლედ დაახასიათეთ გერმანელი პედაგოგის ფრიდრიხ ფრებელის სკოლამდელი აღზრდის თეორია.
10. როგორია იტალიელი ექიმ–ფსიქიატრის და პედაგოგის მარია მონტესორის როლი საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის იდეის განვითარებაში?
11. მოკლედ დაახასიათეთ საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის იდეის განვითარების საკითხი რუსეთში.
12. მოკლედ დაახასიათეთ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის იდეის განვითარებაზე, რომელმა ფსიქოლოგიურმა და პედაგოგიურმა თეორიებმა მოახდინეს გავლენა.
13. მოკლედ დაახასიათეთ საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის იდეის განვითარების საკითხი საქართველოში.

ლიტერატურა

1. მედინსკი ე., პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1941.
2. პლატონი., სახელმწიფო, II, თბილისი, 2014.
3. პლატონი, კანონები., თბილისი, 2015.
4. მარკუს ფაბიუს კვინტილიანი „მჭერმეტყველების სწავლება“, ქართულად თარგმნა პროფ. ნინო ჩიხლაძემ, თბილისი, 2016 .
5. სკოლამდელი პედაგოგიკა, ვ. იადეშკოსა და ფ. სოხინას რედაქციით, თბილისი, 1987.
6. პედაგოგიკის ისტორია, პროფ. ნ. ვასაძის რედაქტორობით, თბილისი, 2004 .
7. იან ამოს კომენსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 1958 .

8. ლ. ურუშაძე, ფრიდრიხ ფრებელი სკოლამდელი პედაგოგიკის კლასიკოსი, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვირეული დამატება, № 2(38), 1977 წ.
9. იან ამოს კომენსკი, რჩეული ნაწერები, თბილისი 1949 .
10. თავზიშვილი გ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II, თბილისი,1977 .
11. გაგუა ვ., სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბილისი 1974.
12. ლორთქიფანიძე დ., იან ამოს კომენსკი, თბილისი, 1970 წ.
13. კანონპროექტი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, www.Parlament.ge.
14. ინანეიშვილი მ., აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი-, საგანმანათლებლო კურიკულუმები, სამაგისტრო ნაშრომი ხელნაწერის უფლებით, ქუთაისი, 2016 .
15. კორსაველი გ. რობერტ ოუენი ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდის შესახებ, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, № 12, 1971 .
16. გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, N 131, 179 .
17. ბოული ჯ., მიჯაჭვულობის თეორია, education.ge
18. პაპინაშვილი თ., მიჯაჭვულობა, intermedia.ge
19. მელიქიშვილი მ., სოციალური და ემოციური განვითარება ჩვილობაში, www.qwelly.com
20. ჭოხონელიძე ნ., მარია მონტესორის პედაგოგიკური სისტემა და თანამედროვეობა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დისერტაცია განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით, ქუთაისი, 2018.
21. Хрестоматия по дошкольному воспитанию, под редакцией Е. А. АРКИНА, МОСКВА, 1927 г.
22. Парамонова Л. А., Протасова Е. Ю. Дошкольное и начальное образование за рубежом: История и современность: Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб, заведений, М.: Издательский центр «Академия», 2001. — 240 с.

§ 5. ადრეული განათლების კურიკულუმის განსხვავებული ფორმები და სკოლამდელი განათლების სისტემა სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების მიხედვით

ამ პარაგრაფში განვიხილავთ მასალებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ადრეული განათლების კურიკულუმის განვითარების საკითხებს. მასალა მოპოვებული და შედგენილია სხვადასხვა პედაგოგიური და ინტერნეტ წყაროებიდან.

5. 1. სკოლამდელი განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ისტორიული ასპექტები. 1855 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვისკონსში დაარსდა პირველი საბავშვო ბაღი. იგი შეიქმნა გერმანელი ემიგრანტების მიერ. მე-19 საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვნად გაიზარდა სკოლამდელი დაწესებულებების რიცხვი, ისინი შექმნილი იყო ღარიბი დასახლების ბავშვებისათვის, სადაც ქალები დასაქმებული იყვნენ სამრეწველო წარმოებაში.

ამერიკაში დღემდე არ არსებობს ბავშვების აღზრდის სახელმწიფო სისტემა. ბოლო დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი ყურაღება ექცევა უმცროსი სკოლამდელების (4 წლამდე ასაკის) აღზრდისა და გავითარების ჯგუფების შექმნას სახელმწიფო სკოლებში. ამერიკელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამ მიმართულებით მუშაობა მიდის ნელა და არც თუ დამკამაყოფილებლად.

სრუქტურა და განყოფილებები. აშშ-ში 60-იანი წლებიდან სიღარიხის დაძლევის პროგრამა სწორედ, სკოლამდელი განათლების ხარისხიანი პროგრამების ხელშეწყობით და სახელწიფო დაფინანსებით დაიწყო. აქ სკოლამდელი განათლების პროვაიდერები საბავშვო ბაღები, ბაგები, სკოლამდელი აღზრდის ცენტრები არიან. ხელისუფლება აქტიურად ეხმარება და აძლევს სტიმულს ამ დაწესებულებების ფუნქციურ სრულყოფას. ბავშვის პრესასკოლო მზაობისთვის სახელმწიფო ოჯახებს აფინანსებს კიდეც. სასკოლო მზაობის პროგრამებში ჩართვით და ბავშვის განვითარებაზე დროულად დაწყებული ზრუნვით, ამერიკის განათლების სისტემამ შესძლო, ქვეყანაში განათლების დონის მკვეთრად ამაღლება. პერსპექტივაში, ბავშვებს სხვადასხვა უნარის ადრეული განვითარებით, მიეცათ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების მეტი შანსი.

განათლების სისტემა ამერიკაში არის დეცენტრალიზებული, არ არსებობს ქვეყნის ერთიანი სასწავლო გეგმა და სტანდარტები, ისე როგორ ეს მიღებულია სხვა ქვეყნებში. 1980 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს განათლების სამნისტრო (რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პატარა სამნისტრო არის ამერიკის სამინისტროებს შორის. აღნიშნული საგანმანათლებლო ორგანიზაციის დანიშნულებაა და ამოცანებია:

- განათლების ფედერალური კანონების შესრულება;
- აშშ-ს საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ მონაცემების კრებულის შექმნა;
- საგანმანათლებლო პროექტების ფედერალური დაფინანსების განაწილება და მართვა.

დაწესებულებების ტიპები: სახელმწიფო სკოლებთან, კოლეჯებთან და უნივერსიტეტებთან არსებობს საბავშვო ბაღები; კერძო საბავშვო ბაღები; ბავშვთა ცენტრები; განვითარების ჯგუფები; საბავშვო ბაღები არის, აგრეთვე ეკლესიებთან, ეროვნული თემებში საწარმოებთან. სკოლამდელი განათლება სავალდებულო არ არის. მშობლებს შეუძლიათ 3-5 წლის ბავშვები მიიყვანონ ნებისმიერ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სკოლამდელი განათლება ამერიკაში მოიცავს 2 ეტაპს: ბაგები (Nursery school) და საბავშვო ბაღები (Preschool) და ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები: ბაგები, საბავშვო ბაღები, სკოლამდელთა მომზადების ცენტრები - ბაგისა და ბაღის ასაკის ბავშვებისათვის, რომლებიც განთავსებულია საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებში.

ბაგაში მიიღებიან 3-4 წლის ასაკის ბავშვები, ისინი სწავლობენ კითხვის, თვლის, ხატვისა და მუსიკის საფუძვლებს.

ამერიკული კონტექსტით ყველაზე გავრცელებული გაგება ტერმნისა საბავშვო ბაღი (Kindergarten) - ეს არის სკოლის წინარე მოსამზადებელი წელი (5-დან 6 წლამდე). ამ ასაკამდე მშობელი თავად წყვეტს ბავშვი დაუტოვოს ძიძას, თუ შეიყვანოს საბავშვო ბაღში, მაგრამ „მოსამზადებელ“ ჯგუფს ტრადიციულად გადის ყველა ბავშვი. ფაქტიურად საბავშვო ბაღი (Kindergarten) - ეს არის ნული კლასი, სადაც ბავშვები ემზადებიან დაწყებით სკოლაში სწავლისათვის, თანდათანობით გადადიან თამაშებიდან კითხვაზე, წერაზე, მათემატიკის საფუძვლებზე, ხელოვნების გაკვეთილებზე.

ხუთი წლის ამერიკელები უკვე იღებენ განათლებას საბავშვო ბაღების „ნულ კლასებში“. აქ ისინი შეუმჩნევლად გადადინ აქტიური თამაშებიდან კითხვაზე, თვლასა და წერაზე. საბაღო „ნული კლასი“ ერთგვარი შეჩვევაა სკოლის პირველი წლისთვის.

ხუთ წელს მიღწეული ამერიკელი ბავშვების ნახევარზე მეტი, საჯარო სკოლების სკოლამდელ განყოფილებაში სწავლობს. თუმცა მშობლების ნაწილი ამჯობინებს, თავისი პატარები მხოლოდ კერძო სკოლამდელ დაწესებულებებში მიიყვანონ. კერძო ბაღები ბავშვების განათლებას უდიდეს ყურადღებას აქცევენ, რადგან ლიცენზიის მოპოვებისას სახელმწიფო ამ პუნქტის დეტალურ განსაზღვრას და შესრულებას მოითხოვს. ამერიკული სკოლამდელი განათლების მთავარი პოსტულატია: ბავშვს მოექეცი, როგორც თანატოლს. ბავშვი პიროვნებაა, რომელსაც უნდა მოუსმინო და მის არჩევანს პატივი უნდა სცე. მას სჭირდება სწორი მიმართულების მითითებაც, არა ბრძანებით, არამედ საუბრით და გაგებით.

ყველა შტატსა და ქალაქში არის სკოლამდელი დაწესებულებები, რომლებიც მთლიანად, ან ნაწილობრივ ფინანსდება განათლების სახელმწიფო სააგენტოების მიერ, ისინი ხელმძღვანელობენ სკოლებს, ან არიან სახელმწიფო და ადგილობრივი საგანმანათლებლო სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ. მაგრამ სკოლამდელი დაწესებულებების ძირითადი ნაწილი - კერძოა. გადასახადი მათში, როგორც წესი 1200-1600 დოლარი არის თვეში, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია დაწესებულების პრესტიჟზე, სასწავლო პროგრამებისა და აღზრდის ხარისხისზე, მასწავლებელთა რაოდენობასა და მომსახურების პაკეტზე, და რა თქმა უნდა, ბავშვის ასაკსა და საათების რაოდენობაზე, რომელსაც ის ბაღში გაატარებს. არსებობს ასევე დოტაციის პროგრამები, მაგალითად, Head Start - ბაღები დაბალშემოსავლიანი ადამიანებისათვის, სადაც გადახდა შეიძლება შემცირდეს 400 დოლარამდე თვეში, ან შეიძლება

სრულიად უფასოც იყოს. აღსანიშნავია, რომ საბავშვო ბაღის ბიუჯეტი, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასები, ყველა შედეგიდან გამომდინარე, ძირითადად იგეგმება მშობლების მიერ გადახდილ საფასურზე.

სკოლამდელი განათლების დამთავრების შედეგ, შტატების კანონმდებლობის შესაბამისად, მშობლები იღებენ სერტიფიკატს, რომელშიც შეფასებულია ბავშვის საერთო წარმატებები/-მიღწევები. რაც აუცილებელია, უმეტეს შემთხვევაში დაწყებითი სკოლაში ბავშვის ჩასარიცხად.

სკოლამდელი განათლება ამერიკაში შტატების მიხედვით სრულიად განსხვავებულია. უმეტეს შტატში სახელმწიფო სკოლამდელი განათლება საერთოდ არ არსებობს, გარდა ნაკლებად აღჭურვილი ბაღებისა «Head Start» დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის და სპეციალური ჯგუფები განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვებისათვის, რომლებიც განთავსებული არიან სახელმწიფო სკოლებში.

მიზანი და მოცანები. როგორც აღვნიშნეთ, ამერიკის შეერთებულ შტატებში სკოლამდელი განათლების ერთიანი სისტემა არ არსებობს. ისინი ძირითადად ახორციელებს მოკლევადიან და გრძელვადიან პროგრამებს, რომლებიც მოწოდებულია გადაჭრას გარკვეული პრობლემები. მაგალითად აშშ-ში სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის არსებობს სხვადასხვა პროგრამები, ერთი მთელ დღეზე გათვლილი, სხვა - დღის ნაწილზე გათვლილი. არსებობს პროგრამების მოქნილი გრაფიკი, რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს აირჩიოს მისთვის მისაღები/კომფორტული რეჟიმი. არსებობს პროგრამები, რომლებიც განკუთვნილია 3-4 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის. როგორც წესი, ეს არის ფასიანი პროგრამები, მაგრამ ისინი შეიძლება დაფინანსდეს სხვა წყაროებიდანაც.

ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა, რომ დღის პირველ ნახევარში მუშაობდეს ერთი პროგრამით, ხოლო დღის მეორე ნახევარში - მეორეთი. მონაწილეობა სხვადასხვა პროგრამებში საშუალებას აძლევს ბავშვებს მიიღონ მრავალფეროვანი გამოცდილება და გაფართოონ სოციალური წრე. დღეს გადაუდებელი ამოცანაა იმ მშობლებთან ურთიერთობა, რომელთა ბავშვები არიან განსაკუთრებული საჭიროებების მქონენი. ასეთი ბავშვების მშობლები, მასწავლებლებთან ერთად ჩართული არიან ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმების შემუშავებაში, აფასებენ და ამტკიცებენ მას, ახდენენ გადაფასებებს.

საბავშვო ბაღი შეიძლება იყოს იზოლირებული შენობა, მაგრამ უფრო ხშირად ეს არის რამდენიმე ოთახი, მაღალი შენობის ან კერძო სახლის პირველ სართულზე, რომელიც ღიაა ბავშვებისათვის რამდენიმე საათით დღეში.
ჩვილი ბავშვები არიან ცალკე. ერთი ზრდასრულზე / აღმზრდელზე - 3 ბავშვი მოდის, ხოლო 2 წლის ზემოთ ასაკისათვის, ეს თანაფარდობა უკვე არის 1/ 8-თან - მაქსიმუმ 12-თან. ჯგუფში არის 8, მაქსიმუმ 12 ბავშვი ხშირად სხვადასხვა ასაკის და მათთან მუშაობს ორგანიზაციის ერთი აღმზრდელი, ან შეიძლება ორი ერთდროულად. ერთი ჯგუფის ყველა ბავშვი მთელი დღის განმავლობაში არიან ერთსადაიმავე ოთახში - აქ ისინი მეცადინეობენ, თამაშობენ, ჭამენ და ძინავთ. ბავშვების განკარგულებაშია უსასრულო რაოდენობის სათამაშოები და აქსესუარები შემოქმედებისათვის. ძილისათვის გათვალისწინებულია რბილი ლეიბები, რომელზეც ბავშვებს შეუძლიათ წამოწვნენ, დაისვენონ, თუ სურვილი აქვთ ჩათვლიმონ. ამერიკულ

საბავშვო ბაღებში არ აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული დრო ძილისათვის, არ არის საწოლი, თეთრეული, არის შესაძლებლობა გაიხდონ და ისე დაძინოს საძილე სამოსში. მეორეს მხრივ, თუ ეს აუცილებელია ბავშვისათვის და ის მოდუნდა, მას არა მხოლოდ ზღაპარს წაუკითხავენ, არამედ ხელსაც მოკიდებენ, გაამხევებენ და გვერდითაც მიუწვებიან. ძილის დროს ბავშვი თავად შეარჩევს, აღმზრდელები მას მხოლოდ დაეხმარებიან, თუ დაინახავენ, რომ ის გადღლილია ან აღგზებულია.

ამრიკელებისათვის მოდურია ჯანსაღი კვება. ბავშვები მიირთმევენ იმას, რაც მოუმზადეს და მოუტანეს მშობლებმა. უფრო მეტად წასამხესებელი პროდუქტი.

საშუალო სტატისტიკური მონაცემებით ტიპიურ კერძო საბავშვო ბაღებში - ფლორიდაში, ორგანული საკვებსაც კი არ აქვს სუნი, საკვებად აქვთ თევზი, ქათმის ჩხირები, პიცა, ზოგჯერ ჩაშუშული ქათამი ბრინჯით. ასევე აძლევენ მოთუშულ ბოსტნეულს და კონსერვირებულ ხილს. ეს არის მხოლოდ სადილზე. ბევრ ბაღებში საერთოდ არ არის საუზმე, მაგრამ Sneks (მეორე საუზმე შუადღეს) აძლევენ მშრალ ნამცხვარს და დაახლოებით 150 გრამ წვენს. ფლორიდის კანონით 3 წლიანების ჯგუფში არის 15 ბავშვი და ერთი აღმზრდელი (ძიძის გარეშე). 3 წლიანებისათვის მთელი დღით (5 დღე კვირაში) გადასახდელი არის 110-250 დოლარი კვირაში **http: //edulive. ge/geo/news/story/67283-presaskolo-ganatlebis-evro-amerikuli-gza-).**

5. 2. სკოლამდელი განათლების სისტემა გერმანიაში

სკოლამდელი აღზრდის ისტორიული ასპექტები. გერმანიაში პირველი საბავშვო დაწესებულება გამოჩნდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში. მისი მთავარი ფუნქცია იყო ინდუსტრიულ მუშაკთა ბავშვებზე ზრუნვა, სანამ ისინი სამსახურში იმყოფებოდნენ. მშობლები არ იყვნენ დაინტერესებული ბავშვებთან განხორციელებული სასწავლო პროგრამით.

1840 წელს ფ. ფრებელის ისნტრუქციის შესაბამისად შეიქმნა საბავშვო ბაღები, რომელიც თავიდანვე პედაგოგიური თვალსაზრისით ორიენტირებული იყო ბავშვის გონებრივ და ემოციურ აღზრდაზე, რითაც ის ძალიან განსხვავდებოდა ადრე არსებული სკოლამდელი

დაწესებულებებისაგან. ფ. ფრებელის იდეით საბავშვო ბაღებს უნდა შეევსო ცოდნის ის დონე, რომელსაც ბავშვები იღებდნენ ოჯახებში და ხელი შეეწყო მათი შემოქმედებითი და სოციალურ განვითარებისათვის.

საბავშვო ბაღების საქმიანობა ფრებელის სისტემით გაგრძელდა 1933 წლამდე, ვიდრე საქველმოქმედო სოციალური ორგანიზაციები ზრუნავდნენ მათზე. მესამე რაიხის დროს ქალებს ეკრძალებოდათ მუშაობა, შესაბამისად საბავშვო ბაღების უმრავლესობამ შეწყვიტა საქმიანობა. მაგრამ მალე შეიარაღების ინდუსტრიაში, როდესაც საჭირო გახდა ქალი მუშახელის გამოყენება კვლავ აღდგა საბავაშვო ბაღების სისტემა და მან, ისევ გააგრძელა განვითარება.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში სხვადასხვა სახის სკოლამდელი განათლების სისტემა განვითარდა. ახალი სახით სკოლამდელი დაწესებულებების შექმნა აღმოსავლეთ გერმანიაში დაიწყო 1945 წელს, რომლებიც მოიაზრებოდა, როგორც მოსამზადებელი დაწესებულებები. 1965 წელს სკოლამდელი დაწესებულებები შევიდა განათლების სისტემის დაქვემდებარებაში. მას შემდეგ, რაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიწყეს ზრუნვა ბავშვთა უფლებებზე და მიიღეს კანონი ყველა ბაშვის სავალდებულო სკოლამდელი განათლების შესახებ, რესპუბლიკაში მცხოვრებ 3-დან 6 წლამდე ასაკის ყველა ბავშვებს ჰქონდა შესაძლებლობა ევლოთ საბავშვო ბაღში. მშობლებს, რომელთაც სურვილი ჰქონდათ ბავშვები ეტარებინათ ბაღში, შეეძლოთ ისინი მთელი დღე დაეტოვებინათ, საფასური იყო ძალიან მცირე, თითქმის ერთი სადილის ფასი. დარჩენილი ხარჯები ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საბავშვო ბაღების პერსონალთა ფუნქციები განსაზღვრული იყო ერთიანი სოციალისტური განათლების სისტემის კანონით. ამდენად, სკოლამდელი განათლება გადაეცა სახალხო განათლების სისტემას მმართველობაში და პირველად ქვეყნის ისტორიაში ის ითვლებოდა საგანათლებლო პროცესის საფეხურად.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1960 წელს აქტიურად განხილებოდა სკოლამდელი განათლებისა და დაწყებით სკოლის საკითხები. მიიღეს გადაწყვეტილება, რაც შეიძლება მეტი დაუცველი ოჯახის ბავშვს მისცემოდა შესაძლებლობა დაწყებითი განათლების მიღებისა. დაიწყო მსჯელობა, რომელ ასაკში უფრო სასარგებლო იქნება დაწყებითი განათლების დაწყება ხუთი წლიდან, თუ ექვსი წლიდან. სამეცნიერო დაწესებულებების მხარდაჭერით შემუშავებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამები და განახორციელდა საპილოტე პროექტები. ამ დროიდან დაიწყო სკოლამდელი განათლების სისტემის განვითარება.

ომის შემდგომი პედაგოგიკა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიში ეფუძნება ჰიტლერის იდეოლოგიის უარყოფის პრინციპებს, რომელმაც განსაზღვრა სკოლამდელი განათლების ძირითადი მიდგომები. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ახალგაზრდა ოჯახებისათვის ინტენსიური დახმარების პოლიტიკა. მაგალითად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განსაკუთრებილი ყურადრება ეთმობოდა მშობლების მიერ ოჯახში ბავშვთა აღზრდის უფლებების დაცვას. აქედან გამომდინარე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სახელმწიფო არ ერეოდა სკოლამდელი განათლების აღზრდის საკითხებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბავშვთა ცნობიერების განვითარებას, მშვიდი გარემოს შექმნას, ავეჯის შერ-

ჩევას, შეზღუდული იყო ბავშვთა ინდივიდუალობა, მუშაობდნენ ერთიანი პროგრამებით. ამავე დროს, დაიწყო კრიტიკა სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშთა ჰიგიენასა და უსაფრთხოებაზე ნაკლები ყურადღების გამო, პედაგოგიურ პროცესში აღმზრდელთა პასიურობის გამო, ბავშვებსა და უფროსებს შორის ავტორიტარულ ურთიერთობებზე და სხვა.

1989 წელს გერმანიის გაერთიანების შემდეგ უპირატესობა მიენიჭა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლების სისტემას. ამასთან ერთად ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიაში, მომზადებული კადრის ჭარბი რაოდენობა იყო, მაშინ როდესაც ყოფილი დასავლეთ გერმანიის საბავშვო ბაღებში - კომპეტენტური მასწავლებლების ნაკლებობა იგრძნობოდა. ამ საკითხის დარეგულირებისათვის გამოძებნეს ასეთი გამოსავალი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მასწავლებლებს აძლევდნენ კომპესაციას, იმისათვის რომ უარი ეთქვათ პედაგოგიურ საქმიანობაზე.

სკოლამდელი განთლების სტურუქტურა. 1957 წლიდან დასავლეთ გერმანიაში მოქმედებს კანონი საბავშვო ბაღების თავისუფალი მომსახურების შესახებ. მათგან 20%-ზე ზრუნავს სახელმწიფო, 80% ეკუთვნის ეკლესიას, პროფკავშირებს, გერმანიის წითელ ჯვარს, ახალგაზრდულ და სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებს. მშობლები იხდიდნენ გადასახადის 50%-ს, დანარჩენს ფარავდნენ საბავშვი ბაღების მფლობელები.

გერმანიაში, არსებობს შემდეგი სახის სკოლამდელი დაწესებულებები:

- **Kinderkrippe** (creche) - სპეციალურად შექმნილი 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. ფასიანია და ფასი განსხვავებულია სხვადასხვა რეგიონში;
- საბავშვო ბაღები სრული ან არასრული დღით, რომელიც განკუთვნილია 3 - 6 წლის ბავშვებისათვის;
- ერთჯგუფიანი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (ძირითადად უფროსი ასაკის სკოლამდელებისათვის);
- სკოლის წინარე ჯგუფები (ხუთი წლის ბავშვებისთვის);
- ძირითადი სკოლის მოსამზადებელი კლასები, სადაც ასწავლიან 5 წლის ასაკის ბავშვებს;
- 24 საათიანი ინტერნატები, ჯანმრთელი ბავშვებისათვის 3 წლიდან 6 წლამდე;
- ინტერნატები ჯანმრთელობასა და განვითარებაში პრობლემების მქონე ბავშვებისათვის;
- ქალთა ცენტრები. დედები შვილებთან ერთად ჩართული არიან საინტერესო და სასარგებლო საქმიანობებში, ურთიერთობენ ერთმანეთთან და პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ექსქსპერტებთან.

გერმანიაში სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებელთა მომზადება მიმდინარეობს 5 წლის განმავლობაში და მოიცავს 3 ეტაპს.

პირველი ეტაპზე 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობს პრაქტიკული სწავლება, როდესაც მომავალ სპეციალისტებს ხელმძღვანელობს გამოცდილი პედაგოგი. ისინი უშუალოდ ჩართული არიან სკოლამდელი დაწესებულების ყოველდღიურ ცხოვრებაში და ასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს. ეს ეტაპი ეხმარება მათ თვითგამორკვევაში, გაარკვევენ სწო-

რად აირჩიეს, თუ არა პროფესია, შეიძენენ ბავშვებთან პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებას.

მეორე ეტაპი - 2 წლის თეორიული სწავლება, რომლის დროსაც სტუდენტები შეისწავლიან, ბავშვის ფსიქოლოგიას, სკოლამდელ პედაგოგიკას, ასაკობრივ ფიზიოლოგიას და სხვ.

მესამე ეტაპი - საბოლოო ერთწლიანი პრაქტიკა, როდესაც დამწყები სპეციალისტი მუშაობს გამოცდილ კოლეგასთან ერთად და ეუფლება პროფესიის უნარ - ჩვევებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმზრდელების გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზების სისტემა. თითოეულ აღმზრდელს ყოველწლიურად 5-6-ჯერ უტარდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი. ეს კურსი შეიძლება იყოს საკმაოდ ხანმოკლე (1-3 დღე) და შეიძლება იყოს ხანგრძლივი (2 კვირამდე). კურსი ეხება მასწავლებლის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს - მშობლებთან მუშაობა, ბავშვის განვითარებაზე დაკვირვების პრინციპები, დიაგნოსტირება, სპეციალური საგნები - მაგალითად, როგორ ჩავატაროთ ექპერიმენტი საბაშვი ბაღში, ინტენსიური მუსიკალური თამაშების ჩატარება, ან ტურების ორგანიზება, მოძრავი თამაშები და ა. შ. ამდენად, მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა რეგულარულად (ყოველ 2 თვეში ერთჯერ), სამუშაოდან მოუწყვეტლივ აიმაღლოს კვალიფიკაცია, გაეცნოს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინოვაციებს, დანერგოს ბავშვის სწავლებისა და განვითარების ახალი მეთოდები, და რაც მთავარია გაუზიაროს კოლეგებს ახალ-ახალი იდეები.

საერთოდ მთელს ბაღში მუშაობს 7-10 მასწავლებელი და 1-2 სტაჟიორი. თითოეული ოთახში ბავშვებთან არის 2 მასწავლებელი, რომლებიც თვალს ადევნებენ ბავშვებს. საჭიროების შემთხვევაში სთავაზობენ საინტერესო დავალებებს და შესაბამისად წარმართავენ ბავშვების საქმიანობას, რთავენ სპორტული თამაშების ნებას. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ტრადიციული ჯგუფები, მასწავლებლები ზრუნავენ გარკვეული რაოდენობის ბავშვებზე და პასუხისმგებელნი არიან მათზე. თითოეული მასწავლებელზე „მიმაგრებული“ არის 20-25 სხვადასხვა ასაკის ბავშვი. აღმზრდელები აკვირდებიან თავიანთ ბავშვებს, აკონტროლებენ ბაღში მათ საქმიანობებს, საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები. მაგ., თუ ბავშვი ირჩევს ერთსა და იმავე დავალებას/აქტივობას და იგნორს უკეთებს დანარჩენს, აღმზრდელი ტაქტიანად გადართავს ბავშვის ყურადღებას სხვა აქტივობაზე, მაგრამ საბოლოო არჩევანი მაინც ბავშვს ეკუთვნის.

გერმანიის საბავშვო ბაღების განმასხვავებელი მახასიათებლი არის ის, რომ მათ არ აქვთ მაკონტროლებელი ინსტრუქციები. ბავშვთა დაწესებულებები თავიანთი საქმიანობების შესახებ ანგარიშვალედებული არ არის სახელმწიფო ორგანოების მიმართ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი აღმზრდელთა შრომის ორგანიზებისათვის, იმდენად რამდენადაც არა არსებობს კონტროლი, ერთის მხრივ ეს ზრდის აღმზრდელების დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობას, ხოლო მეორეს მხრივ - აღმზრდელები ორიენტირებული არიან ბავშვების საგანმანათლებლო მუშაობაზე და არა მაკონტროლებელ კომისიაზე.

მუშაობის მიზანი და მიმართულებები. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს კარგად ესმით, რომ დღეისათვის ისინი არიან გერმანიის განათლების სისტემის განუყოფელი ნაწი-

ლი. 1990 წელს მიღებული კანონის შესაბამისად, სკოლამდელი დაწესებულებების **ძირითადი მიზნებია:**

- ბავშვების განვითარება;
- მის პიროვენაბაზე ზრუნვა;
- ბავშვის აღზრდა და განათლება.

სკოლამდელი განათლების სფეროში არ არის გათვალისწინებული:

- თუ რა ცოდნა უნდა მიიღოს ბავშვმა;
- ყოველკვირეული საათობრივი დატვირთვა;
- არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული სასწავლო გეგმა.

საბავშვო ბაღებში 3-დან 6 წლამდე ბავშვებთან მუშაობისათვის გათვალისწინებული საგანმანათლებლო საქმიანობები მიზნად ისახავს სულიერი, ფიზიკური, ემოციური და სოციარული კომპეტენციების განვითარებას და მიმდინარეობს **შემდეგი მიმართულებებით:**

- მეტყველების განვითარება, ასოების გაცნობა, კომუნიკაცია;
- პიროვნული და სოციალური განვითარება, ზნეობრივ ღირებულებებზე ზრუნვა / რელიგიური აღზრდა;
- ელემენტარული მათემატიკის, ბუნებისა და ტაქნოლოგიების საფუძვლების გაცნობა (მათ შორის საინფორმაციო);
- მუსიკალური აღზდა / მედიასთან ურთიერთობა;
- მოძრაობა, ჯანმრთელობა და ადამიანის ორგანოები;
- ცოცხალი და არაცოცხალი გარე სამყარო.

საინტერესო ფაქტები. სკოლამდელი განათლება გერმანიაში არ არის პოპულარული. „ბავშვებს ასწავლიან სკოლაში“ - ასე ფიქრობენ გერმანელი დედები. „მოთამაშეთა ჯგუფებში“, სადაც ბავშვები მოჰყავთ დღეში რამდენიმე საათით, არ აძლევს მშობლებს შესაძლებლობას დაისვენონ პატარასაგან. აქ ბავშვები მოჰყავთ მშობლებს ან ძიძებს. მანამ სანამ ბავშვები საუბრობენ და თამაშობენ, მშობლები სვამენ ჩაის, უმასპინძლდებიან სახლში გამომცხვარი ნამცხვარით და ხანგრძლივად საუბრობენ.

საბავშვო ბაღები გერმანიაში - თითქოსდა არის პატარების კლუბი, რომელიც იღება ძალიან ადრე და მუშაობენ ყველაზე გვიან 2 საათამდე. ბაღში ბავშვები არ სადილობენ. ითვლება, რომ ასეთი მნიშვნელოვანი რიტუალი უნდა შესრულდეს მხოლოდ ოჯახში, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი თავს იგრძნობს ოჯახიდან მოწყვეტილად. ბავშვზე ზრუნვასა და მის აღზრდაში მთავარ როლს თამაშობენ დედები, ან უკიდურეს შემთხვევაში ძიძები. საბავშვო ბაღი არის მეორე ადგილზე, მაგრამ მისი მნიშვნელობა არ შეედრება დედის როლს.

გერმანიაში, ბავშვები (8 წლის ასაკისიც კი) საერთოდ არ უყურებენ ტელევიზორს, იმიტომ, რომ ის სახლში არ აქვთ, არამედ მშობლები მხოლოდ მაშინ ჩართავენ, როდესაც ბავშვებს სძინავთ. გერმანელები მკაცრად იცავენ წესებს: რაც უფრო გვიან დაიწყებს ბავშვი ტელევიზორის ცქერას, მით უკეთესია მისი ჯანმრთელობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში არის საბავშვო სატელევიზიო გადაცემები, მხოლოდ მშობელთა მცირე ნაწილი აძლევს ბავშვებს უფლებას უყურონ ტელევიზორს, მხოლოდ 15-30 წუთის განმავლობაში. შესაბამისად, ზემოთხსენებული, ბავშვები თითქმის მთელი დღე არიან სახლში: თამაშობენ სათამაშოებით, ხატავენ, უსმენენ მუსიკას ან დაკავებული არიან სპორტული თამაშებით.

გერმანიაში, ისე როგორც ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში, ხელისუფლება ძალიან სერიოზულად და პასუხისმგებლობით ეკიდება ბავშვთა უფლებების დაცვას. ბავშვებმა იციან საკუთარი უფლებები, რომელთაც მათ ბაღში ასწავლიან. მშობლებს ეკრძალებათ, მაგალითად: ბავშვების ცემა, შეურაცხყოფა, დასჯა, ბავშვზე ყვირილი და სხვა.

გერმანული საგანმანათლებლო სისტების მთავარი პრინციპია: არ გადავტვირთოთ ბავშვები.

5.3. სკოლამდელი განათლების სისტემა დიდ ბრიტანეთში

ისტორიული ასპექტები. მე -18 საუკუნის ბოლოს დაიწყო სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლების მხარდაჭერა, რომლის შესახებაც წინა პარაგრაფებში ვისაუბრეთ . 1996 წელს მიღებული იქნა კანონი სკოლამდელი განათლების სისტემის შესახებ. 1997 წელს განხორციელდა ადრეული განათლების რეფორმა, ხოლო 1998 წელს - სკოლის მოსწავლეთა სტანდარტის კანონმა განსაზღვრა სკოლამდელი განათლების ახალი მოთხოვნები. ადრეული განათლება განისაზღვრა , როგორც განათლების ცალკე საფეხური 3-დან 5 წლამდე ბავშვებისათვის.

სტრუქტურა და განყოფილებები. დიდი ბრიტანეთის განათლების სისტემა დაყოფილია ქვესისტემებად: ინგლისი და უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია, შოტლანდია.

სახელმწიფო (მუნიციპალური) და კერძო ბაღები. ბავშვები 3-დან 5 წლამდე დადიან საბავშვო ბაღებში, მათი ასაკის შესაბამის ჯგუფში. 5 წლიდან არის სავალდებულო განათლება „სკოლა პატარებისათვის“.

„საბავშვო ბაღები“ - 3-დან 5 წლამდე, აქ არის ბაღების კლასი, დღის კლასი, ოჯახების სათამაშო ცენტრები, დედათა და ბავშვთა კლუბები. ბავშვთა აღზრდისა და განვითარების ერთიანი პროგრამა არ არსებობს, თითოეული საბავშვო ბაღი მუშაობს თავისი პროგრამით. მუშაობის ხანგრძლობა არის დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

მიზანი და ამოცანები: დიდი ბრიტანეთის საბავშვო ბაღების ძირითადი **მიზანია** ბავშვებს განუვითარონ შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა და ჯგუფური მუშაობა. ბავშვის ბაღში მოყვანის პირველივე დღიდან ისინი აკვირდებიან თითოეული მათგანის შესაძლებლობებსა და ინტერესებს, რომლითაც იგეგმება თითოეული დღე.

ამოცანები :

- პიროვნული, სოციალური და ემოციური განვითარება;
- მათემატიკური შესაძლებლობების განვითარება;
- აზროვნების განვითარება;
- კომუნიკაციისა და მეტყველების უნარის განვითარება;
- ფიზიკური განვითარება;
- შემოქმედებითი განვითარება(წერა-კითხვა, მათემატიკა).
- მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში ადრეული გამოცდილება;
- ცოდნა და გარემოს პატივისცემა;
- ხელოვნება;
- სამყაროს აღქმა;

რაღაც უჩვეულო. დიდი ბრიტანეთის სკოლამდელ დაწესებულებებში არ არსებობს აუცილებელი ჯგუფური სამუშაოები, ინტელექტუალური განვითარება ხორციელდება თამაშის გზით. დიდი ყურადღება ეთმობა სათამაშოების შერჩევას და თამაშისათვის (როლური, დრამატული)აუცილებელ აღჭურვილობას. მეცადინეობენ დამოუკიდებლად, მთელი დროის მხოლოდ 15% ეთმობა ჯგუფურ სწავლებას, არ აქვთ წყნარი საათი, აქვთ სპეციალური ფრომა და ხისტი დისციპლინა, უმნიშვნელო დაგვიანებაზე მშობელმა უნდა დაწეროს ახსნა - განმარტება ბავშვის გაცდენისათვის (რა მიზეზითაც არ უნდა იყოს). 3 წლიდან მშობლები ღებულობენ ფინანსურ დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან ვაუჩერების სახით, რომელიც უფლებას აძლევს ბავშვს გაიაროს კვირაში 5 უფასო სესია ნებისმიერ ბაღში. სესიის ხანგრძლივობაა - 2,5 საათი. სახელმწიფოს ასეთი ფინანსური თანამშრომლობა, მშობლებს ბევრად უმსუბუქებს ცხოვრებას: თქვენ შეგიძლიათ ბავშვი საბავშვო ბაღში 2.5 საათით მიიყვანოთ და არაფერი გადაიხდოთ, ან და ფული ჩარიცხოთ სრულ განაკვეთზე, სრულ დღეზე და გამოაკლდება სრულ ანგარიშს. თუ თქვენ კერძო საბავშვო ბაღიდან ბავშვს არ გაიყვანთ დროულად, მოგიწევთ ზეგანაკვეთურის გადახდა.

ბრიტანეთის საბავშვო ბაღებში ბავშვები ყოველ დილით ტყეში და პარკებში გადიან, სადაც მათ შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება. ამით ისინი ხელს უწყობენ ბავშვების გარემოში ადაპტაციას.

5.4. სკოლამდელი განათლების სისტემა საფრანგეთში

სკოლამდელ დაწესებულებებს საფრანგეთში ჰქვია école maternelle. ევროპის მრავალი ქვეყნისგან განსხვავებით სკოლამდელი დაწესებულებები სრულადაა დაფინანსებული 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებში. ბავშვის ბაღში შეყვანა არ არის სავალდებულო.

საფრანგეთში სკოლამდელი დაწესებულებების სამი კატეგორიაა:

***-pre-school, პატარების სექტორი* =** école maternelle (3 -4 ასაკის)

***-pre-school, საშუალო სექტორი* =** école maternelle (4 -5 ასაკის)

-pre-school, დიდების სექტორი = école maternelle (5- 6 ასაკის)

სკოლამდელი დაწესებულებები იღება 8:30-ზე და იხურება 4:20-ზე. ბავშვები ბაღში ყოველ დღე დადიან გარდა ოთხშაბათისა და შაბათ-კვირისა. ლანჩი დაახლოებით 2 საათს გრძელდება, ბავშვებს ბევრი დრო აქვთ სათამაშოდ და დროის ეზოში გასატარებლად.

ბავშვების ჯანსაღი საკვებით გამოკვებას ფრანგები დიდი სერიოზულობით ეკიდებიან. საფრანგეთში ზოგადად ნელა ჭამენ, მცირე პორციებით და ლანჩისთვის უფრო მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამ ტრადიციას ფრანგები ბაღიდანვე აჩვევენ ბავშვებს. შესვენების ასეთი ხანგრძლივობის გამო ყველა ბავშვი ბაღში არ ჭამს, ზოგჯერ მათ მშობლები აკითხავენ და მიჰყავთ. თითოეული პორცია დაახლოებით 3,50-დან4,25-მდე ღირს, შესაძლებელია თანხის ყოველთვიურად წინასწარ გადახდა.

ყოველ სამ თვეში ბავშვებს ბაინდერები მიაქვთ სახლში, რომელშიც თავმოყრილია, თუ რას აკეთებდნენ ისინი მთელი ამ დროის განმავლობაში. მშობლებს შეუძლიათ თავიანთი შვილის პროგრესს თვალი მიადევნონ. აქცენტირებულია ბავშვის კალიგრაფიაზე მუშაობა. ბავშვები სწავლობენ წერას, ცხოველების აღწერას, სიტყვების ცნობას, თვლას.

ბავშვებს ასწავლიან როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ მუშაობას. თუ ბავშვი პროგრამას ვერ ითვისებს, მასთან ინდივიდუალურად მუშაობენ. საბავშვო ბაღის დამთავრებისას ბავშვს უნდა შეეძლოს:

- სხვების გაგება;
- შეკითხვის დასმა და საკუთარი აზრის დაფიქსირება;
- ტექსტების გაგება, როდესაც უკითხავენ;
- მარტივი სიტყვების წერა;
- ბავშვებთან და დიდებთან ურთიერთობა;
- ემოციის გამოხატვა ჟესტებით და მოქმედებებით;
- ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეების ნაწილების ცნობა;
- გეგმის შედგენა;
- სიმღერების დამახსოვრება და ინტერპრეტაცია.

პარიზში ბაღების უმრავლესობაში ერთნაირი პირობებია მიუხედავად იმისა, თუ რომელ უბანში არიან ისინი. ბაღები, სადაც გაჭირვებული ოჯახის ბავშვები დადიან იგივე პირობებშია, როგორშიც ის ბაღები, სადაც შეძლებული ოჯახის ბავშვები სწავლობენ. თითოეულ ბაღში მაღალი კვალიფიკაციის მქონე, ერთნაირი ანაზღაურების მქონე მასწავლებლები ასწავლიან.

იგივე შეგვიძლია ვთქვათ ევროპის ისეთი ქვეყნების შესახებ როგორიცაა ინგლისი, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები. 4 წლის ასაკში თითქმის ყველა ბავშვი დადის საბავშვო ბაღში. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ბერძენი ბავშვების 70%, ესპანელი ბავშვების 80%-ზე მეტზე და გერმანიის, დანიისა და იტალიის 90%-ის შესახებ.

5.5. სკოლამდელი განათლება თურქეთში

ისტორიული ასპექტები. თურქეთში არსებული განათლების სფეროსა და ბავშვთა აღზრდის საწყის პერიოდად ითვლება XIX საუკუნის დასაწყისი. პირველი კანონპროექტი წესებისა, რომელიც არეგულირებდა დამოუკიდებელი სკოლამდელი დაწესებულების მუშაო-

ბას, ქვეყანამ მიიღო 1915 წელს, ხოლო 1961 წელს ეროვნული განათლების სამინისტროს ფარგლებში (ახალი კანონი განათლების შესახებ), ღიად დაიწყეს საუბარი ბავშვთა ადრეული განათლების სისტემის განვითარების აუცილებლობაზე.

ქვეყანში სკოლამდელი განთლების სტრუქტურა. 1992 წელს სამინისტროს სტრუქტურაში გამოჩნდა სკოლამდელი განათლების მთავარი სამმართველო. ეს განყოფილება პასუხის-მგებლობას იღებს თურქეთში სკოლამდელი განათლების განმავითარებელი პროგრამების დარეგულირებას, კონტროლსა და ხელშეწყობაზე. არსებობს ბავშვთა დაცვისა და სოციალუ-რი უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოც.

3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების სკოლისათვის მომზადება მიმდინარეობს საბავშვო ბა-ღებში, მოსამზადებელ კლასებში, ბაგებში, ბავშვთა დღის მოვლის სახლებში.

კერძო განათლების სისტემამ თურქეთში აქტიურად დაიწყო გავითარება 1869 წელს. დღე-ისათვის ის წარმოდგენილია სასწავლო დაწესებულების ყველა ტიპით განათლების ყველა საფეხურზე, მათ შორის საბავშვო ბაღებით. მათი საქმიაობა დარეგულირებულია კანონით კერძო სასწავლებლების შესახებ, რომელიც 1965 წლის 8 ივნისს მიიღეს. სკოლამდელი გა-ნათლების პროგრამების ფასიანი ფორმები პირველად შემოვიდა 1953 წელს.

თურქული საბავშვო ბაღის თანამშრომლები ძირითადად არიან პედაგოგები, რომლებიც აუცილებლად არიან უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ბავშვის განვითარების ან სკო-ლამდელი განათლების სპეციალობით. შტატით დაწესებულებას კიდევ ჰყავს მძღოლი, ექი-მი, მზარეული, დარაჯი, ტექნიკოსი.

საბავშო ორგანიზაციების მიზანი და მუშაობის მიმართულებები. თანამედროვე სკოლამ-დელი განათლების პროგრამა, რომელსაც ახორციელებს თურქეთის სახელმწიფო და კერძო საბავშვო ბაღები, მიმართულია ბავშვების სასკოლო მზაობისაკენ. თურექეთში სკოლამდელი განათლება სავალდებულო არ არის. ამავდროულად, ის სავალდებულოა ფიზიკური და ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის. ყველა ასეთ ბავშვს აქვს ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმა, ამავე დროს მშობლები მუშაობენ მას-წავლებლებთან ბავშვის განვითარების ყოველ ეტაპზე.

საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამები თურქულ სკოლამდელ დაწესებულებებში საკმაოდ მრავალფეროვანია და მდიდარია შინაარსით. გარდა ამისა, დიდ ყურადღება ეთმო-ბა მუსიკის, წიგნიერებისა და კითხვის გაკვეთილებს, ბავშვების თამაშს, ვიზიტებს თეატრსა და კინოში, კოსტუმირებული ღონისძიებებისა და თემატური საღამოების ჩატარებას. თუმცა თურქეთის თანამედროვე საბავშვო ბაღების პროგრამებში არ შედის კონკრეტული საგნების სწავლება.

სხვადასხვა სკოლამდელი დაწესებულებების პროგრამები ერთმანეთისაგან გასხვავდები-ან (წარმოდგენილია ჯგუფები სრული დღით და ასევე ჯგუფები არასრული დღით, პრაქტი-კაშია შემოსული საათობრივი მეცადინეობები და თამაშები). მთელ რიგ დაწესებილებებში გათვალისწინებულია დედისა და შვილის ერთობლივი ყოფნა.

გასაკუთრებულობა. სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლების გაუმჯობესებისათვის ერთ-ერთი მიზანია ხელმოკლე ოჯახების ბავშვებისათვის ხელშემწყობი სასწავლო გარემოს შექმნა. ამ მიზნის განხორციელების ფარგლებში პროვინციალურ რაიონებში, სადაც არსაკმა-

რისი რაოდენობის სახელმწიფო ბაღებია, პრიორიტეტი ეძლევა ღარიბი და დაუცველი ოჯახის შვილებს.

5.6. სკოლამდელი განათლება კანადაში

ისტორიული ასპექტები. კანადის განათლების მრავალფეროვანი და რთული სისტემის თავისებურებები მეტწილად მისი გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნება. მიუხედავათ იმისა, რომ კანადა ერთ - ერთი უდიდესი ქვეყანაა მსოფლიოში, ის ნაკლებად დასახლებულია. მისი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, 30 მილიონი, ცხოვრობს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრის გასწვრივ. მოსახლეობის არათანაბარმა გადანაწილებამ რეგიონებში, თავისი დაღი დაასვა ქვეყნის განათლების სისტემის განვითარებას. თითოეულ რეგიონს ჰყავს თავისი ხელმძღვანელობა და საკაკონმდებლო ორგანოები. კონფედერაციის შექმნის დროს გადაწყდა, რომ განათლება რეგიონალური მთავრობის პრეროგატივაა. ვსაუბრობთ რა კანადის განათლების სისტემაზე, ფაქტიურად საქმე გვაქვს 13 დამოუკიდებელ მომქმედ სისტემასთან.

2001 წელს კანადამ განათლების სისტემის განვითარებისათვის დახარჯა მთლიანი ეროვნული შემოსავლის 7,3 %, მაშინ როდესაც ამ დროსისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიხარჯა - 6,8 %, გერმანიაში - 5,7 %, იაპონიაში - 4,9%.

ტერმინი „დაწყებითი სკოლა“ კანადაში მოიცავს სკოლამდელ და დაწყებით განათლებას. რეგიონებისა და ტერიტორიების უმეტესობაში მუშაობს 1-2 წლიანი მოსამზადებელი პროგრამები 4-5 წლიანებისათვის. ზოგიერთ რეგიონში სკოლამდელი გენათლებას აფინანსებს და ადმინისტრირებას უწევს სოციალური უზრუნველყოფის სამნისტრო. სკოლამდელი განათლების პრაქტიკულად განხორციელების საქმეში კანადა ითვლება პიონერად. 1885 წელს ონტარიოს მთავრობამ პირველად ჩრდილოეთ ამერიკის ისტორიაში შეიყვანა სკოლამდელი განათლება რეგიონის (პროვინციის)განათლების სისტემაში. უკვე 1900 წელს ონტარიოს 166 სკოლამდელ დაწესებულებაში სწავლობდა 11 ათასზე მეტი ბავშვი. პირველი სკოლები კანადაში, რომლებიც შეიქმნა ფრანგული კათოლიკური ეკლესიის განკარგულებით, თარიღდება მე-17 საუკუნის დასაწყისით. უმაღლესი სასწავლებელი გამოჩნდა 1635 წელს ქვებეკში. მას შემდეგ რაც კანადა საფრანგეთის იურისდიქციიდან გადავიდა ბრიტანეთის იურისდიქციაში, უკვე გაჩნდნენ სასულიერო, სახელმწიფო და კერძო სკოლები.

სტრუქტურა და განყოფილებები. სკოლამდელი განათლება კანადაში ვრცელდება 8 თვის ასაკიდან და სავალდებულოა სასკოლო ასაკამდე. ონტანიოს რეგიონში (პროვიციაში) ასაკი შემცირებულია 3 წლამდე, სადაც ბავშვებს შეუძლიათ ისწავლონ რეგულარულად. არსებობს სკოლამდელი განათლების უამრავი პროვაიდერები. მათ შორისაა სკოლები (საბავშვო ბაგა--ბაღები, დაწყებითი სკოლების კლასები ბავშვებისათვის) და მოხალისე მშობლების ჯგუფები და კერძო პირების ჯგუფები. თუ მოთხოვნა აჭარბებს ადგილების რაოდენობას, მაშინ ისტიტუციები მიმათავენ ჩარიცხვის პოლიტიკას. სკოლების მართვის ორგანოებს თავისუფლად შეუძლიათ შექმნან საბავშვო ბაღებში ჩარიცხვის სისტემა.

მშობლებს აქვთ არჩევანის შესაძლებლობა, სად წაიყვანონ თავისი შვილი: კერძო, თუ საჯარო საბავშვო ბაღში, რომლებიც თავად განსაზღვრავენ ჩარიცხვის პოლიტიკას. სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსების წესების შესაბამისად, ადრეული განათლების ყველა პროვაიდერი ვალდებულია შესთავაზოს წინასასკოლო მომზადების მინიმუმ 33 კვირიანი სესიები. როგორც წესი, სასწავლო წელი იწყება სექტემბერში და მთავრდება ივლისში. იგი იყოფა სამ სემესტრად. ისევე როგორც დაწყებითი სკოლა ისინიც მუშაობენ 38 კვირა. დღის საბავშვო ბაღები, როგორც წესი მუშაობენ მთელი წელი. აღმზრდელი შეიძლება იყოს როგორც უმაღლესი განათლებით, ასევე განათლების გარეშე.

კანადაში, არსებობს ორი სახის საბავშვო ბაღები - სახელმწიფო და კერძო. სახელმწიფო საბავშვო ბაღებში მომსახურება და აღზრდა-განვითარება უფასოა. მაგრამ აღჭურვილობა მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში, რბილად რომ ვთქვათ, ასკეტურია. ბავშვებს სძინავთ იატაკზე იმავე ადგილას, სადაც თამაშობენ. საკვებს საბავშო ბაღებში არ ამზადებენ - ბავშვები მიირთმევენ მას, რასაც მშობლები სახლიდან გამოატნევენ. ბაღში შესაძლებელია შეხვდეთ ბავშვებს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან, იმდენად, რამდენადაც კანადა არის ემიგრანტების ქვეყანა. სახელმწიფო საბავშვო ბაღებში ძირითადად მუშაობენ ემიგრანტები ყოველგვარი სპეციალური განათლებით. ბავშვების მიმართ დამოკიდებულება საკმაოდ ტოლერანტულია, არ არსებობს კარგი და ცუდი, აქ ყველა კარგია. მშობლები დარწმუებული არიან, რომ მათ შვილს არც დაუყვირებენ და არც ცემენ, რაც არ უნდა დააშავოს.

არსებობს კერძო საბავშვო ბაღები. კერძო საბავშვო ბაღებში ბავშვის განთავსება ღირს 25-დან 30-მდე დოლარი დღეში. ამ ბაღების უპირატესობა არის იმაში, რომ მშობელს შეუძლია ბავშვი ატაროს არა ყოველდღე, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა სჭირდება. კერძო საბავშვო ბაღში ბავშვს უვლიან, როგორც საკუთარს. ბავშვები ერთად თამაშობენ, ერთობიან მუსიკით, კვება არის ძალიან კარგი, მხოლოდ ბუნებრივი და ხარისხიანი პროდუქტებით. როგორც წესი, ასეთი ბაღები განთავსებულია კერძო სახლებში, ისინი კარგად არიან აღჭურვილი. ჯგუფში არის, არაუმეტეს 5-7 ბავშვი. ასეთ ბაღებში ჩვეულებრივად მუშაობს 2-3 ადამიანი სპეციალური განათლებით. ისინი ძალიან აფასებენ ბაღის რეპუტაციას.

მიზანი და ამოცანები:

- პიროვნული, სოციალური და ემოციური განვითარება;
- კომუნიკაცია, ენა და წიგნიერება;
- მათემატიკური შესაძლებლობების განვითარება;
- აზროვნების განვითარება;

- ფიზიკური განვითარება;
- შემოქმედებითი განვითარება.

ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, რომლებიც დაფინანსებული არის მთავრობის მიერ, დირექციასა და აპარატის თანამშრომლებს უფლება აქვთ თავისუფლად შეარჩიონ სწავლების მეთოდები და საჭირო მასალები ინტელექტის განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კანადაში სკოლამდელი განათლება სავალდებულო არ არის, ბოლო წლებში მან მასობრივი ხასიათი მიიღო. რეგიონებშიც ამ საფეხურის მომსახურებით სარგებლობს ბავშვების 90%. კანადაში, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სკოლამდელი დაწესებულებების მიზანია მოამზადოს ბავშვი დაწყებით სკოლაში სწავლებისათვის.

სკოლამდელი კლასი. სკოლაში არის რამდენიმე (უმცროსი და უფროსი) სხვადასხვა ასაკის და მულტიკულტურული სკოლამდელი კლასი: ეს ნიშნავს, რომ აქ დადიან ბავშვები, რომლებიც დაიბადნენ არა მარტო კანადაში, ასევე ავროპასა და აზიაში. ბავშვები, რომელთა გარკვეული ნაწილი, ჯერ კიდევ ვერ საუბრობენ ინგლისურ ენაზე განვითარების დონე ყველას რა თქმა უნდა, სხვადასხვა აქვს. ერთი ბიჭი - ცერებრალური დამბლით არის, მაგრამ კარგად განვითარებულია ინტელექტუალურად, ორი - გონებრივად ჩამორჩენილია, მათთან იმართება ინდივიდუალური სესიები, მაგრამ ზოგიერთ აქტივობებზე, როგორიცაა სპორტი, ცდილობენ ისინი ჩართონ ზოგადად ჯგუფის საქმიანობაში. ყველა ბავშვი - ძალიან აქტიურია, ყველა დაკავებულია რაღაც საქმით. იგრძნობა, რომ ყველაფერი რაც ხდება მათთვის საინტერესოა და ამავე დროს ჩვეულებრივი. ბავშვები აკეთებენ იმას, რაც სურთ, მაგრამ ჭირვეულ და ცუდი ქცევის ბავშვებს ქუჩაში ვერ შეხვდებით.

განსაკუთრებული სკოლამდელი განათლების სისტემა კანადაში არ არსებობს. „არა“-ს გამოყენება ბავშვთან აკრძალულია. განათლების ძირითადი პრინციპი კანადაში, არის მკაცრი წესებისა და რეჟიმის არ არსებობა. კანადაში ცდილობენ აღზარდონ თავისუფალი პიროვნება, რომლის განვითარებაში აქცენტი კეთდება თავისუფალ აზროვნებასა და შემოქმედებაზე.

მიმართულებები. სახელმწიფო და კერძო საბავშვო ბაღებში ბავშვების მიღების საშუალო ასაკის არის 8 თვიდან 6 წლის ასაკამდე. კერძო საბავშვო ბაღი შეიძლება ეწვიოთ როგორც ყოველ დღე, ასევე შერჩევით - მშობლებისათვის მოსახერხებელი დღეს, ბავშვის განთავსების საშუალო ღირებულება დღეში 25 – 30 დოლარია. საბავშვო ბაღში ბავშვის მოწყობისათვის არ არის საჭირო რაიმე ცნობა, დოკუმენტები, უბრალოდ მოიყვანეთ თქვენი შვილი.

დღის განმავლობაში ბავშვთან თამაშობენ, მუსიკალურად ართობენ. როგორც წესი კერძო საბავშვო ბაღში დაკავებული არიან ადამიანები, რომლებსაც უყვართ თავისი საქმე. სადილზე ბავშვებს კვებავენ ხილით, ნატურალური წვენებით.

მახასიათებლები. **ფიზიკური დასჯა აკრძალულია.** საჯაროდ ფიზიკური დასჯით, თქვენ დიდ რისკზე მიდიხართ, რადგან შეუძლიათ გიჩივლონ და საქმეში ჩაერიოს პოლიცია. მაშინაც კი, როდესაც ფიზიკურ დასჯას ვერ ხედავს მეზობელი, რისკი მაინც არსებობს, რადგან შვილებმა შეიძლება მშობლებს უჩივლონ. ზოგჯერ მოზარდები მშობლებს აშანტაჟებენ კიდეც, რომ მასზე ინფორმაციას მიაწვდიან.

კანადაში 12 წლამდე ასაკის ბავშვების უმეთვალყურეოდ დატოვება აკრძალულია. ბავშვებთან ურთიერთობა კანადაში ასეთია, რომ ბევრი მშობელი ვერ უმკლავდება ბავშვის აღ-

ზრდას. მდგომარეობიდან სხვადასხვა გვარად გამოდიან. მაგალითად, არსებობს ძიძების აყავნის პრაქტიკა (მათ შორის სხვა ქვეყნის მოქალაქე), მათ შესთავაზებენ მუდმივ სამუშაოს - იცხოვრებს კანადელის ოჯახში. კანადელი მშობლებისათვის ერთ-ერთი სასარგებლო საშუალება - ძალადობის გარეშე შვილის აღზრდაზე არის წიგნი: **"1-2-3 Magic. Effective Discipline for children 2-12", Thomas W.Phelan, Ph.D**. მოკლედ, არსი შემდეგია. ბავშვის ქცევები იყოფა ნეგატიურად („შეჩერდი") და პოზიტიურად („დაწყება"). ნეგატიური ქცევის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება 1-2-3 მეთოდი. პოზიტიური ქცევის წასახალისებლად გამოიყენება: შექება; მოთხოვნების მშვიდად გაცხადება; სამზარეულოს ტაიმერი; მოგება/წაგება; ცხრილების, სქემების მომზადება, გრაფიკა; ბუნებრივი მოვლენები და ვარიაცია 1-2-3.

მეთოდი 1-2-3: საქმე იმაშია, რომ როდესაც მშობელი სიტუაციაზე კარგავს კონტროლს და ემოციებითაა ავსებული, ნაცვლად დასჯისა, ან მასზე ყვირილისა, ან მსგავსი ქმედებებისა (რომლებიც მიუღებელია), იგი ხმამაღლა იწყებს თვლას (ცივი ხმით). „ერთი" (ხანგრძლივი პაუზა). ბავშვი აგრძელებს ცუდ ქცევას. „ორი" ბავშვი აგრძელებს იგივე ქცევას. „სამი" თვლა შეიძლება გაგრძელდეს 3-მდე ან 5-მდე. თუ ბავშვი მაინც აგრძელებს იმავე ქცევას, მშობელმა შეიძლება გამოიყენოს დასჯა. დასჯის არსი შემდეგში მდგომარეობს - ჩამოერთვას უფროსებისგან ყურადღება და მარტოობა - ეკრძალება მეგობრებთან ყველანაირი კავშირი. ვარიაციები შეიძლებ იყოს სხვადასხვა ეს დამოკიდებულია სიტუაციაზე.

ადამიანის სივრცე პატივისცემას იმსახურებს. უცხო სხეულში შესვლა - ძალიან მიახლოება, შევიწროება, აგრესიის დემონსტრირება ან ტირილი არ არის მიღებული. მიღებულია მეგობრული დამოკიდებულება (ემიგრანტები ამბობობენ, რომ მათ კანადაში უსაფრთხოების შეგრძნება აქვთ). კანადელები გამოირჩევიან შემწყნარებლობითა და სიმშვიდით. კანადელებს შეუძლიათ სიამოვნებით დასვენება, ისინი აფასებენ თავისუფალ დროს და როდესაც აქვთ აუცილებად ისვენებენ. კანადაში ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში ასწავლიან ბავშვებს, რომ აუციებლად უნდა შეატყობინონ თუ ქუჩაში შეამჩნევენ რაიმე საეჭვოს ან უბედურ შეთხვევას.

ყველა ერთმანეთს მიმართავს სახელით, მიუხედავად ასაკში განსხვავებისა, სამსახურებრივი მდგომარეობისა, ზოგადად, კანადაში ერთმანეთის მიმართ ძალიან მეგობრულები არიან, ძალიან მაღალია ფემინიზმი. ქალთა დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვას კანადელი სპეციალისტები თვლიან ბევრი ოჯახების დაშლის მიზეზად. აღსანიშნავია, რომ კანადელი ოჯახების 20%-ში ბავშვი იზრდება ერთ მშობელთან.

5.7. სკოლამდელი განათლება კვიპროსში

ისტორიული ასპექტები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაული, რომელსაც სახელმწიფო აღნიშნავს, არის ბავშვთა დაცვის დღე. ეს არის დასვენების დღე კვიპროსში და აღნიშნება 23 აპრილს. ზემოთქმული ნათლად მეტყველებს, თუ როგორ ყურადღებას აქცევენ კვიპროსში ბავშვებს და სკოლამდელ დაწესებულებებს.

სკოლამდელი განათლების სტრუქტურა კვიპროსში. კვიპროსში განათლების სისტემას აქვს შემდეგი საფეხურები:

1. სკოლამდელი განათლება.
2. საშუალო განათლება.
3. უმაღლესი განათლება.

სკოლამდელი განათლება იყოფა ორ ეტაპად: საბავშვო ბაღი და მოსამზადებელი სკოლები და წარმოადგენს საბაზო განათლების ნაწილს, რომელიც მოიცავს საბავშვო ბაღებსა და დაწყებით სკოლებს. სახელმწიფოს დაქვემდებარების ქვეშ მყოფი სკოლამდელი დაწესებულებების ხარჯებს სახელმწიფო ფარავს. სახელმწიფო ფარავს აგრეთვე სახელმძღვანელობისა და სხვა აუცილებელი სასწავლო მასალების ხარჯებს, ხოლო დანარჩენ ხარჯებს ანაზღაურებს მშობლები.

საბავშვო ბაღები კვიპროსში არის შემდეგი სახის: სათემო, საჯარო (სახელმწიფო) და კერძო. **სათემო საბავშვო ბაღები** - ექსკლუზიურად არსებობს კვიპროსელი ბავშვებისათვის. ისინი მუშაობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჯარო საბავშვო ბაღები ვერ აკმაყოფილებს ყველა ბავშვის საჭიროებებს. სათემო საბავშვო ბაღებს აფუძნებს და ხელმძღვანელობს მშობელთა ორგანიზაციები, ან ადგილობრივი ხელისუფლება. ისინი შეიძლება რეგისტრირებული იყოს განათლებისა და კულტურის სამინისტროში, რომელიც თავის მხრივ გამოყოფს დამატებით წლიურ ფინანსებს. აქ დასაქმებული არის კვალიფიციური კადრები. მათ მუშაობას თვალყურს ადევნებს განათლებისა და კულტურის სამინისტრო. საბავშვო ბაღებში ბავშვები დადიან 3 წლიდან 5 წლისა და 8 თვემდე. ასეთი ბაღების მუშობა რეგულირედება ისეთივე საკანონმდებლო აქტებით, რომელიც მოქმედებს საჯარო და კერძო ბაღებისათვის და დაწყებითი სკოლებისათვის.

სახელმწიფო საბავშვო ბაღში ბავშვს შეუძლია იაროს სამი წლის ასაკიდან. რა თქმა უნდა, ასეთ ბაღებში ბავშვების ყოფნა მშობლებს უჯდებათ გაცილებით იაფი, ვიდრე კერძო საბავშვო ბაღებში. იმდენად, რამდენადაც ძალიან ბევრ ხარჯებს აფინანსებს კვიპროსის განათლებისა და კულტურის სამნისტრო, მათ შორის აღმზრდელებისა და მასწავლებლების ხელფასები, სასწავლო მასალების შეძენა და სხვა. ხარჯების დანარჩენ ნაწილს აფინანსებს მშობლების ასოციაცია, რომელშიც შედის ბავშვების კვება, სხვადასხვა მოწყობილობები, სათამაშოები და ტექნიკური პერსონალის მომსახურება. სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებები ღიაა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 7: 45 საათიდან 13:05 საათამდე.

კერძო საბავშვო ბაღებს აფუძნებენ კერძო პირები განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ. მათი მუშაობა რეგულირდება კანონით, რომელიც ეხება კერძო და უმაღლეს სკოლებს. კერძო ბაღები მუშაობენ სექტემბრიდან მაისამდე. კერძო ბაღები ღიაა კვირაში 7 დღე, მთელი წლის განმავლობაში. თითქმის ყველა კერძო ბაღს აქვს საკუთარი სამზარეულო და ბავშვები იქ იღებენ სრულფასოვან ოთხჯერად კვებას. ასეთ დაწესებულებებში ბავშვზე ზრუნვა ნახევარი დღის განმავლობაში მშობლებს უჯდებათ 130-დან 170 ევრომდე, ხოლო სრული დღე 200-დან 400 ევრომდე (ეს დამოკიდებული ბაღში არსებულ პირობებზე და მომსახურებაზე).

სკოლამდელი განათლების მიზნები კვიპროსში. კვიპროსში სკოლამდელი განათლების მიზნებია - ბავშვების სკოლისათვის მომზადება, ანუ სკოლაში სწავლისათვის საჭირო ყველა უნარების შესწავლა და დაუფლება, სასკოლო დისციპლინისადმი მიჩვევა. კვიპროსში ბავშვები სკოლაში მიდიან ექვსი წლის ასაკიდან.

განათლების შინაარსი: საბავშვო ბაღის ყოველდღიური პროგრამა - ეს არის გაკვეთილების თანმიმდევრობა, რომელიც დაგეგმილია მასწავლებლის მიერ ბავშვების საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად. გაკვეთილების თანმიმდევრობა არ არის ფიქსირებული, ამდენად მასწავლებელს შეუძლია გადაწყვიტოს რომელი გაკვეთილით დაიწყოს და რომელი ჩასვას შემდეგ.

პროგრამის ძირითადი ნაწილი:

თავისუფალი აქტივობები (40 წუთი): სოციალური, ჯგუფური და შემოქმედებითი საქმიანობა, როგორიცაა: როლური თამაში, ექსპერიმენტი, დაკვირვება, კითხვის, მოსმენისა და წერის საფუძვლები, მათემატიკური დავალებების შესრულება.

I გაკვეთილი (40 წუთი): ენა, მეცნიერება, მათემატიკა, ფიზიკური აღზრდა, გარემოს შესახებ განათლება, სოციალური განათლება, რელიგია.

II გაკვეთილი (40 წუთი): ისტორიაზე საუბარი, მუსიკა, თოჯინების წარმოდგენები, თამაში, ლექსების წაკითვა.

ეზოს გაკვეთილები (40 წუთი): ტანვარჯიში, სპორტული თამაშები, ბოსტნისა და ხილის ბაღში მუშაობა, გარემოზე დაკვირვება.

წყნარი გაკვეთილები (40 წუთი) გაიმართება დღის ბოლო ნაწილში: ენა, მათემატიკა, დამოუკიდებელი მუშაობა და მუშაობა მცირე ჯგუფებში.

ამ საქმიანობებს შორის არის თანმდები საქმიანობები 40 წუთი: დალაგება, გარეცხვა, საუზმე და თავისუფალი დრო თამაშისათვის.

საოცრება.:

- სახელმწიფო საბავშვო ბაღებში მიიღება ყველა ბავშვი მიუხედავ იმისა, რომელ ქვეყანაშია ის დაბადებული, მთავარია მშობლებს ხელთ ჰქონდეთ ბავშვის დაბადების მოწმობა. თუმცა, ადგილების რაოდენობა მასში განასზღვრულია და მოხვედრა არ არის ადვილი. ამდენად, პირველ რიგში განიხილავენ იმ მშობლების განცხადებებს, რომელთა ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია.
- მასწავლებლები (და არა აღმზრდელები) საბავაშვო ბაღებში მუშაობას იწყებენ სექტემბრის პირველ ორშაბათს და საზაფხულო შვებულებაში გადიან ივნისის ბოლო პარასკევს. მეცადინობები იწყება ყოველწლიურად სექტემბრის მეორე ორშაბათს და მთავრდება ივნისის ბოლოს წინა პრასკევს.

5.8. სკოლამდელი დაწესებულებები ნორვეგიაში

ისტორიული ასპექტები. ნორვეგიის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემები დამოკიდებულია არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური პროცესებზე, რომელიც მიმდინარეობდა ქვეყანაში მისი ისტორიული განვითარების გზაზე, არამედ გეოგრაფიულ მახასიათებლებზე, კულტურული განვითარებისა და ქვეყნის ურბანიზაციის პირობებზე.

სკოლამდელი დაწესებულებების შეზღუდვების მთავარი ფაქტორი არის ქვეყანის მეჩხერული დასახლება. ერთი ოჯახი მნიშვნელოვანი მანძილით არის დაშორებული მეორისაგან, ამდენად გადარჩენა შესაძლებელია ბუნებრივი რესურსების სრული გამოყენებით ოჯახის ყველა წევრის მძიმე შრომის საფუძველზე. ასეთ ოჯახებში ბავშვები ბუნებრივად მონაწილეობან სოციალურ და საოჯახო ცხოვრებაში. XX საუკუნის სამოციან წლებამდე სკოლამდელებსაც ჰქონდათ შრომითი ვალდებულებები ოჯახში და შეიძლება ითქვას მნიშვნელოვანი დასყრდენი იყვნენ ოჯახურ საქმიანობაში.

XIX საუკუნის ბოლოს სამუშაო ადგილების ზრდამ და ქალაქის ტიპის სამრეწველო დასახლებების ფორმირებამ გამოიწვია ქვეყანაში ურბანიზაციის ზრდა. შენელებული პროცესის გამო სკოლამდელი ასაკის უმეტესობას ჰქონდათ შესაძლებლობა, დიდი ხნით ეთამაშათ ჰაერზე სახლთან ახლოს და არ საჭიროებდნენ საზოგადობერივ აღზრდას, რადგან უპირატესობა ენიჭებოდა ოჯახურ აღზრდას.

XX საუკუნის 30-იან წლებში სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის მთავარი მოტივი, უკვე იყო თითოეული მოქალაქის თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების სურვილი. ასეთი ერთსულოვნება არ ფიქსირდებოდა სკოლადელი განათლებიის საზოგადოებრივი სისტემის ჩამოყალიბების მიმართ. მის შექმნაში ძირითადად მონაწილეობდა ქვეყნაში მცხოვრები ქალები, რომლებმაც განსაზღვრეს ადამიანური რესურსების პოლიტიკის საკითხი.

დღეისათვის მთავრობამ თავად დაისახა ამოცანად დაეხმაროს თითოეულ ოჯახს რომლებსაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის ბავშვები. ისინი პრობლემის გადაწყვეტას ხედავენ იმაში, რომ 7 წლამდე ასაკის ყველა ბავშვს მიეცეს შესაძლებლობა იაროს სკოლამდელ დაწესებულებაში. 2009 წლის კანონმდებლობით ნორვეგიაში ყველა 1-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვს მიეცა უფლება ჰქონდეს ადგილი საბავშვო ბაღში. ბაღებში დაცულია გენდერული თანასწორობა.

სტრუქტურა. ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტრო პასუხისმგებელია განათლებაზე, კვლევასა და საბავშვო ბაღებზე. სამინისტრო შეიქმნა 1814 წელს. ის ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ორგანოს (სტორტინგი) მიმართ. ტრადიციულად სამინისტრო, ასევე პასუხისმგებელი იყო საეკლესიო საქმეებზეც, მაგრამ 2000 წელს ეს ფუნქცია გადაეცა კულტურისა და ეკლესიის საქმეთა სამნისტროს.

<u>ორგანიზაციული სტრუქტურა</u>

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

სკოლამდელი და დაწყებითი სკოლის განათლების მინისტრი;

სამი სახელმწიფო მდივანი;

პოლიტიკური მრჩეველი.

<u>დეპარტამენტები</u>

სკოლამდელი განათლებისა და ბავშვთა მოვლის დეპარტამენტი;

განათლებისა და პროფესიული მომზადების დეპარტამენტი;

უმაღლესი განათლების დეპარტამენტი;

კვლევის დეპარტამენტი;

პოლიტიკური ანალიზის, უწყვეტი სწავლის და საერთაშორისო საქმეთა დეპარტამენტი;

ფინანსებისა და მართვის დეპარტამენტი;

განვითარებისა და მართვის დეპარტამენტი;

კომუნიკაციების დეპარტამენტი.

<u>დამხმარე ორგანოები:</u>

ნორვეგიის სამეცნიერო საბჭო;

ნორვეგიის დირექტორატი განათლებასა და კადრების მომზადებაში;

საინფორმაციო ტექნოლოგიების განათლების ცენტრი;

ნორვეგიის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო;

ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრი უმაღლესი განათლების საკითხებში;

ნორვეგიის ზრდასრულთა განათლების ინსტიტუტი;

ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი;

ნორვეგიის მეტეოროლოგიური ინსტიტუტი;

ნორვეგიის სოციალური კვლევის ინსტიტუტი;

ნორვეგიის სახელმწიფო სასწავლო სესხის ფონდი.

თითოეულ ჯგუფში 20 ბავშვია. სასწავლო სააღმზრდელო პროცესი მიჰყავს 4 აღმზრდელ - პედაგოგს, მათგან ორს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება სკოლამდელი განათლების სპეციალობით, ხოლო დანარჩენი ორისათვის ეს სავალდებულო არ არის (ისინი შეიძლება იყვნენ თანაშემწეები). აღმზრდელებს შორის ერთი ან ორი უნდა იყოს მამაკაცი, რადგან ბავშვებს ჰქონდეთ დედისა და მამის აღქმა.

თუ საბავშვო ბაღში ერთ სამუშაო ადგილზე არის 2 მსურველი, მაშინ მამაკაცს აქვს დიდი უპირატესობა დაიკავოს ეს ადგილი. იმისათვის, რომ ნორვეგიის საბავშვო ბაღში მუშაობა დაიწყო აღმზრდელად, აუცილებლად უნდა წარმოადგინო ცნობა ნასამართლობის შესახებ. ადამიანი, თუ ნასამართლევია ასეთი სამუშაოზე მას უბრალოდ არ მიიღებენ. 2-3 თვეში მინიმუმ ერთხელ აღმზრდელები გადიან კურსებსა და სემინარებს ბავშვის ფსიქოლოგიაში. აღმზრდელს არ აქვს უფლება ცუდი სიტყვები უთხრას ბავშვს, დაუყვიროს და მითუმეტეს ცემოს.

მიზანი და ამოცანები. სკოლადელი განათლების კუთხით პედაგოგიური შეხედულებების განვითარება ეფუძნება გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციას.

ნორვეგიაში XX საუკუნის 70-იან წლებში შემუშავდა და წარმატებით განვითარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფარგლებში ერთიანი სახელმწიფო სისტემა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ქვეყნის მოსახლეობის დაცვის ზოგად პროგრამაში. იგი შედის ნორვეგიელი ბავშვების განათლების ერთიან სისტემაში, რომელიც ითვლება სახელმწიფო პოლიტიკის რთულ სტრუქტურად და ასრულებს სოციალური საზოგადოების შეკვეთას მოზარდი თაობის განვითარებისა და განათლების შესახებ:

1. ერთიანი განათლების და განვითარების პროგრამებმა ქვეყანა მიიყვანა საგანმანათლებლო მუშაობის შინაარსის სტაბილურობასთან, მასში ჩართულია სკოლამდელი განთლების ყველა ორგანიზაცია. ნორვეგიული პროგრამის ძირთადი თვისებაა პიროვნებაზე ორიენტაცია და ჰუმანისტური პედაგოგიკის პრინციპები.

2. ზნეობრივი, ინტელექტუალური, ესთეტიკური, სოციალური და ფიზიკური განვითარება სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ხორციელდება ბავშვის, როგორც ინდივიდის კონტექსტში. ინტელექტუალური უნარების განვითარება, სენსორული განვითარება, ზოგადი განვითარება და მეტყველების კორექცია - ყველაფერი ეს არის ბავშვის გონებრივი განვითარების ნაწილი:

- ჯანსაღი, კულტურული და ჰიგიენური უნარების განვითარებისათვის, ჯანმრთელობის ხელშეწყობისათვის გამოიყენება ფიზიკური აღზრდის მეთოდები.
- შემოქმედებითი უნარების საფუძვლების განვითარებისათვის, როგორც საშუალება გამოიყენება ესთეტიკური განვითარების მეთოდები.
- ზნეობრივი შეგრძნებების ფორმირება, პიროვნული ურთიერთობები, ემოციური განვითარება, რელიგიის საკითხებში საჭირო ცოდნის დაკმაყოფილება - არის ზნეობრივი განათლების შინაარსი.
- სოციალური განვითარება ხორციელდება ბავშვის ძირითადი საქმიანობის - თამაშის საშუალებით.

3. თამაში არის ბავშვის მნიშვნელოვანი საქმიანობა ნორვეგიის სკოლამდელ დაწესებულებებში. თამაშის დროს, ხორციელედება ბავშვის ფიზიკური, ინტელექტუალური, ესთეტიკური და მორალური გავითარება.

4. სხვადასხვა მოდელების შესწავლით სკოლამდელი ასაკის ბავშვების განვითარებისა და განათლებით შეიქმნა „სტრუქტურული პედაგოგიკის“ საკუთარი მოდელი, რომელიც ეფუძნება ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას და ჰუმანისტურ პედაგოგიკას, რაც არის ნორვეგიის ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პრაქტიკული საქმიანობის საფუძველი.

5. შემუშავებულია და სისტემაში ფართოდ გამოიყენება ინდივიდის განვითარების თვალსაზრისით მიდევრობითი გრძელვადიანი დაგეგმვა, სადაც გამოიყენება საქმიანობის ყველა ფორმა და სახე, რომელიც მორგებულია შერეულ ასაკსა და ბავშვების შემეცნებით საჭიროებებზე.

ყველა არსებული სწავლების პედაგოგიურ მეთოდებს შორის უნდა გამოვყოთ ვიზუალური ფორმის გამოყენება, რომლითაც მასწავლებელი გავლენას ახდენს ბავშვზე. ნორვეგიის სკოლამდელი პედაგოგიკა, ფართოდ გამოიყენებს მარია მონტესორის საგანმანათლებლო თეორიას - ბავშვებისათვის გარე სამყაროს პირდაპირი გაცნობა. გარდა ვიზუალური და სმენითი მეთოდებისა, მასწავლებელი ხშირად იყენებს ვერბალურ მეთოდებს. მათ შორის გამოიყენება ახსნა-განმარტება, თხრობა, საუბარი. ნორვეგიული პედაგოგიკა უპირატესობას ანიჭებს თანამშრომელობითი პედაგოგიკას. მასწავლებლები სწავლობენ თითოეული ბავშვის ინტერესებსა და სურვილებს, აძლევენ რჩევებს, უქმინიან პირობებს მათი მრავალმხრივი განვითარებისათვის, საგნობრივ-მატერიალური გარემოს უზრუნველყოფით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების მეთოდები უფრო მეტად ორიენტირებულია ინდივიდუალურ მუშაობაზე. ნორვეგიის სკოლამდელი პედაგოგიკა მიმართულია პიროვნების დამოუკიდებელი და შემოქმედებითი განვითარებისაკენ, რომლისთვისაც იყენებს პრობლემური

სწავლების მეთოდს. სხვადასხვა სიტუაციების შექმნა, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას, დამახასიათებელია საბავშვო ბაღებში ბავშვებთან მუშაობისას.

საინტერესოა. ნორვეგიაში, ბევრი საბავშვო ბაღია, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო. თუ რაიმე მიზეზის გამო მშობლებს არ სურთ ბავშვი მიიყვანონ საბავშვო ბაღში, ამ შემთხვევაში სახელმწიფო იხდის ბავშვის შინ ყოფნის გამო 3000 კრონს (დაახლოებით არის 630 ლარი) თვეში.

საბავშვო ბაღები ნორვეგიაში არ არის იაფი სიამოვნება. ყოველთვიური გადასახადი არის 3000 კრონზე მეტი. ნორვეგიის მთავრობა მტკიცედ უჭერს მხარს ოჯახებს და ასე რომ, თუ მათი შვილი დადის სახელმწიფო საბავშვო ბაღში, მაშინ წლის ბოლოს აუნაზღაურდებათ ბაღში დახარჯული თანხის 80%, თუ კერძო საბავშვო ბაღში დადის - 50%.

ნორვეგიის საბავშვო ბაღებში კვება ძალიან განსხვავდება საქართველოში მიღებული სტანდარტებისაგან. მშობლები ყოველდილით, მათ შვილებს აძლევენ ე. წ. „matpakke“ - ის არის ქაღალდით შეფუთული ლანჩი (სენდვიჩები, იოგურტი, წვენი, რძე, მშრალი საუზმე, ორცხობილა). ბაღში ყოველ დღე თავაზობენ ახალ ხილს. ცხელი საკვებს ბავშვები ჭამენ მხოლოდ სამშაბათობით სადილზე, დანარჩენ დღეებში - სენდვიჩებს. რაც შეეხება ტკბილეულს, სხვადასხვა კამფეტს, შოკოლადს, მათ ბავშვები მიირთმევენ, მხოლოდ შაბათ-კვირას, სხვა დღეებში, კი ითვლება მიუღებელად და „უკანონოდ“.

ნორვეგიის საბავშვო ბაღები სთავაზობს ბავშვებს ლაშქრობებს ნებისმიერ ამინდში. თუნდაც ერთი ლაშქრობა ტყეში, ვიზიტებს სხვადასხვა საინტერესო ადგილებში. არსებობს კიდეც მიზნობრივი ჯგუფები, რომლებიც დადიან ლაშქრობებში კვირაში სამჯერ. ზამთარში, ბავშვებს სამი წლის ასაკიდან აყენებენ თხილამურებზე. დღის განმავლობაში ბავშვებს არ სძინავთ, საძინებელი ოთახები აქ არ არის. წყნარი საათი არის მხოლოდ ზოგიერთი ბავშვისათვის, რომლებიც ორ წელზე ნაკლების არიან. მათ სძინავთ ქუჩაში, ეტლებში, რადგან ნორვეგიელები ადრეული ბავშვობიდან აჩვევენ ბავშვებს სიცივეში ძილს.

სათამშოები საბავშვო ბაღებში ძალიან ბევრია. არის საგანმანათლებლო (უმრავლესობა ასეთია), ლამაზი და შემოქმედებითი. საკუთარი სათამაშოების სახლიდან ბაღში მოტანა აკრძალულია. კვირაში ერთხელ აღმზრდელები ბავშვებისათვის აწყობენ „განვითარების საათს“. ისინი თავისი შეხედულებისამებრ მოუთხრობენ ბავშვებს რაღაც განმავითარებელს და საინტერესოს. ყოველდღე აუცილებლად ტარდება აქტივობები: ზღაპრების წაკითხვა, ზღაპრების იმიტირება (იმპროვიზირებული თეატრი), თვლა, წარმოთქმა (თავდაპირველად), რა თქმა უნდა ხატვა, მოდელირება, კოსტრუირება, ქსოვა (ზოგადად მეცადინეობები მიზნად ისახავს ხელის მცირე კუნთების გავითარებას).

თითოეული ჯგუფს აქვს თავისი სათამაშო ოთახი კინოპროექტორით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, სათამაშოებით და ა.შ. ამ ოთახში ისინი ხატავენ, თამაშობენ, კითხულობენ, ჭამენ და უსმენენ მუსიკას. მიაჩნიათ, რომ ბავშვებმა უნდა მოუსმინონ სხვადასხვა სახის მუსიკას დაწყებული საბავშვო სიმღერებიდან და დამთავრებული როკ მუსიკით და აირჩიოს ის, რაც მათ მოსწონთ.

ბაღებში ბავშვების განვითარება შემდეგი ასპექტების მიხედვით მიმდინარეობს:

- კომუნიკაცია, ენა და ტექსტი;
- სხეულის აგებულება, ჯანმრთელობა;
- ხელოვნება, კულტურა, შემოქმედებითი უნარის განვითარება;

- ბუნება, გარემო, ტექნოლოგია;
- ეთიკა, რელიგია, ფილოსოფია;
- ადგილობრივი თემი და საზოგადოება;
- რიცხვები, გეომეტრიული ფიგურები;
- ბავშვს ადრეული ასაკიდანვე ასწავლიან, რომ ის პიროვნებაა.

5.9. სკოლამდელი განათლება პოლონეთში

ისტორიული ასპექტები. პოლონეთი ცნობილია მთელ მსოფლიოში, როგორც ქვეყანა მდიდარი ისტორიითა და ლამაზი ბუნებით, სავსე მრავალფეროვანი ღირსშესანიშნაობებით, უძველესი არქიტექტურული შენობებით და სასახლეებით, შუა საუკუნეების ციხესიმაგრეებითა და ძეგლებით, კულტურული დაწესებულებებით. პოლონეთის საგანმანათლებლო სისტემა შეესაბამება განათლების საერთაშორისო კლასიფიკაციის სტანდარტებს (ISCED) და ამჟამად ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მოწინავედ მსოფლიოში.

პოლონეთის საგანმანათლებლო სისტემა შემდეგი სახისაა: სკოლამდელი განათლება, დაწყებითი განათლება, საშუალო განათლება, უმაღლესი განათლება. თუ გავითვალისწინებთ პოლონეთში ცხოვრების დონეს იგი არის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და მიმზიდველი ქვეყანა განათლებისათვის.

განათლების სისტემა პოლონეთში 1989 წლისათვის ეფუძნებოდა შემდეგ მოთხოვნებს:

- სახელმწიფო ” სკოლა, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების ცენტრალური დაფინანსება, იდეოლოგიური პროპაგანდა .
- საბავშვო ბაღები როგორც სოციალური დახმარების ფორმა.
- ყველა სასწავლო დაწესებულებებისთვის ერთიანი კურიკულუმის ნაკლებობა.
-

კანონმა განათლების სისტემის შესახებ 1991 წელს განსაზღვრა:

- საბავშვო ბაღი, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება, ინტეგრირებული საგანმანათლებლო სისტემის პირველ ეტაპი.
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია.
- მშობლების და ადგილობრივი საზოგადოების როლის გაზრდა აღზრდის პროცესში.
- არასახელმწიფო სკოლების და საბავშვო ბაღების „ლეგალიზაცია”.

განათლების სისტემის რეფორმა და მნიშვნელობა(1998 წ):

- განათლების სისტემის რეფორმა დაუკავშირდა ქვეყნის ადმინისტრაციულ რეფორმას.
- სკოლების და საბავშვო ბაღების დაფინანსება გადაეცა მუნიციპალიტეტებს. სკოლამდელი განათლების ორგანიზება წარმოადგენს თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას.

• განხორციელდა სახელმწიფოს პედაგოგიური ზედამხედველობა სკოლებსა და ბაღებზე.

• ეკონომიკური მიზეზების გამო დაიხურა დაახლოებით 20 ათასი სკოლა და ბაღი , (1999 – 2002 წწ).

• საგანმანათლებლო დაწესებულებების მისიის და პროგრამების შემუავება, ინდივიდუალიზაცია და მრავალფეროვანი ფორმების შექმნა.

• განვითარების, აღზრდის და პროფილაქტიკის სავალდებულო პროგრამების შექმნა.

• განათლება, როგორც "საგანმანათლებლო მომსახურება, საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობის ხარისხის განსაზღვრა.

• მრავალი არასაჯარო სკოლის და ბაღის გახსნა.

• სასკოლო ასაკის შემცირება, გარდამავალი პერიოდი.

• 5 წლის ბავშვების სკოლამდელი განათლების ვალდებულება.

• სკოლამდელი განათლების განვითარება – ხელმისაწვდომობის გაზრდა, ევროკავშირის სახსრების გამოყენებით.

• ადრეული განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება.

• სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ფორმები.

• სავალდებულო სკოლამდელი დიაგნოზი.

• კურიკულუმი ახალისებს მიღწევებისკენ.

• განათლების ეტაპების თანმიმდევრულობა - საბავშვო ბაღი-დაწყებითი სკოლა (I კლასი).

სკოლამდელი განათლების სისტემა. მიზანი და ამოცანები.:

- განათლების სფეროში ფუნდამენტალური და გამოყენებითი კვლევების ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს განათლების შინაარსისა და სწავლების მეთოდების დახვეწასა და განვითარებას, საზოგადოების სრულფასოვანი და ინფორმირებული წევრის აღზრდას;
- სამეცნიერო-პედაგოგიური ექსპერტიზისა და განმავითარებელი ტესტების შემუშავება, ინოვაციური სასწავლო-მეთოდური მეთოდების შემოტანა, მათ შორის სწავლების ელექტრონული მეთოდების დანერგვა სკოლამდელ დაწესებულებებში, ზოგად და სპეციალურ განათლებაში, სკოლისგარეშე (არაფორმალური) განათლებასა და სწავლებაში;
- სკოლამდელი, ზოგადი და სპეციალური განათლების სფეროში ბავშვებისა და მოზარდების ექსპერიმენტული აღზრდის სამეცნიერო მეთოდური მონიტორინგი.
- სკოლამდელი, ზოგადი და სპეციალური საგანმანთებლო სისტემისათვის უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება, სასწავლო პორცესში მონაწილე სპეციალისტებისათვის საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მომსახურების სპექტრის გაფართოვება.

ამ ამოცანების შესრულებისათვის განათლების ეროვნულ ინსტიტუტს ემატება დამატებითი ფუნქციები: სამეცნიერო-კვლევითი, მეთოდური და საგანმანათლებლო, ნაშრომების რედაქტირება და გამოცემა.

საბავშვო ბაღების დაფინანსება: უფასო სწავლის, აღზრდის და მოვლის მინიმალური დრო არის დღეში 5 საათი. მუნიციპალიტეტის საბჭო აწესებს იმ დამატებით სერვისების გადასახადს, რომელიც აჭარბებს ამ დროს და მიუთითებს, თუ რა სახის სერვისები შედის გადასახადში, მაგ. კვება, დამატებით მეცადინეობები.

საბავშვო ბაღების დაფინანსების წყაროები:

- მუნიციპალიტეტის საკუთარი ბიუჯეტი;
- მშობლების გადასახადი (კვება, დამატებით მეცადინეობა);
- დოტაცია ცენტრალური ბიუჯეტიდან;
- დოტაციები ევროკავშირის სახსრებიდან;

სკოლამდელი განათლების ფორმები პოლონეთში:

- საჯარო და კერძო საბავშვო ბაღები;
- საჯარო და კერძო დაწყებითი სკოლების სკოლამდელი განათლების განყოფილებები;
- სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული საჯარო და კერძო ფორმები (სკოლამდელი განათლების ცენტრები და საბავშვო პუნქტები);

ალტერნატიული სკოლამდელი ჯგუფები:

- საბავშვო პუნქტები – მეცადინეობა მიმდინარეობს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, გარდა მმართველი ორგანოს მიერ დადგენილი უქმე დღეებისა;
- სკოლამდელი განათლების ცენტრები – მეცადინებობა მიმდინარეობს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში <u>კვირაში რამდენიმე დღე</u>, გარდა მმართველი ორგანოს მიერ დადგენილი უქმე დღეებისა;
- საგანმანათლებლო მეცადინეობა სულ მცირე 3 ჯერ კვირაში, ჯამში 18 საათი;
- შერეული ჯგუფები, 3-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვები;
- მინიმუმ 5, მაქსიმუმ 16 ბავშვი ჯგუფში;
- სამედიცინო და ფსიქოლოგიური დიაგნოზი;
- განვითარების ინდივიდუალური პროგრამები;

არაჩვეულებრივი ფაქტები. დღეისათვის პოლნეთში შემოტანილია სკოლამდელი განათლების ერთიანი ევროპული სისტემა და ხდება მასზე ხელშეწყობა. ეს იმა ნიშნავს, რომ მშობლებს აქვთ არჩევანის შესაძლებლობა, საერთოდ მიიყვანოს, თუ არა ბავშვი ბაღში, ან თუ მიიყვანს - სრული ან ნახევარი დღით. ამის უფლება აქვთ დაწყებით სკოლაში სწავლის წინარე მოსამზადებელ პერიოდამდე.

პოლონეთში საბავშვო ბაღების უმეტესობა სახელმწიფო დაქვემდებარებაში არსებობს. მათში სწავლებისა და აღზდის დონე მაღალია, იმიტომ რომ სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევს ამ სფეროს. გარდა სახელმწიფო ბაღებისა, არის კიდევ წარმატებული საჯარო ბაღები, რომელიც განკუთვნილია ობოლი, ან მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის, ასევე შეზღული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის.

პოლონეთის კერძო ბაღები გამოირჩევა აღმზრდელების დიდი რაოდენობით და ჯგუფებში ბავშვთა ნაკლები რაოდენობით, რა თქმა უნდა, დიდი ყურადღებითა და მატერიალური

რესურსების ბაზით. კერძო ბაღებში დადიან მდიდარი ადამიანების შვილები. საშუალო ფენა კმაყოფილია სახელმწიფო საბავშვო ბაღებით, რადგან იქ მომასხურების მაღალი ხარისხია.

პოლონეთის კანონების შესაბამისად ბოლო წლებში საბავშვო ბაღი სავალდებულოა პოლონეთში მცხოვრები უკლებლივ ყველა ბავშვისათვის, მაშინაც კი, თუ ისინი არ არიან პოლონეთის მოქალაქენი.

5.10. სკოლამდელი განათლების სისტემა საბერძნეთში

ისტორიული ასპექტი. საბერძნეთი ეს არის დასავლური ცივილიზაციის აკვანი. ბავშვების ცხოვრებისათვის მომზადება, კაცობრიობის მეირ დაგროვილი გამოცდილების გადაცემით იწყება უძველესი დროიდან, რათა განუვითარდეთ საჭირო უნარ-ჩვევები.

თავდაპირველად საბავშვო ბაღის აღმზრდელის პროფესია არ არსებობდა. ძველ საბერძნეთში ბავშვის აღზრდით დაკავებული იყო მონა, რომელიც თადათან გადაიზარდა სოჯახო აღმზრდელის პორფესიაში და მცირედით შეესაბამებოდა თანამდეროვე საბავშვო ბაღის აღმზრდელს. მორალური აღზრდის საშუალებებად ითვლებოდა ფოლკლორი (ზღაპრები, ლეგენდები). შემდგომში როგორც წესი ბავშვებს ზრდიდნენ დედები, რომლებსაც ეხმარებოდნენ ძიძა მონები. ხშირად ეს იყო განათლებული ქალი, რომელსაც უკვე ჰქონდა სწავლების გამოცდილება. ისინი ზრუნავდენენ ბავშვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, მათ გაჯანსაღებაზე, უნერგავდნენ ქცევის საჭირო თვისებებს. ასწავლიდნენ გამძლეობას, ბავშვებს არ უნდა შეშინებოდათ სიბნელის, ადვილად უნდა გადაეტანათ შიმშილი, წყურვილი, დისკომფორტი და სიძნელეები.

სკოლამდელი განათლების მიზანებია:

1. დაწყებით კლასებში ბავშვის სწავლისათვის მომზადება, ერთიდაიმავე ასაკის მქონე ბავშვების ურთიერთობის განვითარებაში დახმარება, სასწავლო გარემოს, როგორც ერთი მთლიანის გაცნობა, განურჩევლად სქესისა და წარმომავლობისა ჩამოყალიბდნენ პიროვნებებად და შეძლონ შემოქმედებითი ცხოვრება.
2. მხარი დაუჭიროს და გააძლიეროს განათლების პროცესი და შეძლონ ოჯახში სოციალური ადაპტაცია.
3. გააძლიეროს პატარა ბავშვების სოციალური, ემოციური, ინტელექტუალური და მორალური განვითარება, როგორც ინდივიდუალურ ასევე ჯგუფურ დონეზე.

სკოლამდელი განათლება. სკოლამდელი განათლება საბერძნეთში სავალდებულო არ არის, მაგრამ ბერძენი ბავშვების უმეტესობა საბავშვო ბაღში დადიან 2,5-დან 6 წლამდე. მიღება ხორციელდება, მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. კანონი მკაცრად განსაზღვრავს აღმზრდელის მუშაობას: ერთი ინსტრუქტორი 30 ბავშვზე.

ყველა ამ დაწესებულებების პროგრამები, პირველ რიგში, მიმართული არის მხარი დაუჭიროს განათლებას და სოციალურ ადაპტაციას. ტარდება ჯგუფური და ინდივიდუალური,

როგორც საგანმანათლებლო, ისე ფსიქოლოგიური გაკვეთილები. დიდი ყურადღება ექცევა ბავშვის ესთეტიკურ და ინტელექტუალურ განვითარებას.

საბერძნეთში არსებობს სხვადასხვა სახის სტუდიები ბავშვის შემოქმედებითი განვითარებისათვის და მათი რიცხვი მუდმივად იზრდება. გარდა ამისა, ცალკე არსებობს კერძო საბავშვო ბაღები, რომლებით გათვალისიწნებულია შემოქმედებითი განვითარების, განსაკუთრებული მოთხოვნილების, მქონე ბავშვებისათვის, ისინი მუშაობენ მთელი დღე 08:00 საათიდან 15:00 - 16:00. მათი რიცხვიც მუდმივად იზრდება. ბავშვები ასეთ ბაღში დადიან ორი წლის განმვალობაში. საბერძნეთში ფუნქციონირებს აგრეთვე კერძო საბაშვო ბაღები, სადაც ღებულობენ უცხოელ ბავშვებს. ისინი გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე სხვა კერძო საბავშვო ბაღები, და განსხვავებით სახელმწიფო ბაღებისა, იქ ბავშვებს ღებულობენ ორი წლის ასაკიდან და შესაძლებელია იყვნენ 18:00 საათამდე. კერძო საბავშვო ბაღებს შორის გვხვდება ისეთი ბაღები, რომლებშიც მთავარი საკომუნიკაციო ენა არის ინგლისური. ოთხი წლიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, საბავშვო ბაღი არის წინასწარი მომზადების ეტაპი, სადაც მათ ეხმარებიან დაწყებით სკოლაში გადასვლისათვის. ასეთი ბაღებით უფასოდ სარგებლობის უფლება აქვთ ბავშვებს, რომელებიც საბერძნეთის მოქლაქენი არიან, ან ბავშვებს, რომელთა მშობლებსაც აქვთ საბერძნეთში ბინადრობის ნებართვა.

სახელმწიფო ბაღები - სრულიად უფასოდ მუშაობენ 3 საათამდე. მთელი საჭირო კვება დაწყებული საუზმიდან, დამთავრებული სადილით ბავშვებს თან მოაქვთ პაკეტებით და ქვაბებით. ბავშვები იყოფიან 3 ასაკობრივ ჯგუფად: ერთი ჯგუფი 3 წლამდე, მეორე 5 წლამდე, მესამე - სკოლისათვის მოსამზადებელი ჯგუფი. ბაღში არის სამი აღმზრდელი. გარდა ამ სამი აღმზრდელისა, ბაღში არის ქალი, რომელიც ამზადებს ბავშებისათვის სადილს, რაც მნიშვნელოვანია, რადგან ზოგიერთ ბაღში სადილს ამზადებენ სხვაგან და შემდეგ მოაქვთ. ბერძნულ ბაღებში საერთოდ არ არის მიღებული რძის მიცემა, რადგან ის ალერგიულ პროდუქტად არის მიჩნეული. სადილზე აძლევენ პირველს, მეორეს და დესერტს, უმეტეს წილად ხილს. 3 თვის მენიუ წინაწარ არის შედგენილი და ურიგდებათ მშობლებს. კვირაში ერთჯერ აუცილებლად ამზადებენ თევზს, პარკოსნებიდან რომელიმეს (ლობიო, ბარდა და ა. შ.). დილით ყველა ბავშვი თამაშობს ერთად, შემდეგ რიგ-რგობით საუზმობენ და იყოფიან სასწვლო ჯგუფებად მეცადინეობისათვის. სადილის შემდეგ ბავშვები, ისევ ერთად თამაშობენ.

მეცადინებებზე გამოიყენება სხვადასხვა სახის საქმიანობა, ხდება აქტივობების ცვლილება. მეცადინეობის დაწყებამდე მასწავლებელი კითხულობს ლოცვას. კლასში ბავშვებს ბევრის უფლება აქვთ. მეცადინეობის დროს არაფერია ცუდი იმაში, თუ ვინმე დაწვება იატაკზე, ან შეძვრება მაგიდის ქვეშ. ბაღში არის ადგილი ძალიან პატარებისათვის, მაგრამ ასევ არის დიდებისთვის, სადაც არის საქანელები, სასრიალო მთები, მანქანები და ა. შ.

გასეირნების განრიგი: ბავშვები სეირნობენ, მაშინ როდესაც მათ მოწყინდებათ შენობნაში სკამებზე ჯდომა. ბაღში გასეირნება არის ყოველდღე, გამონაკლისი არის ცუდი ამინდი. ყველასათვის სავლედბულო არ არის ძილი. ძინავს მას ვისაც სურს და როდესაც სურს.

საბავშვო ბაღებში შტატით ექიმები ან ექთნები არ არიან. ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ხელშეკრულების საფუძველზე ორ თვეში ერთჯერ მათთან მიდის ექიმი და იკვლევს ბავშვებს. სასწავლო წლის დასაწყისში ყველა მშობელს ურიგებენ სასწვლო გეგმას. წიგნები-

საგან განსხვავებით მოსამზადებელი ჯგუფების კვარტლის გეგმა შეიძლება მოთავსდეს სამ ფურცელზე. მაგალითად, მათემატიკაში ბავშვები მთელი სექტემბერი სწავლობენ ციფრ 1-ს და ძირითად მიმართებებს: ზემოთ-ქვემოთ, წინ-უკან, მარცხნივ-მარჯვნივ. ენის მხრივ 6 წლის ბავშვებისათვის თვის განმავლობაში იგეგმება 5-6 ახალი ასოს გაცნობა. საბავშვო ბაღის პროგრამაში გათვალისწინებულია აგრეთვე ინგლისური ენა. კვირაში ერთჯერ უფროსი ასაკის ბავშვებს უტარდებათ ცურვის გაკვეთილები. საცურაო აუზთან ისინი მიჰყავთ სპეციალური ავტობუსით. ზოგჯერ ორგანიზებას უკეთებენ საბავშვო ბაღის გარეთ ექსკურსიებს: მუზემში, თეატრში და ა. შ.

სკოლამდელი განათლების მახასიათებლები: საახალწლოდ - ნაძვისხესთან სანტა კლაუსთან ერთად ზეიმის ნაცვლად იმართება ბიბლიის მოტივებზე შემდგენილი საშობაო სცენები. გაზაფხულზე მარხვის დაწყებამდე ტარდება კარნავალი. ბავშვები სწავლობენ ლექსებსა და სიმღერებს, ტექსტები გადაეცემათ მშობლებს, რათა გაიმეორონ სახლში.

შეხვედრები: შეხვედრებს ატარებს ფსიქოლოგი. იგი ბავშვებთან მუშაობს ყოველ კვირაში, აკვირდება მათ და ორ თვეში ერთჯერ ატარებს შეხვედრებს. ფსიქოლოგი აცხადებს თემას და სთხოვს, ხომ არ სურს ვინმეს საუბარი. მშობლები ერთმანეთს აძლევენ მცირედ რჩევებს. მსჯელობენ საგანმანათლებლო საკითხებზე. რა თქმა უნდა, არ ეხებიან არანაირ ეკონომიკურ საკითხებს, როგორიცაა რემონტი, კვება და სხვა, რადგან ამისათვის საკმაოდ დიდ თანხას იხდიან და უფლება აქვთ ამაზე არ იფიქრონ.

ბერძნული ბაღების სახელმძღვანელობას, შეუძლია უარი თქვას ბავშვის ბაღში მიღებაზე, თუ ის ცუდად მოიქცევა, ებრძვის ბავშვებს და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ მშობლები ყურადღებას არ აქცევენ ბავშვს და ის შეიძლება არ იქნას მიღებული საბავშვო ბაღში. ბერძნული საბავშვო ბაღების კიდევ ერთ მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ არავინ არ მიდის საბავშვო ბაღში „ფეხით“. ბავშვებს დაატარებს ავტობუსი, რომელიც ჰყავს თითოეულ საბავშვო ბაღს.

5.11. სკოლამდელი დაწესებულებები უნგრეთში

ისტორიული ასპექტები. ცენტრალურ ევროპაში პირველად სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება დაარსდა 1828 წელს ქ. ბუდაპეშტში გრაფინია ტერეზა ბრუნზვიკის (Terez Brunszvik) მიერ. მისი მთავარი მიზანი იყო - ქვეყნის ღვთისმოსავი და საჭირო მოქალაქეებისაღზრდა - განათლება. პირველი სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება ვენასა და პრაღაში, აშენდა უნგრეთის მოდელის საფუძველზე.

1891 წელს მიღებულ იქნა კანონი "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების" შესახებ. მას შემდეგ, საფუძველი ჩაეყარა სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელს. ასე რომ 1938 წელს, სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწსებულებებში დადიოდა 3-დან 6 წლამდე ასაკი ბავშვების 26.3%.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მოხდა სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაციონალიზაცია ყოველგვარი კომპესაციის გარეშე. 1950 წელს, სკოლამდელი ასაკის ბავშვების მხოლოდ მეოთხედი იღებდა განათლებას. ეს მაჩვენებელი გაორმაგდა 1965 წელს.

ინტენსიურად განვითარდა ეკონომიკა. მასიურად დაიწყო ქალების სამუშაოზე აყვანა. ზოგიერთმა საწარმომ და სხელმწიფო დაწესებულებებმა მისი თანამშრომლების შვილებისათვის დააფუძნეს სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებები და დღის ოთახები.

მას შემდეგ, რაც 1989 წელს კომუნისტური რეჟიმი შეიცვალა, სკოლამდელი დაწესებულებები, რომლებიც წარმოადგენდნენ საზოგადოებრივი განათლების სისტემის ნაწილს, გადაიყვანეს სახელმწიფო მფარველობიდან ადგილობრივი ხელისუფლების დაქვემდებარებაში. საწარმოებსა და ორგანიზაციებზე რიცხული „დღის ოთახები“ და სკოლამდელი დაწესებულებები დაიხურა.

სტრუქტურა და განყოფილებები. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ქსელი უნგრეთში წარმოდგენილია შემდეგი სახის დაწესებულებებით:

1. საბავშვო ოთხები და დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ 3 წლამდე ასაკის ბავშვებზე ზრუნვას. ის წარმოადგენს ზოგადი განათლების ნაწილს, მასზე ზრუნავს საოჯახო და სოციალურ საკითხთა სამინისტრო.
2. ადგილობრივი ხელისუფლებას, სახელმწიფო ინსტიტუციებს, კოლეჯებს, ეკლესიას (კათოლიკური, კალვინისტური, ლიუთერანობის და იუდაიზმის) და კერძო პირებს შეუძლიათ ქონდეთ სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებები. კერძო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ზოგადად განსაზღვრავს ძირითად საგანმანათლებლო მიზანებს თავის პროგრამებში და გვთავაზობენ სპეციალურ განვითარებას ბავშვებისათვის (ენის სწავლება, ცხენზე ჭენაობა, ცურვის გაკვეთილები, ხელოვნება).
3. კოლეჯები ზრუნავენ სკოლამდელ დაწესებულებებზე, რომელშიც მათი მსმენელები (სკოლამდელი აღზრდის მასწავლებელი) გადიან პრაქტიკას. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სამუშაოდ მოსამზადებლად სთავზობენ კურსებს, რომელიც ანიჭებს სკოლამდელი აღზდის მასწავლებლის ხარისხს (სკოლამდელი აღზრდის მასწავლებელი). სკოლამდელი აღზრდის მასწავლებელი არის პროფესიონალი და კვალიფიცირებულია 3-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებთან სამუშაოდ.
4. კანონის „სახალხო განათლების შესახებ“, შესაბამისად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები უნგრეთში მუშაობენ, როგორც დამოუკიდებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები და დაწესებულებები, რომლებიც მიერთებულია სხვა სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებზე, როგორც ნაწილი ე. წ. მრავალფუნქციური დაწესებულებისა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და სკოლების მართვის გაერთიანებები პრაქტიკულად განლაგებულია ყველგან, პატარა დასახლებებშიც კი.
5. კანონმა „სახალხო განათლების შესახებ“ გააფართოვა საგანმანათლებლო მუშაობა 3 წლამდე ასაკის ბავშვებთან, განვითარების ამა თუ იმ გარკვეულ დარღვევებზე. მათ უფლება აქვთ გონებრივი და ფიზიკური მდგომარეობის შესაბამისად მიიღონ სპეციალური საგანმანათლებლო-სასწავლო მომზადება, იმ დროიდან როდესაც ეს გადახრები იქნა აღმოჩენილი.
6. ბავშვთა ოთახები ასევე ზრუნავენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე. ბავშვების რაოდენობის მიხედვით, ექთნები მათთან მუშაობენ კომბინირებულად ან ცალკე ჯგუფებში. ამავე დროს თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალურად მუშაობენ: კონსულტანტი მასწავლებლები, მეტყველების თერაპევტები და სხვა ექიმები.

7. შეიქმნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის. მათთვის სკოლამდელი განათლება ხორციელდება სახლში მოვლის სახით, საუბრობენ ბავშვის განსაკუთრებული საჭიროებებზე, დაყავთ ადრეული განვითარების ცენტრში და ა.შ. მწვავე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, რომლებიც ვერ მიიღებს მონაწილეობას სასკოლო განათლებაში, ღებულობენ სავალდებულო მომზადებას 5 წლის ასაკიდან. მიზანი და ამოცანები განისაზღვრება ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით და ხორციელდება შესაბამისი ინდივიდუალური გეგმით.

კანონი „სახალხო განათლების შესახებ“ არ იძლევა კონკრეტული პოზიციას, სად შეიძლება ამ ბავშვებთან ჩატარდეს მეცადინეობა: ცალკე ინსტიტუციებში, თუ მის თანატოლებთან ერთად. შესაძლებელია გამოვიყენოთ ორივე მეთოდი.

სკოლამდელი განათლების შინაარსი უნგრეთში. როგორც აღვნიშნეთ, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ძირითადი საგანმანათლებლო მიზნები გამომდინარეობს კანონიდან „სახალხო განათლების შესახებ“. საბავშვო ბაღებმა უნდა შეადგინონ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც აკმაყოფილებს სკოლამდელი განათლების კანონის მოთხოვნებს და სკოლამდელი დაწესებულებისათვის ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამას. ადგილობრივი საგანმანათლებლო პროგრამებს ქმნიან სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებები დამოუკიდებლად ან იყენებენ არსებულ პროგრამებს, რომლებიც შექმნილია „სახალხო განათლების შესახებ“ კანონის (01. 09.1999 წ.) საფუძველზე.

პროგრამა უნდა შეიცავდეს შემდეგ:

- პრინციპებს, მიზნებს და საგანმანათლებლო სავარჯიშოებს სკოლამდელი განათლებისათვის;
- პედაგოგიური ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვას;
- მშობლებთან, დამფინანსებლებთან და პროფესიულ ორგნოებთან თანამშრომლობის პრინციპები, ფორმები და მეთოდები;
- უმცირესობის კულტურისა და ენის განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებული ამოცანები, როდესაც მეცადინეობა მიმდინარეობს უმცირესობასთან;
- საგანმანათლებლო მუშაობის შეფასება და დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნა;
- სავალდებულო საგანმანათლებლო მიზნებისა და საშუალებების ჩამონათვალი, რომლებიც აუცილბელია საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელებისათვის.

ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრავს სკოლამდელი განათლების მიზნებს შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

- სკოლამდელი განათლება მიზნად ისახავს პიროვნულ განვითარებას, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემას;
- ბავშვებს, როგორც პიროვნებებს აქვთ სპეციალური დაცვის უფლება;
- განათლებული ბავშვები - პირველ რიგში, ოჯახის უფლება და მოვალეობაა; სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებები თამაშობენ მხოლოდ დამატებით როლს;

• სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციები ეფუძნება ბავშვთა დაცვას და მათი სოციალურ, საგანმანათლებლო და პიროვნულ განვითარებას;

სკოლამდელი განათლების მიზანი:

• ბავშვების მოქნილი და ჰარმონიულ განვითარებაზე ხელშეწყობა, ბავშვის პიროვნების ევოლუცია ასაკობრივი თვისებებისა და ხასიათის განვითარების გათვალისწინებით, მათ შორის განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის;

• სკოლამდელი განათლება პასუხისმგებელია სკოლამდელი ასაკის ბავშვების ფიზიკური და გონებრივი საჭიროებების დაკმყოფილებაზე, მათ შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის გაცნობიერებაზე, ემოციური განათლებზე, სოციალიზაციისა და ინტელექტუალური განვითარებაზე.

სკოლამდელი დაწესებულებების მართვა. საბჭოთა სტილის მთავრობამ, რომელიც აკონტროლებს განათლების პოლიტიკას, გამოაქვეყნა ორი სახელმძღვანელო: „შენიშვნები მეთოდოლოგიაში“ (1953) და „საგანმანათლებლო მუშაობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ (1957). ეს სახელმძღვანელობები არეგულირებდნენ სავალდებულო სკოლამდელი განათლების ეფექტს.

1971 წელს გამოვიდა სკოლამდელი განათლების პროგრამა, რომელმაც თავისი არსით განსაზღვრა ეროვნული იურისდიქცია ორი ათწლეულის განმავლობაში. ამ პროგრამის შეცვლილი ვერსია გამოჩნდა 1989 წელს.

1990 წელს ცვლილებები შევიდა 1985 წლის კანონში „განათლების შესახებ“, რომელიც ეხებოდა კოლეჯებში სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლის მომზადებას. 1996 წელს, მთავრობის განკარგულებით გამოცხადდა სკოლამდელი განათლების ძირითადი ეროვნული პროგრამა.

კანონმა "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შესახებ" ხელი შეუწყო სკოლამდელი განათლების დამოუკიდებელი საგანმანათლებლო დაწესებულებად გამოყოფას, მაგრამ ამავე დროს, იგი გახდა ზოგადი განათლების სისტემის განუყოფელი ნაწილი. განათლების სამინისტრო პასუხისმგებელია სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ ზედამხედველობაზე. ადგილობრივი ხელისუფლებას ძირითადად შეუძლია მონიტორინგი გაუწიოს სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ეფექტურობას.

კანონმა "სახალხო განათლების შესახებ" დადგინა, რომ სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებში ბავშვები საშუალო რაოდენობა ჯგუფებში არის 20 ბავშვი. მაქსიმალური რაოდენობა ბავშვებისა ერთი ჯგუფი - 25. ორი სკოლამდელი აღზრდის მასწავლებელი ჯგუფში მუშაობს მონაცვლეობით და ორი საათის განმავლობაში - ერთად. ბავშვების თითოეულ ჯგუფს აქვს თავისი ოთახი. ყველა სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთი მესამედს აქვს ცალკე სპორტული დარბაზები ფიზიკური საქმიანობისათვის.

სკოლამდელი დაწესებულებები ბავშვების ჯგუფების რაოდენობის მიხედვით შეიძლება დაიყოს ორი ტიპად:

• 1 ტიპი - ინსტიტუციები 1- 3 ჯგუფით, სხვადასხვა ასაკის ბავშვით;

• 2 ტიპი - საგანმანათლებლო დაწესებულებები 4-8 ჯგუფით, ერთი და იგივე ასაკის ბავშვებით.

3-დან 7 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ასაკის ბავშვების უმეტესობას ასწავლიან თანამედროვე ჯგუფებში. ისინი შეიმუშავებენ ბავშვის განვითარების გეგმა და გადახრის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას. თუ პერსონალს არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთან მუშაობის სათანადო კვალიფიკაცია, მაშინ დაწესებულებას შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, რომლებიც სთავაზობენ ადეკვატურ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებს კარგად ფინანსდებიან მათი სწავლებისათვის.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მუშაობის საათები განისაზღვრება ბავშვების მშობლების სამუშაო საათების შესაბამისად, ამდენად დაწესებულება ღიაა არის კვირაში ხუთი დღე, 10-12 საათის განმავლობაში.

უნგრეთში სკოლამდელი განათლება უფასოა, მშობლები ვალდებულნი არიან გადაიხადონ მხოლოდ მათი შვილების კვებისა და დამატებითი მომსახურებისათვის. ბავშვებმა 5 წლის ასაკიდან ვალდებულნი არიან მიიღონ მონაწილეობა სესიებში, რომელიც ამზადებს მათ სკოლისათვის (4 საათი ყოველ დღე). ბავშვები, რომლებიც 6 წლის გახდნენ (31 მაისამდე), კანონის თანახმად უნდა წავიდნენ სკოლაში.

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების წესები განსაზღვრავს ბავშვის უფლებებსა და მოვალეობებს. ამ წესებს ადგენს დაწესებულების დირექტორი და იყენებს აკადემიური პერსონალი. სკოლამდელი განათლებისათვის დამახასიათებელია:

• ბავშვის მოვლა, მათი ფიზიკური საჭიროებების დაკმაყოფილება;

• მათ ჰარმონიულ და კოორდინირებულ განვითარებაზე ხელშეწყობა;

• ფიზიკური განვითარების შესაძლებლობებზე ხელშეწყობა;

• ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება;

• ცხოვრების ჯანსაღი წესის ჩვევების დამკვიდრება და შენაჩუნება;

• ჯანმრთელი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რომელიც აუცილებელია ზრდისა და განვითარებისათვის;

• სოციალური ცნობიერებისა და თავდაჯერებულობის განვითარება ბავშვებში, მათ თვითდამკვიდრებაში მხარდაჭერა.

• ბავშვთა სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება, თანამშრომლობის და ტოლერანტობის სწავლება;

• მშობლიური ენისა და კომუნიკაციის სხვა ფორმების გამოყენების სწავლება;

• საუბრის სურვილის მხარდაჭერა;

• სწავლების პროცესში მიღებული ცოდნის დაშორიშორება და გამოყენება;

• ფსიქიკური შესაძლებლობების განვითარება: შეგრძნება, აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, ფანტაზია, შემეცნებითი და შემოქმედებითი შესაძლებლობები.

უნგრეთის სკოლამდელ დაწესებულებებაში ქცევის წამყვანი ფორმაა თამაში. მასწავლებელი პასუხისმგებელია შექმნას ჯგუფში შესაბამისი ატმოსფერო, განსაზღვროს ზოგიერთი

თამაშისათვის დრო (მოძრავი თამაშები ბუნებაში, რომლისთვისაც მუშავდება გარკვეული წესები, თოჯინებით თამაში და ა.შ.).

ბავშვებთან დამატებითი მუშაობის ფორმები:

- ლექსებისა და იგავების შეთავაზება;
- სიმღერა, მუსიკის მოსმენა, სიმღერის ელემენტებით თამაშები;
- ხატვა, ორიგამი;
- აქტივობები მუშაობის ელემენტებით;
- ფიზიკური აქტივობები;
- სამყაროს აქტიური შესწავლა.

ბავშვების გადასვლა ერთი ჯგუფიდან სხვაში ავტომატურად ხდება, მაგრამ პედაგოგები იგივე რჩებიან, ისინი მუდმივად აკვირდებიან ბავშვების განვითარებას (აქვთ განვითარების დღიური, ინდივიდუალური ფურცელი ყველა ბავშვისათვის). ადგილობრივი საგანმანათლებლო პროგრამა ადგენს შეფასების წესს, ასევე მშობლებთან ურთიერთობების სისტემას.

უნგრეთში, არ არსებობს სტანდარტი, რომლითაც შევაფასებთ ბავშვების სკოლისათვის მზაობას. პრაქტიკაში სკოლამდელი პედაგოგები იყენებენ ბავშვთა შეფასების სხვადასხვა მეთოდებს (ძირითადად ურჩევნიათ ბავშვებთან განვლილ თემებზე ინტერვიუ).

კანონი „სახალხო განათლების შესახებ“ განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის პედაგოგიური პროცედურებს: სპეციალური განვითარება, კომპენსაცია, რეაბილიტაცია, თერაპია. ეს მუშაობა ხორციელდება სპეციალური ჯგუფებში, რომლებიც არის სკოლადელ დასეწებულებაში. მშობლებმა უნდა იცოდეს ბავშვთა სწავლების პროცესის შესახებ, ამიტომ მათ უტარდებათ კონსულტაციები.

უნგრეთის სკოლამდელი განათლების მხასიათებლები:

1. დღის ოთახის მომსახურების ზრდა აღიქმება, როგორც ინოვაცია (დღის ოჯახური ზრუნვა, ჯგუფები პატარებისათვის, სახლში ბავშვებზე ზედამხედველობა, სათამშოების დაქირავება).
2. არ არსებობს სპეციალური სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება საშუალო ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის.
3. სკოლამდელ დაწესებულებებში ჯგუფების დაკომპლექტების დროს თუ ბავშვი არის მეტყველებასა და გონებრივ განვითარებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ის ითვლება ორად, ფიზიკურ განვითარებასა და საშუალო გონებრივი გადახრის მქონე ბავშვი ასევე ითვლება არანაკლებ სამად.
4. არის სკოლამდელი დაწესებულებები ეთნიკური და ეროვნული უმცირესობებისათვის. სკოლამდელი განათლება ბავშვებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს, მიზნად ისახავს მშობლიური კულტურის პატივისცემას. მსგავს სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა შეიძლება მშობლიური ენა იყოს ბავშვებისთვის.
5. მრავალფუნქციური საგანმანათლებლო დაწესებულებები - ე. წ. ძირითადი კულტურული ცენტრი, სადაც სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება, სკოლა და ბიბლიოთეკა მუშაობს ერთ შენობაში, მაგრამ აქვთ სხვადასხვა პროფესიული მიმართულება.

6. სასწავლო წელი სკოლამდელ დაწესებულებებში იწყება 1 სექტემბერს და მთავრდება 31 აგვისტოს, ისევე როგორც სკოლის სისტემაში. განრიგი განისაზღვრება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. დაგეგმილია საზაფხულო არდადეგები (2-დან 6 კვირის განმავლობაში), სადღესასწაულო და სამუშაო დღეები.

5.12. სკოლამდელი განათლება ჩეხეთში

ისტორიული ასპექტი. ჩეხეთის რესპუბლიკაში თანამედროვე სკოლამდელი განათლების პიონერად ითვლება იანა სვობოდა (1803-1844). 1832 წელს მან პრაღაში ხრადკოსთან ახლოს ქვეშ დაარსა ორგანიზაცია „სამაგალითო მეურვე“, სადაც თამაშის, პოეზიისა და სიმღერების გამოყენებით მიმდინარეობდა 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების აღზრდა და განათლება. ბავშვებს ასწავლიდნენ კითხვისა და წერის საფუძვლებს, გერმანულ ენას.

მას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი შრომა, როგორიცაა საბავშვო ბაღი, პატარა მკითხველი, პატარა მწერალი და სხვა.

სკოლამდელი განათლების სტრუქტურა ქვეყანაში.1.ბავშვების სკოლამდელი განათლება ჩეხეთის რესპუბლიკაში ეფუძნება საკმაოდ ფართო და კარგად ორგანიზებულ საბავშვო ბაღების ქსელს. როგორც წესი, ჩეხეთის საბავშვო ბაღებში ბავშვებს ღებულობენ 3 წლის ასაკიდან. მათი სისტემატიური ვიზიტი ბაღში სავალდებულო არ არის. 2. საბავშვო ბაღები ჩეხეთის რესპუბლიკაში, ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაშია, ისინი როგორც წესი, მდებარეობენ დასახლებიდან საკმაოდ მოშორებით, მათ აქვთ ეზოები და საბავშვო მოედნები. თითქმის ყველა საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს 10 თვის განმავლობაში.ივლისსა და აგვისტოში საბავშვო ბაღების უმეტესობა არ მუშაობს, შვებულებების დროს ქალაქში ან რაიონში დარჩენილი ბავშვები თავს იყრიან ერთ ან ზოგჯერ რამდენიმე ბაღში, რომელიც ამ დროისათვის მუშაობს.

3. საბავშვო ბაღები ჩეხეთში იმყოფებიან ჯანმრთელობის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

სკოლამდელი განათლების მიზანი და მიმართულებები. ჩეხეთის რესპუბლიკის სკოლამდელი განათლების მიზანია შეავსოს ოჯახური აღზრდა და განათლება. ამავე დროს, ის ეხმარება ბავშვებს, რათა უზრუნველყოს ისინი მრავლფეროვანი სტიმულებით, რომელიც საკმარისი იქნება აქტიური განვითარებისა და სწავლისათვის. საუბარია „ბავშვზე ზრუნვის“ სპეციფიურ ფორმაზე, რომელი ხორციელდება ბაგაში (ყველაზე პატარა ბავშვებისათვის) და საბავშვო ბაღებში.

ქვეყნის საბავშვი ბაღების მუშაობის თავისებურებები. 1. საბავშვო ბაღში მშობლებს შვილები მიჰყავთ ყოველდღე (შაბათ-კვირისა და დღესასწაულების გარდა) დილით 7 საათზე და გამოჰყავთ 17 საათზე.

2. საბავშვო ბაღში ბავშვებზე ზრუნვისათვის საფასურის გადახდა დამოკიდებულია პირველ რიგში ბაღის სტატუსზე (სახელმწიფო, უწყებრივი, კერძო), და მეორე სად მდებარეობს სავაშვო დაწესებულება.

3. ივლისსა და აგვისტოში, საბავშვო ბაღების უმეტესობა არ მუშაობს, შვებულებების დროს ქალაქში ან რაიონში დარჩენილი ბავშვები თავს იყრიან იმ ერთ ან ზოგჯერ რამდენიმე ბაღში, რომელიც ამ დროისათვის მუშაობენ.

4. საბავშვო ბაღის პროგრამა მოიცავს ექსკურსიებს, თეატრებში ვიზიტებს, საგანმანათლებლო საქმიანობებსა და უცხო ენის შესწავლას.

5. გასახდელ ოთახებში წარმოდეგენილი არის ღია ტიპის კარადები (ბავშვთა რაოდენობის შესაბამისი). კარადები შედგება ოთხი იარუსისაგან: ყველაზე ზედა განკუთვნილია ქუდებისათვის, მის ქვემოთ მოთავსებული პირადი ჰიგიენის საგნები, შემდეგ - ყველაზე დიდი განყოფილება - ტანსაცმელისა და ჟილეტებისათვის, რომელსაც ბავშვები იცვამენ ბაღის ტერიტორიიდან გასვლის დროს: როდესაც მიდიან ექსკურსიაზე ან თეატრში. ყველაზე ქვედა იარუსი კი განკუთვნილია ფეხსაცმელებისათვის.

6. საბავშვო ბაღს არ აქვს ცალკე ოთახი მუსიკისა და ფიზიკური აღზრდისათვის. მუსიკალური და სპორტული ცენტრები განლაგებულია ჯგუფებში.

7. ბავშვების საძინებელი ოთახები მოწყობილია შემდეგი სახით: სტაციონარული საწოლი თეთრეულით არის მხოლოდ იმ ჯგუფებში, სადაც ბავშვები არიან 24 საათი. სხვა ჯგუფები გამოყენებულია პლასტიკური საწოლები ლეიბებით. ბავშვებს არ ხდიან, მათ ძინავთ ჩაცმული, მათთვის თეთრეული არ არის გამოყოფილი.

8. უფროსის კაბინეტი და მეთოდური ოთახი განთავსებულია ერთსა და იმავე ოთახში. დაწესებულების ხელმძღვანელი ამავე დროს არის მეთოდისტიც.

9. პრაღის საბავშვო ბაღებში არ არის სამზარეულო საკვების მოსამზადებლად. ბაღში საკვები მოაქვთ. ამისათვის, თითოეულ ჯგუფში არსებობს სამზარეულო ოთახი, რომელშიც თანაშემწე ათბობს და ანაწილებს საკვებს, რეცხავს ჭურჭელს.

10. საბავშვო ბაღში დამატებით შესაძლებელია მიიღოს განათლება ხელოვნებაში. ის წარმოადგენს ერთგვარ სახელოსნოს, რომელიც მიშენებულია საბავშვო ბაღზე.

უფროსი ასაკის ჯგუფები იყოფა ქვეჯგუფებად და მათთან მეცადინეობა მიმდინარეობს საღამოს საათებში.ბავშვები ამზადებენ მშობლების პორტრეტებს, პატარა ბარელიეფურ ქანდაკებებს, სათამაშოებს და ა. შ. მასალებს იძენენ მშობლები.

5.13. სკოლამდელი განათლება ჩინეთში

ისტორიული ასპექტები. ჩვენს წელთარიცხვამდე XI საუკუნეში მოიპოვება ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც გადმოცემული მონათმფლობელთა ბავშვების აღზრდის მახასიათებლები, მასში გათვალისწინებულია ბავშვის ასაკობრივი მახასიათებლები. ეს დოკუმენტი არის ყველაზე ადრეული წყარო ჩინეთის ისტორიაში, სადაც საუბარია სკოლამდელ განათლებაზე. იმ დროინდელი ფილოსოფოსები (კონფუცი) და პედაგოგები საუბრობდნენ საჯარო სკოლამდელ განათლებაზე, მაგრამ ბავშვთა აღზრდა მიმდინარეოდა მხოლოდ ოჯახში. მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოჩნდა ჩინეთში სკოლამდელი განათლების საჯარო დაწესებულებები.

ჩინეთის სკოლამდელი განათლების სისტემა, ფაქტიურად იაპონური სისტემის ანალოგია იყო, რომლებიც ქვეყანაში ქმნიდნენ საბავშვო ბაღებს ე. წ. კულტურული აგრესიის გამოწვევის მიზნით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების (1949 წ.) შემდეგ, საბჭოთა „შრომის სკოლები“-ის მოდელის იხედვით შეიქმნა სკოლამდელი განათების დაწესებულებები. ჩინეთში ჩადიოდნენ საბჭოთა მეცნიერები, რომლებიც საბჭოთა განათლების სისტემის თეორიული იდეებისა და პრაქტიკული გამოცდილების დანერგვას უწყობდნენ ხელს.

„კულტურული რევოლუციის“ დროს (1966-1976) ჩინეთის განათლების სისტემა თითქმის მთლიანად დაიშალა. მხოლოდ 1978 წლიდან დაიწყო განათლების სისტემის აღდგენისა და ადაპტაციის რეალობის პერიოდი.

სკოლამდელი დაწესებულებები სტურქტურა. ქვეყანაში განათლებას ხელმძღვანელობს განათლების სამინისტრო, რომელიც ახორციელებს განათლების სისტემის დაგეგმვას, ხელმძღვანელობასა და მართვას.

საბავშვო ბაღები ჩინეთში არის: სახელმწიფო, უწყებრივი და კერძო.

სახელმწიფო სავაშვო ბაღები მდიდარია პედაგოგიური საქმიანობისა და მართვის გამოცდილებით, აქ სწავლის საფასური დაბალია - ბავშვებს აუცილებლად ასწავლიან შრომას და ამზადებენ სკოლისათვის. კერძო ბაღები, კი სულ რამდენიმე წელია, რაც შეიქმნა. ასეთ დაწესებულებებში საფასური საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვის კულტურულ განვითარებას.

ჩინეთში კერძო საბავშვო ბაღების რამდენიმე ქსელი არსებობს, ერთ-ერთი მათგანი არის „ჰუნინი“. მას 90-ზე მეთ ქალაქში აქვს 200-ზე მეტი საბავშვო ბაღი. ამ ქსელის დამაარსებელი და ხელმძღვანელი არის ვან ჰუნინი. „ჰუნინ“-ის ქსელს აქვს ქარხნები, სადაც საბავშვო ბაღებისათვის მზადდდება სხვადასხვა მასალები, სათამაშოები, კომპიუტერული პროგრამები.

სტრუქტურა: ჩინეთის საბავშვო ბაღებში არის 270-ზე მეტი აღსაზრდელი და 60 მომსახურე პერსონალი. ბაღები განსხვავდებიან მომსახურების ხანგრძლივობით: არის მთელი დღის და დღე-ღამის მომსახურებით. ბავშვების ასკი განსაზღვრულია 3-დან 6 (7) წლამდე. მიღებულია შემდეგი ასაკობრივი დაყოფა: უმცროსი, საშუალო და უფროსი ასაკობრივი ჯგუფები. უმცროს ასაკობრივ ჯგუფში არის 25 ბავში, საშუალოში - 30, ხოლო უფროსში - 35. როგორც წესი, თითოეულ ჯგუფში მუშაობს ორი აღმზრდელი, რომლებიც გადიან სპეციალურ

მომზადებასა და ატესტაციას. საბავშვო ბაღები მუშაობს ზუსტად განსაზღვრული დღის რეჟიმით, აღსაზრდელებთან უპირატესობას ანიჭებენ ჯგუფური მუშაობის მეთოდს. ბავშვებს აცვიათ ერთნაირი ტანსაცმელი.

სკოლამდელი განათლების მიზანი. ყველა სკოლამდელი დაწესებულება მუშაობს ერთნაირი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით - სკოლამდელი განათლების დირექტიული პროგრამა. ეს პროგრამა დამტკიცებულია განათლების სამინისტროს (2001) მიერ და ეფუძნება ლ. ვიგოდსკის, ჟ. პიაჟეს, გ. გარდნერის და ჩინელი პედაგოგის ტაო ხიზის თეორიებს, ასევე იტალიის ქალაქ რეჯიო ემილიაში ჩატარებული პედაგოგიური ექსპერიმენტის შემაჯამებელ გამოცდილებას.

პროგრამა შედგება ხუთ ნაწილისაგან:

- ჯანმრთელობა (ჯანმრთელობის ხელშეყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის (წესები და უნარები) საფუძვლები);
- მეტყველბა (მეტყველების უნარების განვითარება, კომუნიკაციური აქტივობის ამაღლება);
- სოციალური უნარები (თავმოყვარეობის განვითარება, თავდაჯერებულობა, სხვებზე ზრუნვის უნარი და მეგობრული ურთიერთობების დამყარება, პიროვნულ განვითარებაზე ხელშეწყობა);
- სამეცნიერო ინტერესები (ცნობისმოყვარეობისა და ცოდნის შეძენისადმი მიდრეკილების სტიმულირება, ცოდნის ათვისების უნარის განვითარება);
- ხელოვნება (ესთეტიკური გრძნობების ფორმირება, ემოციის გამოხატვის უნარისა და საუკეთესოს, სრულყოფილების შექმნის სურვილის განვითარება.

საოცრებები. ჩინეთში ოფიციალური მოთხოვნაა - ოჯახს ჰყავდეს ერთი შვილი.

ჩინელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ბავშვების მუსიკალურ განათლებას, თვლიან რომ მუსიკალური შესაძლებლობები არის სხვა უნარების განვითარების საფუძველი. ჩინეთის განათლების სისტემა გამოირჩევა სიმკაცრით, ზედმეტად ორგანიზებულობით, ინერტულობით, უარყოფს ინდივიდუალურ მიდგომას. ჩინელი მშობლები ფიქრობენ, რომ „ოჯახში ერთი ბავშვის აღზრდა არის ეგოიზმის რისკი“, ხოლო განათლების სისტემა დაეხმარება მათ ამ რისკების გამოსწორებაში.

5.14. სკოლამდელი განათლება ჰოლანდიაში (ნიდერლანდებში)

ისტორიული ასპექტები. ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე 1980 წლამდე სკოლამდელი განათლების სისტემის უმნიშვნელო ზრდა გამოწვეული იყო ტრადიციულად დედების შრომის ბაზარზე მცირე მონაწილეობით. სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის ეფექტურობაზე საუბრისას, რომელიც მოერგო საზოგადოების სურვილებს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჰოლანდიაში საკმაოდ გაიზარდა სკოლამდელი დაწესებეულებით მოსარგებლეთა პროცენტული რაოდენობა 4 %-დან - 51,2%-მდე (აქ არ შედის სათამაშო დარბაზებში აღრიცხვაზე ყოფნა, ძიძებისა და გახანგრძლივებული დღის მომსახურება, რომლებსაც იგივე სტატუსი აქვთ, როგორც საბავშვო ბაღებს). ამ პრიოდში სკოლამდელი განათლების რაოდენობრივი და

ხარისხობრივი მაჩვენებელი გაუმჯობესდა. გაიზარდა საბავშვო დაწესებულებების რაოდენობა, საბავშო ბაღებში ბავშვთა რაოდენობა, ძირითადად მუშაობდნენ პედაგოგები სპეციალური უმაღლესი განათლებით. მენეჯმენტის თვალსაზრისით გაფართოვდა სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაში ხელმშეწყობ ორგანიზაციათა რიცხვი.

სკოლამდელი დაწესებულებების განვითარება მიმდინარეობდა შედეგი პრინციპებით:

- სოციალური თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, მომსახურების ანაზღაურება;
- რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ბავშვი სარგებლობდეს სკოლამდელი განათლებით;
- აუცილებლად გავითვალისწინოთ დედების უმრავლესობის მუშაობის სურვილი.

ქვეყნის სკოლამდელი განათლების სტრუქტურა: ბავშვებზე ზრუნავს სოციალური განვითარებისა და დასაქმების სამინისტრო. ოფიციალურად სკოლამდელი განათლება იწყება 4 წლის ასაკიდან. არსებობს მრავალი სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელბიც მუშაობენ ბავშვებთან 6 კვირის ასაკიდან. არსებობს, აგრეთვე ბაგა-ბაღები, რომლებიც ზრუნავენ 6 კვირიდან 3 წლამდე ასაკის ბავშვებზე, მათი მუშაობის გრაფიკია ორშაბათიდან პარასკევამდე, 8.00-დან 18.00-მდე. ბავშვების ერთ ჯგუფში მუშაობს ორი კვალიფიციური მასწავლებელი. ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის არსებობს ბაგები, რომელიც ფუნქციონირებს ნახევარი სამუშაო დღე, სულ 5 საათი დღეში.

კლასგარეშე საქმიანობა ხელმისაწვდომი იყო დაწყებითი სკოლის ბავშვებისათვის - 4-დან 12-13 წელამდე - დეწესებულებების უმეტესობა ამ მომსახურებას ბავშვებს სთავაზობს მთელი წლის განმავლობაში. სპეციალური სააგენტოების დახმარებით შეიძლება მოიძბენოს შესაბამის განათლებით ექთნები, ძიძები, ბავშვზე მზრუნველები.

ნიდერლანდებში, ყველა ბავშვს 2-2,5-დან 4 წლამდე შეუძლია მიიღოს ადგილი სათამაშო ჯგუფებში. თუმცა, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში პრიორიტეტი აქვს სოციალური და სამედიცინო პრობლემების მქონე ბავშვებს, აგრეთვე იმათ, ვინც არიან განვითარებაში შეფერხების რისკის მქონენი. 4 წლამდე ასაკის ბავშვები დადიან დღის საბავშვო ბაღებში ან ისეთში, რომელიც მუშაობს არასრული ცვლით. ასევე არსებობს სკოლამდელი დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ დღე-ღამის რეჟიმით (24 სთ.). თითოეულ ჯგუფში არის საშუალოდ 10-15 ბავშვი.

საბავშვო ბაღების სწავლის საფასურს, ამართლებენ დაწესებულების მაღალი ხარისხიანი მომსახურებით, ბავშვებზე ზრუნვას ახორციელებს პროფესიონალი მასწავლებლები, არის მრავაფეროვანი კვება, სხვადასხვა განმავითარებელი გაკვეთილები და ა. შ. ამდენად მატერიალური ბაზის პრობლემა ფაქტიურად არ არსებობს.

დაფინანსებას ახორციელებს ადგილობრივი ხელისუფლება, დამსაქმებლები, ასევე მშობლები. ბავშვთა დაწესებულებები, რომლებიც დაფინანსებულია დამსაქმებლების მიერ, განკუთვნილია სხვადასხვა დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის შვილებისათვის. ამ მიზნით, ბავშვთა ოთახები ან სპეციალურად მოსამზადებელია, ან იჯარით არის აღებული საბავშვო ბაღებსა, თუ ბაგებში. ბავშვთა ოთახების შენახვისათვის დამსაქმებლები იღებენ დამატებით დაფინანსებას.

სახემწიფო ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობას, აკონტროლებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შინაარსისა და ორგანიზაციის წესების დაცვის ხარისხს, ასევე ორგანიზაციის მიერ ბავშვებზე გაწეულ ისეთ საქმიანობებს, როგორიცაა:

- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
- კადრების მომზადება და გადამზადება;
- ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობასთან პერსონალის რაოდენობის თანაფარდობას;
- სკოლამდელი დაწესებულებებში ბავშვთა მოვლისათვის აუცილებელ სანიტარულ მოთხოვნებს.

სკოლამდელი განათლების მიზანი. განათლება მიმართულია ბავშვის ემოციური სფეროს, ინტელექტისა და შემოქმედებითობის, სოციალური, კულტურული და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ. სპეციალურ სკოლებში განათლება მიმართულია იქეთკენ, რომ მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ დაბრუნდნენ ჩვეულებრივ სკოლებში და მიიღონ განათლება მის თანატოლებთან ერთად.

სასწავლო პროგრამა მოიცავს:

- სენსორული კოორდინაცია და ფიზიკური განათლება;
- გერმანული ენა;
- არითმეტიკა და მათემატიკა;
- ინგლისური ენა;
- ფაქტიური საგნები, როგრიც არის გეოგრაფია, ისტორია, ბიოლოგია, სოციალური დისციპლინები (პოლოტიკური მეცნიერებების ჩათვლით), ასევე რელიგიური და იდეოლოგიური აღზრდა;
- ექსპრესიული აქტივობები, რომელიც ეფუძნება უცხო ენის გამოყენებას, მუსიკა, თამაშები, მოძრაობები.
- სოციალური და ცხოვრებისეული უნარები, მათ შორის ქუჩაში ქცევის წესები და ჯანსაღი ცხოვრების წესის საფუძვლები.

საოცრებები. ბავშვის აღზრდაში მშობლის წვლილი, დამოკიდებულია მშობლის ფინანსურ შესაძლებლობებზე. რაც უფრო ნაკლებია შემოსავალი, მით ნაკლებს იხდიან მშობლები. 2005 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა კანონი „ბავშვზე ზრუნვის“ შესახებ, სადაც გაცხადებულია: ბავშვებზე ზრუნვის ხარჯები უნდა გადანაწილდეს ბავშვების მშობლებს, მათ დამსაქმებლებსა და მთავრობას შორის. კანონი მოითხოვს, რომ დამსაქმებლები მშობლებთან ერთად ფარავენ ხარჯების მესამედს. თუ ისინი ამას ვერ აკეთებენ, ანუ თუ მშობლების წლიური შემოსავალი არის საჭირო თანხაზე ნაკლები, მაშინ მთავრობა შესთავაზებს კომპენსაციას. აღსანიშნავია, რომ ბავშვის მოვლის შემწეობას, მშობლები იღებენ არა მარტო საბავშვო ბაღების მომსახურებისათვის, არამედ სათამაშო ოთახებისა და ძიძების მომსახურებისათვის.

ტარდება სოციოლოგიური კვლევები, რომელიც სისტემატურად განიხილება მთავრობის მიერ. წარმომადგენლობითი ორგანოების დახმარებით, საპარლამენტო არჩევნებზე, მშობლები ირჩევენ იმ პარტიებს, რომელთა პროგრამები გამსჭვალულია მშობელთა სოციალური დაცვის პოლიტიკით, კომუნიკაცია ხორციელდება ელექტრონული მედიით, ასევე ინტერ-

ნეტ-საიტებით, ასევე არსებობს მოქალაქეთა პირდაპირი შეხვედრა ხელისიფლების წარმომადგენლებთან ან ნიდერლანდების დედოფალთან.

5.15. სკოლამდელი განათლება შვეიცარიაში

შვედეთის სკოლამდელ დაწესებულებებში მაღალ დონეზე დგას გენდერული საკითხი. ამიტომ გენდერული აღზრდა ფართოდაა გავრცელებული შვედურ ბაღებში. ამ ბაღების მიზანია ბავშებს შეუქმნან თანაბარი პირობები მიუხედავად მათი სქესისა. ასეთ ბაღებში იბრძვიან გენდერული სტერეოტიპების და ბავშვებისთვის თავს მოხვეული როლების წინააღმდეგ. ასეთი დაწესებულების მიზანია გაათავისუფლოს ბავშვები სქესის მიმართ არსებული ცრურწმენებისგან, რომლებიც საზოგადოების მიერაა დაწესებული და ადამიანს დაბადებიდანვე ზღუდავს.

ერთი შეხედვით შვედური ბაღი არ განსხვავდება სხვა ქვეყნების ბაღებისგან, თუმცა ბავშვების მიმართ განსხვავებული მიდგომა აქვთ. ბავშვებთან საუბრისას მასწავლებლები ერიდებიან ისეთი ნაცვალსახელების გამოყენებას, როგორებიცაა „him“, “her”. მასწავლებლები იყენებენ სიტყვას „მეგობრებო“, ხოლო ზოგჯერ სიტყვას „hen“, რომელიც უსქესო ფინური ნაცვალსახელია. მაგრამ საქმე მხოლოდ ბავშვებისადმი მიმართვის განსხვავებულ ფორმაში არ არის. სქესის ტრადიციული როლის ბავშვებზე თავს მოხვევა, რომ არ მოხდეს წიგნებიც კი განსაკუთრებული სიფრთხილითაა შერჩეული.

სათამაშოები - თოჯინები, ტრაქტორები, ქვიშის სათამაშოები, მანქანები განზრახ არის ერთად მოთავსებული, რათა ბავშვმა თავად მიიღოს გადაწყვეტილება რომელი სათამაშოთი ითამაშოს. ბიჭებს შეუძლიათ ითამაშონ თოჯინებით, თუ ეს მათ მართლა სურთ. დირექტორის თქმით, მის ბაღში ბავშვებს უფრო მეტი არჩევანის საშუალება აქვთ, ვიდრე სხვა ბაღებში, რადგან ეს არჩევანი გენდერზე დამყარებული მცდარი წარმოდგენებით არ იზღუდება. ბაღის მასწავლებლები ამბობენ, რომ მათ გენდერით მიკერძოებული საზოგადოების შეცვლა სურთ. ბაღს ხშირად აკრიტიკებენ ასეთი პოლისის გამო, ბავშვები შესაძლოა დაიბნენ და ბაღმა დახმარების ნაცვლად მათ თავგზა აუბნიოს. თუმცა ბაღის დირექტორის თქმით, ისინი ბიოლოგიურ სქესზე არ აკეთებენ აქცენტს, მათთვის მთავარი სოციალური სქესის დამუშავებაა. პროგრამის კრიტიკოსები ამბობენ, რომ სამიდან შვიდ წლამდე ბავშვებში იდენტობის ჩამოყალიბება ხდება. სქესი მათი გენდერის შემადგენელი ნაწილია, რასაც ვერ გავექცევით.

შვედეთის ბაღებში სქესის მრჩევლებიც კი ჰყავთ. სქესის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო კურიკულუმშიც კი არის ჩაწერილი. შვედეთს ხშირად აქებენ, როგორც ერთ-ერთ სამართლიან ქვეყანას, თუმცა ასეთი გენდერული სწავლება კრიტიკის საკითხად რჩება. შვედებს სჯერათ, რომ თუ ისინი რამეს დააკანონებენ ამ წესის ავტომატურად შეცვლა მოხდება. თუმცა ის რაც კულტურაშია მის შეცვლას საუკუნეები დასჭირდება.

შვედეთში სჯერათ, რომ ბავშვის განვითარებისთვის აუცილებელი ელემენტი თამაშია. შვედეთის ბაღებში ყოველთვის ეძლევათ ბავშვებს შესაძლებლობა გარეთ ეზოში ითამაშონ.

ზამთარშიც კი ისინი აუცილებლად გაჰყავთ ეზოში. უცხოელი მშობლების გასაოცრად ბავშვებს შუადღით გარეთაც კი სძინავთ ცივი დღეების გამოკლებით. ასეთი სახის ბაღებს გარე ბაღებს ეძახიან, სადაც ბავშვები უმეტესწილად ნებისმიერ ამინდში დროს ჰაერზე ატარებენ.

დღეს შვედეთის ბავშვების ასაკით 1-დან 5-მდე ასაკის ბავშვების 80 პროცენტი ბაღში დადის, რამდენიმე საათითაც, კი რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპაში. ასეთი სტატისტიკა შეიძლება იმ ფაქტით აიხსნას, რომ შვედეთში საბავშვო ბაღების გადასახადი პროპორციულადაა გადანაწილებული განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ოჯახებზე. შვედეთში საბავშვო ბაღზე ყველანაირი ფინანსური მდგომარეობის ოჯახს მიუწვდება ხელი. დაბალი ანაზღაურების მქონე ოჯახები არაფერს არ იხდიან, მაშინ როდესაც შეძლებული ოჯახები თვეში დაახლოებით 140 ევროს იხდიან. გადასახადი დამოკიდებულია ოჯახის შემოსავალზე და ოჯახში ბაღის ასაკის ბავშვების რაოდენობაზე.

შვედეთში ბაღები უმეტესწილად 6:30 -დან 18:30-მდე ღიაა სამუშაო დღეების განმავლობაში. ნორვეგიასა და შვედეთს სკოლამდელი ბავშვების განათლების საკითხში მსგავსი პირობები აქვთ ფინანსური დახმარების ჩათვლით.

5.16. სკოლამდელი განათლების სისტემა იაპონიაში

1871 წელს იაპონიაში იოკოიამაში ამერიკელ ქალების ხელმძღვანელობითშეიქმნა პირველი ბაგა-ბალი. საკურორტო იაპონური სკოლამდელი დაწესებულება იქმნება ტოკიოში 1894 წლიდან. ხოლო ფრებელის ტიპის პირველი საბავშვო დაწესებულება ტოკიოში დაარსდა 1876 წელს.1882 წელს, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტრომ დაიწყო საბავშვო ბაღების გახსნა ღარიბებისათვის, მათმა რიცხვმა 1897 წელს მიაღწია 222–ს. 1900 წელს იქნა შემუშავებული სკოლამდელი განათლების ეროვნული სტანდარტები და ოფიციალური წესები საბავშვო ბაღებისათვის. კანონი საბავშვო ბაღების შესახებ ძალაში შევიდა 1926 წელს. მასში რეკომენდირებული იყო, კერძოდ, საბავშვო ბაღების შექმნა ბაგების საფუძველზე. გაორმაგდა. განსაკუთრებული სკოლამდელი დაწესებულებები იქმნებოდა ომის დროს და მოსავლის აღების პერიოდში.

1947 წლის კანონის თანახმად საბავშვო ბაღები და ბაგები გახდნენ დაწყებითი სკოლის სისტემის ნაწილი. ბაგები გარდაქმნეს დღის მოვლის ცენტრებად, რომლებიც მიაკუთვნეს ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, მაგრამ 60-იან წლებში მათი პროგრამები აღარ განსხვავდებოდა საბავშვო ბაღების პროგრამებისგან. 1972 წელს დაისახა ამოცანა უზუნველყოფილიყო ადგილებით ყველა მსურველი; ამჟამად ბავშვების დაახლოებით 90 - 95% მოდის სკოლაში მას შემდეგ, რაც გავლილი აქვთ საზოგადოებრივი სკოლამდელი განათლების ერთ-ერთი ფორმა; მათ შორის, სამ წლამდე ბავშვების პროცენტი უფრო დაბალია.

საბავშვო ბაღები განათლების, მეცნიერების და კულტურის სამინისტროს მმართველობაშია, დღის მოვლის ცენტრები კი, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსი. ამ ორი სახის სკოლამდელ დაწესებულებას შორის არსებობს განსხვავებები.საბავშვო ბაღში დიდი აქცენტი კეთდება განათლებაზე, სამ წელზე მეტი ასაკის ბავშვები ბაღში დღეში დაახლოებით 4 საათის განმავლობაში რჩებიან, მათ მშობლებთან ან მეურვეებთან ხელშეკრულებას აფორმებენ, არსებობს პროგრამა,სამუშაოს შინაარსი მოიცავს ზრუნვას ჯანმრთელობაზე, სოციალური კონტაქტების დამყარებაზე, გარემოსთან გაცნობაზე, მეტყველებისა და თვითგამოხატვის განვითარებაზე; სულ 15 ათასზე მეტი საბავშვო ბაღია, თითოეულში დაახლოებით 135 ბავშვი, ერთ ზრდასრულზე მოდის საშუალოდ 20 ბავშვი. დღის მოვლის ცენტრებში ჩვილი და სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდა ერთდროულად, ეს დაწესებულებები დღეში 8 საათის განმავლობაში მუშაობენ. აქ ბავშვები იგზავნება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. საფასური დამოკიდებულია მშობლების შემოსავალზე.სამუშაოს შინაარსი მოიცავს ბავშვის მოვლას, რომელიც უზრუნველყოფს ემოციურ სტაბილურობას, ჯანდაცვას, სოციალური კონტაქტების რეგულირებას , სათანადო გარემოს და გაცნობითი გარემოს შექმნას , მეტყველებისა და თვითგამოხატვის განვითარებას. სულ მოვლის ცენტრებში დაახლოებით 23 ათასი ბავშვია, საშუალოდ თითოეულში დაახლოებით 75 ბავშვი, 10–10 ბავშვი თითო ზრდასრულზე. არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა განვითარების სპეციალური დაწესებულებები. აღმზრდელების მომზადება შედგება საფეხურებისაგან. დიპლომებს გააჩნია სხვადასხვა ღირებულება და მოქმედების ხანგრძლივობა. იდეალურ ვარიანტში აღმზრდელებს აქვთ უმაღლესი განათლება. საბავშვო ბაღში აღმზრდელებად მუშაობენ ძირითადად ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალები. მთელი სისტემის მთავარი მიზანია სკოლამდელი ბავშვების აღზრდის ხარისხის ამაღლება.

„სკოლამდელი დაწესებულება ვალდებულია შეასრულოს შემდეგი ამოცანები: დაეხმაროს ბავშვს ჰქონდეს კარგი ურთიერთობები მოზარდებთან და ბავშვებთან, პატივი სცეს ბუნებას, შეიძინოს ჯანსაღი ცხოვრების ჩვევები, ისწავლონ სოციალური ქცევის უნარები. 1986 წლის კანონის თანახმად, ქალებს მიენიჭათ მამაკაცებთან თანაბარი შრომის უფლება. ოჯახების უმრავლესობას გააჩნია 1 –2 შვილი. ასევე არსებობს დამატებითი სკოლა, სადაც ისწავლება ტანვარჯიში, ცურვა, მუსიკა, ცეკვა, ხელოვნება და ასე შემდეგ“ (7. გვ.75).

ყოველდღიური საქმიანობის შესრულებასთან ერთად, მასწავლებელმა უნდა განახორციელოს დამატებითი პროგრამები: აღნიშნავენ სასწავლო წლის დასაწყისს და დასრულებას, ბავშვებს ასწავლიან საგზაო წესეს და ავარჯიშებენ უსაფრთხო ცხოვრებისეულ საქმიანობაში, ორგანიზებას უკეთებენ ექსკურსიებს, სპორტულ შეჯიბრებებს, მათ შორისაა ცურვა, ტრადიციული იაპონური წვრთნები ლიტერატურულ შემოქმედებაში , საფეხმავლო ლაშქრობები

უფროსებისათვის და დაბადების დღეები. მათ შორის ტრადიციული, სეზონური და ეროვნული დღესასწაულები : სიჩი–გო–სან (15 ნოემბერი) სამ– ნახევარი და შვიდი წლის ასაკის ბავშვებისათვის, ტანაბატა(7 ივლისი), ვარსკვლავების დღესასწაული; ოცუკიმი, შემოდგომის მთვარის ფესტივალი; მამე-მაკი (დაახლოებით 3 თებერვალს) ცერცვის გაბნევის ცერემონიალი ; ჰინამაცური(3 მარტი), გოგონების დღე; შობა (25 დეკემბერი) (ყველა საბავშვო ბაღში, მიუხედავად კონფესიისა); ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე (5 მაისი); ტანგ–ნო–სეკ–კუ, ბიჭების დღე; დედის დღე; მამის დღე; სიბერის პატივისცემის დღე (15 სექტემბერი); მადლიერების დღე (23 ნოემბერი); ბოსტნეულის აღება. ბევრ სკოლამდელ დაწესებულებაში ბავშვებს ასწავლიან დოლზე და ფლეიტაზე დაკვრას, რათა მათ შეეძლოთ მონაწილეობა მსვლელობით ფესტივალებში და ასევე შეისწავლიან რიცხვებს და სწრაფ წერას "კნან" - მშობლების თხოვნით.

„ლიტერატურაში აღწერილია იაპონიის ერთ-ერთი საბავშვო ბაღის მაგალითი(120 ბავშვი), რომელიც ყველაზე ტიპიურია ბავშვების ცხოვრების ორგანიზაციის თვალსაზრისით. მოსწავლეები იყოფა შემდეგნაირად: 18 თვემდე ასაკის 12 ბავშვი (მათთან მუშაობს ოთხი მასწავლებელი); 3 წლამდე ასაკის 20 ბავშვი (2 ჯგუფი 10–10 ბავშვის შემადგენლობით, თითოეულში სამი მასწავლებელი და თანაშემწე). დანარჩენი ბავშვები იყოფა ასაკობრივი პრინციპით (სამწლიანები, ოთხწლიანები, ხუთწლიანები) , თითო ჯგუფში 25 - 30 ადამიანი (ყოველ ჯგუფში თითო მასწავლებელი). ყველა ჯგუფს გააჩნია საკუთარი სახელწოდება, როგორიცაა, მაგალითად, "ბაბუაწვერა", "ბაყაყები". ყველა ბავშვს თავისი სკამი აქვს ნაქარგი საზურგით , რომელიც მათ სახლიდან მოიტანეს. ყველა ჯგუფში დგას ორგანი, რომელზეც უკრავს აღმზრდელი. ბაღი იღება დილის 7.00 საათზე. ყველა თავისუფლად ეთამაშება ერთმანეთს. 9.30 გაისმის სიმღერა "ყველაფერი თავის ადგილზე", შემდეგ ბავშვები აკეთებენ ქუჩაში მხიარული მუსიკის თანხლებით გამამხნევებელ ვარჯიშებს 10 წუთის განმავლობაში. შემდეგ გაისმის სიმღერა "ყველანი თავიანთ ჯგუფში" და ბავშვები გარბიან ჯგუფში, ვესტიბიულში იხდიან ფეხსაცმელს . მორიგეები აცეკვებენ მათ წრეში დილის სიმღერის თანხლებით. ბავშვებს გადათვლიან, და ესაუბრებიან, წელიწადის რომელი დროა ამჟამად. ამის შემდეგ, მასწავლებლის ხელმძღვანელობით ბავშვები ასრულებენ დავალებას სამუშაო რვეულში გაანგარიშებაზე და გაფერადებაზე ნახევარი საათის განმავლობაში. შესრულებული სამუშაოს ქვემოთ აღმზრდელი აკრავს წებოვან სურათს. ამოცანების დასრულების შემდეგ ბავშვები იწყებენ სხვადასხვა თამაშს ("ქვა - მაკრატელი - ქაღალდი", ვარჯიშობენ კარატეში და სამურაის ხმლით ბრძოლებში და სხვ.). ასეთი თამაშების ოცი წუთის შემდეგ იწყება მზადება კვებისათვის. ბავშვები იღებენ სახლიდან მოტანილი ყუთებიდან საუზმეს, იღებენ თასებს (ფინჯნებს) და ხელსახოცებს. საბავშვო ბაღში, სახლიდან მოტანილი საკვების გარდა, ამატებენ ცხელ კერძებს და ბოთლ რძეს. შემდეგ ბავშვები მღერიან ერთად და იწყებენ ჭამას. ყველას ჭამს საკუთარი ტემპებით - 10 დან 45 წუთის განმავლობაში. აღმზრდელი ზის ბავშვებთან ერთად ყოველდღე - სხვადასხვა მაგიდებთან (სულ 4 მაგიდაა ჯგუფში). ჭამის შემდეგ, თითოეული ბავშვი იღებს მის ხელსახოცს, ჩხირებს, ყუთს და ხვევს მათ ნაჭერში, რომელიც მოიტანა შინიდან. ბავშვები კვლავ იწყებენ თამაშს სურათებით და ბარათებით, რომლებიც დაეხმარებათ ასოების სწავლაში. აღმზრდელი გვის მაგიდის ქვეშ, და შემდეგ აცხადებს, რომ მოვიდა სათამაშოების ალაგების დრო. როდესაც სათამაშოები ალაგებულია, ყველა სხდება და მღერიან მადლიერების სიმღერას და შემდეგ უსმენენ მუსიკას, რომელსაც ასრუ-

ლებს მასწავლებელი. ამის შემდეგ, დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში ბავშვები დაკავებული არიან ორიგამით, რა დროსაც აღმზრდელი აცნობს მათ გარკვეულ გეომეტრიულ ცნებებს, რომლებიც დაკავშირებულია ქაღალდის ფურცლის დაკეცვის შედეგად შექმნილ ფორმებთან (მართკუთხედი, კვადრატი, სამკუთხედი, რომბი). კიდევ ათი წუთი იხარჯება ყველა ბავშვის ქმნილების შესასწორებლად. შემდეგ ყველა ბავშვი გადის ქუჩაში ქაღალდისგან შექმნილი სათამაშოებით, სეირნობენ და თამაშობენ მიმდებარე ტერიტორიაზე. ქუჩიდან დაბრუნების შემდეგ აღმზრდელი მოუთხრობს რაიმე ამბავს და უჩვენებს დიდ ილუსტრაციებს. კიდევ ერთხელ ასრულებენ სიმღერას და შეუდგებიან შუადღის ჩაის. ბავშვები შემდეგ უმღერიან გამოსამშვიდობებელ სიმღერას მასწავლებელს და ისევ მიდიან სასეირნოდ. ნაკვეთიდან მათ მშობლები წაიყვანენ 16.30 დან 18.00 საათამდე. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელი თითქმის არ აძლევს შემჩნევას ბავშვებს, რომლებიც ცუდად იქცევიან, რეკომენდაციებს აძლევს მათ დამოუკიდებლად მოაგვარონ კონფლიქტები, რომლებიც წარმოიქმნება. ზოგიერთ შემთხვევაში, ის იწვევს დირექტორს (ხელმძღვანელს, როგორც წესი, ეს არის მამაკაცი), რომელსაც შეუძლია აუხსნას ბავშვებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ. სპეციალური მეცადინეობები მეტყველების განვითარებისათვის არ არსებობს.. იაპონელებს სურთ, რომ ბავშვები იყვნენ როგორც ბავშვები: არა მხოლოდ ბედნიერი, მაგრამ ზოგჯერ გაბრაზებული, იმედგაცრუებული, ეგოისტური. ისინი სწავლობენ ფორმალური (მისალმებები, დამშვიდობება, მადლიერება, წახალისება) და არაფორმალური მეტყველების გამოყენებას. ენას სწავლობენ, როგორც ჯგუფური სოლიდარობისა და საერთო სოციალური მიზნების მისაღწევ გამოხატვის საშუალებას“ (7. გვ.76-80).

იაპონიაში, სასწავლო პროცესი არ შეიცავს კონკრეტულ თეორიებს: ნასესხებია საუკეთესო მიღწევები, წარმატებული მოდელები, ეფექტური მეთოდები, რომლებიც აუცილებლად მოუტანს წარმატებას, მაგრამ ტრადიციული ღირებულებები კვლავაც პატივშია და გამოიხატება თუნდაც დეტალებში: თუნდაც ინდივიდუალურად ორიენტირებულ, ბუნების ნობათთან დაკავშირებულ კვების ორგანიზებაში, დისციპლინის და პასუხისმგებლობის აღზრდაში და ასე შემდეგ. აქ სჯერად, რომ ყველა ბავშვს უნდა მიეცეს თანაბარი შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია არა ნიჭი, არამედ მოთმინება, მონდომება და ხასიათი. კარგი საქციელი - ანუ ისეთი, როდესაც ბავშვი ადრე დგება, თუნდაც შაბათ-კვირას და დასვენების დღეებში, ბევრს მუშაობს და თამაშობს, ასრულებს ფიზიკურ ვარჯიშებს, კარგად იკვებება და პატივს სცემს უფროსებს და ყურადღებიანია სხვათა გრძნობების მიმართ. დადებითად ითვლება სხვებზე დამოკიდებულება და მათი გაგების უნარი (ანუ ამგარიში გაუწიონ მათ, ვინც ახლოსაა მათთან, ხედავდნენ, რას აკეთებენ ისინი, როგორია მათი განწყობა, დაექვემდებარონ ზოგად წესებს და იყვნენ მომთმენნი, ტოლერანტული). იდეალურ შემთხვევაში, ცდილობენ დააბალანსონ ინდივიდუალურობა და ჯგუფის წევრობა, პასუხისმგებლობა და უნარი იგრძნონ, როგორ იპოვონ სწორი ურთიერთდამოკიდებულება და ბალანსი საბავშვო ბაღს, ოჯახს და საზოგადოებას შორის. თუ კი ბავშვებს ეძლევათ უფლება დამოუკიდებლად განავითარონ საკუთარი ხასიათი, სკოლის მოსწავლისაგან აუცილებლად მოითხოვენ დიდ მოთმინებას, მონდომებას, ამბიციას. შუა და ზედა კლასის წარმომადგენლები მაქსიმალურად ტვირთავენ თავიანთ შვილებს დამატებითი გაკვეთილებით სპორტში, მუსიკაში, ხელოვნებაში, უცხო ენებში, რათა ისინი გაიზარდონ კონკურენტული უნარების მქონე საზოგადოების წევრები. მსოფლიოში ყველაზე ცნობილი წიგნი ბავშვობის შესახებ - ტ.კუროიანაგის

წიგნი „ტოტო–ტანი, პატარა გოგონა ფანჯარასთან", და ყველაზე ცნობილი მულტფილმი ბავშვების სოფელში ცხოვრების შესახებ - "ტოტე–რო".

სასკოლო სწავლება აგებულია ჯგუფურ მიდგომაზე. მასწავლებლების ურთიერთობა ერთმანეთის და მშობლების მიმართ გამორიცხავს ყველანაირ კრიტიკას. მშობლებისათვის ეწყობა დიდი რაოდენობით კურსები. კითხვის სწავლა , რომელშიც იაპონელ ბავშვებს დაწყებით სკოლაში ძალიან კარგი შედეგები აქვთ, ხორციელდება ძირითადად სახლში მშობლების მიერ და ოჯახი თავად თვლის ამას, როგორც მის მოვალეობას. იაპონიაში, ბავშვებს შორის შეჯიბრება არ არის წახალისებული. საუბარი ბავშვებს შორის ინდივიდუალურ განსხვავებებზე აკრძალულია. ჯგუფი (კლასი) რჩება ჯგუფად (კლასად) მაშინაც კი, როდესაც ბავშვები ვარჯიშობენ, ჩხუბობენ, წარმოადგენენ თავიანთ სკოლას ან საბავშვო ბაღს გარეთ, მაგალითად მოგზაურობის ან ექსკურსიის დროს. კლასში მასწავლებელს შეუძლია მუშაობა ბავშვების მცირე ჯგუფებში.

„დიდი ყურადღება ექცევა იმას, რათა ბავშვებისათვის შეიქმნას ომის, ქალაქების – ჰიროსიმასა და ნაგასაკის – ამერიკული ბირთვული დაბომბვის შედეგების გაპროტესტების გამოხატვის პირობები. ამ თემაზე ბავშვები ხატავენ ნათელი, კონტრასტული ფერებით (წითელი, შავი, მწვანე და ა.შ.): მოფრინავენ შავი თვითმფრინავები და ყრიან შავ ბომბებს, ხატავენ დახოცილ ადამიანებს, ასხამს წითელი სისხლი. ბავშვთა ნახატების კიდევ ერთი თავისებურება იაპონიაში არის დიდი სახეების გამოსახვა ფართო წარბებით, დიდი კბილებით, რომლებსაც შემდეგ გამოჭრიან და ქმნიან უზარმაზარ პანოს; ეს არის ძალიან უჩვეულო ევროპელი ადამიანის თვალისათვის. პროდუქტიულ საქმიანობაში: ფერწერაში, აპლიკაციაში, ძერწვაში - ბავშვებს, როგორც წესი, ცდილობენ არ ასწავლო რაიმე ხერხი. ეს საშუალებას აძლევს ბავშვებს, გამოიყენონფერთა სხვადასხვა ნაზავი, უჩვეულო კონფიგურაციების ხაზები, მიიღონ ნათელი, სხვადასხვა თემატიკის შემადგენლობა. ბავშვთა ნახატების გამოფენებს ენიჭება დიდი ყურადღება. თუმცა, ძერწვაში ბავშვები, როგორც წესი, თავდაპირველად ქმნიან მრგვალი გუნდის ან მჭადის მაგვარ საგანს, და შემდეგ იწყებენ რაღაცის სწავლას და გააზრებას. შედეგად, ბავშვთა ნამუშევრები გამოირჩევა დიდი პრიმიტიულობით; მაგრამ ამავე დროს, ეს მიდგომა აღვიძებს ფანტაზიას, წარმოსახვას: ბავშვს უწევს იმაზე ფიქრი,რაც სინამდვილეში არ უნახავს, რაზეც არსებობს მხოლოდ სუსტი მინიშნება. ასეთი ვარჯიშები შეესაბამება ტრადიციულ იაპონურ მსოფლმხედველობას, რომელიც გამოხატული მაგალითად, მრავალი საათის განმავლობაში ქვის, ყვავილის ცქერას. მედიტაციის ჩვევა აძლევთ საშუალებას იყონ კმაყოფილნი მცირედით და სიამოვნება ჰპოვონ ჩვეულებრივში. ყველას არ შეუძლია მიაღწიოს სიმაღლეებს ხელოვნებაში, მაგრამ ყველას შეუძლია ისწავლოს მშვენიერით ტკბობა, და ეს ყველგან იპოვოს. ორიგამის ტრადიციულ იაპონურ ხელოვნებაში არსებობს სრულყოფილების სხვადასხვა დონე , და ისინი ჩართულია სწავლებაში; გარკვეული ნაკეთობის შესაქმნელად საჭიროა ლოგიკის და მათემატიკის ცოდნა უფროსი სკოლის კლასების დონეზე“ (7. გვ.81).

იაპონიაში სკოლამდელი ასაკის ბავშვებს აცნობენ სიკვდილს: მათ უყვებიან სიკვდილის შესახებ, უკითხავენ და განიხილავენ სპეციალურ წიგნებს. ომის, სიკვდილის თემატიკა არის დაკავშირებული იაპონური სკოლამდელი დაწესებულებების დიდ მუშაობასთან ბავშვების მშვიდობისა და მოქალაქეობრივი სულისკვეთების აღზრდის საქმეში. კერძოდ, ეს სამუშაო ოსაკის საბავშვო ბაღებში ორგანიზებულია შემდეგი მიმართულებებით.

პირველი. ბავშვებს ასწავლიან ისეთ გლობალურ საკითხებს, როგორებიცაა სხვადასხვა რასის ადამიანების კანის ფერი; ეროვნული კოსტუმი; კაცობრიობის ენები; მისალმების ფორმები ; სხვადასხვა ეროვნების ხალხთა თოჯინები.

მეორე. ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ტრადიციების შემეცნება ეროვნული კერძების, ცხოველების და სხვადასხვა ქვეყნების ბუნებრივი პირობების შესწავლის მეშვეობით , კონტაქტების ორგანიზება უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან და უცხოელი სტუმრების მოწვევა იაპონიაში.

მესამე. საქველმოქმედო მუშაობა. აუდიოვიზუალური მედიის მოცემული ანალიზის დახმარებით და თხრობით მასწავლებელი აცნობს ბავშვებს ადამიანების შიმშილის და სიკვდილის შესახებ იმის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ საკვები და სამედიცინო მომსახურება. საშობაო არდადეგების დროს ბავშვებს მოაქვთ სპეციალურად დაგროვილი ფული, სურსათით და მედიკამენტებით სავსე კოლოფები, რათა გააგზავნონ ღარიბ ქვეყნებში, ხოლო დღის მეორე ნახევარში ისინი პედაგოგთან ერთად ამზადებენ ბრინჯის წვნიანს და მიირთმევენ, რათა გაიგონ , თუ რას ჭამენ ღარიბი ადამიანები.

მეოთხე. ბავშვებს აცნობენ იმ უბედურებას, რაც ომს მოაქვს. ამ მიზნით, მასწავლებელი ორგანიზებას უკეთებს საუბრებს კოცონის გარშემო, იწვევენ ბებიებს, ბაბუებს ომის მოვლენებზე სასაუბროდ, რომელიც მათ შეესწრო და რომელიც ახსოვთ, და მერე ბავშვები საუბრობენ ბედნიერ მშვიდობიან ცხოვრებაზე. აღმზრდელი კითხულობს წიგნს საბრალო სპილოების შესახებ, რომლებიც შიმშილით დაიხოცნენ მეორე მსოფლიო ომის დროს, და ბავშვები მიდიან მათ საფლავზე ქალაქის ზოოპარკში. ცოცხალ სპილოებს ისინი წერენ წერილებს ხანგრძლივი სიცოცხლის სურვილებით. ზოგჯერ ბავშვები პედაგოგებთან ერთად წერენ წერილებს ომის აკრძალვის მოთხოვნით და გზავნიან მათ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

მუშაობა ბავშვების მშვიდობისა და მოქალაქეობის სულისკვეთებით აღზრდაში ტარდება ყველაზე იაპონურ სკოლაში, თუმცა, მისი კონკრეტული შინაარსი დამოკიდებულია გარემო პირობებზე. მაგალითად, ჰიროსიმის ბავშვები ეწვევიან ატომური დაბომბვის მსხვერპლთა მემორიალურ მუზეუმს, ძეგლს ამკობენ ყვავილებით, და ა.შ. განსაკუტრებული მნიშვნელობა ენიჭება დედათა საბჭოების მუშაობას (დედა არის ოჯახური ცხოვრების ცენტრი, სწორედ ის არის პასუხისმგებელი ბავშვის განათლების ორგანიზებაზე) : ისინი არა მხოლოდ ეხმარებიან საბავშვო ბაღებს და სკოლებს (იცავენ მათ უფლებებს, იძენენ სათამაშოებს და აღჭურვილობას, ბევრს აკეთებენ მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ დახმარება, და ასე შემდეგ), აგრეთვე აქტიურად არიან ჩართულები მშობელთა კონფერენციების და განათლების საერთაშორისო სიმპოზიუმების ორგანიზებასა და ჩატარებაში“ (7. გვ.83).

ყველა ასაკის ბავშვებს უტარდებათ ექსკურსია, რომელთა ორგანიზაციაში ეხმარებათ მშობლები. ამაშიც ძალიან მისახვედრია იაპონელთა ტრადიციული მოთხოვნილება იმოგზაურონ მშობლიურ ქვეყანაში და ნახონ სხვადასხვა ადგილები, შეხვდნენ სხვადასხვა ადამიანებს, გაეცნონ ცხოვრებას და შრომას სხვადასხვა პირობებში. თითოეული ჯგუფს ან კლასს აქვს საკუთარი განმასხვავებელი ნიშნები ან აღჭურვილობის ელემენტი: ერთი ფერის ბეისბოლის ქუდები (კეპის ტიპის სპორტული ქუდი) ,იგივე მაისურები და ჩანთები. ერთის მხრივ, ეს საშუალებას აძლევს ბავშვებს, რომ არ დაიკარგონ, და მეორეც - ხაზს უსვამს, რომ

ისინი არიან ერთი გუნდი. ყველა გარშემომყოფი ძალიან კეთილგანწყობილია ბავშვების მიმართ, ესაუბრებიან მათ, აჩვენებენ თავიანთი ბავშვობის თამაშებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის მიერ მოზარდებისადმი ნდობის ფორმირებაში.

იაპონელებს ყოველთვის აინტერესებდათ თითოეული ასაკობრივი ჯგუფის დამახასიათებელი პრობლემები და ბავშვები ეცნობიან ადამიანის სიცოცხლის ეტაპებზე უფრო მეტს, ვიდრე ეს მიღებულია სხვა კულტურებში.

იაპონელი მასწავლებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ბავშვების აღზრდას გუნდში, კოლექტივში, რომელიც, მათი აზრით, ერთ-ერთი მთავარი პირობაა დემოკრატიული განათლებისათვის. ბავშვების გუნდი არის საზოგადოების მოდელი. აღმზრდელები და მასწავლებლები ქმნიან იმ ურთიერთობებათა სისტემას , რომელიც მათ მიაჩნიათ თავისუფალი საზოგადოების მოდელად XXI საუკუნის დასაწყისის იაპონიისათვის. აქედან გამომდინარე, ჯგუფში ან კლასში ურთიერთობებს აყალიბებენ ისე, რომ ინდივიდუალურმა შესაძლებლობებმა მიიღოს სრული განვითარება, მაგრამ ყველა ბავშვმა მიიღოს გუნდში ნებისმიერი როლის შესრულების გამოცდილება (გუნდის წევრი, წამყვანი, მორიგე, პასუხისმგებელი გარკვეული სამუშაოს ნაწილზე, და ა.შ. ...). ამ მიზნით, ფართოდ გამოიყენება ფესტივალები, ქვეითად მოგზაურობა, შრომითი და სხვა კოლექტიური სამუშაოები.

იმის გამო, რომ იაპონური ოჯახში მცირდება ბავშვების რაოდენობა, მათ შეუძლიათ მიიღონ უფრო მაღალი ხარისხის და ფართო განათლება. თუმცა, სახელმწიფოს ამოცანა არის ტრადიციული კულტურული ღირებულებების დაცვა და მათი გადაცემა მომავალი თაობებისათვის.

სამ წლამდე ბავშვი სახლში იზრდება. შემდეგ მიჰყავთ საბავშვო ბაღში. იაპონიაში ბაგებიც არის, მაგრამ ბავშვის ბაგაში აღზრდას იაპონელები დიდად არ მიესალმებიან. ვიდრე პატარაა, უმჯობესია დედასთან იყოს. თუ ბავშვი ბაგაში მოხვდა იმის გამო, რომ დედამ მუშაობა დაიწყო, ამას ეგოიზმად უთვლიან. ქალი ოჯახის ერთგული უნდა იყოს და მასზე წინ პირად ინტერესებს არ უნდა აყენებდეს. იაპონურ მორალში საზოგადოებრივი ინტერესი ყოველთვის მაღლა დგას პირადულზე.

იაპონიაში არსებობს კერძო და სახელმწიფო ბაღები. **ხოიეკუენი** - სახელმწიფო ბაგა-ბაღში ბავშვებს 3 თვიდან იღებენ. ის დილის 8 საათზე იხსნება და საღამოს 6 საათამდე მუშაობს, შაბათობით - არასრულად. თუმცა მშობლებმა ბავშვის ბაგაში მიბარების მიზეზი დაწვრილებით უნდა ახსნან. მაგალითად, წარადგინონ საბუთი, რომ დღეში 4 საათზე მეტხანს მუშაობენ. ბავშვი ბაგაში მუნიციპალური განყოფილების გავლით ხვდება, ბაგის გადასახადი კი ოჯახის შემოსავალზეა დამოკიდებული. არსებობს ბაღის მეორე სახეობა - **ეტიენი** (კერძოც და სახელმწიფოც). აქ ბავშვი დილის 9 საათიდან 2-მდეა, დედა კი დღეში 4 საათზე ნაკლებს მუშაობს.

კერძო ბაღებს შორის განსაკუთრებული ადგილი ელიტურ ბაღებს უკავია. მათ პრესტიჟული უნივერსიტეტები კურირებენ. თუ ბავშვი ასეთ ბაღშია, მის მომავალზე მშობლები ნაკლებად ღელავენ - ბაღის შემდეგ ის საუნივერსიტეტო სკოლაში აბარებს, იქიდან კი უგამოცდოდ - უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის დიპლომი პრესტიჟული და კარგად ანაზღაურებადი სამსახურის საწინდარია. ამიტომ ელიტურ ბაღში მოხვედრა იოლი არ არის. მშობლებს ძალიან დიდი თანხის გადახდა უწევთ, ბავშვმა კი რთული ტესტირება უნდა გაიაროს.

https://www.youtube.com/watch?v=Y_oZtxWuids

პირველი სკოლამდელი დაწესებულებები ფინეთში შეიქმნა XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს. მისი ძირითადი ამოცანა იყო - ეზრუნა მომსახურე ოჯახების შვილებზე, მაშინ როდესაც მათი მშობლები მუშაობდნენ. მომავალში საბავშვო ბაღების მიმართ პოლიტიკა შეიცვალა და ორიენტირებულები გახდა, იმაზე რომ - მოამზადოს ბავშვები სკოლისათვის. 70-იანი წლების დასაწყისში, მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ბაღები სოციალური უსაფრთხოების სისტემაში შედიოდა, მათ დაიწყეს საგანმანათლებლო ფუნქციების განხორციელება.

ფინური სკოლამდელი განათლების სისტემის ფესვებს წარმოადგენს ფრებელის საბავშვო ბაღის სისტემა. ფინელებმა ფრებელის პედაგოგიკიდან გამოყვეს ის ნაწილი, სადაც ხაზგასმულია ბავშვის საერთო განვითარებაზე ხელშეწყობა და თამაშის უნიკალობა. 1888 წელს ბერლინის პესტალოცის სახლის კურსდამთავრებულმა როტმანმა ჰელსინკში მეცნიერულ დონეზე დაარსა პირველი საბავშვო ბაღი. 1982 წლიდან დაიწყო აღმზრდელების პროფესიული გადამზადება, ხოლო 1906 წლიდან გაიხსნა პირველი საზაფხულო ბაღები (ქალაქებში საზაფხულო საბავშვო მოედნები, ხოლო 1912 წლიდან ქალაქგარეთ სპეციალური ბანაკები, რომლებიც ფინეთში დღესაც არსებობს).1908 წელს დაიწყო პედაგოგიური მუშაობა ბავშვებისათვის საავადმყოფოებში(დიდი ყურადღება ეთმობოდა ბავშვების სოციალურ-პედაგოგიურ ადაპტაციას და რეაბილიტაციას, მუშაობა ძირითადად იგეგმებოდა ბავშვების ავადმყოფობის ტიპის შესაბამისად). 1913 წელს სკოლამდელ დაწესებულებებში შემოტანილი იქნა პედიატრის თანამდებობა (შემდგომში გაუქმდა). მას შემდეგ, რაც ფინეთი რუსეთს გამოეყო, საჭირო გახდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რომელიც ობოლ და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებზე იზრუნებდა (დღეისათვის მსგავსი მომსახურება სხვადასხვაა: ერთნი ზრუნავენ დაუცველი ოჯახის შვილებზე, მეორენი - ადაპტაციასა და შვილათაყვანაზე, მესამენი - ემიგრანტ და ლტოლვილ ბავშვებზე). 1919 წელს დაარსდა საბავშვო ბაღების ინსპექცია, გახაგრძლივებული დღის ჯგუფები და საბავშვო ბაღების აღმზრდელთა ასოციაცია (შემდგომში, დამოუკიდებელი აღმზრდელების დამცველი). 1919 წელს დადგინდა, საბავშვო ბაღების, დღის ჯგუფების მოსწავლეების და საბავშვო ბაღის პედაგოგების შემოწმება ასოციაციის მიერ. ასოციაცია არეგულირებს საბავშვო ბაღის თანამშრომლების დამსაქმებლებთან

ურთიერთობებს, ცდილობს მოიპოვოს გარკვეული შეღავათები, როგორიცაა შვებულების დღეების ზრდა, სამუშაო დღის შემცირება, ხელფასის მომატება.

20-იან წლებში დაიწყეს სპეციალური საბავშვო კლინიკების, ბავშვთა საკონსულტაციო ცენტრების ქსელის შექმნა, რომელთა შემოტანამ განაპირობა ის, რომ ახალშობილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელით ფინეთში ძალზედ დაბალი გახდა. განათლების სფეროში მუშაობა დაიწყო საკომპენსაციო განათლებამ: პირობების შექმნა, შესაძლებლობების გათანაბრება ბავშვთა განვითარების სხვადასხვა ფონზე, სხვადასხვა მშობლიურ ენის (ფინური, შვედური) მქონე ჯგუფებზე და საცხოვრებელი ადგილის (ქალაქი - სოფელი, ჩრდილოეთი - სამხრეთი) მიხედვით; ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო დაწესებულები განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვებისათვის .

30-იან წლებიდა კერძო საბავშვო ბაღები გახდა სახელმწიფო (საჯარო). მეორე მსოფლიო ომის დროს, ათიათასობით ფინელი ბავშვი ევაკუირებული იქნა შვედეთსა და დანიაში, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მათ შედგომ ცხოვრებაზე. 40-იანი წლებიდან დაწყებული განათლებაში გარკვეულ როლს თამაშობდა ლუთერანული ეკლესია. მათ აქტიური მუშაობა გააჩაღეს ბავშვებთან და მოზარდებთან. შექმნეს კლუბები ახალგაზრდებისათვის, ჯგუფები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის.

ომის შემდგომ წლებში ფინეთში საკმაოდ იმატა ბავშვთა შობადობამ (დღემდე, ეს მაჩვენებლები არ შეცვლილა), ქალი გახდა წარმოების აქტიური მონაწილე. საჭირო გახდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ქსელის გაფართოება. გეოსოციალური ცვლილებების (მოსახლეობის შემოდინება ქალაქში, მიგრაცია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ) გამო იძულებული იყვნენ აეშენებინათ და გაეხსნათ ახალი საბავშვო ბაღები. 1963 წელიდან ფინეთის საბავშვო ბაღებში შემოღებული იქნა ლოგოპედის შტატი.

მეოცე საუკუნის 60-იან წლებიდან საბავშვო ბაღებმა პრაქტიკული ორიენტირი გააკეთეს ამერიკის შეერთებული შტატების ბაღებზე, ხოლო თეორიული პრინციპებით შვედეთზე. დაიწყეს „დღის სახლების“ შექმნა, სადაც ბავშვებს ჰქონდათ ქმედებების სრული თავისუფლება, საერთოდ ამოღებული იქნა მეცადინეობები. შემდეგ დაიწყეს სხვადასხვა ვარიანტების მოძებნა, რომელიც მთავრდებოდა სასარგებლო თამაშების ელემეტებით.

საერთაშორისო კავშირების გამყარებამ, სხვადასხვა ქვეყნის კულტურამ და გამოცდილებამ საბავშვო ბაღები უფრო მეტად ინტეგრირებული გახადა (ერთად მიმდინარებდა გარკვეული პრობლემის მქონე და ჯანმრთელი ბავშვების, სხვადასხვა ეროვნების და სოციალური წარმოშობის ბავშვების აღზრდა), პედაგოგიური პროცესში ნაკლები დრო ეთმობოდა ორგანიზაცულ საკითხებს და უფრო მეტი სხვადასხვა სახის საქმიანობებს. ასევე არსებობდა სპეციალური საბავშვო ბაღები, რომლებიც ეფუძნებოდა მონტესორის სისტემას, ვალდორფის პედაგოგიკას, ხელოვნების ინტენსიურ სწავლებას, უცხოური ენების (მათ შორის რუსული ენის) შესწავლას და ა.შ. იმდენად, რამდენადაც ფინეთი - ორენოვანი ქვეყანაა, ზოგიერთი საბავშვო ბაღების მთელი პერსონალი საუბრობს შვედურ ენაზეც, ბევრ სკოლამდელ დაწესებულებას აქვს შვედური ჯგუფები. ლაპლანდიაში ფუნქციონირებს ბაგა-ბაღები საამის ენაზე. გარდა ამისა, არსებობს სკოლამდელი დაწესებულებები ფიზიკური, გონებრივი, შემეცნები-

თი და სოციალური განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვებისათვის (ასეთი ბაღის თითოეულ ჯგფში შეიძლება იყოს, მაგალითად, 8 ბავშვი და 4 პედაგოგი).

დაახლოებით 3 წლამდე ასაკის ბავშვების 30% და 3 წლის ასაკიდან სასკოლო ასაკამდე ბავშვების 60% დადიან სკოლამდელ დაწესებულებაში. მიღებული იქნა კანონი, რომლის თანახმადაც ყველა ექვსი წლის ბავშვს, აქვს უფლება და ადგილი საბავშვო ბაღის მოსამზადებელ ჯგუფში ან სკოლის მოსამზადებელ კლასში.

1973 წელს ფინეთის კანონმდებლობამ მიიღო ბავშვებზე ზრუნვის აქტი, რომელიც გადიახედა და ჩასწორდა 1983 წელს. ბავშვის აღზრდაზე ფინეთში პასუხიმგებელნი არიან მშობლები, ამდენად, მათ აქვთ უფლება იზრუნონ საკუთარ შვილების უზრუნველყოფაზე და კარგ აღზრდაზე. პირველ რიგში, ამ სისტემის ძირითადი მიზანი იყო მხარდაჭერა გამოეხატათ მშობლებისათვის. მეორე, სისტემა აგებულია ისე, რომ ბავშვი დაცულია სანდო და მეგობრული ადამიანური ურთიერთობებით, ისინი ჩართული არიან სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლებიც ხელს უწყობს მათ განვითარებას და გარემოს შექმნას. მესამე, ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სახელმწიფო სკოლამდელი განათლების დაწესებულებები მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ბავშვების ფიზიკურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას, ისე რომ შენარჩუნებული იქნას ესთეტიკური, ინტელექტუალური და რელიგიური მრწამსი. ამ უკანასკნელი პრობლემის გადასაჭრელად პატივი უნდა ვსცეთ ბავშვის მშობლების ან მეურვის რელიგიურ შეხედულებებს, ახალშობილის დედას უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით ერთ წლამდე. ერთი წლის შემდეგ - ბავშვის მოვლისათვის შემწეობა 3 წლის ასაკამდე, რომლის ზომა დამოკიდებულია ოჯახის საერთო შემოსავალზე. მამას შეუძლია გამოიყენოს ამ შვებულების ნაწილი. ბავშვის დაბადებისას ოჯახს მიეცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება ან შესაბამისი თანხის ბავშვის ტანსაცმელი. ფინეთმა მიიღო კანონი, რომელიც ზღუდავდა სამხედრო თემატიკის სათამაშოების გაყიდვას.

ფინელები თვლიდნენ, რომ ბავშვმა, რაც შეიძლება ადრე დაიწყოს თვითმომსახურება, მაგრამ არ ითხოვენ, რომ ის მიეხმაროს სხვას. ბავშვებს ჯგუფში ცოტა აქვთ მუდმივი დავალებები. ავალებენ მხოლოდ იმის გაკეთებას, რაც მათ შეუძლიათ. ამით მათ ემატებათ საკუთარი თავის რწმენა.

ბოლო წლებში როგორც სკოლებს, ისე სკოლამდელ დაწესებულებებს შესაძლებლობა მიეცათ თავად განსაზღვრონ აღზრდის მიზანი და ამოცანები, გაანაწილონ ბიუჯეტი. შეარჩიონ პერსონალი, მხოლოდ უნდა გაითვალისწინონ განათლება (უმაღლესი განათლება - აღმზრდელ პედაგოგი, საშუალო სპეციალური - აღმზრდელის დამხმარე).

ფინური გამოცდილებისა და ტრადიციებით ბავშვების აღზრდა უნივერსალურია, თუმცა ერთიანი პროგრამა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში არ არსებობს. აღმზრდელ-პედაგოგები და მათი თანაშემწეები ხელმძღვანელობენ მათ მიერ შედგენილი ყოველდღიური სამუშაო გეგმით, პროფესიულად ატარებენ ნებისმიერ აქტივობას, რომელიც ემსახურება ბავშვის ყოველმხრივ და შემოქმედებით განვითარებას. მშობლებისა და მასწავლებლების თანამშრომლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ესმით ბავშვის პრობლემა. ყველაზე მთავარია, წმინდა პროფესიული უნარ-ჩვევების გარდა არის უნარი სწორად აღვიქვათ სოციალური,

პოლიტიკური და კულტურული რეალობა, რომელშიც ცხოვრობენ ბავშვები თავიანთ ოჯახებში.

სოციოლოგების მონაცემებით, ფინეთის ოჯახების უმრავლესობა კმაყოფილია სკოლამდელი დაწესებულებებით. ყველაზე დიდ კმაყოფილებას იწვევენ თავად აღმზრდელები, მათი ხასიათი და საქმიანობის შინაარსი, საბავშვო თამაშების რაოდენობა და ხარისხი. თუ მშობელმა თავისი შვილი შეიყვანა დიდ საბავშვო ბაღში, ისინი როგორც წესი ამჩნევენ და აკონტროლებენ, თუ როგორ მიმდინარეობს თანატოლთა ურთიერთობების ფორმირება. პატარა ბაღებში დამოკიდებულება უფროსებთან და აღზრდისადმი პედაგოგიური მიდგომები უფრო მოქნილია.

საბავშვო ბაღში ექვსწლიანი ასაკის ბავშვმა, სასკოლო მომზადების პროცესში საერთო განვითარების გარდა, უნდა ისწავლოს ჯგუფურ მუშაობა, მიეჩვიოს ერთად საქმიანობას (თანამშრომლობის ასეთი ფორმა ვრცელდება განათლების ყველა საფეხურზე); მათ უნდა შეიძინონ სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევები (გაიგოს მასწავლებლის ისტრუქცია, იჯდეს ერთ ადგილზე და უსმინოს, უპასუხოს კითხვებს და ა. შ. ისეთ საკითხებს, როგორიც არის კინკრეტული ცოდნა, ფანქრის ან საწერი კალამის სწორად დაჭერა ხელში თითქმის საერთოდ არ ექცევა ყურადღება, სამაგიეროდ აუცილებელია იცოდეს ფანქრის, დანის და მაკრატელის გამოყენება).

საბავშვო ბაღები (ოთხსათიანი ჯგუფებისაგან გასხვავებით, რომლებიც დაკავებული არიან სხვადასხვა საქმიანობით, სეირნობენ, თამაშობენ მაგრამ არ აქვთ კვება) ფინეთში მუშაობენ მთელი დღე. თითოეულ ჯგუფში შეიძლება ასაკისდამიხედვით იყოს 12-დან 21-მდე ბავშვი. თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს მინიმუმ ერთი აღმზრდელი და ორი თანაშემწე. თუ ბავშვი ავად გახდება მასზე ზრუნავს ძიძა, ან სპეციალურად მოწვეული აღზმრდელი. ჯგუფში თუ ბავშვები არ არის სამი წლის ასაკის, მაშინ მათთან მუშაობს 3 ძიძა. თუ 4 წლის და მეტის არიან, სასურველია მათთან მუშაობდეს 2 აღმზრდელი და ერთი თანაშემწე. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი მუშაობს, დღეში არანაკლებ 5 საათის განმავლობაში, მაშინ უნდა იყოს ერთი აღმზრდელი და ერთი ძიძა. ასეთ ჯგუფებში არის 25 ბავშვამდე. ბაღს არ ჰყავს შტატით ექიმი, მედდა, მუსიკის თანამშრომელი, ლოგოპედი. რეგულარულად ტარდება მხოლოდ სტომატოლოგის შემოწმება.

საბავშვო ბაღები ჩვეულებივად იღება 6.30 ან 7.00 საათზე და მუშაობს 17.00 ან 18.00 საათამდე; უფროსები სამ ცვლაში მუშაობენ რიგრიგობით მოდის 7.30 ან 8.00 ან 10.00-ზე. ეს სქემა საშუალებას გვაძლევს დღის ნებისმიერ მნიშვნელოვან ნაწილში იყოს უფროსებიდან წარმომადგნელი. არის ტენდენცია, რომ ჯგუფში გადანაწილდეს უფროსების მიმართ მოვალეობები: პერსონალი, რომელიც დაიკავებს გამგის ფუნქციებს, ან მეთოდისტის, ან დამლაგებლის და ა. შ., აღმზრდელის სამუშაო დღე არის 7 საათი, ხოლო თანაშემწის - 8 (ის მოდის შუა ცვლის დროს). სადილი შედის სამუშაო დროში: აღმზრდელი მიირთმევს ბავშვებთან ერთად, ზოგჯერ სხედან ერთ მაგიდასთან. გარდა ამისა, არსებობს ყავის ორი შესვენება სპეციალურ ოთახში თანამშრომლებისათვის, სადაც შეუძლიათ ასევე წაიკითხოთ პროფესიულ ლიტერატურა.

ფინეთშ არის საბავშვო ბაღები, სადაც შეუძლიათ ბავშვები დატოვოთ მთელი ღამე. ასეთი ბაღების რაოდეობა ცოტა არის. მათში შვილის მიყვანა შესაძლებლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მშობლები ღამის ცვლაში მუშაობენ, ან ისინი ხშირად მივლინებებში დადიან, მაგრამ მათ საჭირო ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვს სხვა დროს, როდესაც მშობლებს აქვთ თავისუფალი დღე, ისინი, როგორც წესი ბავშვებთან ერთად ატარებენ მას.

დილა იწყება საუზმით, შემდეგ იმართება „დილის წრე" (საუბარი ნებისმიერ თემაზე), წიგნების კითხვა, სიმღერა (შეგიძლიათ აკომპანიორის გარეშე). ამის შემდეგ მოდის ხელგარჯილობა (ხელით შრომა) და ფიზიკური ვარჯიში, ან თავისუფალი თამაში. შემდეგ გასეირნება, სადილი, თამაშის დასრულება და სხვა საქმიანობა. ხშირია ექსკურსიები, ხანგრძლივი გასეირნება, ვიზიტები მუზეუმებში და გამოფენებზე. საბავშვო ბაღში ბავშვებთან შესახვედრად მოწვეული არიან მსახიობები, მხატვრები, მუსიკოსები, პოლიციელები, მეხანძრეები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები.

ამჟამად საბავშვო ბაღში მუშაობის ძირითადი რეჟიმი არის (კვება, გასეირნება, ძილი), „დილის წრის" (საუბრები) წარმართვა, წიგნების წაკითხვა, სიმღერა (ხშირად მუსიკის გარეშე, ზოგჯერ მუსიკალური ინსტრუმენტებით), ბავშვების მომზადება შემდეგი ღონისძიებებისათვის: გაეროს დღე, ფინური დამოუკიდებლობის დღე, მამისა და დედის დღები, მეგობრის დღე, შობა, აღდგომა, სასწავლო წლის დასარული და ა. შ. ბავშვების დღეები აღინიშნება ჯგუფებში.

ბაღის შენობაში არის სპეციალური ოთახები (ქვიშისა და წყლის საბავშვო ოთახი, დარბაზი, კოსტრუქტორის ოთახი, კომპიუტერისა და სპორტული ინვენტარის ოთახები), როგორც წესი გამოიყენება, ბავშვების მცირე ჯგუფებისათვის, ზოგჯერ დამოუიკიდებლადაც შედიან, იშვიათად აღმზრდელის ზედამხედველობით. წყნარი საათის დროს ბავშვები თავად ირჩევენ სურვილისამებრ რაც სურთ, ძილი, მუსიკის მოსმენა, კასეტის ყურება, ითამაშოს მშვიდი თამაშები, დათვალიერონ წიგნები. პედაგოგები ყოველთვის მზად არიან ბავშვებთან ერთად ითამაშონ სამაგიდო და როლური თამაშები, დახატონ და ძერწონ. მუშაობა ძირითადად მიმიდარეობს თემების მიხედვით, როგორიც არის, მაგ.: „წყალი", „ცხოველები", „ქალაქი", „თეატრი" და ა. შ. პროგრესულ ფორმებად ითვლება:

- თემის დასახელება ბავშვების პატარა ჯგუფებში და წლის განმავლობაში ერთობლივი მუშაობა რაიმე პროექტზე (მაგალითად, ხის სიცოცხლე, ქვები, ფოტოგრაფია, საბავშვო ბაღის ჟურნალის გამოცემა);
- საბავშვო ბაღის კონსოლიდაცია სხვადასხვა აქტივობების განსაზღვრისათვის და გადასვლა ერთი ოთახიდან მეორეში (მასწავლებლები პასუხისმგებელნი არიან ყველა ბავშვზე და კონკრეტულ ოთახზე);
- აღმზრდელების განაწილება საგნობრივი ჯგუფების მიხედვით (მაგალითად, დრამატული, მუსიკის, ხელოვნების) და კონკრეტული პროგრამების შექმნა საქმიანობებისდა მიხედვით;
- შექმნას ბაღში ზონები, ადგილები მეტი პრაქტიკული საქმიანობისათვის;

- ბავშვებთან და მშობლებთან ერთობლივი მუშაობა, ისეთ პროექტებთან დაკავშირებით, რომლებიც მოითხოვს ინტელექტუალურ, პრაქტიკულ, შემოქმედებით და ფიზიკურ ძალისხმევას;

ფინეთის სკოლამდელი განათლება ხასიათდება იმით, რომ აღმზრდელები (ხშირად მათ მოიხსნიებენ, როგორც სკოლის პედაგოგები, მასწავლებლები) - კვალიფიციური, უაღრესად განათლებული ადამიანები არიან. მათი საგანმანათლებლო ქმედებები ეფუძნება პროფესიონალურ ცოდნას: კონკრეტული ცოდნა, აპრობირებული პრაქტიკა, პროფესიული განვითარება კონკრეტულ პოზიციასთან მიმართებაში, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება. სწავლის დროს აღმზრდელი ეცნობა არა მხოლოდ თეორიას ბავშვის მოვლისა და განათლების შესახებ, არამედ უახლოეს კვლევებსა და მათ პრაქტიკაში გამოყენებას. სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა კოლეჯებისა და უნივერსიტეტებში გრძელდება სამი ან ოთხი წელი. აღმზრდელის დამხმარე სწავლობს ორნახევარი წლის განმავლობაში. სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკებმა კვალიფიკაცია უნდა აიმაღლონ მინიმუმ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ; ბიუჯეტში ამისათვის გამოყოფილია ფინანსები.

სკოლამდელი აღზრდით დაინტერესებული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა არის საბავშვო ბაღებში მიიღონ ის ბავშვებიც კი, რომელთა მშობლები ღებულობენ უმუშევრობის დახმარებას, ანუ მათთვისაც იყოს გამოყოფილი ადგილები და ჩართული იყვნენ ყოველდღიურ საქმიანობაშაში, უზრუნველყოფილნი მასალებით, სოციალურად გახსილები.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვების აქტიური მონაწილეობა ნიშნავს იპოვოს თავისი ადგილი გუნდში, მისი სურვილის მიხედვით აირჩიოს პარტნიორი აქტივობისათვის, გააცნობიეროს საკუთარი სურვილები და დაიკმაყოფილოს ის სხვებზე ზიანის მიყენების გარეშე.

საბავშვო ბაღი ხელს უწყობს აღზარდოს ბავშვებში დამოუკიდებელობა, პასუხისმგებელობა, გახადოს თავისუფლად მოაზროვნე, მან უნდა მოამზადოს ბავშვი საზოგადოების აქტიურ წევრად. ბავშვმა უნდა ისწავლოს მოიქცეს გონივრულად და პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ ქცევაზე. მოისმინოს კრიტიკა, მართოს კონფლიქტი. ხელი შეუწყოს ბავშვის პიროვნების შემოქმედებით და მრავალმხრივ განვითარებას. მაგალითად: როდესაც საუბარია ბავშვის დამოუკიდებლობის აღზრდაზე, მასში იგლისხმება არა მარტო ტანსაცმელის ჩაცმისა და გახდის სწავლება, არამედ ისწავლონ ტუალეტის გამოყენება, ოთახის დალაგება, მაგიდის გაწყობა, აგრეთვე გააცნობიეროს მისი არჩევანი და აიღოს პასუხისმგებლობა მის ნებისმიერ ქცევაზე, გამოძებნოს გზა შეასრულოს აღმზრდელის დავალებები.

მნიშვნელოვანი როლი ეთმობა თვითიდენტურობის აღზრდას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაიზიაროს მისი მიკუთვნება კონკრეტული ადამიანების ჯგუფსა და ბავშვებზე: გაიაზროს თუ რას ნიშნავს „მე თვითონ", „ჩემი ჯგუფი", „ჩემი საბავშვო ბაღი", „ჩემი ქვეყანა".

ამ მიზნის მისაღწევად ბავშვებს აძლევენ შესაძლებლობას ხელმისაწვდომი თაროდან თავად აიღოს ის ნივთები, რომლებიც ჭირდება შემოქმედებითი საქმიაობისათვის (ქაღალდი, წიგნები, სათამაშოები, მუყაო, მაკრატელი, საღებავი, მძივები და ა. შ.). აღმზრდელის პროფესიული ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ აღსაზრდელს შეუქმნას ყველა პირობა დამოუკიდებლად გავიდეს შედეგამდე. ამავე დროს ბავშვის ნებისმიერი ქმედება უსაფრთხო

უნდა იყოს ჯანმრთელობისათვის. ბავშვის პიროვებას იცავენ როგორც მორალურად, ასევე ფიზიკურად. არავის აქვს უფლება დააძალოს რაიმეს გაკეთება.

ბავშვის თვითგანვითარებას ამყარებს ის ფაქტი, რომ იქმნება ყველა პირობა სხვადასხვა როლური თამაშებისათვის, თამაშის პროექტირებისათვის (კონსტრუქტორები და სათამაშო მასალები) და დიდაქტიკური შინაარსის სამაგიდო თამაშებისათვის, რომლებიც ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდელად ჩამოიღონ თაროდან.

ფინეთში ახალი საბავშვო ბაღები აგებულია ისე, რომ ბავშვს შეუძლია სურვილისამებრ გადაადგილდეს ერთი ოთახიდან მეორეში, გამოიყენოს დარბაზი, ტექნიკური საშუალებები, უფროსებთან ერთად იმუშაოს კომპიუტერთან, სამზარეულოში, დაალაგოს ოთახი და სხვა.

5.18. დასკვნები

სხვადასხვა ქვეყნის სკოლამდელ დაწესებულებებსა და დაწყებით სკოლებში სწავლების პრინციპებისა და ორგანიზების ფორმების შედარებით შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები.

- პედაგოგიკა დიდწილად დამოკიდებულია კანონმდებლობაზე, რომელიც არსებობს მოცემულ ქვეყანაში ან რეგიონში. სხვადასხვა ქვეყანაში, სკოლამდელი დაწესებულებები შეიძლება ეკუთვნოდეს სოციალურ სამსახურს, ან ჯანმრთელობის დაწესებულბას და შედიოდეს განათლების სისტემაში. შესაბამისად იცვლება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელების საქმიანობის მიმართულები და მათი პროფესიული მომზადება. იმ ქვეყნებში, სადაც სკოლამდელი განათლება შედის სოციალური დახმარების სამინისტროს მმართველობაში, განსაკუთრებით გამოხატულია ტენდენცია დღის განმავლობაში ბავშვზე ზრუნვა მიმდინარეობდეს მშობლების სურვილების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ საბავშვო ბაღებს ხელმძღვანელობს განათლების სამინისტრო, მათ საქმიანობაში, როგორც წესი, შედის ადრეული განათლების ორგანიზება.
- ზოგიერთ ქვეყანაში, სკოლამდელი განათლების სისტემა მხოლოდ იწყებს განვითარებას და შესაბამისად რჩება რამდენიმე სამინისტროს პასუხისმგებლობაში.
- ბაღებში აღზრდის ხარისხი დამოკიდებულია აღმზრდელის განათლების დონესა და პროფესიონალიზმზე. უმეტეს ცივილიზებულ ქვეყანაში, მათი დონე საკმაოდ მაღალია, მათ შეუძლიათ მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით (მუსიკა, ფიზიკური, ინტელექტუალური, ესთეტიკური) და დაიცვას ბავშვთა განვითარების დინამიკა. ეს იმიტომ რომ მათ ღრმად იციან ფიზიოლოგია, ბავშვის ფსიქოლოგია, სოციოლოგია. რაც საშუალებას აძლევთ კომპეტენტურად დაგეგმონ საკუთარი პრაქტიკა ბავშვებთან მუშაობისას, კოლეგების გამოცდილების გამოყენებისას - გამოამჟღვანონ დამოუკიდებლობა და შემოქმედებთობა, ვიდრე „მზა რეცეპტების გამოყენება“.
- საზოგადოებაში პიროვნების სოციალური განვითარების მეცნიერულ საფუძვლებში აისხება ცხოვრების პირობებში მსგავსება და განსხვავება (ოჯახში, ბავშვთა ერთობაში, გარე სამყაროში), მსოფლიოს შეცნობა საკუთარი თავიდან და ოჯახიდან, მზარდი დამოუკიდებლობა, თვითმომსახურება და შემოქმედებითი გამოვლინებები.
- მომავალში პედაგოგები სოციალურ-პედაგოგიური ციკლის დისციპლინების ფარგლებში შეისწავლიან არსებულ კანონმდებლობას ქორწინების, ოჯახის, საზოგადოებაში ბავ-

შვთა მდგომარეობის, ბავშვთა დაცვისა და დედობის შესახებ, სოციალური ინსტიტუტების ფუნქციას. ექნებათ შესაძლებლობა დაიცვან ბავშვთა უფლებები, ინტერკულტურული ურთიერთდამოკიდებულება და ა.შ.

- დიდი ყურადღება დაეთმობა ორგანიზაციას, კომუნიკაციას და თანამშრომლობას (როგორ დაეხმარონ მშობლებს, აღმზრდელებს და ბავშვებს), რადგან საზოგადოების თითოეული წევრის სოციალური კეთილდღეობის გასაღები არის საჯარო პოლიტიკის მექანიზმების ნორმალური ფუნქციონირება.

კითხვები თვითშეფასებისა და თვითანალიზისათვის

1. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში.
2. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა გერმანიაში.
3. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა დიდ ბრიტანეთში.
4. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა საფრანგეთში.
5. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა თურქეთში.
6. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა კანადაში.
7. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა კვიპროსში.
8. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი დაწესებულებები ნორვეგიაში.
9. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა პოლონეთში.
10. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა საბერძნეთში.
11. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა უნგრეთში.
12. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა ჩეხეთში.
13. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა ჩინეთში.
14. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა ჰოლანდიაში.
15. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა შვეიცარიაში.
16. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა იაპონიაში.
17. მოკლედ დაახასიათეთ სკოლამდელი განათლების სისტემა ფინეთში.

ლიტერატურა:

1. ეონტა ტ., სკოლამდელი აღზრდა სლოვენიაში, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, № 3 , 1987.
2. სკოლამდელი აღზრდა საქართველოში(1859-1947), ჟურნალი „კომუნისტური აღზრდა“, №2, 1959
3. სკოლამდელი აღზრდა ინგლისში, ჟურნალი „დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდა“, №2, 1980.
4. აბდუშელიშვილი გ., სკოლამდელი აღზრდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრება“, №2, 1974.
5. ინანეიშვილი მ., საგანმანათლებლო კურიკულუმები, სამაგისტრო შრომა, ხელნაწერის უფლებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016.
6. დოლიძე ლ., სახალხო განათლების სისტემა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, № 12, 1971.
7. Сорокова М. Г., Современное дошкольное образование: США, Германия, Япония: актуальные проблемы и пути развития, М. 1998 г.

8. Топоркова О. В., ПОНЯТИЕ "КУРРИКУЛУМ" В СИСТЕМЕ БРИТАНСКОГО ДОПОЛНИТЕЛЬНОГО, ИЗВЕСТИЯ ВолгГТУ, Волгоградский государственный технический университет

9. ДАВИДОВИЧ А., О некоторых воросах развития системы дошкольного Образования в контексте мирового Опыта,praleska-rud-by.

10. **Зарубежные семейные детские сады.Описание зарубежного опыта работы семейных детских садов.,rodonaya-tropinka.ru**

11. Парамонова Л. А., Протасова Е. Ю. Дошкольное и начальное образование за рубежом: История и современность: Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб, заведений М.: Издательский центр «Академия», 2001. — 240 с.

12. Хрестоматия по дошкольному воспитанию, под редакцией Е. А. АРКИНА, МОСКВА, 1927 г.

13.Загвоздкин В.К Реформа школьной системы и оценка качества школ в Финляндии / В1.К. Загвоздкин. — М.: АПКиПРО, 2011.

14.Загвоздкин В. Секрет финского успеха // Народное образование.,2006.,№ 4.

15.www.highscope.org

16.http://preschooleducation.ge

17.http://www.wildflowers-kindergartens.co.uk/

18.**http://www.helsingborg.se/startsida/toppmeny/english/preschool-and-education/**

19.http://mastsavlebeli.ge

19. http: //edulive. ge/geo/news/story/67283-presaskolo-ganatlebis-evro-amerikuli-gza-).

§ 6. ფრიდრიხ ფრებელის პედაგოგიკური კონცეფცია. თამაშით სწავლება

ფრიდრიხ ფრებელი პესტალოცის მოწაფე და მიმდევარი იყო. მისი სახელი განუყრელადაა დაკავშირებული საბავშვო ბაღების იდეასთან. იგი სამართლიანად ითვლება სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკის კლასიკოსად. ცხოვრების ორი ათეული წელი მოახმარა მან სკოლამდელი აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების დამუშავებას. ფრიდრიხ ფრებელმა თავის ნაშრომში –„ადამიანის აღზრდა“ მოგვცა ფილოსოფიურ–პედაგოგიური საფუძვლები აღზრდისა ადამიანის დაბადებიდან მის მომწიფებამდე.

ისევე როგორც პესტალოციმ, ფრებელმა ახლებურად დააყენა აღზრდის მიზნები და ამოცანები, გამოთქვა ახალი თვალსაზრისი ადამიანის ბუნების განვითარებისა და არსის შესახებ, ეძებდა ბავშვების სისტემატური აღზრდისა და განათლების ახალ გზებსა და საშუალებებს და ცდილობდა მათ პრაქტიკულ განხორციელებას.

ფრიდრიხ ფრებელმა სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი გულმოდგინედ აკვირდებოდა ბავშვების თამაშსა და შრომით საქმიანობას, სწავლობდა მათ ხასიათსა და თვისებებს. ბავშვებთან მრავალი წლის პრაქტიკულმა მუშაობამ, გერმანულ ოჯახებში ბავშვთა აღზრდის ტრადიციების ღრმა ცოდნამ, პრაქტიკოს პედაგოგებთან მჭიდრო კავშირ–ურთიერთობამ საშუალება მისცა ფრებელს მეცნიერულად განეზოგადებინა

ოჯახური აღზრდის ტიპური მოვლენები და მხარეები და შეექმნა სკოლამდელი აღზრდის ორიგინალური სისტემა.

ფრიდრიხ ფრებელი დაიბადა 1782 წლის 12 აპრილს სოფელ ობერვეისბახში, მღვდლის ოჯახში. ის ერთი წლისაც არ იყო, როცა დედა გარდაეცვალა. მამას არ ჰქონდა იმის დრო, რომ ყურადღება მიექცია პატარა ფრიდრიხის აღზრდისათვის და იგი უფროსი ძმების მეთვალყურეობით იზრდებოდა. მალე სოფლის სკოლაში მიიბარეს, რომელიც გოგონებისთვის იყო განკუთვნილი. თერთმეტი წლის ფრიდრიხ ფრებელი ბიძის ოჯახში გადადის და სწავლას განაგრძობს ქალაქის ადგილობრივ სკოლაში.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 1892 წელს ფრებელი მუშაობას იწყებს მეტყევედ ჰამბურგის ახლოს. მალევე ანებებს თავს მეტყევეობას გადადის მაინის ფრანკფურტში და ოცნებობს არქიტექტორობაზე. ფრანკფურტში იგი ხვდება მისი სკოლის დირექტორს. დაჰყვა მის რჩევას თავი დაანება არქიტექტორობაზე ოცნებას, რადგან ეს არ იყო მისი მოწოდება. –„თქვენი საქმე აღმზრდელობაა“ – ურჩევდა დირექტორი.

პედაგოგიური მოღვაწეობა მანამდეც იზიდავდა ფრიდრიხ ფრებელს. იგი შედის გრუნერის სკოლაში და მალე გრძნობს, რომ მისთვის აუცილებელია პედაგოგიური განათლების მნიშვნელოვნად გაღრმავება–გაფართოება. ფრებელი ეცნობა პესტალოცის შრომებს, რომლებმაც მასზე დიდი ზემოქმედება მოახდინა და ოცნებობს მასთან შეხვედრაზე. ბიძია გოფმანის გარდაცვალების შემდეგ ფრებელი გეტინგენის უნივერსიტეტში შედის, სადაც ძირითადად ენებსა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ეუფლება. 1810–1813 წლებში ფრებელი ჯერ გეტინგენის, შემდეგ კი ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტია. ეს ის წლებია, როცა გერმანიაში ფართო ეროვნული მოძრაობა დაიწყო ნაპოლეონის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ. არც ფრიდრიხ ფრებელი დარჩენილა ამ მოვლენების მიღმა, იგი აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში.

1816 წელს ფრიდრიხ ფრებელმა სოფელ გრისგეიმში გახსნა სკოლა, სადაც მასწავლებლად თავისი მეგობრები მოიწვია, რომლებიც მასთან ერთად ოცნებობდნენ ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის სისტემის ფართო რეფორმაზე. ბუნებაში ხშირად ყოფნა, ფიზიკური წრთობა, თამაში, ხელოსნებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა საქმიანობის გაცნობა მოსწავლეთათვის. მასწავლებელთა კრებები, სადაც სისტემატურად იხილავდნენ ბავშვის სწავლებისა და აღზრდის საკითხებს და სხვ. ეს იყო ფრებელის სკოლის მთავარიგანმასხვავებელი მხარე სხვა ამგვარი ტიპის სკოლებთან შედარებით.

“1827 წელს ფრებელმა დაწერა თავისი ძირითადი ნაშრომი „ადამიანის აღზრდა“. ამ ნაშრომმა მას ფართოდ გაუთქვა სახელი პედაგოგიურ სამყაროში, როგორც გერმანიაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მაღალ წრეებში უნდობლად უყურებდნენ ფრებელის პედაგოგიურ საქმიანობას, გაუთავებელი შემოწმებითა და ცილისწამებით თავს აბეზრებდნენ მას. ამის შედეგი იყო ის, რომ ფრებელმა გრისგეიმის სკოლის ხელმძღვანელობა თავის მეგობარს გადასცა და საერთოდ ჩამოსცილდა ამ სკოლას“ (2. გვ. 45).

ამის შემდეგ ფრიდრიხ ფრებელის მთელი ყურადღება სკოლამდელი აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების დამუშავებისაკენაა მიპყრობილი. მალე იგი ბერლინში გადადის საცხოვრებლად და დაწვრილებით სწავლობს ბავშვთა თავშესაფრებისა და სკოლების მუშა-

ობას. ფრებელი დარწმუნდა, რომ ამგვარ დაწესებულებებში აღმზრდელობითი მუშაობა უაღრესად დაბალ დონეზე მიმდინარეობდა. თავისი შენიშვნები მან გადმოსცა სტატიაში „დარიგებანი ბავშვებთან პირველდაწყებითი თამაშებისა და მეცადინეობათა შესახებ“. ამ სტატიაში ფრებელმა გამოთქვა იმ დროისათვის ორიგინალური მოსაზრება იმაზე, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდას საფუძვლად უნდა დაედოს თამაში, საბავშვო ბაღს არ უნდა ჰქონდეს სკოლის სახე და პატარების აღზრდის საქმე ქალებს უნდა დაეკისროთ.

1828 წელს მან დაამუშავა „სასკოლო პროექტი ერთიანი სამოქალაქო-დემოკრატიული სახალხო განათლების“, რომლის პირველ საფეხურად მან საბავშვო ბაღი აღნიშნა- სამი წლიდან შვიდ წლამდე“ (9. გვ.35.). როგორც ბავშვთა მოვლისა და განვითარების დაწესებულება. ფრებელის ტერმინი “Kindergarten”- „საბავშვო ბაღი“, ასახავდა პედაგოგიურ ატმოსფეროს, პედაგოგიურ მიზნებს და საშუალებებებს. „საბავშვო ბაღი: ეს არის ბაღი, სადაც ბავშვი არის პატარა ნერგი, რომელიც მოითხოვს პედაგოგისგან დეტალურ ზრუნვას და აღზრდას. სამყაროს ნაწილი, საქმიანობათა ერთობლიობა, რათა ბავშვებს შევუქმნათ უსაფრთხოების გრძნობა, კარგი გუნება-განწყობილება, სიხარული, დასვენება და ფიქრის საშუალება“(9. გვ 37).

1837 წელს პატარა ქალაქ ბლანკენბურგში ფრებელმა გახსნა „ბავშვთა და მოზარდთა მოქმედების ინსტინქტების განვითარების დაწესებულება“ – პირველი სკოლამდელი დაწესებულება, რომელსაც შემდგომში მან საბავშვო ბაღი უწოდა. ბლანკენბურგის საბავშვო ბაღმა ამოცანად დაისახა სკოლამდელი აღზრდის იდეის ფართო პროპაგანდა. ბაღთან ფრებელმა დაარსა გაზეთი „საკვირაო ფურცლის“ სახელწოდებით. გაზეთში ქვეყნდებოდა სტატიები ბლანკენბურგის საბავშვო ბაღის მუშაობის, ბავშვთა აღზრდის შინაარსისა და მეთოდების შესახებ. მუშაობის პრაქტიკიდან გამომდინარე შეიმუშავა სკოლამდელი აღზრდის საკუთარი სისტემა, რომელმაც დაიწყო გავრცელება გერმანიაში და სხვა ქვეყნებშიც.

ფრიდრიხ ფრებელის მიერ შემუშავებული ბაღის სტრუქტურა შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. “იგი უნდა იყო სანიმუშო აღმზრდელობითი დაწესებულება, სისტემატურად უნდა ხდებოდეს აღმზრდელთა პედაგოგიურ–მეთოდური დონის ამაღლება; აქვე უნდა ხდებოდეს სათამაშოებისა და თამაშობების მიზანშეწონილობის განსაზღვრა. მაგრამ ფრებელის ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. თანხების სიმცირის გამო ასეთმა დაწესებულებამ დიდხანს ვერ იარსება” (2. გვ. 47).

1842 წელს ფრებელმა გამოსცა „დედობრივი და მოსაფერებლი სიმღერები“. წიგნში წარმოდგენილი იყო შესაბამისი მასალები სიმღერაში მეცადინეობისათვის.

1843 წელს გამოიცა ფრებელის წიგნი „ასი სიმღერა ბურთის მოთამაშეთათვის“. ამ წიგნში სისტემაშია მოყვანილი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა თამაშობანი და სიმღერები. ამას გარდა, ფრიდრიხ ფრებელმა პატარებისათვის შეადგინა სამშენებლო სათამაშოთა კომპლექტები –„სათამაშოთა ნობათი“.

ფრებელი თავის სოციალურ იდეალს ხედავდა სამოქალაქო - დემოკრატიულ წყობაში და ოცნებობდა სამოქალაქო-დემოკრატიულ ეროვნულ განათლებაზე. ფეოდალურ-კლასობრივ აღზრდას სიტყვით და საქმით მან დაუპირისპირა საყოველთაო, ჰუმანისტური განათლების

სულისკვეთება, რომელიც მიმართული იყო პიროვნების ჰარმონიულუ განვითარებისაკენ. „მე მინდოდა აღმეზარდა თავისუფლად მოაზროვნე, დამოუკიდებელი ადამიანი“-წერდა ის.

ფრიდრიხ ფრებელი გარდაიცვალა 1852 წელს, სამოცდაათი წლის ასაკში. მის საფლავზე აღმართულია სკულპტურული ძეგლი, რომელიც ცილინდრის, კუბისა და სფეროსაგან შედგება. ეს ფიგურები მისი „სათამაშოთა ნობათიდან“ არის აღებული.

თავისი სალიტერატურო და პედაგოგიური მოღვაწეობის პირველი წლები, როგორც ავღნიშნეთ ფრებელმა ყრმათა აღზრდის იდეათა დამუშავებას შესწირა და მხოლოდ 30–იან წლების მიწურულში დაიწყო განსაკუთრებული მცდელობა სკოლის ასაკამდე აღზრდის იდეებზე, მათ თეორიულსა და პრაქტიკულ დამუშავებაზე.

ფრებელმა შეიმუშავა იმდროისათვის დეტალური, თითქმის დასრულებული, სკოლამდელი აღზრდის სისტემა, რომლის მთავარ საფუძველს წარმოადგენს კარგად დამუშავებული დიდაქტიკა, რომელიც მიმართული იყო ბავშვის განვითარებისაკენ სხვადასხვა საქმიანობებით: თამაში, სიმღერა, ქსოვა, ხატვა, საამშენებლო საქმე და ა. შ.

ლ. პარამონოვა და ე. პროტასოვა ფრებელის პედაგოგიურ სისტემაში სამი ძირითადი ნაწილის გამოყოფენ: **პირველ ნაწილში** მოცემულია ბავშვის გონებრივი განვითარების მექანიზმზე შეხედულებები(განვითარების ინდივიდუალური ცნობიერება, აზროვნება), რომელშიც ფრებელი გამოყოფს ოთხ კომპონენტს: 1. გრძნობები; 2. საგნების მიმართ შემეცნებითი და პრაქტიკულ სამუშაო; 3. ენა; 4. მათემატიკა; **მეორე ნაწილში** ფრებელი აღწერს ეტაპებს, მიზნებს და ბავშვის გონებრივი განვითარების მეთოდებს. იგი გონებრივი განვითარების ოთხ ეტაპს განსაზღვრავს: 1. Original -უკავშირდება ბავშვის ცხოვრების პირველ თვეებს, როდესაც ბავშვი თავად ვერ გამოყოფს და ვერ აფიქსირებს ობიექტებს, მათ მოქმედებას და სიცხადეს; 2. ადრეული ბავშვობა- დედის ქმედება და სიტყვა ხელს უწყობს სწავლას, ცალკეული ობიექტების გამოყოფას და საკუთარი თავის შეცნობას; **მესამე ნაწილში** ბავშვობა- ბავშვი საუბრობს და თამაშობს. ამ ეტაპზე საჭიროა დავიწყოთ მიზანმიმართული სწავლება და დასწავლა. ზრდასრულები აცნობენ ბავშვებს ნივთების სახელწოდებებს, აჩვენებენ სხვადასხვა ნივთების ურთიერთკავშირს მოვლენებსა და მოქმედებებს შორის, ასწავლიან როგორ გაავლონ ხაზი და გააფერადონ, დათვალონ ათის ფარგლებში და მრავალი სხვა. ხოლო **მეოთხე ნაწილი - ეს არის მოზარდობა,** როდესაც ბავშვი მიდის სკოლაში და იწყებს საგნების შესწავლას.

მან დატოვა თავისი მოწაფენი, რომელთაც წილად ხვდა მისი საქმის განვითარება და განგრძობა. სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები ფრიად საჭირო გახდა. არ გაუვლია დიდ ხანს და ფრებელის სიკვდილის შემდეგ საბავშვო ბაღები თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში გაიხსნა. მათი უმრავლესობა ზოგი პატარა ბავშვების სკოლებად, ზოგი კი ეგრეთწოდებულ ფრებელის საბავშვო ბაღებად გადაიქცნენ, რომელთა ხელმძღვანელები სუსტად იცნობდენ ფრებელის შეხედულებებს და „მეცადინეობის დროს ყურადღების ცენტრად ხდიდენ მის ე.წ. საჩუქრებზე „მეცადინეობას“ („дары Фребеля“) და მეტისმეტად პედანტურად მისდევდნენ ფრებელისგან შემოღებულ თანმიმდევრობას. არავითარ ანგარიშს არ უწევდენ არც იმას, თუ რით და როგორ იყვნენ ბავშვები დაინტერესებულნი და არც იმას, თუ რას ამბობდა უახლესი პედაგოგიკა“ (1. გვ.39-54).

უდავოა, რომ ფრებელი დიდ ყურადღებას აქცევდა გარეგნობათა აღზრდას და ამ მიზნით მან დიდაქტიურ მასალად შეიტანა თავისი ე.წ. საჩუქრები, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო აღზრდის ერთ–ერთი მხარე. ერთ–ერთი იარაღი, რომლის მეოხებითაც ჰარმონიულად განვითარების საშუალება უნდა მიეცეს მომავალ ადამიანს.

მ. გერკეს აზრით, ფრებელს უფრო ღრმა და ფართო მიზნები ჰქონდა. შთაბეჭდილებებით სავსემ, ღრმად მგრძნობიარემ და რელიგიური განცდებით განწყობილმა ფრებელმა თავის შეხედულებას ადამიანსა და მის აღზრდაზე საფუძვლად წმინდა იდეალისტური აზრები დაუდო. მისთვის ადამიანი იმ ღვთიური დასაწყისის მატარებელია, რომელიც მასში არის ჩასახული დაბადებიდანვე. აღზრდამ ეს დასაწყისი უნდა გააღვიძოს, ხელი უნდა შეუწყოს მის განვითარებას და გამოაშკარავებას. ბუნებაც ადამიანივით ამ ღვთაებრივი სულით არის გაჟღენთილი, ღმერთთან სიახლოვისათვის საჭიროა, რომ ადამიანი დაუახლოვდეს ბუნებას, ისწავლოს ისე ცხოვრება, როგორც ბუნება ცხოვრობს. ღმერთი განუწყვეტელი შემოქმედებაა – ღვთიური სული, ადამიანში რომ არის დასადგურებული, შემოქმედებითი მუშაობისაკენ მიილტვის (1. გვ.39-54).

ფრებელი მოითხოვდა, რომ აღმზრდელი აქტიურად არ ჩარეულიყო ბავშვის პირველ დაწყებით განვითარებაში: პირიქით, იგი გარეგნულად პასიური უნდა ყოფილიყო და ფარულად კი აქტიური. მასწავლებელი უნდა აკვირდებოდეს და სწავლობდეს აღსაზრდელს და როგორც კი შეამჩნევს შემოქმედებითი სულის მოძრაობას, უნდა შეეშველოს და დაეხმაროს მას განვითარებაში.

„ბავშვის აღზრდაში მეტად დიდი და მნიშვნელოვანი როლი ეკუკთვნის იმ შუალს (გარემოს), რომელიც ბავშვს გარს ახვევია. ფრებელი იმ აზრის იყო, რომ სკოლის ასაკამდე უეჭველად საჭიროა ოჯახური აღზრდა. შემდეგ, როცა ცხოვრებამ მკვეთრად წამოაყენა მისი საზოგადოებრივად მოწყობის საჭიროება, ფრებელი თანაგრძნობით შეეგება ცხოვრების ასეთს მოთხოვნას, მაგრამ იმას კი ბეჯითად მოითხოვდა, რომ საბავშვო ბაღს რაც შეიძლება მეტად დაეცვა და შეენახა ოჯახური იერი და ხასიათი. ოჯახის წევრთა ერთმანეთისადმი სიახლოვე და ნებაყოფილობითი დისციპლინა, რომელიც სუფევს ყოველ წესიერ ოჯახში, ვინაიდან ეს საჭიროა, რადგან ოჯახი პატარა სახით წარმოადგენს მომავალ მოქალაქეობრივ ურთიერთობა–დამოკიდებულებას და აგრეთვე სკოლას მომავალი მოქალაქისა და საზოგადოების, წევრისათვის „მიილტვის“ (1. გვ.39-54). ფრებელის აზრით, აღმზრდელობითი გარემოს აუცილებელ ნაწილს შეადგენს ბუნება. ამ ასაკში ბავშვი თავის თავს ბუნებისაგან არ არჩევს. ბუნება ისეთი რამ არის, რაც მისებრ ცხოვრობს. ამიტომაცაა ეს მომენტი ფრებელის მიხედვით მეტად მნიშვნელოვანი მნიშვნელოვანი აღზრდის პროცესში. „თუკი ბავშვი, ამ ასაკში არ მოსწყდება ბუნებას, თუკი შეეჩვევა მასთან ერთობით ცხოვრებას, იგი შემდგომშიც, უკვე მომწიფებული ბუნებასთან ურთიერთობისა და კავშირის წყალობით ყოველთვის იპოვის ახალ–ახალ ძალას ცხოვრებასთან ბრძოლისთვის“ წევრისათვის „მიილტვის“ (1. გვ.39-54).

ამრიგად, ფრებელს აღზრდის მიზნად დასახული ჰქონდა ადამიანის ერთიანობა და კავშირი ღმერთთან და ბუნებასთან. მას მიაჩნდა, რომ ამ მიმართულებით აღზრდა აუცილებლად აკვნიდან უნდა დაიწყოს, რადგან ფრებელის დაკვირვებით, ჯერ კიდევ

ძუძუმწოვარა ბავშვი ცდილობს გამოიჩინოს, აამოქმედოს და გაავარჯიშოს თავის პატარა ძალ–ღონე. აღმზრდელი კი, ამ მოთხოვნილებას თანაგრძნობით უნდა შეეგებოს.

ფრებელი სვამს კითხვას, როგორი უნდა იყოს ბავშვის პირველი სათამაშო? მას მიზანშეწონილად მიაჩნდა **პირველ საჩუქრად** ბავშვისთვის ექვსი სხვადასხვა ფერის ბურთის მიცემა. რადგან ფიქრობდა, რომ უპირველეს ყოვლისა, ბურთი თავისი მოყვანილობით, ფორმითა და მოძრაობით ბავშვს აღუძრავს თამაშის ხალისს; გარდა ამისა, იგი წარმოადგენს, სიმბოლურად იმ მთლიანობას, რომლითაც მოცემულია მთელი სამყარო, მიუხედავად მისი თითქოსდა მრავალსახეობისა. ექვსივე ბურთი უნდა იყოს ცისარტყელის ექვსი სხვადასხვა ფერის, გაერთიანებულია ერთი საზოგადო ნიშნით–ერთნაირი ფორმით. „ამ სიმბოლომ აკვნიდანვე უნდა იქონიოს ბავშვზე აღმზრდელობითი გამაკეთილშობილებელი გავლენა. ბურთებით თამაშმა უნდა აღუზარდოს ბავშვს ცხოვრების მეოთხე მნიშვნელოვანი კანონის წინათგრძნობა, – ე.წ. შუალობის კანონის – რადგანაც ძირითადი ფერების (წითლისა, ყვითლის და ლურჯ) გარდა აქ წარმოდგენილია სამი საშუალო ფერიც (ნარინჯი, მწვანე და იისფერი). როგორც ცისარტყელის ფერები არაა ერთმანეთში სასტიკად განსხვავებული, ისე, ფრებელის აზრით ცხოვრების სინამდვილეშიაც არ მოიპოვება მკვეთრი და მკაცრი დაპირისპირებანი. აი, ეს ჭეშმარიტება უნდა წინასწარ შეიგრძნოს ბავშვმა ჯერ კიდევ აკვნიდანვე“ (1. გვ.39-54).

სიმბოლური მნიშვნელობის გარდა ბურთი ფრებელისთვის იყო, აგრეთვე დიდაქტიკური მასალა, მეტისმეტად შესაფერისი და გამოსადეგი გარე გრძნობათა ორგანოების ჰარმონიული განვითარებისათვის. ბურთით თამაშის დროს ბავშვს თავისუფლად შეუძლია გაეცნოს არამარტო ფორმას, არამედ ფერის, სიდიდის და რიცხვის სხვაობასაც, და, თუ მასალა სხვადასხვანაირია, მის დრეკადობას, ხმის იმ სხვაობას, რომელსაც გამოსცემს ესა თუ ის ბურთი დაცემის დროს.

მეორე საჩუქრად ფრებელი აძლევდა ბავშვს ხის ბურთობს, კუბს და ცილინდრს. ხის ბურთობს, ბურთის საწინააღმდეგოდ, თვალსაჩინოდ უნდა ეჩვენებინა ბავშვისთვის სხეულის სიმძიმის დამოკიდებულება მასალისგან და აგრეთვე ხმის სხვაობა. ფრებელის აზრით, სათამაშოს წონის გადიდება უნდა მოხდეს ბავშვის ძალ–ღონის ზრდის პარალელურად. „ამ შემთხვევაში ფრებელმა ოსტატურად შეამჩნია ის, რომ ბავშვებს მაინც უყვართ თამაში მძიმე სათამაშოებით. გარდა ამ მოსაზრებათა, მეორე საჩუქარში – ბურთობი, თავისი მრგვალი ზედაპირით მკვეთრ და თვალსაჩინო წინააღმდეგობას წარმოადგენს თავისი მოპირდაპირე ნაკვეთისა, „კუბიკისა“ (პატარა კუბისა)“ (1. გვ.39-54).

„კუბიკებით“ თამაშს ბავშვისათვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ მათი საშუალებით იგი ეცნობა ფორმას და სიდიდეს, აგრეთვე იგებს რიცხვსა და მის შეფარდება–დამოკიდებულებას. პატარა კუბის წახნაგებად და სიბრტყეებად განკვეთა, რა გინდ დიდი იყოს მათი რიცხვი, ბოლოს და ბოლოს ჰქმნის ერთიანობის ცნებას, მთლიანობისას იმ სიმბოლოს, რომლის აღმზრდელობით მნიშვნელობასაც ფრებელი დიდად აფასებდა.

ფრებელის თვალსაზრისით, სრულიად აღმზრდელობითი არ იქნებოდა, თუ ბავშვს მივცემდით ორ ისეთ სათამაშოს, რომელიც თავის ფორმით ერთი–მეორის საწინააღმდეგონი არიან და ეს საწინააღმდეგო მხარეები ამ სათამაშოთა შორის არ იყოს ერთმანეთთან

შეთანხმებული. ამიტომ მეორე საჩუქარს მან მიუმატა ცილინდრი, რომელსაც ერთი თავისი მრუდე ზედაპირით ბავშვისთვის, უნდა მოეგონებინა მოძრავი ბურთობი, ხოლო სიბრტყით კი–მდგრადი პატარა კუბი“ (1. გვ.39-54).

თავისთავად პატარა კუბებით თამაში, ფრებელის დაკვირვებით, ერთ–ერთ ისეთ თამაშს წარმოადგენს, რომელიც ბავშვს მეტისმეტად იტაცებს და ართობს, ამიტომაც ოთხ შემდგომ საჩუქრად ფრებელს მიაჩნია აგრეთვე პატარა კუბები. სხვადასხვა მიმართულებით დაყოფილ–განკვეთილი. პატარა კუბებით თამაშობა ბავშვში ავითარებს და აფართოვებს ცნებას ფორმაზე, სიდიდეზე და რიცხვულ შეფარდებაზე.

„**მესამე საჩუქარი კუბი,** გაყოფილია 8 კუბიკად (კუბი გაჭრილია შუაზე, თითოეული ნახევარი 4 ნაწილად). ამ საჩუქრით ფრებელის აზრით ბავშვი იღებს წარმოდგენას მთელისა და მისი შემადგენელი ნაწილების შესახებ. ამ საჩუქრით ბავშვს საშუალება ეძლევა განავითაროს თავისი შემოქმედება. შეუძლია ზოგი რამ ააშენოს კუბიკებისგან, სხვადასხვაგვარად განალოგოს ისინი.

ფრებელი გვთავაზობს თამაშის სამ სახეობას: 1. სხვადასხვა საგნის გამოსახულების შექმნა კუბიკების საშუალებით(კიბე, სახლი, ჯვარი და ა.შ.); 2. დახვეწილი გამოსახულებების შექმნა 80-მდე კვადრატიდან. კვადრატები აუცილებლად უნდა გადაადგილდეს, ისე რომ კვადრატები არ უნდა დაზიანდეს; 3. შემეცნებითი ან მათემატიკური: თამაშის დროს ბავშვი ეცნობა სიდიდეებს, რაოდენობას, განსხვავებას, მდგომარეობას და ა.შ.(მაგ. ორი ნახევარი, ერთი მთელი, ოთხი მეოთხედი).

მეოთხე საჩუქარი არის იმავე ზომის კუბიკი, (გაყოფილი 8 ფილად) კუბიკი იყოფა შუაზე, თითოეული ნახევარი კი ოთხ მოგრძო ფილად. თითოეული ფილის სიგრძე უდრის კუბის გვერდს, სისქე კი ამ გვერდის ერთ მეოთხედს. ფრებელის აზრით, მეოთხე საჩუქრით მნიშვნელოვნად ფართოვდება: ახალი საჩუქრის მომატებით, წინანდელი საჩუქრები, რომელიც უკვე ბავშვმა აითვისა, რა თქმა უნდა, არ ამოიღება ხმარებიდან.იქმნება დახვეწილი ცხოვრებისეული და მათემატიკური ფორმები. გამოიყენება ორი წესი:1. არ გატეხო, არამედ გარდაქმენი; 2. გამოიყენე ყველა მასალა.

მეხუთე საჩუქარი - კუბიკი, გაყოფილია 27 კუბიკად, ცხრა მათგანი თავის მხრივ გაყოფილია უფრო პატარა ნაწილებად. შემოტანილია ახალი ელემენტი- ფორმა სამკუთხა სიბრტყე. ბავშვებს სთავაზობენ ააგონ ცხოვრებისეული, დახვეწილი მათემატიკური ფორმები

მეექვსე საჩუქარი - კუბიკი, ესეც 27 კუბიკად არის გაყოფილი, რომელტაგან ბევრი გაყოფილია ნაწილებად: ძელებად, დიაგონალებად და სხვა (5. გვ. 278-279).

ამ საჩუქრების გარდა ფრებელს შემოაქვს სხვადასხვა მეცადინეობები და თამაშები, რომლებიც უკავშირდება ჩხირების სიმეტრიულად აგებასბადეებზე სხვადასხვა ნახატების აწყობა, ხატვა, თიხით ძერწვა, კონუსი, ქსოვა, უჯრების თვლა დ ა.შ. ყველა სახის მეცადინეობაში შეიმჩნევა მათემატიკური ელემენტების არსებობა.

„ფრებელმა შეიმუშავა სისტემატიურად ყველა საჩუქრით თამაშის თანმიმდევრობა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ფრებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თამაშის დროს სიმღერისა და აგრეთვე რიტმის უაღრეს აღმზრდელობით მნიშვნელობას.

ბურთაობისა და პატარა კუბებით თამაშის დროს იგი ყოველთვის ამღერებდა ბავშვებს, მათთვის განსაკუთრებულად შედგენილ პატარა–პატარა სიმღერებს. თავისი საჩუქრებით მეცადინეობის გარდა ფრებელმა შეიმუშავა მთელი რიგი ბავშვებთან მეცადინეობისა: კვადრატებისაგან რისიმე აგება, მუშაობა ჩხირებზე, მუხუდოზე, წვნა, ქარგვა და სურათის კონტურის ამოჩხვლეტა. ყველა ეს გასართობი სამუშაოები, რომელიც დღეს ჩვეულებრივ სამეცადინოს წარმაოდენენ და რომელთა საშუალებით ცდილობენ გააღვიძონ, აამოძრაონ ბავშვის თვითაქტივობა და წარმოდგენის უნარი, თავის დროს სწორედ ფრებელმა შეკრიბა და წესრიგშიც მოიყვანა“(1. გვ.39-54).

ბავშვებზე დაკვირვებით, მათი თამაშისა და მეცადინეობის შესწავლით ფრებელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნორმალური ბავშვი თავისით ცდილობს გარე გრძნობათა ორგანოების განვითარებას, გამოცდილების მიღებას და უნარის გამომუშავებას თავისი მომავალი საქმინობისა და ცხოვრებისათვის. ფრებელი ეფუძნებოდა რა ასეთ დაკვირვებებს ყველას ურჩევდა – ფრთხილად მოქცეოდნენ ბავშვის თავისუფალ თამაშს. „წააქეზეთ, გაახალისეთ იგი ასეთი თამაშისთვის, ნუ უყურებთ მას, როგორც უბრალოსა და უაზრო გასართობს, არამედ როგორც კანონიერსა და სასარგებლო დროსტარებას. თამაში და ლაპარაკი – აი, ის ორი სტრიქონი, რომლითაც ცხოვრობს ბავშვი. ...ბავშვი, რომელიც თამაშობს თავისით, დინჯად და დაჟინებით ისე, რომ სხეული კიდეც დაეღლება ხოლმე, უეჭველად გახდება დინჯი, ნიჭიერი, რომელსაც შეეძლება თავდავიწყებამდე ზრუნვა სხვისა და საკუთარ კეთილდღეობაზე...“ თამაშობის დროს ბავშვი ცხოვრებას სწავლობს; ბაასის დროს ის ცდილობს თავის შეგნებაში მოახდინოს გარე შთაბეჭდილებათა კლასიფიკაცია და ფიქსაცია. ახალდაბადებულ ბავშვს მთელი გარე სამყარო თავდაპირველად საძაგლად არეულ–დარეული, გაურკვეველი ეჩვენება და ამ ქაოსიდან ცალ-ცალკე საგნები მისთვის გამოიყოფა მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის ჩარევის წყალობით. ამიტომაც მეტისმეტად მნიშვნელოვანი იქნება ის, რომ ბავშვობისას ყოველს გრძნობითს აღქმას თან სდევდეს ზედმიწევნითი (ზუსტი), გარკვეული და ცხადი სახელდება სიტყვით. დედა ალღოთი მიხვდება ხოლმე თავისი პაწაწას მოთხოვნილებას და თავიდანვე მისი მოვლისა და მასთან თამაშის დროს თან ურთავს პატარ - პატარა, მოკლე ფრაზებსა და სიმღერებს. ფრებელი დედებსა და აღმზრდელებს ეხმარებოდა და მათთვის დახმარების გაწევის მიზნით შეაგროვა და გამოსცა ლექსთა მთელი რიგი სათაურით: „დედისა და საალერსო თამაშობანი“ (1. გვ.44). თამაშობებს თან სდევდა ბავშვის თავის, ხელების და თითების რიტმიული მოძრაობანი და ამრიგად მათი საშუალებით მას უვითარდებოდა არა მარტო მეტყველება, არამედ სხეულის სხვადასხვა ნაწილიც.

ფრებელის აზრით ადამიანის განვითარება მიმდინარეობს ბუნების მიერ მტკიცედ ჩამოყალიბებული და განსაზღვრული კანიონების მიხედვით. იგი ყოველ ასაკს თავის შესაბამის და დამოუკიდებელ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი აზრით, ბავშვი რომ მზად იყოს ყრმობის საფეხურის განვითარებისათვის, მას სავსებით სწორად გავლილი უნდა ჰქონდეს წინა საფეხური – ბავშვობის ხანა. ამიტომ აღმზრდელმა ანგარიში უნდა გაუწიოს ორივე მოთხოვნილებას, თუკი მას სურს, თავისი შენობა ააგოს არა გარედან შემოტანილ

წესებისა და დებულების მერყევ სილაზე, არამედ ბავშვის ფსიქოლოგიის შესწავლის მტკიცე საფუძველზე.

ფრებელს მიაჩნია, რომ ბავშვი კი არ თამაშობს, მხოლოდ, არამედ იგი პატარაობიდანვე ცდილობს მიიღოს მონაწილეობა ოჯახურ საქმიანობაში. მას აინტერესებს დედის ოჯახური საქმიანობა, მამის პროფესიული მოღვაწეობა. ფრებელი აღნიშნავს, თუ რამდენი ძვირფასი ცოდნის შეძენა შეუძლია მებაღის, ვაჭრისა ან ხელოსნის შვილს, როცა ის მამასთან ერთად მიდის მისი საქმიანობის დროს და ებაასება მცენარეთა თვისებებზე, ან საქონლის ღირებულებაზე, ან კიდევ როცა ეხმარება მამას კვლების გაყვანის დროს, თუ საქონლის აწონა – გაყიდვისას. ფრებელის აზრით, გონიერი მშობლები სრულიად არ უნდა ეწინააღმდეგებოდენ ბავშვებს, თუკი მათ აქვთ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღების მისწრაფება. ამ შემთხვევაში მუშაობის იმ მოცულობას კი არა აქვს მნიშვნელობა, რომელსაც ბავშვი ასრულებს, არამედ აქ მნიშვნელოვანი ის, რომ ბავშვს მხარი დაუჭირონ, გაახალისონ, რომ მან აქტიურად გამოამჟღავნოს ცხოვრებაში თავისი ძალღონე, ფასი. „ამგვარად შეძენილი ცოდნა გაცილებით უფრო მტკიცე და შეგნებულია, ვიდრე ის ცოდნა, რომელიც მას ეძლევა სკოლის კათედრიდან, დახშულ კარებში, სკოლის მაგარ და დიდ კედლებს შუა. თუ ბავშვი პატარაობიდანვე შეძლებისამებრ მონაწილეობას იღებს უფროსების შრომითს ცხოვრებაში, თუ იგი აქ ხვდება მის გარემო მიმდინარე ცხოვრებას, ის ეჩვევა არა მარტო შრომას და საქმიანობას, არამედ იმასაც, რომ უკვირდება და უფიქრდება ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებს, ეჩვევა მსჯელობას და იძენს უნარს, რომ ცხოვრებისაგან შეისწავლოს რამე“ (1. გვ. 47).

როგორც აღვნიშნეთ ფრებელმა სიცოცხლეში ვერ მოასწრო თავისი საბავშვო ბაღების ყოველმხრივად განვითარება. მან დაამუშავე თავისი დიდაქტიური მასალა და გვიჩვენა მათი დახმარებით მეცადინეობის მეთოდი. მისი აზრების დამუშავება, განვითარება და ცხოვრებაში განხორციელება წილად ხვდა მის მოწაფეებს.

1871 წელს ნიორკში ალტენბურგელმა მასწავლებელმა ადოლფ დუაიამ გამოსცა ნაშრომი ფრებელის პედაგოგიური სისტემა. 1876 წელს ეს ნაშრომი ითარგმნა იაპონურ ენაზე, რამაც ბიძგი მისცა იაპონიაში საბავშვო ბაღების შექმნას. ამავე წელს ლაიპციგში გამოვიდა ადოლფ დუაის ნაშრომი სახელწოდებით „საბავშვო ბაღი და საჯარო სკოლა, როგორც სოციალური დემოკრატიული ინსტიტუტები“.

1876 წელს იაპონიაში პირველად შექმნილმა საბავშვო ბაღმა, ვერ მოახდინა ფრებელის იდეების რეალიზაცია. 1887 წელს ამერიკელმა მისიონერებმა შექმნეს იაპონიაში საბავშვო ბაღი, რომელშიც არსებული სწავლებისა და აღზრდის სისტემა შეესაბამებოდა ფრიდრიხ ფრებელის სისტემას. იაპონურად ითარგმნა ფრებელის წიგნები „ადამიანის აღზრდა“, „დედათა თამაშები“.

მე-19 საუკუნის 70– იანი წლების დასაწყისში ფრებელის ერთ–ერთი მოწაფე ჰენრიეტა შრადერ–ბრაიმანი დაინტერესდა ბერლინის წინა ნაწილში მდებარე სახალხო საბავშვო ბაღით, რომელიც უსახსრობის გამო დახურვის პირას იყო მისული. მან მოახერხა ამ ბაღის გარშემო ფრებელის იდეების ერთგული პიროვნებების შემოკრება. სულ მოკლე ხანში ბაღი გადაიქცა დიდ საგანმანათლებლო დაწესებულებად „პესტალოცისა და ფრებელის

სახელობის სახლად“. მალე „ეს დაწესებულება ფლობდა ორ სახლს, სადაც მოთავსებული იყო: ოთხი საბავშვო ბაღი, ძუძუმწოვარა ბავშვებისთვის ბაგები, სკოლის ასაკის ბავშვთათვის კერა და საბავშვო ბაღების ხელმძღვანელთა მოსამზადებლად სემინარიუმი. მაგრამ ჰენრიეტა შრადერი მარტო ნივთიერი უზრუნველყოფისათვის კი არ ზრუნავდა. იგი კარგად იცნობდა ფრებელის იდეებს, სწავლობდა იმ დროს, როცა ფრებელის სულიერი და გონებრივი ძალები სავსებით გაშლილ–გაფურჩქვნილი იყო და მწუხარებით აკვირდებოდა და ხედავდა, თუ როგორი ყალბი მიმართულება მიიღო გერმანიაში საბავშვო ბაღების განვითარებამ. იგი ყოველთვის აღშფოთებაში მოდიოდა, როცა ხედავდა, რომ ფრებელის სისტემით აღზრდის სახელით ბავშვებს სრულიად აშორებდენ ნამდვილ ცხოვრებას, აიძულებდენ შეესწავლათ გეომეტრიული სხეულნი, ან დაემზადებინათ არავისთვის საჭირო და ხშირად ულამაზესი ნამუშევარნი. მას სულით და გულით სწყუროდა ცხოვრებაში გაეტარებია ფრებელის საუკეთესო იდეალები და მისწრაფებანი, განევითარებინა მისი მეთოდი და შეეფარდებინა იგი ცხოვრების ახალ პირობებთან“ (1. გვ. 48).

ბერლინში, როგორც სამრეწველო ქალაქში სრულიად სხვა პირობები იყო. ჰენრიეტა შრადერ–ბრაიმანმა ასეთი კითხვები დასვა: როგორი სულიერი საზრდო უნდა მიეცეს სარდაფსა და ქუჩაში გამოზრდილ ბავშვს? როგორ უნდა მოეწყოს მისთვის აღმზრდელობითი წრე, რომელიც ბუნებრივად იქნება ნორმალურ გარემოში? როგორ უნდა დაუახლოვდეს დიდი ქალაქის ბავშვი ბუნებას, ისეთი ბავშვი, რომელსაც ერთხელაც კი არ უნახავს ტყე? როგორ უნდა დაეხმაროს აღმზრდელი გარე სამყაროს შთაბეჭდილებებში გარკვევის დროს ან დაკვირვება–ჩაფიქრებისათვის? ოჯახის მაგვარი გარემოს შესაქმნელად ისინი ცდილობდენ სხვადასხვა ასაკის ბავშვები ჯგუფ–ჯგუფად დაეყოთ, თითოში 12–15 ბავშვი. ყოველ ჯგუფს ჰქონდა თავისი პატარა ოთახი. აქ იყო დაბალი მაგიდა, ასეთივე სკამებით და აგრეთვე კუთხე, სადაც ეწყო უბრალო სათამაშოები, ბავშვისათვის გასაგები ხელოვნურად შესრულებული სურათები, ზოგიერთი საბავშვო ნამუშევარი, ყვავილები ფანჯრებში, რომელიმე ფრინველი ან თევზი აკვარიუმში – ყველა ეს ქმნიდა თბილ და კეთილმოსურნე პირობებს თითოეული ჯგუფის ოთახში.

„ჰენრიეტა შრადერი ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევდა იმ ურთიერთობას, რომელიც უნდა სუფევდეს საბავშვო ბაღში ხელმძღვანელსა და ბავშვებს შორის. მან იცოდა, თუ რა დიდ როლს აკუთვნებდა მისი დიდი მასწავლებელი ქალის გავლენას ბავშვის განვითარებაზე, მეტადრე დედისას. როცა ფრებელი ქმნიდა თავის მეთოდს ბავშვებთან მეცადინეობისას, მას სახელმძღვანელო და გამოსავალ აზრად ჰქონდა ის, თუ როგორ მოიქცეოდა ამა თუ იმ შემთხვევაში დედა, რადგანაც მეტისმეტად სწამდა დედის ალღოს ძალა და შეუმცდარობა. მისთვის საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის იდეალად ისეთი ქალი იყო, რომელიც უაღრესად დაჯილდოვებული იქნებოდა ალღოთი და ამავე დროს მეცნიერებისა და ცოდნის ნათელით გასხივოსნებულ–განსპეტაკებული. რაკი ეს ახსოვდა, ჰენრიეტა შრადერი იმ ქალებს, ვინც მისი ხელმძღვანელობით ამთავრებდა ამ დარგში სწავლა–განათლებას, დევიზად შემდეგს უსახავდა: „განავითარეთ თქვენში სულიერი დედობა! (Webi geistige mitterlichkett). არა დამრიგებლად და არამცდაარამც, არც მასწავლებლად არ უნდა იქცეს თავისი ბავშვებისთვის ასეთი ხელმძღვანელი; იგი უნდა იყოს ნასწავლი და განათლებული დედა, რომელიც სიყვარულით, ნაზად და

გულისხმიერებით მოეკიდება მასთან მიბარებულ ბავშვს. ამ იდეალთან მიახლოვება ჰქმნის იმ ოჯახურ მყუდროებას, რომელიც ეგოდენ საჭირო არის მოზარდი ადამიანის სულის აღზრდისათვის“პირობებთან“(1. გვ. 48-49).

მან ბავშვების მეცადინეობა ერთ სისტემას დაუქვემდებარა. მეცადინეობას საფუძვლად დაუდეს ცენტრალი იდეის პრინციპი, სამეცადინეოდ ჩვეულებრივად ისეთ საგანს ირჩევდენ, რომელსაც შეეძლო ბავშვის დაინტერესება და დასამახსოვრებელი განცდის მიცემა. ასეთ საგანს უმეტესშემთხვევაში ბუნებიდან ირჩევდენ.

მ. გერკეს ასეთი მაგალითი მოჰყავს: როგორ ამუშავებდნენ სამეცადინოდ აღებულ თემას, მაგალითად „ძროხას“. „ერთ მშვენიერ დღეს ბაღის ხელმძღვანელს, თითქოს იმ მიზნით, რომ რძე იყიდოს, ბავშვები მიჰყავს ბოსელში. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ბოსელშიაც ყოფნა და მისი ნახვა ბავშვებისთვის უკვე დიდ სიამოვნებას შეადგენს. მაგრამ, თუ ბავშვი დაესწრება ძროხების მოწველას, მეტადრე თუ მასაც ცოტაოდენს მოაწველინებთ, მაშინ მის კმაყოფილებას და სიამოვნებას საზღვარი აღარ ექნება; ეს უკვე მისთვის დაუვიწყარი და დიდი ამბავია. საინტერესოა ხოლმე ბავშვების ნახატები ასეთი „გამგზავრებისა“ და „ნახვის“ შემდგომ (საერთოდ მათ ეძლევათ საშუალება, თავისი განცდები ხატვით გამოსთქვან). როცა ბავშვებს ახალ–ახალი შთაბეჭდილებები აქვთ მიღებული, მაშინ უფრო მკვეთრად და გარკვევით მჟღავნდება თითოეულის ინდივიდუალობა, განსაკუთრებული და განსხვავებული სახე. ერთს თვალში ეცა ერთი რამ, მეორე სრულიად სხვა რამით დაინტერესდა და ეს აღბეჭდა თავის სურათზე. ასეთ შემთხვევებში განცდილის გარშემო საუბარი ძალიან ცოცხლად მიმდინარეობს ხოლმე.

ბავშვები ხალისიანად იგონებენ ყველაფერს, რაც კი ამ საქმეში იციან (თუ კი ასეთი ცოდნა მოეპოვებათ), აინტერესებთ ძროხების კვება და საერთოდ მათი ცხოვრების თითოეული წვრილმანი. ამის შემდეგ, თუ საუზმედან ბავშვებს რამე გადარჩათ, ეს გადარჩენილი ლუკმები დიდი ხალისით გროვდება და ხანგამოშვებით იგზავნება „ჩვენ“ ძროხასთან. ბავშვებს ფერადით აღებინებენ და გამოაჭრევინებენ ხოლმე პატარა ძროხას, მერე მათ ეძლევათ ფრებელის საჩუქრებით (პატარა კუბებით) სავსე ყუთი და წინადადება ეძლევათ, გააკეთონ ძროხისთვის ბოსელი, ცხადია, რომ ასეთი მეცადინეობა სრულიადაც არ წააგავს იმ მოსაწყენ გაკვეთილს, როცა ბავშვი დიდის კარნახით და ჩვენებით კუბს მარჯვნიდან მარცხნივ გადაიტანს, ან კუბის მხარეებს გადათვლის ხოლმე; აქ იწყება უკვე მეტად გამრთობი, შემაქცეველი თამაში, წარმოდგენა ლაღად იწყებს ნავარდობას, შემოქმედებაც იღვიძებს. ძროხას ბაგაში დასაგებიც უნდა, იგი თივას ჭამს, იგი წყალზედაც მიჰყავთ. ყველა ამას ხომ ცოცხლად წარმოდგენა უნდა, ხომ საჭიროა გამოგონება, თუ როგორ იქნეს ეს სურათი გაცხოველებული. მაშინ ხავსიც ჩნდება საიდანღაც, ფერადი ქაღალდიც, მაკრატელიც, კიდევ სხვა პატარა კუბები და სხვა.

ძროხაზე საუბრის დროს სიტყვა ჩამოვარდა ნაყიდ რძეზედაც, ამრიგად ბუნებრივად იბადება საჭიროება მისი გემოს გასინჯვისა. ხოლო საჭიროა წინასწარ მისი ადუღება. მთელი ჯგუფი მირბის ბავშვებისთვის დამზადებულ სამზარეულოში; აქ ზოგი ცეცხლს ანთებს, მეორე ნაწილი უკვირდება და უთვალთვალებს რძის დუღების პროცესს.

საუბრის დროს ბავშვები სავსებით ბუნებრივად იგონებენ კარაქის დამზადებასაც და, აი, ერთ–ერთი დღისთვის მათი ხელმძღვანელი წინადადებას აძლევს მათ, თვითონ შედღვიბონ კარაქი. ჯერ ყველა მიდის მერძევის დუქანში ნაღების საყიდლად (ესეც კარგ მასალას იძლევა

ათასგვარი დაკვირვებისათვის), მერე ხელის სადღვებელის საშუალებით იწყებენ კარაქის შედღვებას და შემდეგ ამოღებას. სულ სხვაა თქმა: „კარაქი მზადდება ნაღებისაგან“ და სრულიად სხვა საქმეა, როცა ბავშვი თავისი ხელით დღვიბავს, ამზადებს ამ კარაქს და ხედავს, თუ როგორ კეთდება იგი. მერე კარაქს წონიან შემდეგ დიდის ამბით და ზეიმით მართავენ საუზმეს – პურის ჭამას „ჩვენი“ კარაქით. ხელმძღვანელი შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ ამით დაინტერესებული ბავშვები მეორე დღეს ეტყვიან მას. თუ როგორ ფასობს რძე ახლომახლო მდებარე სარძეო დუქნებში. ამგვარადვე მუშავდება ისეთი თემები, როგორიცაა მაგალითად: ფუტკარი, ცხენი, კართოფილი, ცერცვი და სხვა“პირობებთან“ (1. გვ. 50).

ამრიგად საბავშვო ბაღებში ეცნობოდენ გარე სამყაროს ამა თუ იმ საგნებს და ამავე დროს მიმდინარეობდა ბავშვებთან მეცადინეობა, აგრეთვე ფრებელის საჩუქრების საშუალებით, მაგრამ, რადგან ამ საჩუქრებს ძალაუნებურად მოუხდა ნამდვილ ცხოვრებასთან შეხლა, ცხადია, მათ დაჰკარგეს თავისი განყენებული ხასიათი და ხელახლა აღიდგინეს თავისი წინანდელი მნიშვნელობა და ღირებულება.

თავისთავად ცხადია, რომ ფრებელის ძირითადი ფილოსოფიური აზრი – შეხედულება ცხოვრების მოვლენათა ერთიანობა – მთლიანობაზე თანმიმდევრობით ტარდება ცხოვრებაში, რომ აღზრდის დროს სასურველია ბავშვის ყურადღების ერთ რამეზე შეჩერება, აგრეთვე მისი დაკვირვებისა და აზრის გაღვიძება – ამოძრავება. საკითხავი მხოლოდ ისაა, სახელდობრ რაზე უნდა შეჩერდეს მისი ყურადღება და პრაქტიკულად როგორ უნდა მოხერხდეს ეს? აქ ერთი საკითხი შეიძლება გაჩნდეს: რამდენი ხნით შეიძლება შეჩერდეს ბავშვის ყურადღება რომელიმე საგანზე, რომ ერთის მხრივ არ მოხდეს შთაბეჭდილებათა მეტად ხშირი მონაცვლეობა, ხოლო მეორეს მხრივ ბავშვი არ მოიქანცოს საგნის მეტისმეტად ვრცელი და სრული შესწავლით? ფრებელის მიმდევართა მიხედვით ეს კითხვა ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს. თვითოეულ ცალკე შემთხვევაში, პედაგოგი ძალიან გულდასმით უნდა აკვირდებოდეს, რამდენად არიან ბავშვები დაინტერესებულნი და ამისდამიხედვით თემის დამუშავება ან უნდა გააფართოვოს, ან რამდენადმე შეზღუდოს.

ფრებელი იყო ის პიროვნება, რომელმაც პირველმა მიაქცია ყურადღება, თამაშს, როგორც აქტივობის ძირითად ფორმას სკოლამდელთა ასაკში. ჩვენ მოკლედ გადმოვეცით ფრებელის პედაგოგიური სისტემის ძირითადი დებულებანი, მაგრამ ამ მოკლე და პატარა ნუსხიდანაც აშკარად ჩანს მისი აზრების და დაკვირვებათა სიმდიდრე. მან პირველმა მიგვითითა ბავშვის შესწავლის საჭიროებაზე. სწორედ ბავშვზე ორიენტირებული მიდგომით შენდება დღეს მთელი თანამედროვე ბავშვის ადრეული განვითარების პედაგოგიკა. თამაში ქცევის ისეთი ფორმაა, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება და მისი აქტივობის გამოვლენის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს. ეს თავსებურება ბავშვობისა და ზრდადასრულებულობის ასაკში სხვადასხვაგვარად ვლინდება. ბავშვობისა და მოზრდილობის ასაკში “თამაშის შინაარსი ფანტაზიის გადამუშავებულს, გარდაქმნილს პროდუქციას წარმოადგენს იმისას, რაც ბავშვს ნახული ან გაგონილი აქვს, და არა თავისუფალი ფანტაზიის დამოუკიდებელ ნაყოფს” (დ. უზნაძე). ზრდადასრულებული ადამიანის თამაშის შინაარსი, ერთი მხრივ, ეფუძნება გამოცდილებაში არსებულ შთაბეჭდილებებს, ხოლო, მეორე მხრივ, თავისუფალი ფანტაზიის დამოუკიდებელ მონაცემებს.

ფრიდრიხ ფრებელის შეხედულებები საქართველოში პოპულარული გახდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. საქართველოში დაარსებული საბავშვო ბაღების უმრავლესობა მუშაობდა მისი სისტემით. 1892 წელს იოსებ ოცხელმა ქუთაისში გახსნა საბავშვო ბაღი მოსამზადებელი კლასით. ოცხელმა მასწავლებლად მოიწვია მარიამ ყაუხჩიშვილი. იგი გაემგზავრა პეტერბურგში და სამი თვის განმავლობაში სწავლობდა ფრებელის სისტემით მომუშავე ბაღებს (6. გვ. 73.). ოცხელის ბაღმა 1900 წლამდე იარსება.

საბავშვო ბაღების ქსელების გაფართოებასთან ერთად, ჩასახვას იწყებს სკოლამდელი აღზრდის თეორიაც. ივანე როსტომაშვილმა 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“(№167) დაბეჭდა სტატია „ სკოლა სეირნობისა, ანუ საბავშვო ექსკურსიატი“. იგი დაწვრილებით განიხილავს ფრებელის სისტემით მოწყობილი საბავშვო ბაღების მუშაობის შინაარსს და მის ნაკლოვან მხარეებად თვლის: „1. მრავალსაგნიანობა; 2. კარჩაკეტილობა; 3. ბავშვთა მოძრაობისა და თავისუფლების შეზღუდვა; 4.სიძნელე მისის წარმოებისა, რის გამოც თვით საგანგებოდ ამისათვის მომზადებულ მასწავლებელ ქალთაც კი უძნელდებათ საბავშვო ბაღის რამდენადმე მაინც ხეირიანად მართვა; 5.ძალად გართობა ბავშვებისა იმ საგნებსა და საქმეში, რომელიც ზოგიერთი ხასიათისათვის სრულიად უცხო და შეუფერებელია; 6. კარჩაკეტილობა და საკლასო მეცადინეობა (6. გვ. 74.).

ივანე როსტომაშვილი უპირატესობას ანიჭებს სეირნობის ბაღებს, რომლის იდეა მე-19 საუკუნის 90-იანი წლების დასავლეთ ევროპაში აღმოცენდა. იგი მოითხოვს ასეთი ბაღების გახსნას საქართველოში, კერძოდ თბილისში და ერთგვარ პროგრამასაც გვთავაზობს.

1910 წელს თბილისში დაარსდა „კავკასიის ფრებელის საზოგადოება“. დაარსდა „ფრებელის საზოგადოების ქალთა უმაღლესი პედაგოგიური კურსები, სადაც მზადდებოდა აღმზრდელები სკოლამდელი დაწესებულებებისათვის. პედაგოგიურ პრაქტიკას კურსების მსმენელები გადიოდნენ სოფიო არღუთინსკაიას „ქალთა უმაღლეს კურსებზე“. აღნიშნული კურსები მუშაობდა ფრებელის სისტემით და მან დიდი როლი შეასრულა კავკასიაში სკოლამდელი აღზრდის პროფესიულუ კადრების აღზრდისა და მომზადების საქმეში. კურსებმა 1921 წლამდე იარსება.

მიუხედავად ფრებელის იდეების პოპულარობისა მისმა პედაგოგიურმა სისტემამ მწვავე კრიტიკა განიცადა, უპირველეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებში. დევი, კილპატრიკი და ჰოლი აკრიტიკებდნენ ფრებელის თამაშებს მათი სიმბოლიზმის გამო. ისინი თავაზობდნენ, რომ უარი ეთქვათ ფრებელი თამაშების გამოყენებაზე განათლებაში და მხარი დაეჭირათ თავისუფალი თამაშის სისტემისათვის. ამ კრიტიკამ განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა სხვა ქვეყნებში ფრებელის სისტემის განვითარების შემდგომ ბედზე, განსაკუთრებით კი იაპონიაში. აქ ფრებელის პირველი კრიტიკოსი გახდა სოცო კურახაჯი-ტოკიოს ბავშვთა ბაღის დირექტორი. მან ამოიღო ყველა მის თამაში ყუთებიდან და მოათავსა ისინი ერთ ყუთში. ამით, მან პრაქტიკულად დაარღვია ფრებელის სისტემა და მისცა ბავშვებს საშუალება, თავისუფლად, მათი შეხედულებისამებრ ეთამაშათ. თმცა ფრებელის თეორიის ძირითადი დებულებები ადრეული აღზრდის შესახებ- ბავშვი, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი არსება-არ დაკარგა თავისი მნიშვნელობა იაპონიის სკოლამდელი აღზრდის სისტემაში.

ამრიგად, ფრიდრიხ ფრებელის პედაგოგიურმა სისტემამ გარკვეული პროგრესული როლი შეასრულა სკოლამდელი პედაგოგიკის განვითარებაში. სკოლამდელი აღზრდა ფრებელს მთელი აღმზრდელობითი სისტემის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა.

მოკლედ შევაჯამოთ, თუ რაში მდგომარეობდა მისი დიდი ისტორიული დამსახურება პედაგოგიური მეცნიერების განვითარების წინაშე:

- საფუძველი დაუდო სკოლამდელი აღზრდის მეცნიერულ სისტემას და პრაქტიკას;
- შექმნა სკოლამდელი აღზრდის ახალი ტიპის დაწესებულება – საბავშვო ბაღი;
- ახლებურად განსაზღვრა სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღზრდა–განვითარების შინაარსი და ამოცანები, შეიმუშავა სათანადო მეთოდები,
- მან პირველმა სედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში პირველმა უპასუხა კითხვებს, თუ როგორ უნდა გავაკეთოტ ისე, რომ ბავშვებმა ცოდნა მიიღონ აქტიური სწავლების გზით;
- საფუძველი დაუდო ადრეული განათლების სისტემაში დიდაქტიკური თამაშების შემოღებას;
- დააფუძნა ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებზე მორგებული აღზრდის სისტემა.
- მან პირველმა სკოლამდელ ასაკში, განსაკუთრებული როლი მიანიჭა და ყურადღება დაუთმო თამაშით სწავლებას და აღზრდას;
- მან პირველმა განავითარა მისი მასწავლებლის პესტალოცის უმნიშვნელოვანესი პრინციპი:სწავლა უნდა შენდებოდეს ბავშვის გონებრივი განვითარების დონის შესაბამისად;

კითხვები ანალიზისა და თვითშეფასებისათვის

1. მოკლედ მოგვითხრეთ ფრიდრიხ ფრებელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.
2. მოკლედ მოგვითხრეთ ფრიდრიხ ფრებელის პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ.
3. რომელ მთხოვნებს აკმაყოფილებდა ფრიდრიხ ფრებელის მიერ შემუშავებული ბაღის სტრუქტურა?
4. რომელ წელს გამოიცა ფრებელის წიგნი „ასი სიმღერა ბურთის მოთამაშეთათვის“?
5. მოკლედ მოგვითხრეთ ფრიდრიხ ფრებელის შეხედულებები სკოლამდელ ასაკში თამაშის, როგორც ქცევის მთავარ ფორმაზე.
6. მოკლედ დაახასიათეთ ფრიდრიხ ფრებელის დიდაქტიკური მასალის მნიშვნელობა ბავშვის განვიარებაში.
7. მოკლედ დაახასიათეთ, როგორ განავითარა მე-19 საუკუნის 70– იანი წლების დასაწყისში ფრებელის ერთ–ერთმა მოწაფემ ჰენრიეტა შრადერ–ბრაიმანმა ფრიდრიხ ფრებელის პედაგოგიკური შეხედულებები.
8. მოკლედ დაახასიათეთ, თუ როგორ განავითარდა ფრებელის იდეები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში.

ლიტერატურა:

1. გერკე მ., თანამედროვე საბავშვო ბაღი ფრებელის მიხედვით, პედაგოგიური კრებული № 659, სკოლის ასაკამდე აღზრდა, მარიამ ორახელაშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1927 .

2. ურუშაძე ლ., ფრიდრიხ ფრებელი - სკოლამდელი პედაგოგიკის კლასიკოსი, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრება“, ყოველკვირეული დამატება, № 2(38), 1977.
3. ალმედინგი ნ., სკოლის ასაკამდე აღზრდის ახალ პედაგოგიკისაკენ, პედაგოგიური კრებული № 659, სკოლის ასაკამდე აღზრდა, მარიამ ორახელაშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1927 .
4. ბუროვცევა მ., სკოლის ასაკამდე აღზრდის თანადროული დაწესებულებანი, პედაგოგიური კრებული № 659, სკოლის ასაკამდე აღზრდა, მარიამ ორახელაშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1927.
5. მედინსკი ე. პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1941.
6. გაგუა ვ., სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბილისი 1974.
7. Медынский Е.Н., И с т о р и я п е д а г о г и к и, в связи с экономическим развитием общества, том ii, эпоха промышленного капитализма, издание второе, исправленное и дополненное, «работник просвещения», Москва ,1929.
8. Хрестоматия по дошкольному воспитанию, под редакцией Е. А. Аркина, Москва, 1927 г.
9. Парамонова Л. А., Протасова Е. Ю. Дошкольное и начальное образование за рубежом: История и современность: Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб, заведений, М.: Издательский центр «Академия», 2001.

§ 7. მონტესორის პედაგოგიური სისტემა

მარია მონტესორი დაიბადა 1870 წლის 31 აგვისტოს იტალიაში. გარდაიცვალა 1951 წელს ჰოლანდიაში. ის გახლდათ პირველი ექიმი ქალი იტალიაში. ასისტენტად მუშაობდა ფსიქიატრიულ კლინიკაში, კითხულობდა ლექციებს რომის უნივერსიტეტში და მხოლოდ ფილოსოფიის დოქტორის წოდების მიღების შემდეგ დააარსა რომის ერთ–ერთ ღარიბ უბანში “ბავშვის სახლი” 1907 წელს. მისმა პედაგოგიურმა სისტემამ გაუძლო დროის გამოცდას და მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

1890 წელს რომის უნივერსიტეტის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტმა გადაწყვიტა ექიმი გამხდარიყო. იტალიის უნივერსიტეტებში სამედიცინო განათლების მიღება მხოლოდ მამაკაცებს შეეძლო. იგი სამედიცინო კურსებზე თავისუფალ მსმენელად მიიღეს. განსაკუთრებული წარმატებების გამო მალე სტუდენტად ჩარიცხეს.იგი გახდა პირველი ექიმი ქალი იტალიაში. 1897-1898 წლებში ესწრება პედაგოგკის ლექციებს და სწავლობს შემეცნებისა და განათლების თერაპიის ძირითად შრომებს. „გონებაჩამორჩენილ ბავშვებთან მუშაობისას მარია მონტესორი აღმოაჩენს ფრანგი ჟან-პოლ გასპარ იტარისა და ედვარდ სეგანის წიგნებს. თავად თარგმნის მათ. სეგანიდან გაიგო, რომ, თუ საგანგებო მეთოდიკით ჩავატარებთ მეცადინეობას, „100 იდიოტიდან 25 ნორმალური ადამიანი გახდება“- (1. გვ. 7). დოქტორ ჯუზეპე მონტესეორთან ერთად იგი მუშაობდა რომის ფსიქიატრიულ კლინიკაში თან აგრძელებდა მუშაობას გონებაჩამორჩენილ ბავშვებთან. ასეთი ბავშვები არა მხოლოდ მედიცინის პრობლემად მიაჩნდა, არამედ პედაგოგიურ - ფსიქოლოგიურ პრობლე-

მად. მან გადაწყვიტა, რომ მათთან მუშაობა საჭიროა არა მარტო საავადმყოფოში, არამედ სკოლაშიც.

1907 წლის 6 იანვარს იტალიელი მილიონერის ედვარდო ტალამოს დახმარებით სან-ლორენცოში მარია მონტესორიმ გახსნა პირველი „ბავშვთა სახლი“ ნორმალური ბავშვების-თვის. აღნიშნულ საბავშვო დაწესებულებაში უმეტესად 5-7 წლის ბავშვებს ღებულობდნენ. აქედან დაწყებული იგი, სიცოცხლის ბოლომდე ჯანმრთელი ბავშვების აღზრდა განათლე-ბის პრობლემებით არის დაკავებული. „ბავშვთა სახლში“ მუშაობა მიდიოდა მონტესორის პრინციპებით. ბავშვებისადმი სიყვარულმა და პატივისცემამ შედეგი გამოიღო. მ. მონტე-სორს გაუჩნდა მიმდევრები და მოსწავლეები. მისი „პედაგოგიური სისტემა ევროპაში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. იგი ეცნობა ფსიქოლოგ ერიკ ერიკსონს, მაჰათმა განდის, მე-გობრობს ჟან პიაჟესთან, რაბინდრატ თაგორთან, ფროიდთან (რომელიც ერთგან წერდა „იქ, სადაც მონტესორია, მე საჭირო არ ვარ“), რომლებიც მის საქმეს მეცენატობას უწევდნენ“ (1. გვ. 8).

1988 წელს იუნესკომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც XX საუკუნის პედაგოგიური აზროვნების განსაზღვრისათვის საერთაშორისო აღიარება მიანიჭა ოთხ პედაგოგს: ამერი-კელ ჯონ დიუის, გერმანელ გეორგე კერშენშტაინერს, იტალიელ მარია მონტესორისა და რუს ანტონ მაკარენკოს.

ქართული პედაგოგიკური აზროვნებისათვის მარიამ მონტესორის პედაგოგიური სისტემა ცნობილი გახდა მისი წიგნის „ბავშვთა სახლი, მეთოდი მეცნიერული პედაგოგიკისა“ გამო-ცემისთანავე (1912 წ). პედაგოგიურ ჟურნალში „განათლება“(1912 წ. № 6) დაიბეჭდა წერილი ნ-ბ-ძის ხელმოწერით. მასშივრცლად არის გადმოცემული მ. მონტესორის წიგნის შინაარსი, რასაც ახლდა სათანადო კომენტარი და დიდაქტიკური მასალის ფოტო.

მეოცე საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში დაიწყო და ჩატარდა ბევრი ექსპერი-მენტი მონტესორის სისტემის დასანერგად. მისი სისტემის სისტემის „ინტერესის გაღვივე-ბას ხელი შეუწყო ცნობილმა ქართველმა სკოამდელი აღზრდის მუშაკმა თ. ერისთავმა. ჯერ კიდევ 1920 წელს თ. ერისთავისა და პროფ. რ. ნიკოლაძე-პოლიექტოვას ინიციატივით უცხო-ეთიდან მოწვეული იქნა მ. მონტესორის სისტემის განთქმული სპეციალისტი ლოლა კონ-დულმარი, რომელმაც სპეციალურ კურსებზე წაიკითხა ლექციები და იტალიიდან ჩამოტა-ნილი მარიამ მონტესორის „დიდაქტიკური მასალებით“ ჩაატარა პრაქტიკული სამუშაოები“ (13. გვ.94).

პროფ. რ. ნიკოლაძე-პოლიექტოვას ავტორობით 1922 წელს ქართულ ენაზე გამოიცა არითმეტიკის სახელმძღვანელო „მათემატიკა პაწიებისათვის“. ამ წიგნის რეცენზია, პროგ-რამებისა და სახელმძღვანელოების შედგენის სამეცნიერო საბჭოზე დაევალა დიმიტრი უზ-ნაძეს. დ.უზნაძე წერს, რომ წიგნი ეხება ფორმების გაცნობას და თვლის ანგარიშის სწავლე-ბას. როგორც რეცენზიიდან ჩანს სახელმძღვანელო შედგენილია მარიამ მონტესორის სისტე-მის მიხედვით. საინტერესოა, თუ როგორ ახასიათებს დიმიტრი უზნაძე მონტესორის სისტე-მას: „მონტესორის სისტემის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თავისებურებას(წინამდებარე საკითხ-ში),, როგორც ცნობილია, მისი კონცეფცია შეადგენს ფორმია ან უკეთ მოყვანილობის პრობ-ლემის ფსიქოლოგიის, რომლის მიხედვითაც 1. ფორმა, მოყვანილობა უშუალოდ გვეძლევა

და 2. ორგანზომილებიანი უფრო ადრე, ვიდრე სამგანზომილებიანი ფორმის მოყვანილობის პრობლემა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემათაგანია უკანასკნელი ათეული წლების ფსიქოლოგიაში“ (21. გვ.121). მონტესორის აღნიშნული დებულებანი უზნაძის აზრით მისაღებია და იგი უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს. იგი უარყოფითად აფასებს მონტესორის შეხედულებას რიცხვების შესახებ, კერძოდ რაოდენობის ცნების განვითარების საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ სახელმძრვანელო წიგნთან დაკავშირებით აკეთებს დასკვნას, რომ „ნიკოლაძე - პოლიექტოვის სახელმძღვანელო უთუოდ სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან ის მონტესორის შეხედულებათა სწორ გადმოცემას იძლევა. დ. უზნაძეს მიაჩნია, რომ „ სწავლის მთელი დასაყრდნობი ღერძი სწავლის ობიექტიდან სწავლის სუბიექტზე გადადის, რაც სრულ გადატრიალებას ახდენს სკოლის საქმეში“. ე. ი. აღზრდა ბავშვის ფსიქოლოგიის მიხედვით უნდა მიმდინარეობდეს. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ როგორ შეიძლება ჩვენი ბავშვებისათვის წინასწარ შეუმოწმებლად მონტესორის არამარტო პრინციპები, არამედ ასე ვთქვათ, ასოებიც უებარ პედაგოგიურ მალამოდ ჩაითვალოს” (21. გვ.122). არ მიგვაჩნია სწორად წერს დ. უზნაძე-მონტესორის ყველა შეხედულების ასე გაფეტიშება.

შემდგომ წლებში დაიბეჭდა მრავალი სტატია, რომელშიც განხილული იყო მონტესორის პედაგოგიური სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები. 1926 წელს მარიამ ორახელაშვილის რედაქტორობით გამოვიდა პედაგოგიური კრებული №659 სკოლის ასაკამდე აღზრდა, სადაც დაბეჭდილია იულია ფაუსეკის სტატია „მონტესორის სისტემა“ და ვ. ტაუბმანის „მონტესორის სისტემა მარქსისტული პედაგოგიკის თვალსაზრისით“, „რეფლექსოლოგია და სკოლის ასაკამდე აღზრდა“, ნ. ალმედინგენის „სკოლის ასაკამდე აღზრდის ახალი პედაგოგიკისკენ“, მ. ბუროვცევას „ სკოლის ასაკამდე აღზრდის თანადროული დაწესებულებები“.

ვ. ტაუბმანმა მონტესორის პედაგოგიკა განიხილა მარქსისტული თვალთახედვით. იგი აღნიშნავს, რომ „მონტესორიმ დეფექტური ბავშვების აღზრდაში პირდაპირ საოცარ შედეგებს მიაღწია. აქედან ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი დეფექტიური მოწაფეები არა თუ გაუთანასწორდნენ ნორმალ ბავშვებს, არამედ წინ გაუსწრეს კიდეც მათ და ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ნორმალ ბავშვების გნვითარებას ხშირად აფერხებს სხვადასხვა არამიზანშეწონილი აღმზრდელობითი საშუალებანი. მონტესორის თვალსაზრისით, მეცნიერულ პედაგოგიკის მიზნის განხორციელებას, სახელდობრ ადამიანის ფსიქო-ფიზიკური ევოლუციის წარმართვა ახალი და უკეთესი ადამიანის აღზრდის მიზნით, შესაძლებელი და განსახორციელებელია მხოლოდ **პედაგოგიური სისტემის** დახმარებით.სამართლიანია ასეთი დებულება? „თავისუფალი აღზრდა“ არ არსებობს, რადგანაც ყოველ აღზრდას აქვს თავისი გარკვეული კლასიკური მიზნები და მათ განხორციელებას ცდილობს გარკვეულ საშუალებათა დახმარებით.

ზედმეტია აგრეთვე ბავშვის „ბუნებრივ თვითგანვითარებაზე“ ლაპარაკი. ბუნებრივი თვითგანვითარება შეუძლებელია. თუ ბავშვს პედაგოგი არა ზრდის, მას ავად თუ კარგად ზრდის ის სოციალური შუალი, რომელშიაც იგი ტრიალებს. მაგრამ ბუნებრივი თვითგანვითარებია არც უნდა არსებობდეს. ჩვენ ვერ დავეყრდნობით ბუნების „სიბრძნეს“. თანამედროვე ბიოლოგიამ გვიჩვენა, რომ ადამიანის ყველა ინსტიტქტი კი არაა სასარგებლო და მიზან-

შეწონილი. მათ შორის არის აშკარად საზიანო კოლექტივისათვისაც და ინდივიდისათვისაც. ამიტომაც **აუცილებლივ საჭიროა განვითარებაში მყოფ ადამიანის ბუნებრივი ალღოთი ხელოვნური პედაგოგიური შერჩევა**. ასეთი ხელოვნური შერჩევა შეიძლება დამყარებული იყოს პედაგოგიურ სისტემაზე, რომელიც შეადგენს გარკვეულ ხერხ-საშუალებათა კრებულს" (3. გვ.106).

ტაუბმანი „მონტესორის პედაგოგიკას განიხილავს შემდეგი პრინციპებიდან და მეთოდოლოგიიდან გამომდინარე:

- **ბავშვის ფსიქო-ფიზიკური ენერგიის ეკონომია** (მონტესორი ფიქრობს, რომ მეცნიერულმა პედაგოგიურმა სისტემამ უნდა მოსპოს ბიოგენეტიკური ფეტიშიზმის უღელი);
- **მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონები** (ბავშვის საქციელი - ეს რეაქციაა იმ თანადროულობაზე, რომელიც მას გარს არტყია. სკოლის ასაკამდე აღზრდის ბავშვში არა მარტო ჩასახულია შორეულ მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით გადმოცემული თვისებები და ის ექვემდებარება არა მარტო **მემკვიდრეობით**ს კანონს, არამედ **ცვალებადობის** კანონსაც. სკოლის ასაკამდე ბავშვი მარტო უძველეს წარსულს კი არ ამჟღავნებს, არამედ ახალ, ჯერ არნახულ არყოფილ შესაძლებლობათა მატარებელია);
- **ბავშვის ყოფაქცევა** (სწორია მონტესორის ლოზუნგი: სკოლის ასაკამდე ბავშვის აღზრდა უნდა იყოს არა „ცხოვრება ცხოვრებისათვის", არამედ „ პედაგოგიური ხელოვნება, რომელიც დამყარებული იქნება მეცნიერებაზე ცხოვრებისათვის)".
- **მონტესორის დიდაქტიკური მასალა** (მონტესორის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ მისი მასალა, რომელიც მას გადმოღებული აქვს დეფექტიურ ბავშვთათვის განკუთვნილ ხელსაწყოებიდან, ნორმალ ბავშვს დეფექტიურ ბავშვს ამსგავსებს. მაგრამ პრაქტიკაში ჩვენ სულ სხვა სურათს ვიღებთ. ჩვეულებრივ ამ მასალას უპირდაპირებენ ბუნებიდან აღებულ სასწავლო მასალას, ეგრეთ წოდებულ „ბუნებრივ" მასალას.
- **რეფლექსოლოგიის მონაცემები** (ეს მოთხოვნა სავსებით შეესაბამება რეფლექსოლოგიის თანამედროვე ცნობებს. რეფლექსოლოგიამ დაამტკიცა, რომ გაღიზიანების გარეშე შესაფერისი რეფლექსები არ გამომუშავდება; გამაღიზიანებელთა სიჭარბე კი იწვევს აღგზნების შეკავებას ან ირადიაციას (გაბნევა), რასაც მოსდევს საერთო „განმუხრუჭება" და არეულ-დარეული, შეუთანხმებელი მოძრაობა).
- **ფსიქოლოგების შემცდარი მტკიცება** (პედაგოგი სრულიადაც ვერ ინუგეშებს თავს ზოგიერთი ფსიგოლოგის დაუსაბუთებელი და მაშასადამე უსწორო მტკიცებით, თითქოს „ბავშვის ანალიზისა და სინთეზის სისუსტე" სკოლის ასაკამდე ბავშვს იცავდეს სოციალური შუალის გადამეტებულ და მავნე გამღიზიანებელთაგან.მაგრამ მეორე მხრივ მეცნიერება იმასაც გვიჩვენებს, რომ ძალიან ხშირად, თითქმის ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ვხედავთ, რომ ბავშვობის დროს აღმოცენებული მექანიზმები პირდაპირ საოცარ გამძლეობას იჩენენ და შემდგომ, როცა ბავშვი სავსებით დავაჟკაცდება, წარმართავენ ხოლმე ზოგიერთ მის საქციელსა და ჩამოყალიბებულ შეხედულებას).
- **გარეგრძნობათა აღზრდა** (მაგალითად, როცა მას უნდა რაიმე საგანი დახატოს, ის არა მარტო ათვალიერებს მას, არამედ ხელითაც ეხება მას და დიდი ყურადღებით შეისწავლის თითოეული მისი ხაზის მიმართულებას და მოყვანილობას.

- **უმნიშვნელოვანესი ფსიქიური ფუნქციების აღზრდა (** სკოლამდე ასაკის ბავშვისთვის აუცილებლივ საჭიროა ინდივიდუალური ვარჯიშობა, რომ მას მოუწესრიგდეს სხვადასხვაგვარი ფსიქოფიზიკური ფუნქციები და აგრეთვე სათანადო ცოდნის ჩვევათა შეძენის მიზნით).

- **შეკავების აღზრდა (** ბავშვები დიდ ინტერესს იჩენენ მონტესორის ე. წ. „სიჩუმის გაკვეთილის“ მიმართ. ამავე დროს ხშირად ვხედავთ მათ შორის მისწრაფებას მასალაზე მუშაობის შემოქმედებითი გართულებისა. ბუნებასთან ბრძოლის აუცილებელმა საჭიროებამ გამოიმუშავა კაცობრიობაში სწორი და მისი საწინააღმდეგო განწყობილება: დაბრკოლებათა უქონლობა უსპობს ადამიანს მოქმედების წყურვილს. დაბრკოლებათა ძლევა კი სიხარულით და სიამოვნებით აღაგზნებს ხოლმე მას.

- **რეალობა შრომის პროცესები (** დიდი მნიშვნელობა აქვს დიდაქტიკურ მასალას იმ მხრივ, რომ მას „შეჰყავს“ სკოლამდელი ასაკის ბავშვი რეალობაში და შრომით პროცესებში. სკოლამდელი აღზრდის სულ ნორჩ ასაკში უპირველესი ნიშანი, რომლითაც შეიძლება განვარჩიოთ შრომითი პროცესები თამაშის პროცესისაგან, იმაში გამოიხატება, რომ შრომა არის რეალურ სამყაროში მოქმედება ზუსტი კოორდინაცია რეალობასთან).

- **ბუნება, კოლექტივი და დიდაქტიკური მასალა (** მონტესორისთვის ბუნება და კოლექტივი აუცილებელი ფაქტორებია რეალისტური და შრომითი აღზრდის. დიდაქტიური მასალა მისთვის სინამდვილის „მანქანის“ „მომყვანი ღვედია“. დიდაქტიური მასალა უმუშავებს სკოლამდე ასაკის ბავშვს სიზუსტეს, მეთოდიურობას და სრულყოფს შრომითი პროსეცების შესრულებაში.

- **მონტესორის სისტემა ქალაქად და სოფლად (** მონტესორის მასალა ხელს უწყობს კვლევითი ალღოს განვითარებას და სწორედ, ამის გამო, იგი განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს, როგორც ქალაქის მუშათა, ისე სოფლის გლეხობის ბავშვთა აღზრდისათვის.

- **წარმოსახვის აღზრდა და სინამდვილეზე განწყობა (** მონტესორის მიხედვით გარე გრძნობათა აღზრდა მეტ სიმკვეთრეს და გარკვეულობას აძლევს წამოსახვის სახეებს, სურათებს. თავისუფალი კომბინატორული მოქმედიანობა თამაშის, ძერწვის ან ხატვის დროს აგრეთვე ანვითარებს წარმოსახვას. მეტად დიდი ფასი აქვს უბრალო, მაგრამ მხატვრულ თხრობას რეალურ თემებზე, დრამატიზაციას და სხვა).

- **ინდივდუალიზმი და კოლექტივიზმი (**მონტესორის მიხედვით გარე გრძნობათა აღზრდა მეტ სიმკვეთრეს და გარკვეულობას აძლევს წამოსახვის სახეებს, სურათებს. თავისუფალი კომბინატორული მოქმედიანობა თამაშის, ძერწვის ან ხატვის დროს აგრეთვე ანვითარებს წარმოსახვას. მეტად დიდი ფასი აქვს უბრალო, მაგრამ მხატვრულ თხრობას რეალურ თემებზე, დრამატიზაციას და სხვა)“ (3. გვ.106-130).

ვ. ტაუბმანი სტატიის დასასრულ ასკვნის, რომ მონტესორის სისტემა სრულად ვერ ამოწურავს მარქსისტულ პედაგოგიკას, მაგრამ მარქსისტული პედაგოგიკისათვის საჭიროა სავსებით და სრულად გამოიყენოს მისი სისტემა, რადგან:

- მონტესორიმ უკუაგდო ე. წ. „ბიოგენეტიური კანონის“ უღელი პედაგოგიკაში;
- მოითხოვა ბავშვის განწყობა რეალობაზე დაყრდნობით;
- უკუაგდო წარმოსახვის კულტურა ზღაპრების საშუალებით;

- ხელოვნური დიდაქტიკური მასალით მან მოახდინა პედაგოგიკის ტექნიზაცია;
- მოგვცა ცდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შრომითი პროცესების მეცნიერული ორგანიზაციისაა;
- მისი მეთოდიკის საფუძველს წარმოადგენს თავისუფლებისა და მკაფიო სტრუქტურის გონივრული სინთეზი.

მონტესორის სისტემა ეს არის მწყობრი მეცნიერულ–პედაგოგიური დასაბუთებაა სკოლის ასაკამდე აღზრდის პრობლემის. იგი საქმით იცავს დიდი პედაგოგების კლასიკურ ტრადიციებს. მის მეცნიერულ სისტემაში წითელი ზოლივით მოსჩანს რუსოს, კომენსკისა, პოსტალოცისა და ფრებელის აზრები, მაგრამ მისი მთავარი პრინციპები ბიოლოგიასა და ანთროპოლიგიაზეა დამყარებული. მონტესორი , როგორც ჩანს საფუძვლიანად იცნობდა ბიოლოგიას, ანთროპოლოგიას,ზოგად და ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას, ფილოსოფიას. იგი არის, აგრეთვე ექიმი ფსიქიატრი და პედიატრი. მან უკუაგდო ეგრეთწოდებული „ბავშვის ფსიქოლოგიის“ ყველა აკვიატებული იდეა და შეეცადა თავისი პრაქტიკული მუშაობისთვის კვლევისა და ცდის მეცნიერული ხასიათი მიეცა.

როგორც იულია ფაუსეკი წერს, მონტესორის სისტემის მთავარი პრინციპია ინტელექტის აღზრდა, რაც უნდა იწყებოდეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბავშვი ენას იდგამს. ამის გარშემო, როგორც კრისტალიზაციის წერტილის ირგვლივ, თავს იყრის სხვა დანარჩენი და სხეულს სწორ ფორმას აძლევს. იგი არა ჰყოფს აღზრდას ცალ-ცალკე ნაწილებად, როგორც ეს საერთოდ მიღებულია, ე.ი. მას არა აქვს აღზრდა ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიური. მისთვის ყველა ეს ერთს მთლიანს წარმოადგენს. როგორც მთლიანია ადამიანის სხეული არა მარტო ფიზიკურად, არამედ ფსიქიურადაც. თუ ადამიანს არ ექნა აღზრდილი ინტელექტი, ისე შეუძლებელია აღზრდა ზნეობრივი და ესთეტიკურ გრძნობისა, ან კიდევ შეგნებული მოპყრობა თავისი საკუთარი სხეულის მიმართ. ინტელექტის აღზრდასთან მონტესორი მჭიდროდ აკავშირებს გრძნობათა ორგანოების აღზრდას: თუ ადამიანს არ ექნა აღზრდილი გრძნობათა ორგანოები, წარმოუდგენელია აღზრდილი ინტელექტიც. „გრძნობითი აღქმა გონებრივი და ზნეობრივი ცხოვრების საფუძველია, ამბობს მონტესორი” (2. გვ.54-81).

იგი არ დასჯერდა მარტო თეორიას, არამედ პრაქტიკაში შეიტანა, ისეთი დამუშავებული მასალა და საშუალებანი, რომელნიც სავსებით აკმაყოფილებენ მეთოდისა და მთელი სისტემის მოთხოვნილებას. მისი წყალობით დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ სკოლამდელ ასაკში გრძნობათა ორგანოების აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს. ნაწილი ამავე დროს იღებდა მის დიდაქტიურ მასალას, მეორე ნაწილი კი უარჰყოფდა მას, მაგრამ ერთიც და მეორეც მთლიანად აღიარებდა პატარა ბავშვების ამ მხრივ აღზრდის აუცილებლობასა და მნიშვნელობას.

ამ კუთხით მონტესორი თავის მასწავლებლებად აღიარებდა სეგენსა და იტარს. სეგენი ფრანგი ექიმია. იგი დაიბადა 1812 წელს და მთელი თავისი ცხოვრება შესწირა დეფექტიურ ბავშვთა აღზრდას. მან პირველმა მოიხმარა ფიზიოლოგიური მეთოდის პრაქტიკული საშუალებანი ჩამორჩენილ ბავშვებში კუნთური სისტემისა და გრნძობათა ორგანოების აღზრდისათვის. მისი შრომები საფუძვლად დაედო მონტესორის თეორიულ დასაბუთებას, ხოლო მისი პაქტიკული საშუალებანი მონტესორმა გამოიყენა თავისი მეთოდის დიდაქტიურ მასალის ფუძედ. მონტესორი თვითონაც ხანგრძლივად (ორ წელზე მეტს) მუშაობდა დეფექტი-

ურ ბავშვებთან. სწავლობდა მათ ნორმისგან ფიზიოლოგიურ და ფსიქიურ გადახრას. მონტესორმა წამოაყენა თეზა, რომ არავითარი პრინციპული სხვაობა არაა დეფექტიურსა და ნორმალურ ბავშვს შორის. როგორც ბლონსკი ამბობს: „ეს არის გარკვეული მეცნიერული თეორია, რომელსაც მონტესორმა მიაღწია მაშინ, როცა ის თავს უყრიდა დეფექტიურ ბავშვებთან თავის ნამუშევარს. შეიძლება ეს თეორია მიიღო ან არ მიიღო, მაგრამ მის შესახებ იმის თქმა კი არ შეიძლება, რომ იგი არაა მეცნიერული, რომ იგი მოგონილია" (2. გვ.54-81).

მონტესორის მეორე მასწავლებელიც, იტარი ფრანგი ექიმი იყო. იგი ცხოვრობდა სეგენზე ადრე. მან მონტესორი გააკვირვა თავისი პედაგოგიური თხზულებებით, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ყველა აღმზრდელობითი ცდა. მონტესორი მათ თვლის ექსპერიმენტალ ფსიქოლოგიაში გადადგმულ პირველ ნაბიჯებად. განსაკუტრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სეგანის პედაგოგიურ ტრაქტატს „ავეირონელი პატარა ველურის პირველდაწყებითი განვითარების შესახებ" (Des premiers developpements du jeune cauvage de I'Aveyron).

მონტესორის მშვენივრად ესმის, რა დიდი განსხვავება არსებობს ნორმალურ და დეფექტიურ ბავშვს შორის. „იმ უფსკრულსაო, –ამბობს მონტესორი,– რომელიც არსებობს იდიოტის დაქვეითებულ ჭკუასა და ნორმალი ადამიანის ჭკუას შორის, ვერას დროს ვერ ამოვავსებდით, ნორმალი ბავშვი რომ აღწევდეს თავის სრულ განვითარებასო. იმ დროს, როცა ნორმალურ ბავშვს არავითარი ზღუდე არა აქვს თავის მიღწევებში, თუკი მას რაციონალი მეთოდებით ზრდიან, დეფექტიურ ბავშვს ამ მხრივ დიდი დაბრკოლება და ზღვარი უძევს. „როცა ეს საოცარი სამუშაო შესრულებულია და იდიოტი კაცად იქცევა ხოლმე დაწვრილებითი ფიზიოლოგიური ანალიზისა და მეთოდის თანდათანობის წყალობით, იგი მაინც დაბალი არსებობაა თავის მოყვასთა შორის. იგი ისეთი პიროვნებაა, რომელიც ვერასდროს ვერ შესძლებს სავსებით შეუფარდდეს სოციალურ წრესა და გარემოსო, ამბობს ცოტა ქვემოდ იმავე თავში მონტესორი. ნორმალურ ბავშვს აქვს ნიჭი თვითმოქმედებისა, თვითკონტროლისა, მაშასადამე თვითაღზრდის ნიჭიც. დიდი პედაგოგების ისეთი ნაანდერძევი აზრები, როგორიც არის თვითმოქმედება და თვითაღზრდა, რომელთაც მეტ წილად მარტო თეორიით ჰქადაგებენ, მონტესორმა ცხოვრებაში განახორციელა, სინამდვილის სახე მისცა საბავშვო ბაღსა და პირველდაწყებითს სკოლაში (2. გვ.54-81).

მონტესორმა ყურადღება მიაქცია პატარა ბავშვის არა მარტო მხედველობას, არამედ გრძნობათა ყველა ორგანოს. მხოლოდ მხედველობის განვითარება ხდებოდა ცოტად თუ ბევრად მეთოდიურად; სხვა გრძნობათა ორგანოების განვითარებისთვის, კი სისტემატიური ვარჯიშობა არ მიმდინარეობდა. მონტესორმა შენიშნა, პატარა ბავშვს ყველაზე უფრო ძლიერი აქვს მოტორული მეხსიერება, „ამიტომაც თავისი დიდაქტიური მასალის დიდი ნაწილი ისე ააგო, რომ პირველ ყოვლისა იგი იპყრობს ბავშვის ხელებს და უკვე ამ ხელების საშუალებით უფრო ფართოდ და სწორედ შეჰყავს ბავშვი „თვალის სამყაროში" (2. გვ.54-81).

ის მთელ დიდაქტიკურ მასალას იყენებს უმთავრესად ბავშვის ინტელექტის მეთოდიური აღზრდისათვის. „უნდა ვისარგებლოთ ბავშვების მიერ გამომჟღავნებული აღმოჩენით, რომ „ინტელექტი" სწორედ ის საშუალება ყოფილა, რომლითაც შესაძლებელია გარე გრძნობათა ჩამოყალიბების საიდუმლოს შეტყობა. ამრიგად ინტელექტის ჰიგიენა პირველხარისხოვანი ზრუნვის საგანს შეადგენს. ინტელექტი, როგორც საშუალება განათლებისათვის, როგორც

ცხოვრების ფუძე, აღარ შეიძლება „უნაყოფოდ დარჩეს“, რაღაც საეჭვო შედეგის მისაღწევად ან კიდევ სრულიად ჩაიკლას უყურადღებო მოპყრობით. სულ უახლოეს ხანში ბავშვთა ინტელექტი უნდა გადაიქცეს ჩვენი მზრუნველობის უკიდურეს საზღვრად და ეს ზრუნვა უნდა იყოს უფრო დაწვრილებითი და მეცნიერული, ვიდრე დღეს–დღეობით არსებობს ზრუნვა სხეულისთვის“ (2. გვ.54-81).

ამრიგად, მონტესორის მიხედვით ბავშვთა აღზრდის ამოსავალ წერტილად ითვლება ინტელექტის აღზრდა. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ თითქოს ბავშვს უნდა გადაეცეს რაც შეიძლება მეტი ცნობა, რაშიც მდგომარეობდა უმთავრესად ინტელექტუალური აღზრდის არსი. მონტესორის ინტელექტუალურ აღზრდაში, როგორც ფაუსეკი აღწერს, იგულისხმება „ბავშვის ირგვლივ არსებულ საგნების თვისებათა გარჩევის ცოდნის მეთოდიური განვითარება: მაშასადამე, ბავშვებს ცოდნა კი არ ეძლევა პირდაპირი გზით, ე.ი. ხელმძღვანელის მხრივ სწავლებით, არამედ ეძლევა მეთოდი, რომლის დახმარებითაც ბავშვები დამოუკიდებლივ იძენენ ცოდნას და აღმოაჩენენ, თავის გარეშე მდებარე სამყაროს, რასაც უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე იმას, როცა ამ სამყაროზე უფროსები მიუთითებენ ხოლმე. დიდაქტიური მასალა, გრძნობათა აღზრდისათვის განკუთვნილი ავარჯიშებს ბავშვის გონებას და აძლევს ბავშვს არა შინაარსს მისი გონებრივი ავლადიდებისათვის, არამედ წესსა და რიგს შინაარსისათვის. ამიტომაც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ინტელექტის განვითარებისთვის ხელის შეწყობა ნიშნავს დახმარებას შეგნების წარმოდგენათა მოწესრიგებაში. პატარა ბავშვი ცხოვრობს იმავე წრით გარშემორტყმული, როგორიც გარს ახვევია მოზრდილს, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ მთელი ეს გარემო, მთელი ეს დაუსრულებლივ რთული გარე სამყარო მის სუსტ შეგნებას ამძიმებს შთაბეჭდილებათა უთვალავი რაოდენობით. იგი ნამდვილად ქაოსში ცხოვრობს, რომელშიაც მისი სუსტი, მიუმაგრებელი გონება ხშირად ამაოდ ფრთხიალობს, ეძებს გზას, ცდილობს წესრიგისაკენ გზა გაიკვლიოს. სამი წლის პატარა ბავშვს შიგნით მძიმე ქაოსი აქვსო, ამბობს მონტესორი. პაწია ბავშვის ქაოსიანი გონების წესრიგში მოყვანა იმას ნიშნავს, რომ საშუალება მისცე გამოჰყოს შეგრძნება გარე სამყაროდან აღქმათა სწორი მიღებისათვის. მონტესორის დიდაქტიური მასალა ბავშვს სრულ საშუალებას აძლევს განმეორებითი ვარჯიშობისთვის. მიდრეკილება განმეორებისადმი პაწიებს საერთოდ დიდი აქვთ. ამ ვარჯიშობით ბავშვს ეძლევა ერთგვარი ბიძგი თვითაღზრდისათვის: თვითონ მასალა, სხვის უჩვენებლივ, ახდენს კონტროლს ბავშვის თვითოეულ შეცდომისას. ეს კონტროლი თავდაპირველად მექანიკურია, მაგალითად, მაშინ, როცა ბავშვი ვარჯიშობს ჩასაწყობ ცილინდრებით; მერე მალე ხდება ფსიქოლოგიურ კონტროლად. მაგალითად, მაშინ, როცა ის ვარჯიშობს ბრტყელი ჩასაწყობებით ან ფერადი ტაბულებით. აქ ბავშვს უხდება კარგად დაკვირვება, თითებით შემოწმება, გადაწყობა, შედარება, განსჯა, გადაწყვეტა. ვარჯიშობით ბავშვი მალე ამჩნევს თავის შეცდომებს და, რაკი აქვს სურვილი მათი გასწორებისა, ცდილობს დასახული მიზნისა თუ ამოცანის სწორ გადაწყვეტას. შემდგომ ბავშვი ცდილობს არა თუ მარტო შეცდომათა გასწორებას, არამედ იმასაც, რომ შეცდომები არ დაუშვას. ამაში ხელს უწყობს მასალის სიმარტივე და სიზუსტე, რაც ბავშვს აჩვევს მუშაობის დროს ზედმიწევნილობას (ზუსტობას) და პატიოსნებას” (2. გვ.54-81).

ბავშვს აქვს შესაძლებლობა ყველა ამოცანა ბოლომდე მიიყვანოს დამოუკიდებლად, სხვის დაუხმარებლად. ვარჯიშის საშუალებით ეჩვევა გარჩევას და კლასიფიკაციას. ახდენს ანალიზსა და გამოჰყოფს თვისებას: ზომას, სახეს, ფერს, სიგლუვეს, ან ხორკლიანობას, წონას, ტემპერატურას, ხმაურობას, ხმას და სხვას. მაგალითად, მოცულობისათვის – პატარა ცილინდრები, კუბები, პრიზმები, სიგრძისათვის – ჯოხები, დეციმეტრებად დაყოფილი, ჯოხები – ძვლები, ფერებისთვის– ფარჩის ტაბულები, ხმაურობისათვის – ცილინდრისებური კოლოფები სხვადასხვა ჩაწყობილობით და სხვა. ეს თვისებები გრადაციებით არის განწყობილ–დალაგებული; ბავშვებიც, რაკი მათ განკარგულებაში მოიპოვება საგნების მთელი წყება თანდათანობითი რიგით, ბოლოს და ბოლოს ეჩვევიან თვისებათა ხარისხის გარჩევას. ამრიგად, როცა საგნების თვისებებს ადარებენ ერთმანეთში, ბავშვები ეჩვევიან განსხვავების, მსგავსებისა და იგივეობის პოვნას, არა მარტო მასალის საგნებში, არამედ მათ ირგვლივ მდებარე გარემოს და მოწყობილობის საგნებშიც. რასაც ბავშვები დამოუკიდებელი აღმოჩენებისკენ მიჰყავს. შედარების დროს ბავშვს უვითარდება დამოუიდებელი დასკვნების გამოყვანის უნარი, რაც საძირკველს უყრის სწორ აზროვნებას; ბავშვს უჩნდება აზრები, იდეები, რაც უკვე შედეგია კონკრეტული აზროვნებიდან განყენებულ აზროვნებაზე გადასვლისათვის.

მონტესორის აზრით ე.წ. „სენსორული“ ანუ გარეგრძნობითი დიდაქტიური მასალა საუკეთესო საშუალებაა **ყურადღების აღზრდისათვის. „** ხელმძღვანელი სრულიადაც არ მიმართავს რაიმე ხერხს: ყურადღება იბადება თავისთავად, როცა მას მიიზიდავს მასალის ესა თუ ის საგანი, როცა ბავშვი ერთსადაიმავე ვარჯიშობას რამდენჯერმე და ხშირად ბევრჯერაც კი გაიმეორებს ხოლმე. ეს არის უკვე ყურადღების პირველი გამომჟღავნება, როგორც იმ აქტების ნიშანი, რომლებითაც დაკავშირებულია ბავშვის შინაგანი ზრდა. „ბავშვის ფსიქიური მოქმედების აღმოცენება და განათლება ყურადღების დამახასიათებელი გამომჟღავნებით იწყება, ამბობს მონტესორი, რაკი ერთხელ აღმოცენდება, ეს მოვლენა (ყურადღების გამომჟღავნება) იწყებს გამეორებას და ბავშვებსაც შეუძლიათ დიდი ყურადღებით მოეპყრონ საქმეს, ისე ღრმად ჩასწვდენ მას, როგორც ეს მხოლოდ გენიოსებს შეუძლიათ. საქმით ასე ღრმად გატაცებას მონტესორი „ჩაფიქრებას“ (meditdtion) უწოდებს, „ვინაიდან არ შეიძლება სხვა სახელი ვუწოდოთ თვითეულ ცალკე საგანზე ყურადღების ხანგრძლივ შეჩერებას, რომლის გამოწვევა შეუძლია მხოლოდ თანდათანობით შინაგანი მომწიფებას. ამრიგად გრძნობათა მეთოდური თავისუფალი ვარჯიშობა აღმზრდელისთვისაც და ფსიქოლოგისთვისაც გადაწყვეტს ყურადღების კულტურის საკითხს. ყურადღების განვითარებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია დაკვირვების უნარის განვითარებაც, სწორედ დაკვირვებისა და არა პირდაპირი დამკვირვებლობისა“ (2. გვ.54-81).

ვარჯიშის დროს ბავშვს უვითარდება დაკვირვების ნიჭი. ყოველ შემენილ ხერხს ბავშვიიყენებს უეჭველად, რაც კი აუცილებელია მისთვის, რომ მან შეძლოს თვითონ აღმოაჩინოს მის გარშემო მდებარე სამყარო. დამოუკიდებელ აღმოჩენას ბავშვისთვის უფრო მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე იმას, როცა მას მიუთითებენ, უჩვენებენ მის ირგვლივ მდებარე ნივთებზე. ნიჭი აღმოჩენისა გვევლინება, როგორც შედეგი მასალაზე ბავშვის ხანგრძლივი განმეორებითი ვარჯიშისა. იგი ხდება თვითაღზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა.

მარიამ მონტესორის სისტემის მიმართ ყურადღება არც შემდგომ შეჩერებულა. იგი შესწავლისა და და ანალიზის ობიექტი გახდა სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტებისათვის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ბარნაბა ხაჭაპურიძის ცნობილი გამოკვლევა „დიდაქტიკური მასალები და თამაშობანი სკოლამდელი აღზრდის ამოცანებთან დაკავშირებით“, სადაც ერთი თავია მიძღვნილი მონტესორის პედაგოგიკური მემკვიდრეობისადმი, შეფასებული და გაკრიტიკებულია იგი მარქსისტული ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. პროფ. ბ. ხაჭაპურიძე წერს: „მონტესორის მასალა იმიტომ კი არ არის ხელოვნური, რომ საგანგებოდ მზადდება განსაზღვრულ მოთხოვნილებათა მიხედვით, არამედ იმიტომ არის იგი ხელოვნური, რომ ბავშვს ისეთივე ამოცანათა წინაშე აყენებს, როგორშიც იგი ჩვეულებრივ სიტუაციაში ორიენტაციის დროს დგება. ე.ი. იგი გამიზნულია მხოლოდ მისთვის საჭირო დებულებების განსამტკიცებლად“ (18. გვ 56).

ნ.სამხარაძე წიგნში „სკოლამდელთა სენსორული აღზრდა და მისი ორგანიზაცია“ მონტესორის სენსორული აღზრდის კრიტიკასთან ერთად, მისი მეთოდის დადებით შეფასებასაც იძლევა.

გ. ჭანიშვილის აზრით, „მიუხედავად მ.მონტესორის თეორიის ურთიერთ საწინააღმდეგო დებულებებისა, მან შეძლო თავის ბავშვთა სახლსა და დიდაქტიკურ მასალაში მიეღწია თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას“(13. გვ.94).

სამოცდაათი წელი ყოფილ საბჭოთა კავშირში მარია მონტესორის სახელი დავიწყებას იყო მიცემული. იგი მოიხსენიებოდა მხოლოდ პედაგოგიკის ისტორიკოსთა ნაშრომებში. „მისი პედაგოგიური სისტემა შეფასებული იქნა, როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის ინტერესების დამცველი, რადგან მან გააიდიალა ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობის მეთოდი, რითაც მიზნას ისახავდა ინდივიდუალისტის აღზრდას. ამით იგი პრინციპულად დაუპირისპირდა კოლექტივიზმის აღზრდის თეორიას და აქედან გამომდინარე პროლეტარიატის ინტერესებს“(13. გვ. 91). ხოლო მსოფლიოს სხვა ქვეყნებში – ევროპაში, ამერიკასა და აზიაში იხსნებოდა სამეცნიერო ინსტიტუტები, აკადემიები, სადაც იკვლევდნენ და ახორციელებდნენ მარია მონტესორის ანთროპოლოგიურ, დიდაქტიკურ იდეებს.

ბავშვის განვითარების პროცესში მონტესორი გამოყოფდა რამდენიმე პერიოდს:

- დაბადებიდან 3 წლამდე- ბავშვები ითავსებენ ყველაფერს, რასაც ხედავენ. მათი უპირველესი მოდელი მშობლის ქცევაა. ამიტომ მშობლები თავის ქმედებებით უნდა ასწავლიდნენ ბავშვებს.
- 4- დან 6 წლის ასაკი. ამ ასაკის ბავშვებს უკვე აქვთ განვითარებული წერითი ფუნქციები. მისი ბავშვები უკვე წერდნენ და 8 წლის ასაკის ბავშვების დონეზე კითხულობდნენ.
- 6-დან 12 წლის ასაკი. ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდებლად მუშაობა. მონტესორთან ამ ასაკის ბავშვები არ იყვნენ დაყოფილი წლოვანების მიხედვით. სხვადასხვა ასაკის ბავშვები ერთად ისხდნენ და ერთმანეთს ასწავლიდნენ. მოსწავლეები დამოუკიდებლად ირჩევდნენმასალებს და თავად პოულობდნენ შეცდომებს.
- 12-დან 15 წლის ასაკი. ბავშვის ორგანიზმში ჰორმონალური ცვლილებებები მიმდინარეობს, ამიტომ მათ უჭირთ ინტელექტუალურ სამუშაოზე კონცენტრაცია.

- 15-დან 18 წლის ასაკი. ბავშვის ორგანიზმის ზრდა შენელებულია. ამიტომ შესაძლებელია მათი დატვირთვა ინტელექტუალური შრომით, რომელიც რეალურ სამუშაოსთან უნდა იყოს კომბინირებული.

მონტესორის მიხედვით ხუთ წლამდე ბავშვი საკუთარი თავის მშენებელია. იგი ხვეწს საკუთარ მხედველობას, სმენას, დიქციას, მოხერხებულობას. სააღმზრდელო გარემო კი მოიცავს პრაქტიკული უნარების, მოტორიკისა და სენსორიკის, ხელების, თვალების, მეტყველების განვითარებას. ხუთი წლის შემდეგ მიმდინარეობს ცნობიერების განვითარება, ბავშვი მკვლევარი ხდება, არჩევს, კითხვებს იძლევა, ეცნობა გარესამყაროს, საგანს და მოვლენას. რვა წლის ასაკში კი ბავშვი უკვე იკვლევს ტექსტს, თვითგანვითარება შედის აქტიურ ფაზაში. პედაგოგიური გარემო მოიცავს წერისა და კითხვის საშუალებებს. ამ ეტაპზე მონტესორი - მასალის ადგილს იკავებს სახელოსნოები, სცენა, მოლბერტი, საკერავი მანქანა და სხვ.

მარია მონტესორს მოუწია გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვების მკურნალობა და იმისათვის, რომ დახმარებოდა თავის პატარა პაციენტებს ადაპტაციაში, დააარსა სპეციალური სკოლა. მან შექმნა წვრილი მოტორიკის განმავითარებელი ვარჯიშების მთელი სისტემა. დაკვირვებების საფუძველზე გამოიყვანა თანამედროვე მეცნიერების მიერ დადასტურებული კანონზომიერება: რაც უფრო სხარტი ხდებოდა ბავშვების თითების მოძრაობა, მით უფრო სწრაფად იწყებდნენ ლაპარაკს ბავშვები. მაგრამ მათ მაინც უჭირდათ არა მარტო თავად წარმოეთქვათ სიტყვები, არამედ გაეგოთ სხვათა მეტყველებაც. მაშინ მარია მონტესორმა გამოიგონა უჩვეულო სათამაშო მოწყობილობები, რომელთა საშუალებითაც პატარები ეცნობოდნენ გარე სამყაროს მათთვის მისაღები მეთოდით – მგრძნობელობით გამოცდილებაზე დაყრდნობით.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დიდაქტიკური მასალა და მასზე მუშაობა. თამაშები, მეცადინეობა, დიდაქტიკური მასალით ვარჯიში ავითარებს ბავშვის "მხედველობით არჩევით უნარს": ფორმის, ფერის, ჟღერადობის, დროისა და სივრცის, ავითარებს მეტყველებისა და მათემატიკური ქმედების უნარს. წარმოგიდგენთ ზომების, ფერის, ფორმის, ჟღერადობის გარჩევის უნარის განვითარების მაგალითებს.

"ზომების მხედველობითი არჩევითობის უნარის" დიდაქტიკურ მასალას წარმოადგენს გეომეტრიული დეტალები. ეს დეტალები წარმოდგენილია ცილინდრული და ოთხკუთხედი 55 სმ X 6 სმ X 8 სმ ძელებით. ყოველ ოთხკუთხედ დეტალში ათი ნახვრეტია, რომლისთვისაც თავისუფალი ჩასმით მერქნის ცილინდრები არის დართული. ამ ცილინდრების ზედაპირზე ჭანჭიკებია დამაგრებული, რომელიც შეერთებისა და დაშლის საშუალებას იძლევა. კერძოდ: 1. პირველ ძელში ცილინდრები ერთნაირი სიმაღლის, მაგრამ სხვადასხვა დიამეტრისაა; 2. მეორე ძელში ცილინდრები ერთნაირი დიამეტრის, მაგრამ სხვადასხვა სიმაღლისაა; 3. მესამე ძელში ცილინდრები როგორც სიმაღლით, ისევე დიამეტრით სხვადასხვა ზომის არიან.

სხვაობა ზომებში ყველა მომდევნო მაგალითში 0,5 სმ–ია. ასეთი სათამაშოების "გროვასთან" თამაშის დროს ბავშვი თვითონ ეჩვევა სიმაღლის, სისქის და მოცულობის გარჩევას. ყველა ცილინდრისა და ბუდის გადაადგილება შეიძლება.

ცილინდრებისა და ბუდეების დათვალიერების დროს ბავშვი ასრულებს ამოცანას – დააბრუნოს ყველა ცილინდრი თავის ბუდეში ისე, რომ თავისუფალი ჩასმით ხდებოდეს შეუღლება.

„ფორმის მხედველობით არჩევითობის უნარის" დასადგენად მონტესორს გამოყენებული აქვს ბრტყელი მერქნიდან დამზადებული ფორმები. ერთ–ერთი დაფა მთლიანია, მეორეს კი გააჩნია სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის განაჭერი. ამ განაჭერში მჭიდროდ უნდა ჩაისვას შესაბამისი გეომეტრიული ფორმები. ბავშვი ცდებისა და შეცდომების საშუალებით სწავლობს და გარკვეული ვარჯიშის შემდეგ საკმაოდ ჩქარა არჩევს საჭირო ფორმას და ასრულებს საჭირო მოქმედებას.

"ბგერებისა და ხმაურის სხვადასხვა ელფერის არჩევითობის უნარის" დასადგენად მონტესორი იყენებდა კოლოფებს, რომლებიც შევსებულია ქვიშით და სხვადასხვა ზომის ხრეშით. მას იყენებდა სიჩუმის გაკვეთილზე. კოლოფებით წარმოქმნილი ხმაური ბავშვებს უვითარებს სმენის სიმახვილეს და სხვა.

თავის პედაგოგიურ სისტემას მარია მონტესორმა უწოდა ბავშვის თვითგანვითარების სისტემა დიდაქტიკურად მომზადებულ გარემოში. ბავშვების ქცევაზე დაკვირვებამ მას საშუალება მისცა აღმოეჩინა "ყურადღების პოლარიზაციის ფენომენი". სწორედ აქედან გამომდინარე აკეთებს იგი დასკვნებს ბავშვის თავისუფალი თვითგანვითარების და საგანგებოდ შექმნილ გარემოში მისი მუშაობის ფორმებისა და ხერხების შესახებ. მარია მონოტესორი თვლიდა, რომ განათლების მისაღებად საკმარისია ისეთი განმავითარებელი გარემოს შექმნა, სადაც დიდაქტიკურ მასალას აირჩევდა არა მასწავლებელი, არამედ თვითონ ბავშვი და თვითონვე განსაზღვრავდა ამ მასალასთან მუშაობის დროს, გააკონტროლებდა თავის შეცდომებს.

ბუნებრივია ისმის კითხვა, რა სახით უნდა იყოს მოწყობილი ასეთი საგანგებო გარემო?

მრავალწლიანი დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად მონტესორი აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ არსებობს მასალების განსაზღვრული რიცხვი, რაც აბსოლუტურად საკმარისია ბავშვის კულტურული განვითარებისათვის. ძირითადი მოთხოვნაა ამ დროს, რომ ამ გარემოში იყოს ამგვარი მხოლოდ ერთი ნიმუში. ეს არის მასალები ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო უნარ–ჩვევათა გამომუშავებისათვის, სპეციალური მასალები სენსომოტორიკის, მეტყველების, წერა–კითხვის და მათემატიკური აზროვნების ჩამოყალიბების სფეროდან. მასალების დიდი ნაწილი ემსახურება "კოსმიურ აღზრდას", სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითშეგნებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. მომზადებული გარემო ითვალისწინებს ბავშვის მოტორულ მოთხოვნილებებს.

მარია მონტესორისათვის ბავშვი იყო უნიკალური პიროვნება, თავისი საკუთარი განვითარების გეგმით, გარესამყაროს ათვისების საკუთარი ვადებითა და საშუალებებით. მისი მეთოდის ძირითადი არსი მდგომარეობს ბავშვის სტიმულირებაში თვითგანვითარებისაკენ. ბავშვი თვითონ ასწავლის საკუთარ თავს, ადგენს სასწავლო პროგრამას, ირჩევს სახელმძღვანელოს. ხოლო აღმზრდელის ამოცანაა დაეხმაროს ბავშვს მისი საქმიანობის ორგანიზაციაში, საკუთარი გზის ძიებაში – "დამეხმარე, რომ თვითონ შევძლო ამის გაკეთება".

როგორც პროფ. ჯემალ ჯინჯიხაძე წერს მონტესორის სისტემის უპირველესი თავისებურება **გრძნობათა მეთოდური აღზრდის კუთხით** არის ის, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს მკაფიოდ გამოკვეთილი პოზიციები გააჩნიათ: **„მასწავლებლის პოზიციაა:** მკვლევარი, დამკვირვებელი, აღმზრდელი, გარემოს ორგანიზატორი, პატივს სცემს ბავშვის უფლებას., არ დაემგვანონ დიდებსა და ერთმანეთს, იყონ ინდივიდუალურები“ (5. გვ.171). მონტესორი მასწავლებელს (ხელმძღვანელს) ინდივიდუალური გაკვეთილების დროს სამ აუცილებელ პირობას უყენებს: „სისადავე, –„არაფერი, გარდა უეჭველი ჭეშმარიტებისა“, სიმოკლე – შენი სიტყვები ითვალეო, – აგონებს მონტესორი დანტეს სიტყვებს ხელმძღვანელს; ობიექტივობა – გადიტყორცნე სინათლის შუქი და განაგრძე შენი გზა. ინდივიდუალი გაკვეთილები ძალიან მოკლეა და თვით ბავშვისგან გამომდინარეობს და არა ხელმძღვანელისგან. მის ამოცანას შეადგენს – ისეთი დრო შეურჩიოს, როცა ბავშვი მზადაა მიიღოს ესა თუ ის მისთვის დასაძლევი ცოდნა. გულისყურიანი და დაფიქსირებული ხელმძღვანელი ისეთი სხვაობებს წააწყდება ხოლმე, როცა მას ბავშვზე ზემოქმედება სხვადასხვაგვარად შეუძლია – დაწყებული ჩაურევლობიდან და გათავებული ნამდვილი სწავლებით და დახმარებითაც კი. ამრიგად აქ არაა საჭირო იმ მასწავლებლის აქტიური მუშაობა, რომელიც ჩქარობს მიაწოდოს ბავშვს ცოდნა და გაუსწოროს მას თვითოეული შეცდომა. ინდივიდუალი გაკვეთილების დროს შეცდომათა გასწორება სრულიად განდევნილია. მონტესორი შეცდომას ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უყურებს, როგორც შედეგს იმისას, რომ იმ წუთას ბავშვი არაა საკმაოდ მომწიფებული, რაც მეტად საგულისხმო გარემოებაა აღმზრდელ–დამკვირვებლისთვის“ (2. გვ.54-81). მონტესორი მოითხოვს, რომ ხელმძღვანელი ყოველთვის საკმაო მანძილზე იყოს ბავშვებისაგან დაშორებული. ბოლოს და ბოლოს ბავშვები თვითონ მიეტანებიან მას და თავის ნორჩ თავს შეაფარებენ მისი მზრუნველი კალთის ქვეშ, მიანდობენ თავს მის დამშვიდებულსა და დაფიქრებულ გონებას.

„მოსწავლის პოზიცია: „დამეხმარე, რომ ეს თვითონ გავაკეთო“.

მონტესორის სისტემის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ბავშვის თავისუფლება და მასთან დაკავშირებიული დამოუკიდებლობა და თვითაღზრდის ფართო შესაძლებლობა. თავისუფლება იმ აზრით, როგორც ეს მონტესორს ესმის, ნიშნავს თავისუფლებას ისეთ შუალში, რომელსაც გარედან საზღვრავენ და კონტროლს უწევენ. ამიტომაც მონტესორის სკოლაში პირველ პირობად ითვლება ირგვლივ მდებარე გარემო, სადაც ბავშვს შეუძლია განავითაროს თავისი ნამდვილი აქტივობა. რადგან „განვითარების ძალები თვითონ ბავშვის ბუნებაში დევს, მაგრამ ეს ძალები შეიძლება განუვითარებელი დარჩეს, თუ მათი განვითარებისათვის არ იქნება შექმნილი განსაკუთრებული გარემო. ასეთი გარემოს შექმნისას მონტესორის სკოლაში ყურადღებას აქცევენ სენზიციურობას (ამა თუ იმ გარეგანი მოვლენის უმაღლესი ამთვისებლობის უნარი). სწორედ ამ გარემოს ნაწილია სასწავლო საშუალებები, რომელსაც მონტესორის მასალას უწოდებენ. გარემო უბიძგებს, აქეზებს მოსწავლეს, საკუთარი ინდივიდუალურობის შესაბამის თვითმოქმედების გზით გამოავლინოს საკუთარივე შესაძლებლობები“ (5. გვ.171).

ხელმძღვანელმა ერთბაშად რაიმე გადაწყვეტილება არ უნდა გამოიტანოს, არამედ ის მხოლოდ უნდა დააკვირდეს. დაკვირვების პროცესში ყველაფერს, როგორც მუშაობას, ისე

თამაშს, უმოქმედობას და უმიზნო ხეტიალსაც ფასი და მნიშვნელობა გააჩნია. მონტესორის აზრით, „ ხელმძღვანელმა ფხიზლად, მაგრამ ბავშვებისთვის შეუმჩნევლად, უნდა უთვალთვალოს ბავშვების მიერ თავისი თავის გამომჟღავნებას. აქ მონტესორი ხელმძღვანელს მჭიდროდ უკავშირებს თავისუფალი დისციპლინის ცხოვრებაში გატარებას. გარეგნულად მას მიეკუთვნება უაღრესად პასიური როლი, მაგრამ ფარულად კი ეს როლი ძალიან მოქმედია და ძალიან დაჭიმულ მუშაობას მოითხოვს. ხილული აქტივობა კი უნდა მდგომარეობდეს თვითონ მოვლენაში, ე.ი.ბავშვის თავისუფალსა და დამოუკიდებელ მოქმედებაში, რომელსაც ხელმძღვანელი უნდა უთვალთვალებდეს“ (2. გვ.54-81). მონტესორს თავისუფალი წესმორჩილება (დისციპლინა) შეყავს სასკოლო ვარჯიშობათა რიცხვში, როგორც განმეორებითი ვარჯიშობა და არავითარ შემთხვევაში – როგორც ხელმძღვანელის მიერ რაიმეს სიტყვიერი გამეორება. ამ ვარჯიშის დროს უნდა მხედველობაში გვქონდეს ჯერ ერთი მოძრაობათა თანდათანობითი კოორდინაცია და მეორე – ბავშვის ნებისყოფის განვითარება და განმტკიცება. პირველი ნაბიჯი, რომელიც კი საჭიროა ნებისყოფის აღზრდისათვის, არის მოძრაობათა კოორდინაცია. პატარა ბავშვი, რომელიც ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ განაგებს თავისი სხეულის სხვადასხვა კუნთების მოძრაობას, იმ ცდათა ხანაში იმყოფება, როდესაც მას ათასი შეცდომა მოსდის და თავმობეზრებული მაინც ცდილობს მიზანს მიაღწიოს. ამ უწესრიგო აქტებში ერთი ღრმა ფიზიოლოგიური მიზეზია ჩამარხული–კუნთების სწრაფი გაზრდა და მისწრაფება მათთვის მოძრაობათა კოორდინაციის საპოვნელად. ამ აქტების ნამდვილი მიზანი უწესრიგობა კი არ არის, არამედ მუშაობა, რომელიც კუნთებიანი არსების მოწესრიგებისაკენ არის მიმართული. ბავშვს უნდა ასწავლონ სხვის დაუხმარებლივ სიარული, ჩაცმა, გახდა, პირის დაბანვა, ჭამა–სმა, თავისი ნივთების ალაგება, სუფრის გაშლა, ჭურჭლის გარეცხვა და მისთანანი, ხოლო ყველა ეს მოძრაობა დანაწილებულ უნდა იქნას, რამდენადაც შესაძლებელია, მრავალ ცალ–ცალკე აქტებად. თვითეული ასეთი მოძრაობა წარმოადგენს დამოუკიდებელი პიროვნების აღზრდის საფეხურებს“ (2. გვ.54-81).

ამრიგად, მონტესორის სისტემით, თანდათან ვარჯიშის საშუალებით ბავშვები იძენენ სხეულის შეურყეველ წინასწარ მდგომარეობას ნებისმიერ დროს: ჯდომის, სიარულის, სირბილის და აგრეთვე სხვა შემთხვევების დროს. აღსანიშნავია ისიც, რომ კუნთური სისტემის ვარჯიშობის დროს ისვენებს ნერვიული სისტემაც და ბავშვებიც უფრო წყნარი ხდებიან არა მარტო გარეგნულად, არამედ სულიერადაც. ამდენად, ბავშვის თავისუფლებასთან მჭიდროდაა დაკავშირებულია ბავშვის დამოუკიდებლობა. მონტესორის სიტყვით, ბავშვმა პატარაობიდანვე უნდა შეითვისოს აზრი, რომ: მე ჩემი თავისთვის თვითონ შემიძლია ბევრი რამის გაკეთება და ამიტომ არა მსურს, რომ სხვა დამეხმაროსო.

ყველა მეცადინეობის დროს ბავშვი, რომელსაც მონტესორის სისტემით ზრდიან, პირველ რიგში ივითარებს ნებისყოფას და შემდგომ ავარჯიშებს მას. ეს ვარჯიში არის გონებრივიც და პრაქტიკულიც. შემთხვევით მეთვალყურეს ეჩვენება, რომ ბავშვი სწავლობს წერა-კითხვას, ვარჯიშობს მასალაზე, ვარჯიშობს მოძრაობის ზედმიწევნით დაცვაზე და იცავს სიჩუმეს; მაგრამ აქ გაცილებით უფრო ღრმა მუშაობა მიმდინარეობს: ბავშვი სწავლობს თავის დაჭერას, სწავლობს – იყოს მტკიცე და ძლიერი ნებისყოფის ადამიანი, მაშასადამე, თავისუფალიც. ის ადამიანია თავისუფალი, ვინც ისწავლა თავის ვნებათა დამორჩილება, ვინც ისწავ-

ლა თავის გადაწყვეტილებათა დინჯად და სწრაფად მოფიქრება და თავის ქცევა–მოქმედების წარმართვა- წერს მონტესორი.

მონტესორის მიხედვით თავისუფლებას მოაქვს შრომისნაყოფიერება და სწრაფვა სრულყოფისაკენ. მას მიაჩნია, რომ ეს ტენდენციები ბავშვში ჩადებულია გენეტიკურად. თავისუფლების საჩუქარია ისიც, რომ ბავშვი ჯგუფში იძენს სრულ დამოუკიდებლობას. მონტესორის მტკიცებით ბავშვი გადის ორ ემბრიონალურ პერიოდს. პირველი, როცა ჩაისახება მისი ფიზიკური სხეული და მეორე, როცა ჩაისახება მისი ფსიქიკა. ამ პერიოდით განისაზღვრება განვითარების პროცესი, ბავშვი მიისწრაფის საკუთარი თავის გაუკეთესებისკენ, ადაპტირდება გარემოში, შეგნებულად არჩევს იმას, რაც საჭიროა მისი განვითარებისთვის.

მონტესორი ბავშვის ცხოვრების პირველ წლებში ქმნის ბავშვის ბუნებისათვის საჭირო პირობებს, რითაც ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური თვალსაზრისით. იგი ბავსვს ამზადებს, როგორც ბიოლოგიური განვითარებისათვის, ისე საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. საჭირო პირობების შექმნით იგი უადვილებს ბავშვს ცოციალურ გარემოსთან შეგუებას და ირჩევს ორ გზას: 1. საბავშვო სახლში სათანადო გარემოს შექმნა და 2. ბავისადმი მიმართვა - მოწოდება.

მონტესორის პედაგოგიკაში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება „სიჩუმის გაკვეთილებს“. მას მონტესორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამნიჭებს ბავშვის ნებისყოფის აღზრდაში. გაკვეთილზე ხელმძღვანელი აცნობს ბავშვებს ცხოვრებაში არსებულ სიჩუმის ხარისხებს. „ ბავშვი გულის ფანცქალით ელის, როდის გამოიძახებენ მას, მერე გამოძახებასაც გამოძახება ჰქვიან! მას გამოიძახებენ ჩურჩულით, მისი ყურადღება გამახვილებულია; გარდა ამისა, თანდათანობით ჩამოვარდნილ და დამყარებულ სიჩუმეში ის გარკვევით არჩევს ისეთ ხმებს, რომელთაც ჩვეულებრივად ყოველდღიური ცხოვრების ხმაურში ადამიანი ვერ ისმენს: საათის წიწკინი, ქუჩაში ურმის თვლების ჭრიალი, ძაღლის ყმუილი, წვიმის შხუილი, დერეფანში ვიღაცა მოსიარულის ფეხის ხმა, კედელს იქიდან გამოძახილი ხმები და სხვა. მეტადრე კარგად გამოდის ეს გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომით, როცა ფანჯრების გაღება შეიძლება. ბავშვები დიდი ყურადღებით უგდებენ ყურს, რაღაზედაც ფიქრობენ, ხოლო ზოგიერთების სახეზე აღბეჭდილია რაღაც ღრმა აზრის გამომეტყველება. მონტესორი ურჩევს, რომ ასეთი გაკვეთილები რაც შეიძლება ხშირად იყოს ხოლმე წარმოებული, თუ შესაძლებელი იქნება, ყოველდღე. ხელმძღვანელის ტაქტისა და საზრიანობა–გამომგონებლობისგანაა დამოკიდებული. ამ გაკვეთილების სხვადასხვაფეროვნება და ყოველთვის თავის დროზე მოწყობა. თუ კი ბავშვი პატარაობიდანვე ყოველდღე ცოტ–ცოტათი მაინც გაივითარებს სიჩუმის დაცვისა და დუმილის სიყვარულის ცოდნას, შემდგომ ის ძალიან მდიდარი იქნება განცდებით, რამდენ სიამოვნებას, მერე მაღალს და ლამაზს სიამოვნებას მიიღებს იგი განმარტოებისა და სიჩუმისგან, ეს განმარტოება და სიჩუმე კი აძლევს მის სულიერ ცხოვრებას სრულ წონასწორობას“ (2. გვ.54-81).

მონტესორის მეთოდი შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან:

- ბავშვი;
- გარემო;
- მასწავლებელი და მშობელი.

ბავშვი ინტუიციურად არჩევს იმ საგნებს, რომლებიც საჭიროა მისი განვითარებისათვის. ეს მოთხოვნილება ბავშვში შინაგანად არსებობს. მასწავლებელი ემსახურება ბავშვს, თვალყურს ადევნებს მას, მის ქცევას და აძლევს მიმართულებას.

საბავშვო ბაღში ბავშვი ხდება **"მომზადებულ გარემოში"**, რომელსაც გააჩნია აღნაგობის მკაფიო ლოგიკა და შეესაბამება ბავშვის ფსიქოლოგიურ მოთხოვნებს. მონტესორის ოთახი იყოფა ყურადღების კონცენტრაციის ხუთ ზონად: 1. პრაქტიკული ცხოვრება; 2. სენსორიკა; 3. ენა; 4. მათემატიკა და 5. ბუნებისმეტყველების საფუძვლები. განვიხილოთ ცალ–ცალკე.

ცხოვრებისეული პრაქტიკა

პირველ რიგში ეს არის ვარჯიშები ყოველდღიური ცხოვრებისეული პრაქტიკის სფეროდან, რომლებიც ბავშვს ეხმარებიან საკუთარ თავზე ზრუნვაში. ასწავლიან ღილების სწორად შეკვრას, ფეხსაცმელში თასმის გაყრას, ბოსტნეულის წმენდასა და დაჭრას, ანუ ყველაფერ იმას, რის კეთებასაც პატარას შინ დედა არ ანებებს. მონტესორის ჯგუფებში ბავშვებს ესმით: "შენ უკვე დიდი ხარ და ეს დავალება დამოუკიდებლად შეგიძლია შეასრულო". მასწავლებელი მხოლოდ უჩვენებს ბავშვს, როგორ უნდა მოექცეს საგნებს სწორად. ვარჯიშები მოიცავენ ისეთ საგნებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადასხმა, გადაყრა, ტარება და კატეგორიებად (მაგალითად, ფერების ან ფორმის მიხედვით) დახარისხება. ეს ყველაფერი დაკავშირებულია ხელების მოძრაობასთან და საფუძველს უქმნის წერის, კითხვის და მათემატიკური აბსტრაქციის უნარის განვითარებას. ყველა საგანი ნამდვილი უნდა იყოს – მონტესორის ჯგუფებში ხომ ბავშვები რეალური ცხოვრებით ცხოვრობენ. თუ ბავშვს ჩაიდანი დაუვარდება და ხალიჩაზე წყალი დაიღვრება, მისთვის აშკარა იქნება უარყოფითი შედეგი. ამ შემთხვევაში მუშაობს პედაგოგიკის კიდევ ერთი პრინციპი – შეცდომების ავტომატური კონტროლი. სენსორული ანუ მგრძნობელობითი განვითარების სფეროში ბავშვს შეუძლია ყველა იმ შეგრძნების აღქმა, რომლის დეფიციტსაც განიცდის ამა თუ იმ მიზეზის გამო და აღიქვას რეალურად იმ სათამაშოების მეშვეობით, რომლებიც ამ ზონაშია. პატარა შესანიშნავად ავითარებს მხედველობის, შეხების, გემოვნების, ყნოსვის, სმენის შეგრძნებებს. საშუალება აქვს ივარჯიშოს ტემპერატურათა განსხვავებაში, შეიგრძნოს განსხვავება საგანთა წონასა და ფორმაში, განავითაროს კუნთური მეხსიერება. სენსორულ ზონაში სპეციალურ საგნებთან მუშაობა მნიშვნელოვანი მოსამზადებელი ეტაპია მათემატიკური აზროვნების საწყის ეტაპზე შესვლის წინ. სენსორულ საგნებთან მუშაობა ბავშვს ასწავლის ლოგიკურ და ზუსტ აზროვნებას, ზედმეტი შრომის გარეშე გადაჰყავს მათემატიკურ ტერმინებში მისთვის უკვე კარგად ნაცნობი ტერმინები.

მათემატიკური განვითარება

მათემატიკის შესწავლაც მაქსიმალურად ბუნებრივად ხდება. ბავშვი უბრალოდ ცხოვრობს წინასწარ მომზადებულ სფეროში, რომელიც მთლიანად მათემატიკითაა "გაჟღენთილი". მათემატიკური განვითარების ზონა შეიცავს ყველა აუცილებელ საგანს, რათა პატარამ საკმარისად სწრაფად და ეფექტიანად აითვისოს მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა, თვლა ანუ ყველაფერი ის, რაც მისი სასკოლო განათლებისთვის მზადყოფნის კრიტერიუმად ითვლება.

ენობრივი განვითარების სფერო

ბავშვს აუცილებლად სჭირდება ენობრივი განვითარების სფეროც, რის გარეშეც შეუძლებელია სრულფასოვანი ინტელექტუალური ზრდა. სპეციალური სათამაშო ასოების ხელით "შემოწმების" ან დაყრილი ფქვილის თხელ ფენაზე თითით "წერის" დროს ბავშვს ეძლევა შანსი, გაიფართოოს ლექსიკური მარაგი, გაეცნოს ასოებს, ისწავლოს მოძრავი ანბანის მეშვეობით სიტყვების შედგენა. ასეთი ანბანის დამზადება სახლის პირობებშიც შესანიშნავადაა შესაძლებელი.

კოსმიური აღქმა

ასევე აშკარაა, რომ სრულყოფილი პიროვნული განვითარება შეუძლებელია, თუ ბავშვს არ ჩამოუყალიბდა სამყაროს მთლიანი სურათი. ამ ამოცანას წყვეტს კოსმიური აღქმის სფერო. ბავშვი მისთვის მისაწვდომი ფორმით ეცნობა ყველაზე რთულ თეორიებს ადამიანის აგებულების, გეოგრაფიის, ისტორიის, მცენარეებისა და ცხოველების შესახებ. ბავშვის წინაშე გადაიშლება სამყაროს სრული სურათი, ის იწყებს მისი მთლიანობის გაცნობიერებას და საკუთარი თავის, როგორც ამ მრავალფეროვანი სივრცის ნაწილის, აღქმას.

მასწავლებელს მონტესორის მეთოდის მიხედვით, ევალება, რომ დააკვირდეს ბავშვს, რომელიც თავისუფალ გარემოში იზრდება და სწავლობს. პირდაპირი ჩარევის გარეშე ხელი შეუწყოს კარგს და არ წაახალისოს ცუდი ქცევა და იმპულსები. მასწავლებელს უნდა ესმოდეს თუ გარემო კარგად არის ორგანიზებული, მაშინ სწავლის პროცესი სპონტანური და სახალისოა.

მონტესორის სკოლაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება მშობლებს. მათი მოვალეობა იყო, რომ ბავშვებს სკოლაში არ დაეგვიანათ; სუფთად და მოწესრიგებულად მოსულიყვნენ. ყველა მშობელი ვალდებული იყო, რომ კვირაში ერთხელ სკოლის დირექტორთან შვილის ამბავი მოეკითხა. მშობლებს მასწავლებლებთან ერთად, მონტესორის აზრით, სკოლის საერთო მიზნებისათვის მიეღწიათ.თუ მშობელი თანამშრომლობაზე არ თანხმდებოდა მის შვილს სკოლიდან რიცხავდნენ მანამ ვიდრე მშობელი თანამშრომლობის სურვილს არ გამოთქვამდა.

მონტესორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბუნების როლს ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში. ამ საკითხს მონტესორმა ერთი თავი მიუძღვნა წიგნში „ბავშვის სახლი". მისი აზრით ბუნებასთან ურთიერთობით:

- ბავშვი იწყებს ცხოვრებასა და ბუნების მოვლენებზე დაკვირვებას;
- ბავშვი თავისით ეცნობა წინდახედულობის ცნებას;
- ბავშვები ეცნობიან მოთმინებას და ლოდინს;
- ბავშვები აღფრთოვანდებიან ბუნების გრძნობით, რომელსაც კვებავს მთელი სამყარო;
- ბავშვი მისდევს ადამიანის განვითარების ბუნებრივ გზას.

მონტესორის თანამედროვენი თვლიდნენ, რომ ბავშვებს 6 წლამდე არ შეეძლოთ წერა, მისი მოსწავლეები კი 4 წლის ასაკიდან წერდნენ. მონტესორი მათ აძლევდა ანბანის გამოჭრილ ასოებს, რითაც ისინი თამაშობდნენ. სულ რაღაც სამ თვეში ბავშვებმა წერა დაიწყეს. ამის შემდეგ კი კითხვა. მალე შვიდი – რვა წლის ბავშვების დონეზე წერდნენ და კითხულობდნენ. 1900 წელს რომში თავისებურ ოლიმპიადაზე ჩამორჩენილმა ბავშვებმა აჯობეს ნორმალურ ბავშვებს წერაში, კითხვასა და ანგარიშში.

როგორც პროფ. ჯემალ ჯინჯიხაძე აღნიშნავს „მონტესორის სკოლაში გაკვეთილები არ არის ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მაგრამ ამ სკოლის მეთოდიკაში არის მონტესორის სამსაფეხურიანი გაკვეთილის ცნება, სადაც სიტყვაში გაკვეთილი სულ სხვა შინაარსია ჩადებული.

პირველი- ცოდნის საფეხური. ამ საფეხურზე ბავშვებს ეძლევა ახალი ცოდნა. ბავშვებს, რომ განუმტკიცდეთ ეს ცოდნა, ამისთვის არსებობს მეორე საფეხური - გამოცდილების საფეხური. აქ ბავშვი სწავლობს. პირველ საფეხურზე მიღებული ცოდნის გამოცდილების მეშვეობით ითვისებს. მასწავლებელი აძლევს დავალებას:მომაწოდე....., მიჩვენე....., დავალების შესრულების პროცესში ბავშვი პასიურად კი არ ჭვრეტს საგნებს, არამედ აქტიურ მოქმედებაშია.ეს პრაქტიკული შესრულებაა.ეს საფეხური მნიშვნელოვანია, რადგან მიმდინარეობს სწავლება და გრძელდება ერთი წელიც კი. სანამ მასწავლებელი არ დარწმუნდება, რომ ბავშვებმა შეითვისეს მასალა, არ გადადის მესამე საფეხურზზე. მესამე საფეხური - გადცემული ცოდნისა და მათი შეთვისების შემოწმებაა. ახალი ცნებები და შესაბამისი ტერმინები გადადის პასიური მდგომარეობიდან აქტიურში. მასწავლებელი უჩვენებს საგანს და ეკითხება: რა არის ეს? როგორია ეს? ბავშვი ეუბნება, უჩვენებს კიდეც. ის აქტიურია“ (5. გვ.183).

მონტესორის სკოლაში დღე იწყება საერთო წრით. იგი გრძელდება საათნახევარი და მიმართულია გრძნობის ყველა ორგანოს განვითარებისაკენ. წრის შემდეგ ყველა თავისუფალია. თვითოეული თვითონ არჩევს, რით იქნება დაკავებული: მათემატიკით, მშობლიური ენით, ასტრონომით, ისტორიით და ა.შ.

მონტესორმა თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე მიღებული დაკვირვებებისა და ჩატარებული სამუშაოს შედეგად გააკეთა ასეთი მეცნიერული დასკვნა: „იმისათვის, რომ აღვზარდოთ ბავშვი – უნდა ვიცოდეთ მისი მეცნიერული ბუნება, იმისათვის, რომ მისი ბუნება შევისწავლოთ, უნდა ვაკვირდებოდეთ მას, ხოლო იმისათვის, რომ ვაკვირდებოდეთ – უნდა მივსცეთ მას თავისუფლება”.

ამრიგად, მარია მონტესორის პედაგოგიური პრაქტიკა ბავშვს ეხმარებოდა, ყოფილიყო შემოქმედებითი, კრიტიკულად მოაზროვნე, ესწავლა დროის მართვა, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის კეთება და ბუნების სიყვარული. მისი მეთოდიკის საფუძველს წარმოადგენს თავისუფლებისა და მკაფიო სტრუქტურის გონივრული სინთეზი. იგი თვითგანვითარების ტექნოლოგიის სტრუქტურის ერთერთი ფუძემდებელია.

კითხვები ანალიზისა და თვითშეფასებისათვის

1. ყურადღების კონცენტრაციის რამდენ ზონად იყოფა მონტესორის ოთახი?
2. დაახასიათეთ მონტესორის დიდაქტიკური შეხედულებები.

ლიტერატურა

1. ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბილისი, 2015.
2. ფაუსეკი ი., მონტესორის სისტემა, პედაგოგიური კრებული № 659, სკოლის ასაკამდე აღზრდა, მარიამ ორახელაშვილის რედაქტორობით, ტფილისი 1926 .
3. ტაუბმანი ვ., მონტესორის სისტემა, მარქსისტული პედაგოგიკის თვალსაზრისით, პედაგოგიური კრებული № 659, სკოლის ასაკამდე აღზრდა, მარიამ ორახელაშვილის რედაქტორობით, ტფილისი 1926 .
4. სწავლებისა და განვითარების თეორიები, ავტორები ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2008 .
5. ჯინჯიხაძე ჯ., თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი 2012.
6. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., ქობულაძე ნ., სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები., აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.
7. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., სწავლებისა და სწავლის ინტერაქტიური მეთოდები, აქტივობის ფორმები, შეფასების კრიტერიუმები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
8. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., სწავლა სწავლების პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება, ქუთაისი 2005 .
9. ბასილაძე ი., ქობულაძე ნ., ბოჭორიშვილი ნ., მარია მონტესორის პედაგოგიური სისტემა, სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“, №2, 2010 .
10. მაღრაძე, განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები, ქუთაისი, 2008.
11. მელიქიშვილი მ., მარიამ მონტესორის პედაგოგიკური კონცეფცია, თბილისი, 2013 .
12. მონტესორი მ. , ჩემი მეთოდი, დაწყებითი სკოლა, ფრანგულიდან თარგმნა, ლ. კუხიანიძემ, ქუთაისი, 2014 .
13. ჭანიშვილი გ., მარია მონტესორი, ჟურნალი „დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდა“, № 3, 1987 .
14. ჭოხონელიძე ნ., გარემოს მნიშვნელობა აღზრდაში მ. მონტესორის მიხედვით, აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები, შრომები, 2016 .
15. ჭოხონელიძე ნ., მონტესორი - თავისუფლება და დისციპლინა, აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები, შრომები, 2016 წ.
16. ჭოხონელიძე ნ., მ. მონტესორი - ჰუმანისტი და პედაგოგი, აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები, შრომები, 2015 .

17. ჭოხონელიძე ნ., მ. მონტესორის პედაგოგიური სისტემის ძირითადი პრინციპები, აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები, შრომები, 2015 .
18. ხაჭაპურიძე ბ., დიდაქტიკური მასალები და თამაშობანი სკოლამდელი აღზრდის ამოცანებთან დაკავშირებით, თბილისი, 1939 .
19. სამხარაძე ნ., სკოლამდელთა სენსორული აღზრდა და მისი ორგანიზაცია, გამომცემლობა განათლება, ტბილისი, 1972 .
20. ჭოხონელიძე ნ., მარია მონტესორის პედაგოგიკური სისტემა და თანამედროვეობა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დისერტაცია განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით, ქუთაისი, 2018.
21. გურგენიძე დ., საქართველოში საბჭოთა პედაგოგიური აზრის ისტორიიდან, თბილისი, 1981.
22. Хрестоматия по дошкольному воспитанию, под редакцией Е. А. АРКИНА, МОСКВА, 1927 г.
23. Парамонова Л. А., Протасова Е. Ю. Дошкольное и начальное образование за рубежом: История и современность: Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб, заведений, М.: Издательский центр «Академия», 2001.

§ 8. კონსტრუქტივიზმი და ბავშვის აზროვნების განვითარების სტადიები პიაჟეს მიხედვით, ვიგოტსკის სოციალური კონსტრუქტივიზმი და ბრუნერის აღმოჩენებით სწავლება

კონსტრუქტივისტული შეხედულებები ეყრდნობა ეყრდნობა პიაჟეს, ვიგოტსკის, გეშტალტფსიქოლოგიის, ბატლერისა და ბრუნერის, ჯონ დიუის კვლევებს. დღეისათვის არსებობს მრავალი კონსტრუქტივისტული თეორია. მიუხედავად ამისა კონსტრუქტივისტთა უმრავლესობა იზიარებს ორ ძირითად თვალსაზრისს: 1. შემსწავლელები აქტიურები არიან საკუთარი ცოდნის აგებაში და 2. სოციალური ინტერაქციები მნიშვნელოვანია ცოდნის კონსტრუირებისათვის. კონსტრუქტივისტების მიხედვით სწავლა არის ცოდნის აქტიური და პიროვნული კონსტრუირება. სწავლა გაცილებით მეტია ვიდრე მასწავლებლისგან და სახელმძღვანელოსგან მიღებული ცოდნა.

მკვლევარები საუბრობენ კონსტრუქტივიზმის ორ ფორმაზე: ფსიქოლოგიურ და სოციალურ კონსტრუქტივიზმზე. ფსიქოლოგიური კონსტრუქტივიზმი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ იყენებს ინდივიდი ინფორმაციას, წყაროებსა და სხვების დახმარებას პრობლემათა გადაჭრის სტრატეგიების კონსტრუირებისა და გაუმჯობესებისათვის. მათგან განსხვავებით სოციალური კონსტრუქტივიზმის მიმდევრები სწავლას განიხილავენ, რო-

გორც შესაძლებლობების ზრდას სხვებთან ერთად, ისეთ აქტივობებში, რომლებიც მნიშვნელოვანია კულტურისათვის.

ბავშვისათვის სამყაროს შემეცნება მხოლოდ ცოდნის დაგროვების თვალსაზრისისთვის არ ვითარდება, არამედ თვისობრივად იცვლება თვითშემეცნების პროცესიც. ბავშვი უბრალოდ კი არ რეაგირებს გარემოს გავლენაზე, არამედ აქტიურად მოქმედებს და იძენს ცოდნას და უნარ-ჩვევებს მასთან შეგუების პროცესში. ბავშვის მიერ აღქმული სამყარო განსხვავდება მოზრდილის მიერ აღქმულისგან. პიაჟეს მიხედვით, ყველაფერი, რასაც ბავშვები სწავლობენ და აკეთებენ, ორგანიზებულია სქემების სახით. თუ ბავშვის მიერ მიღებული ინფორმაცია შეესაბამება შემეცნებით სტრუქტურებს (სქემებს), ის ამ ინფორმაციას იგებს, ანუ ახდენს მის ასიმილაციას(54). თუ ინფორმაცია არ შეესაბამება სქემებს, ინფორმაციის გაგება ვერ ხერხდება. იმ შემთხვევაში, თუ შემეცნებითი სტრუქტურა მომწიფებულია შესაცვლელად, იგი გადაეწყობა ახალი ინფორმაციის შესაბამისად ანუ განხორციელდება აკომოდაცია. ასიმილაციის და აკომოდაციის ურთიერთქმედება კი თვალსაჩინოს ხდის კონსტრუქტივისტული მიდგომის მართებულობას. კერძოდ, ერთი და იგივე ინფორმაციაზე ყოველი ბავშვი სხვადასხვაგვარად მუშაობს, რადგან ინფორმაცია სხვადასხვანაირ შემეცნებით სტრუქტურაში კრავს. ამას პიაჟე უწოდებს ბავშვის მიერ სამყაროს შესახებ ცოდნის აგებას-კონსტრუქციას. პიაჟე თვლიდა, რომ ხშირად ბავშვები ექვილიბრიუმში არიან, ხსნიან ახალ მოვლენებს და რეაგირებენ მასზე არსებული სქემების საშუალებით. როცა ბავშვები იზრდებიან, ადგილი აქვს გონებრივ დისბალანსს ბავშვის არსებულ ცოდნასა და ახალ მოვლენას შორის. ბავშვები არსებული სქემების შეცვლით, ინტეგრირებით, ან ახალი სქემების შენაცვლებით ხსნიან ისეთ მოვლენებს, რომლებიც ადრე გაურკვეველი იყო მათთვის. ექვილიბრიუმიდან დისექვილიბრიუმში გადასვლას და მერე უკანვე დაბრუნებას ექვილიბრაცია ეწოდება. პიაჟეს მიაჩნდა, რომ სწავლა დამოკიდებულია ექვილიბრაციაზე. როცა ექვილიბრიუმი ირღვევა, ბავშვებს ზრდის და განვითარების შესაძლებლობა ეძლევათ.

განვითარების ძირითად ნიშნად ჟ. პიაჟე თვლის სტადიების მონაცვლეობას, უწყვეტ გადასვლას ერთი შემეცნებითი სტრუქტურიდან მეორეზე. სტრუქტურის ყოველი შემდეგი სტადია მიიღება წინა სტადიის დიფერენციაციისა და კოორდინაციის შედეგად. პიაჟე სვამს კითხვას: რა არის ინტელექტის განვითარების პროდუქტი (შედეგი)? და პასუხობს:

„ოპერაცია ეს არის კოორდინირებული მოქმედებების სისტემა. მაგალითად, მათემატიკური მოქმედებები წარმოადგენს ოპერაციას. ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანის აზროვნება უფრო ორგანიზებული ხდება, ვითარდება უკეთესი და უფრო რთული ოპერაციები. ოპერაცია ქმნის ცვალებად, მთლიან სტრუქტურას. ოპერაცია განსხვავდება უბრალო მოქმედებისგან ანდა მიზანდასახული ქცევისგან ორი ნიშნით: ის არის ინტერიორიზებული და შექცევადი. ინტერიორიზაცია მდგომარეობს შემდეგში: ბავშვი ამოცანას წყვეტს არა გარეგანი მოქმედების გზით, არამედ შინაგან პლანში, აზროვნების პროცესების სახით-.შექცევადობა კი გულისხმობს სრულ კომპენსაციას. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ოპერაციის მოქმედება შეიძლება გაუქმებული იქნას საწინააღმდეგო ოპერაციით, ანუ გონებაში დავუბრუნდეთ პირვანდელ მდგომარეობას“ (2).

ჟან პიაჟეს დიდი დამსახურება ის არის, რომ იგი ადამიანის განვითარებას განიხილავს, როგორც ადაპტაციის პროცესს, რომელიც ორ კითხვას ბადებს: 1. ბავშვის რომელი მახასიათებელი უწყობს ხელს მის ადაპტაციას გარემოსთან და 2. როგორ შეიძლება უბრალოდ და გასაგებად ბავშვის სტადიათა კლასიფიკაცია.

პიაჟე აღწერს 4 ძირითად სტადიას ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაში. ყოველი სტადია ემყარება წინა სტადიების მიღწევებს. ყველა ბავშვი ერთი და იგივე თანმიმდევრობით გაივლის განვითარების სტადიებს. ზოგი ბავშვი შედარებით ადრე მიაღწევს შემდეგ სტადიას, ზოგი შედარებით გვიან. ხანდახან ბავშვები გარდამავალ სტადიაში იმყოფებიან და ავლენენ ორი მომიჯნავე სტადიის თვისებებს.

ეს სტადიებია:

1. **"სენსომოტორული სტადია,** რომელიც დაბადებიდან 2 წლამდე გრძელდება. ბავშვი იწყებს სამყაროს შემეცნებას იმ ფიზიკური (პერცეპტული და პრაქტიკული მოქმედების) აქტივობის ჩარჩოებში, რომლის განხორციელებაც შეუძლია. დაახლოებით 1 წლიდან ბავშვებს უვითარდებათ სიმბოლური აზროვნებს უნარი, გონებაში წარმოსახონ და სიმბოლოების საშუალებით იფიქრონ საგნებსა და მოვლენებზე. ეს სტადია აზროვნებისა და მეტყველების აღმოცენებით მთავრდება.

2. **ოპერაციებამდელი ანუ** პრეოპერაციული- 2-დან 7 წლამდე. განვითარების ამ ეტაპზე ორი პერიოდი გამოიყოფა: ცნებამდელი აზროვნება (2-4 წწ) და ინტუიტიური აზროვნება (4-7 წწ). ამ ასაკის ბავშვები, პიაჟეს აზრით, ჯერ ლოგიკურად ვერ აზროვნებენ, მაგრამ სინამდვილის გარკვეულ მხარეებში ერკვევიან ინტუიტიურად, საგანგებო გონებრივი ოპერაციების გარეშე.

3. **კონკრეტულ ოპერაციათა სტადია** (7-დან 12 წლამდე). ოპერაცია გონებრივი აქტივობაა, რომელიც გარკვეულ ლოგიკურ წესებს ეყრდნობა. ამ ასაკის ბავშვებს შეუძლიათ ლოგიკური გზით გადაჭრან კონკრეტული ამოცანები, თვალსაჩინო წარმოდგენებისათვის მისაწვდომ სიტუაციებში. მათი აზროვნების საყრდენია სიტუაცია "აქ და ახლა". ამ პერიოდში წარმოიშობა მუდმივობის ძირითადი ცნებები (მოცულობის, მასის, წონის და სხვა), ხოლო ლოგიკური ოპერაციების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ რეალურ საგნებზე. ამიტომ, ბავშვები ხშირად სწორად წყვეტენ რა ამოცანებს რეალურ საგნებზე, ვერ წყვეტენ მას ფორმალურ დონეზე (აზრში). ამ სტადიაზე მყოფ ბავშვებს უჭირთ აბსტრაქტული აზროვნება, აბსტრაქტული ცნებების გამოყენება, განზოგადება, სინთეზი, რომელიმე კონკრეტული აბსტრაქტული ამოცანის ამოხსნა შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ამოცანა პირდაპირ უკავშირდება რეალობას.

4.ფორმალურ ოპერაციათა სტადია 11-12 წლიდან 15 წლის ასაკამდე. ამ ასაკის მოზარდი ახერხებს აზრობრივად გადაჭრას აბსტრაქტული და

ჰიპოთეტური ამოცანები, მიმართოს ამისათვის ფორმალურ რეპრეზენტაციას და განზოგადების ოპერაციებს. ფორმალური ოპერაციების სტადია, პიაჟეს მიხედვით, ინტელექტუა-

ლური განვითარების ბოლო სტადიაა, თუმცა ინტელექტუალური განვითარება შეიძლება მოზრდილ ასაკშიც გაგრძელდეს“(54).

პიაჟეს კოგნიტური განვითარების სტადიები

სტადია	ასაკი	დამახასიათებელი ქცევა
სენსომოტორული	დაბადებიდან 2 წლამდე	ტაცება, წოვა, თვალიერება. ღეჭვა
პრეოპერაციული	2-7 წწ.	მეტყველება, შეზღუდული აღქმით შემოსაზღვრული, ეგოცენტრული, ინტუიტიური აზროვნება, კლასიფიკაციის სირთულე.
კონკრეტულოპერაციული	7-11 წწ.	მისაწვდომია შენახვა, კლასიფიკაცია რამდენიმე ნიშნის მიხედვით, ლოგიკური აზროვნების დასაწყისი.
ფორმალუროპერაციული	12-15 წწ.	ლოგიკური, აბსტრაქტული ჰიპოთეტური აზროვნება.

ამრიგად, პიაჟეს თეორიას დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლებისა და აღზრდის თვალსაზრისით. როგორც წინა პარაგრაფებში აღვნიშნეთ, სწავლების პროცესის ორი გაგება არსებობს. პირველი გულისხმობს, რომ მასწავლებელმა მზა პროდუქცია უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს. ეს არის ე.წ. დირექტიული სწავლება. მეორე მიდგომა ასახავს პიაჟეს შეხედულებას, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას სწავლების პროცესში, ეს არის კონსტრუქტივიზმი, რომლის მთავარი არგუმენტია ის, რომ ცოდნა მოსწავლეს მზა სახით კი არ ეძლევა, არამედ მისი მონაწილეობით იქმნება. მოსწავლე გარემოსთან აქტიური ურიერთქმედებით ქმნის გარკვეულ წესთა ერთობლიობას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება შემდეგი ურთიერთქმედება. მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინიციატივა და აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში - ცოდნის გადაცემა პირდაპირ კი არ უნდა მოხდეს, არამედ მოსწავლეს საშუალება უნდა მიეცეს, თვითონ გააკეთოს აღმოჩენები გარემოსთან უშუალო ურთიერთობის შედეგად.

ვიგოცკის (1896-1934) მიხედვით სოციალური ურთიერთობა, კულტურული ინსტრუმენტები და საქმიანობა განაპირობებს ინდივიდუალურ განვითარებასა და სწავლას. ვინაიდან ვიგოცკის ეს დებულება სწავლის საკითხის ახსნაში უმეტესად ეყრდნობა სოციალურ ურთიერთობებს და კულტურულ სფეროს, მის თეორიას სოციალურ კონსტრუქტივიზმს უწოდებს.

ამდენად სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორია განსაკუთრებულ ხაზს უსვამს სწავლას სოციალურ კონტექსტში, სხვებთან ურთიერთობით. ვიგოცკი მოსწავლეებს მარტოხელა მეცნიერებს უწოდებდა. იგი ფიქრობდა, რომ მოსწავლე არის პატარა შეგირდი, რომელსაც მასწავლებელი ან/და სხვა მოზრდილი ეხმარება გამოცდილების მიღებაში.

ვიგოტსკის თეორიის ძირითადი პრინციპებია: კულტურის მნიშვნელობა, ენის ცენტრალური როლი და ბავშვზე გარემოს ზემოქმედება.

კულტურის მნიშვნელობა ვიგოტსკის სოციოკულტურული განვითარების თეორიაში ვლინდება ელემენტარულ და უმაღლეს ფსიქიკურ ფუნქციათა განსხვავებაში. ელემენტარული ფუნქციები ჩვენ გვეძლევა ბუნებისაგან, ისინი თანდაყოლილნი არიან. მაგ., ახალშობილის უნარი, განასხვაოს დედის ხმა, დაიმახსოვროს სუნი, იტიროს და ა.შ. ნელ-ნელა ეს ელემენტარული ფუნქციები კულტურული კონტექსტის ზემოქმედებით იქცევიან განვითარებულ ფსიქიკურ ფუნქციებად, როგორიც არის, მაგალითად: ლოგიკური აზროვნება.

"ენის როლი. ენა გვაძლევს აზროვნებისა და ქცევის კონტროლირების საშუალებას. ენის გარეშე ჩვენი ფსიქიკური ფუნქციები პრიმიტიულ, თანდაყოლილ დონეზე იარსებებდნენ. ვიგოტსკი მეტყველების განვითარების სამ სტადიას გამოყოფს:

I. **სოციალური მეტყველება** - ჩნდება პირველად, მისი ფუნქციაა ქცევის კონტროლირება და მარტივი ემოციების გამოხატვა.

II. **ეგოცენტრული მეტყველება (3-7 წწ.)** ამ სტადიაზე ბავშვი ხშირად ელაპარაკება თავის თავს, ცდილობს საკუთარი ქცევის კონტროლირებას, ხშირად უკეთებს კომენტარს იმას, რასაც აკეთებს, ლაპარაკობს ხმამაღლა, რომ მიიქციოს ყურადღება.

III. **შინაგანი მეტყველება** - „ჩუმად ჩემს თავს ვესაუბრები"-ასე შეიძლება დახასიათდეს მეტყველების განვითარების ბოლო სტადია. ის საშუალებას აძლევს ბავშვს შეუმჩნევლად აკონტროლოს აზროვნება და ქცევა. მისი აზრით სწავლა წინ უსწრებს კოგნიტურ განვითარებას"(51).

ვიგოტსკიმ განახორციელა ემპირიული კვლევები სწავლებისა და განვითარების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. ეს არის საყოფაცხოვრებო და სამეცნიერო ცნებათა შესწავლა, მშობლიური და უცხოური ენების ათვისების წერითი და ზეპირი მეტყველების კვლევა. განვითარების უახლოესი ზონა.

უახლოესი განვითარების ზონა. უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციებია აზროვნება, აღქმა, ყურადღება, მეხსიერება. ეს ფუნქციები სათავეს იღებენ სოციალური აქტივობიდან, მჭიდრო კავშირში არიან ენასთან. ვიგოტსკის აინტერესებს ინტელექტუალური განვითარების დონის ზრდა. რა არის უახლოესი განვითარების ზონა? მაგ., თუ 7 წლის ბავშვი პასუხობს ისეთ შეკითხვას, როგორსაც პასუხს გასცემს ამ ასაკის ყველა ბავშვი, მათი ფსიქოლოგიური ასაკი შეესაბამება ქრონოლოგიურ ასაკს. თუ ერთი 7 წლის ბავშვი პასუხობს კითხვას, რომელიც 8 წლის ასაკის ბავშვის განვითარების დონეს შეესაბამება, ხოლო მეორე 7 წლის ბავშვი ვერ პასუხობს ასეთ კითხვას, მაშინ, ვიგოტსკის აზრით, პირველი ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა უფრო მეტია.

ის, რაც ბავშვს შეუძლია გააკეთოს უფროსის დახმარებით, არის მისი განვითარების უახლოესი ზონა, ხოლო რასაც ბავშვი დამოუკიდებლად ასრულებს, არის - აქტუალური განვითარების დონე. ვიგოტსკის აზრით, მშობლის და მასწავლებლის მთავარი ამოცანაა უახლოესი განვითარების ზონაში არსებული შესაძლებლობების გამოყენება. ვიგოტსკის თეორიის ძირითადი პრინციპები განათლებასთან მიმართებაში ასეთია:

1. განათლება, რომელიც გულისხმობს სწავლებას და აღზრდას, მიმართულია ბავშვის პიროვნებაზე.

2. პიროვნების განვითარება მისი კრეატულობის განვითარებაზეა დამოკიდებული, ამიტომ სკოლამ უნდა უზრუნველყოს ბავშვის კრეატული პოტენციალის განვითარება;

3. მოსწავლე უნდა იყოს სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე;

4. მასწავლებელმა მოსწავლის აქტივობა საჭირო მიმართულებით უნდა განავითაროს. ამ თვალსაზრისით სწავლება თანამშრომლობაა.

5. ყველაზე ეფექტურია სწავლების ის მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს.



ვიგოტსკის აზრით, მასწავლებელი კულტურული აგენტის, დესპანის როლს ასრულებს. იგი სწავლების პროცესს ისე წარმართავს სკაფოლდინგის ((Scaffolding – „ხარაჩოს დადგმა“. შენობის გამყარების შემდეგ ხარაჩო საჭირო აღარაა) საშუალებით, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მაღალი დონის კოგნიტური პროცესების დაუფლება და გათავისება. სკაფოლდინგი მოსწავლეს საშუალებას აძლევს, შეასრულოს დავალებები, რომლებიც მისი უახლოესი განვითარების ზონის ფარგებში ჯდება.

დამხმარე კონსტრუქციების ტიპები:

1. პროცედურის ახსნა-განმარტება;

2. მოქმედების ალგორითმის მიწოდება;

3. მოქმედების დემონსტრირება;

4. მოდელების მიწოდება;

5. საკონტროლო კითხვების დასმა;

6. შეცდომების გასწორება;

7. მოტივირება;

8. ბაზისური უნარების სისტემური განვითარება;

კონსტრუქტივიზმის პრინციპებს ეფუძნება ამერიკელი ფსიქოლოგის **ჯერომ სეიმურ ბრუნერის** აღმოჩენებით სწავლების თეორია. ეს თეორია მნიშვნელოვანია იმით, რომ ის გვთავაზობს თვალსაჩინო პედაგოგიურ მეთოდებს და მოდელებს.

„ბრუნერის მიხედვით უწყვეტი პროცესია და ბავშვი განვითარების სამ საფეხურს გაივლის:

1. პრაქტიკული – ამ საფეხურზე ბავშვი კონკრეტულ გამოცდილებას იღებს გარემოს შესახებ (ობიექტებით მანიპულაცია), პრაქტიკული ქმედებები;

2. ხატოვანი – ამ საფეხურზე ბავშვს შეუძლია არა მხოლოდ ობიექტით, არამედ ობიექტის თვალსაჩინო ხატით მანიპულირება;

3. სიმბოლური – ბავშვს უკვე შეუძლია ლოგიკისა და სიმბოლური სისტემების გამოყენება. ჩვევებისა და ცოდნის ათვისება უკეთ ხდება, თუ ბავშვი გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედების, ექსპერიმენტირების პროცესში აღმოაჩენს რაიმე მიმართებას, ფენომენს თუ ცნებას“ (3). ბრუნერის მიხედვით, სწავლა აქტიური სოციალური პროცესია, როდესაც ბავშვი თავისი გამოცდილების საფუძველზე ახალი ცოდნის კონსტრუირებას ახდენს. ამ თვალსაზრისით ცოდნა პროცესია და არა პროდუქტი.

ბრუნერს მიაჩნია, იმისათვის, რომ ბავშვმა საგანი ნამდვილად კარგად აითვისოს და გაიაზროს, მან აუცილებლად უნდა შექმნას საკუთარი კოდირების სისტემა, საკუთარი წარმოდგენები ამ მნიშვნელოვან იდეებსა და დამოკიდებულებებზე. ბრუნერის აზრით, კოდირების სისტემა თავად მოსწავლემ უნდა შექმნას, რაც გაუადვილებთ მათ მონახონ ის ურთიერთკავშირები, რომლებიც მასალის ელემენტებს შორის არსებობს. „აღმოჩენებით სწავლა მასწავლებლის მხრიდან გაცილებით ნაკლებ მონაწილეობას და ხელმძღვანელობას მოითხოვს, ვიდრე სწავლების სხვა მეთოდები. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებელი აღარ აძლევს მოსწავლეს მითითებებს მას შემდეგ, რაც საწყისი ამოცანა დაუსახა. ამასთან, მითითებები უნდა იყოს ზომიერი, გარკვეული ინტერვალებით, რათა არ შეზღუდოს მოსწავლის დამოუკიდებლობა, ან მოსწავლე არ აღმოჩნდეს დაუძლეველი პრობლემის წინაშე“ (3).

ბრუნერი აღწერს აღმოჩენებით სწავლების საფეხურებს:

- ამოცანის ან კითხვის ფორმულირება და ახსნა;
- მაგალითების შერჩევა, შესაბამისი დაკვირვებების წარმოება;
- ჰიპოთეზების (დაკვირვებებზე დაფუძნებული ინტელექტუალური მიგნებები) წამოჭრა;
- ჰიპოთეზების დამტკიცების ან უარყოფის მიზნით ექსპერიმენტების, დაკვირვებების შემუშავება და ჩატარება;

- ახალი ინფორმაციის გამოყენება, გაფართოება, განზოგადება ან ,,მისი საზღვრებიდან გამოსვლა".

როგორც მ. ბოჭორიშვილი აღნიშნავს ბრუნერი გამოყოფს აღმოჩენებით სწავლების ხელშემწყობი ან ხელის შემშლელი ფაქტორების ოთხ ჯგუფს:

განწყობა _ მოსწავლე განწყობილი უნდა იყოს განსაზღვრული ფორმით რეაგირებისთვის. განწყობის შესაქმნელად გამოიყენება გეზის მიცემა, რომელიც შეიძლება იყოს ,,ზედაპირული", როცა ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ინფორმაციის ელემენტების დასწავლაზე და ,,ჩაღრმავებული", როცა მოსწავლეებს მოეთხოვებათ ელემენტებს შორის დამოკიდებულებების ძიება. სწავლებისას მთავარია ფაქტებს, მოვლენებს შორის ურთიერთმიმართებების, სტრუქტურის ჩამოყალიბება და მისი გაგება.

2.სწავლისადმი მზაობა - მოსწავლე დაინტერესდება ახალი ინფორმაციით და არ დაფრთხება მისი სირთულით, თუ ახალი მასალა წინა გამოცდილებას და წინათ ათვისებულ მასალას დაეყრდნობა.

3. სწავლების მრავალფეროვნება - ეს ცვლადი მეტად მნიშვნელოვანია აღმოჩენებით სწავლის გასაადვილებლად. მოსწავლე, რომელიც ინფორმაციას იღებს განსხვავებულ პირობებში, უფრო სწრაფად აგებს კოდირების სისტემას და ახერხებს ინფორმაციის ორგანიზებას. სწორედ ამიტომ ბრუნერი იძლევა რჩევას, რომ ერთი და იგივე საგანი სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ისწავლებოდეს, მაგრამ განსხვავებული სიზუსტისა და აბსტრაჰირების ხარისხით _ იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლება მოსწავლეების ინტერესები, უნარები და საბაზო ცოდნა. "სპირალური კურიკულუმი" უზრუნველყოფს სწავლებისადმი მზაობასა და მის მრავალფეროვნებას.

4.კონკრეტული შინაარსების ფლობა - ბრუნერის აზრით, აღმოჩენებს უფრო ხშირად ის ადამიანი აკეთებს, ვინც საამისოდ კარგად არის მომზადებული. თუ მოსწავლემ არ იცის ინფორმაციის საგანთან დაკავშირებული კონკრეტული ასპექტები, ის ვერ დააკავშირებს ინფორმაციის ელემენტებს ერთმანეთთან და ვერც განაზოგადებს მას.

თუ შევაჯამებთ ამ პარაგრაფში ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალას იგი ასე წარმოგვიდგება:

- სწავლის თეორიებს, რომლებიც სწავლას განსაზღვრავენ, როგორც გამოცდილებიდან ცოდნის აგებას, სწავლის კონსტრუქტივისტული თეორიები ეწოდება;
- მოსწავლემ თვითონ უნდა ააგოს ცოდნა გონებაში;
- მასწავლებელი მხოლოდ ეხმარება ცოდნის აგებაში;
- მასწავლებელს შეუძლია ასწავლოს გზები, მაგრამ ამ გზის გავლა მოსწავლის პასუხისმგებლობაა;
- მასწავლებელი კულტურული აგენტის/დესპანის როლს თამაშობს;
- თავდაპირველად მასწავლებელმა მნიშვნელოვანი დახმარება უნდა გაუწიოს მოსწავლეს. შემდეგ კი თანდათანობით უნდა შეამციროს მხარდაჭერა და შესაძლებლობა მისცეს ბავშვს, რომ დამოუკიდებლად შეასრულოს დავალება;
- კონსტრუქტივისტული თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია აღმოჩენით სწავლაა. აღმოჩენა წარმოადგენს ინდუქციური აზროვნების ფორმას.

- ცოდნის ორგანიზების გზებია: **ცნებები** (მსგავსი საგნებისა და მოვლენების დაჯგუფება), **სქემები** (მჭიდროდ ორგანიზებული ფაქტების ერთობლიობა) და **სცენარები** (როცა სქემა მოიცავს მოვლენათა სისტემურ თანმიმდევრობას), **ბავშვები სქემებსა და სცენარებს** იყენებენ იმისათვის, რომ ჩვენ მიერ გამოტოვებული ინფორმაცია აღადგინონ, **თეორიები** (ბავშვები აგებენ შეხედულებათა სისტემებს სამყაროს სხვადასხვა ასპექტის შესახებ), **მსოფლმხედველობა** (შეხედულებები და ვარაუდები რეალობის შესახებ).

კითხვები ანალიზისა და თვითშეფასებისათვის

1. რომელ ორ ძირითად თვალსაზრისს იზიარებს კონსტრუქტივისტთა უმრავლესობა?
2. როგორ განიხილავს ჟან პიაჟე განვითარების პროცესს?
3. რომელ სტადიებს აღწერს პიაჟე ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაში? დაახასიათეთ თითოეული მათგანი.
4. ვიგოტსკის თეორიის რომელ ძირითად პრინციპებს იცნობთ? დაახასიათეთ თითოეული მათგანი.
5. როგორია ვიგოტსკის თეორიის ძირითადი პრინციპები განათლებასთან მიმართებაში?
6. ჩამოთვალეთ ვიგოტსკის დამხმარე კონსტრუქციების ტიპები?
7. მოკლედ დაახასიათეთ ჯერომ ბრუნერის აღმოჩენებით სწავლის თეორია.

ლიტერატურა

1. განმარტებითი ლექსიკონი/ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი. - [თბ., 2008]. - 20სმ. [MFN: 76027] ნაწ. 1: განათლების სპეციალისტებისათვის / [წიგნზე მუშაობდნენ: სიმონ ჯანაშია და სხვ.]. - [2008]. - 56გვ..ბიბლიოგრ.: გვ. 54-56. - ISBN: 978-9941-0-0541-1 (ყველა ნაწ.), ISBN: 978-9941-0-0542-8 (ნაწ. 1) : [ფ.ა.][MFN: 95118].
2. ბერძენიშვილი ც.,, კონსტრუქტივისტული შეხედულებები სწავლაზე, 2015, 21 სექტემბერი, matstsavlebeli.ge).
3. ბოჭორიშვილი მ., ჯერომ ბრუნერი და აღმოჩენებით სწავლის თეორიის მნიშვნელოვანი კონცეპტები, 10 მაისი, matstsavlebeli.ge.
4. იმერი ბასილაძე, ნინო ჭოხონელიძე, ნინო კოსტავა, ნატო ქობულაძე, სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები, ქუთაისი, 2016 .
5. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., სწავლებისა და სწავლის ინტერაქტიური მეთოდები, აქტივობის ფორმები, შეფასების კრიტერიუმები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
6. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., სწავლა სწავლების პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება, ქუთაისი 2005 წ.
7. მელიქიშვილი მ., ლევ ვიგოტსკის კოგნიტური განვითარების სოციო-კულტურული თეორია, თბილისი, 2012 .

8. მელიქიშვილი მ., ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია, თბილისი, 2012 .
9. მაღრაძე მერაბ, განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები, ქუთაისი, 2008 .
10. პედაგოგიკის საკითხები, შემდგენელი მ. ბოჭორიშვილი, თბილისი, 2013 .
11. Парамонова Л. А., Протасова Е. Ю. Дошкольное и начальное образование за рубежом: История и современность: Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб, заведений, М.: Издательский центр «Академия», 2001.

§ 9. ური ბრონფენბრენერის (1917-2005 წწ) ეკოლოგიური სისტემების თეორია

ური ბრონფენბრენერი დაიბადა 1917 წლის 29 აპრილს რუსეთში - ქალაქ მოსკოვში, ისტორიული ეპოქების მიჯნაზე. ის როდესაც იყო ექვსი წლის ასაკში მისი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. თავიდან პიცბურგში, პენსილვანიის შტატში, ხოლო ერთი წლის შემდეგ ნიუ-ორკში. მამა მისი ალექსანდრე ბრონფენბრენერი იყო ცნობილი ნევროლოგი. მან ამერიკაში შეძლო მუშაობა დაეწყო ნევროპათოლოგად, შეფერხებული განვითარების მქონეთა პანსიონში, ლეტჩვორფ ვილეჯში, რომელიც მდებარეობს როკლენდის საგრაფოში. თავის მზრუნველობის ქვეშ მყოფ პაციენტებზე დაკვირვებებს ის ხშირად უზიარებდა ოჯახის წევრებს. ბავშვობის ასაკიდან ურიმ დაიმახსოვრა ის გაკვირვება, თითქმის აღშფოთება, რომელსაც გამოთქვამდა მამამისი პანსიონში ახალი მოსწავლეების ჩარიცხვის შესახებ. ამერიკული მანერა ტესტირების საფუძველზე დიაგნოზის – "გონებრივი ჩამორჩენილობა"– დასმა ური ბრონფენბრენერს აბსურდულად მიაჩნდა. წარუმატებლობის მიზეზები ტესტირების დროს, მისი აზრით, შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა. მას მიაჩნდა, რომ ტესტის დაბალი ქულა აუცილებელად არ გამოხატავდა უიმედო გონებრივი ჩამორჩენილობას, რომელიც მოითხოვდა განთავსებას სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. უკვე ზრდასრულ ასაკში, როდესაც უკვე ცნობილი ფსიქოლოგი გახდა, ური ბრონფენბრენერი იხსენებდა, როგორ უბიძგა მამამისის ამ მოსაზრებებმა, და გაუღვივა მას აზრი ინტელექტუალური ჩამორჩენილობის ამომწურავი ანალიზის აუცილებლობის შესახებ - ზოგიერთ შემთხვევაში შექცევადის, რაც უნდა დაესახა საკუთარ მიზნად ნამდვილ სპეციალისტს. ასე რომ, შესაძლოა, ჯერ კიდევ უფრო ადრეულ წლებში მომავალმა ფსიქოლოგმა დაიწყო იდეების ჩასახვა, რომლებმაც მოგვიანებით ჰპოვეს კონკრეტული გამოხატულება ეროვნული საკომპენსაციო და სასწავლო პროგრამაში "Head Start". ურისათვის მამის მიმართ დამოკიდებულება ყოველთვის იყო არა უბრალოდ თაყვანისცემა მისი ავტორიტეტის მიმართ, არამედ ნამდვილი სიყვარული, ორმხრივი და უშრეტი. ერთ-ერთ თავის ნამუშევარში, მან დაწერა: "ყველა ბავშვს ნორმალური განვითარებისთვის სასიცოცხლოდ ესაჭიროება მინიმუმ ერთი ადამიანი, რომელსაც ის სულით და გულით ეყვარება. " უეჭველია, რომ ასეთი ადამიანი ურისთვის ყოველთვის იყო მისი მამა, ალექსანდრე ბრონფენბრენერი“ (7).

ფსიქოლოგია მან აირჩია თავის პროფესიად და საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა კორნელის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ დეპარტამენტში, რომელიც 1938 წელს დაამთავრა და მიიღო ფსიქოლოგიისა და მუსიკის ბაკალავრის ხარისხი. 1940 წელს განათლების მაგისტრის ხარისხი მიიღო ჰარვარდში და დოქტორის ხარისხი 1942 წელს განვითარების ფსიქოლოგიაში მიჩიგანის უნივერსიტეტში. მალე დაიწყო სამხედრო სამსახური შეერთებული შტატების ჯარში. მეორე მსოფლიო ომის დროს, მსახურობდა როგორც ფსიქოლოგი, ჯარის სხვადასხვა ნაწილებში. ომის შემდეგ, ის ცოტახნით იყო უფროსი თანაშემწე კლინიკური ფსიქოლოგიის ახლად დაარსებულ კლინიკური ფსიქოლოგიის ტრენინგ პროგრამაში, ვაშინგტონის შტატში. ამის შემდეგ, ორი წლის განმავლობაში იყო ასისტენტ - პროფესორი მიჩიგანის უნივერსიტეტში, და შემდეგ, 1948 წელს გადავიდა კორნელის უნივერსიტეტში ასისტენტ - პროფესორად. კორნელში, მთელი თავისი კარიერის განმავლობაში, მისი კვლევის ძირთადი საგანი იყო ბავშვის განვითარება და სოციალური ფაქტორების გავლენა ამ განვითარებაზე.

1964 და 1965 წლებში იყო ფედერალური კომისიის წევრი, რომელიც მუშაობდა ღარიბი ბავშვების განვითარების საკითხებზე. ამ კომისიაში მუშაობთ, დაეხმარა HEAD START პროგრამის შექმნაში, 1965 წელს. თავისი ცხოვრების განმავლობაში, ბრონფენბრენერმა 300-ზე მეტი ნაშრომი და 14 წიგნი დაწერა და მიიღო კორნელის უნივერსიტეტში იაკობ გოლდ შურმანის საპატიო პროფესორის (ემერიტუსის) წოდება ადამიანის განვითარების სფეროში. მისი მეუღლე იყო ლის პრაისი და ექვსი შვილი ჰყავდათ. გარდაიცვალა თავის სახლში, იტაკაში 2005 წლის 25 სექტემბერს, 88 წლის ასაკში, დიაბეტთან დაკავშირებული გართულებების გამო.

1964 წელს ბრონფენბრენერი სიტყვით გამოვიდა კონგრესის სიღარებესთან ბრძოლის კანონპროექტის მოსმენაზე, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ზომებია მისაღები ბავშვების დასახმარებლად, რათა შემცირდეს სიღარიბის გავლენა პიროვნების განვითარებაზე. ეს თვალსაზრისი ეწინააღმდეგებოდა იმ დროს გაბატონებულ შეხედულებას, რომ ბავშვის განვითარება წმინდა ბიოლოგიური პროცესია და მასზე არ ახდენს გავლენას გამოცდილება და გარემოს ფაქტორები. თავისი განცხადების გამო, იგი მიწვეული იყო თეთრ სახლში ამ საკითხის განსახილველად კლაუდია ალტა "Lady Bird" ჯონსონთან, რომლის დროსაც განიხილეს სხვა ქვეყნებში ბავშვის მოვლის პროგრამები. გარდა ამისა, იგი მიიწვიეს ფედერალურ კომისიაში, რომელსაც დაევალა მოეფიქრათ გეგმა, რომელიც შეამცირებდა სიღარიბის გავლენას ბავშვებზე და მისცემდა მათ განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობებს მდიდარ მოსწავლეებთან შედარებით. ის მუშაობდა სხვადასხვა სფეროს 12 პროფესიონალთან, როგორიცაა ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა, განათლების, სოციალური და განვითარების ფსიქოლოგია. ბრონფენბრენერმა დაარწმუნა კომისია, რომ ძალისხმევა მიმართულიყო ბავშვის ოჯახის და თემის ჩართულობის გაზრდაზე იტერვენციის პროცესში, რათა პროგრამას ასევე ეზრუნა განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე. კომისიის რეკომენდაციებმა ხორცი შეისხა HEAD START პროგრამის შექმნით 1965 წელს. ამით ბრონფენბრენერმა დიდი წვლილი შეიტანა დახმარებოდა Head Start-ის პროგრამას ინტერვეციების მეთოდების

შექმნაში, როგორიცაა ოჯახის მხარდაჭერის სერვისები, ვიზიტები სახლში და განათლება მშობლებისთვის.

1965 წელს, პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის ინიციატივით მიღებული იქნა კანონი დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ, რომელიც, როგორც ავღნიშნეთ, საფუძვლად დაედო მრავალრიცხოვან განმავითარებელ პროგრამას - "Head Start". იგი განიხილებოდა, როგორც ერთ–ერთი საშუალება, რომელიც "კომპენსაციას" უწევდა სიღარიბეში ცხოვრებას, სუსტ ჯანმრთელობას, ცუდ კვებას, გადატვირთულობას, ანუ ყველაფერ იმას, რასაც ყოველთვის განიცდიდა და რითიც იტანჯებოდა მილიონობით ხელმოკლე ოჯახი, რომლებიც, ძირითადად, წარმოადგენდნენ ეროვნულ უმცირესობებს, პირველ რიგში - შავკანიანები. 2500 ოლქში შეიქმნა 13400 ცენტრი, რომელმაც მოიცვა ნახევარ მილიონზე მეტი ბავშვი (თუმცა თავდაპირველად იგეგმებოდა, რომ მოეცვა, მხოლოდ 100,000 ყველაზე გაჭირვებული). განმავითარებელი სწავლების კურსი, რომელიც შეიმუშავა ბრონფენბრენერმა კოლეგებთან ერთად, გრძელდებოდა 8 კვირის განმავლობაში. მეცადინეობები მიზნად ისახავდა ბავშვებში ცოდნის ხარვეზების შევსებას და მათი ინტელექტუალური უნარების ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, წლის განმავლობაში მოქმედებდა სხვა ფართომასშტაბიანი პროგრამები, რომლებიც გულისხმობდა, რომ დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების ბავშვებს სჭირდება დამატებითი სასწავლო მომზადება სკოლაში რეგულარული მეცადინეობებისათვის. უკვე 1965 წელს, სასწავლო კურსების დამთავრების შემდეგ მიღწეული იქნა დადებითი ცვლილებები ბავშვების მიერ ინტელექტის ტესტების შესრულებაში“(7).

1969 წლის 21 თებერვალს პრესტიჟულმა ჟურნალმა „ჰარვარდის საგანმანათლებლო მიმოხილვა“–მ გამოაქვეყნა კალიფორნიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგ–მკვლევარის, საგანმანათლებლო ფსიქოლოგიის პროფესორის არტურ ჯენსენის 123-გვერდიანი სტატია, როგორც ნომრის ძირითადი მასალა სახელწოდებით "რამდენად შეგვიძლია ავამაღლოთ IQ და სასკოლო მოსწრება?" ამ ვრცელ, სტატისტიკური გათვლებით და ტექნიკური დეტალებით სავსე სტატიაში ჯენსენმა მარტივად გასცა პასუხი ამ კითხვაზე. მისი აზრით, ნებისმიერი საგანმანათლებლო ძალისხმევა, რომელიც მიმართულია გონებრივი შესაძლებლობების და აკადემიური მოსწრების დონის ამაღლებაზე, არის ძალიან დაბალეფექტური. ამის მიზეზს ავტორი ხედავდა იმაში, რომ ინტელექტი გენეტიკურად არის განპირობებული და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან ცვლილებებს მეტი სიცოცხლის მანძილზე. უფრო მეტიც, სხვადასხვა რასისა და სოციალურ ჯგუფებს შორის ინტელექტი არათანაბრად გადანაწილდა. მარტივად რომ ვთქვათ, გარკვეული კლასები და ერები, ერთიანობაში უფრო სულელია, ვიდრე სხვა, და ნებისმიერი მცდელობა, რომ შეიცვალოს ეს გენეტიკური კანონზომიერება, პრაქტიკულად უსარგებლოა. ეს, უბრალოდ უნდა ჩაითვალოს შესაბამისად, როდესაც გეგმავენ სოციალური პოლიტიკას. ჯენსენი იწყებდა თავის სტატიას დრამატული მტკიცებით, რომ საკომპენსაციო განათლებამ კრახი განიცადა. ამის საფუძველს იძლეოდა უკვე საკმაოდ აშკარა ფაქტი, რომ საკომპენსაციო სასწავლებით მიღწეული IQ ზრდა გააჩნდა დროებითი ხასიათი. ტყუილად ხომ არ იხარჯება ბევრი ფული გადამხდელთა ჯიბეებიდან - კითხულობდა ჯენსენი, - თუ განვითარების პროგრამების და, განსაკუთრებით, პროგრამა "Head Start"–ის

ეფექტი არის ძალიან მცირეა, და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, საერთოდ ბათილი იქნება? (7).

ბრონფრენბრენერმა გამოაქვეყნა ჯენსენის საწინააღმდეგო. მისი აზრით, ჯენსენის მოყვანილი მონაცემები აჩვენებს მხოლოდ იმას, რომ ინტელექტის არსებული ტესტები გამოვლენენ არა თვით ინტელექტს, არამედ ცოდნას და უნარებს, რომლებიც შეესაბამება ამ ტესტების სტრუქტურას. აქედან გამომდინარე, პროგრამა "Head Start"–ის მიხედვით მეცადინეობები, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვების მიერ ამ ცოდნის და უნარების ასიმილაციას, ხელი უწყობს IQ–ს ზრდას. მოგვიანებით, როდესაც მეცადინეობები დაამთავრა და ბავშვები ჩვეულ არახელსაყრელ სოციალურ გარემოში დაბრუნდნენ, IQ –ს ზრდის ახალი სტიმულები აღარ წარმოქმნილა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ბრონფენბრენერის აზრით, Head Start" პროგრამის გამოცდილება მოწმობს, პედაგოგიური ზემოქმედების მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ინტელექტუალურ განვითარებაზე. თანდაყოლილი შესაძლებლობების თეორიის მომხრეების აზრის საწინააღმდეგოდ პროგრამა "Head Start" ნათლად აჩვენებს, სასკოლო მოსწრების და გონებრივი განვითარების დამოკიდებულებას სოციალურ პირობებზე“ (7).

როგორც ლ. პარამონოვა და ე. პროტასოვა წერს „მარტივი შესამჩნევია, რომ ეს ბრონფენბრენერის შეხედულებები დიდწილად თანახმიანობაშია საბჭოთა ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის პოსტულატებთან. გასაკვირი არ არის, რომ მეცნიერმა, თითქმის ნახევარი მსოფლიო იმოგზაურა როგორც მკვლევარი და მოწვეული ლექტორი, სწორედ საბჭოთა კავშირში განახორციელა ვრცელი შედარებითი კვლევა, რომელმაც მისცა მასალა მის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ წიგნს - "ბავშვობის ორი სამყარო : ბავშვები ამერიკის შეერთებულ შტატებში და საბჭოთა კავშირში." ამერიკაში, იგი გამოვიდა 1970 წელს, ჩვენს ქვეყანაში - 6 წლის შემდეგ. არა ერთი წელი დასაჭდა ჩვენს ოფიციალურ იდეოლოგებს, რათა გაერკვიათ, თუ ვის სასარგებლოდ დასტურდება შედეგების შედარებითი კვლევა. და გაგება, მართლაც, არ იყო ადვილი - წიგნი აღმოჩნდა ძალიან ობიექტური, არც ანტი-საბჭოთა და ანტი-ამერიკული, არა აშკარა და აშკარა უპირატესობის გარეშე. შედეგად, გადაწყდა, რომ წიგნი გამქვეყნდება. და ტყუილად კი არა - დღემდე ხდება მისი ციტირება. მხოლოდ სამწუხაროა, რომ მას შემდეგ, 30-ზე მეტი წლის განმავლობაში, ვერავინ მოიფიქრა, განახორციელოს მსგავსი კვლევა ჩვენს დროში. მისი შედეგები, რა თქმა უნდა განსხვავებული იქნებოდა. როგორი? სამწუხაროდ, ამაზე შესაძლებელია მხოლოდვარაუდების აგება“ (8. გვ.179).

ური ბრონფენბრენერის ფსიქოლოგიაში შეტანილ ყველაზე მნიშვნელოვან წვლილად უნდა დასახელდეს მის მიერ შემუშავებული ინტერდისციპლინური მიდგომა პროცესების სოციალიზაციისადმი, რომელსაც მან ადამიანის ეკოლოგია უწოდა. გრეის კრაიგი, ავტორი, სახელმძღვანელოსი "ფსიქოლოგიის განვითარება", უწოდებს ბრონფენბრენერის მიერ შექმნილ მოდელს "ადამიანის განვითარების ,დღესდღეობით, ყველაზე გავლენიან მოდელს." ამ ეკოლოგიური მოდელის თანახმად , ადამიანის განვითარება - არის დინამიური პროცესი, რომელიც მიდის ორი მიმართულებით.მზარდი ადამიანი მუდმივად შეიგრძნობს მის ირგვლივ გარემოს სხვადასხვა ელემენტების ზემოქმედებას და, ამავე დროს, იგი თვითონ აქტიურად ახდენს თავისი მრავალდონიანი საცხოვრებელი გარემოს რესტრუქტურიზაციას.

ბრონფენბრენერის აზრით ადამიანის განვითარების პროცესს განაპირობებს, ურთიერთქმედება (ინტერაქცია) ინდივიდსა და მის გარემოს შორის. განვითარების კონკრეტული მიმართულება, არის შედეგი პიროვნებაზე მოქმედი გარემოს გავლენების, როგორიცაა მისი მშობლები, მეგობრები, სკოლა, სამსახური, კულტურა და ასეშემდეგ. მის დროინდელ განვითარების ფსიქოლოგიას, ის ხედავდა, როგორც მიმართულს, განვითარებაზე მოქმედი მხოლოდ ინდივიდუალური გავლენების კველვაზე, არაბუნებრივ პირობებში; მისი სიტყვებით რომ ვთქვთ, განვითარების ფსიქოლოგია იყო: "... მეცნიერება ბავშვების უცნაური ქცევის შესახებ, უცნაურ სიტუაციებში, უცნაურ ზრდასრულებთან, დროის უმცირესი პერიოდის განმავლობაში."

სწორედ ამ გადასახედიდან, ბრონფენბრენერი განიხილავს ადამიანის განვითარების თავის თეორიას, **ეკოლოგიური სისტემების თეორიას.** მისი თეორია ამბობს, რომ არსებობს გარემოს ზეგავლენის მრავალი დონეები, რომლებმაც შეიძლება იქონიოს გავლენა ბავშვის განვითარებაზე, დაწყებული ადამიანებით და ინსტიტუციებით, რომლებიც დაბადებიდანვე ახდენენ გავლენას ინდივიდზე და დამთავარებული ზოგადი, საზოგადოებრივ-კულტურული გავლენებით. მოგვიანებით, მან გაითვალისწინა დროის ზემოქმედებაც, როგორიცაა დროთა განმავლობაში მომხდარი კონკრეტული მოვლენები და ცვლილებები კულტურაში, თეორიაში ქრონოსისტემის დამატებით. გარდა ამისა, მან საბოლოოდ შეცვალა თეორიის სახელი **ბიოეკოლოგიური მოდელით,** რათა აღენიშნა ბიოლოგიური პროცესების მნიშვნელობა განვითარებაში. თუმცა, ბიოლოგიურ ფაქტორს, ის განიხილავს მხოლოდ როგორც პოტენციალს, რომელიც ან განვითარდება ან არა გარემოს და სოციალური ძალების გავლენით.

რით არის საინტერესო ბრონფრენბრენერის თეორია? იგი საინტერესოა კონკრეტულობით და ჯანსაღი აზრით. იგი არის სქელტანიანი მონოგრაფიის „ ბავშვების ორი სამყარო: აშშ-ისა და სსრკ-ის ბავშვები“. მონოგრაფიაში ბრონფრენბრენერი აღწერს როგორ სხვადასხვაგვარნი არიან ბავშვები, როგორ სხვადასხვაგვარად იზრდებიან ოჯახებში, საბავშვო ბაღებში, სკოლებში, სახელმწიფოებში და როგორ ზეგავლენას ახდენს „სოციუმი“ ბავშვის პიროვნებაზე. როგორც პრაქტიკოსი ბრონფრენბრენერი ხაზს უსვამს, თუ თვით ბავშვი, როგორი აქტიურობით და მრავალფეროვნებით მონაწილეობს „ თავის თავის აღზრდის პროცესში“ და არცთუ იშვიათად თავდაყირა აყენებს მასზე გაწეულ აღმზრდელობით ზეგავლენას.

ამრიგად ური ბრონფენბრენერმა ჩაუყარა საფუძველი ახალ მიდგომას, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ბავშვის განვითარების სფეროში. ეს მიდგომა ბავშვის განვითარებაზე კონტექსტურ გავლენას დიფერენცირებულ და ამომწურავ მნიშვნელობას ანიჭებს. **ეკოლოგიური სისტემების თეორია** ბავშვის განვითარებას გარემომცველი სამყაროს მრავალდონიანი კავშირების რთული სისტემის ჭრილში განიხილავს. რაკი ბავშვის ბიოლოგიური ბუნება და გარემო ერთობლივად მოქმედებს განვითარებაზე, ბრონფენბრენერი თავის პერსპექტივას ბიოეკოლოგიურ მოდელად ახასიათებს. ამ პარაგრაფში მისი ეკოლოგიური სისტემების თეორიას მოკლედ წარმოვადგენთ ლორა ბერკის წიგნიდან, ბავშვის განვითარება და.

ბრონფენბრენერი გარემოს წარმოადგენს ერთმანეთში ბუდისებრ “ჩასმული” სტრუქტურების სერიად, რომელიც ბავშვის ყოველდღიური ცხოვრების გარემოს - სახლს, სკოლასა და

სამეზობლოს მოიცავს და მის ფარგლებს მიღმაც ვრცელდება. გარემოს თითოეული ფენა განვითარებაზე არსებითი გავლენის მქონე ძალად განიხილება. მისი თეორიის მიხედვით ეკოლოგიური სისტემა ოთხი ნაწილისგან შედგება, რომლებიც მოიცავენ ერთმანეთს:

- მიკროსისტემა-ბავშვის ოჯახი;
- მეზოსისტემა - ბაღი, სკოლა, ეზო, საცხოვრებელი გარემო;
- ეგზოსისტემა - მოზრდილი სოციალური ორგანიზაციები;
- მაკროსისტემა - ქვეყნის კულტურა, ტრადიციები, ღირებულებები და რესურსები.

მიკროსისტემა. მიკროსისტემა ბავშვის მყისიერი გარემოს შუაგულია, რომელიც აქტივობებისა და ურთიერთქმედების მოდელს შეიცავს. ბავშვის პიროვნებას აყალიბებს მისი ოჯახი, მშობლების განწყობა და ოჯახური ატმოსფერო. თუ ოჯახი მშვიდია ბავშვიც მშვიდია, მართვადი და კეთილგანწყობილი. პირიქით შემთხვევაში კი, მეუღლეთა კონფლიქტი დაკავშირებულია დისციპლინარულ ზომებთან და ბავშვებისადმი აგრესიულ დამოკიდებულებასთან. მაგალითად, კეთილი, ყურადღებიანი ბავშვი უფრო ხშირად იწვევს მშობლების მხრიდან დადებით და მშვიდ რეაქციას, მაშინ როდესაც დადებით დაბნეულ და მოუსვენარ ბავშვს უფრო ხშირად სჯიან და უზღუდავენ თავისუფლებას, რადგან მას უყენებენ სხვადასხვა მოთხოვნებს და მოლოდინებს. ბრონფენბრენერის აზრით, ამ გარემოს დონეზე ბავშვის განვითარების გასაგებად არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნებისმიერი ურთიერთკავშირი ორმხრივია. ეს იმას ნიშნავს, რომ, მართალია, უფროსები მოქმედებენ ბავშვის ქცევაზე, მაგრამ, იმავდროულად, ბავშვების ბიოლოგიური და სოციალური თავისებურებები – და პიროვნული თავისებურებები, უნარ-ჩვევები – ასევე ახდენს გავლენას უფროსების ქცევაზე. მაგალითად, სავარაუდოა, რომ მეგობრული და ყურადღებიანი ბავშვი მშობლის დადებით და შემწყნარებლურ რეაქციებს აღვიძებს, ხოლო თავშეუკავებელი ან ყურადღებადაფანტული – შეუწყნარებლობის, შევიწროებისა და დასჯის სამიზნე ხდება.



მიკროსისტემის სხვა მონაწილენი მოქმედებენ ორი ადამიანის ურთიერთობის ხარისხზე. მათგან ხელშეწყობის შემთხვევაში ორის ურთიერთქმედება ძლიერდება. მაგალითად, როცა მშობლები ბავშვის აღზრდაში ერთმანეთს ხელს უწყობენ, თითოეული უფრო ეფექტიანად

ართმევს თავს მშობლის მოვალეობებს. როცა ცოლ-ქმრული ურთიერთობები დაძაბული და არაკეთილგანწყობილია, ხშირად მშობლები შვილის აღზრდაში ერთმანთს ხელს უშლიან, ბავშვის საჭიროებების მიმართ გულგრილნი არიან, წვრილმანების გამო აკრიტიკებენ, უბრაზდებიან, და სჯიან.

მეზოსისტემა. ეკოლოგიური სისტემების თეორიაში ბრონფენბრენერის მოდელის მომდევნო დონე მეზოსისტემაა, რომელიც მიკროსისტემებს (სახლი, სკოლა, სამეზობლო, საბავშვო ბაღი) შორის კავშირს გამოხატავს. მას მიაჩნია, რომ მეზოსისტემა ზეგავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე არა პირდაპირ, არამედ მიკროსისტემასთან წყვილში- ოჯახთან. მაგალითად, ბავშვის წარმატება მხოლოდ ბაღში საქმიანობაზე არ არის დამოკიდებული. მას ხელს უწყობს მშობლის მონაწილეობა ბაღის ცხოვრებაში და ბავშვის მიერ სხვადასხვა დავალებების შესრულება სახლში. ზუსტად ასევე, მშობელი-შვილის ურთიერთქმედება ოჯახში საბავშვო ბაღში ძიძა-ბავშვის ურთიერთქმედებაზე ახდენს გავლენას და, პირიქით. ნებისმიერ ურთიერთობა ოჯახსა და საბავშვო ბაღს შორის, თანამშრომლური ვიზიტებისა თუ ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ფორმით, განვითარების ხელშემწყობია.

ექზოსისტემა. ექზოსისტემა ბავშვისაგან დამოუკიდებელი ისეთი გარემოებისაგან შედგება, რომელიც მის მყისიერ გარემოში მიღებულ გამოცდილებაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს ოფიციალური ორგანიზაციები, მაგალითად, მშობლების სამსახური, რელიგიური ინსტიტუტები და ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურები. მოქნილი სამუშაო გრაფიკი, დეკრეტული და ბავშვის ავადმყოფობის დროს ფასიანი შვებულება მშობელს ბავშვის აღზრდაში ეხმარება და განვითარებას ირიბი გზით უწყობს ხელს. რაც უფრო მეტია ოჯახის კავშირები სოციალურ ორგანიზაციებთან, მით უფრო სასიკეთოდ აისახება იგი ბავშვის განვითარებაზე.

მაკროსისტემა. ბრონფრენბრენერის მოდელის გარეთა შრე მაკროსისტემაა, რომელიც კულტურულ ფასეულობებს, კანონებს, ტრადიციებსა და რესურსებს მოიცავს. მაკროსისტემაში ბავშვის მოთხოვნილებების პრიორიტეტულობაზე დამოკიდებულია გარემოს შიდა დონეებზე მათი ხელშეწყობის ხარისხი. მაგალითად, საბავშვო ბაღებისადმი მაღალი სტანდარტებისა და დასაქმებული მშობლებისათვის სახელფასო შეღავათების მქონე ქვეყნებში ბავშვები მყისიერ გარემოში ხელსაყრელ გამოცდილებას იძენენ.

მუდმივცვალებადი სისტემა. ბრონფენბრენერის თანახმად, გარემო ბავშვზე ერთფეროვნად მოქმედი სტატიკური ძალა როდია - ის მუდმივცვალებადია. ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიც დის ან ძმის დაბადება, სკოლაში წასვლა ან მშობლების გაყრაა, ბავშვსა და გარემოს შორის არსებულ ურთიერთობას ცვლის და განვითარებაზე მოქმედ ახალ პირობებს უყრის საფუძველს. ამასთან ერთად, გარემოს მოქმედების დრო მისი გავლენის შედეგებს ცვლის. და-ძმის დაბადებას სრულიად განსხვავებული გავლენა აქვს სახლს მიჯაჭვულ ახლად ფეხადგმულსა და ოჯახს გარეთ მრავალი სახის ურთიერთობებისა და საქმიანობების მქონე სკოლის ასაკის ბავშვზე (ვრცლად იხილეთ ლორა ბერკი, ბავშვის განვითარება).

ამდენად შესაძლებელია, რომ „თითოეული სისტემა დროთა განმავლობაში შესაძლებელია შეიცვალოს და შესაბამისად გავლენა მოახდინოს პიროვნების ფორმირებაზე. ადამიანის

პიროვნული თვისებები, რომლებიც დეტერმინირებულია წარსულში სოციალური ზემოქმედებით, აყალიბებს ადამიანს პიროვნებად. თუ წარმოვიდგენთ ერთსა და იმავე ადამიანს, სხვადასხვა დროს და ერთსა და იმავე სიტუაციაში, დიდია ალბათობა იმისა, რომ ამ ადამიანის ქცევა იდენტური იქნება ორივე შემთხვევაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ადამიანმა ერთხელ უკვე ჩაიდინა დანაშაული, ის მომავალშიც გაიმეორებს მას. იმისთვის, რომ შეცვალოს ქცევა, აუცილებელია შეიცვალოს შიდა (პიროვნული თვისებები) და გარე (სოციალური გარემო) დეტერმინატებიც“(5).



სოციოლოგი <u>მელვილ ლ. კონის</u> თქმით ბრონფენბრენერმა გადამწყვეტი როლი ითამაშა სოცილურ მეცნიერებებში იმის გააზრებაში, რომ "... თუნდაც უმცირესი პიროვნული ურთიერთობა, ბავშვსა და მშობელს შორის, არ არსებობს სოციალურ ვაკუუმში, არამედ ჩართულია, თემის უფრო დიდ სოციალურ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურებში". მისმა თეორიამ ასევე ხელი შეუწყო განვითარების კვლევების ჩატარებას; დაკვირვებებისა და ექსპერიმენტების წარმართვაში, გარემოს კონკრეტული ფაქტორების გა-

მოსაკვეთად, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ გავლენა განვითარებაზე. მისმა კვლევამ და იდეებმა ასევე იქონიეს გავლენა Head Start პროგრამის ფორმირებასა და მიმართულების გამოკვეთაში. ბრონფენბრენერი მუშაობდა ლექტორად კორნელის უნივერსიტეტში და განვითარების მკლევარების არა ერთი თაობა აღზარდა, რომლებიც ახლა, როგორც კორნელის უნივერსიტეტი აცხადებს არიან, "ლიდერები ამ სფეროში."

მარიამ ნარიმანაშვილის აზრით, ე. წ. ეკოლოგიური მოდელი გვეხმარება ძალადობის რთული ბუნების გაგებაში, რადგან ეს მოდელი გვიჩვენებს, რომ არსებობს ბავშვებში ძალადობის ხელშემწყობ და ხელისშემშლელ ფაქტორთა ფართო სპექტრი. მ. ნარიმანაშვილი ეკოლოგიური მოდელის თანახმად, ერთმანეთისგან განასხვავებს რისკფაქტორებს და დამცავ ფაქტორებს. რისფაქტორებში შედის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ძალადობის წარმოშობას, ხოლო ფაქტორები, რომლებიც ამცირებენ ძალადობის განხორციელების რისკს მიეკუთვნებიან დამცავ ფაქტორებს. იგი პარალელებს ავლებს ური ბონფრენბრენერის მიერ შემოთავაზებულ ადამიანის განვითარების ბიოეკოლოგიურ მოდელთან. როგორც აღვნიშნეთ ბრონფრენბრენერი ბავშვის განვითარებას განიხილავს გარემომცველი სამყაროს მრავალდონიანი კავშირების რთული სისტემის ჭრილში. მისი აზრით პიროვნება ვითარდება მიკროსისტემაში, რომელიც შედის მეზოსისტემაში. მეზოსისტემა არის ეგზოსისტემის შემადგენელი კომპონენტი, თითოეული მათგანი კი ერთიანდება მაკროსისტემის ქვეშ.

მარიამ ნარიმანაშვილი ბავშვზე ძალადობის რისკფაქტორებს განიხილავს ეკოლოგიური მოდელის ოთხი დონის მიხედვით:

- ინდივიდუალური
- ურთიერთობის
- თემის
- საზოგადოების

„ინდივიდი. ეკოლოგიური მოდელის პირველ დონეზე შეისწავლება ის პიროვნული თვისებები, ინდივიდუალური მახასიათებლები, რომლებიც ზრდის ინდივიდის პოტენციურ მსხვერპლად ან მოძალადედ ჩამოყალიბების ალბათობას.

მოძალადის ინდივიდუალური მახასიათებლები:

- აგრესიულობა
- თვითკონტროლის დაბალი დონე
- განათლების დაბალი დონე
- წარსულში გადატანილი სტრესი და ა.შ

მოძალადე შეიძლება იყოს ბავშვისთვის როგორც უცნობი, ასევე ძალიან ახლობელი ადამიანი.

მშობლებთან/აღმზრდელთან დაკავშირებული რისკფაქტორები:

დედის მძიმე ორსულობა ან რთული მშობიარობა; განვითარების ასაკობრივი კანონზომიერებების არცოდნა; მშობელი ძალადობას ბავშვის აღზრდის ეფექტიან მეთოდად მიიჩნევს; დისციპლინის მიზნით ბავშს ხშირად ფიზიკურად სჯიან; მშობელს/აღმზრდელს აღენიშნება ფიზიკური და/ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები; მშობელი ალკოჰოლის

ან ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელია; ჩართულია კრიმინალურ საქმიანობაში; აქვს ფინანსური სირთულეები.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მოძალადე მშობლების ბევრი პიროვნული თვისება და ქცევა გამოწვეულია მძიმე სოციალური პირობებით და სტრესის დაძლევის უუნარობით. გარდა ამისა, მშობლებს, რომლებიც შვილებზე ძალადობენ. შეიძლება თვად ჰქონდეთ განცდილი ძალადობა ბავშვობაში.

ხშირად ძალადობის რისკფაქტორები უშუალოდ ბავშს უკავშირდება, მაგრამ **ეს არ ნიშნავს იმას, რომ ძალადობაში თვითონ ბავშვია დამნაშავე !**

ძალადობის მსხვერპლის ინდივიდუალური მახასიათებლები (რისკფაქტორები ბავშვებში) :

· არასასურველი შვილია;

· აქვს ფიზიკური ან/და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები;

· ახასიათებს იმპულსურობა ან ჰიპერაქტიულობა;

· აქვს ფიზიკური დეფექტი (მაგალითად: კურდღლის ტუჩი, მგლის ხახა და სხვ);

· არის ხშირად მოავადე;

· მუდმივად ტირის და ძნელია მისი დაწყნარება;

· ბავშს ურთიერთობა აქვს იმ თანატოლეთან, რომელბიც აგრესიას ავლენენ გარშემომყოფთა მიმართ, დასაშვებია თვითონ ამ ბავშვის მიმართაც.

<u>ურთიერთობის დონე</u>

ეკოლოგიური მოდელის მეორე დონეზე იგულისხმება ბავშის სოციალური კავშრები თანატოლებთან და ოჯახის წევრებთან, რამაც შეიძლება ბავშის პოტენციურ მსხვერპლად ან მოძალადედ ჩამოყალიბების რისკი გაზარდოს.

რისკფაქტორები;

· მიჯაჭვულობის გრძნობის დეფიციტი მშობელსა და ბავშვს შორის;

· ოჯახის წევრების ფიზიკური ან/და ფსიქიკური განვითარების პრობლემები;

· მშობლებს შრის კონფლიქტი/ოჯახის დანგრევა;

· ოჯახის საზოგადოებისგან იზოლაცია;

· ოჯახის დისკრიმინაცია ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური, გენდერული ნიშნით; სექსუალური ორიენტაციის ან ცხოვრების წესის გამო;

· ოჯახის წევრთა კრიმინალურ საქმიანობაში ჩართულობა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოჯახური ძალადობის მოწმე ბავშვიც ძალადობის მსხვერპლად ითვლება, გამომდინარე იქიდან, რომ ის იღებს მძიმე ფსიქოლოგიურ ტრავმას. ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ბავშვზე ძალადობის რისკი ორმაგდება. ძალადობის მოწმე ბავშებმა შეიძლება მიიღონ ადამიანებს შორის აგრესიული დამოკიდებულების გაკვეთილები, რასაც დიდი ალბათობით მომავალში თავად გამოიიყენებენ.

<u>თემი</u>

ეკოლოგიური მოდელის მესამე დონე იკვლევს იმ გარემოცვას, რომელთანაც ბავშვს აქვს სოციალური ურთერთობები. ეს გარემოცვაა სკოლ, სამეზობლო. თემში, რომელსაც ახასიათებს მაღალი სოციალური იზოლაცია, უმუშევრობის მაღალი დონე, ალკოჰოლისა და ნარკო-

ტიკული ნივთიერებების ადვილი ხელმისაწვდომობა, ძალადობრივი გარემოს შექმნის მაღალი ალბათობაა.

რისკფაქტორები:

· საზოგადოების (თემის წევრთა) ტოლერანტული დამოკიდებულება ბავშვზე ძალადობის მიმართ;

· საზოგადოებაში არსებული გენდერული და სოციალური უთანასწორობა;

· ქვეყანაში ოჯახის დაცვის სამსახურების ნაკლებობა;

· უმუშევრობის მაღალი დონე;

· ადვილად ხელმისაწვდომი ალკოჰოლი, ნარკოტიკებით ვაჭრობის გავრცელება.

<u>საზოგადოება</u>

ეკოლოგიური მოდელის მეოთხე დონე იკვლევს იმ სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც ხელსაყრელ გარემოს ქმნის ძალადობის განხორციელებისათვის.

ბავშვზე ძალადობის ხელშემწყობი სოციალური ფაქტორები:

· საზოგადოებაში გავრცელებული სოციალური და კულტურული ნორმები, რომლებიც ძალადობას კონფლიქტის გადაჭრის მისაღებ ხერხად თვლის;

· საზოგადოებაში დანერგილი ნორმები, რომლებიც მშობელთა უფლებებს ბავშვთა კეთილდღეობაზე მაღლა აყენებს;

· ქვეყანაში ბავშვთა პორნოგრაფიის, პროსტიტუციისა და მძმე ფიზიკური შრომის არსებობა;

· ჯანდაცვის, განათლების, ეკონომიკის სფეროებში ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მხარს უჭერს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის ეკონომიკურ და სოციალურ უთანასწორობას და სხვ.

<u>ძალადობისგან ბავშის დაცვის ფაქტორები</u>

ოჯახში ძალადობისგან ბავშის დაცვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს **მჭიდრო ემოციური კავშირი მშობლებსა და ბავშვს შორის.** ოჯახი უნდა იყოს „ღია სისტემა“ , რომელიც ბავშისთვის დაცულობის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების გარანტს წარმოადგენს. გამომდინარე აქედან, მ. ნარიმანაშვილი ასკვნის, რომ განსაკუთრებით საჭიროა იმ ოჯახების გაძლიერებისა და განვითარების ხელშეწყობა, რომელთაც სუსტი ურთიერთკავშირი აქვთ თემთან (დახურულ სისტემას წარმოადგენენ)“(4).

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს ბავშვზე ძალადობის უამრავი რისკ ფაქტორი არსებობს. მიგვაჩნია, რომ ური ბრონფრენბრენერის ეკოლოგიური სისტემების თეორია ამ მხრივაც დიდ დახმარებას გაუწევს ადრეულ განათლებაში მომუშავე ბაგა-ბაღის აღმზრდელ პედაგოგებს, რადგან სწორად შეფასდეს ყოველი მომხდარი ფაქტი, მოხდეს იდენტიფიცირება ძალადობის გამომწვევი ფაქტორების და განისაზღვროს პრობლემის აღმოფხვრის გზები, საჭიროა ოთივე დონის გამოყენება.

ამრიგად, ური ბრონფრენბრენერის “ეკოლოგიური ჩარევის“ კონცეფციამ აჩვენა სკოლამდელი ასაკის ბავშვის ცხოვრებაში დედის მთავარი როლი. იმისათვის რომ დედა გაუმკლავდეს თავის მოვალეობებს ის უნდა იყოს აღჭურვილი სხვადასხვა საშუალებებით, რომ თავლყური ადევნოს ბავშვის ჯამრთელობას და საერთო განვითარებას, საჭირო იყო როგორც მა-

ტერიალური საშუალებები ასევე დედებს ჰქონდათ უფლება მიებარებინათ ბავშვი სკოლამდელ დაწესებულებაში. ნებისმიერი დახმარება აისახებოდა ბავშვის წარმატებებზე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხორციელდება თანმიმდევრულად, შეუმჩნევლად და ძალდაუტანებლად, ,, ეკოლოგიურად". ვერავინ დაეხმარება ბავშვს უფრო მეტად ვიდრე მშობელი. ამ ტენდენციის მიმდევრები თვლიდნენ მშობლებს და უპირველესად დედებს პასუხისმგებელ პირებად ბავშვის წარმატებებისა ან წარუმატებლობისა.

კითხვები ანალიზისა და თვითშეფასებისათვის

1. მოკლედ დაახასიათეთ ური ბრონფრენბრენერის ცხოვრება და მოღვაწეობა.
2. რამდენი ნაწილისგან შედგება ური ბრონფრენბრენერის **ეკოლოგიური სისტემების თეორია?**
3. დაახასიათეთ ური ბრონფრენბრენერის ეკოლოგიური სისტემების თეორია?
4. **როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ეკოლოგიური სისტემების თეორია** ბავშვებში ძალადობის ხელშემწყობ და ხელისშემშლელ ფაქტორთა მიმართებაში?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლორა ბერკი, ბავშვის განვითარება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 2008.
2. ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბილისი, 2015.
3. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები, თბილისი, 2011 .
4. ნარიმანაშვილი მ., ბავშვზე ძალადობის რისკფაქტორები-ეკოლგიური მოდელის მიმოხილვა, www. education.ge
5. ქორიძე ტ., დანაშაულებრივი ქცევის ლოგიკური მოდელირება. https://ka.wikipedia.org/wiki
6. Urie Bronfenbrenner and Stephen J. Ceci, Nature-Nurture Reconceptualized in Developmental Perspective: A Bioecological Model, Psychological Review 1994, Vol. 101. No. 4. 568-586, Copyright 1994 by the American Psychological Association, Inc. 0033-295X/94/S3.00
7. Портал психологических новостей PsyPress.ru — http://psypress.ru/columns/daybyday/26293.shtml [Урожденный москвич Юрий, перевернувший американскую школу].
8. арамонова Л. А., Протасова Е. Ю. Дошкольное и начальное образование за рубежом: История и современность: Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб, заведений, М.: Издательский центр «Академия», 2001.

§ 10. ტყის სკოლები. მაღალი შესაძლებლობების სკოლები

მე-18 საუკუკუნის ბოლოს გერმანიაში ჩამოყალიბდა პედაგოგიური მიმდინარეობა ფილანტროპიზმის(ფილანტროპი ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს -მოწყალე, კაცთმოყვარე, ქველმოქმედი) სახელწოდებით. ის არის გერმანულენოვანი განმანათლებლობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მიმდინარეობა, რომლისთვისაც ჩვენს კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში შეუძლებელია გვერდი ავუაროთ. მისი ლიდერები იყვნენ იოჰან-ერნჰარდ ბაზედოვი (1724-1790), ფრიდრიხ ებერჰარდ როხოვი (1734-1805), ქრისტიან გოტჰილფ ზალცმანი (1744-1811), იოაჰიმ ჰენრიხ კამპე (1746-1818), ერნსტ ქრისტიან ტრაპი (1745-1819), იოჰან ქრისტოფ ფრიდრიხ გუტს-მეტსი (1759-1839) და ბერნჰარდ ჰენრიხ ბლასიე (1766-1832). ლიდერები და არა იდეოლოგები, რადგან სპეციალური ლიტერატურის მიხედვით ითვლება, რომ იდეური მამა ამ მიმდინარეობისა იყო ჟან-ჟაკ რუსო. მათი ძირითადი დამსახურებაა რუსოს იდეების გერმანულ პედაგოგიკაში გადმოტანა.

ბაზედოვმა 1774 წელს დესაუში გახსნა სანიმუშო აღმზრდელობითი დაწესებულება _ ფილანტროპინი და მას მიზნად დაუსახა: "ადამიანთა გამომუშავება (ბაზედოვის ტერმინია ს. ლ.) მდიდართა შვილებისაგან და მასწავლებელთა იაფად მომზადება ღარიბთა შვილებისაგან". ამ დოქტრინის შესაბამისად ფილანტროპინის მოსწავლეები სამ ჯგუფად იყოფოდნენ: 1) აკადემისტებად _ დიდგვაროვანთა და მდიდართა შვილები; 2) პედაგოგისტებად - მომავალ მასწავლებლებად და გუვერნიორებად საშუალო ფენის შვილები; 3) ფამულიანტები - ღარიბთა შვილები. „1784 წელს ბაზედოვის თანამოაზრემ და იმავდროულად თანამშრომელმაც დესაუს ფილანტროპინში ქრისტიან ზალცმანმა შნეპფენტალში, ტიურინგიის ტყის ახლოს, გახსნა ანალოგიური დაწესებულება, რომელმაც XX საუკუნემდე მოაღწია. ამ ფილანტროპიით დასაწყისი მიეცა ტყის სკოლებს. „დგებოდნენ, რა ზაფხულობით დილის 4 საათზე და ზამთარში 6 საათზე ბავშვები მუშაობდნენ ბაღში ან ბოსტანში, ასრულებდნენ მიწის სამუშაოებს, უვლიდნენ ცხოველებს, კურდღლებს, ფრინველებს, თევზებს და სხვა. დილის სამუშაოებს ზალცმანი აძლევდა ძალიან დიდ მნიშვნელობას და მიუთითებდა, რომ ისინი ზრდიან ბავშვებში სიმხნევეს, შრომისადმი პატივისცემას, ინტერესს და კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ ჯანმრთელობაზე. ფილანტროპინის მთელი ცხოვრება აგებული იყო კარგი ოჯახის ნიმუშზე. მასწავლებლის პირად მაგალითს დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. მშვენივრად იყო დაყენებული ფიზიკური აღზრდა ფართოდ იყო გამოყენებული ესკურსიები ტყეში და თვალსაჩინო სწავლება"(1. გვ.215).

აღმზრდელობითი სწავლების იდეა, ადამიანის აღზრდა, როგორც სკოლის მიზანი, სწავლების მეთოდიკის გაუმჯობესება, თვალსაჩინოების გამოყენება, ბავშვთა ინტერესების გათვალისწინება, ფიზიკური აღზრდა, შრომითი აღზრდა, ასეთია ფილანტროპისტული პედაგოგიკის მოწინავე იდეები.

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან შვედეთში ადრეული განათლების სისტემაში გამოჩნდა ახალი ტიპის პროგრამა, რომელიც განსხვავებული ხერხით ასწავლიდა ბავშვებს ბუნებრივი გარემოს შესახებ. ამ იდეამ ფესვები გაიდგა დანიაში, სადაც დღეს ტყის

სკოლის მოდელი ადრეული განათლების ინტეგრირებული ნაწილია. 1995 წლიდან ეს მოდელი ბრიტანელებმა წაიღეს თავიანთ ქვეყანაში, სადაც დღემდე ხვეწენ და ავითარებენ. სთავაზობენ მსურველებს სპეციალიზებულ ტრენინგ პაკეტებს. დღეს ძალიან ბევრ განვითარებულ ქვეყანაში გვხვდება ტყის სკოლის მოდელის ბაღები. იგი ადრეული განათლების უამრავი სპეციალისტისთვის ღირებული მოდელია, რომლის ფილოსოფიაც დიდ ინტერეს იწვევს.

ტყის სკოლის თეორიული საფუძველი ზუსტად იმ გავრცელებულ აზრშია, რომ ეზო არის საუკეთესო ადგილი ბავშვის განვითარებისა და სწავლებისთვის. იგი პირდაპირ აკავშირებს ბავშვს ბუნებასთან, იძლევა თავისუფლების განცდას. ამ გარემოში ბავშვი ბუნებრივად გამოიმუშავებს პასუხისმგებლობის გრძნობას და თავდაჯერებულობას, რაც საფუძვლად ედება მის განვითარებას და ჩამოყალიბებას.

„პრაქტიკაში საკმაოდ განსხვავებულ ტყის ბაღებს ვხვდებით. ზოგიერთს შენობა საერთოდ არ აქვს, ზოგს კი დიდი შენობა აქვს და პატარა ეზო, მათ ბავშვები მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ტყეში ან ნაკრძალში გაყავთ. ზოგ ჯგუფში მაქსიმუმ 6 ბავშვია, ზოგან კი ვხვდებით 150 ბავშვს ბაღში, რომლებიც ჯგუფებად იყოფა. თუმცა რაც ყველა ტყის სკოლას საერთო აქვს არის ის, რომ ბავშვები, თუ სრულ დღეს არა, მის უმეტეს ნაწილს ბუნებაში ატარებენ. ტყის სკოლის ფილოსოფიის მიხედვით, არ არსებობს ცუდი ამინდი, არსებობს შეუსაბამო ტანისამოსი. შესაბამისად, მხოლოდ შტორმის და -10 გრადუსი ან ნაკლები ყინვის შემთხვევაში არ გაყავთ ბავშვები ბუნებაში“(3).

ტყის სკოლებში სასწავლო სააღმზრდელო პროცესი ისეა მოწყობილი, რომ თითოეულმა ბავშვმა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად მიაღწიოს განსაზღვრულ სტანდარტებს. ამ ტიპის ბაღების კურიკულუმის მიზანია ბავშვის ჰოლისტური/მთლიანობითი განვითარება, შესაბამისად ითვალისწინებს როგორც ბავშვის ფიზიკურ განვითარებას, ასევე მეტყველების და წიგნიერების, კოგნიტური, შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პროცესში ბავშვები იყენებენ ნამდვილ ხელსაწყოებს, როგორიცაა დანა, ხერხი, ჩაქუჩი და სხვა.

„ტყის სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უსაფრთოხებას, ამისთვის გულმოდგინედ შემუშავებულია რუტინა და უსაფრთოხების წესები. ტყის სკოლის აღმზრდელები გადიან სერტიფიცირებულ კურსებს, რათა გახდნენ ტყის სკოლის აღმზრდელები. შესაბამისად მათ იციან, როგორ უზრუნველყონ უსაფრთოხება თავისუფალ გარემოში, სადაც ბავშვისთვის ყველაფერი ხელმისაწვდომია. პროგრამა ასევე ითვალისწინებს მშობლების მაღალ ჩართულობას ბაღის ყოველდღიურ ცხოვრებაში“(3).

ტყის საბავშვო ბაღი - ეს არის სკოლამდელი განათლების ფორმატი სამიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, რომელშიც ბავშვები თავისი დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ გარეთ. როგორი ამინდიც არ უნდა იყოს, ბავშვები და აღმზდელ-პედაგოგები თამაშობენ, იკვლევენ სამყაროს, შეისწავლიან ტყეს და სხვა ბუნებრივ ლანდშაფტს. მასწავლებელი მოქმედებს, როგორც დამხმარე და არა ჯგუფის ლიდერი. სხვადასხვა ქვეყანაში ამ ბაღებს ასე მოიხსენიებენ: ტყის საბავშვო ბაღი, საბავშვო ბაღი გარეთ, საბავშვო ბაღი ბუნებაში, საბავშვო ბაღი სუფთა ჰაერზე.

ტყის ბაღი - ეს არის საბავშვო ბაღი „კედლებისა და ჭერის გარეშე". აღმზრდელ-პედაგოგი და ბავშვები თითქმის მთელ დროს ატარებენ გარეთ, ჩვეულებრივად ტყეში. ტყის ბაღების განმასხვავებელი შტრიხი არის ის, რომ გართობა და თამაშები მიმდინარეობს ბუნებრივი ობიექტების (ხეები, მთები, გორები, წყალსაცავები, ჩანჩქერები) გარშემო. ბავშვები თამაშობენ ერთად ფიჭვის გირჩებით, ჯოხებით, ფრინველის ბუმბულით, წყლით და თიხით და არა ქარხანაში დამზადებული სათამაშოებით. მიუხედავად ამ განსხვავებებისა, ტყის ბაღები აგვარებენ იგივე პრობლემებს, როგორც სხვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, კერძოდ ბავშვებზე ზრუნვა, ასწავლონ და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას. ტყის ბაღები ერთმანეთისგან განსხვავდება, რადგან ძირითადად შექმნილი არის დამოუკიდებელი საზოგადოების მიერ და არ დგანან ოფიციალური სკოლამდელი განათლების სისტემის მხარეს.

საქმიანობბის განაწილება და ტყის ბაღების მიზნები:

აქტივობა	**სარგებელი ბავშვის განვითარების თვალსაზრისით**
თამაშები ფანტაზიისა და გარემოს ყველა რესურსის აქტიური გამოყენებით	ეხმარება ბავშვებს საკუთარი აზრებისა და იდეების შესასწავლად, სათამაშოების შემქნელების რაიმე მიმართულების მიცემის გარეშე
როლური თამაშები	ანვითარებს ფანტაზიას, დრამატულ უნარებს, გუნდურ მუშაობას, ეხმარება საკუთარ თავზე გამოცადოს ქცევის სხვადასხვა მოდელები.
თავშესაფრისა და სხვა სტრუქტურების მშენებლობა ჯოხებისაგან, სხვა ბავშვებისა და უფროსების დახმარებით	მოითხოვს მიზნის დასახვის უნარს, დაგეგმარების უნარს, კონსტრუირებას, გუნდურ მუშაობას და შეუპოვრობას
ობიექტების დათვლა და მათემატიკური კანონზომირეების მოძებნა	ავითარებს მათემატიკურ უნარებს და ვიზუალური აზროვნების
ბუნებრივი ობიექტებით მეხსიერების განვითარების თამაშები	ანვითარებს მეხსიერებას და ლექსიკურ მარაგს
ისტორიების მოყოლა, სიმღერის შესრულება, ლექსების შესწავლა	ანვითარებს დრამატულ უნარებს, ყურადღებას, კონცენტრაციის უნარს
პატრა ობიექტების სურათების შეგროვება, ხელთნაკეთებისა და სათამაშოების დამზადება	შემოქმედებისა და ხალხური რეწვის შექმნის უნარები
ბაღის ცხოვრების ჩანახატების უნარი	შემოქმედებისა და ხალხური რეწვის შექმნის უნარები, გამომგონებლობა, ყველა დეტალზე ყურაღების გამახვილება და მისი რეპროდუქციურობის უნარი
ხეებზე ასვლა და ტყის კვლევა	აუმჯობესებს ძალას, სისწრაფესა და წონასწორობას
დამოლობანა და სხვა ჯგუფური თამაშები	ანვითარებს აზროვნებას, სხვა ადამიანების ქმედებებისა და აზრების ზუსტ პროგნოზირებას
ტყეში გასეირნება და ლაშქრობები	ზრდის ძალას და გამძლეობას, ასწავლის მარშრუტების შექმნას, უვითარებს დაგეგმარებისა და კომინიკაციის უნარს
ბუნებასთან მარტო დარჩენა	აძლევს გამოცდილებას და უვითარებს ხასიათს
დასვენება	ეხმარება ნანახის-განცდილის გააზრებაში და ემზადება შემდგომი აქტივობისათვის

ტყის საბავშვო ბაღები ყველაზე ხშირად გვხვდება ტყესთან ახლოს, ან გარემოს სხვა ადგილებში, როგორიცაა მდელო ან სანაპირო, რომელებიც ასევე კარგად შეეფერება მათ. ტყის ბაღის ტერიტორიაზე უნდა იყოს რაიმე ნაგებობა/ნაგებობები განლაგებული, სადაც ბავშვებს შეეძლებათ თავის შეფარება ექსტრემალური ამინდის პირობებში. ზოგიერთი ბაღის ჯგუფები დღის გარკვეულ ნაწილს ატარებენ ოთახში, ხშირად ორგანიზაციული მიზნების გამო (ბავშვების შეგროვება დღის დასაწყისა და დასასრულის დროს).

ბაღის ტერიტორია, როგორც წესი არ არის შემოღობილი და შეიძლება იყოს საკმაოდ ჩვეულებრივი, ბუნებრივი. „წამყვანები“ ასეთ ბაღებში არის ავტოსადგომები და მოედნები, რომლებსაც აღმზრდელები და ბავშვები არქმევენ სახელებს: „მოგესალმებათ ტყე“, „სალამანდრის ტყე“, „შოკოლადის გორა“, „პიტნის მდელო“ და ა. შ. მოედანზე შეიძლება იყოს თვითნაკეთი საქანელები, ბუხარი, ჯოხებისა და ფიჩხების შესაგროვებელი ადგილი, უბრალო ავეჯი (მაგიდები, სკამები) და სხვა აუცილებელი მასალები.

ბავშვები ჩაცმული არიან ამინდის შესაბამისად, უფრო მეტად საჭირო არის წყალგაუმტარი სპეციალური თერმული ტანსაცმელი.

ტყის ბაღების წარმოშობის ისტორია. ბოლო 100 წლის განვალობაში ურბანიზაციისა და ბინებიდან ტყის მოშორების შედეგად ხდება ბუნების გაუცხოება. ტყის ბაღებში მაქსიმალურად ცდილობენ აღადგინონ ბავშვების ბუნებასთან კავშირი სხვადასხვა სასწავლო-განმავითარებელი აქტივობებით. 1914 წელს რეიჩარ და მარგარეტ მაკმილაების აქტიურობით შეიქმნა „ბაგა-ბაღი სუფთა ჰაერზე“, სამწუხარო დღემდე ვერ მოაღწია ამ ისტორიის დეტალებმა, გარდა იმ ფაქტისა, რომ გააუმჯობესდა ბავშვთა ჯანმრთელობა.

1957 წელს შვედეთში ყოფილმა სამხედრომ გ. ფრომმა მოიფიქრა „ტყის პერსონაჟები“, რათა ბავშვები გაცნობოდნენ ბუნებას. **მოული** - ფრომის მიერ გამოგონილი პერსონაჟებიდან ერთ-ერთი პერსონაჟის სახელია, სხვა პერსონაჟები არის **ლაქსი** - რომელსაც აქვს წყლის ხა-

სიათი, ანუ წყლის პერსონაჟი, **ფიალფინა** - მთის პერსონაჟი, **ვოვა** - სუფთა, ხელშეუხებელი ბუნება. ტყის სკოლები და ბაღები შეიქმა ფრომის იდეების მიხედვით, თავდაპირველად ეწოდა „წვიმისა და ზამთრის სკოლები“. შემდეგ თანდათან გარდაიქმნა და რეგულარულ საბავშვო ბაღად 1985 წელს დაარსა ლ. ლინდემ.

მეოცე საუკუნის 50-იან წლებში, ელა ფლატომ დანიაში ასევე შექმნა ტყის ბაღი. იდეა დაიბადა იქედან, რომ ის მის და მეზობლის ბავშვებთან ერთად ხშირად დადიოდა და თამაშობდა ტყეში, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა ადგილობრივი მშობლებისათვის, როგორც დღის განვალობაში ბავშვების დასაქმებისა კარგი საშუალება. მშობლებმა შექმეს ჯგუფები და გამოვიდენ ინიციატივით დაეარსებინათ ტყის პირველი საბავშვო ბაღი.

„გერმანიაში, ტყის ბაღები (Waldkindergarten) არსებობდა 1968 წლიდან, მაგრამ მხოლოდ 1993 წელს აღიარეს ოფიციალურად, როგორც სკოლამდელი განათლების ერთ-ერთი ფორმა. ამით მათ მიიღეს სუბსიდიები სახელმწიფოსაგან და შეამცირეს ბავშვების განათლების ღირებულება. აქედან გამომდინარე, ტყის ბაღები გერმანიაში უფრო და უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდა. 2005 წელს ტყის საბავშვო ბაღების სავარაუდო რაოდენობა გერმანიაში იყო 450, ზოგიერთი, მათგანს ქონდა ტრადიციული მიდგომა დილით ტყეში გასეირნება. 2012 წლის ტყის ბაღების რაოდენობამ 1000-ს გადააჭარბა“ (20).

2005 წელს დიდ ბრიტანეთში, შვედური წარმოშობის პედაგოგმა ჰელენა ჰილსოკმა, დააფუძნა ბაღი „მდელოს ყვავილები“(Wildflowers Kindergarten), სადაც სკოლამდელი ასაკის ბავშვები ყოველ დილას ატარებენ ბუნებაში.
2008 წელს შოტლანდიაში ქეთი ბახის მხარდაჭერით გაიხსნა ბაგა - ბაღი „საიდუმლო ბაღი" (Secret Garden), მას მხარს უჭერდა სახელმწიფო დაფინანსებით და კერძო პირები. ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ტყის საბავშვო ბაღი "ნაზი ბილიკები» (TenderTracks) დაარსდა 1996 წელს, კალიფორნიის ყურეში ბედოლინ ბიორდის მიერ და დღემდე მუშაობს.

რა უპირატესობები გააჩნია ტყის ბაღებს? ტყის საბავშვო ბაღების უმრავლესობა არ იყენებს ქარხნული წარმოების სათამაშოებს, ამ ფაქტის აზრი და მნიშვნელობა ის არის, რომ ხელს უწყობს ბავშვების მეტყველების უნარების განვითარებას, იმდენად რამდენადაც ისინი ხმამაღლა საუბრობენ ბუნების ობიექტებზე და იყენებენ თამაშების დროს. ტყის ბაღები, როგორც წესი ნაკლებად ხმაურიანი არის, ვიდრე ბაღები შენობაში. ხმაური კი არის ბავშვებისა და აღმზრდელების ემოციების, სტრესის ფაქტორების დადასტურება. ჩვეულებრივი ბუნებაში ყოფნა და ბუნების პეიზაჟების დანახვაც კი აუმჯობესებს აღსაზრდელთა თვითდისციპლინას. სუფთა ჰაერზე ხანგრძლივი თამაში დადებითად აისახება ბავშვის განვითარებაზე, განსაკუთრებით ავითარებს სისწრაფესა და წონასწორობის დაცვას, ასევე მოქნილობას, ხელის მოტორიკას, კოორდინაციას, შეგრძნებასა და სიღრმისეულ აღქმას. კვლევის თანახმად, ტყის ბაღების ბავშვებში ნაკლებად გვაქვს დაზიანებების გამო უბედური შემთხვევები და კიდევ ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაიმტვრევიან დაცემისას. ბავშვებს გაზრდილი აქვთ რისკების დამოუკიდებლად შეფასების უნარი, მაგალითად, ცეცხლთან და სახიფათო ინსტრუმენტებთან ქცევა. სხვა კვლევებმა აჩვენა, რომ ბუნებაში გატარებული დრო, აუმჯობე-

სებს ყურადღებას და სამედიცინო პროგნოზებს, ბუნებაში გასეირნება ასევე აძლიერებს ბავშვებისა და აღმზრდელ-პედაგოგების იმუნურ სისტემას.

როლად გორდჯესმა (13) აღმოაჩინა, რომ ბავშვები, რომლებიც დადიოდნენ ტყის საბავშვო ბაღებში, იმ ბავშვებთან შედარებით, რომელბიც დადიან ჩვეულებრივ საბავშვო ბაღებში, აქვთ საშუალოზე მაღალი შესაძლებლობები ყველა სფეროში, რომლებიც იქნა შესწავლილი. ქვემოთ რანჟირებულად არის ჩამოთვლილი, უფრო მეტად გამოხატული სფეროებიდან, უფრო ნაკლებად გამოხატულისაკენ:

კონკრეტული საკითხების ცოდნა
კითხვა
მათემატიკა
საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში კონსტრუქტივისტული მონაწილეობა
შეკითხვების დასმის უნარი და შემეცებით დაინტერესდება
მოტივაცია
სპორტი
მუსიკა
ხელოვნება და შემოქმედება
დადებითი სოციალური ქცევა
რელიგიურობა
კონცენტრაცია
ხატვისა და საწერი აქსესუარების გამოყენების უნარი

მოკლედ განვიხილოთ ქვეყნების მიხედვით ტყის ბაღების განვითარების ტენდენციები.

ტყის საბავშვო ბაღები დანიაში. დანიაში არის საოცარი ტყის ბაღები, სადაც ბავშვი ბუნებაში სეირნობენ და საქმიანობენ. თავისუფლად დარბიან, თამაშობენ და შეისწავლიან ჩვენს გარშემო არსებულ სამყაროს. ბევრი ამ ბაღებიდან მუშაობენ ვალდორფის მეთოდი. ბავშვები მთელ დღეს ატარებენ სუფთა ჰაერზე, ზრუნავენ ბაღსა და ბოსტანზე, კვებავენ ქათამებს, აგროვებენ ვაშლს, ადიან ხეებზე, ანთებენ კოცონს (რა თქმა უნდა პედაგოგთან ერთად). შეუძლიათ სირბილი, კივილი და საკუთარი თავის გამოხატვა გალურჯებამდე. აბსოლუტურად მშვიდად ხვდებიან აღმზრდელები პატარა „შემთხვევებს“, როგორიც არის ნაკაწრები ან ნამსხვრევები - ესეც ხომ არის ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება. სერიოზული დაზიანება არასდროს ხდება - უსაფრთხოებას აქ ყურადღებას აქცევენ. დანიაში ბაღებს აქვთ თბილი შენობა, სადაც ბავშვებს შეუძლიათ გათბენ, ჭამონ და დაიძინონ, მაგრამ ძირითადად თუ ამინდი საშუალებას იძლევა ისინი გარეთ არიან.

ასპირანტი რებეკა პრაქტიკას გადიოდა დანიის დასავლეთით მდებარე „ტყის სკოლაში“. ეს არის სამიდან ექვსი წლის ასაკამდე ბავშვების დაწესებულება, რომელიც განლაგებული იყო ტყის პირას; მეორეს მხრივ მას ესაზღვრება პატარა ტბა. ერთ ზამთარში, როდესაც ჩრდილოეთის მზემ ძლივს გამონათა მაღალი ხეებიდან, აღმზრდელ-პედაგოგი ჯგუფთან ერთად გაემართა ტბისაკენ. „გზაზე ბავშვები ოცნებობნენ ბანაობაზე და მასწავლებელი საპასუხოდ უღიმოდა“ - ამბობს რებეკა. არავინ ცდილობდა გადაერწმუნებინა ბავშვები, არავინ აუკრძალა წყალთან მისვლა და არ უთქვამს, თუ რამდენად სახიფათოა თხელი ყინული. ბავშვები აგროვებდენ კენჭებსა და ნიჟარებს, როდესაც ერთმა გოგონამ თქვა, რომ უნდოდა წყალში შესვლა. აღმზრდელმა უთხრა, რომ: „ამისათვის ჩვენ ჯერ უნდა გავტეხოთ ყინული და ჩვენ თან ერთი პატარა პირსახოცი გვაქვს“ (19). გოგონამ თავი დაუქნია და დაიწყო გახდა. ზოგიერთმა ბავშვმა მიბაძა მის მაგალითს. მასწავლებელი დუმილით უყურებდა მოვლენის განვითარებას. ჩვენ ჩავტეხეთ ყინული სანაპიროსთან ახლოს, რათა ბავშვებს მიეცათ წყალში შესვლის საშუალება. ისინი იცინიან, ყვირიან, ხოლო მე ვიდექი პირსახოცით მომზადებული - იღიმის რებეკა. - არც ერთი მათგანი არ შევიდა ზღვაში, მათ ზუსტად დაიმახსოვრეს, რომ ბანაობა ზამთარში - არ არის საუკეთესო იდეა. შემდეგ ბავშვები ამბობდენ, რომ თავი წარმოიდგინეს ძლიერ ვიკინგებად, ვაღიარებ, რომ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათმა გმირობამ“ (20).

„ტყის სკოლაში“ აღსაზრდელები საათობით თამაშობენ გარეთ ნებისმიერ ამინდში. ბუნებაში, ისინი თავს გრძნობენ, როგორც თევზი წყალში, და არ ეშინიათ შეისწავლონ ბუნება. მათთვის მთავარია, რომ ბავშვი იყოს ძლიერი და ჯანმრთელი. სათამაშოების გარეშე, თავად მოიფიქროს რა უნდა გააკეთოს, იკვლიოს რას იძლევა ბუნება, - აღფრთოვანებული ყვებოდა რებეკა. არ არსებობს ცუდი ამინდი, არსებობს მხოლოდ ცუდი ტანსაცმელი“ (**20**).

უკვე მერამდენე წელია დანიელები შედიან მსოფლიო სამეულში, რომლებიც ცხოვრებით ველაზე მეტად კმაყოფილი არიან. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ დანიის მოქალაქეები თავად ზრდიან შვილებს. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ბუნებაში ცხოვრება - საუკეთესო გზა არის ჯანსაღი სხეულით და სულით აღზარდოს ბავშვი.

ტყის საბავშვო ბაღები გერმანიაში. აქ საუბარი გვექნება გერმანულ „ტყის სკოლაზე“, რომელიც მდებრეობს დუსელდორფის განაპირას. ყველასთვის გასაოცარი იყო დუმილი, რომელიც აქ მეფობდა, მას არღვევდა ჩიტების ჭიკჭიკი, ფეხებ ქვეშ ტოტების ხრაშუნი და მაღალი ხეების თავზე მოქრიალე ქარი. მოშორებით ისმოდა დაბალი ხმა და სიცილი. მიახლოებისას დაიახავ სამიდან ექვს წლამდე ასაკის დაახლოებით თხუთმეტ ბავშვებს და რამდენიმე უფროსს. ისინი გამოწყობილი არიან ქურთუკებში და ფეხზე აცვიათ წყალგაუმტარი ჩექმები. აქვთ ყველაფერი აუცილებელი აქტივობებისათვის: წიგნები, პროგრამები, ისტრუნებტები და ა.შ. ისინი ინახება პატრა ნაგებობაში, რომლის ახლოს იყო მაგიდები და სკამები. დღე დაიწყო იმით, რომ ყველა იჯდა წრეზე მდელოზე ხის კუნძებზე დადებულ ჟურნალებზე და მღეროდენ გიტარის თანხლებით. მას შემდეგ, რაც ბავშვებმა იმღერეს, მოისმინეს რაღაც ისტორია. დილის წრის შემდეგ ბავშვები გაიქცნენ სათამაშოდ. ზოგიერთი თხრიდა მიწას, ზოგი კი დაკავებული იყო სავარჯიშოებით და ნაწილი წავიდა მოშორებით ტყეში, მაგრამ ყველანი იყო აღმზრდელის მხედველობის არეში, მაგრამ წარმოადგედნენ საკუთარ თავს, იყვენენ თავისუფალი არჩევაში. იქვე ახლოს იყო თოკით ჩამიკიდებული ხის საქანელა, რომელიც თავად ბავშვებმა გააკეთეს, თავად დაარეგულირეს თოკის სიგრძე. „თოკი ირწეოდა და ბავშვებს უხდდბოდათ გამოეჩიათ დიდი ძალისხმევა გამაგრებისათვის. ისინი სწავლობენ, თუ როგორ უნდა აკონტროლოსნ საკუთარი სხეული. ტყის სკოლის მასწავლებელი არ ამბობს: „მოდით დღეს გავაკეთოთ საქანელები!“. ისინი ეხმარებიან აღსაზრდელებს თავიანთი იდეების პრაქტიკულ რეალიზებაში, მაგრამ ინიციატივა ყოველთვის მოდის ბავშვებიდან (11).

სულ გერმანიაში დაახლოებით შვიდასი „ტყის სკოლა“ არის, მათი რიცხვი იზრდება. გერმანელები მიიჩნევენ, რომ ბავშვებმა მაქსიმალურად მეტი დრო გაატარონ ბუნებაში. მათთვის სასარგებლოა ბუნებასთან ახლოს ყოფნა, საერთოდ არ აღელვებთ, თუ ისინი ამისშედეგად თავიდან ფეხებამდე დაბინძურებული იქნებიან. სკოლამდელები არა მხოლოდ მთელი დღე სეირნებენ სუფთა ჰაერზე, არამედ სწავლობენ სხეულის კონტროლს, აღმოაჩენენ საკუთარ შესაძლებლობებს და არავინ აიძულებთ მათ ხელოვნური განრიგის დაცვას. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ გერმანული „ტყის სკოლების“ ბავშვები მის თანატოლებთან შედარებით, რომლებიც ქალაქის თანამედროვე ბაღებში დადიან, უფრო ყურადღებიანი და გამძლეები არიან,

ადვილად თანამშრომლობენ თანატოლებთან, იქცევიან მშვიდად და ნაკლებად ღიზიანდებიან. ასეთი ქცევის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ისინი ნაკლებ დროს ატარებენ ჩაკეტილ სივრცეში.

მთელი დილა ბავშვები დაკავებული არიან თავიანთი საქმიანობით: პატარა ლინა იჭერდა მინდვრის მწერებს, ნაწილი ბავშვებისა ტუმბავდნენ წყალს ტუმბოს გამოყენებით, რომელიც მათ სჭირდებოდათ სათამაშოდ. შუადღისას, ყველას უხმობენ სადილისათვის. შემდეგ ბავშვები იკრიბებიან გასასეირნებლად. იღებენ თავშეფასაფარიდან ინსტრუმენტებს და ჩანთებს ნივთებით და ნელა მიჰყვებიან გზას. თავად ბავშვები და არა მასწავლებელი განსაზღვრავს მოძრაობის სიჩქარეს, რომლითაც ისინი გადაადგილდებიან: არავინ გარბის, ისინი ხშირად ჩერდებიან, რათა კარგად შეხედონ და განიხილონ საინტერესო კუნძი, ხე ან ქვა.

„ტყის სკოლაში“ ბავშვები არ არიან დაყოფილი ასაკის მიხედვით და დატვირთული ბევრი წესებით. ისინი თავისუფლად გადაწყვეტენ, თუ რა უნდა გააკეთონ და ვისთან იმეგობრონ, და რაც მთავარია - მათ აქვთ ფართი/სივრცე ფანტაზიისა და საქმიანობისათვის.

დღეს გერმანიის ყველა საბავშვო ბაღში ბავშვებთან მუშაობა ეფუძნება თამაშს. 1970-იან წლებში, ქვეყანაში ჩატარდა სკოლამდელი განათლების რეფორმა, რომლის შედეგადაც საბავშვო ბაღების უმრავლესობა, ფაქტობრივად გარდაიქმნა საბავშვო სკოლად, რომელიც ორიენტირებულია სწავლაზე. რამდენიმე წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ასეთო დაწესებულებების გამოშვებული ბავშვები, არა თუ წინ უსწრებდნენ, არამედ ჩამორცებოდნენ მის თანატოლებს, რომელბიც ერთ დროს დადიოდნენ თამაშის ბაღში.

ბავშვები, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ მხოლოდ საბავშვო თამაშებით უკეთესად ითვისებდნენ მათემატიკას და კითხვას, უკეთ ითვისებდნენ ახალ მეთოდებს, ახალ მასალას და იყვნენ ემოციურად სტაბილურები. გარდა ამისა, ისინი გამოირჩევიან სწავლისადმი ინტერესით და შემეცნებისადმი შემოქმედებითი მიდგომით. ასე რომ გერმანიის მთავრობამ აღიარა რეფორმის არაეფექტურობა და თამაშით სწავლება კვლავ აღადგინეს.

გერმანიაში დაახლოებით 700 ბაგა-ბაღია, რომელიც მდებარეობს პირდაპირ ტყეში. აქ, ბავშვები ეცნობიან მსოფლიოს არა ფირფიტის ეკრანით, არამედ გარშემო არსებული ველური ბუნებით, მისი კანონზომიერებებისა და რითმების გაცნობით. ბავშვებს უჩნდებათ გარემოს მიმართ სიყვარული და პატივისცემა.

არ აქვს მნიშვნელობა რა ამინდი არის დღეს გარეთ, ბავშვები ატარებენ მთელ დღე საბავშვო ბაღში სუფთა ჰაერი, შევიცნოთ მსოფლიოში ტყეში. ტყის საბავშვო ბაღის დევიზია - „არ არსებობს ცუდი ამინდი, არსებობს მხოლოდ ცუდი ტანსაცმელი“. აქ ბავშვები ზუსტად ისე არიან დასაქმებული როგორც ჩვეულებრივ ბაღში: ცეკვავენ, მღერიან, რა თქმა უნდა აშენებენ სახლებს თიხითა და ტოტებით, სწავლობენ კოცონის დანთებას და ერთობიან ტალახში.

ერთადერთი უარყოფითი ის არის, რომ იქ მისვლას საკმაოდ დიდი დრო ჭირდება.ზოგიერთ ტყის ბაღამდე 2-3 საათი არის საჭირო. ის არ თბება და ტუალეტები არის ბუნებაში.

ახლა იგივე საბავშვო ბაღების შექმნას ცდილობენ ამერიკაში. რატომ არ უდა სცადონ ამის გაკეთება ჩვენთან ერთად.

მაღალი შესაძლებლობების მქონე სკოლები

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, დოქტორ დეივიდ ვეიკარტმა განავითარა ახალი მიდგომა, რომლის მიზანი იყო დახმარებოდა სკოლაში წარუმატებლობის რისკ ჯგუფში არსებულ ბავშვებს. მიჩიგანში, შეერთებული შტატები მაღალ კლასში დაბალი მოსწრება, იყო ის პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ისახავდა მიზნად მოცემული ადრეული განათლების კურიკულუმი. დღეს ის ერთერთი ყველაზე გავრცელებული მიდგომაა მსოფლიოში. ეს მიდგომა ეფუძნება, როგორც დღემდე დაგროვილ თეორიულ ცოდნას ადამიანის განვითარებისა და სწავლების სფეროში, ასევე 40 წლიან კვლევებსა და გამოცდილებას. იგი „ძირითადად ეყრდნობა პიაჟეს თეორიას. „მაღალი შესაძლებლობების“ მოდელის წამყვანი იდეებია:

- პრაქტიკა უნდა ეფუძნებოდეს თეორიას. აღმზრდელები და ადმინისტრატორები უნდა მუშაობდნენ ისე, რომ პრაქტიკასა და თეორიას ტოლ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, და მათზე დაყრდნობით განხორციელებული პროცესი მიმართული უნდა იყოს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებისაკენ, აქტიური სწავლების გამოყენებით.

- აქტიური სწავლება. განვითარება და სწავლება დევს ბავშვში, შესაბამისად უფროსების როლია მხარი დაუჭირონ და მიმართულება მისცენ ბავშვებს მათი აქტიური სწავლების თავგადასავლებსა და გამოცდილებაში. ბავშვები კეთებით სწავლობენ, რეალურ კონტექსტში მიღებულ გამოცდილებების საფუძველზე.
- ბავშვზე ორიენტირება. ბავშვი არის მიდგომის ცენტრი, ყველა ის სტრატეგია, რომელსაც ვიყენებთ დაეხმარება მა,ს რომ მიაღწიოს თავისი პოტენციალის მაქსიმუმს. ბავშვი არის აქტიური მოსწავლე, რომელიც ინაწილებს ძალაუფლებას უფროსთან.
- ინდივიდუალური მიდგომა. თითოეული ბავშვი არის მნიშვნელოვანი და განსხვავებული. რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლის როლია თითოეულ ბავშვს მოარგოს კურიკულუმი - გაითვალისწინოს თითოეულის ინტერესი, შესაძლებლობები და საჭიროებები.
- ოჯახის ჩართულობა მნიშვნელოვანია. აღმზრდელები მუშაობენ ბავშვთან არა მხოლოდ ბაღში, არამედ გეგმავენ შეხვედრებს სახლშიც, რათა იმუშაონ მათ მშობლებთან და გააცნონ მაღალი შესაძლებლობების მიდგომა“ (3).
- მაღალი შესაძლებლობების კურიკულუმის მოდელში მოცემულია „განვითარების შესაბამისი ინდიკატორები“, რომელიც წარმოადგენს პროგრამის მიზანს თითოეული ბავშვისთვის. მოცემულია 58 ინდიკატორი, რომელიც დაყოფილია სფეროების მიხედვით - სოციალურ-ემოციური განვითარება; ფიზიკური განვითარება და ჯამრთელობა; მეტყველება, წიგნიერება და კომუნიკაცია; მათემატიკა; შემოქმედებითი ხელოვნება; მეცნიერება და ტექნოლოგია; სოციალური განვითარება - და ამ სფეროებში აღწერს ბავშვის ქცევას, რომელიც მიგვანიშნებს მის ცოდნასა და უნარებზე კონკრეტულ სფეროში.

ფიზიკური გარემო მაღალი შესაძლებლობების კურიკულუმის მოდელში სასწავლო ცენტრებად არის დაყოფილი. ოთახში თვალსაჩინოდ გამოყოფილია ფუნქციური სივრცე, რომელშიც ავეჯი და რესურსი ამ სივრცის ფუნქციიდან გამომდინარე არის შერჩეული. მაგალითად კონსტრუქციული ცენტრი მდებარეობს ხალიჩაზე, რომელიც თვალსაჩინოდ გამოყოფს მას სხვა დანარჩენი ცენტრებისგან. ამ ცენტრში არსებულ თაროებზე აწყვია ტიპებად ორგანიზებული სხვდასხვა კუბები ასევე დახარისხებული სხვადსხვა კალათში სატრანსპორტო სათამაშოები, პატარა ზომის გარეული ცხოველები და შინაური ცხოველები.

ასეთი განლაგება ოთახში საშუალებას იძლევა, რომ აქტივობების მრავალფეროვანი არჩევანი იყოს ნებისმიერ მომენტში. ოთახში იმდენი აქტივობაა, რამდენი ცენტრიც. თუმცა მათი ინიცირება არ ხდება მხოლოდ მასწავლებლის მიერ ინსტრუქტაჟის საშუალებით, ხშირად მომარაგებული მასალა საკმარისია აქტივობის ინიცირებისთვის. მაგალითად, აღმზრდელი დრამატულ ცენტრში აკრავს ადამიანის სხეულის შესახებ პლაკატებს, ათავსებს პატარა მაგიდას უკან ერთი და წინ ორი სკამით. უკანა სკამზე კიდებს თეთრ ხალათს და კალეიდოსკოპს, მაგიდაზე აწყობს სათამაშო ნემსებს და სხვა საექიმო ნივთებს; მოსული ბავშვები არ იღებენ ინსტრუქციას აღმზრდელისგან, თუ რა უნდა გააკეთონ, მაგრამ შესული ცენტრში ყველა ექიმობანას თამაშს იწყებს.

ამ მოდელისთვის მხოლოდ მასწავლებლის ან მასალის მიერ ინიცირებული, დაგეგმილი აქტივობები, არ არის მნიშვნელოვანი. მოდელში ხაზგასმულია დაუგეგმავი, ანუ ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები და რუტინული აქტივობები, როგორც ერთერთი მნიშვნელო-

ვანი გამოცდილებაა სწავლებისა და განვითარებისთვის. თუმცა მიჩნეულია, რომ მხოლოდ კეთება არ არის საკმარისი სწავლებისთვის, ამიტომ მაღალი შესაძლებლობები იყენებს „და-გეგმე-გააკეთე-განიხილე პროცესს:. ეს პროცესი ძირითადად ასე წარიმართება დღის მან-ძილზე: ბავშვი დილის წრეზე გეგმავს იმ აქტივობებს, რომლის განხორციელებაც სურს, შემ-დეგ ახორციელებს მათ, ხოლო საღამოს წრეზე არჩევს მიღებულ გამოცდილებას სრულ ჯგუფთან. დაგეგმვისა და რეფლექსიის პროცესი თითოეულ აქტივობის მიმდინარეობისასაც შეიძლება შეგვხვდეს, როდესაც ბავშვი წინასწარ ცდილობს გამოიცნოს შეგროვილი ნივთე-ბიდან, რომელი ჩაიძირება და რომელი იტივტივებს ავზში, შემდეგ ცდის და ამ ნივთებით ითამაშებს წყალში, ბოლოს კი დაასკვნის, რომ ფოთოლი არ იძირება ქვა კი ფსკერზე ჩადის, მაგრამ როდესაც ქვა ფოთოლს დაადო, ფოთოლიც ჩაიძირა.

ამ მოდელში აღმზრდელის როლია ეფექტური გარემოს შექმნა, რაც ერთი მხრივ, საჭირო მასალითა და რესურსებით მომარაგებას და პოზიტიური ურთიერთობების წახალისებას გუ-ლისხმობს; მიზანმიმართულ ინტერვენციას კი საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს, ეს შეიძლება იყოს აქტივობის დაგეგმვა, ახლი სტრატეგიის შემოტანა პრობლემის გადასაჭრე-ლად, ცვლილებების დაგეგმვა გადასვლებში და სხვა.

ამ ქვეთავში მოცემული მოდელები არ შეადგენს თანამედროვე ეფექტური კურიკულუმის მოდელების ამომწურავ სიას. შესაბამისად სრული სურათის შესაქმნელად გაეცანით სხვა მოდელებსაც, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ სხვადასხვა ქვეყანაში და ექ-სპერტებს შორის, მათი ეფექტურობის გამო (3).

კითხვები ანალიზისა და თვითშეფასებისათვის

1. ქვეყნების მიხედვით მოკლედ დაახასიათეთ ტყის საბავშვო ბაღების პედაგოგიურ-ფასიქოლოგიური მახასიათებლები.
2. „მაღალი შესაძლებლობების“ მოდელის რომელ წამყვან იდეებს იცნობთ?
3. მოკლედ დაახასიათეთ მაღალი შესაძლებლობების ბაღების პედაგოგიურ- ფასიქო-ლოგიური მახასიათებლები.

ლიტერატურა

1. მედინსკი ე., პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1940 .
2. ლობჟანიძე ს., აღზრდის ეთიკური პრინციპები ეპოქალური ცვალებადობის შუქზე, დისერტაცია პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2006 წ., www.nplg.gov.ge
3. ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბილისი, 2015.
4. Николаева С. Н. Система екологического воспитания дошкольников, Москва, 2011.
5. Сорокова М.Г. Современное дошкольное образование: США, Германия, Япония: актуальные проблемы и пути развития, М. 1998 г.
6. Топоркова О.В., ПОНЯТИЕ "КУРРИКУЛУМ" В СИСТЕМЕ БРИТАНСКОГО ДОПОЛНИТЕЛЬНОГО, ИЗВЕСТИЯ ВолгГТУ, Волгоградский государственный технический университет

7. ДАВИДОВИЧ А., О некоторых вопросах развития системы дошкольного Образования в контексте мирового Опыта, praleska-rud-by.
8. Парамонова Л. А., Протасова Е. Ю. Дошкольное и начальное образование за рубежом: История и современность: Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб, заведений М.: Издательский центр «Академия», 2001.
9. Зарубежные семейные детские сады.Описание зарубежного опыта работы семейных детских садов.,rodonaya-tropinka.ru
10. **Лесной детский сад** , https://ru.wikipedia.org/wiki/Лесной_детский_сад.
11. Лесной детский сад или детский сад на природе по-немецки, Опубликовано 23.08.2014 23:26, kid-bum.com › ВОСПИТАНИЕ.
12. Детский сад в Японии, Германии, Дании: никаких занятий, только игры, www.7ya.ru › До школы › Детский сад.
13. А вы слышали о лесных детсадиках? Это новый подход в воспитании, https://www.adme.ru/.../a-vy-slyshali-o-lesnyh-detsadikah-eto-novy..
14. www.highscope.org
15. .http://preschooleducation.ge
16. http://www.wildflowers-kindergartens.co.uk/
17. **http://www.helsingborg.se/startsida/toppmeny/english/preschool-and-education/**
18. http://mastsavlebeli.ge
19. www.college-hq.com/ka/obrazovanie-v-danii
20. Waldkindergarten - лесные детские сады из Германии, **Экологическое воспитание, осознанное родительство**, rodovid.me/.../waldkindergarten---lesnye-detskie-sady-iz-germanii.

§ 11. რეჯიო ემილიას საგანმანათლებლო ფილოსოფია

ადრეული განათლება წარმოადგენს უმნიშველოვანეს ინვესტიციას, როგორც ბავშვის მომავალი აკადემიური, პიროვნული და სოციალური განვითარებისათვის, ისე საზოგადოების განვითარებისათვის.შეიქმნა ბევრი ტექნოლოგია. განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი, რომელიც რეჯიო ემილიას პედაგოგიკის სახელით არის ცნობილი.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველ წლებში შეიქმნა და დაიბადა რეჯიო ემილიას პედაგოგიკა, იტალიის ჩრდილოეთით მდებარე ამავე სახელობის ქალაქში. ამ ქალაქში ერთ დღეს გადაწყვიტეს, რომ ომის მოწინააღმდეგე თაობები აღეზარდათ.ამისათვის საჭირო იყო ახალი გზა, რომლის საჭიროებაც იგრძნო და დაინახა ლორის მალაგუცემ.

ლორისი წლების მანძილზე ქალაქის საბავშვო ბაღებში მუშაობდა და ძალიან დიდ გამოცდილებას და ცოდნას ფლობდა.ის საკუთარ თავს სკოლამდელი განათლების სისტემის „პროვოკატორს“ ეძახდა, რადგან მუდმივად ძიების, გარკვევის პროცესში იყო.



ლორის მალაგუცი

ლორის მალაგუცი დაიბადა იტალიაში 1920 წელს. ის გაიზარდა ფაშისტურ იტაიაში. იყო მძვინვარე ომის მოწმე. ჯერ კიდევ ომის დროს დაამთავრა მასწავლებლის კურსები, შემდეგ ჩაირიცხა ფსიქოლოგთა კურსებზე.

ერთ დღეს, ქალაქგარეთ ველოსიპედით მორიგი სეირნობის დროს, მან დაინახა გამორჩეული სურათი, რომელმაც მასზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა და აიძულა შეჩერებულიყო. ერთი სოფლის მცხოვრებლები, დიდი და პატარა, აგროვებდნენ სილას, ქვებს, ხისმასალას ახალი სკოლის ასაშენებლად. ლორისმა გადაწყვიტა დარჩენილიყო და დახმარებოდა მათ. ეს სკოლა დღესაც არსებობს 20 წუთის სავალზე ქალაქ რეჯიო ემილიადან.

1950 წელს მალაგუცემ გახსნა მუნიციპალური ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური სამედიცინო ცენტრი რეჯიო ემილიაში, სადაც იმუშავა 20 წელზე მეტი. მეოცე საუკუნის სამოციან

წლებში ქალაქის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით და დახმარებით გახსნა პირველი მუნიციპალური სკოლამდელი ცენტრი. მალე მისივე ხელმძღვანელობით გაიხსნა მუნიციპალური ბაღები, საბავშვო ცენტრები, აღმზრდელთა სკოლა. ამასთან ის გახდა ავტორი მანიფესტისა ბავშვთა, მშობელთა და მასწავლებელთა უფლებების დაცვისა, რომელსაც ზედმიწევნით იცავენ რეჯიო ემილიას სკოლებში.

„რეჯიო ემილიაში ბევრი სკოლამდელი დაწესებულებაა: 47% მათგანი საჯარო, 34% - კათოლიკური (იტალიაში, ზოგადად, 30%), 13% - სახელმწიფო (მთლიანად იტალიაში- 50 %) (დანარჩენი კერძო ან სააქციო). ტრადიციული იტალიური ოჯახი შედგება შემდეგი წევრებისაგან: მამა, დედა და ერთი, იშვიათად ორი შვილი. ამ მხარეში არ არსებობს უმუშევრობა, არ არის მიგრაცია, არ არის მოსახლეობის ზრდა. თაობებს შორის ძლიერი კავშირებია, თაობათა კონფლიქტები არ შეინიშნება. ოფიციალურად ქორწინება ხშირად არ არის დამოწმებული.თუკი კათოლიკური წესით მოხდა, საკმაოდ გვიან, როდესაც ადამიანები ცხოვრობენ ერთად მრავალი წლის განმავლობაში და ისიც იშვიათ შემთხვევებში.ეს ხელს არ უშლის იმ ფაქტს, რომ არსებულ ოჯახებს გააჩნიათ მყარი და ძლიერი ოჯახური ურთიერთობების ქსელი. ოჯახში ბავშვი - ეს არის, როგორც ფუფუნების საგანი, რომელიც ლამაზად ჩაცმულია, რომლითაც ერთობიან“ (3. გვ.60).

რეჯიო ემილიას სისტემა, ლორის მალაგუცის სისტემა, დაიბადა პრაქტიკულ მუშაობაში, და არა რაიმე განსაკუთრებული პედაგოგიური კვლევიდან. ახალი პედაგოგიური გზის დასაწყისში ჩადებული იყო "ახალი" ადამიანის აღზრდის სურვილი. რეჯიო ემილიას პედაგოგიკა ჰარმონიულად აერთიანებს ბავშვს, მის მშობლებს და გარე სამყაროს.მთავარი პოსტულატია : ბავშვს აქვს განათლების და განვითარების უფლება, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა და სოციალური სტატუსისა. მთავარი პრინციპი კი ასეთია : აღზარდე დემოკრატიულად, სოციალური სამართლიანობის და სოლიდარობის შეგრძნებით.

ლორის მალაგუცი ბავშვებთან ერთად

იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოების დამოკიდებულება იყო ფრთხილი მათ უწევდათ დოკუმენტურად დაეფიქსირებინათ თითოეული პედაგოგიური გადაწყვეტილება, რათა ყოველთვის ყოფილიყო შესაძლებელი იმის დამტკიცება, რომ ბავშვებს არაფერს ცუდს

არ უკეთებდნენ. მაგალითად, მთელი კვირის განმავლობაში სწავლება ჩატარდა პირდაპირ ქალაქის ცენტრში, პარკში, რათა მეთოდი ღია გაეხადათ ყველასთვის.

საბავშვო ბაღები არის ადგილი, სადაც ურთიერთქმედებენ აღმზრდელები, ბავშვები და მშობლები, და მათი ურთიერთობა სხვადასხვაგვარია, ვრცელი, გამყარებული გადაცემული ინფორმაციით, რომელიც თითქოს და გადაიცემა "ას ენაზე" - ყველა შესაძლო გზით. თანამშრომლობის სულისკვეთება, ინდივიდუალური და კოლექტიური ძალისხმევის შერწყმა, ურთიერთობა ზრდის, განვითარებისა და სწავლის, სხვადასხვა სახის ურთიერთობა გარე სამყაროსთან და საბავშვო ბაღის შიგნით შეადგენს რეჯიო ემილიას ფილოსოფიის არსს.

ბავშვი შედგება ასეულისგან, - წერს ლ.მალაგუცი თავის ერთ-ერთ ლექსში, - ბავშვს აქვს ასი ენა, ასი ხელი , ასი აზრი, აზროვნების ,თამაშის და საუბრის ასი ხერხი,. ასი, ყოველთვის ასი გზა მოსმენის , აღფრთოვანების, სიყვარულის. ასი ბედნიერი განცდა, რათა იმღერონ და გაიგონ, ასი სამყარო, რათა გააკეთონ აღმოჩენები, ასი სამყარო, რათა განახორციელონ გამოგონება, ასი სამყარო, რათა იოცნებონ. ბავშვს აქვს ასი (და კიდევ ასი, ასი, ასი) ენა, მაგრამ მას პარავენ ოთხმოცდაცხრამეტ მათგანს. სკოლა და კულტურა აცილებენ ერთმანეთს თავსა და სხეულს. ისინი ასწავლიან ფიქრს ხელების გარეშე, კეთებას თავის გარეშე, მოსმენას დუმილით, სიყვარულს და აღფრთოვანებას მხოლოდ აღდგომას და შობას. ისინი ასწავლიან უკვე არსებული სამყაროს აღმოჩენას და ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ სამყაროს იპარავენ. ისინი ასწავლიან: თამაში და მუშაობა, რეალობა და ფანტაზია, მეცნიერება და წარმოსახვა, ცა და დედამიწა, გონება და ოცნება - ისეთი საგნებია, რომ არ არიან თავსებადი ერთმანეთთან. ზოგადად, ასწავლიან, რომ არ არსებობს არავითარი ასეული. ბავშვი კი ამბობს: „ასეული არის აქ“ (3. გვ.62).

იმ მომენტში, როდესაც რეჯიო ემილიაში დაიწყო საბავშვო ბაღების შექმნა, ოლქის ტერიტორიაზე აღინიშნება მოსახლეობის მატება, აგორდა ქალთა მოძრაობის ტალღა ,საზოგადოებრივი სკოლამდელი განათლების ორგანიზებამ და მშენებლობამ კი გამოიწვია საერთო ენთუზიაზმი და უსასყიდლოდ მუშაობის სურვილი . მონაწილეობდა ზოგადად, ყველა ზრდასრული და არა მხოლოდ მშობლები, რადგან ისინი დიდ იმედებს ამყარებდნენ მომავალ თაობაზე.

სკოლამდელი დაწესებულებების უმეტესი ნაწილი რეჯიო ემილიაში აშენდა 70–ანების შუა წლებში, და ამჟამად ძველი ქალაქის მოსახლეობის 130 ათას მოსახლეზე 22 ბაღია (3 - 5 წლის ასაკის ბავშვებისთვის). და 13 საბავშვო ბაგა (0 - 3 წლის ბავშვებისათვის) , რომლებიც მუშაობენ ამ მეთოდით. შესვლის მსურველი ძალიან ბევრია, და მათ უნდა ჩააბარონ გამოცდა. გამოცდის გარეშე ღებულობენ მხოლოდ განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებს, მარტოხელა მშობელთა შვილებს.

„რეჯიო-ემილიას მეთოდოლოგიაში” ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სააღმზრდელო ჯგუფების ინტერიერი, რომელიც რეკომენდირებულია ჯანსაღი ფსიქიკის განვითარებისთვის. საბავშვო ბაღის სივრცე დატვირთულია ბავშვისათვის სასარგებლო ვიზუალური და ტაქტილური ინფორმაციით, ნივთებით, რომლების ხელში აღება საინტერესოა, რათა გაერკვე მათ მოწყობილობაში, გამოიყენო თამაშში: ეს არის უზარმაზარი რაოდენობის ბუნებრივი მასალები (ფოთლები, თესლი, ტოტები და ა.შ ...) და მათი შესასწავლი სხვა ნივთები

(გამაძლიერებლები, ლუპები, მიკროსკოპები, განათებიანი მაგიდები, ხის და საზეინკლო ინ-სტრუმენტები და ასე შემდეგ), სხვადასხვა დიზაინერები (კონსტრუქტორები) და სათამაშოე-ბი, მძივები და საღებავი, უსარგებლო მასალები. ავეჯი გამოიყენება ძველებური (კომოდები, ყუთები, უჯრები, კალათები და თაროები), რომელსაც აქვს "ინდივიდუალური სახე" და ნელ-ნელა ივსება ბავშვების მასალებით და ნამუშევრებით. საბავშვო ბაღში მუდმივად მუ-შაობს ატელიელისტი მხატვარი, რომელიც იგონებს, თუ როგორ უნდა დაეხმაროს ბავშვებს აღმოაჩინონ სამყარო. შემოქმედება, ფანტაზია - ეს არის ის, რაც ყველაზე მეტად ვითარდება ასეთ სკოლამდელი დაწესებულებაში. ბავშვები ძალიან ბევრს ხატავენ და გამოსახავენ, იყენებენ სხვადასხვა მასალებს. პირველი შთაბეჭდილებები, როგორც წესი, გადმოიცემა ფლომასტერით, შემდეგ ტექნიკა რთულდება, მაგრამ, საბოლოოდ, შეიძლება შეიქმნას დიდი საერთო პანო. ინტერესი თითოეული ბავშვის მიმარტ იწვევს მისი ნაწარმოებების კრებულის შექმნას საბავშვო ბაღში ყოფნის დროს“ (3. გვ.68).

საბავშვო ბაღში აღსაზრდელებისათვის განკუთვნილია საუზმე, სადილი და ვახშამი. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ეს არის შესაძლებლობა შეხვდნენ ერთმანეთს ერთ სასადილოში. საერთო ადგილი თამაშები სათვის არის შენობის შიდა ეზო და სასეირნო მონაკვეთი.

სკოლამდელი დაწესებულებები აგებულია ისე, რომ გამოიწვიონ ბავშვთა ცნობისმოყ-ვარეობა და წყურვილი. თითოეული სკოლამდელი დაწესებულების ცენტრში , იტალიური ტრადიციის მიხედვით, მდებარეობს "პიაცა" -ყველა ბავშვის შეხვედრის ადგილი; აქვეა ში-და ეზო ან ზამთრის ბარი მწვანე მცენარეებით. თითქმის ყველა კედელი გამჭვირვალეა ან გააჩნია ბევრი ფანჯარა. ბევრი გამჭვირვალე კედელი და მინაა, ასე, რომ ყველას შეუძლია და-ინახოს, სად რა მოხდა; თავდაპირველად ცოტა რთული ორიენტირება, რადგან ძალიან ბევ-რი რამ ხდება ერთდროულად. ბაგაში კარის ზედა ნაწილი მინისაა, ქვედა ნაწილში არსებობს ფანჯარა, ასე რომ მცოცავ ბავშვებსაც შეუძლიათ სხვების დანახვა , და ისინიც ჩანან. ყველ-გან, მათ შორის იატაკზე, სარკეებია, და ეს პრინციპულია: ეს მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები ყოველთვის ადევნებდნენ თვალს საკუთარ თავს, ადარებდნენ თავს სხვებს, გაანალიზონ მოძრაობები და ქმედებები. დარბაზში - დიდი სათამაშო ელემენტებია: პირამიდები, სახლე-ბი, მანქანები, სპორტული ინვენტარი (გორაკი, ფუბა, კიბეები, და სხვა ...), სათამაშოები, ისე-ვე როგორც ზამთრის ბაღი მინის კედლით სახურავის გარეშე ან გამჭვირვალე სახურავით, ისე, რომ მისგან მოდის მწვანე ნათება. საბავშვო ბაღს ერთი შესასვლელი აქვს, მაგრამ სხვა-დასხვა ოთახებს აქვს ქუჩაში გასასვლელი. ბავშვების გამოსაყენებელი ნივთების წარმოები-სათვის იღებენ მასალებს , რომლებიც განსხვავდებიან შეხების დროს და სხვა თვისებებით: რბილი, მსუბუქი, მძიმე, ხაოიანი, დაქანებული, მუქი, მსუბუქი და ა.შ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაგა–ბაღის ასაკის პერიოდის ბავშვებისათვის.სამზარეულო მდებარეობს შესასვლელთან, საერთო სასადილო დარბაზის ნაწილია. მზარეული საბავშვო ბაღის ცხოვრე-ბის აქტიური მონაწილეა. ყველა ბავშვი რიგრიგობით ეხმარება მას მზადებაში (ნამდვილად მონაწილეობენ საკვების მომზადებაში: ჭრიან, ურევენ , ზელენ და ა.შ.), აწყობენ მაგიდებს, ალაგებენ. მათ შეუძლიათ მოიტანონ თავიანთი რეცეპტები და მოამზადოსნკერძები მათ მი-

ხედვით. ყოველდღიური მენიუ წერია დიდი ასოებით, და აქვეა კერძის ფოტო, ასე, რომ ბავ-შვებსაც შეუძლიათ უკეთ გაიგონ, რას მიირთმევენ ისინი დღეს. მშობლებს უყვართ მზარე-ულთან საუბარი. ისინი ხშირად განიხილავენ, თუ რა და რამდენი შეუძლია ჭამონ მათმა შვილებმა, და საბავშვო ბაღში ან ბაგაში ცდილობენ გაითვალისწინონ ბავშვების გემოვნება , ამავე დროს, აჩვევენ ახალს.თითოეულ ასაკობრივ ჯგუფს გააჩნია ერთი დიდი საკლასო ოთახი; ბიბლიოთეკა ან კუთხე, სადაც შეიძლება წაიკითხოთ, მოუსმინოთ მუსიკას ან ზღაპა-რი, იხილოთ სურათები; მინი-სახელოსნო; ტუალეტი, სადაც არის პირსაბანი. საშხაპეს ნაწი-ლი მოწყობილია წყლის თამაშებისთვის. ბაგების ჯგუფებში საძინებელი გადაწყვეტილია განსხვავებულად: სპეციალური ოთახი ჭერიდან დაკიდებული ნაჭრებით; ლეიბები; ორსარ-თულიანი საწოლები. საბავშვო ბაღებში ისვენებენ ოთახებში, ვისაც სურს - იძინებს.თუ შე-საძლებელია, ბავშვების საუბარი და ქმედებები იწერება ფირზე ან იღებენ სურათებს, იწე-რენ ვიდეოზე. აღირიცხება ყველა ეტაპზე მუშაობა, და ბავშვთა საქმიანობის შედეგები ქვეყ-ნდება სტენდებზე და უბრალოდ ოთახში. არქივის ჩატარდა შექმნა იწყება დასაბამიდან, მხო-ლოდ უმჯობესდება ფიქსირების მეთოდები . ასეთი მასალების შესანახად ყველა საბავშვო ბაღს აქვს საკუთარი არქივი. თითოეული ბავშვისათვის იქმნება საკუთარი საქაღალდე დო-კუმენტებით (ფოტო, ნახატი, მოთხრობების ჩანაწერები, სუვენირები და ა.შ.), რომლის ყიდვა მშობლებს შეუძლიათ, როდესაც ბავშვი წავა სკოლაში. ფოლდერში ტოვებენ ცარიელ გვერ-დებს, რათა მშობლებმა და ბავშვმა განაგრძონ მისი შევსება.გარდა ამისა, არსებობს საერთო პედაგოგიური ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია მასწავლებელი, რომელთაგან თი-თოეული ზედამხედველობას 4 - 5 დაწესებულებებას. ისინი არ მონაწილეობენ ბავშვებთან მუშაობაში , მაგრამ მუშაობენ პერსონალთან, მიდიან საბავშვო ბაღებში ან ბაგაში მინიმუმ კვირაში ერთხელ. ისინი აგრეთვე ორგანიზებას უწევენ სასწავლო კურსებს მათი მასწავლებ-ლებისათვის და სემინარების უცხოებისათვის. მუდმივი კომუნიკაცია, სპეციალური ლექცი-ების მოსმენა,დოკუმენტაციის ანალიზი - ფაქტორები, რომლებიც იძლევიან პროფესიონალი პედაგოგების ჩამოყალიბების საშუალებას.

„საბავშვო ბაღები რეჯიო ემილიაში ღიაა სექტემბრის დასაწყისიდან ივნისის ბოლომდე . თანამშრომლები მოდიან სამუშაოდ ბავშვებზე ადრე და მიდიან მათზე გვიან, საშვებულებოდ ემლევათ ექვსი კვირა. თითოეულ ბაღში 3 - 4 ჯგუფია, თითოში 25 ბავშვია, ჩვილი ასაკის ბაგების ჯგუფებში 15 ბავშვია, უფრო მოზრდილში - 20. ყველა აღმზრდელს აქვს უმაღლესივსაუნივერსიტეტო განათლება (სწავლების 6 წელი), განსხვავებით ჩვეულებრივი პრაქტიკისაგან, სადაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არ საჭიროებს სასწავლო პერსონალის სპეციალურ განათლება. თითოეული ჯგუფში მუშაობს ორი აღმზრდელი. გამგე საერთოდ არ არის: საქმეს ინაწილებს ყველა; გარდა ამისა, არსებობს სკოლამდელი დაწესებულების საბჭო, რომელიც აკონტროლებს მის საქმიანობას. დამხმარე თანამშრომლების მოვალეობები მოიცავს მომსახურებას, დალაგებას,დახმარებას ბავშვების ჩაცმის დროს და ასე შემდეგ (დაახლოებით ერთი თანაშემწე ჯგუფში). თანაშემწეები ჩართული არიან ყველა საქმეებში ჯგუფში, პროექტებში, კადრების მომზადებაში. ხდება კონფლიქტები და დავები, მაგრამ აქ მიაჩნიათ, რომ დისკუსიების შედეგად ჩნდება ახალი იდეები, ინგრევა მავნე სტერეოტიპები და გზას იკვლევენ ახალი იდეები.ყველა (მოზრდილები და ბავშვები) აუცილებლად იწყებს საქმიანობას 8.00 და ასრულებს 16.00 საათზე. იმის გამო, რომ არსებობენ ბავშვები,რომლებიც მოდიან 7.30 და რჩებიან 18.20–მდე, მათ მოსავლელად მოდიან სპეციალური ადამიანები, რომლებიც მუშაობენ ნახევარ განაკვეთზე. ყველა ბავშვი ერთად არიან დღეში მხოლოდ ერთხელ: დილის 9:00 საათზე საუბარზე - შეკრებაზე ან ფორუმზე, სადაც ბავშვები და დიდები მსჯელობენ, თუ რა ხდება საბავშვო ბაღში, საინტერესო თუ არის გასაკეთებელი და როგორ შეიძლება განვითარდეს და დაიწყოს ახალი პროექტები. განიხილავენ, რით არიან ახლა დაინტერესებული ბავშვები, რა უნდა გაკეთდეს დღეს, რა პროექტები გრძელდება, რა არის ახალი, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საკითხებზე ,დღეს არსებულ პრობლემებზე საუბრობენ. შემდეგ ყველა მიდის საქმეზე. ყველა ბავშვი მოჰყავთ თითქმის ერთდროულად, რადგან შეხვედრის მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია. თითოეულ ბავშვს მოაქვს დაფა მისი ფოტოსურათით, რომელიც მიაქვს საღამოს, ასე, რომ მასწავლებელმა ყოველთვის იცის, ვინ არის აქ და, ვინ წაიყვანა უკვე მშობლებმა. საბავშვო ბაღში ბავშვებს აქვთ შიდა ფოსტა: ყუთები თითოეული მათგანისთვის, რომელშიც ყველა უწყობს ერთმანეთს წერილებს და ნახატებს“ (3. გვ.70).

წარმატების ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა - ყველა მონაწილის ეფექტური მუშაობა სასწავლო პროცესში. ასე რომ, არც ერთი აღმზრდელი არ იცლის სხვა საქმისთვის იმ დროს, როდესაც არის ბავშვებთან: 31 საათი კვირაში ჯგუფში; 4.5 საათი დოკუმენტაციის დამუშავებაზე, დისკუსიები, შეხვედრების დაგეგმვა; 0.5 საათი ტრენინგის მასალები და ორგანიზაციული საკითხები (სულ 36 საათი კვირაში). თუმცა, ბევრი მასწავლებელი რჩება სამუშაო საათების შემდეგ : ამას მოითხოვს დაკვირვებული გააზრება იმისა, თუ რა ხდება, საბავშვო ბაღში.

მშობლების და მასწავლებლების ურთიერთქმედება - არის პედაგოგიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. ერთობლივი დაგეგმვა და დისკუსია, კოლექტიური გადაწყვეტილების კოლექტიური მიღება, მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ხდება, რას მიაღწიეს მოსწავლეებმა, იკავებს უმეტეს დროს და ემსახურებააღმზრდელების შემდგომი პროფესიულ განვითარებას. ერთობლივი ღონისძიებები ხორციელდება დასვენების დღეებშიც, რაც უფრო აერთიანებს უფროსებს და ბავშვებს. მშობლები ჩართულნი არიან მრავალ ლაშქრობებში და ექსკურსიებში, მასალის დოკუმენტირებასა და დამუშავებაში , ფულის შეგროვებაში სხვადასხვა ბაზრობებში და სხვა ღონისძიებებში ბავშვებთან ერთად. შეადგენენ და იცავენ ბავშვების, მასწავლებლების და მშობლების უფლებების დაცვის ქარტიებს. მშობლებს შეუძლიათ ბავშვებთან მუშაობა. თუ მშობლებს, ბებიებსა და ბაბუებს შორის არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან აჩვენონ, თუ რა შეუძლიათ გააკეთონ, ისინი მოდიან საბავშვო ბაღში და დაკავებული არიან მათთვის საყვარელი საქმით (მაგალითად, წნიან კალათებს), და ბავშვები უსვამენ კითხვებს და თვალს ადევნებენ მათ ქმედებებს. მშობელთა კრებები, ზოგჯერ ტარდება მოწვეული სპეციალისტების მიერ ლექციების სახით 1 -2 თვეში ერთხელ. მასწავლებლები მშობლებს ყოველდღიურად ესაუბრებიან, მინიმუმ რამდენიმე წუთი. მნიშვნელოვანია, რომ ისინი იზიარებდნენ საბავშვო ბაღის იდეოლოგიას და არ ეწინააღმდეგებოდნენ საკუთარი პრეტენზიებით პერსონალის მოთხოვნებს.

ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება ბავშვების ასაკით. იგულისხმება, რომ ყველა ბავშვი იქნება ერთად დასაწყისიდან ბოლომდე და ერთ და იგივე აღმზრდელთან. ახალი ბავშვები არასოდეს არ ემატებიან სასწავლო წლის განმავლობაში. ბაღში შემოსვლამდე ბავშვი მშობლებთან ერთად წინასწარ ეცნობა აღმზრდელებს, ბაღის შენობას და ა.შ. თუ ბავშვი გადადის სხვა ქალაქში, განშორება იქცევა დიდ მოვლენად ჯგუფის სხვა ბავშვებისათვის. თუ ბავშვი ავად არის, მას ესაუბრებიან ტელეფონით, უგზავნიან ბარათებს, მიაქვთ საჩუქარი.

ახალი სასწავლო წლის დაწყება რთულია. იმისათვის რომ ხელი შეუწყონ ბავშვებს სკოლამდელი დაწესებულების მუშაობის რიტმში დაბრუნებას, ყოველ ბავშვს აძლევენ ყუთს, რომელიც უნდა შეავსონ დასვენების დღეების მოგონებებით: ჩააწყონ შიგნით ქვები, ნიჟარე-

ბი და ქვიშა ზღვიდან, ლამაზი ფოთლები, ტოტები და ა.შ. ზაფხულის შემდგომ პირველ დღეებში ბავშვები მუშაობენ ყუთების შიგთავსზე.

სკოლამდელი დაწესებულების ცხოვრება ექვემდებარება გარკვეულ პრინციპებს, რომლებიც ეხება ბავშვის და ზრდასრულის უფლებებს. ამოსავალი წერტილი: ბავშვი - არის პროდუქტი მემკვიდრეობისა და გარემოსი. ის არ ვითარდება მუდმივად სწორი ხაზით, რომ ავტომატურად იმეორებდეს ყველაფერს სხვების კვალდაკვალ. განვითარების მიმართულებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემოცვა, არამედ მთელი სამყარო. შეცვლა არასოდეს ყოფილა გვიან. თითოეული ბავშვი თავად უნდა იყოს საკუთარი ცხოვრების შემოქმედი. ბავშვთა ურთიერთობა სხვებთან იწყება მისი დაბადებიდან. ბავშვის ცნობისმოყვარეობა არის უძღები, იგი არასოდეს სვამს სულელურ ან უშედეგო კითხვებს და უფროსები უნდა მოეკიდონ მათ სერიოზულად და პატივისცემით. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ხელი შეუწყოთ ბავშვის ზრდისა და განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნას, აქტიურად მოვისმინოთ და დავაკვირდეთ, რა ხდება ბავშვების ცხოვრებაში, ვეცადოთ, რომ მივიღოს აზრები და კითხვები, რომლებიც ემსახურება შემდგომ განვითარებას. ბავშვი - არ არის ყუთი,რომელიც უნდა იყოს მაქსიმალურად შევსებული, არამედ ყუთი, რომლიდანაც გსურთ ამოიღოთ მაქსიმალურად.

რეჯიო ემილიაში სჯერათ თითოეული ბავშვის შესაძლებლობების და ენდობიან მათ. „ჩვენ ბავშვების ასისტენტები ვართ და არა აღმზრდელები“- ამბობდა ლორისი.ზრდასრულის ამოცანაა - რათა დაეხმაროს ბავშვს გამოხატოს საკუთარი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი წარმოდგენები სამყაროზე და ახსოვდეს, რაც მან განიცადა. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა შეგვეძლოს ბავშვებთან ისეთი საუბარი, რომ დავაინტერესოთ საქმიანობის შინაარსით , დაებადოთ კითხვები. ბავშვებს აძლევენ იმდენ დროს ერთ და იმავე თემაზე, სანამ არ გაუნელდებათ მისდამი ინტერესი. გარდა ამისა, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა შეედაროს საკუთარ თავს და გარე სამყაროს. ზრდასრული ბავშვისათვის - არის არა დარაჯი ან ჯადოქარი, არამედ სანდო მეგობარი, რომელმაც იცის როგორ გაჩნდეს შესაბამის დროს, და როგორ გაუჩინარდეს. ის არ აძლევს პირდაპირ პასუხებს კითხვებზე, მაგრამ უხსნის გზას პასუხები-

საკენ. ის ქმნის პირობებს მუშაობისათვის, მაგრამ უშუალოდ არ ახდენს გავლენას ხარისხის შედეგზე. რომ გაიგონ როგორ ვითარება ბავშვი, მასწავლებლებმა და სხვა თანამშრომლებმა მუდმივად უნდა განავითარონ საკუთარი თავი.ზოგჯერ ბავშვები იკვლევენ თუ როგორ უნდა გაიარონ მაღალ ბალახში; მოაწყონ კონცერტი პარკში; გადაივლონ წყალი; გააკეთონ ცისარტყელა; რა არის ჩრდილი; რის მეშვეობით მიედინება წყალი; როგორ იზრდება ფოთოლი; როგორ გაზომონ დრო. ბავშვები ხშირად ადევნებენ თვალყურს უფროსების შრომას და ეხმარებიან მათ, მაგალითად, ცხენების მოვლაში, ყურძნის მოსავლის აღებაში.ეს არ არის აღზრდის მეთოდი, არამედ აზროვნების ხერხი ცხოვრების, ბავშვის, ცოდნის და მისი ათვისების შესახებ, რაღაც ისეთი, რომელიც შეიძლება შეიქმნას ერთობლივად, მაგრამ არ შეიძლება მზა სახით გადაცემა. ამ შემთხვევაში იხსენებენ იტალიურ იგავს შედარებისთვის: როდესაც რამდენიმე მხატვარი წერს ფრესკას, უნდა ვიქონიოთ მოთმინება და უნდა ველოდოთ,როდის შედგება ფრაგმენტებიდან ერთიანი სურათი , რათა გავიგოთ, რის შესახებ არის და რას წარმოადგენს საერთოდ.

„ბავშვი თავდაპირველად - არის სუბიექტი, რომელიც შედის ურთიერთობაში სხვა სუბიექტებთან. თვით ადამიანის ბუნებაში მდგომარეობს ურთიერთობის საჭიროება. ზრდასრულებთან ბავშვებს გააჩნიათ ურთიერთკავშირი. ყოველი ბავშვი მუდმივად იმყოფება სხვადასხვა ურთიერთობებში, ურთიერკავშირებში. საბავშვო ბაღში მუშაობა კონცენტრირებულია არა პიროვნებაზე, არამედ მის კავშირებზე საზოგადოებასთან, საბავშვო ბაღის თანამშრომლებთან, ოჯახთან, სხვა ბავშვებთან, ასევე როგორც ყველა ამ პირების ერთმანეთთან ურთიერთობაზე. აქედან გამომდინარე, ყველაფერი, რაც ხდება საბავშვო ბაღებში ორგანიზაციული თვალსაზრისით (ყოველდღიური კონტაქტი მშობლებთან, დოკუმენტირება, მაუწყებლობა), ამ მიზანს ემსახურება. მუშაობის ორგანიზების ხერხი (თითოეული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ერთმანეთისაგან ყველა ცალკეული განსხვავებების მიუხედავად) პრინციპში იგივეა. ასე, დღის წესრიგში ითვალისწინებენ საბავშვო ბაღის შენობის განაწილებას და გარემოს, ზოგად დიდაქტიკურ პრინციპებს, კვებას, მუშაობას მშობლებთან და პერსონალთან. როდესაც გეგმავენ მუშაობის მხედველობაში მიიღება თვითგანათლების შესაძლებლობა (ისინი შედგება მასწავლებელის კონტაქტით ბავშვთან და ბავშვების ერთმანეთთან), მასწავლებლებს შორის კომუნიკაცია, კომუნიკაცია პედაგოგებს და მშობლებს შორის, სივრცის კონტექსტი, მასალების არსებობა და თვისებები, აგრეთვე დღის წესრიგი. თითოეული ინდივიდუალური პროექტის იბადება ამ სისტემის ყველა ელემენტიდან, მათი ურთიერთქმედებიდან“ (3. გვ.74).

ზოგიერთი პროექტი ხორციელდება მოკლე დროში (რამდენიმე საათის განმავლობაში, კვირა, ერთი დღე), ხოლო სხვები - თვეების განმავლობაში ან მთელი წლის განმავლობაში. იდეები გამომდინარეობს შემთხვევითი დაკვირვებებიდან, იდეებიდან და შემთხვევებიდან-,რომლებმაც გამოიწვიეს ბავშვების ინტერესი: ეს არის ნიშანი, რომ მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის გაეცნონ გარკვეულ თემას. ერთ ოთახში მუშაობს 2-4 ბავშვისგან შემდგარი ხუთი მცირე ჯგუფი და სხვა ბავშვები განლაგდებიან სხვა ოთახებში. არ არის აუცილებელი, რომ ყველა დაკავებული იყოს იგივე პროექტით; მაგრამ სხვადასხვა ბავშვებმა შეიძლება შეუწყონ ხელი ერთმანეთის ინიციატივებს. ყველაფერი, რაც ამ პროცესში ვითარდება და განხორცი-

ელდება, არ უნდა შეწყდეს, და შეიძლება დაუბრუნდნენ ამ საქმიანობას, როდესაც მათ სურთ. აღმზრდელები თვალყურს ადევნებენ, რომ ყველა ბავშვი მონაწილეობდეს სხვადასხვა საქმიანობაში, და თვლიან, რომ საბავშვო ბაღის პედაგოგებს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რისთვის კეთდება ყველაფერი ეს.

ბავშვის ყურადღება მიმართულია სინამდვილის გარკვეულ ასპექტებზე, ეს სტიმულირებასაძლევს მის ცნობისმოყვარეობას, ეძლევა საბაბი ჩამოაყალიბოს და გამოხატოს თავისი შეხედულებები უფროსებზე და ბავშვებზე. დღის განრიგი ითვალისწინებს ბავშვის გადაადგილებას შენობის შიგნით და გარეთ, ყველა სახის საქმიანობას მარტოობაში, ბავშვებთან და უფროსებთან ერთად. ყველა პირობის გათვალისწინება წინასწარ შეუძლებელია, მაგრამ სხვადასხვა სახის საქმიანობის გათვალისწინება მაინც შეიძლება: პლასტიკური მოძრაობები, დრამატიზება, ცეკვა, მუსიკა, სეირნობა, სენსორული ამოცანები და ა.შ. - თითქოს და კავშირი სხვადასხვა "ენებზე" სხვადასხვა ბავშვებს შორის ... ამასთანავე უზრუნველყოფილია ბავშვების უსაფრთხოება, რომლებსაც შეუძლიათ, თუ მათ სურთ, შეიტანონ ცვლილებები და შეისწავლონ ზრდასრულების მიერ მათთვის შექმნილი სივრცე. გარდა ამისა, ბავშვს უნდა შეეძლოს შექმნას საკუთარი სივრცე, უნდა შეეძლოს მიუდგეს მას დიალოგიურად და დიალექტიკურად.სინამდვილეში, ამის ორგანიზება ხდება ინტერიერის ნაწილების დახმარებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაღში არსებობს მრავალი კუთხე, საკუჭნაო, კაბინეტი, ადგილები, სადაც შეიძლება განმარტოება, დამალვა სხვებისაგან, დარჩენა მეგობართან. ბავშვი გადაწყვეტს, როცა მას სურს, რომ იყოს მარტო, და ამ სურვილს პატივს სცემენ. ყუთები, მაგიდები, კუბურები, რომლებშიც ინახება მასალები (სადაც ერთი კედელი არის გამჭვირვალე, ამიტომ, ცხადია, თუნდაც წარწერის გარეშე ,ჩანს რა ინახება შიგნით), შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც დასაჯდომი ადგილი, თუნდაც მოაწყონ ამფითეატრი, მაგალითად, ჯგუფის დილის საერთო სავალდებულო შეხვედრის დროს. ოთახებში არის ყველა სახის ობიექტები, ზედაპირი, მასალა, ფორმები, სარკეები და ა.შ., ასე რომ შეიძლება ყველაფერი ამის შესწავლა, შეხება, შეგრძნება, თამაში, რომ გავიგოთ, თუ როგორ გადავადგილდეთ და როგორ ვიმოქმედოთ ამ სივრცეში. დასვენების ადგილები მოწყობილია, მაგალითად, რბილი კალათების, ლეიბების, საწოლების, , ფარდებიანი საწოლების სახით. განათება აყალიბებს სივრცეს სხვადასხვა ეფექტის გამოყენებით; სარკისებრი ზედაპირები ქმნიან დამატებით ნიუანსებს, აღმოიფხვრება ბუნებრივი სინათლის შესვლის ბარიერები. ხშირად შეისწავლება ჩრდილში პროექციები, ანარეკლი, სინათლის სხივის გარდატეხა წყალში ან პრიზმაში გავლის დროს, ფერადი ტრანსპარანტები და მინა. ბავშვები შეუძლიათ გამოიყენონ ბინოკლები, მიკროსკოპები; აქვთ გამჭვირვალე მაგიდები, ჯიბის ფარნები, პროექტორები, რომლითაც ბავშვები მუშაობენ; აქვს მობილური პერისკოპები, გიგანტური კალეიდოსკოპი, სარკე– მინის სახლები და სხვა მოწყობილობები ვიზუალური თამაშებისათვის, რომლებიც დამზადებულია უფროსების მიერ. კედლებზე განთავსებულია ინფორმაცია, რომელზეც ყველა მიმდინარე პროექტებია დაფიქსირებულია, ისე, რომ ყველას, ბავშვებსაც და მშობლებსაც და სხვა მოზრდილებსაც შეუძლიათ გაეცნონ, თუ რა ხდება. თუ მუშაობა მიდის ბავშვების მიერ ერთხელ უკვე შესწავლილ თემაზე, მაშინ არქივებიდან ამოიღებენ მოპოვებულ მასალას (თუ კი ამის საშუალებას იძლევა შენობა, ცალკე ოთახი) და აჩვენებენ წინა პროექტის დოკუმენტაციას. ბევრი მასა-

ლა შერჩეულია და განლაგებულია ბავშვებისათვის მისაწვდომ ფარგლებში, და ისინი დამოუკიდებლად სარგებლობენ ამით.

აღმზრდელები ხშირად უბრუნდებიან ძველ პროექტებს, რათა გააცნობიერონ, რა დაიმახსოვრეს ბავშვებმა, როგორც შეიცვალა მათი მსოფლმხედველობა,როგორ შეუძლიათ მათ სიტყვებით გადმოსცენ, თუ რა მოხდა. ბავშვის მეხსიერების განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს შენახვას, კლასიფიკაციას, ასოციაციურ რეაქციას, ინფორმაციის მოძიებას, წარმოადგენს ერთ–ერთ პედაგოგიურ ამოცანას. მეორე ამოცანაა უნარი იპოვოს ყოველდღიურ ცხოვრებაში საოცარი, შესანიშნავი რამ, დაკვირვების, ცნობისმოყვარეობის გავარჯიშება და მიმდინარე მოვლენების აღწერის უნარი. ბუნებასთან, ადამიანთან კომუნიკაციის უნარი, დიალოგი ნივთიერ,ფიზიკურ სამყაროსთან, და, ამავე დროს, ხშირად ფანტაზირება, -ეს არის მესამე ამოცანა. ხატვის დროს ბავშვები უკეთესად შეიცნობენ იმას რასაც გამოსახავენ, რადგან ნახატით ისინი გადმოგვცემენ, თუ რა იციან. გამოსახულება - ძლიერი ინტელექტუალური და ემოციური პროცესია. ეს მარტივი იდეა საფუძვლად უდევს მხატვრის მუშაობის ორგანიზებას . იმისათვის,რომ გამოიკვლიო, უნდა შეადარო, იპოვოთ მსგავსება და განსხვავებები, შეეცადოთ მიიღოთ მაქსიმალური ინფორმაცია ობიექტის შესახებ სხვადასხვა გზებით. რაც უფრო მაღალია ლოდინის დაძაბულობა, მით უკეთესია მოსაპოვებელი ინფორმაციის ხარისხი .

„ ერთი პროექტი, რომელიც წარმოიშვა ბავშვის მონათხრობიდან, რომ ის შემოდგომაზე ბებიასთან სოფელში ყოველთვის ხედავს ყვითელ გვირილებს, აღმოჩნდა რომ დაეთმო ამ ყვავილების არსებობის შესწავლას. თავიდან ყველას ეგონა, რომ ეს არ იქნებოდა საინტერესო, მაგალითად, ერთ ბიჭს სურდა დაეხატა სატვირთო მანქანა, ხოლო მეორეს - ასტრონავტები. თავდაპირველად ბავშვები (მათ, ვისაც სურდა) ხატავდნენ ყვავილებს საკუთარი შინაგანი წარმოდგენით, ასე, რომ გამოდიოდა ყვავილის ცნობილი სიმბოლო დასწორებული ფურცლებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყვავილები იდგა მათ წინაშე მაგიდაზე. როდესაც ცხადი გახდა, რომ გამოსახულება არ ემთხვევა ორიგინალს, პედაგოგმა გადაწყვიტა, რომ ამ მარტივ მოვლენას, რომლის გვერდის ავლა ასე ადვილად არის შესაძლებელი, უნდა მიეცეს მეტი დრო. იმის ფიქრით, თუ რა შეუძლიათ გაიგონ და რა შეუძლიათ გააკეთონ, როდესაც ვიზიტით მიხვალ გვირილებთან მდელოზე, ექვსი ბავშვი და ორი მოზრდილი (სხვებმა იცოდნენ, რომ დადგება მათი რიგიც და მონაწილეობას მიიღებდნენ დისკუსიაში) წავიდა გვირილებთან, დაიწყეს მათი ცხოვრების შესწავლა, ესალმებოდნენ და ელაპარაკებოდნენ მათ. ყურადღება მიაქციეს, რომ ყვავილებში ბინადრობენ სხვადასხვა არსებები (მწერები, რომელთა ცხოვრება ექვემდებარება საკუთარ კანონებს) ,ეს ნიშნავს, რომ ისინი გვირილას არ აღიქვამენ ისე როგორც ჩვენ, არამედ როგორც საკუთარ სახლს. აღმოჩნდა, რომ გვირილა სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა შეფერილობის ყვითელია (ბავშვები ცდილობდნენ სიტყვიერად ჩამოეყალიბებინათ: ყვითელი, მოყვითალო, რბილი ყვითელი, ნათელი ყვითელი და ა.შ...). ფერის ცვლილებები დამოკიდებულია განათებაზეც. ფორმა იცვლება იმ წერტილის მიხედვით, საიდანაც თქვენ შეხედეთ ყვავილებს. შეიძლება ყვავილებს შორის არსებობენ ბიჭები და გოგონები? გიფიქრიათ, თუ რა კავშირშია ყვავილები და პეპლები, ყვავილები და ობობის ქსელი“ (3. გვ. 80).

საბავშვო ბაღში დაბრუნების შემდეგ ბავშვებმა უამბეს სხვებს იმის შესახებ, რაც მათ დაინახეს, რა იფიქრეს. ახლა, როდესაც ისინი ხატავდნენ, უკვე ქმნიდნენ ყვავილების ინდივიდუალურ პორტრეტებს. როდესაც უფრო ყურადღებიანები გახდნენ, და მოიფიქრეს თუ როგორია ყვავილების შიდა სივრცის სტრუქტურა, ბავშვები ასახავდნენ მათ სხვადასხვა გზებით, ცდილობდათ არ გამორჩენოდათ არც ერთი დეტალი. მაგალითად, მათ შორის არსებობს დამჭკნარი და ულამაზო თავები. მკვდარი გვირილები - ისინი გარდაიცვალენ თავად ,თუ დაიღუპა მხოლოდ მათი თმა? რამდენად ყურადღებით შეგვიძლიათ შეისწავლოთ ყვავილი? ზრდასრული მხოლოდ ქმნის დაკვირვების პირობებს , ის ცდილობს გაწელოს ეს პროცესი დროში, მაგრამ მან არ უნდა მისცეს მზა სქემა. ბავშვებმა უნდა გაიარონ ეს გზა თავად, და უცნობია, რასთან მივლენ ისინი. ზოგჯერ უნდა პაუზის გაკეთება,რათა შეგროვებულმა ინფორმაციამ მიიღოს ახალი ხარისხი.

ბავშვები ხატავენ ყოველდღე, ნახატის უკან დაფარულია ზოგიერთი მათი წარმოდგენები, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გარე გამოსახულება. აგებენ ვარაუდებს, რისი სუნი აქვს გვირილას, როგორ ისმენენ ისინი და რა ესმით. ყვავილების შინაგანი სტრუქტურის შესწავლა და გამოსახულება ამდიდრებს ნახატს. განიხილავენ, თუ როგორი გვირილები არსებობენ, როგორია მათი შინაგანი ორგანოები , რომელი არის ტვინი, როგორ ფიქრობენ, (შესაძლოა ძირებით?), სად აქვთ მათ გული. გვირილებიდან და მსგავსი მცენარეებიდან შექმნეს ოჯახები.გვირილებს გადაუღეს სურათები და კადრებად დაყოფილმა სინამდვილემ გახადა შესაძლებელი დაენახათ უკვე ნაცნობი სხვადასხვა კუთხით. ბავშვები ყურადღებას აქცევდნენ პატარა ნიუანსებსაც. აღმოჩნდა, რომ გვირილები ღამით იხურებიან თითქოს იძინებენ, როგორც ბავშვები. შესაძლოა, მათი ცხოვრება მოწყობილია ისევე, როგორც ბავშვების ცხოვრება? იქნებ ისინი ყოველწლიურად ყვავილობენ ოქტომბერში, რადგან მათ არ მოსწონთ არც სიცხე და არც სიცივე? ან იქნებ იმიტომ, რომ არის სხვა ყვავილები და მათ სურთ, რომ დაამშვენონ ირგვლივ ყველაფერი? როგორ ხდება ისე, რომ გვირილა ბრუნდება ყოველწლიურად? როგორაა მოწყობილი თესლი? ყოველ ახალ გამოსახულებაში (ეს არ იყო მხოლოდ ნახატები, არამედ მოზაიკა სხვადასხვა მასალებისგან, ქანდაკებები და ასე შემდეგ) აისახებოდა მიღებული წარმოდგენები.ყოველივე ამ დისკუსიების და კვლევების შემდეგ ბავშვები გადავიდნენ საღებავებით ხატვაზე. იმისათვის რომ შეერჩიათ ყვავილისთვის ფონი, ისინი ღებავდნენ ქაღალდს და ადებდნენ მას ნამდვილ გვირილას, თან ფიქრობდნენ, რა უფრო შეეფერება მას. მაგალითად, ისინი ვარაუდობდნენ, რომ ლურჯ ფონზე გვირილა ადვილად სუნთქავს: მას უყვარს ცა. მაგრამ როგორ შეიცვლება სურათი, თუ წვიმა დაიწყო? უყვართ კი წვიმა გვირილებს? ყველა ნახატს აქვს სათაური ("გვირილები ღამით", "გვირილების საუბარი ვარსკვლავებთან"). როდესაც ერთ თვეში ბავშვები წავიდნენ იმავე მდელოზე, აღმოჩნდა, რომ გვირილები გარდაიცვალნენ. და იქნებ ეს ნაცრისფერი და ძველი ყვავილები ჯერ კიდევ ცხოვრობენ? სად გაქრა გვირილები და რა მომენტში დაბრუნდებიან ისინი?

შვიდი თვის შემდეგ ისევ დაბრუნდნენ თემას, გადახედეს თავიანთ ნახატებს და დოკუმენტებს. თავდაპირველად ისინი შეეცადენ ზეპირად აღედგინათ, რა ხდებოდა. შემდეგ მეხსიერებით ხატავდნენ, შეადგენდნენ ინდივიდუალური ნახატებით ფრესკას მცენარეების სიცოცხლის და სიკვდილის თემებზე. სრული კომპოზიციის შედგენა ხდებოდა ემპირიუ-

ლად, ცდისა და შეცდომების მეთოდით. ბავშვთა ნამუშევრებში ნათლად ხორციელდებოდა ერთი ბავშვიდან მეორეზე ჩანაფიქრების და გამოსახულების გადაცემის ესტაფეტა. ამრიგად, შედეგად, პროექტის თითოეულ მონაწილეს უკვე შეგროვებული აქვს სურათების სერია და ყველა უყურებდა და ადარებდა, ვის რა გამოუვიდა.

რეჯიო ემილიას იდეოლოგები თვლიან, რომ დაკვირვება, მოსმენა და შემოქმედებითი აქტი - შემეცნების ძირითადი წყაროებია. ცოდნის მიღება - არის პიროვნების შეგრძნებებით და ინფორმაციით გამდიდრების მუდმივი პროცესი.ინდივიდუალური შეხედედულება, საკუთარი ხედვა ყოველთვის სუბიექტურია, არასრულია. განსხვავებული შეხედულებების დაგროვება და აზრთა გაცვლა იძლევა ცოდნის გაობიექტურების საშუალებას. ზრდასრული, რომელიც ხელახლა იძიებს სამყაროს ბავშვებთან ერთად, ჩართულია თვითშესწავლაში, თვითშემეცნებაში და თვითგანათლებაში. იმ შემთხვევაში, თუ კი განვლილი ცხოვრება ტოვებს "კვალს", მაშინ მას შეიძლება დაუბრუნდე, წარსული ახლებურად გაიაზრო და თუ განიხილავ მას სხვებთან ერთად, კიდევ უფრო მეტს ვისწავლით.

კიდევ ერთი პროექტი მიეძღვნა ფრინველებს, და მასში მონაწილეობდნენ საბავშვო ბაღის თანამშრომლები, მშობლები და კიდევ რამდენიმე ბიზნეს და გარემოსდაცვითი ორგანიზაციები. პროექტი გაგრძელდა ოთხი თვის განმავლობაში. დაენახეს რა , რომ ფრინველები წყალს სვამდნენ ეზოში, ბავშვებმა გააკეთეს მათთვის აუზი. მათ გადაწყვიტეს, რომ მათთვის უნდა გაკეთდეს რაღაც ლამაზი, რათა ფრინველებს ეგრძნოთ მათდამი კეთილგანწყობა,რომ მათთვის სახალისო ყოფილიყო. ფრინველებს აკვირდებოდნენ სპეციალური პუნქტიდან ხეზე, იკვლევდნენ და აღწერდნენ მათ ცხოვრებას, ააშენეს გასართობი პარკი მცირე ფრინველებისთვის. იყო, მაგალითად, შადრევანი ქოლგებისგან ძრავით და ბორბლით - როგორც წისქვილი; ლიფტები ხანდაზმული ფრინველებისთვის. ნებისმიერი იდეები ესკიზების ეტაპზე აქტიურად განიხილებოდა. საჭირო იყო გამოკვლევა, როგორ უნდა მოწყობილი სხვადასხვა ატრაქციონი, შადრევნები, და ამ ამისთვის იმართებოდა ექსკურსიები. მუშაობის ერთ–ერთი ხერხი - სლაიდის პროეცირება ნათელ ზედაპირზე, მასზე აფარებდნენ კალკას,გადასაყვან ქაღალდს და ბავშვები ხატავენ მის ზედაპირზე. შემდეგ იყო აუცილებელი მოდელების დამზადება,რათა გაეგოთ თუ როგორ მუშაობს. შეისწავლეს წყლის მოძრაობა, მისი თვისებები, კონსტრუქციები, რომლებიც იძლევიან საშუალებას მართონ დინება და არეგულირონ ნაკადი. წარმოშობილ იდეებს შორისაა - წყლის გაზომვის მეთოდები, ძრავის კონსტრუირების ხერხები. ამ პროექტში თანამშრომლობდა სხვადასხვა ასაკის ბავშვი, გაერთიანებული მცირე ჯგუფებში, რომლებიც ახორციელებდნენ გარკვეულ იდეებს. გასართობი პარკის საბოლოო ვერსია განახორციელეს მოზარდებმა. გახსნაზე ბავშვებმა ჩამოიყვანეს შინაური ცხოველები; მეთოჯინემ ჩაატარა წარმოდგენა და საბავშვო ბაღს უსახსოვრა თოჯინა - წერო ბარტყებით. ბავშვების და მოზარდების მუშაობის შედეგად გამოიცა წიგნი, რომელიც გამოქვეყნდა ამერიკაში.

მაღალი ხარისხის ბავშვთა ნახატები და ფერწერა დაკავშირებულია შესწავლის რეალობის რომელიმე ფრაგმენტის უფრო და უფრო გაღრმავებულ კვლევასთან. ბავშვთა ინტერესი კვლევისადმი, მათი დამოკიდებულება საბავშვო ბაღის მიმართ, მზადყოფნა დასალაგებლად , მაგიდის გასაწყობად, სამზარეულოში სამუშაოდ, სათავსოებში წესრიგის შენარჩუნება, მა-

სალების დაზოგვა – ყველაფერ ამაზე გავლენას ახდენს სტაბილურობისა და კეთილი ნების ატმოსფერო, რომელიც შექმნილია ზრდასრულების მიერ საკუთარი სამუშაოსადმი კეთილ-სინდისიერი და სერიოზული დამოკიდებულებით.

რეჯიო ემილიას მეთოდის კვლევის ძირითადი შედეგები, ექსპერტების აზრით, მდგომარეობს შემდეგში.

დიზაინის სფეროში: უპირატესობა უნდა მიენიჭოს წარმოქმნილი იდეების განვითარებას , ვიდრე აბსტრაქტული გეგმის მკაცრ დაცვას. პროექტში მონაწილეობს ორი– ექვსი ბავშვისგან შემდგარი მცირე ჯგუფი. კარგად სრულდება თემები,რომლებიც არ არის პირდაპირ დაკავშირებული ყოველდღიურ გამოცდილებასთან. ბავშვებს აძლევენ სტიმულს, რომ გააკეთონ რამე დიდი და რთული. არ უნდა ეთქვას უარი ემოციურად რთულ საკითხებს. პროექტი უნდა წამოჩინდეს ბავშვის წინაშე, როგორც საშუალება, საკუთარი თავის და კომუნიკაციის გამოხატვის შესაძლებლობა . ნებისმიერი პრობლემა შეიძლება გადაწყდეს "გონებრივი იერიშის" მეშვეობით. აღმზრდელებმა უნდა გაითვალისწინონ საგანმანათლებლო შინაარსის ჩართვის შესაძლებლობა გარკვეულ მომენტებში, რომლებიც წარმოიშვება პროექტის განხორციელების დროს.

გრაფიკული საქმიანობის სფეროში: ბავშვებს შეუძლიათ ზრდასრულების მიერ შესრულებული გამოსახულებების კოპირება , როგორიცაა რუკები: ეცადონ წარმოსახონ ხმები, გრძნობები და სხვ. ბავშვებს ანახებენ საკუთარ ფოტოებს მუშაობის დროს. ნახატებიდან იწყება უფრო რთული გამოსახულებები. პირველი ესკიზები უნდა გაკეთდეს სწრაფად. მათ საფუძველზე ბავშვები ავითარებენ საკუთარ "გულუბრყვილო" თეორიებს. უნდა გაკეთდეს ბავშვების სიმბოლოების ასლები და მოხდეს მათი გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში. ბავშვებმა უნდა ისწავლონ სიმბოლოების და აღწერილობის ერთმანეთთან დაკავშირება. ერთი სიმბოლური სფეროდან უნდა განვითარდეს სხვა. არ არის საჭირო ფოკუსირება იმ ფაქტზე, რომ ხელოვნება - ეს არის სამყაროს ესთეტიკური ათვისება; მას უნდა მივუდგეთ, როგორც აზროვნების ინსტრუმენტს. დაკვირვება და ფანტაზია უნდა იყოს ინტეგრირებული ნახატში. ერთი და იგივე ობიექტი ან სისტემა უნდა დაიხატოს სხვადასხვა პერსპექტივიდან,სხვადასხვა კუთხიდან. ერთი და იგივე საგანი უნდა იყოს გამოსახული დიდ გახანგრძლივებულ დროში, მაგალითად, დაგრძელებული ჩრდილები, ცოცხალი მცენარეები.

ჯგუფში (გუნდში) ურთიერთობების სფეროში: უფროსებმა უნდა დაანახონ ისეთი ტიპის ურთიერთობა, რომლისკენაც უნდა მიესწრაფებოდნენ ბავშვები (დემოკრატიული მონაწილეობა, სწავლა თანამშრომლობის მეშვეობით, კონფლიქტური სიტუაციების დაძლევა). ბავშვები უნდა ადარებდნენ ერთმანეთს თავიანთ ნამუშევრებს და აკრიტიკებდნენ მათ. აზრთა სხვადასხვაობიდან ბავშვები უნდა გადავიდნენ პრობლემების გადაჭრაზე. ჯგუფის შიდა ურთიერთობები - სასწავლო ინსტრუმენტია. პროექტში უნდა იყოს დასაქმებული ჯგუფები მონაწილეთა სხვადასხვა რაოდენობით. ხელი უნდა შეეწყოს ამოცანების სხვადასხვა სტილით გადაჭრას და მივანდობოთ ბავშვებს დამოუკიდებელი დისკუსია. სოციალური მუშაობის გეგმა უნდა იყოს წახალისებული და წინა პლანზე გამოტანილი იქნას კონცეფცია "ჩვენ". სოციალური კონფლიქტის მეშვეობით ხდება სოციალური იდეების შენება. ბავშვები დაინ-

ტერესებულნი არიან წესების შექმნაში, და ეს შეიძლება გახდეს სასწავლო ინსტრუმენტი. პროექტის კულმინაცია ხდება მოვლენა უფრო ფართო საზოგადოებისათვის.

განათლების სფეროში: არის აუცილებელი ისეთი სიტუაციების აგება,რომლებიც იწვევენ ბავშვის პროვოცირებას ინტელექტუალურად და ემოციურად; უნდა იყოს ჩანაწერი, თუ რაზე საუბრობენ ბავშვები; უნდა მიეწოდოთ რეპლიკები, რომლებიც ახდენენ დისკუსიის სტიმულირებას; უნდა მისცენ ბავშვებს საშუალება განიხილონ ყველაზე საინტერესო სურათები, საკომუნიკაციო საშუალებები. ტექნიკური ხერხები ისწავლება მუშაობის მიმდინარეობის დროს, მაგალითად, როგორიცაა თიხაზე მუშაობა. ამასთანავე, აუცილებელია, რომ კომენტარს უნდა უკეთებდნენ თავად სამუშაოს, ვიდრე ბავშვების უნარების დონეს . კონკრეტული უნარების გაუმჯობესებაზე მუშაობის დროს საჭიროა გადავიდეთ მათ გააზრებაზე ინტელექტუალურ დონეზე (ამისათვის მოსახერხებელია ფოტომასალის გამოყენება). ობიექტი და მასალა შეიძლება გამოყენებული იქნას მოულოდნელ ვარიანტებში (მაგალითად, რაც გამოიყენება შენობაში, იმის გატანა შესაძლებელია გარეთ, და პირიქით). აღმზრდელებმა უნდა ისწავლონ ბავშვებისაგან, ისევე როგორც ბავშვები სწავლობენ უფროსებისაგან. ბავშვებს უნდა მიეცეს ნელა მოქმედების შესაძლებლობა, რადგან მათ სჭირდებათ დიდი დრო.

შემეცნებით სფეროში: ბავშვები უნდა წახალისდეს იფიქრონ იმაზე, რომ რაიმე რაღაც არ არის; და რა შეიძლება იყოს ის; ერთის მეორეზე ურთიერთ გავლენის შესახებ. ჩვენ უნდა დავეხმაროთ განასხვაონ დღესასწაულები ყოველდღიური ცხოვრებისაგან. ხაზი გავუსვათ ინტეგრირებული სისტემების სიღრმისეული ცოდნის მნიშვნელობას. გაიგონ და ესმოდეთ რომ მუშაობა არ დასრულებულა, და ამაზე იმსჯელონ.

ბავშვთა შემოქმედების ინტერპრეტაციის სფეროში: მთავარია - დოკუმენტურად დაფიქსირდეს ყველაფერი,რასაც აკეთებენ ბავშვები. დოკუმენტებს აჩვენებენ, მშობლებს, ბავშვებს, კოლეგებს, საზოგადოებას. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ შევხედოთ ყველაფერს მკვლევარის თვალსაზრისით. გუშინდელ ჩანაწერებში გვხვდება პრობლემა, რომელიც უნდა განიხილონ ბავშვებმა დღეს. ბავშვების მონათხრობები და ფოტომასალა უნდა იქნას განხილული თავად ბავშვების მიერ. ბავშვები უნდა ცდილობენ გაკათებულ გამოსახულებასთან დაბრუნებას, რათა შეეძლოთ, მუდმივად გადაამუშაონ ის. ყველა პასუხი განიხილება, როგორც ვარიანტი, რომელთანაც მივყავართ გარკვეულ ლოგიკურ მსჯელეობას, ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გავიგოთ ეს ლოგიკა.

ბავშვი, რეჯიო ემილიას ექსპერტების აზრით, თავიდანვე - მდიდარი, ძლიერი, კომპეტენტურია, სულაც არ არის აუცილებელი ჯდებოდეს სქემაში, რომელსაც ანიჭებს საზოგადოების მოლოდინი. ბავშვი ღიაა ახლისათვის, რომლის შემეცნება მას სურს, ზრდასრულისგან განსხვავებით. ბავშვი არ მოითხოვს პასუხი ყველა კითხვაზე ერთდროულად, მას შეუძლია თანმიმდევრულად დაასრულოს სამყაროს სურათის მშენებლობა. ბავშვი აშენებს თავისთვის საკუთარი უფლებების უნიკალურ სისტემას .

საბავშვო ბაღი - ადგილი, სადაც შეიძლება განხორციელდეს ბავშვების უფლებები. ის არ უნდა იყოს ანგარიშვალდებული მშობლების წინაშე, რა გაკეთდა ბავშვებისთვის, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მშობლებს ჰქონდეს მაქსიმალურად ინფორმაცია ყველაფერზე, რაშია მათი შვილი ჩართული და თუ როგორ იქცევა, საბავშვო ბაღში. არ არის საკმარისი,

რომ განახორციელოს საქმიანობა, და ითქვას, რომ ბავშვმა ისწავლა რაღაც. ყველაზე მნიშვნელოვანია მისი არგუმენტები თავად საქმიანობაზე, იმის აღქმა, თუ რა ხდებოდა მის ირგვლივ. სინამდვილის შემოქმედებითი და ინდივიდუალური შესწავლა უნდა ზრდასრულსაც და ბავშვსაც.

რეჯიო ემილიაში სკოლაში გადასვლის პერიოდში მოსწავლეებს და მასწავლებლებს ორმხრივად წარმოექმნებათ სირთულეები და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გაკეთდა იმისათვის, რომ გადაილახოს ისინი, ჯერ კიდევ სკოლა არ არის მზად მიიღოს "ახალი ტიპის"ბავშვები : ვინც იცის თავის უფლებები, თანასწორად ესაუბრება მოზრდილებს, რომლებიც, მიჩვეული არიან კითხვების დასმას და განიხილავენ თანატოლებთან მომავალ საქმიანობას, სანამ დაიწყებენ შესასრულებელი სამუშაოს.

ლ.მალაგუცის იდეები მიმართულია ბავშვების მიერ სხვადასხვა სახის გონებრივი და მხატვრული ამოცანების საკუთარი მეთოდებით თავისუფალ გადაწყვეტაზე, რომლებიც განხორციელებულია დაწყებითი სკოლის ამერიკულ პედაგოგიკაში, რომელიც მუშაობს მისი მეთოდის გამოყენებით. ხდება ბავშვების საძიებო აზროვნების ყველა ეტაპის ჩაწერა, რაც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ როგორ რეალურად ყალიბდება მათი წარმოდგენები სამყაროზე. ამ სამუშაოს მნიშვნელოვანი ასპექტი არის მისი ისეთი დამახასიათებელი, როგორიცაა მაქსიმალური განგრძობადობა დროშკი. ეს ასპექტი - შესასწავლის გაწელილი ცხოვრება, თავად ბავშვების მიერ წამოჭრილი პრობლემებისადმი მიმართულობა - ეწინააღმდეგება ინტენსიური სწავლების მეთოდებს. თუ პირველი გულისხმობს გააზრებულ მუშაობას თითოეულ მოსწავლესთან, სამყაროს ზოგადი კანონების სიღრმისეული გაგება მიმდებარე მცირე ფართობზე, უკანასკნელი ფოკუსირებულია ორგანიზმის ძალების კონცენტრირებულ მოკლევადიან მობილიზებაზე. ინტენსიური პედაგოგიკა, რომელიც მიმართავს მხედველობითი და სმენითი აუდიტორიის აღქმის ერთდროულად გააქტიურებას, მოძრაობასთან ერთად, აღწევს მომზადებული მასალის კარგ დამახსოვრებას (სკოლამდელი პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის კორიფე ა.ზაპოროჟეცი აფრთხილებდა სკოლამდელი განათლების ინტენსიფიკაციის წინაღმდეგ). ასეთი მიდგომით იყენებენ ბევრ თამაშებს ისეთი წესებით, რომლებიც საშუალებას იძლევა გაიმეორონ ერთი და იგივე მასალა ისე, რომ არ იგრძნონ დაღლილობა. მნიშვნელოვანი კომპონენტი - დისკუსიების ჩატარება ბავშვთა კოლექტივებში, საერთო პოზიციების შემუშავება, მსჯელობა საკუთარი საქმიანობის და მიღებული გამოცდილების სტრუქტურის შესახებ. დროში საკმაოდ შეზღუდული შესწავლა იმისა , რაც ეხება ცოდნის გარკვეულ სფეროებს, როგორც წესი,უერთდება ამ სფეროების შესწავლის ექსტენსიურ გაფართოებას.

რეჯიო-მომზდება ელემენტრული პედაგოგიკის ყველაზე ამბიციურ მიმართულებად ითვლება. 1991 წელს ექსპერტებმა რეჯიო-ემილია, ბავშვთან სრულიად განსხვავებული მიდგომების გამო, საუკეთესო მეთოდად დაასახელეს. მალე მთელს მსოფლიოში დაიწყო რეჯიო-ბაღების შექმნა. პირველად სიახლე გერმანიამ გაიზიარა. 1994 წელს კი ამერიკულმა ყოველკვირეულმა გამოცემემ „Newsweek“-მა, ეს ბაღები მსოფლიოში ყველაზე წარმატებულ ბაღებად მოიხსენია.

გასულ წელს რეჯიო-ემილიას მეთოდი, საცდელი პროექტის სახით, თბილისის მე-6 ბაგა-ბაღის 2 ჯგუფში დაინერგა. აღსაზრდელებმა დახატეს თევზები , რის შემდეგაც მათ გაუჩნდათ უამრავი კითხვა : როგორ დადის თევზი წყალში? რატომ არის ფერადი? თვალებიც რომ მოაძრო და პირიც, ჩავარდება და ზვიგენი შეჭამს? რაში სჭირდებათ ქვები, ბალახები და ჯოხები? წყალში სცივათ? სხვა თევზები როგორ ჩნდებიან? თევზებს რამისა ეშინიათ? წყლიდან რომ ამოიყვანო, დაიხოცებიან?

ზოგი თევზი ისეთი უფორმო იყო, ძნელად თუ მიხვდებოდით, ფურცელზე რა ეხატა, ამიტომ მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, ამ კუთხით ბავშვების ცოდნა აემაღლებინათ და პატარები ექსკურსიაზე წაიყვანეს ზოოპარკის ეგზოტარიუმში, დაათვალიერებინეს წიგნები, აჩვენეს ვიდეოები, მერე კი მათ კითხვებს მოუყარეს თავი და კვლევას შეუდგნენ. ზოგ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯგუფში მიიწვიეს ექსპერტები, ბიოლოგი და მეთევზე. მათ ბავშვებს აუხსნეს, რითი იკვებებიან თევზები, როგორ ცხოვრობენ და მრავლდებიან, როგორ იჭერენ მეთევზეები თევზს.თანდათან ბავშვებმა მიღებული ცოდნის ნამუშევრებში გამოხატვა დაიწყეს – მათ უკვე იციან, რომ თევზს აქვს ფარფლები, კუდი, ლაყუჩები, ე.წ ხაზი, რომლითაც საშიშროების მოახლოებას გრძნობს, ხერხემალი და ფხები.მერე ამ ნამუშევრების გამოფენა გამართეს. სტუმრად მიიწვიეს მეზობელი ჯგუფის ბავშვები და კითხვა-პასუხით, ლექსებითა და სიმღერით შეაჯამეს მიღებული ცოდნა.

სწავლების ეს მეთოდოლოგია ბავშვის შემეცნებითი განვითარებისა და შემოქმედებითი უნარების გამოვლენაზეა ორიენტირებული. რეჯიო ემილიას მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროექტის მეთოდით სწავლებასაც, რომელიც რამდენიმე წელია დაინერგა ბაღში. პროექტი გულისხმობს ბავშვების მიერ რაიმე საკითხის სიღრმისეულ კვლევას, საკვლევი ობიექტის შესწავლას და ექსპერტებთან ურთიერთობას. სწორედ ერთ-ერთი ასეთი პროექტი იყო „თევზი".

შეჯამება:

რეჯიო ემილიას მეთოდი საგანმანათლებლო ფილოსოფიაა, რომელიც სკოლამდელ და დაწყებით განათლებაზეა ორიენტირებული. მას საფუძვლად დაედო ჰუმანისტური ღირებულებები. საზოგადოებას სურდა, ადრეულ განათლებაში ჩაედო განსაზღვრული პრინციპების პატივისცემა, აღეზარდა ადამიანები, რომლებიც პატივს სცემდნენ ერთმანეთს და აღარასოდეს დაიწყებდნენ ომს. პროგრამა აგებულია პროექტებით სწავლების მეთოდზე, რაც გულისხმობს ბავშვებისთვის საინტერესო თემების სიღრმისეულ კვლევას. პროცესში ინტეგრირებულია ბავშვის განვითარების სხვადასხვა სფერო. კურიკულუმი მოქნილია და გამუდმებით იცვლება, რათა პროგრამაში ჩართული ბავშვების საჭიროებებსა და ინტერესებს მოერგოს. რეჯიო ემილიას მეთოდოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ესთეტიკურად მოწყობილ გარემოს, რომელიც თვითონვეა „მასწავლებელი".აქცენტი დაისმის ბავშვის შემოქმედებითი უნარებისა და ზედა დონის აზროვნების განვითარებაზე. სასწავლო პროცესში აქტიურად არიან ჩართული მშობლებიც.რეჯიო ემილიას მეთოდოლოგია აგებულია წინასწარ დაუგეგმავ კურიკულუმზე (Emargent curriculum), რომელიც თანდათან ყალიბდება სააღმზრდელო პროცესში.სასწავლო თემები და პროექტები ბავშვის ინტერესები-

დან და საჭიროებებიდან გამომდინარეობს.მათთვის საინტერესო პროექტზე მუშაობისას ბავშვები რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში ეწევიან სიღრმისეულ კვლევას, მერე კი შეიძლება ააგონ რაკეტა, დააპროექტონ სათამაშო მოედანი, შექმნან ხელნაკეთი წიგნი. მეთოდის ერთ-ერთი უპირატესობა ისიცაა, რომ თავად ბავშვები არიან აქტივობათა დაგეგმვისა და განხორციელების უშუალო მონაწილეები.რეჯიოს ბაღში ბავშვებს ხელს უწყობენ, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი აზრები და გრძნობები არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ ხელოვნების სხვადასხვა დარგის საშუალებითაც.ყოველი თემა თუ პროექტი მოიცავს მეტყველების, შემეცნებითი, შემოქმედებითი და ფიზიკური უნარების განსავითარებელ აქტივობებს – ხატვას, ძერწვას, კონსტრუირებას, სიმღერას, ცეკვას, დრამას, თოჯინებისა და ჩრდილების თეატრს, როლურ, მოძრავ და სამაგიდო თამაშებს, ექსპერიმენტებს და სხვა. მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვებს შორის მეგობრული და თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ყოველდღიური პროცესი სახალისოა და არ გულისხმობს რაიმე სახის ინფორმაციის ფორმალურ გადაცემას. თამაშის, კვლევის, კეთების მომენტში ბავშვები თავს კომფორტულად გრძნობენ და ივითარებენ შემოქმედებით თუ კრიტიკულ აზროვნებას, ანალიზისა და პრობლემების გადაჭრის უნარს. ამრიგად, ეს მეთოდი ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას უზრუნველყოფს.ბავშვებს თავისუფალი აღქმის განსავითარებლად შესაბამისი სივრცე სჭირდებათ, ამიტომ ბაღში მათ უნდა ჰქონდეთ მასალების ხელით მოსინჯვის, მათით მანიპულირების საშუალება. ჯგუფში არსებული სათამაშოები ტრანსფორმირებადია, რაც ეხმარება პატარებს, შემოქმედებითად გამოიყენონ ისინი და შექმნან მათთვის საინტერესო ნივთი. დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორია მასალა – რა შეგრძნებებს ბადებს შეხებისას, როგორი სუნი აქვს, აქვს თუ არა რაიმე უნიკალური თვისება, არის თუ არა ბუნებაში მოპოვებული, შეუძლიათ თუ არა ბავშვებს მისი რამეში გამოყენება, იძლევა თუ არა ის სწავლებისა და აღმოჩენის საშუალებას.რეჯიო ემილიას ბაღის ჯგუფების სივრცე ბავშვებისთვის იოლი აღსაქმელია. იქ მათი ნამუშევრები კედლებზე მათივე თვალების სიმაღლეზეა გამოფენილი.მასალები და აღჭურვილობა ყველასათვის ხელმისაწვდომია.ოთახში შექმნილია სახლის მსგავსი მყუდრო ატმოსფერო დეკორატიული ნივთებით, ოთახის მცენარეებით, აკვარიუმით, მაგიდის გადასაფარებლებითა და ლამაზი ბალიშებით.არის პატარა, წყნარი კუთხეებიც, სადაც შეიძლება ითამაშოს ერთმა ან ორმა ბავშვმა.როგორც ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რეჯიო ემილიას ბაღშიც უდიდესი როლი ენიჭება მასწავლებელს. მისი უმთავრესი მიზანია, შექმნას ისეთი გარემო, რომ ბავშვმა თავი ლაღად და მხიარულად იგრძნოს, სიხარულით მიდიოდეს ბაღში და სიამოვნებით ატარებდეს დღეს. მასწავლებელი ხელს უწყობს ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას და შენარჩუნებას, ისე, რომ არც ერთი ბავშვი არ დარჩეს უარყოფილი და გარიყული; ასწავლის ბავშვებს კონკრეტულ სტრატეგიებს მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, ცდილობს, დაინტერესოს ბავშვი სხვადასხვა მოვლენით, რათა მან თავად მოინდომოს გაჩენილ კითხვებზე პასუხების პოვნა. კითხვების გასაჩენად კი მასწავლებელს უწევს ბავშვის დაინტერესების სხვადასხვა ხერხის გამოყენება – ისეთებისა, როგორებიცაა ამბის მოყოლა, არტეფაქტის ჩვენება, ექსკურსია. მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები ხელს უწყობს ბავშვების აზროვნებისა და მეტყველების განვითარებას. რეჯიო ემი-

ლიას პედაგოგიკის მიზანია, მზა გადაწყვეტილებები კი არ შესთავაზოს ბავშვებს, არამედ მხარი დაუჭიროს, განავითარონ საკუთარი თეორიები საკუთარ კითხვებზე პასუხის გაცემისას.

რეჯიო ემილიას პედაგოგიკის საფუძვლები წარმატებით დაინერგა ბევრ ქვეყანაში. მათ შორის აღსანიშნავია საქართველოც, კერძოდ, მისი სისტემა დაინერგა თბილისის მე-6 საბავშვო ბაგა-ბაღში. როგორც თბილისის მე-6 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი თამარ ბაქრაძე აღნიშნავს, რომ პროგრამა აგებულია პროექტებით სწავლების მეთოდზე, რაც გულისხმობს ბავშვებისთვის საინტერესო თემების სიღრმისეულ კვლევას. პროცესში ინტეგრირებულია ბავშვის განვითარების სხვადასხვა სფერო. კურიკულუმი მოქნილია და გამუდმებით იცვლება, რათა პროგრამაში ჩართული ბავშვების საჭიროებებსა და ინტერესებს მოერგოს. რეჯიო ემილიას მეთოდოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ესთეტიკურად მოწყობილ გარემოს, რომელიც თვითონვეა „მასწავლებელი". აქცენტი დაისმის ბავშვის შემოქმედებითი უნარებისა და ზედა დონის აზროვნების განვითარებაზე. სასწავლო პროცესში აქტიურად არიან ჩართული მშობლებიც. კურიკულუმი არის წინასწარ დაუგეგმავი. მათთვის საინტერესო პროექტზე მუშაობისას ბავშვები რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში ეწევიან სიღრმისეულ კვლევას, მერე კი შეიძლება ააგონ რაკეტა, დააპროექტონ სათამაშო მოედანი, შექმნან ხელნაკეთი წიგნი. მეთოდის ერთ-ერთი უპირატესობა ისიცაა, რომ თავად ბავშვები არიან აქტივობათა დაგეგმვისა და განხორციელების უშუალო მონაწილეები.ბავშვები თავისუფლად გამოხატავენ აზრს. ყოველი თემა თუ პროექტი მოიცავს მეტყველების, შემეცნებითი, შემოქმედებითი და ფიზიკური უნარების განსავითარებელ აქტივობებს – ხატვას, ძერწვას, კონსტრუირებას, სიმღერას, ცეკვას, დრამას, თოჯინებისა და ჩრდილების თეატრს, როლურ, მოძრავ და სამაგიდო თამაშებს, ექსპერიმენტებს და სხვა. მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვებს შორის მეგობრული და თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.ყოველდღიური პროცესი სახალისოა და არ გულისხმობს რაიმე სახის ინფორმაციის ფორმალურ გადაცემას. თამაშის, კვლევის, კეთების მომენტში ბავშვები თავს კომფორტულად გრძნობენ და ივითარებენ შემოქმედებით თუ კრიტიკულ აზროვნებას, ანალიზისა და პრობლემების გადაჭრის უნარს.

„ბაღში ბავშვებს თავისუფალი აღქმის განსავითარებლად შესაბამისი სივრცე სჭირდებათ, ამიტომ ბაღში მათ უნდა ჰქონდეთ მასალების ხელით მოსინჯვის, მათით მანიპულირების საშუალება. ჯგუფში არსებული სათამაშოები ტრანსფორმირებადია, რაც ეხმარება პატარებს, შემოქმედებითად გამოიყენონ ისინი და შექმნან მათთვის საინტერესო ნივთი. დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორია მასალა – რა შეგრძნებებს ბადებს შეხებისას, როგორი სუნი აქვს, აქვს თუ არა რაიმე უნიკალური თვისება, არის თუ არა ბუნებაში მოპოვებული, შეუძლიათ თუ არა ბავშვებს მისი რამეში გამოყენება, იძლევა თუ არა ის სწავლებისა და აღმოჩენის საშუალებას. რეჯიო ემილიას ბაღის ჯგუფების სივრცე ბავშვებისთვის იოლი აღსაქმელია. იქ მათი ნამუშევრები კედლებზე მათივე თვალების სიმაღლეზეა გამოფენილი.მასალები და აღჭურვილობა ყველასათვის ხელმისაწვდომია.

ოთახში შექმნილია სახლის მსგავსი მყუდრო ატმოსფერო დეკორატიული ნივთებით, ოთახის მცენარეებით, აკვარიუმით, მაგიდის გადასაფარებლებითა და ლამაზი ბალიშებით.

არის პატარა, წყნარი კუთხეებიც, სადაც შეიძლება ითამაშოს ერთმა ან ორმა ბავშვმა. როგორც ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რეჯიო ემილიას ბაღშიც უდიდესი როლი ენიჭება მასწავლებელს. მისი უმთავრესი მიზანია, შექმნას ისეთი გარემო, რომ ბავშვმა თავი ლაღად და მხიარულად იგრძნოს, სიხარულით მიდიოდეს ბაღში და სიამოვნებით ატარებდეს დღეს. მასწავლებელი ხელს უწყობს ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას და შენარჩუნებას, ისე, რომ არც ერთი ბავშვი არ დარჩეს უარყოფილი და გარიყული; ასწავლის ბავშვებს კონკრეტულ სტრატეგიებს მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, ცდილობს, დააინტერესოს ბავშვი სხვადასხვა მოვლენით, რათა მან თავად მოინდომოს გაჩენილ კითხვებზე პასუხების პოვნა. კითხვების გასაჩენად კი მასწავლებელს უწევს ბავშვის დაინტერესების სხვადასხვა ხერხის გამოყენება – ისეთებისა, როგორებიცაა ამბის მოყოლა, არტეფაქტის ჩვენება, ექსკურსია. მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები ხელს უწყობს ბავშვების აზროვნებისა და მეტყველების განვითარებას“ (1).

კითხვები ანალიზისა და თვითშეფასებისათვის

1.ვინ იყო რეჯიო ემილიას პედაგოგიკის ფილოსოფიური არსის ფუძემდებელი და არქიტეტორი?

2. მოკლედ დაახასიათეთ და განმარტეთ რეჯიო ემილიას პედაგოგიკის პრინციპები.

3. დაახასიატეთ, როგორია მშობლებისა და მასწავლებლების ურთიერთობა რეჯიო ემილიას სკოლამდელ დაწესებულებებში.

4. მოკლედ დაახასიატეთ, თუ რაში მდგომარეობს ექსპერტების აზრით რეჯიო ემილიას მეთოდის კვლევის ძირითადი შედეგები?

5. სად და რომელ ბაღში დაინერგა საქართველოში რეჯიო ემილიას პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები? დაახასიატეთ მოკლედ.

ლიტერატურა:

1. **ტყეშელაშვილი შ., რეჯიო ემილიას საგანმანათლებლო ფილოსოფია, 9 ივნისი 2015 წ., mastsavlebeli.ge**
2. **ჯანელიძე ა., კვლევა ბავშვებთან ერთად: მრავალფეროვანი მეთოდები, 5 ოქტომბერი, 2016 წ., mastsavlebeli.ge**
3. Парамонова Л. А., Протасова Е. Ю. Дошкольное и начальное образование за рубежом: История и современность: Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб, заведений М.: Издательский центр «Академия», 2001.
4. Johanna Romberg in GEO,Heft 10/2001 „Was ist Reggio-Pädagogik? In hundert Sprachen Ball spielen.“
5. http://www.kindergarten-heute.de/ , Carolin Küstner „Auf den Spuren von Loris Malaguzzi“

6. Michaela Hasberg, Stefanie Ruhe „Reggio-Pädagogik, http://www.kindergarten-heute.de“
7. **Методика детского развития Reggio Emilia,** www.prognezdo.ru/blog/reggio-sad-iznutr
8. www.suurpae.ee/.../Методика-детского-развития-Reggio-Emilia1.
9. Педагогика Реджио. Поверьте: возможности ребенка безграничны! **01.12.2015 yvaulina**, mamaconsult.ru
10. НАТАЛЬЯ КЛИШИНА, Философская методика Редджио Эмилиа, 14.11.2011, https://mother-and-baby.ru/detskie-razvivayushhie-metodiki.htm
11. Смирнова Виктория Владимировна, Метод проектов на примере садов Реджио Эмилия, Опубликовано 13.04.2014 - 22:46 , nsportal.ru/.../metod-proektov-na-primere-sadov-redzhio-emiliya
12. Педагогика Реджио Эмилии, goroddetstva.ru/parents/prog/pedagogika-redzhio-emilii.htm
13. Педагогика Реджио. Поверьте: возможности ребенка безграничны!, mamaconsult.ru/2015/12/01/818-2/
14. **Реджио-педагогика. Импульсы из Италии,** niro53.ru/sites/default/files/.../chto_takoe_sistema_redzhio.docx
15. Fedora Retawa: Лорис Малагуцци и реджио-педагогика *fedoraretawa.blogspot.com/2014/10/blog-post_19.htm*
16. **www.** goroddetstva.ru

§ 12. ტე ვარიკი - ადრეული განათლების კურიკულუმი

ამ პარაგრაფში განხილული საკითხები მოყვანილია წიგნებიდან Te Whàriki, He Whàriki Màtauranga mò ngà Mokopuna o Aotearoa Early Childhood Curriculum, Ministry of Education, Learning Media Wellington, New Zealand,1996., და კლერ მაკლაქლანი, მერლინ ფლიერი, სუზან ედვარდსი, ადრეული ბავშვობის კურიკულუმი (მეორე გამოცემა), დაგეგმვა, შეფასება და განხორციელება, კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამოცემა, თარგმნა ილიას უნივერსიტეტმა, 2015 წ.

ტე ვარიკმა ახალი ზელანდიის განათლებისთვის შექმნა ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების პირველი ეროვნული სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს ახალ ზელანდიაში ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების ყველა სფეროში თანმიმდევრული და მაღალი ხარისხის კურიკულუმის მიწოდებას.

ახალ ზელანდიაში ბავშვთა ზრუნვისა და განათლების სამსახურების ჩამოყალიბება მოხდა ბავშვების, მშობლებისა და გაერთიანებებისა და საზოგადოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დღესდღეობით ბავშვთა ადრეული განათლების ცენტრები მშობლებთან ერთად აქტიურად არიან ჩართულნი ბავშვთა სოციალიზაციის, ზრუნვისა და განათლების პროცესში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ის რომ ტევარიკმა სასწავლო

გეგმა შეიმუშავა ბავშვთა ადრეულ ასაკში განათლების მიცემის ცენტრების სექტორის ინიციატივების საპასუხოდ.

ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების სფეროს თანამშრომლები, ერთობლივი სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ერთად მუშაობდნენ, რათა სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ახლოს ყოფილიყო პროგრამის ძირითად მიზნებთან.

პროგრამა შემუშავდა ახალ ზელანდიაში მეოცე საუკუნის ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე სასწავლო პროგრამების გამოცდილებაზე და კვლევებზე დაყრდნობით. კვლევამ აჩვენა, რომ ადრეული განათლების სექტორის მრავალფეროვანი სერვისებისათვის მისაღებია პროგრამის შემუშავების ცენტრალური პრინციპები და ჩარჩო. სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს ბევრ შენიშვნას, რომელიც გამოიკვეთა გამოკვლევებისა და საპილოტე პროფესიული განვითარების პროგრამების შესრულებასთან ერთად. ეს არის პირველი სამეცნიერო სასწავლო გეგმა, რომელიც განვითარდა ახალ ზელანდიაში.

აღნიშნული სასწავლო პროგრამა მოიცავს ბავშვის განათლებასა და აღზრდაზე ზრუნვას დაბადებიდან სკოლის ასაკამდე. ამ ასაკის ბავშვებთან ურთიერთობა ინოვაციურია და ნათლად ასახავს სწავლის კონცეფციას, როგორც სიცოცხლის ხანგრძლივობის პროცესს, რომელიც იწყება სიცოცხლის დასაწყისიდანვე.

„კურიკულუმი დაფუძნებულია ბავშვთა შემდგომ მისწრაფებებზე: გაიზარდოს, როგორც კომპეტენტური და თავდაჯერებული შემსწავლელი და კომუნიკატორი, ჰქონდეს ჯანსაღი გონება, სხეული და სული, რომლებიც უზრუნველყოფენ თავიანთი კუთვნილებისა და ცოდნის დაცვას, რომ საზოგადოების განვითარებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ. სასწავლო გეგმა განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს პროგრესს მოსწავლემ ადრეული ასაკის ბავშვთა სასწავლო გარემოში. პროგრამის ობიექტი, ინდივიდუალურად თითოეული ბავშვია. მისი საწყისი წერტილი არის მოსწავლე, ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულება, რომელსაც ბავშვი იძენს გამოცდილებასთან ერთად. სასწავლო გეგმა ასევე ორიენტირებულია ადრეული ბავშვობის ასაკზე. სწავლა პირველ რიგში იწყება სახლში, თუმცა ბაგა-ბაღების პროგრამები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადრეული განათლების მიღებაში და მყარ საფუძველს აყალიბებენ წარმატებული მომავალისათვის“(2, გვ. 7).

იპოვონ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზები, შეძლო დროითი და სივრცითი მიმართებების დადგენა, დაამყარონ სხვადასხვა სახის სოციალური ურთიერთობები, საკუთარი აზრი დააფიქსირონ მყარად და გარკვევით; ეს მცირე ჩამონათვალია იმ ცოდნისა და უნარებისა რომელსაც ბავშვი გამოცდილების შედეგად იძენს და რომელიც მას ცხოვრებისეული გამოწვევების დაძლევაში დაეხმარება.

ეს არის ადრეული ასაკის ბავშვთა სასწავლო პროგრამა, რომელიც სპეციალურად განკუთვნილია ბავშვის დაბადების დროიდან სკოლაში შესვლის ასაკამდე და ის უზრუნველყოფს სწავლების შესაბამისობას სასკოლო პარამეტრებთან. ფაქტია, რომ ბავშვთა ადრეული ასაკის საგანმანათლებლო გარემო განსხვავდება სასკოლო სექტორისაგან და სწორედ ამ განსხვავების განსაკუთრებული ხასიათი და სპეციფიკაა შემუშავებული ზემოთ აღნიშნულ პროგრამაში. პროგრამა ხაზს უსვამს ადამიანებისა და გარემოს სოციალურ და

კულტურულ შუამავლობით ხასიათს ცოდნის მიღებაში. ბავშვები სწავლობენ მოზრდილებთან და თანატოლებთან თანამშრომლობით, სხვების მიერ მართვად პროცესებში მონაწილეობისა და დაკვირვების გზით, აგრეთვე ინდივიდუალური კვლევისა და ასახვის მეშვეობით. ნებისმიერი სოციალური გარემო რომელსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ბავშვი, იქნება ეს სახლი, ბაგა-ბაღი, სკოლა თუ რაიმე სხვა, ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვის ფსიქოლოგიის სწორად ჩამოყალიბებაზე.

დოკუმენტის მიზანი და სტრუქტურა

„ამ დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც ქმნის საფუძველს ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების სერვისებში დაინერგოს სწავლების შესაბამისი პრინციპები. პროგრამა აყალიბებს გარკვეულ პრინციპებსა და მიზნებს რომელიც ახასიათებს ბავშვთა ადრეულ განათლებას და უზრუნველყოფს მათ დაკავშირებას სასკოლო გარემოსთან. დოკუმენტი დაყოფილია 4 სექციად, თუმცა ის იკითხება და გამოიყენება, როგორც ერთი ინტეგრირებული მთლიანობა. უნდა ითქვას, რომ პრინციპები, შტამპები და მიზნები საერთოა ბავშვთა ყველა ადრეული ასაკისთვის. თუმცა, პრაქტიკაში ისინი შეიძლება განსხვავდებოდეს მომსახურებას სერვისის ტიპის მიხედვით“(2, გვ. 5).

პირველი ნაწილი ასახავს ვაირიკის კურიკულუმს და ახალ ზელანდიაში ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების კონტექსტს. ამავე ნაწილში ასევე საუბარია კონკრეტული ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილების მნიშვნელობის შესახებ, ისეთების როგორიცაა სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები და „Tagata Pasefika (წყნარი ოკიანის კუნძულების)„–ის ბაგა-ბაღი. იგი ასევე ხაზს უსვამს ამ კურიკულუმის განვითარების პროცესს. პირველი ნაწილი აჯამებს ზემოთ აღნიშნული კურიკულუმის პრინციპებს, მიმართულებებს და მიზნებს. თუმცა, ეს საკითხი მესამე ნაწილში დაწვრილებითაა განხილული. პირველივე ნაწილი მოიცავს ბავშვთა სწავლებისა და განვითარების ფართო საფეხურების ზოგიერთ ინდიკატორს და განსაზღვრავს დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების პროცესებს და იმ გზებს, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო გეგმის პრინციპებთან.

მეორე ნაწილი აყალიბებს კონკრეტულ აქცენტებს „ngà kòhanga reo“ კურიკულუმში. ეს სექცია ასევე გამოიყენება მაორის ენაზე მეტყველი ბავშვების განათლების პროგრამაში ჩართულ სხვადასხვა სერვისებთან მიმართებაში.

მესამე ნაწილი აფართოებს პრინციპებს, მიმართულებებს და მიზნებს და აყალიბებს მათი განხორციელების ჩარჩოს. მასში აღწერილია ოთხი ძირითადი პრინციპი. კონკრეტული მიმართულებები განმარტებულია, როგორც ზოგადი თვალსაზრისით ასევე იმ კუთხით რომლითაც ეხება ბავშვის ადრეული ასაკობრივი აღზრდის პრინციპებს. თითოეული მიმართულებაზე ჩამოყალიბებულია კონკრეტული მენეჯმენტი, ორგანიზაცია და პრაქტიკა. მასში ასევე საუბარია ბავშვთ მოლოდინის შესახებ ადრეული განათლების ეტაპიდან სასკოლო გარემოში გადასვლისას. თითოეული მიმართულებას ასოცირებული მიზნები აქვს, რაც, თავის მხრივ, კონკრეტული სწავლის შედეგებს აყენებს. ამავე ნაწილში

განხილულია გამოცდილებაზე დამყარებული კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს იმ საჭიროებების გამოვლენას ჩვილებში, ბავშვებსა და მოზარდებში რომლებიც სწავლის პროცესში წარმატებულ უკუგებას უზრუნველყოფს. ეს მაგალითები მიზნად ისახავს დისკურსიის ხელშეწყობას და პროგრამების შემუშავებას, რომლებიც აშკარად უკავშირდება სასწავლო პროგრამების პრინციპებს, მიმართულებებს და მიზნებს. თითოეული მიზნისათვის განკუთვნილი ორაზროვანი კითხვების მაგალითები საკითხის შემდგომი განხილვის საფუძველია. დამხმარე რესურსები ხელს უწყობს დაგეგმვის, განვითარების, განხორციელებისა და შეფასების პროცესებს.

მეოთხე ნაწილში წარმოდგენილია, რომ პროგრამის თითოეულ მიმართულება აქვს არსებითი უნარები შეესაბამებოდეს ახალი ზელანდიის სასკოლო გეგმებს სწავლების ყველა სფეროსთან მიმართებაში.

ვაირიკის კონცეფცია ახალ ზელანდიაში ბავშვობის ადრეული ასაკის განათლების მრავალფეროვნებას აღიარებს. სასწავლო პროგრამა აერთიანებს ზრუნვასა და განათლებას და შეიცავს სპეციფიკურად დაგეგმილ გამოცდილებებსა და სპონტანურად წარმოქმნილ ურთიერთობებს. სხვადასხვა პროგრამები, ფილოსოფიები, სტრუქტურები და გარემოები ხელს შეუწყობს ვაირიკის განმასხვავებელ მოდელს.

გამორჩეული მოდელის საფუძველია:

- კულტურული პერსპექტივები, როგორიცაა „kohanga reo"–ში ან სხვადასხვა წყნარი ოკეანის კუნძულების ბავშვთა ადრეული ასაკობრივი აღზრდის ცენტრებში;
- სტრუქტურული განსხვავებები, როგორიცაა სენსიტიური ან სრული პროგრამა;
- ორგანიზაციული განსხვავებები, როგორიცაა საბავშვო ბაღებში ან ბავშვზე ზრუნვის ცენტრებში;
- სხვადასხვა გარემო, როგორიცაა საკუთარი სახლის ან ცენტრის ორგანიზაციაზე დაფუძნებული პროგრამები;
- ფილოსოფიური აქცენტები, როგორიც არის გასართობ ცენტრებში, და რუდოლფ შტაინერის პროგრამებში;
- სხვადასხვა რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია ქალაქებსა და სოფლებში;
- სიტუაციები, რომლებშიც ადგილობრივი საზოგადოება მონაწილეობს;
- პროგრამაში ბავშვთა ასაკი.

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვები:

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის შესაბამისი მზრუნველობისა და განათლების მიცემაზე ბევრი ბავშვთა ადრეული ასაკის ცენტრები არიან ორიენტირებულნი. კურიკულუმი აჩვენებს, რომ ზრუნვისა და განათლების მიცემის ფორმა აერთიანებს ბავშვთა ადრეული ასაკისათვის დამახასიათებელ ყველა პრინციპებსა და მიმართულებებს.

აქტივობები იქნება ასაკის და განვითარების შესაბამისი და საშუალებას მისცემს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებს აქტიურად ჩაერთონ სწავლაში. როგორც წესი, ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების დაწესებულებაში ინდივიდუალური განვითარების გეგმა ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (IDP ან IEP) შემუშავდება

ნებისმიერი ბავშვისთვის, რომლებიც საჭიროებენ ალტერნატიულ ან დამატებით რესურსებს. ინდივიდუალური განვითარების გეგმა ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანი იქნება რეალისტური, სასარგებლო და ღირებული როგორც ბავშვის ისე ოჯახისათვის. პროგრამა უზრუნველყოფს ღონისძიებებს, რათა დააკმაყოფილოს კონკრეტული მიზნები და შექმნას საჭირო რეზერვები დამოუკიდებლობისთვის. **„ტე ვარიკი“** განკუთვნილია ყველა ბავშვებისთვის და ითვალისწინებს, რომ სპეციალური საჭიროებების დაკმაყოფილება მოხდება, რადგან ბავშვები ყველა ასაკობრივ ეტაპზე იღებენ განათლებას. თითოეული ცენტრის პროგრამები მოიცავს სტრატეგიებს, რომლებიც სრულად შეიცავდეს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის აუცილებელ პრინციპებს.

განმასხვავებელი კონტექსტი:

არსებობს ბევრი გამორჩეული კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს ბავშვთა ზრუნვისა და განათლების განსაკუთრებულ სახეობას, თითოეული მათგანის სპეციფიკურ იდენტობასა და ორიენტირს. ამ სახელმძღვანელოში მოცემული ყველა პრინციპი, მოთხოვნილება და მიზნები რომლებიც გათვლილია თითოეული კონტექსტში.

ამ დოკუმენტში სპეციალურად გამოვლენილი ორი გამორჩეული კონტექსტია:

- მაორიული პროგრამები
- „Tagata Pasefika“ პროგრამები

მაორიულ ენაზე პროგრამის შექმნის იდეა წარმოიშვა მაორზე მეტყველი სასკოლო ასაკის ბავშვების მხარდასაჭერად და განვითარებისათვის. ეს დოკუმენტი აღიარებს იდენტიფიცირებადი მაორის ენის სპეციფიკურ როლს, და იცავს მაორის ენის დამოუკიდებლობას, მაორის ენის პედაგოგიკასა და მაორის ენის ცოდნის გადაცემას.

„Tagata Pasefika“ – წყნარი ოკეანის კუნძულებზე ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების ცენტრები: წყნარი ოკეანის კუნძულებიდან მიგრანტთა გარკვეულმა ჯგუფებმა ადრეული ასაკის ბავშვთა ცენტრები შექმნეს, რათა თავიანთი განსხვავებული კულტურები და ენები ახალ სამეზობლოში პირველ რიგში შეენარჩუნებინათ და ასევე განევითარებინათ. წყნარი ოკეანის კუნძულების კულტურის მრავალფეროვნების გამო, არც ერთი წყნარი ოკეანის კუნძულების კურიკულუმი არ არის სპეციფიური სახის. ამის მიზეზი არის ის, რომ მათ ისტორიულ კავშირებს აქვთ ენასა და კულტურას შორის, და არსებობს საერთო გეოგრაფიული მემკვიდრეობა.

მართალია კურიკულუმი ორიენტირებულია წყნარი ოკეანის კუნძულების ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების ცენტრებზე მაგრამ ცალკეული ეთნიკური ჯგუფები გამოთქვამენ სურვილს მათი გარემოსთვის დამახასიათებელი მოდელების გათვალისწინებას კურიკულუმის ფორმატში.

პრინციპები, ქრონიკები და მიზნები ბავშვთა ადრეული ასაკის კურსის შესახებ. ბავშვთა ადრეული ასაკის კურიკულუმის ცენტრში ოთხი მთავარი პრინციპია:

- **მოტივაცია:** ადრეულ ბავშვობაში სასწავლო პროგრამა ხელს უწყობს ბავშვის სწავლას, აღზრდას და განვითარებას.

- **ჰოლისტიკური განვითარება:** ადრეული ასაკის ბავშვთა სასწავლო გეგმა ასახავს ჰოლისტიური გზით ბავშვებსთვის განათლების გადაცემას.
- **ოჯახი და საზოგადოება:** ოჯახისა და საზოგადოების ფართო სამყარო ადრეული ასაკის ბავშვთა სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილია.
- **ურთიერთობები:** ბავშვები სწავლობენ ადამიანებთან, სიტუაციასთან და გარემოსთან ურთიერთობისა და ურთიერთქმედებისას.

სტრატეგიები და მიზნები

სტრატეგიები და მიზნები წარმოიქმნება ოთხი პრინციპით. ტე–ვარიკის ჩამოყალიბების საყრდენს 4 პრინციპი და 5 სტრატეგია წაროადგენს. პრინციპები და სტრატეგიები ერთად ქმნიან კურიკულუმის ჩარჩოს. თითოეული მიმართულებას აქვს რამდენიმე მიზანი. სწავლის შედეგები შემუშავებულია თითოეული მიზნისათვის, ისე, რომ ტე-ვარიკი ხდება ყველა ბავშვის განვითარებისათვის ინტეგრირებული საფუძველი.

სტრატეგია 1 კეთილდღეობა: ბავშვის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა დაცულია და უზრუნველყოფილი.სტრატეგიის შიდა მიზნებია:

- ბავშვები იმყოფებიან გარემოში, სადაც ხდება: მათი ჯანმრთელობის ხელშეწყობა; მათ ემოციური კეთილდღეობაზე ზრუნვა;
- დაცვა ყოველგვარი საფრთხისაგან.

სტრატეგია 2 მიკუთვნებულობა: ბავშვები და მათი ოჯახი გრძნობენ კონკრეტულ გარემოსთან მიკუთვნებულობას. სტრატეგიის შიდა მიზნებია:

- ბავშვები და მათი მშობლები იმყოფებიან გარემოში, სადაც: კავშირი ოჯახებსა და გარემომცველ სამყაროს შორის არის დამოწმებული და გაფართოებული; მათ იციან, რომ აქვთ საკუთარი ადგილი ამ სამყაროში; ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს ჩვეულებებითა და რეგურალური ღონისძიებებით გარშემორტყმულნი; მათ იციან მისაღები ქცევის საზღვრები და ნორმები.

სტრატეგია 3 წვლილი: სწავლის შესაძლებლობები თანაბარია და თითოეული ბავშვის წვლილი ფასდება. სტრატეგიის შიდა მიზნებია:

- ბავშვები იმყოფებიან გარემოში, სადაც: არსებობს თანაბარი შესაძლებლობები სწავლისა სქესის, უნარის, ასაკის, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად; ისინი აღიქმებიან როგორც ინდივიდები; ხდება სხვებთან ერთად სწავლის წახალისება.

სტრატეგია 4 კომუნიკაცია: ხდება საკუთარი და სხვა კულტურის, ენებისა და სიმბოლოების პოპულარიზაცია და დაცვა. სტრატეგიის შიდა მიზნებია:

- ბავშვები იმყოფებიან გარემოში, სადაც ხდება: მათი არავერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება; ზეპირი კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს მრავალფეროვანი სპექტრის შექმნა; საკუთარი და სხვა კულტურის ისტორიებისა და სიმბოლოების შესწავლა; გზებისა და საშუალებების აღმოჩენა რომელიც უზრუნველყოფს მათ შემოქმედებითობას და ექსპრესიულობას.

სტრატეგია 5 კვლევა: ბავშვი სწავლობს გარემოს აქტიური შესწავლით. სტრატეგიის შიდა მიზნებია:

- ბავშვები იმყოფებიან გარემოში, სადაც: ხდება სპონტანური და გეგმიური თამაშების შემეცნებითი ხასიათის დადასტურება; მოიპოვებენ თავიანთი სხეულისა და გრძნობის ორგანოების ნდობას და კონტროლს;აღწევენ თვითდაჯერბულობას; სწავლობენ სტრატეგიებს აქტიური ძიების, აზროვნებისა და დაკვირვებისათვის; ქმნიან საკუთარ მოქმედ თეორიებს ბუნებრივი, სოციალური, ფიზიკური და მატერიალური სამყაროს აღქმისათვის.

ადრეული ასაკის ბავშვთა მოვლა და განათლება ახალ ზელანდიაში

დოკუმენტში ჩამოყალიბებული სასწავლო გეგმა ახდენს ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების სერვისების დემონსტრირებას, რომელიც შეიქმნა მეოცე საუკუნის განმავლობაში ახალ ზელანდიაში ბავშვების, მშობლებისა და საზოგადოების განსაკუთრებულ საჭიროებებზე დაყრდნობით. ახალი საჭირობების გაჩენამ ძველი სტრუქტურები ჩაანაცვლა ახალით. შეიქმნა ახალი სერვისები. ადრეული ასაკის ბავშვთა მოვლისა და განათლების პროგრამა ახალ ზელანდიაში მოიცავს წლებს ბავშვის დაბადებიდან სკოლაში შესვლის ასაკამდე.

განათლების სერვისის როლი ბავშვის ადრეული ასაკში

ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების ცენტრის შექმნის მიზანი იყო უმწეო ბავშვებისთვის დახმარების გაწევა. ოჯახები და ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების ცენტრები ერთობლივად ჩაერთვნენ ბავშვთა სოციალიზაციის და სწავლის სფეროში. ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების ცენტრები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ, რომ სწავლის შესაძლებლობები შეზღუდული არ იყოს სქესის, ეთნიკურობის ან ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ბავშვები იზრდებიან ერთზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის მქონე საზოგადოებაში.

კავშირები ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების სერვისებს შორის:

ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების სერვისები და ორგანიზაციები ერთობლივად მუშაობდნენ საერთო პრინციპებისა და ერთიანი პოლიტიკის შემუშავების მიზნით. ყველა მონაწილეობდა ბავშვთა სწავლებისა და განვითარების სასწავლო გეგმის როლის განსაზღვრასა და შემუშავებაში. ტე-ვარიკის საგანმანათლებლო კურიკულუმის გამოხატავს საერთო აზრს, თუ რას აკეთებს კურიკულუმი ადრეულ ბავშვობაში, სხვა სასწავლო პროგრამებიდან განსხვავებით. გაძლიერებულია კავშირები სხვადასხვა ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების სამსახურებს შორის, რაც ხელს უწყობს ერთმანეთის განსხვავებებისა და მსგავსების შეფასებას. სასწავლო გეგმა ცდილობს მოიცვას და აღინიშნოს ეს მრავალფეროვნება, ასევე განსაზღვროს საერთო პრინციპები, მიმართულებები და მიზნები ბავშვთა სწავლისა და განვითარებისათვის, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ორგანიზაციებსა და სერვისებს აქვთ მუშაობის უფლება.

ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების სამსახურის განსაკუთრებული მახასიათებელი:

ახალ ზელანდიაში ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების ბევრი სამსახური არსებობს, როგორც ეროვნული ორგანიზაციის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მათ

ფილოსოფიურ რეგლამენტსა და მიმართულებას. თითოეული ორგანიზაციას კონკრეტული მიდგომები გააჩნია სასწავლო პროგრამასთან მიმართებაში. არსებობს ასევე ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების ისეთი სერვისები, რომლებიც ინდივიდუალურ ცენტრებად არიან განთავსებულნი. მთავარი პროგრამები, რომელთა უმრავლესობაც საოჯახო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში ფუნქციონირებს, წარმოადგენს ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების მრავალფეროვნების ერთ-ერთ მაგალითს. ეს პროგრამები უზრუნველყოფს სერვისს, რომელიც პირდაპირ ასახავს სახლისა და ადრეულ ასაკში ბავშვთა ზრუნვასა და განათლებას შორის კავშირების მნიშვნელობას.

ოჯახსა და ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების ცენტრებს შორის კავშირები:

ტე ვარიკის აზრით მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში ოჯახსა და ბავშვთა განათლების ცენტრებს შორის ახლო კავშირი. ვინაიდან გარემო ქმნის შესაძლებლობას სწავლისათვის.ტე ვარიკს მიაჩნია, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში უნდა განხორციელდეს და დაინერგოს პროგრამები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ოჯახის მნიშვნელობაზე. პროგრამებში უნდა აისახოს ოჯახის როლი ბავშვთა აქტივობაში, შეფასებაში, რაც ოჯახის მიმართ გარკვეული მიდგომების ჩამოყალიბების საფუძველია. ამრიგად, ტე-ვარიკი აერთიანებს სწავლის, აღზრდისა და განათლების განუყოფელ ელემენტებს კურიკულუმში.

კულტურული მრავალფეროვნების ზრდა:

ახალ ზელანდიაში მრავალი ემიგრანტი ცხოვრობს და, როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, ისინი მულტიკულტურული მემკვიდრეობით ხასიათდებიან. ამიტომ ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების კურიკულუმი მხარს უჭერს ყველა ბავშვის კულტურულ იდენტობას, ადასტურებს და აღნიშნავს კულტურულ განსხვავებებს და მიზნად ისახავს ბავშვების დადებითი ცნობიერების ამაღლებას საკუთარი და სხვა კულტურების შესახებ.

ტე ვარიკის მოთხოვნით ადრეული ასაკის პროგრამები და რესურსები შესაბამისი უნდა იყოს სხვადასხვა კულტურისა და მემკვიდრეობისთვის. რადგან მას მიაჩნია, რომ ადრეულ ბავშვობაში სასწავლო პროგრამა აქტიურად უწყობს ხელს რასიზმისა და სხვადასხვა რწმენა-ცრურწმენების გავრცელებას.

გამუდმებით ცვლადი საზოგადოება:

ტე ვარიკი მიიჩნევს, რომ ახალი ზელანდია მსოფლიო ტექნოლოგიური რევოლუციის ნაწილია. ამიტომ ცვლილება ყოველდღიური ცხოვრების თავისებურებაა. ამგვარი ცვლილებების შესამსუბუქებლად სასწავლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს იმ უნარების განვითარება, რომელიც ბავშვებს სიცოცხლის განმავლობაში სჭირდებათ.

ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების კურიკულუმის კონტექსტი:

„ტე ვარიკი ადრეულ ასაკში ბავშთა განათლების კურიკულუმის განვითარების კონტექსტს აღწერს ბრონფენბრენერის „ადამიანის განვითარების ეკოლოგიის“ მიხედვით.

- პირველ დონეზე არის მოსწავლე და მისი უშუალო გარემო. სხვა დონეებს აქვთ ძლიერი გავლენა ბავშვის კეთილდღეობაზე და სწავლის უნარზე.

- მეორე დონე შეიცავს ძირითად პარამეტრებს მოსწავლეების გარემო პირობებიდან: ბავშვის საკუთარი სახლი, მომსახურება ან გარემოში, ან სახლის ფარგლებს გარეთ, და ამ გარემოებებს შორის ურთიერთობები.
- მესამე დონე, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვთა გამოცდილების ხარისხზე, მოიცავს სამყაროს, მუშაობას სამეზობლოში, მასმედიას და არაფორმალურ სოციალურ ქსელებს. ასევე მოიცავს პირობებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვთა ცხოვრებაზე.
- ამავდროულად არსებობს, შემდგომი ეროვნული დონე - ქვეყნის მრწამსი, ბავშვთა ზრუნვისა და განათლების ღირებულებისა და ბავშვთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ"(2.გვ.14).

ტე ვარიკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პირველ ორ დონეს. მისი აზრით, პირველი ორი დონე - მოსწავლე და სასწავლო გარემო - მჭიდროდაა დაკავშირებული სასწავლო პროგრამასთან. ბავშვი სწავლობს ისეთ გარემოში, სადაც მოზარდები ბავშვებს და ერთმანეთს ელაპარაკებიან. სწავლობს იმ გარემოში სადაც აზრის გამოტანა დაკვირვებაზე შეუძლია. სწავლა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ აღიქვამენ და ეგუებიან ბავშვები თავიანთ გარემოს. ბავშვისა და მათი გარემოცვის ამგვარი გაცვლის კიდევ ერთი ასპექტია იმ სოციალური ერთობის გავლენა, რომლებსაც ბავშვები ეკუთვნიან. თითოეული სოციუმი, რომელიც ბავშვებს ეკუთვნის, თავის სპეციფიკურ კურიკულუმს ითხოვს:

- მოსწავლეთა საზოგადოება-გამოწვევები და ცვლილებები;
- ბავშვის საზოგადოება-ინდივიდუალური საჭიროებები და უფლებები;
- ახალი ზელანდიის თანამეგობრობა- ერის ენების ცოდნის შენახვა, როგორც კულტურული იარაღის გამოყენება: ხელოვნება, ცეკვა, მათემატიკა, მუსიკა, კითხვა, მეცნიერება და ტექნოლოგია.

სწავლების დონეები:

პირველი დონე: მოსწავლე სწავლობს გარემოში; სწავლა ეხმაურება გამოწვევებს და ცვლილებებს; შეისწავლიან ენას და კულტურულ იარაღებს; ინდივიდუალური საჭიროებების და უფლებების დაცვა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების განვითარება; საპასუხო ურთიერთობები.

მეორე დონე: შეუფერხებელი სასწავლო გარემო და ურთიერთობები; სახლი და ოჯახი; ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების პარამეტრები და მათში მცხოვრები ადამიანები.

მესამე დონე: მოზრდილთა გარემო. ყველა მოზარდის პროფესიონალიზმი; პროფესიული მხარდაჭერა; კოლეგიალური განვითარება და შემდგომი სწავლის შესაძლებლობები; ნათესაური ქსელები; მეგობრობის ქსელები.

მეოთხე დონე: ერის რწმენა და ფასეულობები.

მზრუნველობა და განათლება ჩვილობისას და მოზარდობისას

დაბადებიდან 8 წლამდე ასაკის ბავშვების განვითარების საჭიროებები და შესაძლებლობები, განსხვავდება მათი ცხოვრების შემდგომი საფეხურებისგან. ამ ასაკის ბავშვთა განათლების კურიკულუმი არსებითად განსხვავებულია მოზარდ ბავშვთა სასწავლო პროგრამისგან. რადგან ადრეული ასაკის ბავშვთა კურსები ხაზგასმით აღწერს ურთიერთშეთანხმებულ და მგრძნობიარე ურთიერთობებს, როგორც მოზრდილებთან, ისე

თანატოლებთან, რომლებსაც შეუძლიათ ბავშვთა განვითარებისა და შესაძლებლობების შეცვლა. ტე-ვარიკი დაბადებიდან სკოლში შესვლის ასაკამდე განსაზღვრავს სამ ფართო ასაკობრივ ჯგუფს. ამავე დროს, იგი აღიარებს, რომ არსებობს ბავშვებისადმი ინდივიდუალური მიდგომის მნიშვნელოვანი პერსპექტივები. ჩვილებსა და მოზარდებს აქვთ განსხვავებული და გამორჩეული საჭიროებები და თვისებები. ზემოთქმულიდან გამომდინარე ტე ვარიკს მიაჩნია, რომ პროგრამა უნდა იყოს მოქნილი იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ ინდივიდუალური ბავშვების განსხვავებული საჭიროებები და მახასიათებლები.

ასაკობრივი კატეგორიები

როგორც ავღნიშნეთ ტე-ვარიკი დაბადებიდან სკოლში შესვლის ასაკამდე განსაზღვრავს სამ ფართო ასაკობრივ ჯგუფს:

- ჩვილობა-დაბადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში;
- ახალფეხადგმული ბავშვი- ერთი წლიდან - სამ წლამდე;
- მოზარდი ბავშვი-ორიდან - ნახევარი წლით ადრე სკოლაში შესვლამდე.

ჩვილობა

ადრეულ თვეებში, ჩვილები სრულიად დამოკიდებულნი არიან სხვებზე. მათ ესაჭიროებათ, გაუაზრებელ სამყაროში მოსალოდნელი მოვლენების საჭიროებების გაცნობა. იმისათვის, რომ აითვისონ და ისწავლონ, ჩვილებმა უნდა შექმნან ინტიმური, მგრძნობიარე და სანდო ურთიერთობა მინიმუმ ერთი სხვა პირთან. ჩვილებს შეუძლიათ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ რამდენიმე ადამიანთან, მაგრამ არა ბევრთან. საკუთარი იდენტურობის განმტკიცება და მათთვის აუცილებელი თვითშეფასების განცდა აუცილებელია, რომ ურთიერთობისას იყვნენ გაცილებით თავდაჯერებულნი, ჩვილებმა უნდა იგრძნონ ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება, როგორც მინიმუმ ერთ ადამიანთან. ტე ვარიკი გამოყოფს ჩვილების შემდეგ განსაკუთრებულ მახასიათებლებს:

- ზრდისა და განვითარების ცვლილებები უფრო სწრაფია, ვიდრე ნებისმიერი სხვა პერიოდის განმავლობაში.
- ჩვილები ძალიან დაუცველნი არიან. ისინი მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მთლიანად დამოკიდებულნი არიან უფროსებზე, და იშვიათად შეუძლიათ გაუმკლავდნენ დისკომფორტს ან სტრესს.
- ჩვილებს აქვთ გადაუდებელი საჭიროებები, რომლებიც დაუყოვნებლივ ითხოვენ ყურადღებას.
- ახალშობილებს სჭირდებათ უსაფრთხოება იმის შესახებ, რომ მათი ემოციური და ფიზიკური საჭიროებების დაკმაყოფილება მოხდება პროგნოზირებადი გზებით.
- ჩვილობისას შეინიშნება ჯანმრთელობის და კეთილდღეობის სწრაფი მერყეობა.

ძირითადი მოთხოვნები ჩვილების სასწავლო გეგმებში:

ჩვილების მოვლა სპეციალურ დამოკიდებულებას საჭიროებს. ეს არ არის, არც 3-4 წლის ბავშვთა პროგრამა და არც ძიძობაზე შეთანხმება. ჩვილ ბავშვთა ზრუნვის პროგრამამ უნდა უზრუნველყოს:

- ერთი - ერთში ურთიერთქმედება. (მომვლელები უნდა ხელმძღვანელობდნენ ბავშვთა მოთხოვნილებებიდან გამომდინარე);
- ზრდასრული, რომელიც მუდმივად პასუხისმგებელია თითოეულ ჩვილზე;
- უფრო მეტი დაკომპლექტებული კონტიგენტი, ვიდრე მოზარდობისას;
- კომუნიკაბელური, მოსიყვარულე და ფიზიკურად პასუხისმგებლი უფროსები, რომლებსაც შეუძლიათ ჩვილ ბავშვთა საჭიროების დაკმაყოფილება;
- ინდივიდუალური პროგრამები, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ ჩვილთა საკუთარი ქმედება;
- პროგნოზირებადი და მშვიდი გარემო, რომელიც აშენებს ნდობას და მოლოდინს ხეს;
- პარტნიორობას მშობლებსა და სხვა ზრდასრულ პიროვნებებს შორის, რომლებიც ჩართულნი არიან ჩვილებზე ზრუნვის პროგრამაში.

ახლად ფეხადგმული ბავშვი.

ამ პერიოდში ბავშვის განვითარება და ქცევის ჩამოყალიბება ყველაზე უფრო რთულად მიმდონარეობს ვიდრე სხვა ასაკობრივ ჯგუფში. ახლად ფეხადგმული ბავშვები იბრძვიან განავითარონ თავდაჯერებულობის გრძნობა და გახდნენ დამოუკიდებლები მოზრდილებისგან, მაგრამ ითხოვენ გარკვეულ ემოციურ მხარდაჭერას. ახლად ფეხადგმული ბავშვი სწრაფად იძენს ფიზიკური, სოციალურ, მსჯელობის და ენის ცოდნის უნარს. მაგრამ ეს უნარები ჯერ კიდევ ბევრ პრაქტიკას საჭიროებს. ბავშვები ამ დროს მიდრეკილნი არიან საკუთარი სამყაროს და კომფორტის შექმნისკენ, ამიტომ ხშირია კონფლიქტი მშობლებთან და აღმზრდელებთან.

ახლად ფეხადგმულ ბავშვთა განსაკუთრებული მახასიათებლები:

- ახლად ფეხადგმული ბავშვები არიან ენერგიულები და მოძრაობენ ბევრს.
- ახლად ფეხადგმული ბავშვები ამყარებენ კონტროლს თავიანთ სამყაროზე, სწავლობენ ლიმიტებს, მიზეზებს და შედეგებს.
- ახლად ფეხადგმული ბავშვების მოთხოვნილებები გაცილებით დიდია ვიდრე მათი დაკმაყოფილების ვერბალური თუ ფიზიკური შესაძლებლობა.
- ახლად ფეხადგმული ბავშვები არიან აქტიურები და ცნობისმოყვარეები. სურთ გახდნენ კომპეტენტურები და შეძლონ ქმედებების, საგნების და იდეების გენერირება.
- ახლად ფეხადგმული ბავშვების გრძნობები არის ძლიერი მაგრამ არაპროგნოზირებადი.
- ახლად ფეხადგმული ბავშვები ისწრაფვიან შესაძლებლობების, კრეატიულობისა და აღმოჩენებისაკენ.
- ახლად ფეხადგმული ბავშვები არიან იმპულსურები და აქვთ თვითკონტროლის ნაკლებობა.
- ახლად ფეხადგმული ბავშვები კონცენტრირებულნი არიან აწმყოზე.
- ახლად ფეხადგმული ბავშვები ისწრაფვიან სოციალური ურთიერთქმედებებისკენ და სწავლობენ სხვების მიბაძვით.

- ახლად ფეხადგმული ბავშვები სწავლობენ მთელი სხეულით და სწავლობენ არა თქმით არამედ ქმედებით.

ძირითადი მოთხოვნები ახლად ფეხადგმული ბავშვების სასწავლო გეგმებში:

სპეციალურად ახლად ფეხადგმული ბავშვისთვის განკუთვნილ პროგრამებს ხშირად ახასიათებთ ტენდენცია, იყოს მოსაწყენი, უფერული და მოსაბეზრებელი, იმ შემთხვევაში, როდესაც მოლოდინი ძალიან დაბალია ან ძალიან მაღალია.

ახლად ფეხადგმულ ბავშვთა საჭიროებები:

- უსაფრთხო გარემო და პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს გაუმკლავდნენ გამოწვევებსა და პროგნოზირებად მოვლენებს;
- დამოუკიდებელი კვლევისა და მოძრაობის შესაძლებლობები;
- მოქნილი მიდგომა, რომელიც იტევს მათ სპონტანურობას და ახდენს მათი რეალიზებას, რომელიც საშუალებას აძლევს მათ თავიანთი საქმეები გააკეთონ;
- მოზარდები, რომლებიც ხელს უწყობენ ახლად ფეხადგმული ბავშვების 'შემეცნებითი უნარების და ენის განვითარებას;
- პასუხისმგებლიანი და პროგნოზირებადი მოზარდები, რომლებიც გააცნობიერებენ და იღებენ ბავშვის განვითარების ტემპს.

მოზარდი

მოზარდობისას იზრდება ბავშვის აქტიურობა, ინტრესდება ენის სიღრმისეული შესწავლით, ცდილობს ამოიცნოს მისთვის აქამდე უცნობი საკითხები. უღრმავდება ისეთ ობიექტებს როგორიცაა სურათები, რიცხვები, სიტყვები და ა.შ. ბავშვის ადრეული ასაკის პროგრამა უნდა წარმოადგენდეს გამოცდილების მდიდარ ბანკს, რომლისგანაც ბავშვები სწავლობენ თავიანთ და მათ გარშემო არსებულ სამყაროს. ამ პერიოდში ბავშვებს ხშირად ახასიათებთ განვითარების წინა ეტაპზე დაბრუნება. ამიტომ საჭიროებენ ემოციურ მხარდაჭერას.

მოზარდთა განსაკუთრებული მახასიათებლები:

- მოზარდ ბავშვებს შეუძლიათ გააცნობიერონ მათ გარშემო არსებული ნიმუშებისა და კანონზომიერების ფართო სპექტრი. რაც მათ უბიძგებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ყველაფერი, რაც განსხვავებულია მათი მოლოდინისგან. არ აშინებთ კითხვებზე გასცენ უხერხული, იუმორისტული და ზოგჯერ სულელური პასუხები.
- მოზარდ ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა ყველაფერი მათ გარშემო აღიქვან როგორც განვითარების უშრეტი წყარო.
- მოზარდ ბავშვებს აქვთ განსხვავებული აღქმა სიმბოლოების და გამომსახველობების. აქვთ უნარი შექმნან ნახატები, მუსიკა, ცეკვა და ასევე განსხვავებული ობიექტები სიტყვებისა და რიცხვების გამოყენებით.
- მოზარდი ბავშვები ადვილად ანვითარებენ ცოდნისა და მახსოვრობის უნარებს. უჩნდებათ ინტერესი ახალი ენის ათვისების და შეცნობის. ცდილობენ ამოხსნან თავსატეხები და შეიცნონ მათ გარშემო არსებული სამყაროს სოციალური და ფსიქოლოგიური მახასიათებლები.

- მოზარდი ბავშვები მახსოვრობას ინვითარებენ ისტორიების მოყოლით, რთული პრობლემის მოგვარების სტრატეგიების მოფიქრებით და უფრო დაჟინებული ცნობისმოყვარეობით.
- მოზარდი ბავშვები ავითარებენ სოციალურ უნარებს, მეგობრობის შეძენით და შენარჩუნებით და იწყებენ სხვისი თვალსაზრისების გათვალისწინებას.
- მოზარდი ბავშვები თავიანთი ფიზიკური უნარ-ჩვევების განმტკიცებას და დახვეწას უზრუნველყოფენ.
- მოზარდი ბავშვები თავიანთ ცნობიერებას, როგორც შემსწავლელნი იმაღლებენ დაგეგმვის, შემოწმების, დაკითხვის და ამოცანების ამოხსნის სტრუქტურების გამოყენებით.
- მოზარდი ბავშვები თავიანთ წარმოდგენებს იყენებენ საკუთარი და სხვების იდენტობის შესასწავლად.

ძირითადი მოთხოვნები მოზარდი ბავშვების სასწავლო გეგმებში:

მნიშვნელოვანია, რომ მოზარდ ბავშვებს მივცეთ საშუალება გაუმკლავდნენ ახალ გამოწვევებს, თანამშრომლობის და გრძელვადიანი პროექტების განხორციელების შესაძლებლობებს. ამ დროს მიღებული გამოცდილება, კი ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების გამომჟღავნებას და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მათთვის მარტივი ხდება სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია.

მოზარდ ბავშვთა საჭიროებები:

- უფროსები და გარემო, რომელიც უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი გამოწვევების მომზადებას, მხარდაჭერას საჭიროების შემთხვევაში. დაინტერესების შემთხვევაში, კი პრობლემური საკითხების შეთავაზებას გადასაჭრელად.
- შესაძლებლობები შეეჭიდნონ ახალ მაგრამ ისეთ გამოწვევებს, რომლებთანაც დამოუკიდებლად შეძლებენ გამკლავებას.
- უფროსები, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ საუბრების, შეკითხვების და რთული აზროვნების წარმართვას, მსგავსებისა და განსხვავებების გათვალისწინებით.
- შესაძლებლობა გამოამჟღავნონ საკუთარი ენობრივი კომპეტენცია.
- რესურსების ფართო სპექტრი აღმოჩენებისა და წარმოდგენებისათვის.
- იუმორის გრძნობის განვითარება.
- იმ ტიპის სავარჯიშოების ამორჩევა, რომელიც დაეხმარებათ ფიზიკური კოორდინაციისა და განვითარებას გაუმჯობესებაში.

სასწავლო გეგმის განხორციელება.

ტე ვარიკის მიხედვით, სასწავლო გეგმის განხორციელების ტიპები განსხვავდება ერთმანეთისგან. თითოეული სერვისი შეიმუშავებს საკუთარ პროგრამებს, ბავშვთა ოჯახების, კონკრეტული გარემოებების და ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. პროგრამები ეფუძნება სასწავლო გეგმის პრინციპებს და ფასდება სასწავლო გეგმებისა და მიზნების გათვალისწინებით.

მოზრდილების პასუხისმგებლობა მენეჯმენტში, ორგანიზაციაში და პრაქტიკაში.

სასწავლო კურსის თითოეული საფეხური იმას ნიშნავს, რომ ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების გარემო მართვადია და ორგანიზებადი. ტე ვარიკი წარმოგვიდგენს

მენეჯმენტის ორგანიზაციულ ასპექტების, რომლებიც გავლენას ახდენენ სასწავლო გეგმაზე, ესენია:

- ფიზიკური გარემოსა და აღჭურვილობის მოწყობა;
- აქტივობებისა და ღონისძიებათა დაგეგმვა;
- ორგანიზაციული ფილოსოფიები, პოლიტიკა და პროცედურები;
- მშობლების ჩართულობა და მხარდაჭერა და საზოგადოებასთან კავშირის დამყარებისას;
- ბავშვთა ასაკი, ჯგუფებში მათი რაოდენობა და გადანაწილება.

ტე-ვარიკის პრინციპები და შეფასების სისტემა

გაძლიერება:

- შეფასების წარმოება და საჭირო ინფორმაციის მომცველი ჩანაწერების გაკეთება, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობას.
- კრიტიკული თვითშეფასება საკუთარი სწავლისა და განვითარების ირგვლივ ხელს უწყობს ბავშვს ჩამოყალიბდეს, როგორც ადამიანი და კომპეტენტური მოსწავლე.
- შეფასება უნდა იყოს ორმხრივი პროცესი. ბავშვთა თვითშეფასების პარალელურად მათ უნდა აფასებდნენ მოზრდილები, ისე რომ ბავშვებს ამ შეფასების მიმართ არ გაუჩნდეთ პროტესტის გრძნობა. ბავშვებს, ასევე უნდა მიეცეთ შესაძლებლობა თავად აირჩიონ შეფასების განსაზღვრული პროგრამა თვით კურიკულუმშიც კი.

ჰოლისტური განვითარება:

- ბავშვთა შეფასება, ან დაკვირვება უნდა მოხდეს იმავე კონტექსტში არსებულ მნიშვნელოვან საქმიანობებსა და ურთიერთობებზე, რომლებიც უზრუნველყოფილია ჰოლისტური კურიკულუმით.
- ბავშვთა შეფასება უნდა შეიცავდეს სწავლისა და განვითარების ყველა განზომილებას და უნდა მოიცვას ბავშვი მთლიანად.
- ატრიბუტები, როგორიცაა: პატივისცემა, ცნობისმოყვარეობა, გამოხატულება, კუთვნილება, ნდობა, დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა ადრეული ასაკის ბავშვთა სასწავლო გეგმის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია: ისინი ძალზე ძნელად ფასდება, მაგრამ ხშირად აღინიშნება ბავშვთა პასუხებსა და ქცევაში.

ოჯახი და საზოგადოება:

- ოჯახები უნდა იყოს ნაწილი სასწავლო და შეფასების კურიკულუმის, ასევე ბავშვების სწავლისა და განვითარების პროცესების.
- ბავშვების შესახებ ყველა ღირებულ ინფორმაციას ფლობენ მშობლები და მეურვეები.
- ბავშვების შესახებ დაკვირვებები და ჩანაწერები უნდა იყოს ორმხრივი კომუნიკაციის ნაწილი, რომელიც აძლიერებს პარტნიორობას ადრეულ ასაკის ბავშვობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და ოჯახს შორის.

ურთიერთობები:

- შეფასებაზე გავლენას ახდენს მოზრდილებსა და შვილებს შორის ურთიერთობები, ისევე, როგორც ბავშვთა სწავლასა და განვითარებაზე მოქმედებს მათი სხვებთან ურთიერთობის ფორმა.
- მოზრდილები თავს გრძნობენ, როგორც მოსწავლეები და მოელიან შეფასებას. უფროსების მოლოდინები გარკვეულწილად ბავშვების ქმედითუნარიანობაზეც მოქმედებს.
- თუ მოზარდები შვილებს ინფორმირებულად დააკვირდებიან, იძულებულნი გახდებიან აღიარონ საკუთარი შეხედულებები, მოსაზრებები და დამოკიდებულება, რაც თავის მხრივ ბავშვის განვითარებაზე პირდაპირპროპორციულად მოქმედებს.

კეთილდღეობა. კავშირები არსებით უნარ–ჩვევებთან :

- **კომუნიკაციური უნარები:** ბავშვებს უვითარდებათ თვითრწმენა და საკუთარი თავის გამომხატველობითი უნარები. ახერხებენ საკუთარი შეხედულებებისა და გრძნობების ეფექტურად და შესაბამისად გენერირებას.
- **რიცხვითი უნარები:** ბავშვები ქმნიან კომპეტენციას მათემატიკურ ცნებებში და სარგებლობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- **ინფორმაციული უნარები:** ბავშვები ინარჩუნებენ ნდობას უსაფრთხო მარშრუტებისა და ქცევის შესწავლის შესახებ.
- **პრობლემის გადაწყვეტის უნარები:** ბავშვები დარწმუნებულნი არიან, რომ პასუხისმგებლობას იღებენ პრობლემების გადასაჭრელად და იდეების შესამოწმებლად.
- **თვითმმართველობისა და კონკურენტუნარიანობის უნარები:** ბავშვებს თვითშეფასების გრძნობა გააჩნიათ. იბრძვიან საკუთარი პასუხისმგებლობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. კონფლიქტების და პრობლემების გამოსაწვევად და მათი დაძლევის გზების გასავითარებად.
- **სოციალური და კოოპერატიული უნარები:** ბავშვებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სოციალური პარამეტრების ფორმირებაში, და ისინი ავითარებენ პასუხისმგებლობას და ენდობიან სხვა ადამიანებს.
- **ფიზიკური უნარები:** პირადი ჯანდაცვის განვითარებაში და კარგი ჰიგიენური პირობების შექმნაში ბავშვებს ეხმარება ჯანსაღი დიეტა. მათ შეუძლიათ შექმნან და ისიამოვნონ რეკრეაციული, საავტომობილო და მანიპულაციური უნარ-ჩვევებით.
- **სამუშაო და სასწავლო უნარები:** ბავშვებს უვითარდებათ თავდაჯერებულობა დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ამოცანები და ყურადღებით მოეკიდოს თითოეულ დეტალს.

კავშირები აუცილებელ სასწავლო არეალებთან:

- **ენა და ენები:** ენის ცოდნის დონე ბავშვს უმაღლებს თვითშეფასებას.
- **მათემატიკა:** მათემატიკური კონცეფციების შესწავლა ხელს უწყობს კრეატიულობას და თავდაჯერებულობას.
- **მეცნიერებები:** გარემოს ერთიანობის ცნობიერების განვითარება ცნობისმოყვარეობისა და სამეცნიერო გაგების შეერთებით.

- **ტექნოლოგია:** პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის უნარი ხელს უწყობს თვითდაჯერებულობასა და კეთილდღეობას.
- **სოციალური მეცნიერებები:** ერთობლივი სამუშაოები ხელს უწყობს ბავშვებს ნდობის განვითარებაში.
- **ხელოვნება:** ხელოვნება მნიშვნელოვანია თვითგამოხატულებისათვის, თვითშეფასებისათვის და სიამოვნების მისაღებად.
- **ჯანმრთელობა და ფიზიკური სიჯანსაღე:** ფიზიკური, სოციალური, ემოციური და სულიერი სიძლიერე ის მნიშვნელოვანი ასპექტებია ბავშვის ზრდის დროს, რომელიც განსაზღვრავს მათ თავდაჯერებულობას საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში.

საკუთრება.კავშირები არსებით უნარ–ჩვევებთან:

- **კომუნიკაციური უნარები:** ბავშვებს თავდაჯერებულობას მატებს საკუთარი თავის და ოჯახის წევრების შესწავლასა და ამ ინფორმაციის დამუშავებაში.
- **რიცხვითი უნარები:** ბავშვები რიცხვების გამოყენებას სწავლობენ ოჯახის წევრებთან მიმართებაში, მათ გარშემო სხვა ბავშვების სიმრავლით და გარკვეული საკითხების რიგის მიხედვით დალაგებით.
- **ინფორმაციული უნარები:** ბავშვები იწყებენ საკუთარი გარემოს შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და დალაგებას რათა ამოიცნონ განსხვავებული საკითხები.
- **პრობლემის გადაწყვეტის უნარები:** ბავშვებს მოუწოდებენ პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღწერისაკენ, რათა დაეხმარონ კავშირების დამყარებასა და ურთიერთობების მოგვარებაში.
- **თვითმმართველობისა და კონკურენტუნარიანობის უნარები:** ბავშვები ავითარებენ თვითდისციპლინას და პასუხისმგებელნი ხდებიან თავიანთ ქმედებებზე სახლსა და საზოგადოებაში.
- **სოციალური და კოოპერატიული უნარები:** ბავშვებს მოუწოდებენ, რომ ჩაერთონ სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებში, სხვებისთვის განსახილველი თვისებების წარმოსაჩენად, როგორიცაა მზრუნველობა, სამართლიანობა, ტოლერანტობა და სიკეთე.
- **ფიზიკური უნარები:** ბავშვებს უვითარდებათ მოტორული უნარები, რაც მათ საშუალებას აძლევთ აქტიურად ჩაერთნონ სხვადასხვა მოქმედებებში.
- **სამუშაო და სასწავლო უნარები:** ბავშვები საკუთარ გადაწყვეტილებებს იღებენ, რაც ზრდის მათ თავდაჯერებულობას და შეუძლიათ სხვა ბავშვებთან ერთად ერთობლივად იმუშაონ.

კავშირები აუცილებელ სასწავლო არეალებთან:

- **ენა და ენები:** ენის ათვისება იდენტობის გრძნობას უღვიძებს ბავშვს და სხვა კულტურაში გარკვევისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.
- **მათემატიკა:** მათემატიკური კონცეპტი პრაქტიკულად გამოიყენება ოჯახთან მიმართებაში, კერძოდ, ტელეფონის ნომრების, ქუჩის ნომრების და დაბადების თარიღების დამახსოვრებაში.

- **მეცნიერებები**: ცოდნა ბუნებრივი და ფიზიკური სამყაროს შესახებ ხელს უწყობს ბავშვებს მონაწილეობა მიიღოს ოჯახში და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში.
- **ტექნოლოგია:** ერთი და იგივე საშუალების სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება ბავშვებს საშუალებას აძლევს გააცნობიერონ, რომ ერთ და იგივე ტექნოლოგიას შეიძლება სხვადასხვა გამოყენება ჰქონდეს.
- **სოციალური მეცნიერებები:** საკუთარი ოჯახისა და საზოგადოების შესწავლის შედეგად ბავშვი ადგენს, რომ მის ოჯახს აქვს საკუთარი ადგილი საზოგადოებაში და გარკვეული პატივისცემაც სხვებს შორის.
- **ხელოვნება**:სხვადასხვა კულტურის, ხელოვნებისა და რიტუალების პროცესებში მონაწილეობა ბავშვს ეხმარება, რომ თავი მიიჩნიოს რომელიმე კონკრეტული კულტურის კუთვნილებად.
- **ჯანმრთელობა და ფიზიკური სიჯანსაღე:** სხვადასხვა ფიზიკურ აქტივობაში ჩართულობა ბავშვებს უღრმავებს გუნდის წევრობის გრძნობას და არწმუნებს მათ რომ ყველგან მისაღები არიან.

წვლილი. კავშირები არსებით უნარ–ჩვევებთან:

- **კომუნიკაციური უნარები:** ბავშვებს ეძლევათ საშუალება მიიღონ და გაამჟღავნონ იდეები, გრძნობები და ინფორმაცია სხვადასხვა კულტურულ და სოციალურ კონტექსტში.
- **რიცხვითი უნარები:** ბავშვები სწავლობენ რიცხვებს,რათა მიიღონ შესაძლებლობა რესურსების სამართლიანი დაყოფისა და საერთო მიზნის მისაღწევად ძალისხმევა არ დაზოგონ.
- **ინფორმაციული უნარები:** ბავშვები იგებენ და აფასებენ სხვათა განსხვავებულ შეხედულებებს.
- **პრობლემის გადაწყვეტის უნარები:** ბავსშვებს უვითარდებათ პრობლემის გადაწყვეტის კრეატიული მიდგომები და ცდილობენ მათი აზრის სიმყარესა და სიმართლეში სხვებიც დაარწმუნონ.
- **თვითმმართველობისა და კონკურენტუნარიანობის უნარები:** ბავშვებს საკუთარი მიდგომა აქვთ გამოწვევებთან გასამკლავებლად, მარცხისა და გამარჯვების მისაღებად, და თავდაცვისათვის.
- **სოციალური და კოოპერატიული უნარები:** ბავშვები იღებენ პასუხისმგებლობას, როგორც ჯგუფის წევრი და ცდილობენ ყველასთან კარგი და მეგობრული ურთიერთობა ჩამოაყალიბონ.
- **ფიზიკური უნარები:** ბავშვები შრომობენ მარტოც და სხვებთან ერთადაც. ამ გზით ივითარებენ ფიზიკურ შესაძლებლობებს.
- **სამუშაო და სასწავლო უნარები:** ბავშვები შეძლებენ კულტურასთან კავშირის განვითარებას სწავლის პროცესში.

კავშირები აუცილებელ სასწავლო არეალებთან:

- **ენა და ენები:** ბავშვებს აქვთ მზარდი მოთხოვნილება ცნობიერების ამაღლებისა საკუთარი და სხვა ენების გაჯანსაღებით სოციალურ, კულტურულ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში.

- **მათემატიკა:** ბავშვებს უჩნდებათ ინტერესი განავითარონ მათემატიკური პრობლემების გადაჭრის სტრატეგიები, მაგალითად, რესურსების გაზიარება და გამიჯვნა, დროის აღრიცხვა და შეფასება.
- **მეცნიერებები:** აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა გამოძიებებსა და კვლევებში ახალისებს ბავშვს თამამად გამოთქვას საკუთარი იდეები.
- **ტექნოლოგია:** პრობლემების გადაჭრაში მზარდი გამოცდილება ავითარებს ბავშვის გაგებას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს ტექნოლოგიები სხვადასხვა პრობლემის **გადაჭრაში.**
- **სოციალური მეცნიერებები:** სხვა ადამიანებთან მუშაობის გზით, ბავშვებს განსხვავებული აზრის გამოხატულების და სხვა ადამიანების მიმართ მათი როლის, უფლებებისა და მოვალეობების გააზრების საშუალება ეძლევათ.
- **ხელოვნება:** შემოქმედებითი გზით ინდივიდუალურად და ჯგუფურად იდეების შემუშავება და შესწავლა უზრუნველყოფს მიზანმიმართულ წინსვლას.
- **ჯანმრთელობა და ფიზიკური სიჯანსაღე:** ჯგუფში ფიზიკური აქტივობის მონაწილე ბავშვები სწავლობენ: პასუხისმგებლობას, კულტურული პერსპექტივების პატივისცემას და სხვათა წვლილის დაფასებას.

კომუნიკაცია. კავშირები არსებით უნარ–ჩვევებთან:

- **კომუნიკაციური უნარები:** ბავშვებს აძლიერებენ მზარდი უნარები ინფორმაციით ინსტრუქციისა და იდეების ეფექტურად და დამაჯერებლად გადაგზავნითა და მიღებით, კონცენტრირებით და ვიზუალური ენის გამოყენებით მთელი რიგი კონტაქტების დამყარებით.
- **რიცხვითი უნარები:** ბავშვებს ამხიარულებთ რიცხვებთან ურთიერთობა და მოვლენების აღქმა და მათზე რეაგირება მათემატიკური გზებით.
- **ინფორმაციული უნარები:** საკუთარი იდეების გაზიარებით ბავშვები ადვილად ახერხებენ დაახარისხონ და აღწერონ სხვადასხვა სახის ინფორმაცია.
- **პრობლემის გადაწყვეტის უნარები:** ბავშვები იყენებენ ორიგინალურ და ინოვაციურ ხერხებს და ამავდროულად ცდიან საკუთარ წარმოსახვით უნარს პრობლემის გადაჭრასთან მიმართებაში.
- **თვითმმართველობისა და კონკურენტუნარიანობის უნარები:** კომუნიკაციის პროცესში ბავშვები ავითარებენ მოლაპარაკებისა და თვითგამოხატვის უნარებს.
- **სოციალური და კოოპერატიული უნარები:** ბავშვების სურვილი ჩაერთონ კომუკაციურ გარემოში საშუალებას აძლევთ მათ დაამყარონ კარგი ურთიერთობა ყველასთან და გახდნენ საკუთარი გარემოს, კულტურის და სოციუმის სრულფასოვანი წევრი.
- **ფიზიკური უნარები:** ბავშვები სწავლობენ, როგორ გამოხატონ საკუთარი აზრი ჟესტების ენით.
- **სამუშაო და სასწავლო უნარები:** კომუნიკაციური მიზანი უბიძგებს ბავშვებს იშრომონ ეფექტურად და მომგებიანად.

კავშირები აუცილებელ სასწავლო არეალებთან:

- **ენა და ენები:** არავერბალური და სიტყვიერი კომუნიკაციის განვითარების სპექტრი ფუნდამენტურია ინტელექტუალურ, ემოციურ და სოციალურ ცხოვრებაში სწავლისა და ეფექტური მონაწილეობისთვის.
- **მათემატიკა**: მათემატიკური ლექსიკისა და კონცეფციების განვითარება ეხმარება ბავშვებს, ისეთ კომუნიკაციურ კომპლექსურ იდეებთან წვდომაში, როგორიცაა წონა, ფორმა და მოცულობა.
- **მეცნიერებები:** ბავშვები ავითარებენ ლექსიკას და ტექნიკას, რათა გამოიძიონ და გაუზიარონ თავიანთი სამყაროს იდეები სხვებს.
- **ტექნოლოგია:** ბავშვები ცდილობენ კომუნიკაციისას გამოიყენონ, ისეთი საშუალებები როგორიცაა: ფანქრები, ფუნჯები, ფლომასტერები, წიგნები, კალკულატორი და კომპიუტერი.
- **სოციალური მეცნიერებები:** ბავშვები თავად იცნობენ სიმბოლოებს და დაფარულ იდეებს, რაც მათ უღვიძებს კომუნიკაციის სურვილს.
- **ხელოვნება:** ხელოვნების ყველა ასპექტი; ცეკვა, პანტომიმა, მუსიკა, მხატვრობა და სხვა ვიზუალური ხელოვნება საშუალებას აძლევს ბავშვს კომუნიკაციის დამყარების განსხვავებული გზები იპოვონ.
- **ჯანმრთელობა და ფიზიკური სიჯანსაღე:** ფიზიკური გამომხატველობა და აქტივობები უზრუნველყოფს, როგორც ვერბალური, ისე არავერბალური კომინიკაციის დამყარებას ბავშვებში.

კვლევა. კავშირები არსებით უნარ–ჩვევებთან:

- **კომუნიკაციური უნარები:** ბავშვებს გადასცემენ ინფორმაციას და იდეებს, მზარდ მიზნებთან, სიზუსტეებთან და ნდობასთან კავშირში.
- **რიცხვითი უნარები:** თავიანთი სამყაროს შესწავლისას ბავშვები ეცნობიან და აფასებენ ზრდის სიზუსტესა და გაზომვის ინსტრუმენტებს. სწავლობენ მათემატიკური ცნებების გამოყენებას.
- **ინფორმაციული უნარები:** ბავშვებს შეუძლიათ შეიმუშაონ კითხვები, იპოვონ და დაამუშაონ ინფორმაცია და მოიძიონ ადამიანები, წიგნები და სხვა საშუალებები, როგორც რესურსი ამ ყველაფრისათვის.
- **პრობლემის გადაწყვეტის უნარები:** ბავშვები იძიებენ, ახორციალებენ კვლევას და ავითარებენ პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვაგვარ იდეებს.
- **თვითმმართველობისა და კონკურენტუნარიანობის უნარები:** როგორც კი ბავშვები შეისწავლიან რაღაც ახლას, მაშინვე ამჟღავნებენ ინიციატივას, ვალდებულებას, გამბედაობას და თავდაჯერებულებას წარუდგინონ სიახლე საზოგადოებას.
- **სოციალური და კოოპერატიული უნარები:** სხვებთან ერთად საქმინობით და გართობით ბავშვებს უყალიბდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი თავისა და სხვების მიმართ.
- **ფიზიკური უნარები:** სხვადასხვა გარემოში საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობების დემონსტრირება თვითშეფასების უნარს უყალიბებს ბავშვებს.

- **სამუშაო და სასწავლო უნარები:** ბავშვები სულ უფრო და უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებენ თავიანთ საქმიანობაში საერთო ამოცანებისა და მიზნების მიღწევად.

კავშირები აუცილებელ სასწავლო არეალებთან:

- **ენა და ენები:** ენის განვითარება საშუალებას აძლევს ბავშვებს გაიცნონ მსოფლიო, კითხვის ნიშნის ქვეშ მოაქციონ ყველა საინტერესო მოვლენა და გამოხატონ საკუთარი იდეები და შეხედულებები.
- **მათემატიკა:** ბავშვები იყენებენ მათემატიკურ კონცეფციებს, როდესაც ისინი აგროვებენ, ორგანიზებას, შედარებას და ინტერპრეტაციას უწევენ სხვადასხვა ობიექტებსა და მასალებს.
- **მეცნიერებები:** ბავშვები სწავლობენ სტრატეგიებს: აქტიური გამოძიების, აზროვნებისა და მსჯელობისათვის.
- **ტექნოლოგია**: ბავშვები სხვადასხვა ტექნოლოგიებს სხვადასხვა მიზნებისთვის იყენებენ, რადგან მათთვის სამყაროს შესწავლა მარტივი გახდეს.
- **სოციალური მეცნიერები:** ბავშვები სხვებთან ერთად მუშაობისას ავლენენ თავდაჯერებულობას, რათა შეძლონ გარემოსთან გამკლავება და აღიქვან მათ გარშემო არსებული სოციალური და ფიზიკური გარემო.
- **ხელოვნება:** ბავშვები სწავლობენ იდეებს, მასალებს და გარემოს ხელოვნების მეშვეობით.
- **ჯანმრთელობა და ფიზიკური სიჯანსაღე:** როგორც კი ბავშვები შეიცნობენ საკუთარ სამყაროს მათ ემატებათ თავდაჯერებულობა აკონტროლონ და მართონ საკუთარი თავი.

აქვე გთავაზობთ კლერ მაკლაქლანის, მერლინ ფლიერსი, სუზან ედვარდსის წიგნიდან ადრეული ბავშვობის კურიკულუმი(მეორე გამოცემა), დაგეგმვა, შეფასება და განხორციელება ტე ვარიკის მიხედვით, არსებული კურიკულუმის მოდელებს(1. გვ.41-43)

კურიკულუმის არსებითი საკითხები	მაგალითი: ტე ვარიკი	ანალიზი და კავშირები იდეოლოგიებთან და მოდელებთან
მიზნები ან ამოცანები – რას უნდა მივაღწიოთ ამ კურიკულუმით	ბავშვების მისწრაფებები: "გაიზარდოს კომპეტენტური და საკუთარ თავში დარწმუნებული მოსწავლე და კომუნიკაციის მქონე პირი; მოაზროვნე, ჯანსაღი სხეულის და სულის მქონე ადამიანი; დარწმუნებული საკუთარი თავის კუთვნილებაში და ცოდნაში, რომ ისინი არიან საზოგადოების ღირებული წევრები (განათლების სამინისტრო; 1996; გვ.9); გამიზნული ბავშვებზე - მათი დაბადებიდან სკოლაში შესვლის ასაკამდე (როგორც წესი, 5 წელი ახალ ზელანდიაში); კურიკულუმი ემყარება სამ ასაკობრივ ჯგუფს: ახალშობილი (დაბადებიდან 18 თვემდე); ახალფეხადგმული (1– დან 3 წლამდე) და პატარა ბავშვები (2,6 წლიდან სკოლაში შესვლამდე). გამიზნული იმ ცოდნის განვითარებაზე, რაც ბავშვებს მოაქვთ სახლებიდან და გაფართოებული სწავლა. კონცეპტუალური, როგორც „მოწნული ჭილოფი" (ანუ Te Whariki), რომელიც ერთმანეთში აქსოვს გაძლიერების, ჰარმონიული (ჰოლისტური) განვითარების, ოჯახის და თემის და ურთიერთობების პრინციპებსა და კეთილდღეობის, იდენტობის, თანამონაწილეობის, კომუნიკაციის და განვითარების ასპექტებს. თითოეულ თვისებას აქვს სახელი „სწავლის შედეგი: ცოდნა; უნარი და დამოკიდებულება" თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის	უკავშირდება „სოციალური ეფექტურობის" იდეოლოგიას. კურიკულუმის მიზანია, დაეხმაროს ბავშვებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაში. „მოსწავლეზე ორიენტირებულ" იდეოლოგიასთან გამოკვეთილი კავშირი, ვინაიდან კურიკულუმი ფოკუსირებულია ბავშვების უნარზე, აქტიური მონაწილეობით დააგროვონ გამოცდილება და აქტიურად გამოცადონ თავად საგნები; „კომპეტენციაზე ორიენტირებული" კურიკულუმის მოდელის მიხედვით, ბავშვები განიხილებიან, როგორც შინაარსზე კონტროლის მქონენი; უკავშირდება განვითარების თეორიას, ასაკობრივ სასწავლო შედეგებთან ერთად აქვს კავშირი „მოსწავლეზე ორიენტირებულ" იდეოლოგიასთან, ვინაიდან კურიკულუმი ემყარება ასაკს, ეტაპებს და კურიკულუმის „სოციალური ეფექტურობის" მოდელს იმ მიზნით, რომ სწავლის გაზომვა მოხდეს სასწავლო მიზნების შესაბამისად

შინაარსი ან საგანი – რას დავტოვებთ ან დავამატებთ ჩვენი კურიკულუმიდან	ორგანიზაციული განსხვავებების მოცვა როგორიცაა საბავშვო ბაღი ან ბავშვზე მზრუნველობა; სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების ჩართვა .	დაკავშირებულია ბრონფენბრენერის (1979) ადამიანის განვითარების ეკოლოგიური სისტემის მოდელთან (იხილეთ გვ. 19) კავშირშია „მოსწავლეზე ორიენტირებულ“ იდეოლოგიასთან, რომელიც აკავშირებს სწავლას სახლში და სკოლაში სწავლის და სწავლების სხვადასხვა ფილოსოფიების ჩართვა, რომელიც შესაბამისობაშია „მოსწავლეზე ორიენტირებულ“ იდეოლოგიასთან იმპლიციტური კავშირი ვიგოტსკის თეორიასთან და სოციო-კულტურულ თეორიასთან, მიუთითებს ბავშვების „სკაფოლდინგზე“ (იხილეთ გვ. 43 მაგალითად) და განმარტება, რომ ბავშვები სწავლობენ სოციალური ურთიერთობების შედეგად და „თანამგრძნობი და თანაზიარი ურთიერთობების“ გზით (იხილეთ გვერდი 43). კონსტრუქტივისტული მიდგომა ბავშვებთან მიმართებით - იყვნენ აქტიურები სწავლის პროცესში

მეთოდები ან პროცედურები – სწავლების რა მეთოდებს გამოვიყენებთ ჩვენ ამ მიზნების მისაღწევად?	გამოცდილება, აქტივობები და ღონისძიებები შეიძლება დაიგეგმოს ან წარმოიშვას გარკვეული სიტუაციის საპასუხოდ; სწავლების მეთოდები უნდა იყოს მოქნილი, რათა ყველა ასაკობრივ ჯგუფს და ბავშვებს შორის ინდივიდუალურ სხვაობებს მოერგოს. მასწავლებლის როლი ყველა კატეგორიაში არის უსაფრთხო, დაცული და წინასწარ განჭვრეტადი გარემოს შექმნა იმ გამოწვევით რომ განავრცოს სწავლა. დაგეგმვა ემყარება ბავშვების ინტერესებს, ძლიერი მხარეებს, საჭიროებებსა და ქცევებზე დაკვირვებას. დაგეგმვა შეიძლება ემყარებოდეს გარემოს, კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფს ან ბავშვების ჯგუფს ბავშვის ან ცალკეულ ინდივიდებს. 'დაგეგმვა უნდა დაეხმაროს უფროსებს … იმის გაგებაში თუ რას სწავლობენ პატარა ბავშვები, როგორ ხორციელდება ცოდნის მიღება და იმ როლის გააზრება, რომელსაც როგორც უფროსი ისე ბავშვები ასრულებენ ასეთი სწავლის პროცესში' (გვ. 28).	არ არსებობს კონკრეტული თეორია ან სწავლება, რომელიც ზუსტად მიესადაგება, შესაძლოა იმიტომ, რომ კურიკულუმი შეიქმნა იმისათვის, რომ იყოს სხვადასხვა ფილოსოფიების მომცველი აშკარა კავშირები იკვეთება „მოსწავლეზე ორიენტირებულ" იდეოლოგიასთან, ვინაიდან კურიკულუმში მასწავლებელი არ არის გადამცემი არამედ ჩართულია ბავშვზე ფრთხილი დაკვირვების პროცესში და გარემოს შექმნაში, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლას.

ევალუაცია და შეფასება – როდის გვეცოდინება, რომ მივაღწიეთ მიზანს?	შეფასების მიზანია უფროსებისთვის, პროგრამისთვის ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის საჭირო ინფორმაციის გაზიარება ბავშვების სწავლის და მათი განვითარების შესახებ შეფასება მოიცავს გონივრულ დაკვირვებას ბავშვებზე გამოცდილი და მცოდნე უფროსის მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. განგრძობადი დაკვირვება იძლევა უფრო სიღრმისეული შეფასების და ევალუაციის საფუძველს. უფროსებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ დაკვირვების ერთეული შემთხვევის განზოგადებისგან. შეფასება ხელს უწყობს პროგრამის ევალუაციას, გადახედვას და განვითარებას. ბავშვებს წაახალისებენ გააკეთონ სასწავლო მიზნების მიღწევის თვითშეფასება.	დაკვირვება შეფასების საუკეთესო მეთოდია. სხვა არც ერთი მეთოდი არ ყოფილა დასახელებული. „სოციალური ეფექტურობის“ კურიკულუმის მოდელთან კავშირები, შეფასება და ევალუაცია შექმნილია იმისათვის, რომ პროგრამის ეფექტურობის და სასწავლო მიზნების მიღწევის შესახებ უკუკავშირი გაგვიზიაროს. „მოსწავლეზე ორიენტირებულ“ იდეოლოგიასთან კავშირი, როგორც შეფასება და ევალუაცია ბავშვების საჭიროებებზე ორინტირებული კურიკულუმის და გარემოს ეფექტურობის გარშემო ყალიბდება
	ბავშვების საჭიროებები და არა შეფასება განსაზღვრავს კურიკულუმს. ადრეული განათლების დაწესებულების გარემოს შეფასება (უსაფრთხოება, რუტინა, რეგულაციები, რესურსები და ადამიანები) არის გარემოს და პროგრამის პოტენციალის ევალუაციის განუყოფელი ნაწილი.	

ამრიგად, ტე ვარიკის მიერ შედგენილი კურიკულუმი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული პროგრესი ადრეული ასაკის მოსწავლეეში, შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნით. მისი ამოსავალი წერტილია მოსწავლე, ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულება, რომელამდეც ბავშვი მიჰყავს გამოცდილებას. ტე ვარიკის მიხედვით სწავლება იწყება სახლში

და ადრეული ასაკის საბავშვო პროგრამები ბავშვის სახლის გარეთ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის ცოდნის გაფართოებაში და მის წარმატებულ სწავლებაში.

თითოეული თემი, რომელსაც ბავშვი ეკუთვნის, იქნება ეს ოჯახი, თუ ბავშვებს შორის ურთიერთობა, საშუალებას იძლევა ახლებურად სწავლისა და აღზრდისა. ბავშვები სწავლობენ ალტერნატიულ გზებს, რაღაცეების კეთებას, დააკავშირონ ერთმანეთთან დრო და ადგილი, დაამყარონ სხვადასვა სახის ურთირთობები, და მოისმინონ განსხავებული შეხედულებები. რაც, როგორც გამოცდილება, ამდიდრებს ბავშვის ცხოვრებას და უზრუნველოფს მათ ცოდნით, უნარ-ჩვევებით ,დისპოზიციებით, რაც სჭირდებათ, რათა დასძლიონ ახალი გამოწვევები.

ტე ვარიკის კურიკულუმი არსი:

- ადრეული ასაკის კურიკულუმი, სპეციალურად შექმნილი ბავშვებისთვის დაბადებიდან სკოლაში შესვლამდე.
- კურიკულუმი ხაზს უსვამს სოციალურ კულტურულ სწავლების მედიაციას, ორმხრივ და პასუხისმგებლიან კავშირებს ბავშვებსა და ხალხს, ადგილებსა და ნივთბს შორის.
- ბავშვები სწავლობენ კოლაბორაციით მოზარდებთან და თნატოლებთან, მონაწილეობით და დაკვირვებით სხვებზე, ასევე ინდივიდუალური ძიებით და ფიქრით.
- ეს არის კურიკულუმი ბავშვების ზრუნვისათვის და განათლებისათვის ახალ ზელანდიაში.
- ყველა ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ განავითაროს ცოდნა და გაგება კულტურული მემკვიდრეობების.
- ეს არის კურიკულუმი, რომელშიც მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთ სწავლებას.
- ზრუნვა და განათლება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის წარმოდგენილია სხვადასხვა გვარად ადრეული ასაკის სერვისებში.
- კურიკულუმი ითვალისწინებს, რომ მათ ზრუნვასა და განათლებაში გათვალისწინებული იქნება პრინციპები და მიზნები, რომლებიც საჭიროა ადრეული ასაკის ბავშვებისათვის.
- ინდივიდუალური განვითარებისა და ინდივიდუალური განათლების გეგმები იქმნება ნებისმიერი ბავშვისთვის ვისაც ესაჭიროება ალტერნატიული რესურსები, ან დამატებით მათვის იქნება წარმოდგენილი ადრეული ასაკის ხელსაწყოები.
- პროგრამა უზრუნველყოფს აქტივობებს, რათა ბავშვები შეეწყონ სპეციალურ საგნებს და საჭირო აღჭურვილობებს, რომელიც წვლილს შეიტანს მათ დამოუკიდებლობაში.
- ტე ვარიკი არის გათვლილი, ისე რომ შესაბამისი იყოს ყველა ბავშვისათვის და ჭვრეტს იმას, თუ რა სპეციალური საჭიროებები შეიძლება შეხვდეს ბავშებს ადრეულ ასაკში.
- Te Whariki -, კურიკულუმი ბავშვის გამოცდილებათა ნაკრებია.
- ეყრდნობა სწავლას თამაშით, აღიარებს მეტყველებისა და კომუნიკაციის მნიშვნელობას (მათ შორის - ადრეული წიგნიერება და რაოდენობრივი წარმოდგენები), სოციალურ და ემოციურ განვითარებას.
- კურიკულუმი ეფუძნება სწავლის ხუთ ძირითად შედეგს: ბავშვებს აქვთ ინდივიდუალობის ძლიერი შეგრძნება; ისინი მჭიდრო კავშირში არიან საკუთარ სამყაროსთან და მონაწილეობას იღებენ მასში; მათ აქვთ კეთილდღეობის ძლიერი

გრძნობა; ბავშვები არიან თვითდაჯერებულები და ჩართულნი სწავლაში; ისინი ეფექტურად ახდენენ კომუნიკაციას.

- „კურიკულუმი მოიცავს ყველა ინტერაქციას, გამოცდილებას, რუტინას და ღონისძიებას, როგორც დაგეგმილს, ისე დაუგეგმავს, რომელიც ხორციელდება ბავშვის სწავლის და განვითარების მხარდასაჭერად შექმნილ გარემოში.

კითხვები თვითშეფასებისა და კონტროლისათვის

1. მოკლედ დაახასიათეთ ტე ვარიკის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზანი და სტრუქტურა.
2. მოკლედ დაახასიათეთ ვაირიკის კონცეფციის არსი.
3. რომელი ოთხი მთავარი პრინციპია ტე ვარიკის მიხედვით ბავშვთა ადრეული ასაკის კურიკულუმის ცენტრში? დაახასიათეთ ოთხივე პრინციპი.
4. მოკლედ დაახასიათეთ ტე ვარიკის სტრატეგიები და მიზნები.
5. როგორ წარმოუდგენია ტე ვარიკს ოჯახსა და ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების ცენტრებს შორის კავშირები?
6. რომელ დონეებს ანიჭებს ტე ვარიკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბავშვთა ადრეულ განვითარებაში?
7. მოკლედ დაახასიათეთ ტე ვარიკის მიხედვით ასაკობრივი ჯგუფები.
8. როგორია ტე-ვარიკის პრინციპები და შეფასების სისტემა?
9. მოკლედ დაახასითეთ ტე ვარიკის კურიკულუმი არსი?

ლიტერატურა:

1.კლერ მაკლაქლანი, მერლინ ფლიერი, სუზან ედვარდსი, ადრეული ბავშვობის კურიკულუმი(მეორე გამოცემა), დაგეგმვა, შეფასება და განხორციელება, კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამოცემა, თარგმნა ილიას უნივერსიტეტმა, 2015.

2. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები, თბილისი, 2010.

4. ადრეული ბავშვობის წიგნიერება და რაოდენობრივი წარმოდგენები: კარგი პრაქტიკის დამკვიდრება - მ. ფლიერი და ბ. რაბანი , ადრეული ბავშვობა ავსტრალია: კანბერა, 2007.

5. მ.ფლიერი და ბ. რაბანი, ცნებების ფორმირების კულტურულისტორიული ანალიზი ადრეული ბავშვობის პერიოდის საგანმანათლებლო გარემოში: ბავშვის და უფროსის კონცეპტუალური ცნობიერება? ევროპის ბავშვის ადრეული განათლების კვლევის ჟურნალი 14 (2), 2006.

6.ნარიმანაშვილი მ., ბავშვზე ძალადობის რისკფაქტორები-ეკოლგიური მოდელის მიმოხილვა, www. education.ge

7. Urie Bronfenbrenner and Stephen J. Ceci, Nature-Nurture Reconceptualized in Developmental Perspective: A Bioecological Model, Psychological Review 1994, Vol. 101. No. 4. 568-586, Copyright 1994 by the American Psychological Association, Inc. 0033-295X/94/S3.00.

8. Te Whàriki, He Whàriki Màtauranga mò ngà Mokopuna o Aotearoa Early Childhood Curriculum, Ministry of Education, Learning Media Wellington, New Zealand,1996.

§ 13. გამოცდილებითი განათლება - ვალდორფის სკოლა

ვალდორფის პედაგოგიკა გვთავაზობს სკოლის ისეთ მოდელს, რომელიც თავისი სოციალური ფორმით მთლიანად ეფუძნება მასწავლებელთა და მშობელთა ინიციატივასა და პასუხისმგებლობას და იგი პედაგოგიური თვალთახედვით, მხოლოდ მომავალი ადამიანის ჯანსაღ განვითარებაზეა ორიენტირებული.

პირველი ვალდორფის სკოლა დაარსდა 1919 წელს წელს. მისი დაარსების ინიციატორი გახდა ცნობილი გერმანელი მეწარმა ემილ მოლტი. ის იყო სიგარეტების ცნობილი მწარმოებელი. სკოლის სახელწოდებაც, სწორედ მის მიერ წარმოებული სიგარეტების სახედებიდან „ვალდორფიც-ასტორია“ წარმოიშვა. მის მიერ დაარსებულ სკოლაში პედაგოგიურ იდეებს სული შთაბერა ავსტრიელმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა რუდოლფ შტაინერმა. სკოლა იყო სახემწიფოს გავლენისგან თავისუფალი, დამოუკიდებელი სასწავლო - სააღმზრდელო დაწესებულება.

ვალდორფის პედაგოგიკას საფუძვლად დაედო რუდოლფ შტაინერის ნაშრომი „ადამიანთამცოდნეობა“. ნაშრომის მიხედვით შესალებელია, უფრო ღრმად ჩავიხედოთ ადამიანის არსის განვითარებისა კანონებსა და აუცილებელ პირობებში. ადამიანი განხილულია, როგორც დინამიკურ, მუდმივ ქმნადობაში მყოფ არსებად და ემყარება ადამიანის შესახებ ღრმა ცოდნას. თითოეული ადამიანი უნიკალური და განუმეორებელია, მაგრამ სრულყოფილ პიროვნებად იგი მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად ყალიბდება. იგი ეფუძნება ქრისტიანული ეთიკის საფუძვლებს, მაგრამ არ არის მსოფლმხედველობითი სკოლა და კონფესიური მსოფლმხედველობის მასალა არასდროს არის შესწავლის საგანი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალური უნარების განვითარებას.

დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაახლოებით 2000-მდე მეტი ვალდორფის საბავშვო ბაღი არსებობს. მათში სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს. სასწავლო მასალა ისეა შერჩეული, რომ ეროვნული კულტუტის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია მსოფლიო კულტურის შესწავლა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

2012 წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პროფ. ჯემალ ჯინჯიხაძის მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული წიგნი „თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები“. წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტთათვის. აღნუშნულ ნაშრომში მრავალ სხვა ტექნოლოგიასთან ერთად განხილულია ვალდორფული განათლების ფილოსოფიური და პედაგოგიური საფუძვლები.

როგრც პროფ. ჯემალ ჯინჯიხაძე აღნიშნავს, ვალდორფული განათლების საფუძვლად თვლიან ადამიანის ცხოვრებისა და მისი სტადიების შესახებ სხვა შეხედულებას. „ამ შეხედულების თანახმად ადამიანის ცხოვრება იყოფა სამ ფაზად:

- დაბადებიდან 21 წლამდე;

- 21 წლიდან 42 წლამდე;
- 42 წლიდან სიკვდილამდე.

დაბადებიდან 21 წლამდე მიმდინარეობს ადამიანის არსის განვითარება, განსახიერება, შესვლა მიწიერ ბედისწერაში, შესვლა სამყაროში. 7 წლისა მიდის სკოლაში, 14 წლისა იწყებს სქესობრივ მომწიფებას. ეს წერტილები ძირითადია ამ ფაზაში.

21 წლისათვის ადამიანი უკვე ფლობს ცხოვრებისეულ გამოცდილებას. თუ პირველ ფაზაში ძირითადად ვითარდებოდა ფიზიკური სხეული, მეორე ფაზაში უკვე ვითარდება სულიერი შესაძლებლობები.

მესამე ფაზას ვალდორფის პედაგოგიკაში ეწოდება „თავისუფალ ქმედებათა“ პერიოდი. ამ დროს მიმდინარეობს სვლა წინ – ადამიანი უკვე სხვას აძლევს თავის ცოდნასა და გამოცდილებას“ (1. გვ. 68).

პირველი ფაზა, თავის მხრივ, იყოფა **სამ პერიოდად:**

- **პირველი პერიოდი** (0–დან 7 წლამდე)– ძუძუს და პატარა ბავშვი, ჯერ კიდევ მთლიანად ჩაძირულია მშობლიური სახლის ატმოსფეროში და გარემოცულია დედობრივი ზრუნვით.
- **მეორე პერიოდი** (7–დან 14 წლამდე)– ბავშვი დგამს ნაბიჯს სამყაროში. სახლთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლა.
- **მესამე პერიოდი** (14–დან 21 წლამდე) –ზოგადი განათლებისა და მომავალი პროფესიისათვის მზადების დასრულების დრო.

ბიოლოგიური თვალსაზრისით იგივე პერიოდები შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:

- პერიოდი დაბადებიდან კბილების ცვლამდე;
- პერიოდი კბილების ცვლიდან სქესობრივი მომწიფების დაწყებამდე;
- პერიოდი სქესობრივი მომწიფების დაწყებიდან სრულწლოვანებამდე.

ვალდორფის სკოლის **ძირითადი პრინციპებია:**

- გარემოს შესწავლისადმი ხორციელდება კომპლექსური მიდგომა;
- მაქსიმალურად და ყოველმხრივ უახლოვდება ბუნებას, მაგრამ შორდება

ცივილიზაციის ნაყოფს, იკრძალება ტელევიზია და კომპიუტერი;

დიდი და უპირველესი ყურადღება ექცევა ესთეტიკურ და შრომით აღზრდას, მის შესაბამის ყოველგვარ საქმიანობას (ძერწვა, აპლიკაცია, ხატვა, მუსიკა, ქსოვა და სხვ. ამასთან, ტრადიციულ საგნებს ექცევა მეორეხარისხოვანი ყურადღება, მაგალითად, კითხვა და მათემატიკა იწყება მხოლოდ მესამე კლასიდან);

- პატივს სცემენ ბავშვის პიროვნებას, მის ინდივიდუალურობას;
- მიბაძვა სწავლის პრინციპია;
- უარყოფილია იძულება, ნიშნები, სწორი ქცევისა და ქმედების ეტალონები;
- არ ცნობენ ხელოვნურ მასალებს, სათამაშოები და ავეჯი ნატურალურია, სასწავლო გარემოში მხოლოდ ბუნებრივი ინტერიერია.

„ვალდორფის სკოლის მუშაობის პრინციპია: „არ გავუსწროთ ბავშვის განვითარებას, მაგრამ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ბავშვი განვითარდეს საკუთარ ტემპში“. მთა-

ვარი ყურადღება ექცევა ბავშვის სულიერ განვითარებას. სასწავლო მასალა ეძლევა ბლოკებად (ეპოქებად), მაგრამ ყოველი დღე, სწავლების ყველა ეტაპზე (ბაგა–ბაღიდან სემინარიამდე) დაყოფილია სამ ნაწილად:

- **სულიერი** (духовный) – სადაც ჭარბობს აქტიური აზროვნება;
- **გულითადი** (душевный) – სადაც ისწავლება მუსიკა და ევრიტმიკული ცეკვები;
- **კრეაციულ–პრაქტიკული –** სადაც სწავლობენ პირველ რიგში შემოქმედებით ამოცანებს: ძერწავენ, ხატავენ, ჭრიან ფიგურებს ხისგან, კერავენ და სხვ.

თითოეული დღის რიტმი შეიძლება დაექვემდებაროს იმ საგანს, რომლის ბლოკი შეისწავლება იმ პერიოდში; მაგალითად, თუ შეისწავლება მათემატიკური მასალა, ბავშვებს სთავაზობენ, „დაინახონ“ იგი ცეკვის ან კერვის დროს. გარდა ამისა, სასწავლო მასალა ეძლევა ბავშვის განვითარებისა და საზოგადოების განვითარების შესაბამისობის გათვალისწინებით. მაგალითად, მე–6 კლასში, როცა მოსწავლეებს უყალიბდებათ ცნებები სამართლიანობისა და სახელმწიფოებრიობის შესახებ, მაშინ გადიან რომის იმპერიის ისტორიას, ხოლო მე–7 კლასში, როცა დგება სქესობრივი მომწიფების პერიოდის დასაწყისი, გადიან შუასაუკუნეების ისტორიას, სადაც მკაფიოდაა გამოხატული ვაჟკაცობა (რაინდები) და ქალურობა (სატრფო). ამასთან, ბავშვები დგამენ სპექტაკლებს, ცეკვავენ, მონაწილეობენ ტურმინებში და სხვ.

სკოლის მასწავლებელთა სახელმძღვანელო წიგნებია რუდოლფ შტაინერის შრომები პედაგოგიკაში:

- აღზრდის ხელოვნება. მეთოდიკა და დიდაქტიკა;
- სწავლების მეთოდიკა და აზრდის წანამძღვრები;
- აღზრდის ხელოვნება ადამიანის არსთან კავშირში;
- ადამიანის შემეცნების პედაგოგიური მნიშვნელობა და პედაგოგიკის კულტურული მნიშვნელობა;
- და სხვ.

სწავლების ძირითადი მეთოდია „სულიერი ეკონომიის“ მეთოდი. ეს მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ სწავლების პროცესში ბავშვებს უვითარებენ იმ საქმიანობის უნარს, რომლის ათვისება მას შეუძლია განვითარების იმ ეტაპზე ორგანიზმის შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე. მაგალითად, კბილების გამოცვლის პერიოდიდან სქესობრივი მომწიფების პერიოდამდე აუცილებლად უვითარებენ მეხსიერებას, მუშაობენ ბავშვის ხატოვანი აზროვნების განვითარებზე, ძირითადად ყურადღებას აქცევენ გრძნობადს და არა ინტელექტუალურს. ხოლო სქესობრივი მომწიფების შემდეგ მუშაობენ ცნებების ფორმირებაზე, ბავშვის აბსტრაქტული აზროვნების განვითარებაზე“ (1. გვ. 69).

12 წლამდე ვალდორფის პედაგოგიკა კრძალავს „თვალსაჩინო სწავლების“ მეთოდის გამოყენებას, თვლის, რომ ბავშვის ბუნებისათვის ცნებების ფორმირება ბუნებრივია 12 წლის ასაკის შემდეგ. სამაგიეროდ ეს პედაგოგიკა იყენებს ახალ, თავისებურ მეთოდს, რომელსაც ეწოდება „სწავლება გრძნობების თანხლებით“. დამახსოვრების პროცესი ეფექტური და ბუნებრივი ხდება, თუ მასში ერთვება ბავშვის გრძნობათა მოძრაობა, რაც მეხსიერების დასაყრდენია.

ფსიქოლოგთა აზრით ემოციური მეხსიერება ყველაზე ხანგრძლივია. ვალდორფის სკოლა გაკვეთილის პროცესში რთავს ბავშვის შინაგანი გრძნობის სიცოცხლეს თავისი სიხარულითა და ტკივილით, სასიამოვნოთი და უსიამოვნოთი, დაძაბულობითა და მოდუნებით. სწავლებაში გამოყენებულია ის, რაც აინტერესებს მოსწავლეს. მაგალითად, რიტმის გრძნობა ბავშვს განსაკუთრებით ახასიათებს სქესობრივ მომწიფებამდე. ამიტომ ამ ასაკში ადვილად სწავლობს ლექსებს, გამრავლების ტაბულას და სხვ. მოსწავლისათვის საინტერესოა ის, რაც ეხმიანება მოცემულ ეტაპზე მისი შინაგანი განვითარების პროცესებს. მაგალითად, 9 წლის ბავშვისათვის საინტერესოა აქტიური თამაში, ბევრი მოძრაობა, ზღაპრების მოსმენა. ე.ი. მისი ინტერესი ჯერ კიდევ სკოლამდელი პერიოდის არეში მდებარეობს, ის იქ არის, სადაც „სამყარო კეთილია“. ამიტომ ამ ასაკში სწავლება აგებულია მიბაძვაზე, მოძრავ თამაშებზე, ზღაპრებზე.

„ცხრიდან თორმეტამდე ბავშვს უკვე აინტერესებს საგნები „ისეთები, როგორებიც ისინი არიან“. ამიტომ ამ ასაკში შემოდის სასწავლო საგნები: მხარეთმცოდნეობა და ზოოლოგია მე–4 კლასში, გეოგრაფია, ბოტანიკა და ისტორია მე–5 კლასში. იმის გამო, რომ ჭარბი გონებრივი საქმიანობის შედეგად უარესდება მოსწავლის ჯანმრთელობა, ამ ასაკში ისწავლება ისეთი საგნები, რომლებიც მოითხოვენ აქტიურად დაინტერესებულ საქმიანობას. ესენია: **ევრითმია, ფერწერა** და სხვ. ამ **ჭვრეტითი** საგნების, როგორც მას უწოდებენ, მეშვეობით მასწავლებელი აღვიძებს ბავშვის წარმოსახვას, მოჰყავს მოძრაობაში მისი გრძნობები“ (1. გვ. 69).

სასწავლო დღის განმავლობაში მიმდინარეობს ნარნარა გადასვლა გონებრივი საქმიანობიდან ფიზიკურზე, გრძნობათა ჩართვის მეშვეობით.

პირველი გაკვეთილი მთავარი გაკვეთილია (იგი რომელიმე ერთს ეთმობა საგნებიდან:

მათემატიკა, მშობლიური ენა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია და ა.შ.). შემდეგ მოდის გაკვეთილები, რომლებზედაც ხდება რიტმული გამეორება. ეს არის: უცხოური ენა, მუსიკა, ევრიტმია, ტანვარჯიში, ფერწერა, და სხვ. სადილის შემდეგ. პრაქტიკული მეცადინეობაა ხელგარჯილობა, ხელოსნობა, მებაღეობა და სხვ.).

„სწავლებისა და აღზრდის პროცესში მასწავლებლები მიისწრაფვიან იმისაკენ, რომ დამყარდეს წონასწორობა ბავშვის სულიერი უნარების განვითარებაში. ეს უნარებია: ნებისყოფა, გრძნობა და აზროვნება. სულიერი ცხოვრების ჰარმონია ხელსაყრელ პირობებს ქმნის სხეულის ჯანსაღი განვითარებისათვის. ნებისყოფა, გრძნობები და აზროვნება ვლინდება ბავშვის განვითარების ყველა ეტაპზე. ამას ითვალისწინებს სწავლების მეთოდიკა. ამიტომ დაწყებით სკოლაში მეტი ყურადღება ექცევა ბავშვის **ნებისყოფას,** საშუალო სკოლაში – **გრძნობებს**, მაღალ კლასებში – **აზროვნებას”** (1. გვ. 71).

ვალდორფის საბავშვო ბაღი, როგორც სკოლამდელი აღზრდის სისტემა, წარმოადგენს ვალდორფის პედაგოგიკის შემადგენელ ნაწილს.

ვალდორფის პედაგოგიკის მიხედვით, ადამიანის ცხოვრებაში, სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პირველ შვიდწლეულს, ანუ სკოლამდელ ასაკს. ეს არის ძირითადად ფიზიკური სხეულის ჩამოყალიბების პერიოდი და ბავშვი შინაგანი ძალებით მთლიანად ემსახურება ამ ამოცანას. რაც განვითარების ამ პერიოდში აისახება, იქნება ეს პოზიტი-

ური თუ ნეგატიური, ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე მიყვება. სწორედ ამ პერიოდში ხდება ისეთი უმნიშვნელოვანესი ადამიანური უნარების მოპოვება, როგორიც არის გამართული სიარული, მეტყველება და აზროვნება. ამავე დროს ყალიბდება საკუთარი თავის განცდა გარე სამყაროსთან მიმართებაში, საფუძველი ეყრება ადამიანის სოციალურობას. ამ ასაკში მიღებული ჩვევები, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე მიყვება. ეს არის ასაკი, როდესაც ინტელექტის ძალები გარკვეულ ბუნებრივ განვითარებას განიცდის, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ბავშვი ზედმეტად არ გადაიტვირთოს ინტელექტუალურად, რადგან ეს მის ფიზიკურ განვითარებაზე უარყოფითად აისახება.

„მიბაძვა და მაგალითი განსაზღვრავს სწავლების პრინციპს ადრეული ბავშვობის ასაკში და თანმიმდევრულად ამზადებს ბავშვს სასკოლო ასაკისათვის. პატარა ბავშვი სრულიად გახსნილია გარე სამყაროს მიმართ. ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება, ღრუბელივით შეისრუტავს. ამ ასაკში ის ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული კარგისა და ცუდის გასარჩევად. გაფილტვრის გარეშე იღებს და ითვისებს აღქმულს, ბაძავს ყოველივეს რაც მის გარშემო ხდება. ზნეობრივი შეგონებები და კეთილგონივრული რჩევები კი არ მოქმედებენ ბავშვზე, არამედ ის, რასაც გარშემო მყოფნი მის თვალწინ ჩადიან. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია ბავშვს შევუქმნათ ისეთი გარემო, სადაც ის მშვინვიერად და სულიერად კეთილის, ჭეშმარიტის, ლამაზის და ბრძნულის მიმბაძველ არსებად ჩამოყალიბდება. აღმზრდელებმა კარგად უნდა გავაცნობიეროთ ჩვენი პასუხისმგებლობა ბავშვის წინაშე, ჩვენ ხომ ჩვენი მოქმედებებით, ქცევებით, ჩვევებით, ცხოვრების წესით დიდ გავლენას ვახდენთ ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე. მხოლოდ კარგ მაგალითზე ორიენტირებულ მოზარდს გაყვება მოზრდილობაში სიმტკიცე, თავდაჯერებულობა, ქმედითუნარიანობა, კეთილგანწყობა და მოწიწება გარემოს მიმართ“(4).

რიტმი. მნიშვნელოვანი დამცავი გარსი და აღმზრდელობითი პრინციპი არის დროის რიტმული განაწილება. საერთოდ ადამიანი მრავალგვარ რიტმთან არის დაკავშირებული: წელიწადის დროები, დღე და ღამე, ძილი და ღვიძილი, ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა და ა.შ.. ამ ფენომენთა რიტმულ მონაცვლეობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს ადამიანი იცხოვროს ცხოვრების ჯანსაღი წესით. სასიცოცხლო რიტმებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, ეს არის თვითგანკურნების პრინციპი. რიტმი თავად არის გამაჯანსაღებელი. რიტმი მიიღწევა ერთი და იმავე პროცესის განმეორებით. იგი არის დაძაბულობის მოხსნის კარგი საშუალება. რიტმი ზოგავს ძალებს და უყალიბებს ადამიანს ხასიათს. მისი მეშვეობით სწავლობს ადამიანი დღის სწორად განაწილებას. ყოველი ზუსტი, გაცნობიერებული გამეორება აძლიერებს ნებას და მატებს ბავშვს თავდაჯერებულობას. ასეთი ბავშვები, მომავალში კარგად ორგანიზებულ ადამიანებად ყალიბდებიან.

საბავშვო ბაღში ცხოვრება აქტივობა-დასვენების ანუ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის, შეკუმშვა--გაშლის რიტმზეა აგებული. ბაღში დღის, კვირის და წელიწადის რიტმები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ბაღში ერთი და იგივე პროცესი ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს მეორდება, მხოლოდ საქმიანობები იცვლება კვირის დღეების მიხედვით. ორშაბათი ცხობის

დღეა, სამშაბათი – ევრითმიის, ოთხშაბათი – ცვილით ძერწვის, ხუთშაბათი – ტყეში გასეირნების, პარასკევი – აკვარელით ხატვის. წლის რიტმი ზეიმებთან არის კავშირში.

„ევრითმია სიტყვა ევრითმია ძველი საბერძნეთიდან მოდის (eu- ლამაზი, rythmos-დინამიური ნაკადით გამოხატული მოძრაობა). იგი, როგორც ახალი, თანამედროვე მოძრაობის ხელოვნება მე-20 საუკუნის დასაწყისში ავსტრიელი ფილოსოფოსისა და პედაგოგის რუდოლფ შტაინერის მიერ შეიქმნა. თავდაპირველად ევრითმია, როგორც მოძრაობით გამოხატული ხილული მეტყველება და მუსიკა, სასცენო ხელოვნების დარგი იყო, მაგრამ მისმა მრავალმხრივმა შესაძლებლობებმა პრაქტიკულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და ეფექტური გამოყენება ჰპოვა პედაგოგიური, სამკურნალო თუ ჰიგიენური ევრითმიის სახით.

ევრითმიას ვალდორფის პედაგოგიკაში მნიშვნელოვანი როლი უკავია. ევრითმიული სავარჯიშოები ითვალისწინებს ბავშვის ასაკობრივი განვითარების სპეციფიკას, მათი მეშვეობით ხდება როგორც ინდივიდუალური, ასევე სოციალური უნარების განვითარება.

ინდივიდუალური პროცესების განვითარებაში იგულისხმება: ინდივიდუალური ზრდის პროცესის ჰარმონიზირება; გახსნილობის, გულწრფელობის და სითამამის წახალისება; შიშისა და დაურწმუნებლობის გადალახვა; ყურადღების კონცენტრაციისა და სხეულის აღქმის გაძლიერება; წონასწორობის გრძნობის გავარჯიშება; სივრცეში ორიენტაციის განვითარება.

სოციალური უნარების განვითარებაში იგულისხმება: ჯგუფური ზრდის პროცესის ჰარმონიზირება; სხვებისადმი პატივისცემის, ნდობის, ერთობლივი მუშაობის პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება“(4).

ვალდორფის საბავშვო ბაღში ევრითმია კეთდება კვირაში ერთხელ, ამგვარი რიტმი ბავშვებს აჩვევს მოთმინებას, უყალიბებს მოლოდინისა და დროის განცდას. ბავშვები ევრითმიის კეთებას 3-3,5 წლიდან იწყებენ.

ვალდორფის სკოლაში მოსწავლის მიღება დამოკიდებული არ არის მის სოციალურ მდგომარეობაზე, ეროვნებასა და აღმსარებლობაზე. სკოლაში იქმნება არამხოლოდ ინდივიდუალური განვითარებისათვის საჭირო პირობები, არამედ ბავშვებს უნდა განუვითაროთ სხვა ადამიანების პატივისცემის უნარი. ბავშვი დაბადებიდანვე არის სოციალური არსება. ის სწავლობს სოციალურ ურთიერთობებს, ამყარებს კონტაქტს სხვა ადამიანებთან.

თანამედროვე სამყაროში ხშირია ოჯახში ერთი ბავშვის ყოლა. აქედან გამომდინარე ბავშვი სოციალური თვალსაზრისით მწირ გამოცდილებას იღებს. ადრეულ წლებში, როდესაც ბავშვი იზრდებოდა დიდ ოჯახებში, უფროსი და უმცროსი და-ძმის გარემოცვაში, სოციალური ურთიერთობების მხრივ პრობლემები არ არსებობდა. დღეს კი უმჯობესია საბავშვო ბაღი იქცეს სოციალური გამოცდილების მიღების უმთავრეს ბაზად. ბაღების უმეტესობაში ერთიდაიგივე ასაკის ბავშვეივ არიან ჯგუფში. რაც იმის დასტურია, რომ უფროსების გარდა ბავშვს ურთიერთობა აქვს, მხოლოდ თავის ასაკის ბავშვებთან. აღმზრდელ - პედაგოგი ამ შემთხვევაში მცირე დოზით შეასწავლის ან აწვდის ინფორმაცია ბავშვს თავიზე პატარა ასაკის ან უფროს ბავშვებთან ურთიერთობას. როგორც ჩანს, ზემოთქმულის პრაქტიკულად განხორციელება ბავშვებს უჭირთ, როდესაც ისინი სკოლაში მიდიან. ამის ალტერნატივას წარ-

მოადგენს ვალდორფის საბავშვო ბაღებში შერეული ასაკის ბავშვების ჯგუფების არსებობა. შერეული ჯგუფების არსებობა ვალდორფის პედაგოგიკის მნიშვნელოვანი ასპექტია.

ვალდორფის სკოლები და საბავშვო ბაღები დიდი წარმატებით ფუნქციონირებს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ჰოლანდია, ნორვეგია, ავსტრია, უნგრეთი და სხვ. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ასეთი სკოლები იქმნება 1989 წლიდან. დღეისათვის ისინი გავრცელებულია რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთში, ლიტვაში, ლატვიაში, საქართველოში.

როგორც თბილისის თავისუფალი ვალდორფის საბავშვო ბაღის აღმზრდელი მარიკა ჩხიკვაძე წერს: „ ვალდორფის ბაღი ეს არის ცოცხალი სოციალური ორგანიზმი, ერთი დიდი მეგობრული ოჯახი, სადაც ბავშვი სწავლობს სწორ სოციალურ ურთიერთობებს და არ უჭირს კავშირის დამყარება საზოგადოებასთან. რაც შერეული ასაკობრივი ჯგუფის მუშაობის შედეგია. ჯგუფში არიან სასკოლო ასაკის უფროსი ბავშვები და პატარები, სამი წლიდან ზევით. როგორც ნამდვილ ოჯახში, აქაც ყველაფერი მუდმივი ქმნადობის და განვითარების პროცესშია. ბავშვები იზრდებიან, იცვლებიან, უფროსები მიდიან სკოლაში, საყვარელი პატარები უკვე თვითონ არიან დიდები და ეხლა, უკვე თვითონ ზრუნავენ ჯგუფში ახალ პატარებზე. როდესაც ჯგუფში სხვადასხვა ასაკის ბავშვები არიან, ბავშვი უფრო ჰარმონიულად და თანმიმდევრულად განიცდის თავისი ზრდის პროცესს. ისე თითქოს კიბეზე ადის ნელნელი ნაბიჯებით, რომელსაც ის ახალ დიდ სამყაროში შეჰყავს. როცა სასკოლო ბავშვი ჯგუფში ახალმოსულ პატარას უყურებს, მას ახსენდება საკუთარი თავი, როდესაც ის პირველად მოვიდა ბაღში, როგორ ტიროდა და როგორ დაეხმარნენ მას უფროსი მეგობრები. სიამაყის განცდა ეუფლება, როდესაც დაძლეული პრობლემები ახსენდება და თვითონაც უჩნდება სურვილი, ახალმოსულ პატარას დაეხმაროს, თამაშში ჩართოს, იზრუნოს მასზე. პატარას კი უფროსების მაგალითზე შეუძლია თქვას, როგორი იქნება ის შემდეგ წელს: დიდი, ძლიერი, სამართლიანი, მზრუნველი. ის აცნობიერებს, რომ უფროს ბავშვებს ჯგუფში აქვთ თავისი ,,დიდური“ მოვალეობები, ისინი აღმზრდელების მთავარი დამხმარენი არიან, მათ აქვთ იმისი უფლება, რისი უფლებაც ჯერ კიდევ არა აქვთ პატარებს, მაგალითად: საუზმისთვის გაშალონ სუფრა, მოქსოვონ ხალიჩა, ხისგან გააკეთონ ხმალი და სურათის ჩარჩო, ჩაატარონ თოჯინებით სპექტაკლი. გარდა ამისა მან იცის, რომ უფროსმა ბავშვებმა იციან ბევრი საინტერესო თამაში, შეუძლიათ სახტუნაოზე ხტომა, მსუბუქად და მოხერხებულად ჰაერში ბურთის აგდება და ისევ დაჭერა, შეუძლიათ სწრაფი სირბილი. როდესაც პატარა ტირის, ამშვიდებენ და ეხმარებიან მათ თამაშში. პატარა ბავშვი თანდათან თვითონ ითვისებს ამ უნარებს და მისი როლიც იცვლება ჯგუფში. მასაც თანდათანობით ანდობენ რთულ დავალებებს, მაგალითად: ხილის დაჭრა, სუფრის გაშლა, რთული თამაშის დაგეგმვა, სთხოვენ დაეხმაროს პატარებს. ეხლა უკვე თვითონ არის დიდი და შეუძლია აღმზრდელის დამხმარე გახდეს (ამას ხომ დიდი ხანი ელოდა). ეს ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვისთვის. აღმზრდელს აღარ უწევს ბავშვისთვის ხელოვნურად იმისი სწავლება, თუ როგორ უნდა მოიქცეს, ის ყველაფერ ამას უფროსი ბავშვების მაგალითზე სწავლობს“(9). აღმზრდელს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გაკონტროლება უწევს, რადგან ბავშვები მიეჩვიონ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

ვალდორფის საბავშვო ბაღში, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესი არის თავისუფალი თამაში. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ, გარემომცველმა მრავალფეროვანმა სათამაშოებმა ბავშვს დაავიწყა თამაში. მათ უკვე აღარავინ ასწავლის თამაშს. ვალდორფის საბავშვო ბაღებში კი პირიქითაა. შერეული ასაკის ჯგუფებში პატარები უფროსი ასაკის ბავშვებისგან იღებენ იმპულს, სწავლობენ თამაშს, რაც თამაშის პროცესს კიდევ უფრო საინტერესოს და ცოცხალს ხდის. ბავშვები თავისი ასაკის შესაფერის როლს ირჩევენ. ასეთი თამაშის დროს უფროსი ასაკის ბავშვები ეჩვევიან უმცროსებზე ზრუნვას, გამოიმუშავებენ საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობას, რაც მნიშვნელოვანია იმ ოჯახში აღზრდილი ბავშვებისთვის, სადაც არ ჰყავთ და-ძმა.

ვალდორფის საბავშვო ბაღში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ რიტმულ თამაშებს.რაც ბავშვებს საშუალებას აძლევთ განუვითარდეთ, როგორც სამოძრაო აპარატი, ასევე სოციალური ურთიერთობები.

„შერეული ასაკის ჯგუფებში ბავშვებს ეძლევათ საშუალება შეიცვალონ მაშინაც კი, როდესაც ბავშვი გაუბედავი და სუსტია. დგება ისეთი მომენტი, როდესაც ის ჯგუფში ხდება დიდი და მას აღიარებენ პატარები. უკვე დიდია, შეუძლია აკეთოს ისეთი რამ, რისი უფლება ჯერ კიდევ არა აქვთ პატარებს, ისინი მისგან ელიან დახმარებას. ის ხდება აღმზრდელის დამხმარე. აღმზრდელი ზოგჯერ სთხოვს მას, დაეხმაროს ახალმოსულ პატარას ჯგუფის გაცნობაში. პატარა თამაშის ორგანიზებას ავალებს და სთხოვს მასში ახალი ბავშვის ჩართვას. ეს ბავშვს გამოუმუშავებს საკუთარი თავისა და საკითარი შესაძლებლობების რწმენის უნარს, უფრო თავდაჯერებული ხდება, სწავლობს ურთიერთობებს უცხო ბავშვებთან, რაც ასე აუცილებელია სასკოლო ასაკის ბავშვისთვის“ (6).

მასწავლებელი თამაშში ერევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქმნება კომფლიქტური და გადაუჭრელი სიტუაცია. რაც ბავშვს საშუალებას აძლევს გამოავლინოს საკუთარი თავისუფალი ნება, მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, დაგეგმოს და ისიამოვნოს თამაშით.

ნინო ლომიძე სტატიაში „თავისუფალი აღზრდის ხელოვნება“ (3) სვამს კითხვას, რატომ უნდა ავირჩიოთ მაინდამაინც ვალდორფის სკოლა. და იქვე სცემს პასუხს ვალდორფის სკოლის მიხედვით ადამიანი განიხილება, როგორც ჰარმონიული არსება, რომელსაც თანაბრად უნდა ჰქონდეს განვითარებული ბიოლოგიური, სოციალური და სულიერი მიმართებები. ადამიანი ვალდორფის პედაგოგიკის მთავარი ღირებულებაა.

ვალდორფის ბაღებში აზრები და იდეები ჩანაცვლებულია ქმედებებით და საქციელით. აღმზრდელი მუდმივად დაკავებულია საქმით (იქმნება ახალი სათამაშო და სხვა). ბავშვები ჩართულია ბაღის ყოველდღიურ ცხოვრებაში, იღებენ მონაწილეობას პურის ცხობაში, თავად ქმნიან სათამაშოებს და სხვა. თუ დავაკვირდებით სასწავლო - სააღმზრდელო პროცესს ვერავინ გაიფიქრებს, რომ სწავლა არ მიდის, სიახლე არ შეიმეცნება. ამ შემთხვევაში ბავშვი ბასიური მსმენელი და წინასწარ გამზადებული ინვევტარის მომხმარებელი კი არ არის, არამედ შემქმნელი და ავტორი.

ვალდორფის ბაღი ტრადიციული ბაღებიდან (სხვადასხვა სასკოლო საგნის სწავლება, წერა-კითხვის სწავლება და ა.შ.) განსხვავდება იმით, რომ დღის განმავლობაში ბავშვი იღებს მინიმალური რაოდენობის შეფასებას. რადგამ ვალდორფის პედაგოგიკის მიმდევრებს მიაჩ-

ნიათ, რომ ბავშვი საქმეს, მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ მიიღოს შექება, თრგუნავს საკუთარ ნებას.

ტრადიციული ბაღების საქმიანობა ეფუძნება წინასწარ დაგეგმილ და შედგენილ გეგმას. სასწავლი მასალის სახლში გატნევას, ზეპირობას, დადგენილი ზეიმების, და დღესასწაულებს.

ვალდორფის ბაღში არ ტარდება ზეიმები. ზეიმი ჰქვია იმ განსაკუთრებულ დღეს, როდესაც ბავშვები იმოსებიან რაიმე განსაკუთრებული სამოსით. აღინიშნება, შობა - ახალი წელი. არის ერთი განსაკუთრებული დღე - ლამპრობა. ამ დღეს ბავშვები საკუთარი ხელით შექმნილი ლამპრებით გადიან ბუნების წიაღში, რასაც მოჰყვება დადებითი ემოციები, როგორც მშობლებისათვის ასევე ბავშვებისათვის.

სივრცე ვალდორფის ბაღებში ზონებად არის დაყოფილი, მაგრამ ხდება ოჯახიც, სახლის გარემოს იმიტაცია. წარმოდგენილია ნამდვილი სამზარეულო, სახლობანას სათამაშო, მოსასვენებელი ოთახი, სათამაშო კუთხე და სხვა. ოთახის ამგვარად მოწყობა ვალდორფის პედაგოგიკის მიხედვით განაპირობებს ბავშვების ბუნებრივ ჩაბმას არამარტო თამაშში, არამედ ყოველდღიურ საქმიანობაში. ისინი სურვილისამებრ ეხმარებიან აღმზრდელს ნაშუადღევის სამხრის მომზადებაში.ჭრიან ვაშლს, აკეთებენ ორცხობილას და ა.შ.

სათამაშოები სპეციალურად უბრალო მასალისგან (ხის ნაჭრები, კენჭები, გირჩები, ნიჟარები) არის დამზადებული. ისინი ფანტაზიას უღვიძებენ და უვითარებენ ბავშვებს. სახატავი მასალა ყოველ ჯგუფშია. მაგრამ ის ბავშვებისთვის თავისუფლად მისაწვდომი არ არის, რადგან ვალდორფის პედაგოგიკის მიხედვით ხატვას გარკვეული მონაკვეთები ეთმობა. სათამაშო კუთხეში არის ნივთები. რომლებიც ბავშვებმა წარმოსახვითი თამაშების დროს უნდა გამოიყენონ- ფარდაგები, შირმები, რომ სივრცე თავისი სურვილის მიხედვით გატიხრონ, მოაწყონ სამალავები, მოუარონ თოჯინებს და სხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „დროის მაგიდა“. მაგიდის მიხედვით ბავშვები ინფორმირებული არიან წელიწადის დროებისა და მათ გარშემო მიმდინარე სხვა მოვლენების შესახებ. ეზოში მოწყობილია წონასწორობის განმავითარებელი საშუალებები: აიწონა-დაიწონა, საქანელები, შესაძრომი ფარდულები, იქვე არის ორგანიზებული სათამაშოდ განკუთვნილი ქვიშა.

ჩვენ განვიხილეთ ვალდორფის პედაგოგიკის ფილოსოფიური და პედაგოგიური საფუძვლები. იგი უმეტესად წარმოჩენილი იქნა დადებითი, პოზიტიური თვალსაზრისით. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვალდორფის როგორც პედაგოგიკას, ისე სკოლასაც ჰყავს მოწინააღმდეგენი. არსებობს ვალდორფის სკოლის კრიტიკაც. მისი კრიტიკოსების აზრით, ვალდორფის სკოლის ძირითადი უარყოფითი მახასიათებლებია:

- სკოლა შექმნისთანავე გამიზნული იყო დაბალსტატუსიანი სოციალური ჯგუფების შვილების სოციალური ადაპტაციისათვის;
- პედაგოგიკის საფუძველია ანთროპოსოფია. მისი მისტიკური პოსტულატები გარკვეულ გავლენას მოახდენს ბავშვებზე;
- საბავშვო ბაღში საერთოდ არ არსებობს მეცადინეობები კითხვაში, ანგარიშში, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ ბავშვი ვალდორფის ბაღის შემდეგ წავა ჩვეულებრივ სკოლაში;

განსაკუთრებით ვალდორფის პედაგოგიკის წინააღმდეგ ილაშქრებს მაერთლმადიდებ-ლური ქრისტიანული პედაგოგიკა. მათ მიერ გზავნილი პოსტულატები ასეთია:

- ვალდორფის პედაგოგიკის დამაარსებლის შტაინერის სწავლება რელიგიურიც არის და ანტიქრისტიანულიც (შტაინერი ამტკიცებდა, რომ ქრისტე არ იყო ჯვარცმული, რადგან ქრისტეს სულმა გადაწყვიტა არ ვნებულიყო და ამიტომ ჯერ კიდევ ჯვარცმამდე დატოვა ქრისტე- ადამიანის ხორციელი გარსი);
- ვალდორფის პედაგოგიკა სექტანტური მეთოდიკაა.
- ვალდორფის სკოლების შტაინერული სისტემა არის ოკულტური და არავითარ შემ-თხვევაში ქრისტიანული, ან თუნდაც ნეიტრალური.

კითხვები ანალიზისა და თვითშეფასებისათვის

1. ვინ იყო ვალდორფის პედაგოგიკის სულისჩამდგმელი და თეორეტიკოსი?
2. მოკლედ დაახასიათეთ ვალდორფის პედაგოგიკის თეორიული და პედაგოგიური სა-ფუძვლები.
3. რამდენ ფაზად იყოფა ვალდორფის პედაგოგიკის მიხედვით ადამიანის ცხოვრება? დაახასიათეთ თითოეული ფაზა ცალ-ცალკე.
4. მოკლედ დაახასიათეთ ვალდორფის სკოლის ძირითადი პრინციპები.
5. ვალდორფის სკოლის მასწავლებელთა რომელ სახელმძღვანელო წიგნებს იცნობთ?
6. რომელია ვალდორფის სკოლის სწავლების ძირითადი მეთოდი?
7. მოლკედ დაახასიათეთ ვალდორფის საბავშვო ბაღების პედაგოგიური ასპექტები.
8. მოლკედ დაახასიათეთ რატომ აკრიტიკებენ ვალდორფის პედაგოგიკის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს.
9. როგორია მართლმადიბლური ქრისტიანობის დამოკიდებულება ვალდორფის პედა-გოგიკის მიმართ?

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯინჯიხაძე ჯ., თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, თბილისი, 2012.
2. ხარაძე ნ., სკოლა, რომელშიც მიწაზე მყარად დგომას ასწავლიან, www.radiotavisupleba.ge
3. ლომიძე ნ., „თავისუფალი აღზრდის ხელოვნება, blogmedia.ge, azrebi.ge
4. www.waldorfschule.ge
5. www.waldorfkindergarten.ge
6. ჩხიკვაძე მარიკა, ვალდორფის ბაღი, netgazeti.ge.
7. დიაკონი კურაევი ა., „ ვალდორფის პედაგოგიკა შექმნილია სექტაში“, www.betlemi.ge
8. Парамонова Л. А., Протасова Е. Ю. Дошкольное и начальное образование за рубежом: История и современность: Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб, заведений М.: Издательский центр «Академия», 2001. — 240 с.
9. www.netgazeti.ge.

§ 14. სელესტენ ფრენენეს ახალი სკოლის მეთოდიკა - ინვარიანტები (ურთიერთქმედების და კომუნიკაციის პედაგოგიკა)

გამოჩენილ ფრანგი პედაგოგი და მოაზროვნე სელესტენ ფრენე (1896-1966) ავტორია ორიგინალური პედაგოგიური სისტემისა, რომელიც წარმატებით გამოიყენება როგორც საფრანგეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეს – ახალი ალტერნატიული ტექნოლოგიაა.

სელესტენ ფრენე დაიბადა 1896 წელს ქალაქ გარში, გლეხის ოჯახში. ბავშვობის ბედნიერი მოგონებები იყო დაკავშირებული ბუნებასთან და უბრალო სოფლის ცხოვრებასთან, თუნდაც მშობლების მძიმე შრომასთან ეზოში, მინდორში და ციკლურად განმეორებადი ყოველდღიურ მოვალეობების წრესთან. ფრენე ჩამოყალიბდა, როგორც მოუსყიდველი და ბუნებრივად გახსნილი პიროვნება, რომელიც მადლიერებით ფიქრობდა ჯანსაღი შრომის ადამიანებზე. წყალობით. ამ თვალსაზრისით, ფრენე იყო მემკვიდრე ჟან–ჟაკ რუსოს იდეებისა. 1913–1914 წლებში სწავლობდა ქალაქ ნიცის ნორმალურ სკოლაში. მხოლოდ უღიმღამო მოგონებებს და მოსაზრებებს იწვევდა მასში სკოლა– ყაზარმა, როგორც ის უწოდებდა: ვიწრო, ბნელი ოთახი, მკაცრი მასწავლებელი და სკოლის მუშაობის უაზრო ფორმები - გადაწერა, დაზუთხვა, ტექსტების მეხსიერებით, ზეპირად გადმოცემა. ზუსტად იმის გამო, რომ სკოლის და ცხოვრების შორის არსებულმა უფსკრულმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფრენეზე, მან გადაწყვიტა გამხდარიყო მასწავლებელი და ჩაირიცხა ეკოლ ნორმალში (Ecole Normale) განათლების (პედაგოგიურ) ფაკულტეტზე. მეორე კურსის შემდეგ, 1915 წელს, იგი გაიწვიეს ჯარში, ომში, და მსახურობდა საზღვაო ოფიცრად, სანამ არ მიიღო ფილტვის მძიმე ჭრილობა. ომის დასრულების შემდეგ, ოთხი წელი გაატარა საავადმყოფოში, დაბრუნდა სრულიად დაინვალიდებული.

„ 1920 წლიდან დაიწყო მუშაობა ორკლასიან სოფლის სკოლაში; თანდათან დაიწყო, რაც შეიძლება მეტი მეცადინეობის გადატანა სუფთა ჰაერზე, რადგან უმძიმდა სუნთქვა ოთახში. საფრანგეთში სკოლა უკვე გამოყოფილი იყო ეკლესიისაგან, ამიტომაც ეთიკა ისწავლებოდა რელიგიისაგან განცალკევებით. ფრენეს სურდა, რომ მოსწავლეებს ეძებათ გზები, რათა განეხორციელებინათ ეთიკური ლოზუნგები პრაქტიკაში, ისე, რომ მორალის სფეროში არ ყოფილიყო მშრალი, გაყინული დოგმები. ყველაზე მთავარი იყო კარგი ურთიერთობების სკოლის საზოგადოებაში და წესრიგი და სისუფთავე საკლასო ოთახებში. მან უარი განაცხადა-ესაუბრა ზნეობრივ თემებზე. ის მოსწავლეებს აძლევდა ფიქრისა და აზრის თავისუფლებას, რაიმე ტიპის დევიზზე: მაგალითად: „მე მინდა ვიყო თავაზიანი ჩემი მშობლების მიმართ“, „მე მინდა ყოველთვის მზად ვიყო დავეხმარო ჩემს მეგობრებს“ (8. გვ. 53) და სხვა.

„1920 წლიდან ფრენე აწარმოებდა დღიურს, სადაც აღნიშნავდა თითოეული მოსწავლის ქცევის ყველა თავისებურებას, კითხებს და პრობლემებს, შემოქმედებით გამოვლინებებს და წარუმატებლობას. ამავე დროს, ის გაეცნო მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაშრომებს და შეიცნო პროსოციალისტური იდეალისტური პოზიციები, რომლებიც ახლოს იყო მისი მეგობრის რომენ როლანის შეხედულებებთან. მისი საყვარელი ავტორები იყვნენ ფრანცისკ ასიზელი თავის ქრისტიანული სოციალიზმით და იეზუიტი გილარ დე შარდენი. 1925 წელს, მან მოინახულა მასწავლებლების საერთაშორისო დელეგაციის წევრებთან ერთად სკოლები ლენინ-

გრადში, სარატოვში, მოსკოვში და სტალინგრადში და შოკირებული დარჩა იმ სიღარიბით და შეზღუდული პირობებით, რომელიც სუფევდა იქ, სადაც ტარდებოდა მეცადინეობები. ბავშვის განვითარებისათვის ადეკვატური ცოდნის გადაცემის ახალი, მეთოდების ძიებაში ფრენემ გაიცნო მარია მონტესორი და მისი თანაშემწე ჰ. პარკჰერსტი, მიმოწერა ჰქონდა ბელგიელ ექიმთან და განმანათლებელთან ო. დეკროლისთან, განსაკუთრებით მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა შვეიცარიელ პედაგოგთან ა. ფერერთან. მან შეისწავლა ჰ.ლიტცის რეფორმირებული სკოლების სისტემის ანტონში (გერმანია), სადაც კომფორტულ პირობებში ბავშვები ეწეოდნენ თვითმგანათლებას თითქმის მასწავლებლის ჩარევის გარეშე. ფრენემ მიიღო მოსწავლეთა ავტონომიურობის პრინციპი და დაიწყო საშუალებების და მეთოდების გამოგონება, რათა მოეხდინა მისი რეალიზაცია პრაქტიკაში. მისთვის ახლო იყო რუსოს იდეები, რომლებიც უფრო შესაფერისი იყო ღარიბი სოფლის სკოლებისთვის. ის თვლიდა, რომ მნიშვნელოვანი იყო შრომითი სწავლება და მიიჩნევდა, რომ "ენერგიული თავები და მოხერხებული ხელები" უკეთესია, ვიდრე ცოდნით გატენილი გონება“ (8. გვ. 54-55).

1923 წელს ფრენემ ჩააბარა უმაღლესი სკოლის პედაგოგის გამოცდა, მას შესთავაზეს პროფესორის თანამდებობა ბრინიოლში, მაგრამ მან უარი განაცხადა და დაუბრუნდა თავის სკოლას. ის იყო შეპყრობილი იდეით - გაჭირვებიდან გამოეყვანა ღარიბი მოსახლეობის დიდი ნაწილი განათლების ხარისხის გაუმჯობესებით.ფრენესთვის მნიშვნელოვანი იყო, როგორი იყო მისი მოწაფეების საცხოვრებელი პირობები, როგორ ყალიბდება მათი დამოკიდებულება საზოგადოების მიმართ: სადაც კი ასწავლიდა ფრენე, ის ყველგან აყალიბებდა ფერმერებისთვის, მუშებისთვის, გლეხებისთვის, სახალხო რეწვის ოსტატებისთვის სავაჭრო კოოპერატივებს, იმიტომ, რომ ის განიხილავდა მათ შრომის ორგანიზაციის უფრო პროგრესული ფორმად. ძველ სკოლას - სკოლას წმინდა ინტელექტუალურს, წიგნისა და სიტყვის სკოლას - ფრენემ გადაწყვიტა დაეპირისპირებინა ცხოვრებისეული აღზრდა, აღზრდა სიცოცხლისათვის და შრომაში. მის სკოლაში არ იყო ნიველირება, არ არსებობდა წესები, შესაბამისად, არ არსებობდა იძულება. მოწაფეები მას "მამა ფრენეს",და მისი მეუღლეს ელიზას -"დედა ფრენეს" უწოდებდნენ - სიყვარულითა და პატივისცემით.

მეოცე საუკუნის 20–იან წლებში საფრანგეთში ჩამოყალიბდა მოძრაობა "ახალი სკოლა", რომელშიც ფრენემ მიიღო მონაწილეობა. ამ მიმართულების ყველაზე მნიშვნელოვანი იდეები ეს იყო: სკოლა მაქსიმალურად უნდა იყოს განლაგებული სოფლად, განათლება უნდა იყოს მინდობილი თვითონ მოსწავლეებისათვის, სამუშაო ჯგუფებში ან ინდივიდუალურად, ხშირად ისინი თავად განსაზღვრავენ, ან ირჩევენ რა გააკეთონ და, შესაბამისად, უფრო მომზადებული ხვდებიან ცხოვრებაში დადგენილ გამოწვევებს. დისციპლინისა და წესრიგი რეგულირდება მეტწილად მოსწავლეთა პასუხისმგებლობით და სკოლის თვითმმართველობით. ცხოვრება სკოლაში ეფუძნება ოჯახის მოდელს. სადილამდე მეცადინეობებს ატარებენ ინტელექტუალური საქმიანობის სახეობებში, დღის მეორე ნახევარში კი ხატვის, შრომის, ხელგარჯილობის, ფიზიკური აღზრდის მეცადინეობები, სამუშაო ბაღში, ლაბორატორიული, სემინარები ან ექსკურსია. განსაკუთრებით მიესალმებიან ხელით შრომას, რომელიც ხელს უწყობს დაკვირვების და აზროვნების განვითარებას, (მათ შორის, ლინოგრავიურების წარმოება, წიგნების აკინძვა და გადაკანვა, ლითონზე მუშაობა), აგრეთვე ფიზიკური და

მხატვრული შემოქმედებითი საქმიანობა. არაფერი აბსტრაქტული, მათემატიკაც და გრამატიკაც კი უნდა იყოს მიახლოებული ცხოვრებასთან. მოსწავლეებმა უნდა ჩაატარონ ექსპერიმენტები, აშენონ, ეძებონ, შეიძინონ საკუთარი გამოცდილება. როდესაც ახალი სკოლის იდეები განხორციელდა, ისინი გადაიქცა გაყინულ რუტინად და ფრენემ დაკარგა მათდამი ინტერესი (8. გვ. 58).

ის იყო ორგანიზატორი და ხელმძღვანელობდა ექსპერიმენტალურ დაწყებით სკოლებს:

- 1920–1928 წწ – ბარსურლუში;
- 1928–1934 წწ – სენპოლში;
- 1934–1966 წწ – ვანსში.

1927 წელს ფრენემ შექმნა „მაღალი წრის სკოლის მომხრეთა კოოპერატივი, რომელმაც მისი მომხრეები გააერთიანა. 1957 წელს შექმნა „ახალი სკოლის მომხრეთა საერთაშორისო ფედერაცია“. იგი ჟურნალების „აღმზრდელი“ და „საბავშვო ხელოვნება“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორია. ფრენე გარდაიცვალა 1966 წელს ქალაქ ვანსში.

ფრენეს მოღვაწეობის მთავარ თეზად იქცა კაცობრიობის მარადიული საფიქრალი, როგორ უნდა აღიზარდოს მომავალი თაობა, რომ ის განათლებულიც იყოს და ზნეობრივიც. მის გენიალურ წიგნში „პედაგოგიური ინვარიანტები“ წარმოჩენილია ორიგინალური სისტემა აღზრდისა, რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც მასწავლებლების, ისე მშობლებისათვის. ფრენეს ახალი სკოლის მეთოდიკა წარმატებით განხორციელდა საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

მან დაიწყო თავის პედაგოგიკური სისტემის შექმნა - "თანამედროვე სკოლის" პედაგოგიკა, რომელსაც მიუძღვნა საკუთარი თავი უკანასკნელ დღემდე. ფრენემ ყურადღება მიაპყრო ასაკობრივი ფსიქოლოგიის პრობლემებს, მან შენიშნა, რომ ცხოვრება - არ არის მდგომარეობა, არამედ დადგომა. ეს პროცესი უნდა ახსნას ფსიქოლოგიამ, მასზე უნდა იქონიოს გავლენა პედაგოგიკამ. ყოველთვის, როდესაც ბავშვის წინაშე რაღაც ახალი ჩნდება, განვითარების რომელ ეტაპზეც არ უნდა იყოს ის, ჯერ გაივლის „ხელით შეხების“ პერიოდს და შეისწავლის მიმდებარე ობიექტებს და საგნებს, შემდეგ მას მოსდევს თანდათანობით თვითშეგნების და მოწესრიგების პერიოდი და შემდეგ აქტიური მუშაობის პერიოდი. გამოჩენილმა მასწავლებლმა იპოვა ახალი საშუალება, რათა გაეერთიანებინა სკოლის მოსწავლეები და განეხორციელებინა საკუთარი იდეები. მან შექმნა სასკოლო სტამბა. ეს იდეა იმიტომ წარმოიშვა, რომ ფრენემ ვერ შეძლო ხანგრძლივად მიეპყრო მოსწავლეების ყურადღება ნებისმიერ ტექსტზე. მათ შეეძლოთ გადაეწერათ და მოეყოლათ ტექსტი, მაგრამ როგორც კი დაიხურებოდა სახელმძღვანელო, ტექსტი მათთვის აღარ იყო საინტერესო. ფრენემ შემთხვევით შეიძინა საბეჭდი დაზგა და დაიწყო ხერხების შესწავლა, თუ როგორ უნდა ემუშავა მასთან სკოლაში. ბელგიელ დეკროლისგან განსხვავებით, რომელიც ქირაობდა პროფესიონალ მბეჭდავს, რომელიც ყოველ კვირას კრებდა მოწაფეების მიერ შესრულებულ თხზულებებს. ფრენე, კი პირიქით, თავად ბავშვებს ავალებდა ტექსტის აკრებას და ბეჭდვას. სწორედ მაშინ მისი იდეები ფართოდ იქნა გავრცელებული მთელ მსოფლიოში.

სტამბის წყალობით, სკოლის გარემო გახდა უფრო, თბილი, მზიანი, ბედნიერი, უფრო მრავალფეროვანი. ამან ხელს შეუწყო ბავშვებს გამოეხატათ საკუთარი დამოკიდებულება

ტექსტში, ან ნახატში. ფრენემ დაიწყო მუშაობა საბეჭდი მანქანის გაუმჯობესებაზე და გახადა იმდენად მარტივი, რომ ის უკვე ხელმისაწვდომი იყო 4 - 6 წლის ბავშვებისათვის და "შევიდა" საბავშვო ბაღში (დედის სკოლაში). შესაძლებელი იყო, ბეჭდვა არა მხოლოდ ტექსტის სხვადასხვა ზომის ასოებით, არამედ ლინოგრავიურების, ნოტების, ღია ბარათების, რუკების. როდესაც ბავშვები აწყობენ სიტყვებს, ისინი შეისწავლიან ასოებს, უჩნდებათ წერის სურვილი, საკუთარი ინიციატივით, ზრუნავენ მართლწერაზე. საბავშვო ბაღში აღსაზრდელები ზეპირად უყვებიან ან კარნახობენ ტექსტს მასწავლებელს, რომელიც წერს დაფაზე, საიდანაც ბავშვები იწერენ და შემდეგ დამოუკიდებლად აკრიბავენ და ბეჭდავენ. პირველი კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ გააკეთონ ყველა სამუშაო თვითონ, თავიდან ბოლომდე. ყოველდღე, ისინი ამზადებენ სიუჟეტებს ან ტექსტებს, რომლებსაც კითხულობენ ან წარმოთქვამენ კლასში და ირჩევენ საუკეთესოს ერთად. ყველა აკეთებს ილუსტრაციებს, და შემდეგ აკრავენ „კლასის ცხოვრების აღწერაში". ასევე აქვე თავსდება რჩეული ლექსები და მწერლების ლიტერატურული ტექსტები. ბეჭდვა მოითხოვდა სამუშაოების ბოლომდე დასრულებას, შეუძლებელი იყო მისი შუაში შეწყვეტა. ბავშვში ვითარდებოდა იმის აუცილებლობა, რომ უნდა იმუშაონ სუფთად, აკურატულად, სრული მონდომებით. ყველა ასაკრები პროცესი მოითხოვდა დიდ მოხერხებულობას, ზუსტ ცოდნას. სამანქანო ტექსტის ნახევარი გვერდის დასაბეჭდად მომზადებას , თუ კი თითოეულ ხაზს ამუშავებს ერთი მოსწავლე, კლასი ანდომებს მხოლოდ 15 - 20 წუთი (ფრენენს სტანდარტული ფურცელი - A5). ამავე დროს, ეს სამუშაო ახლოს იყო ადგილობრივ ინტერესებთან: განიხილება საქმეები და მოვლენები, რომლებიც ხდება მოცემულ ადგილზე სოფელში, თუ ქალაქში, ყველასათვის ცნობილი ფაქტები. ყველა ღებულობს სრულყოფილად შესრულებულ საგანმანათლებლო და სოციალურ-კულტურული შინაარსის ნაბეჭდს, რომელიც შეიძლება თან წაიღოს, აჩვენოს მშობლებს, გადასცეს სხვას. ერთობლივი მუშაობა აერთიანებს ბავშვებს. სიხარული. სკოლა ხდება სასწავლო პოლიგონი, ამზადებს ზრდასრული ცხოვრებისათვის, აძლევს შესაძლებლობას მოიპოვოს ადამიანური ურთიერთობების გამოცდილება (8.გვ. 60).

20-იანი წლების ბოლოს ბეჭდვის სკოლამ შეიძინა ბევრი მხარდამჭერი საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში. დაარსდა "ახალი სკოლის" მხარდამჭერების პედაგოგიური ჟურნალი. ისინი იმდენად ბევრი იყვნენ, რომ პატარა სოფელში სკოლა ვერ იტევდა ყველას, ამიტომ ფრენე გადავიდა სამუშაოდ სხვა სკოლაში, რომელიც მდებარეობდა კანთან ახლოს. აქ იგი ასწავლიდა უკვე, მეუღლესთან ერთად. ფრენეს მეუღლე ელიზა (ისინი დაქორწინდნენ 1926) - იყო მხატვარი. იგი დაკავებული იყო ბავშვების შემოქმედებითი მუსიკალური და მხატვრული შესაძლებლობების განვითარებით, გამოსცემდა წიგნებს და ჟურნალებს ბავშვების ნამუშევრების შესახებ, სცადა მუშაობა ბავშვებთან სხვადასხვა მხატვრულ ტექნიკაზე. ფრენესა და მისი მეუღლისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო შეკრებები თანამოაზრეებთან, მათთან იდეების გაცვლა,თუ როგორ გაეუმჯობესებინათ მეთოდი.

ახალი სკოლა კანში იყო ცუდ მდგომარეობაში ფრენე ჩაება კონფლიქტში ხელისუფლებასთან, ის იბრძოდა განათლების პირობების გასაუმჯობესებლად. ბევრი რამის გაკეთება მოუწია საკუთარი ხელით, ან მშობლების დახმარებით. საერთაშორისო კონგრესზე ნიცაში 1932 წელს ქალაქ სენ–ოლში ჩამოვიდა ბევრი უცხოელი, რომლებსაც სურდათ ფრენეს სკოლის

გაცნობა. ზოგიერთი ბავშვის ესეები, რომლებიც დაწერილი იყო უბრალოდ და გულწრფელად, ხელისუფლების წარმომადგენლებს მოეჩვენათ არასაკმარისად რელიგიური (მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი არასდროს არ უღვივებდა ბავშვებს ათეისტურ აზრებს),

და ფრენეს წინააღმდეგ ორგანიზებული იყო კამპანია, რომელიც ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ის გამოვიდა გამარჯვებული, მისი იდეების შესახებ ლაპარაკობდნენ მთელს მსოფლიოში (მათ შორის, რუსეთში - ს. შაცკი). მასწავლებელი, თუმცა, იძულებული გახდა დაეტოვებინა სკოლა და ყურადღება მიეყრო რეფორმაციულ–პედაგოგიური მოძრაობის ზოგად იდეებზე. ის არაერთხელ ირწმუნებოდა, რომ იყო აპოლიტიკური, და რელიგიურ განათლებასთან არ ჰქონდა შეხება. მძიმე დაავადებებმა აიძულეს ფრენე ბევრი დრო გაეტარებინა საავადმყოფოში, და შემდეგ მან შეიძინა სახლი ქალაქ ვანეში, სადაც მან დაიწყო საგანმანათლებლო თავშესაფარის შექმნა. რომენ როლანი გახდა ფრენეს მიერ დაფუძნებული "ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ფრონტის" პრეზიდენტი, რომლის მიზანი იყო ბავშვის უფლებების დაცვა, მისი თავისუფლების განვითარება და დაცვა ცუდი ფილმებისაგან და ასე შემდეგ.

ომის დაწყების შემდეგ ფრენე აქტიურად თანაუგრძნობდა ანტიფაშისტებს. ტუსაღობაში მან დაწერა წიგნები ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში, და თან იძენდა ახალ გამოცდილებას სხვა პატიმრებთან საუბრებით. მან შეაგროვა, კერძოდ, მათი მოგონებები, მათი შთაბეჭდილებები მშობლების აღზრდის შესახებ. მისი მეუღლე იძულებული გახდა არა მხოლოდ ებრძოლა თავშესაფარის არსებობისათვის, არამედ ემუშავა მრეცხავად, რათა შეენახაა მასთან მცხოვრები ობლები. საბედნიეროდ, წყვილს ჰყავდა ბევრი მეგობარი, მათ შორის მცველებს შორის, რომლებიც ეხმარებოდნენ ყველაფრით, ვისაც რა შეეძლო. 1941 წელს ფრენე გაათავისუფლეს ბანაკიდან და ის წავიდა იატაკქვეშეთში - წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1944 წლის მაისში, ის ხელმძღვანელობდა მეამბოხე ჯგუფებს და როდესაც სამხრეთ საფრანგეთი განთავისუფლდა, იგი დაბრუნდა გაძარცვულ თავშესაფარში. სატუსაღოდან განთავისუფლებული მხარდამჭერების დაბრუნების შემდეგ ფრენემ თანდათან აღადგინა მისი მუშაობა.

ფრენეს სიცოცხლეში ყოველწლიურად აღდგომის წინა კვირის განმავლობაში, მისი "სახალხო მასწავლებლები" იკრიბებოდნენ კონგრესებზე, ატარებდნენ საზაფხულო სტაჟირებას, რომლის დროსაც უფრო გამოცდილი მასწავლებლები აცნობდნენ ახალბედებს მუშაობის მეთოდებს. 1965 წელს ფრენეს შრომამ დაიმსახურა განსაკუთრებული შექება ჟ.პიაჟესაგან.

ფრენეს სიკვდილის შემდეგ მისი მიმდევრები გაიყვნენ ორ ბანაკად: თეორეტიკოსები, რომლებიც ცდილობდნენ განეზოგადებინათ და განევითარებინათ მისი იდეები და პრაქტიკოსები, რომლებიც მიმართულები იყვნენ პრაქტიკული გამოცდილების პირდაპირ გადაცემაზე. ბევრი არ ცნობს ფრენეს როგორც მეცნიერს, მას თვლიან ავტოდიდაქტად- ეს ასე არ არის, იგი გენიალურად ახდენდა იდეების შესისხლხორცებას და და სინთეზირებას, შეეძლო სხვებთან თანამშრომლობა და ერთობლივი მუშაობით წარმატების მიღწევა.

დღეს უკვე აღარ არსებობს ის მკვეთრი ბრძოლა სოციალური თანასწორობისათვის, რომელიც შთააგონებდა ფრენეს. ქანქარა სხვა მხარეზე გადაქანდა: ამბობენ, რომ სკოლა ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს, რადგან ბავშვებისათვის ძალიან ბევრია დაშვებული. იმის ნაცვლად, რომ მოსწავლეები დააკავონ წერა–კითხვით და თვლით, პედაგოგი მიდის მათთან ერთად სასეირნოდ. ყველაზე საშინელი, რამაც მოიცვა სკოლა უკანასკნელ წლებში, არის ძალადობის ტალღა.

ფრენეს პედაგოგიკა, რომელიც ორიენტირებულია ბავშვის საჭიროებებზე, არის ერთ - ერთი შესაძლო პასუხი ამ კითხვებზე, თუმცა ცხადია, რომ ის არ არის მხოლოდ ერთადერთი. საფრანგეთისთვის ფრენეს პედაგოგიკა - ეროვნული სიამაყის საკითხია. ზოგჯერ ამბობენ, რომ ეს მიდგომა მოითხოვს ბევრ და ხანგრძლივ განმარტებებს მშობლებისათვის: აქ არ არსებობს ნიშნები, პატივს სცემენ თითოეულის ინდივიდუალურ ტემპს და რიტმს,მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სამუშაო ნაკლებია. პედიატრები ხშირად აგზავნიან ასეთ სკოლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში და სკოლის მიღწევები გასაოცარია. საფრანგეთში განათლების შესახებ უკანასკნელ საკანონმდებლო აქტებში თითქმის პირდაპირ გადმოტანილია ფრენეს ციტატები.

ფრენეს მიხედვით სკოლამდელები ჯერ სწავლობდნენ თავისი პირველი შთაბეჭდილებების გამოხატვას - საკუთარი ცხოვრების ისტორიის - ნახატით და შემდეგ მათ ემატება სიტყვა. როდესაც ასწავლის ბავშვებს წერას, მასწავლებელი ყოველთვის წერს სიტყვებს და ფრაზებს დაფაზე - ბავშვთა აზრების და მოთხრობების საკვანძო სიტყვებს. ბავშვები, ჯერ მხოლოდ იხატავენ ასოებს, მათ ჯერ არ იციან, არც ასოები და არც სიტყვები, მაგრამ ესმით, თუ რა დაწერა მასწავლებელმა, რას ნიშნავს ეს. გადახატვის დროს ისინი აკვირდებიან ასოების დამწერლობას და შემდეგ პოულობენ მას ასოთა კრებულში. ბავშვები კრებენ სიტყვებს დიდი ასოებით და პრაქტიკულად დამოუკიდებლად გაიაზრებენ, რომ სიტყვა შედგება ასოებისგან და წინადადებები კი – სიტყვებისგან.

„ფრენეს სკოლამდელი პედაგოგიკა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჰუმანიზაცია. ბავშვი და მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებები და ინტერესები არის მთავარი მოქმედი აღმზრდელობით პროცესში;

- ბავშვის განვითარება და პიროვნებად ფორმირება უნდა მიიმდინარეობდეს ბუნების შესაბამისად, თავისუფალი შრომის საშუალებით. არა თამაში, არამედ შრომა (ფიზიკური, ინტელექტუალური და მხატვრული) არის მნიშვნელოვანი ელემენტი ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში;
- ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება აღზრდის პროცესში;
- საოჯახო და საზოგადოებრივი აღზრდის ერთიანობა. მისი ასაკობრივი პერიოდიზაციის მიხედვით: 0 წლიდან - 2 წლამდე ეს არის საოჯახო აღზრდის პერიოდი. მშობლები პირდაპირ არიან ჩართული ბავშვის განვითარებისა და ფორმირების პროცესში;
- პედაგოგიური პროცესისა და განმავითარებელი საშუალების ურთიერთკავშირი“ (8.გვ. 52-54.)

მან აღზრდის ძირითადი საფუძვლები და პრინციპები შემდეგ ეტაპებად დაყო:

- 0-დან- 2 წლამდე. ოჯახში აღზრდა და მასში აღზრდისათვის საჭირო პირობების შექმნა: 1. მშობლების ჯანმრთელობა და ბრძოლა შრომის მძიმე პირობების წინაარმდეგ; 2. განსაკუთრებული ყურადღება ფეხმძიმე ქალებისადმი; 3. განსაკუთრებული პირობების შექმნა ახალდაბადებული ბავშვებისათვის;
- 2-დან 4 წლამდე - საბავშვო ნაკრძალი. ბავშვის ცხოვრების ყველა ეტაპზე აღზრდა ეფუძნება ძირითად პრინციპს-ცოდნის გადაცემას. რომელიც უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, გაამდიდროს ცოდნის პროცესი, დააჩქაროს იგი, რათა მოამზადოს პიროვნება საზოგადოებაში აქტიური საქმიანობისათვის. აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს ბუნებასთან შესაბამისობაში;
- 4-დან 7 წლამდე - საბავშვო ბაღი. გაკვეთილები უნდა იყოს მიზანმიმართული, რა ფორმითაც არ უნდა ტარდებოდეს იგი. სამუშაოსა და თამაშისათვის პირობების შექმნა. სააღმზრდელო მუშაობის ორგანიზაცია, ისე უნდა ავაგოთ, რომ პიროვნების ფორმირება უნდა დაეფუძნოს შრომის პროცესს, რათა ინდივიდმა დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება. პედაგოგიური მეთოდები უნდა იყოს მოქნილი. გონებრივი საქმიანობა წარიმართოს შემდეგი მიმართულებით:სიტყვის წარმოთქმა, ხატვა, წერილი, კითხვა, ტიპოგრაფიის ნაკრები და სხვა.
- 4-დან 14 წლამდე. დაწყებითი სკოლა. ფრენე გამოდიოდა დაწყებით სკოლებში სახელმძღვანელო წიგნების გამოყენების წინააღმდეგ, რადგან თვლიდა, რომ ისინი გამორიცხავდნენ ინდივიდუალური(მუშაობა კართოთეკაზე, გამოკვლევა, დაკვირვება, რეფერატი, ხატვა, სიმღერა, მუსიკა, თეატრი,) სწავლების შესაძლებლობას. ბავშვმა უნდა შეადგინოს ინდივიდუალური მუშაობის გეგმა ერთი კვირით: ჩაწეროს სამუშაო, რომლითაც სურს დაკავდეს და თვითონ, როგორ სურს მისი შესრულების გაკონტროლება.

სელესტენ ფრენესთან დაკავშირებით ქართულ ენაზე რამდენიმე საინტერესო ნაშრომი დაიბეჭდა. მათ შორის უნდა ავღნიშნოთ, თვით: 1. სელესტენ ფრენე, პედაგოგიური ინვარიანტები, თბილისი, 2010 წ., რომელიც ქართულ ენაზე თარგმნა ციალა კალმახელიძემ და კახმეგ კუდავამ; 2. ჯინჯიხაძე ჯემალი., თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიბი, თბილისი, 2012 წ.; 3. ჯალიაშვილი მ., სელესტენ ფრენეს პედაგოგიური ინვარიანტები, 26 ივნისი, 2014, mastsavlebeli.ge. აღნიშნულ ნაშრომებში განხილულია სელესტენ ფრენეს ორიგინალური პედაგოგიკური სისტემა.

პროფ. ჯემალ ჯინჯიხაძე განიხილავს და ახასიათებს ფრენეს პედაგოგიკური სისტემას საკლასიფიკაციო პარამეტრების და სკოლის კონცეპტუალური მოთხოვნების მიხედვით.

საკლასიფიკაციო პარამეტრებია:

- გამოყენების დონის მიხედვით –ზოგადპედაგოგიკური;
- განვითარების ძირითადი ფაქტორის მიხედვით – ბიოგენური და სოციოგენური;
- შეთვისების კონცეფციის მიხედვით – ასოციაციურ–რეფლექტორული;
- შინაარსის ხასიათის მიხედვით – აღმზრდელობითი, მასწავლებლური, მაღალი წრისა, ჰუმანისტური, ზოგადსაგანმანათლებლო;
- შემეცნებითი საქმიანობის მართვის ტიპის მიხედვით – მცირე ჯგუფების სისტემა;
- ბავშვის მიმართ მდგომის მიხედვით – ანთროპოცენტრული;
- ორგანზაციული ფორმებისა და მოდერნიზაციის მიმართულების მიხედვით – ალტერნატიული;
- მოსწავლეთა კატეგორიის მიხედვით – მასიური.

კონცეპტუალური დებულებებია:

- სწავლება ბუნების შესატყვისია, მიმდინარეობს იგი ბუნებრივად, განვითარების შესაბამისად. ამასთან, გათვალიწინებულია ბავშვების ასაკის თავისებურებანი, მიდრეკილებათა და შესაძლებლობათა მრავალფეროვნება და მრავალწახნაგოვნება.
- სასწავლო–აღმზრდელობითი პროცესის პრიორიტეტია ბავშვებს შორის მიმართებები და მათ ცნობიერებაში ფასეულობითი ორიენტაციები.
- სწავლების ყოველ ეტაპზე დიდი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივ–სასარგებლო შრომას.
- ყურადღები ცენტრშია სასკოლო თვითმმართველობა.
- მუდმივი და მიზანმიმართული მოტივირების პირობებშია ბავშვების ემოციონალური და ინტელექტუალური აქტიურობა.
- გამოიყენება სწავლებისა და აღზრდის ახალი მატერიალური საშუალებები“ (გვ.74-75).

როგორც პროფ. ჯემალ ჯინჯიხაძე გამოყოფს ფრენეს სკოლის სწავლების ორგანიზაციის მრავალ თავისებურებას და მათ შორის განსაკუთრებით აღნიშნავს შემდეგს:

- **„არ არის სწავლება,** როგორც ასეთი, მაგრამ არის პრობლემების გადაწყვეტა, სინჯვები, შემოწმებები, ექსპერიმენტირება, ანალიზი, შედარება და სხვ.
- **არ არის საშინაო დავალება,** მაგრამ მუდმივად არის კითხვების დასმა სკოლაში, სახლში, ქუჩაში.
- **არ არის გაკვეთილი** ზარიდან ზარამდე, მეცადინეობის დრო არ არის დოზირებული. ამ დროს თვით საქმიანობა განსაზღვრავს.
- **არ არის შეფასების ნიშნები,** მაგრამ აღინიშნება პირადი წარმატებები, წინსვლა და შედეგები. ამისათვის გამოიყენება ბავშვებისა და პედაგოგების ურთიერთ და თვითშეფასებები.
- **არ არის შეცდომები,** მაგრამ არის გაუგებრობები და მათში ერთობლივად გარკვევის შედეგად მათი აღმოფხვრა ძნელი არ არის.
- **არ არის საყოველთაოდ მიღებული პროგრამები,** მაგრამ არის მოსწავლეთა და პედაგოგთა ინდივიდუალური და ჯგუფური გეგმები.

- **არ არის ტრადიციული მასწავლებელი,** მაგრამ არის მრჩეველი, ასწავლის საერთო საქმის ორგანიზაციის ფორმები და ეს ფორმები ერთობლივად პროექტირდება პედაგოგებისა და ბავშვების მიერ
- **პედაგოგი არავის არ ზრდის,** არავის არ ასწავლის, არავის არ ავითარებს, – იგი მონაწილეობს აღზრდის, სწავლებისა და განვითარების საერთო პრობლემების გადაწყვეტაში..
- **არ არის წესები,** მაგრამ საერთო ძალისხმევით ბავშვების მიერ მიღებულია თანაცხოვრების ნორმები.
- **არ არის დამრიგებლობითი დისციპლინა,** მაგრამ დისციპლინის წყაროა საკუთარი და კოლექტიური უსაფრთხოებისა და ერთობლივი მოძრაობის შეგრძნება.
- **არ არის კლასი,** მაგრამ არის ბავშვებისა და მოწიფულების თანამონაწილეობის ერთობა“ (3. გვ.75-76).

ფრენემ თავის სკოლას დაუწესა ასეთი პედაგოგიური კანონები:

- ბავშვის მაქსიმალური განვითარება გონივრულად ორგანზებულ საზოგადოებაში, რომელიც ემსახურება და რომელსაც შემდგომ ის მოემსახურება თავად.
- ბავშვი ქმნის თავის პიროვნებას და ჩვენ ვეხმარებით ამაში.
- შრომა გახდება სახალხო სკოლის ფუძემდებელი პრინციპი, მამოძრავებელი ძალა და ფილოსოფია.
- ნათელი გონება და მარჯვე ხელები უკეთესია, ვიდრე არასაჭირო ცოდნით გადატვირთული ტვინი.
- სახალხო სკოლა ვერ იარსებებს დემოკრატიული საზოგადოების გარეშე.

მაია ჯალიაშვილი ფრენეს პედაგოგიკურ სისტემასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვას სვამს და იქვე სცემს პასუხს. „რა არის ფრენეს მეთოდიკის მიზანი? ბავშვის აღზრდა და სწავლება ცხოვრებისთვის მოსამზადებლად. და რად უნდა იქცეს ეს ბავშვი? ადამიანად, რომელსაც ექნება შრომის დიდი სიყვარული, ინტელექტი, წესიერება, კულტურა, საზოგადოებაში ჰარმონიული არსებობის უნარი და სხვებს მოექცევა ყოველთვის ისე, როგორც უნდა, რომ მას მოექცნენ. ასე რომ, აღზრდის ეს სისტემა ზნეობრივ ღირებულებებს ეფუძნება და მთავარია სიყვარული, რომელიც წარმოშობს ოპტიმიზმს, არიადნას გორგალივით რომ უნდა გაუძღვეს ადამიანს ცხოვრების ლაბირინთებში.

რა არის ღირსება ამ წიგნისა, რომელიც ახალ პედაგოგიურ სისტემას აცნობს მკითხველს?

უპირველეს ყოვლისა, სტრუქტურა, რომელიც აღზრდის მეთოდიკას იმგვარად აწვდის პედაგოგსა და მშობელს, რომ ისინი კითხვის პროცესშივე ჩაერთონ და საკუთარი თავი გამოსცადონ, რამდენად არიან მზად ყოველივე იმისთვის, რასაც ფრანგი პედაგოგი სთავაზობს. აქვე აღვნიშნავთ, რომ წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი უშუალოდ პედაგოგებისთვისაა დაწერილი, მეორე _მშობლებისთვის, მაგრამ ფრენე აღზრდის პროცესში თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს სკოლასა და ოჯახს, ამიტომაც საგულისხმოა რჩევები, რომლებიც მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ, რათა მათი შვილები ღირსეულ ადამიანებად აღიზარდონ.

აღზრდის ამ სისტემაში შემოთავაზებულია 32 პედაგოგიური ინვარიანტი. რა არის ინვარიანტი? რაც არ იცვლება, რაც მუდამ არსებობს ნებისმიერ ქვეყანასა და ვითარებაში”(2).

სელესტენ ფრენე ინვარიანტების საშუალებით პედაგოგიურ საზოგადოებას და მშობლებს აცნობს აღზრდის ახალ მეთოდიკას და ერთგვარ გამოცდასაც უწყობს მათ, რადგან ყოველ

ინვარიანტს უნდა უპასუხონ. პასუხისათვის იგი სამი არჩევანის საშუალებას იძლევა: მწვანე შუქი, ყვითელი შუქი, წითელი შუქი. „ მწვანე შუქის პასუხის არჩევანი საუკეთესოა: მწვანე შუქი ეძლევა მეთოდებსა და საშუალებებს, რომლებიც სავსებით ეთანხმება მოცემულ ინვარიანტებს… მათი გამოყენება უყოყმანოდ შეუძლიათ აღმზრდელებს. ინვარიანტები დროში გამოცდილია. ყვითელი შუქი ეძლევა მეთოდებსა და საშუალებებს, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ეფექტურია, თუმცა გარკვეული საფრთხის შემცველიც, იგი განსაკუთრებულ ფრთხილ დამკიდებულებას მოითხოვს. წითელი შუქი ეძლევა მეთოდებსა და საშუალებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მოცემულ ინვარიანტებს, ამიტომ რაც შეიძლება, სწრაფად უნდა დავემშვიდბოთ. რაც მთავარია, ცალკეული ინვარიანტი უბრალოდ, კი არ არის შეთავაზებული, არამედ ახსნილ-განმარტებული და ცხოვრებისეული მაგალითებითა განმტკიცებული“ (2).

გთავაზობთ ყველა ინვარიანტს:

- ბავშვის ბუნება არაფრით არ განსხვავდება ზრდასრული ადამიანის ბუნებისაგან.
- ადამიანის სიმაღლე არ მიუთითებს გარშემომყოფთა მიმართ მის უპირატესობაზე.
- სკოლაში ბავშვის ქცევა დამოკიდებულია მის ფსიქოლოგიურ განწყობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.
- არავის, არც ბავშვსა და არც უფროსს, არ უყვარს, როცა მას უბრძანებენ.
- არავის არ უყვარს ბრძანებით მწყობრში დგომა, რადგანაც ეს იგივეა, რაც სხვისი ბრძანებისადმი პასიური მორჩილება.
- ადამიანს არ უყვარს რაიმე სამუშაოს შესრულება მუქარის ქვეშ, მაშინაც კი, თუ ეს საქმე არ ეზარება, იძულება წარმოშობს წინააღმდეგობას.
- ნებისმიერ ადამიანს ურჩევნია თვითონ აირჩიოს სამუშაო, თუნდაც ეს არჩევანი მისთვის სასარგებლო არც იყოს.
- ამ ქვეყანაზე არავის არ უყვარს ფუჭი შრომა, რობოტივით მოქმედება, არავის არ ეხალისება რაიმე სამუშაოს შესრულება სხვისი ჩანაფიქრის მიხედვით. მით უფრო, თუ ეს ჩანაფიქრი მისთვის უცხოა და გაუგებარი.
- აუცილებელია შრომის მოტივირება.
- აუცილებელია, გავთავისუფლდეთ სქოლასტიკისაგან.
- ნებისმიერ ადამიანს სურს მიაღწიოს წარმატებას. იმედის გაცრუება აბრკოლებს საქმეს და კლავს ენთუზიაზმს.
- ბავშვის ბუნებრივი საქმიანობა არის არა თამაში, არამედ შრომა.
- ცოდნის ათვისების ეფექტური გზაა არა დაკვირვება, ახსნა და დემონსტრაცია – ტრადიციული სწავლების ძირითადი ხერხები, არამედ შემეცნების ბუნებრივი და უნივერსალური მეთოდი.
- მეხსიერებას, სკოლა რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მაშინ აქვს ფასი, როცა იგი ჩართულია ექსპერიმენტული მოსინჯვის პროცესში.
- ცოდნის შეძენა მიიღწევა ექსპერიმენტის გზით და არა წესებისა და კანონების შესწავლით, როგორც ზოგჯერ ფიქრობენ. წესებისა და კანონების პირველ რიგში შესწავლა იმასა ჰგავს, ურემ ხარებს წინ რომ დავუყენოთ.

- სქოლასტიკის დებულებათა საპირისპიროდ ინტელექტი არის აზროვნების უნარი, ოღონდ არა განზოგადებული და თითქოსდა ჩაკეტილ წრეში მოქმედი, არამედ ადამიანის სხვა თვისებებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებაში მყოფი.
- ტრადიციული სკოლა ავითარებს მხოლოდ აბსტრაქტული აზროვნების უნარს, რაც შორსა დგას რეალური ცხოვრების მოთხოვნებიდან.
- ბავშვს არ უყვარს ახსნა ex cathedra, და ეს არ ხდება დაბნეულობის ან სიზარმაცის გამო.
- ბავშვს არ ღლის სამუშაო, რომელიც პასუხობს მის ფუნქციონალურ ცხოვრებისეულ მოთხოვნებს.
- არავის, არც ბავშვსა და არც დიდს არ უყვარს ზედამხედველობა და დატუქსვა. ერთიცა და მეორეც მათ აღიქვამს როგორც ღირსების შელახვას, მით უმეტეს, თუ ეს საჯაროდ ხდება.
- მოსწავლეთათვის ნიშნების დაწერა და მათი კალსიფიკაცია პრინციპშივე მცდარი მეთოდია.
- რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკეთ.
- ბავშვს არ უყვარს „ჯოგში“ ყოფნა და შრომა, რადგანაც იქ ყოველი ინდივიდი უნდა დაემორჩილოს „მწყემსს“. მას ურჩევნია ინდივიდუალური მუშაობა, ანდა იმ გუნდში ყოფნა, რომელშიც თანამშრომლობის სულის კვეთებაა დასადგურებული.
- კლასში აუცილებელია წესრიგი და დისციპლინა.
- დასჯა ყოველთვის შეცდომაა. ის ყოველთვის დამამცირებელია და, რაც მთავარია, ვერასოდეს აღწევს სასურველ მიზანს.
- ახალი სკოლის ცხოვრება აგებულია თანამშრომლობის პრინციპებზე. ეს ნიშნავს, რომ, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს უფლება ეძლევა, მონაწილეობა მიიღოს სკოლის ცხოვრებისა და საქმიანობის მართვაში.
- მოსწავლეებით გადატვირთული კლასი პედაგოგიური შეცდომაა.
- დიდ სასკოლო კომპლექსების (კომბინაციების) თანამედროვე კონცეფცია იწვევს როგორც მასწავლებელთა, ისე მოსწავლეთა ანონიმურობას; ეს კონცეფცია მცდარია და წინ ეღობება ჩვენი მიზნების განხორციელებას.
- საზოგადოების მომავალ დემოკრატიზაციას საფუძველს უყრის სკოლის დემოკრატიზაცია დღეს. ავტორიტარული სკოლა ვერ აღზრდის დემოკრატიული საზოგადოების მომავალ მოქალაქეებს.
- აღზრდის საფუძველში ძევს პიროვნების ღირსების დაცვა. მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთპატივისცემა სკოლის განახლების ერთ–ერთი მთავარი პირობაა.
- პედაგოგიური რეაქცია, როგორც სოციალური და პოლიტიკური რეაქციის შემადგენელი ნაწილი, საპირისპირო გავლენას ახდენს პროგრესულ გარდაქმნებზე.
- ბოლო ინვარიანტი, რომელიც ამტკიცებს ჩვენი ძიების აუცილებლობას და ამართლებს ჩვენს საქმიანობას – ეს გახლავთ სიცოცხლის ოპტიმისტური რწმენა.

წიგნის მეორე ნაწილი ეძღვნება მშობლებთან გასაუბრებას, სადაც პედაგოგი განიხილავს შემდეგ საკითხებს: ნუ ადანაშაულებთ პედაგოგს, დავსაჯოთ თუ არა ბავშვები?, მშობლებს ვურჩევდით, ნერვიული ბავშვები, შევუქმნათ სკოლას ღირსეული სახე, სასკოლო შენობები,

ადამიანური დამოკიდებულებები, ბავშვი და გაზეთი, ჩვენი სკოლა და ცხოვრება, საშინაო დავალებები მოიხსნა, არც შეფასებას ვიყენებთ, არც კლასიფიკაციას, გამოცდები, დაზეპირება არ ნიშნავს ცოდნას, ძალადობით ვერაფერს მივაღწევთ, შრომითი სკოლა, ორგანიზება გაუკეთეტ ბავშვის შრომას, მჭედლობას, როგორ ისწავლით გრდემლის გარეშე? სისუფთავე და შრომა, შრომის დისციპლინა და სხვა.

თუ შევაჯამებთ სელესტენ ფრენეს პედაგოგიკურ შეხედულებებს მისი არსი და პრინციპები შემდეგში მდგომარეობს:

- ბავშვებში ინდივიდუალურობისა და დამოუკიდებლობის გამომუშავება;
- ინდივიდუალური მუშაობის საფუძვლებია: სამუშაო გეგმა, კვლევა, დაკვირვება, რეფერატი;
- უარი დასწავლას, მუშაობა სასკოლო ტიფოგრაფიაზე, გაზეთების გამოშვება და მიმოწერა;
- ფიზიკური შრომა(მინდვრის სამუშაოები, მეცხოველეობა, სამჭედლო და სახარატო საქმიანობა, ქსოვა, კერვა, კონსტრუირება, მექანიკა, ვაჭრობის საფუძვლები, ექსპერიმენტული მუშაობა, ბეჭდვითი საქმე, მხატვრული შემოქმედება);
- ახალი სკოლის მთავარი პირობაა: მოაწავლისა და მასწავლებლის ურთიერთპატივისცემა;
- რწმენა ბავშვებისადმი;
- ახალმა სკოლამ ბავშვებს უნდა ასწავლოს: ცხოვრება ადამიანებს შორის, თავის სამუშაოს კონსტრუირება, განავითაროს არა მხოლოდ ფიზიკური და ინტელექტუალური, არამედ სოციალური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით;
- სკოლის თვითმართველობა.

ვფიქრობთ, რომ სელესტენ ფრენეს ორიგინალური პედაგოგიური სისტემის გაცნობა საინტერესო იქნება ქართველი პედაგოგებისა და მშობლებისათვის და იგი წაადგება საქართველოს განათლების სისტემის გაუმჯობესებას.

კითხვები ანალიზისა და თვითშეფასებისათვის

1. მოკლედ დაახასიათეთ სელესტენ ფრენეს ბიოგრაფიული მონაცემები.
2. მოკლედ დაახასიათეთ მეოცე საუკუნის 20–იან წლებში საფრანგეთში ჩამოყალიბებული მოძრაობის "ახალი სკოლა" ძირითადი მნიშვნელოვანი იდეები.
3. რომელ წელს შექმნა ფრენემ „მაღალი წრის სკოლის მომხრეთა კოოპერატივი?
4. დაახასიათეთ სელესტენ ფრენეს პედაგოგიური სისტემის საკვალიფიკაციო პარამეტრები და კონცეპტუალური დებულებები.
5. რომელ ხუთ ძირითად პრინციპს ეფუძნება ფრენეს სკოლამდელი პედაგოგიკა?
6. დაახასიათეთ აღზრდის ძირითადი საფუძვლები, პრინციპები და შედეგები ფრენეს ასაკობრივი პერიოდიზაციის მიხედვით.

ლიტერატურა

1.სელესტენ ფრენე, პედაგოგიური ინვარიანტები, თბილისი, 2010 .

2.ჯალიაშვილი მ., სელესტენ ფრენეს პედაგოგიური ინვარიანტები, 26 ივნისი, 2014, mastsavlebeli.ge

3.ჯინჯიხაძე ჯ., თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიბი, თბილისი, 2012 .

4.Педагогический метод селестена френе: в чем секрет? - Летидор. https://letidor.ru/.../a0-pedagogicheskiy-metod-selestena-frene-v-ch...

5.ПЕДАГОГИКА Селестен Френе, *superpsicoeducador.blogspot.com/2014/01/blog-post_8635.html.*

6.Гура В.В. Педагогические идеи Селестена Френе как основа практического медиаобразования // Инновации в образовании. 2011. № 3.

7.БИБЛИОТЕКА ЗАРУБЕЖНОЙ ПЕДАГОГИКИ СЕЛЕСТЕН ФРЕНЕ Избранные педагогические сочинения ПЕРЕВОД С ФРАНЦУЗСКОГО Общая редакция и вступительная статья доктора педагогических наук Б. Л. Вульфсона МОСКВА ПРОГРЕСС 1990, ip.kpmo.ru/res_ru/0_publication_134_1.pdf

8.**Парамонова Л. А., Протасова Е. Ю. Дошкольное и начальное образование за рубежом: История и современность: Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб, заведений,** М.: Издательский центр «Академия», 2001.

9.Акулич-Дудко Т. Ю. Сущность технологии дошкольного образования С. Френе [Текст] // Актуальные вопросы современной педагогики: материалы Междунар. науч. конф. г. Уфа, июнь 2011 г.. — Уфа: Лето, 2011.

10.referatwork.ru

§ 15. ადრეული განათლების კურიკულუმები საქართველოში (XIX – XX საუკუნეები)

სკოლის ასაკამდე ბავშვთათვის დაწესებულებათა კლასიკურ ტიპად უკანასკნელ ხანამდე საბავშვო ბაღი ითვლებოდა და ითვლება. ფრებელის მიხედვით, საბავშვო ბაღში აღზრდის ამოცანას შეადგენდა ბავშვის თვითგამორკვევა და თვითგანვითარება, რომლის მიღწევაც სისტემატიურად შერჩეულ თამაშობათა და მეცადინეობის გზით შეიძლება.

საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის განვითარება საქართველოში იწყება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. მანამდე ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში სკოლამდელი ასაკის ბავშვის ოჯახში აღზრდას აქცევდნენ მთავარ ყურადღებას.

საბავშვო ბაღების წარმოშობას საქართველოში, ისე როგორც რუსეთშიც წინ უსწრებდა უპატრონო ბავშვების თავშესაფრის შექმნა.

1827 წელს თბილისის სამხედრო გუბერნატორმა სიპიაგინმა სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს გაეხსნა თბილისში „სააღმზრდელო სახლი, რომელიც პირველ ყოვლისა, განკუთვნილი უნდა ყოფილიყო „უბედურ“(ანუ „უკანონოდ“ და დედ-მამის მიერ მიტოვებულ) ახალშობილთათვის“ (20 გვ. 25). მაგრამ ეს განზრახვა სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი.

სკოლამდელი აღზრდის პირველი დაწესებულება თბილისში გაიხსნა 1859 წელს. კერძოდ გაიხსნა მცირეწლოვან ბავშვთა თავშესაფარი, სადაც იღებდნენ სხვადასხვა წარმოებაში მომუშავე მშობელთა ბავშვებს 3-დან 10 წლის ასაკამდე. ბავშვები გაყოფილი იყო ორ ჯგუფად. პირველს შეადგენდნენ 3-7 წლის ასაკის ბავშვები, მეორეს კი 8-10 წლისა. აქედან გამომდინარე პირველი ჯგუფი შეადგენდა სკოლამდელთა ჯგუფს შესაფერისი პროგრამით და მუშაობის მეთოდებით.

სკოლამდელი აღზრდის შემდეგი დაწესებულება საქართველოში გაიხსნა 1865 წელს. ის ეკუთვნოდა თბილისის საქველმოქმედო საზოგადოებას და განკუთვნილი იყო ბავშვებისათვის ექვსი კვირის ასაკიდან 6 წლის ასაკამდე. ამ დაწესებულებასაც „თავშესაფარი“ ეწოდებოდა. იღებდნენ „უპირატესად იმ ღარიბ მშობელთა შვილებს, რომლებიც თავს ირჩენენ დღიური მუშაობით თავის სახლს გარეშე და ამიტომ არა აქვთ საშუალება ბავშვები თავისთან იყოლიონ“ (6. გვ. 56.).

1868 წელს თბილისში დაარსდა 2 საბავშვო ბაღი. ერთი კუკიის უბანში, მ. ჯაბადარის ქალის ხელმძღვანელობით, ხოლო მეორე სოლოლაკში, ლიდია ლავრენკოს ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელს განაგებდა პედაგოგიური საბჭო. ორივე საბავშვო ბაღში იღებდნენ ორივე სქესის ბავშვებს 3-7 წლის ასაკში. მეცადინეობა მიმდინარეობდა სპეციალური, საბავშვო ბაღისათვის დამახასიათებელი პროგრამით.

1870 წელს თბილისში დაარსდა კიდევ ერთი საბავშვო ბაღი, პეტერბურგის ჟურნალ „Детский сад“-ის (1866-1868 წწ) ყოფილი რეაქტორ - გამომცემელის ა. სიმონოვიჩის ქალის ხელმძღვანელობით“ (6. გვ. 57.).

საბავშვო ბაღის გახსნას პირველი გამოეხმაურა გაზეთი „დროება“ და მისი რედაქტორი გიორგი წერეთელი. მანთვის წერილში „უჩინ - მაჩინის ქუდოსანი და იმის საუბარი მკითხ-

ველთან“ რამდენიმე გვერდი დაუთმო მას. გაარჩია პესტალოცისა და ფრებელის შეხედულებანი ადრეულ ასაკის ბავშვთა აღზრდის შესახებ.

მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელი გაფართოვდა და საბავშვო ბაღი ქართულ მოსახლეობაში თანდათანობით პოპულარული გახდა.

1885 წლის 30 სექტემბრის განკარგულებით კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დართო გერმანელ ქალს ც. მეტკემერს გაეხსნა საბავშვო ბაღი თბილისში.

1886 წელს ს.არღუთინსკაია–დოლგორუკოვამ თხოვნით მიმართა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს, რათა ნება დაერთოდ გაეხსნა III თანრიგის სასწავლებელი, პანსიონითა და საბავშვო ბაღით. მან მალე მიიღო თანხმობა და თბილისში მართლაც გახსნა მესამე თანრიგის სასწავლებელი, რომელსაც განაგებდა მთელი 50 წლის განმავლობაში.

1892 წელს იოსებ ოცხელმა ქუთაისში გახსნა საბავშვო ბაღი მოსამზადებელი კლასით. ოცხელმა მასწავლებლად მოიწვია მარიამ ყაუხჩიშვილი. იგი გაემგზავრა პეტერბურგში და სამი თვის განმავლობაში სწავლობდა ფრებელის სისტემით მომუშავე ბაღებს (5. გვ. 73.).

ბაღი მოთავსებული იყო ქუთაისში დადიანის ქუჩაზე ვარფოლომეევის კერძო სახლში. სკოლამდელი დაწესებულება ამზადებდა ბავშვებს გიმაზიის მოსამზადებელი პირველი კლასისთვის. საყმაწვილო ბაღის დანიშნულება გაზეთ „კვალი“-ს კორესპოდენტმა ასეთი სიტყვებით გამოხატა: „საყმაწვილო ბაღი მიზნად იღებს აღზარდოს ყმაწვილები 5-7 წლის ასაკში სამშობლო ენაზე ფრებელის სისტემით“(გაზეთი „კვალი“, 1896 წელი № 38). საბავშვო ბაღში ბავშვებს მთელი წლის განმავლობაში ღებულობდნენ. სწავლა ფასიანი იყო. სწავლის ქირის გადასახადი ხუთ მანეთს შეადგენდა.ოცხელის ბაღმა 1900 წლამდე იარსება.

იოსებ ოცხელს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი სკოლამდელი აღზრდის მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისათვის. იგი კარგად ხედავდა, რომ საქართველოს აღორძინება განვითარება შეეძლო ახალ თაობას, რომელიც პროგრესული იდეებით იქნებოდა აღზრდილი.

1898 წელს ეკატერინე კულიჯანოვას მიეცა ნება გაეხსნა თბილისში საბავშვო ბაღი ორივე სქესის ბავშვებისათვის და შერეული სკოლა პანსიონით. ეს სკოლა გაიხსნა 1899 წელს ბაღის ქუჩაზე. პირველად ბაღში 14 ბავშვი იყო (5. გვ. 75.).

„მეტ წილად ეს ბაღები არსებობდნენ ან გიმნაზიებთან, ან უფრო ხშირად ეგრეთ წოდებულ მოსამზადებელ სკოლებთან, სადაც ბავშვებს სკოლისათვის ამზადებდნენ. ისინი ემსახურებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების ნივთიერად უზრუნველყოფილ წრეებს. ასეთი ბავშვების შემადგენლობით განისაზღვრებოდა ორგანიზაციაც და ამ დაწესებულებებში მეცადინეობის მეთოდიც. საბავშვო ბაღში ბავშვები სამი-ოთხი საათის განმავლობაში იყვნენ, რადგანაც ეგონათ, რომ თუ ბავშვი უფრო მეტ ხანს იქნებოდა, სხვა ბავშვებთან ეს მის ფსიქიურსა და ფიზიკურ განვითარებაზე ცუდ გავლენას იქონიებდა. თვითონ მეცადინეობა ასეთი იყო: ა) თვალსაჩინო საუბარი, ბ) მოძრავი თამაშობანი, გ) ხელგარჯილობა, დ) ძერწვა, ე) სიმღერა და ვ) კითხვა ბავშვთათვის. საბავშვო ბაღში მეცადინეობის გეგმა ესმოდათ „როგორც ცოდნათა და წარმოდგენათა ერთი ციკლი და ბავშვთა ინტერესებსა და შუალს პირობებთან შეფარდებული“ ქვეყანას ეცნობოდნენ საუბრებით, მოდელების, სურათების და სუ-

რათებიანი ღია-ბარათების საშუალებით, რომელნიც აზრსა და წარმოსახვას განსაზღვრულ მიმართულებას აძლევენ მათ მიხედვით მოთხრობების შედგენის დროს და ქვეყნიერებას აცნობენ“...საზოგადოებრივი აღზრდა ასე ესმოდათ: საკმარისია ბავშვებმა შეითვისონ, თუ როგორ უნდა მოექცნენ ერთმანეთს, კორპორაციას, საზოგადოებრივ ქონებას, საერთო ინტერესებს, საქმეს, თავმოყვარეობას“ (7. გვ. 24).

საბავშვო ბაღების ქსელების გაფართოებასთან ერთად, ჩასახვას იწყებს სკოლამდელი აღზრდის თეორიაც. ივანე როსტომაშვილმა 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“(№167) დაბეჭდა სტატია „ სკოლა სეირნობისა, ანუ საბავშვო ექსკურსიატი“. იგი დაწვრილებით განიხილავს ფრებელის სისტემით მოწყობილი საბავშვო ბაღების მუშაობის შინაარსს და მის ნაკლოვან მხარეებად თვლის: „1. მრავალსაგნიანობა; 2. კარჩაკეტილობა; 3. ბავშვთა მოძრაობისა და თავისუფლების შეზღუდვა; 4.სიძნელე მისის წარმოებისა, რის გამოც თვით საგანგებოდ ამისათვის მომზადებულ მასწავლებელ ქალთაც კი უძნელდებათ საბავშვო ბაღის რამდენადმე მაინც ხეირიანად მართვა; 5.ძალად გართობა ბავშვებისა იმ საგნებსა და საქმეში, რომელიც ზოგიერთი ხასიათისათვის სრულიად უცხო და შეუფერებელია; 6. კარჩაკეტილობა და საკლასო მეცადინეობა (5. გვ. 74.).

ივანე როსტომაშვილი უპირატესობას ანიჭებს სეირნობის ბაღებს, რომლის იდეა მე-19 საუკუნის 90-იანი წლების დასავლეთ ევროპაში აღმოცენდა. იგი მოითხოვს ასეთი ბაღების გახსნას საქართველოში, კერძოდ თბილისში და ერთგვარ პროგრამასაც გვთავაზობს. ივ. როსტომაშვილის აზრით, ასეთ ბაღებში უნდა მიღებულ იქნენ 6–7 წლის ასაკის ბავშვები, რომლებიც მასში ორ წელიწადს დაყოფენ და მოემზადებიან სკოლისათვის. ბავშვებს სახლიდან მოაქვთ საგზალი და წინასწარ დასახული მარშრუტებით ყოველდღე სეირნობენ მასწავლებლის ხელმძღანელობით. ,,დღეს რომ ქალაქის შუა გულიდან ბავშვები დიდუბისაკენ გაასეირნოთ, მეორე დღეს საკმაო იქნება დაკმაყოფილდეთ მხოლოდ ვორონცოვის ხიდის დათვალიერებით, მისი სიგრძე–სიგანის გაზომვით, მადათოვის კუნძულის მიმოხილვით და სხვ. ყოველი მოგზაურობა კარგად უნდა იყოს მოფიქრებული და ბავშვებისათვის ნაუწყები, ე. ი. სად უნდა წავიდნენ, სად მოისვენონ, სად ითამაშებენ ანუ იმღერებენ, გზა–და–გზა რას გასინჯავენ, ადგილზე მისვლის დროს რას გააკეთენ და სხვ.“ (4. გვ. 3.). ასეთი ბაღებისათვის, ავტორის აზრით, არ იქნება საჭირო ცალკე შენობის აგება ან დაქირავება და სწავლის ფასიც ნაკლები იქნება (2–3 მანეთი თვეში).

1905 წელს ს.არღუთინსკაიამ თავის მამულში, სოფ. სანაიში გლეხთა შვილებისათვის გახსნა უფასო სასწავლებელი, რომელსაც მესვეურობდა თბილისში მის მიერვე გახსნილი სასწავლებელი და მათთან არსებული საბავშვო ბაღი. 1907 წელს თხოვნით მიმართავს სახალხო სკოლების დირექციას, რათა ნება დართონ გახსნას პირველად კავკასიაში „ფრებელის საზოგადოების ქალთა უმაღლესი პედაგოგიური კურსები“, სადაც მომზადდება აღმზრდელები სკოლამდელი დაწესებულებებისათვის. ამსაკითხთან დაკავშირებით გ. ჭანიშვილი წერდა: „უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური თხოვნით მას ადრეც, ჯერ კიდევ 1906 წელს მიუმართავს შესაბამისი ინსტანციისათვის. საარქივო მასალების მიხედვით, ფრებელის საზოგადოება კავკასიაში შეიქმნა 1910 წელს, ხოლო ქალთა უმაღლესმა კურსებმა მუშაობა დაიწყო 1911 წელს. მისი გახსნის თაობაზე მთელი წელი წარმოებდა მიმოწერა „პეტერბურგის ფრებელის

ქალთა უმაღლესი კურსებისა“ და „კავკასიის ფრებელის საზოგადოებას“ შორის. საქმეში დაცულია „პეტერბურგის ფრებელის ქალთა უმაღლესი კურსების“ სასწავლო გეგმები, პროგრამები და მის საფუძველზე შექმნილი „კავკასიის ფრებელის საზოგადოების ქალთა უმაღლესი კურსების“ სასწავლო გეგმები და პროგრამები. აქვეა პედაგოგთა სიები, მათი დატვირთვის ამსახველი მასალები და სხვ“ (15. გვ. 78.).

1907 წლიდან ს.არღუთინსკაია ზრუნავს დააარსოს ყოველთვიური ილუსტრირებული სამეცნიერო–პედაგოგიური ჟურნალი „დიტია“ დედებისათვის, აღმზრდელებისთვის და ყველა იმათთვის, ვინც დაინტერესებულია სკოლამდელი აღზრდის საკითხებით. ამ მიზნით 1907 წელს ს.არღუთინსკაია დახმარებისა და რჩევისათვის მიმართავს რუს პედაგოგსა და ფსიქოლოგს, რუსული სკოლამდელი აღზრდის ერთ–ერთ ფუძემდებელსა და თეორეტიკოსს პ.კაპტერევს, რომლისგანაც ღებულობს შემდეგი შინაარსის ბარათს: „მოწყალეო ხელმწიფევ, სოფიო ვასილის ასულო... (ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ პ.კაპტერევი პირდაპირ გადადის საქმეზე) სასიხარულოა, რომ თქვენ განუხრელად მიდიხართ დიდი ხნის წინ დასახული მიზნისაკენ, მე მჯერა, რომ თქვენ არა მარტო მიაღწევთ დასახულ მიზანს, არამედ საინტერესო გამარჯვებებიც გექნებათ, რაც თქვენ არა მარტო დაგაკმაყოფილებთ, არამედ გიბიძგებთ ახალი საქმეებისაკენ. ამისათვის საჭიროა მარადიული სურვილი ახლის ძიებისა, ისეთი სიბეჯითე, ისეთი ენერგია და ძალა, რომელიც შეგასრულებინებთ გარკვეულ როლს, რაც ესოდენ იშვიათია რუსეთის სინამდვილისათვის. ჩვენ როგორც ცნობილია ბევრს ვიწყებთ და ვაკეთებთ კიდეც, მაგრამ ხშირად სრულიად ადვილად ვანებებთ ხოლმე თავს მეტად საინტერესო წამოწყებას....

მე ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ რითიმე შემეძლება გამოვადგეთ. თქვენ სამართლიანად აღნიშნავთ, რომ დღეისათვის ჩვენ არ გვაქვს ისეთი ორგანო, რომელირც აიღებდა თავის თავზე იმ ამოცანების გაშუქებას, რომელსაც კისრულობს თქვენი „დიტია“, ხოლო ასეთი ორგანო ყველასათვის საჭირო და საინტერესო საქმე იქნებოდა. **მიიღეთ ჩემი პატივისცემა და რწმენა დახმარებისა და სამსახურისა. პ.კაპტერევი, 1907 წ.“** სხვ“ (15. გვ. 83).

სამწუხაროდ, ასე კარგად წამოწყებულ საქმეს, ბევრი მიზეზის გამო, განხორციელება არ ეწერა.

1908 წელს ს.არღუთინსკაიამ შეძლო გაეხსნა კლუბის ტიპის დაწესებულება – „ ბავშვთა სამყარო“, აქ თავს იყრიდნენ სკოლამდელები და უმცროსი კლასების მოსწავლეები, კითხულობდნენ წიგნებს, აწყობდნენ საამოებს, ექსკურსიებს, დგამდნენ სპექტაკლებს, ატარებდნენ კონცერტებს, აქ ხშირად ეწყობოდა ბავშვთა ნამუშევრების გამოფენები, რასაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ს.არღუთინსკაია–დოლგორუკოვამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, 1924 წლამდე ნაყოფიერად იმუშავა საბჭოთა სკოლაში, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლებამდე აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდა სახალხო განათლების სისტემაში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი რესპუბლიკური თუ საქალაქო პედაგოგიური ღონისძიება, რომ ს.არღუთინსკაიას მასში მონაწილეობა არ მიეღო. 1921 წლიდან მარიამ რახელაშვილმა იგი, როგორც სპეციალისტი და დიდი გამოცდილების პედაგოგ–მეთოდისტი, მიიწვია პე-

დაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, უმაღლეს პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ს. არღუთინსკაიას კალამს ეკუთვნის საინტერესო საბავშვო პიესებიც. 1924 წელს მისი პიესები „ფერია ვარსკვლავი“ და „კაშკაშა ვარსკვლავი“ დაიდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე, ხოლო 1929 წელს პიესა „შემოდგომა“ დადგა თბილისის ა.გრიბოედოვის სახელობის თეატრმა. მან საქართველოს განათლების კომისარიატის დავალებით სხვადასხვა დროს დაწერა „საბავშვო ბაღის თამაშობათა და სიმღერების დებულება“, „საბავშვო ზეიმები“, „სკოლამდელი აღზრდის ამოცანების პრაქტიკული განხორციელება“, „საბავშვო ბაღის პროგრამა“, „საბავშვო ბაღის გზამკვლევი“. სომხეთის განათლების კომისარიატის დავალებით დაწერა სამეცნიერო ნაშრომი „თოჯინების თეატრის შესახებ“.

მე–20 საუკუნის 10–იანი წლებიდან დაიწყო ,,ბავშვთა კლუბების, ბავშვთა სახლების, სასკოლო სამეურნეო კლუბების, კოლონიების“ და სხვა პედაგოგიური ორგანიზაციების გახსნა.

1910 წელს თბილისში დაარსდა „კავკასიის ფრებელის საზოგადოება“. დაარსდა „ფრებელის საზოგადოების ქალთა უმაღლესი პედაგოგიური კურსები, სადაც მზადდებოდა აღმზრდელები სკოლამდელი დაწესებულებებისათვის. პედაგოგიურ პრაქტიკას კურსების მსმენელები გადიოდნენ სოფიო არღუთინსკაიას „ქალთა უმაღლეს კურსებზე“. აღნიშნული კურსები მუშაობდა ფრებელის სისტემით და მან დიდი როლი შეასრულა კავკასიაში სკოლამდელი აღზრდის პროფესიულუ კადრების აღზრდისა და მომზადების საქმეში. კურსებმა 1921 წლამდე იარსება.

ნ. მჭედლიძე აღნიშნავს „ქალთა უმაღლესი კურსების“ მაღალ კომპეტენციას. იგი წერს: „მათი სასწავლო გეგმები ვრცელი და მრავალფეროვანია, მათში წარმოდგენილია ანატომია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა, პედაგოგიკა, პედაგოგიკის ისტორია, ფსიქოლოგია, სკოლამდელი პედაგოგიკა მეთოდიკით, ლიტერატურა, ისტორია და ა.შ. კურსებზე ლექციებს კითხულობდნენ ამ დროისათვის ცნობილი ექიმი მიქაელიანი, სოფლის მეცნიერებათა კანდიდატი მუჩაიძე, თავისი საქმის კარგად მცოდნე ფილოლოგი ალიბეგოვა, ჟენევის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ა.ფაღავა, ასევე გიმნაზიისა და საბავშვო ობაღის მასწავლებლები ნ.შადინსკი და ე.გურგენიძე.

საინტერესოა, რომ კურსებზე პედაგოგიკა იკითხებოდა ისტორიით (ა.ფაღავა), რომელიც მოიცავდა მთლიან კურსს საბერძნეთის პედაგოგიკის ისტორიიდან დაწყებული მე–19 საუკუნის დასავლეთ ევროპისა და ამერიკის პედისტორიის ჩათვლით. კურსებზე ფართოდ იყო წარმოდგენილი რუსული პედაგოგიკური აზროვნების ისტორია. ცალკე იკითხებოდა პედაგოგიკის თეორია, აქცენტი მახვილდებოდა სკოლამდელ პედაგოგიკაზე. წინ იყო წამოწეული სკოლამდელი პედაგოგიკის ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები, კერძოდ, ლოკის, რუსოს, პესტალოცის, ოუენისა და უშინსკის პედაგოგიკური შეხედულებები სკოლამდელი აღზრდის საკითხზე. ა.ფაღავა კითხულობდა აგრეთვე ფსიქოლოგიას. მისი ლექციები მდიდარი იყო ბავშვის ფსიქოლოგიის თავისებურებათა ბევრი ფაქტით.

სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკას და მეთოდიკას კითხულობდა თვით ს.არღუთინსკაია. მის მიერ შედგენილი პროგრამა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სკოლამდელი აღზრდის მნიშვნელობა–დანიშნულება, საბავშვო ბაღის მიზანი და ამოცანები, როგორ უნდა

იყოს ორგანიზებული საბავშვო ბაღი, როგორ უნდა იყოს იგი აღჭურვილი, როგორია აღმზრდელის როლი სკოლამდელ დაწესებულებაში; რა არის თამაში და რით გამოიხატება მისი ძირითადი ფუნქცია, თამაშობათა სახეები, სათამაშოს როლი პიროვნების წარმოსახვის უნარის განვითარებაში, მოძრავ და სამაგიდო თამაშობათა სპეციფიკა და დანიშნულება, მათი გამოყენება დღის გარკვეულ დროს, თამაშობათა შინაარსი, ხასიათი, მათი ორგანიზაციის მეთოდიკა; შრომა და ბავშვი. ძერწვა, ხატვა, კონსტრუირება და მათი როლი ბავშვის ცხოვრებაში და ა.შ. პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მუსიკასა და ქორეოგრაფიის ელემენტებს, რიტმიკას, მათემატიკურ წარმოდგენათა და მეტყველების განვითარებას, აგრეთვე ბუნების გაცნობის საკითხებს. „კავკასიის ფრებელის ქალთა უმაღლესი კურსებისათვის“ ს.არღუთინსკაიამ სპეციალურად დაამუშავა სკოლამდელი პედაგოგიკის ის მონაკვეთი, რომელიც მ. მონტესორის სისტემის ღრმად შესწავლას ითვალისწინებდა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან მ.მონტესორის სისტემა მაშინ ჯერ კიდევ ნაკლებად იყო ცნობილი რუსეთის პედაგოგიური საზოგადოებრიობისათვის, მით უმეტეს ქართველ სკოლამდელი აღზრდის მუშაკთათვის. ს.არღუთინსკაიამ თავისი დიდი პრაქტიკული გამოცდილების წყალობით შეძლო ღრმად წარმოეჩინა პროგრამაში მონტესორის სისტემისათვის დამახასიათებელი ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხები. იგი ერთ–ერთი პირველი სკოლამდელია ჩვენში, რომელმაც სცადა შეეჯერებინა და გარკვეული პარალელი გაეტარებინა ამ ორი (ფრ.ფრებელი და მ.მონტესორი) ფრიად მნიშვნელოვანი სკოლამდელი აღზრდის თეორეტიკოსის შემოქმედებაში. მან პროგრამაში პირდაპირ შეიტანა საკითხი – „ფრებელისა და მონტესორის სისტემის შესახებ თანამედროვე საბავშვო ბაღში“, სადაც არკვევს როგორი უნდა იყოს საბავშვო ბაღი მის თანამედროვე ეტაპზე და რა სიკეთის მოტანა შეუძლია მას. ს.არღუთინსკაიამ შეისწავლა მონტესორის მეცნიერული მემკვიდრეობა, გაერკვა მის საფუძვლებში, კვლევის პრობლემებში. არღუთინსკაიამ, მონტესორის აღიარებასთან ერთად, სერიოზული კრიტიკული დამოკიდებულება გამოამჟღავნა მისი თეორიის მიმართ, რაც პირველ ყოვლისა, ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო იმით, რომ იგი ბოლომდე ფრებელისტად და მისი თეორიის პროპაგანდისტად დარჩა. იგი ცდილობს მონტესორისაგან აიღოს მხოლოდ რაციონალური მარცვალი. ამრიგად, ს.არღუთინსკაია არა მარტო იზიარებდა ამ ორი თეორეტიკოსის იდეებს, არამედ პროპაგანდას უწევდა მათ თეორიებს როგორც ლექტორი და პრაქტიკულად ნერგავდა თავის საბავშვო ბაღში. ამასთან, ამ პერიოდში მან გამოსაცემად მოამზადა სოლიდური თეორიულ–მეთოდიკური ხასიათის ნაშრომი, რომელსაც ეწოდება „საბავშვო ბაღი და ელემენტარული სკოლა“ (16. გვ. 80-81).

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე წარმოიშვა სკოლის ასაკამდე დაწესებულების კიდევ ერთი ახალი ტიპი „საბავშვო კერა“. ამ ტიპის დაწესებულებების გახსნის მთავარი მიზანი იყო მუშათა ბავშვების, ღარიბ-ღატაკთა ბავშვების შევრდომა. მატ წმინდა საქველმოქმედო(ფილანტროპული) ხასიათი ჰქონდათ. ისინი განსხვავდებოდნენ ორგანიზაციული კუთხით ჩვეულებრივი საბავშვო ბაღებიდან. საბავშვო კერაში ბავშვებს ნაცვლად 3-4 საათისა 6-7 საათს ამყოფებდნენ.

ამრიგად, რევოლუციამდელ (1917 წ.) საქართველოში საბავშვო ბაღები ინახებოდა კერძო პირთა ან პედაგოგიურ და საქველმოქმედო საზოგადოებათა ხარჯით და მათ ჩვეულებრივად „სახალხო“ საბავშვო ბაღები ერქვათ.

საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ 1919 წლიდან დაიწყო სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოება, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე.

მთავრობამ მიიღო დადგენილება საბავშვო ბაღებისათვის ყოველწლიურად 19 200 მან. გამოეყო. საბავშვო ბაღი გაიხსნა ქუთაისშიც, ამ საქმის მაღალ დონეზე დაყენების მიზნით 1920 წ. სამინისტრომ გადაწყვიტა იტალიიდან ინსტრუქტორად მოეწვია მილანელი მეცნიერი, საბავშვო ბაღების მოწყობისა და ბავშვის აღზრდის ახალი მეთოდის მონტესორის სისტემის ერთ–ერთი აღიარებული სპეციალისტი, ჰუმანიტარული საზოგადოების დირექტორი ქ. კონდულმო. მოწვეულმა სტუმრებმა თან დიდძალი ლიტერატურაც ჩამოიტანეს და 9 აგვისტოდან დაიწყო ლექციების კითხვა, ხოლო 10 აგვისტოდან თბილისში გაიხსნა სპეციალური კურსები 40 მსმენელისათვის (3. გვ. 4).

საინტერესოა გაერთიანებული ორგანიზაცია „ბავშვთა სახლის“ პედაგოგიური სექციის თავმჯდომარის ნ. ნაკაშიძის მიერ 1918 წლის ზაფხულში წარდგენილი მოხსენება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრისათვის ანგარიში „ბავშვთა სახლის“ სასწავლო პროგრამების შესახებ. ანგარიშში ნ. ნაკაშიძე წერს: „ საზოგადოება, აღმოჩნდა რა ბავშვთა დანაშაულის საშინელი ზრდის, მათი სულიერი და ფიზიკური განადგურების წინაშე, იძულებული გახდა მოეძებნა საშუალებები, რათა ეხსნა თავისი ქვეყნის მომავალი მოქალაქეები დაღუპვისაგან. იძულებულები გახდნენ, ეღიარებინათ, რომ სკოლის ძველი მეთოდები, აღზრდის ძველი პრინციპები სრულიად გამოუსადეგარია მათი ამოცანების განხორციელებისათვის. თვით ცხოვრებამ გახადა იძულებული ყველა მებრძოლი, ბავშვის გადარჩენისათვის მიემართა სოციალური აღზრდის ახალი მეთოდებისათვის ? საბავშვო ბაღში მიიღება ორივე სქესის ბავშვები არანაკლებ 4-5 წლისა. მეცადინეობა იწყება 1 სექტემბერს და გრძელდება 1 მაისამდე. საბავშვო ბაღი იყოფა ორ განყოფილებად, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროების შემთხვევაში, იყოფა ჯგუფებად. ბაღის ცხოვრება შეძლებისდაგვარად უახლოვდება ოჯახურ გარემოს. საბავშვო ბაღში ისწავლება: ხატვა, ძერწვა, სიმღერა. აღსაზრდელები სწავლობენ მოძრავ თამაშებს, ბუნებასა და სიცოცხლეზე დაკვირვებას, ბავშვები მზადებდება საბუნებისმეტყველო მეცნიერების უნარ–ჩვევების დასაუფლებლად. თვალყურს ადევნებენ მათ მიერ ქოთნებში ჩარგულ მცენარეებს, აკვირდებიან მათ ზრდასა და განვითარებას, იმართება სეირნობები, ექსკურსიები, ეწყობა საზეიმო ღონისძიებები.

საბავშვო ბაღის უფროს ჯგუფებში ისწავლება: ანბანი, კითხვა, წერა და მათემატიკა. მეცადინეობა მიმდინარეობს ისე, რომ ბავშვები არ გადაიღალონ. წლის ბოლოს მათ იციან 20–მდე დათვლა, ამოცანების ზეპირად ამოხსნა, კითხვა და წერა.

ორივე საფეხურზე ისწავლება ფრანგული ენა თამაშებითა და სიმღერით. თითოეული მეცადინეობა გრძელდება არაუმეტეს 15–20 წუთისა. მეცადინეობებს ენაცვლება დასვენება, დაუშვებელია დასჯა და ბავშვის იზოლირება“(2. გვ. 140).

1918-1921 წლების მძიმე სოციალურ მდგომარეობას და ბაღების სიმცირეს აღწერს 1918 წლის ზაფხულში თ. ერისთავის მიერ განათლების მინისტრისადმი გაგზავნილი მოხსენება.

მოხსენაბაში თ. ერისთავი აღნიშნავს, რომ „ საქართველოში პატარა ბავშვების აღზრდას და სწავლას თითქმის არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული. ბავშვი 7 წლამდე, მეტადრე ღარიბ ოჯახში, დატოვებულია სრულიად უყურადღბოდ და იზრდება ქუჩის ცხოვრების გავლენის ქვეშ. ევროპაში ამას დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება და ცდილობენ პატარა ბავშვების აღზრდას ნორმალურ პირობებში, ამიტომ, ყველა ქალაქში არის გამართული რამდენიმე საბავშვო ბაღი, სადაც ბავშვები 3 წლიდან 7 წლამდე იზრდებიან და სწავლობენ სხვადასხვა სისტემის გავლენის ქვეშ: მაგალითად, ქალაქ რომში, მუშათა უბნებში, გამართულია საბავშვო ბაღები, სადაც მოჰყავთ ბავშვები 3–დან 7 წლამდე. ესენი იმყოფებიან ბაღში იმ დროს, როცა მათი დედ–მამა მუშაობაში არიან ჩართულნი. ამრიგად, ბავშვები არ არიან დარჩენილნი უპატრონოდ და იზრდებიან ნორმალურ პირობებში. ეს საბავშვო ბაღები ევროპაში არის დაყენებული ფრებელის და მონტესორის სისტემაზე. უკანასკნელი ამ ბოლო დროს ძალიან გავრცელდა. ინგლისსა და ამერიკაში თითქმის ყველა ახალი საბავშვო ბაღი ამ სისტემაზე არის დაყენებული. ამ სისტემით დაყენებულ საბავშვო ბაღს ექნება დიდი გავლენა ჩვენი პატარა ბავშვების აღზრდაზედ. თბილისში რომ გაიმართოს რომელიმე უბანში უფასო საბავშვო ბაღი ღარიბთათის, ეს მისცემს დედ–მამას საშუალებას მთლიანად თავისი დრო მოახმარონ მუშაობას და ბავშვები კი ამ დროს იქნებიან მოშორებული ქუჩას და მის ცუდს გავლენას, არ იქნებიან, აგრეთვე, უპატრონოდ და უსაქმოდ დარჩენილნი. ამნაირ საბავშვო ბაღში ბავშვი ვითარდება ყველა მხრივ, სწავლობს შეუმჩნევლად წერა–კითხვას, ანგარიშს, ლექსებს, სიმღერებს, ყოველდღიური ბაასი სხვადასხვა საგნებზე უვითარებს აზრს, გონებას და აძლევს ცოდნას. ხატვა, ძერწვა, ფერადების შედგენა და სხვა მრავალი ვარჯიშობა აჩვევს ბავშვს მუშაობას და ავითარებს მის ფანტაზიას. აქაურ პირობებში კი ყველა ამას ბავშვი სწავლობს მხოლოდ 7 წლიდან, როდესაც შედის საქალაქო სკოლაში, 7 წლამდის კი ბავშვის მთელი ენერგია, იმის ცნობისმოყვარეობა სრულიად უნაყოფოდ დაკარგულია“.საბავშვო ბაღის მოწყობა არ გამოიწვევს დიდ ხარჯს, მეტადრე, თუ პირველ ხანში არ მიეცემა საბავშვო ბაღს ფართო ხასიათი. 40 ბავშვისთვის გახსნილი საბავშვო ბაღი სამყოფი იქნება ერთი უბნისთვის. ამ საბავშვო ბაღის მოწყობა დაჯდება პირველად 3 000 მანეთამდე. 40 ბავშვისათვის საჭიროა ორი მასწავლებელი და ერთი მოსამსახურე, რომელიც უგდებს ბავშვებს ყურს. ყოველ თვე სხვადასხვა სამოსწავლო მასალის სასყიდლად მოუნდება 4–5 თუმანი და სახლის ქირა, – სამი მოზრდილი ოთახი, – თუ შესაძლებელი იქნება , იქვე ან პატარა ბაღი, ან დიდი ეზო. გარდა ამისა, ძლიერ კარგი იქნება, რომ ბავშვს ეძლეოდეს უბრალო იაფფასიანი საუზმე.

აი, ამ პირობებში შესაძლებელია გაიხსნას საბავშვო ბაღი ღარიბთათვის – რაც, ჩემი ღრმა რწმენით, დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენ მომავალ ახალგაზრდობას და ბევრ ბავშვს, ღარიბ ოჯახისას, იხსნის ქუჩის გავლენისა და გახრწნისაგან“ (2. გვ. 141).

მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო სახელმწიფო ცდილობდა მოეძებნა, რაღაც თანხები სკოლამდელი დაწესებულებების გასახსნელად. მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოთ „1919 წელს ქალაქ თელავში საბავშვო ბაღის გახნა“(1. გვ. 38) და სხვა.

1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რუსეთში არსებული სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მსგავსად საქართველოში შეიქმნა შემდეგი ტიპის

სკოლამდელი დაწესებულებები: საბავშვო სახლი, ნარევი ასაკის საბავშვო ბაღები, საბავშვო ქალაქები. განვიხილოთ მოკლედ თითოეული მათგანის არსი და დანიშნულება.

სკოლის ასაკამდე აღზრდის საბავშვო სახლი. ისინი წარმოადგენდნენ ტიპიურ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ტიპიურად ითვლებოდა სკოლის ასაკამდე აღზრდის საბავშვო სახლი 40-45 ბავშვით, კლასიკური სკოლამდელი საგანმანათლებლო კურიკულუმებით.

ნარევი საბავშვო სახლი. ყველაზე უფრო სასურველად იყო მიჩნეული საბავშვო სახლი ნარევი შემადგენლობით. ასეთ დაწესებულებებში შექმნილი იყო ბავშვთა ცხოვრებისათვის საჭირო, შესაფერისი ბუნებრივი გარემო, რადგან იქმნებოდა შესაძლებლობა შედარებით უფროსი ასაკის ბავშვების მჭიდრო აღმზრდელობითი ურთიერთობისა უმცროსი ასაკის ბავშვებზე.

საბავშვო ქალაქები. „ნარევი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების უფრო საინტერესო ტიპს წარმოადგედნენ საბავშვო ქალაქები, რომელებიც სხვადასხვა ასაკის ბავშვთა მცირერიცხოვანი ჯგუფებისაგან შეადგენდნენ. სკოლის ასაკის ბავშვები დადიან სკოლაში, აქვთ თავიანთი საკრებულო (კლუბი), თავიანთი სახელოსნოები და სხვა. სკოლის ასაკამდე ბავშვებს კი აქვთ თავიანთი საბავშვო ბაღი. სხვადასხვა ასაკის ბავშვებს აერთიანებს ჯგუფში მჭიდრო ცხოვრება და სკოლის ასაკამდე ბავშვები, რომელნიც დღის ერთ ნაწილს საბავშვო ბაღში ატარებენ, თავიანთ ტოლ-ამხანაგებს შორის, დღის მეორე ნაწილის განმავლობაში სრულიად არ არიან განშორებული აღმზრდელობით ურთიერთობას და კავშირს უფრო მოზრდილ ასაკებთან“ (7. გვ. 26).

საინტერესოა შეხედულებები, რომელიც მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში ვრცელდებოდა საქართველოში. იბეჭდებოდა სხვადასხვა სტატიები, პედაგოგიური კრებულები, რომლების საინტერესოდ ასახავდნენ მსოფლიოს გამოცდილებას სკოლამდელთა აღზრდის საკითხებთან მიმართებაში. პარაგრაფის სათაურიდან გამომდინარე გთავაზობთ მათ მოკლე აღწერას, სადაც წარმოჩენილი იქნება იმდროინდელი ბაღების სასწავლო სააღმზრდელო პროცესი.

სწავლების ორგანიზაცია და შრომა საბავშვო სახლში. „საბავშვო სახლებში სასწავლო - სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობდა ბავშვის აქტიური ჩართულობით(თიბვა, ბოსტნის გამარგვლა, ჭირნახულის მოკრეფა და სხვა). მათში იღებდნენ ბავშვებს 4-6 წლის ასაკში. წინანდელი საბავშვო ბაღებიდან განსხვავებით, სადაც ბავშვები სამი-ოთხი საათის განმავლობაში ატარებდნენ დროს, აქ სასწავლო - სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობდა ექვსი საათის განმავლობაში. ჩვეულებრივი მეცადინეობები ტარდებოდა 10 საათიდან 4 საათამდე. იმ რაიონებში, სადაც ქარხნები და საწარმოები არსებობდა საბავშვო სახლების ნაცვლად გახსნილი იყო „სახლი-კერა“. ისინი 9-10 საათს მუშაობდნენ. საბავშვო სახლებიდან ეს კერა-სახლები იმით განსხვავდებოდნენ, რომ ღამის სათევად დარჩენილი ბავშვთა უმრავლესობა ერთიდაიგივე შემადგენლობის არის. გაძლიერებულია თანამშრომელთა შტატი.

სკოლამდელ დაწესებულებებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა გარემოს როლს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში, ფიზიკურ აღზრდას, ჰიგიენას“ (7. გვ. 26-38) და სხვა.

1927 წლიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდის პროგრამის შექმნას და სრულყოფას. აღზრდის პროგრამა სრულყოფილი ხდებოდა

საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის განვითარებასთან ერთად. სკოლამდელი აღზრდის ხარისხის გასაუმჯობესებლად დიდი მნიშვნელობა ქონდა საბავშვო ბაღებში მუშაობისათვის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის შექმნას. პროგრამისათვის უფრო სრულყოფილი ფორმისა და შინაარსის ძიება კი განუწყვეტლივ მიმდინარეობდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში პროექტების, პროგრამებისა და მეთოდური დოკუმენტების შესაბამისად ყოველი პროგრამული დოკუმენტი აღმოცენდა განსაკუთრებულ ისტორიულ ეტაპზე და გამოხატავდა სკოლამდელი აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების არსებულ დონეს. 1932 წ. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატმა გამოსცა პროგრამის პირველი პროექტი. ეს დოკუმენტი შედგებოდა სათანადო ნაწილებისაგან: საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღზრდა, შრომითი აღზრდა, მუსიკალურ-მოძრაობითი აღზრდა, გამომსახველობითი საქმიანობა, მათემატიკა, წერა-კითხვა, მასში სცადეს განესაზღვრათ საბავშვო ბაღში ბავშვთა მუშაობის ამოცანები და მოცულობა, პროგრამის გამოცემა ხელს უწყობდა სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის მოწესრიგებას, პედაგოგ-აღმზრდელის საქმიანობას მეტ შინაარსსა და სწორ მიმართულებას აძლევდა და ამდიდრებდა. აღნიშნული დოკუმენტი ტიპიურ სამოქმედო პროგრამად იქცა ყველა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის.

„1934 წ. გამოიცა უფრო სრულყოფილი „აღზრდის პროგრამა“. მასში დიდი ყურადღება ექცეოდა ბავშვების რთული ცხოვრების შინაარსისა და ორგანიზაციის საკითხებს. პროგრამა მოიცავდა შემდეგ განყოფილებებს: საზოგადოებრივი აღზრდა, ფიზიკური აღზრდა, ხატვა, ძერწვა, შრომთი მეცადინეობანი, მეტყველების განვითარება, წიგნით, სურათებით მეცადინეობა, წარმოდგენა ბუნებაზე, პირველდაწყებით მათემატიკურ წარმოდგენათა განვითარება, მეცადინეობა წერა-კითხვაში. ამასთანავე მას გააჩნდა არსებითი ნაკლოვანებები: შეტანილი იყო ძნელად შესათვისებელი მასალები, არ იყო გათვალისწინებული ბავშვთა თავისებურებანი, სათანადოდ არ იყო შეფასებული აღმზრდელის როლი პედაგოგიური ორგანიზაციის პროცესში“ (13. გვ.141).

საკავშირო კომუნისტური პარტია ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. 4 ივნისის დადგენილებასთან („პედაგოგიური დამახინჯებები განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში“) დაკაშირებით წამოიჭრა სკოლამდელი აღზრდისათვის ახალი პროგრამული დოკუმენტის შექმნის აუცილებლობა. 1938 წ. გამოიცა სახელმძღვანელო “საბავშვო ბაღის აღმზრდელთათვის“. მასში გაშუქებული იყო სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის ამოცანები. უფრო მკაფიოდ იყო საუბარი პიროვნების მრავალმხრივ განვითარებაზე, ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებაზე.

როგორც იადეშკოსა და სოხინას რედაქტორობით 1987 წელს გამოცემულ „სკოლამდელი პედაგოგიკის“ წიგნშია აღნიშნული სახელმძღვანელო ბავშვებთან მუშობის შინაარსს კვლავ განსაზღვრავდა არა ასაკობრივი ჯგუფების, არამედ აღზრდის ცალკეული დანაყოფების მიხედვით. ეს უძნელებდა ხელმძღვანელს პროგრამის მასალის შერჩევას ამა თუ იმ ასაკის ბავშვებთან მუშობისას. ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი აღზრდის ბევრი საკითხი „სახელმძღვანელოში“ სათანადოდ არ იყო ასახული, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სწავლების საკი-

თხები მეცნიერულად დაუსაბუთებელი აღმოჩნდა, არასაკმარისად იყო გაშუქებული მშობლებთან მუშაობაც“ (13. გვ.142).

1953 წ. „სახელმძღვანელო“ გადამუშავდა საბავშვო ბაღებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და ბავშვების სკოლისათვის მომზადების ხარისხის ამაღლების მიზნით. პროგრამაში ნათლად იყო გამოყოფილი საგანმანათლებლო შინაარსი, რომელიც ბავშვებს უნდა შეეთვისებინათ ორგანიზებული მეცადინეობის დროს, აღმზრდელის ხელმძღვანელობით.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ გაითვალისწინეს მეცნიერების განვითარების მიღწეული დონე ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის თობაზე, აგრეთვე დიდი პრაქტიკული გამოცდილება და 1959 წლის მაისში მიიღეს დადგენილება „ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა შემდგომი განვითარების, აღზრდის გაუმჯობესებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში კერძოდ გათვალისწინებული იყო ადგილობრივი პირობების მხედველობაში მიღებით ორი ტიპის საბავშვო დაწესებულების - ბაგისა და საბავშვო ბაღის- ერთიან, სკოოლამდელ დაწესებულებად გაერთიანება (ბაგა-ბაღი) და მთლიანი პროგრამის შემუშავება სკოლის წინა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. პროგრამის შექმნა მიენდო რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიას საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად“ (13. გვ.143).

ახალი დოკუმენტის შექმნას საფუძვლად დაედო სკოლამდელი პედაგოგიკის, ბავშვის ფსიქოლოგიისა და აგრეთვე მოსაზღვრე მენციერებათა მონაცემები ბავშვთა აღზრდაზე, რომელიც შეთანხმებული იყო სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღზრდასა და კომუნისტური აღზრდის საუკეთესო გამოცდილებათა განზოგადებასთან.

ერთიანი პროგრამა ბავშვებთან აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მუშობისა ნაადრევი ასაკიდან სკოლაში შესვლამდე დაამუშავა ავტორთა კოლექტივმა და დაამტკიცა რუსეთის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, იგი პირველად 1962 წელს გამოქვეყნდა.

პროგრამა გამიზნული იყო აღზრდის პროცესში ასაკთაშორის განცალკევებულობის სალიკვიდაციოდ, უფრო მეტად, ვიდრე წინამავალ პროგრამულ-მეთოდურ დოკუმენტებში, მასში ასახულია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სწავლების საკითხები. განყოფილებაში „სწავლება მეცადინეობის დროს“ წარმოდგენილია პროგრამული მასალა, რომელიც სასურველ პირობებს ქმნის სწავლების სისტემატიზაციის განსახორციელებლად, რათა ბავშვებმა სრულფასოვნად შეითვისონ საგანმანათლებლო მინიმუმი, მათთვის გასაგები და ხელმისაწვდომი იყოს საგნების ურთიერთკავშირი, გარესამყარო მოვლენები, პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე განსაზღვრული ცოდნის, უნარისა და ჩვევების დადებითი ჩვეულებების, ზნეობრივი თვისებების ფორმირებას, რაც აუცილებელია ბავშვის პიროვნების განვითარებისათვის. იგი გულისხმობს მეცადინეობის რეჟიმს, დასვენებას, გართობას, ძილს, კვებას, გასეირნებას; აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს სკოლამდელი ბავშვის მიერ მრავალმხრივი ამოცანების გადაწყვეტა (თამაშობები, გართობა და შრომა, სწავლება, ყოფა-ცხოვრება).

1969 წელს გამოიცა სრულყოფილი „საბავშვო ბაღში აღზრდის პროგრამა“. იგი შეიქმნა მეცნიერული კვლევის, მუშაობის საუკეთესო გამოცდილებისა და მოთხოვნილებათა გათვალისწინებით და სკოლების დაწყებითი სწავლების ახალ პროგრამაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მომდევნო წლებში პროგრამა არაერთხელ გამოიცა ზოგიერთი დამატებებით და შესწორებით.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმასთან დაკავშირებით სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის სკოლამდელი აღზრდის ინსტიტუტში შემუშავდა „საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების ტიპური პროგრამა“, რომელიც დაამტკიცა სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ. მომზადებულია აგრეთვე, რსფსრ-ს ახალი პროგრამა. ამ პროგრამების შექმნა წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში სკოლამდელი აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების ახალ ეტაპს.

პროგრამა შემდეგ პრინციპებზეა აგებული:

1. იდეურობა, საპროგრამო მასალის მეცნიერული შინაარსი, მისი შეთანხმებულობა კომუნისტური აღზრდის ამოცანებთან, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ ფსიქოფიზიოლოგიურ თავისებურებებთან.
2. სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა.
3. ბავშვთა აღზრდისა და სწავლების პედაგოგიური პროცესის ერთიანობა და უწყვეტობა ჩვილობიდან სკოლაში შესვლამდე.
4. მასალის დალაგების სისტემატურობა და თანამიმდევრობა, ჯგუფიდან ჯგუფში მისი თანდათანობითი გართულება, დანაყოფთა ურთიერთკავშირი, კომპლექსური მიდგომა პროგრამის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ამოცანების განხორციელებისადმი.
5. ზოგადი და კერძო ამოცანების განლაგების ასაკობრივი პრინციპი, ამოცანებისა, რომელთა განხორციელებაც მოქმედების სხვადასხვაგვარ სახეებს შეეფარდება.
6. ბავშვთა ყოველმხრივ განვითრებაში მოქმედების სხვადასხვაგვარ სახეთა წამყვანი როლი.
7. კონცენტრულობა- ადრე განვლილისაკენ მიბრუნება შედარებით უფრო მაღალ დონეზე.

პროგრამის ცოდნა და მის მოთხოვნათა შესრულება ჯგუფის ცხოვრების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით სავალდებულოა სკოლამდელი აღზრდის ყოველი სპეციალისტისათვის.

„პროგრამის სტრუქტურა „საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების ტიპური პროგრამა“ მოიცავს ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური განვითრების ოთხ ასაკობრივ საფეხურს სკოლამდელი ასაკის მანძილზე: ადრეული ასაკი - დაბადებიდან 2 წლამდე, უმცროსი სკოლამდელი ასაკი - 2-დან 4 წლამდე, საშუალო სკლამდელი ასაკი - 4-დან 5 წლამდე, უფროსი სკოლამდელი ასაკი - 5-დან 6 წლამდე. 7 წლის ბავშვთა აღზრდის პროგრამა ადრე იყო გამოშვებული.

საბავშვო ბაღში აღზრდა-სწავლებითი მუშაობის მთელი შინაარსი ჩამოყალიბებულია კომუნისტური აღზრდის ამოცანების საფუძველზე. ყოველი ასაკობრივი ჯგუფის პროგრამა ორი განყოფილებითაა წარმოდგენილი: „ბავშვების ცხოვრებისა და აღზრდის ორგანიზაცია“,

„სწავლება მეცადინეობის დროს“. პროგრამას წინ უძღვის „განმარტებითი ბარათი“, რომელშიც ყურადღება აქცენტირებულია ყოველი ასაკობრივი ჯგუფის პროგრამის შინაარსის სიახლეებზე. ამაღლებულია მოთხოვნები ბავშვთა ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, შრომითი და ესთეტიკური აღზრდისა და განვითრების მიმართ“ (13. გვ.144).

„განმარტებით ბარათში“ ნაჩვენებია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მოღვაწეობის მნიშვნელობა. პროგრამის ყოველი ნაწილი იწყება ამ თუ იმ ასაკობრივი ჯგუფის აღმზრდელობითი ამოცანების დაყენებითა და მოხსნით. პროგრამის ყველა ასაკობრივი ჯგუფის განყოფილებების შინაარსი ურთიერთანაა დაკავშირებული.

სკოლამდელი აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე დონე მოითხოვს ახლებურ მიდგომას ბავშვისადმი, როგორც მთლიანი პიროვნებისადმი, მის მრავალფეროვან გამოვლინებაში. აღმზრდელობითი მუშაობა უნდა ხორციელდებოდეს, როგორც კომპლექსური პროცესი. ამიტომ პროგრამა აღმზრდელების ყურადღებას ამახვილებს ბავშვის განვითარების ასაკობრივ კანონზომიერებებსა და ინდივიდუალურ ფსიქო-ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე.

წამყვანი ადგილი ეთმობა აღზრდის შინაარსს ბავშვთა მოქმედების სხვადასხვა სახეებში: თამაშში, შრომაში, მეცადინეობაში და ა. შ. პროგრამაში ხაზგასმულია სახელმძღვანელოების მნიშვნელობა ბავშვის მოქმედების სხვადასხვა სახისადმი - თამაშისადმი, შრომისადმი, სწავლისადმი, ყოფითისადმი, რომელთა პროცესშიც შესაძლებელია ცოდნის, უნარის, ქცევის გარკვეული ფორმების აქტიური ათვისება.

პროგრამის აღზრდა-განათლებითი ამოცანების წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივი და ოჯახური აღზრდის ორგანული შეთნხმების პირობებში. პროგრამაში ხაზგასმულია საბავშვო ბაღისა და ოჯახის მოქმედების ერთიანობის აუცილებლობა.

1987 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა გამოსცა „საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების ტიპიური პროგრამა, რედაქტორი ნ. ახობაძე. პროგრამაში გათვალისწინებულია საქართველოს კლიმატურ-გეოგრაფიული, ეკონომიკური და ეროვნული კულტურის თავისებურებანი. მასში დახასიათებულია სახალხო განათლების ერთიანი სისტემის პირველი საფეხურის-საბავშვო ბაღის როლი, მოცემულია სკოლამდელი დაწესებულებების წინაშე მდგარი ამოცანები, ხაზგასმულია აღმზრდელის ხელმძღვანელი როლი პედაგოგიურ პროცესში, განსაზღვრულია ასაკობრივი ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებების შესაბამისად სკოლამდელი ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის შინაარსი. პროგრამას წამძრვარებული აქვს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდა, რომელიც სახალხო განათლების სისტემის პირველი საფეხურია, მოწოდებულია, ოჯახთან მჭიდრო კავშირში საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებას, განახორციელოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კომუნისტური აღზრდა და მათი მომზადება სკოლისათვის (12. გვ.3).

პროგრამაში ჩამოყალიბებულია დაბადებიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, შრომითი, ესთეტიკური აღზრდის საფუძვლები ბავშვთა ასაკობრივი და ინდივიდუალური ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით.

პროგრამა აგებულია:

1. ასაკობრივი პრინციპის საფუძველზე;
2. თითოეული ჯგუფის პროგრამის სტრუქტურა შეფარდებულია ძირითადად ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებთან.

დაბადებიდან 1 წლამდე ასაკის ბავშვის განვითარების მეტად სწრაფი ტემპის, მისი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების სხვადასხვაობის გამო პროგრამა განაწილებულია თვეების მიხედვით, 2-დან 6 წლამდე ბავშვებისათვის კი მთელ წელზე.

„საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების ტიპიური პროგრამის“ შესაბამისად ზოგიერთი განაყოფი განაწილებულია კვარტალების მიხედვით.

პროგრამაში საბავშვო ბაღის ყოველი ასაკობრივი ჯგუფისათვის აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მუშაობა წარმოდგენილია ორ განაყოფად:

ა) ბავშვთა ცხოვრების ორგანიზაცია და აღზრდა;

ბ) სწავლება მეცადინეობაზე.

პროგრამაში წამყვანი ადგილი უკავია კომუნისტური აღზრდის ამოცანებსა და შინაარსს, რაც უნდა განხორციელდეს ბავშვთა აქტიური საქმიანობის პროცესში (თამაში, შრომა, მეცადინეობები და სხვ.). პროგრამის თითოეული განაყოფი იწყება საბავშვო ბაღის ამა თუ იმ ასაკობრივი ჯგუფის აღზრდის ამოცანებით. ეს ამოცანები ორიენტაციას აძლევენ სკოლამდელი აღზრდის მუშაკებს იმ საბოლოო შედეგზე, რაც უნდა იქნეს მიღებული სასწავლო წლის დამამთავრებელ ეტაპზე.

პროგრამის შესრულების ძირითადი კრიტერიუმებია ბავშვის ცოდნისა და განვითარების ისეთი დონის მიღწევა, რომელიც შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული აღზრდისა და სწავლების ამოცანებს.

ახალ პროგრამაში დაზუსტებულია ბავშვთა ასაკობრივი დახასიათება, რაც საშუალებას იძლევა უფრო სრულად იქნეს რეალიზებული განმავითარებელი სწავლების პრინციპი.

ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდის პროგრამაში შემუშავებულია კონკრეტული მოთხოვნები დღის რეჟიმის აგებისა, მოძრაობისა და საგნებით მოქმედების უნარის განვითარების, თამაშ-მეცადინეობათა ორგანიზაციის და სენსორული აღზრდისადმი, ხაზგასმულია მეტყველების წამყვანი როლი ურთიერთობათა დასამყარებლად.

პროგრამაში გამახვილებულია ყურადღება ზნეობრივი აღზრდის მიმართ, დაზუსტებულია ბავშვებში ჰუმანური გრძნობების, კეთილი ურთიერთგანწყობის, კოლექტივიზმის საწყისების დასანერგავად ჩასატარებელი მუშაობა, დაკონკრეტებულია იმ ცოდნის შინაარსი, რომელიც უნდა მივცეთ ბავშვს სოციალისტური საზოგადოების მორალის ნორმათა შესახებ, რაც აუცილებელია ზნეობრივ თვისებათა საფუძვლების ჩამოყალიბებისათვის. გაძლიერებულია ზნეობრივი აღზრდის მხრივ თანამიმდევრობითი კავშირი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს შორის.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ბავშვთა ქცევის კულტურის აღზრდას. გარეგნული იერის, უფროსებთან და თანატოლებთან კულტურული ურთიერთობის, კულტურული ქცევის უნარ-ჩვევათა გამომუშავებას;

ცალკეა განხილული ბავშვთა შრომა, როგორც საქმიანობის დამოუკიდებელი სახე და ზნეობრივი აღზრდის საშუალება. იგი გათვალისწინებულია პირველი უმცროსი ჯგუფიდან (2-დან 3 წლამდე ასაკი). გაფართოებული და დაკონკრეტებულია შრომითი უნარ-ჩვევების შინაარსი, რომელიც ტარდება უფროსების შრომის გასაცნობად ყველა ასაკობრივ ჯგუფში. ხაზგასმულია ბავშვთა კოლექტიური შრომისა და უფროსების შრომაში მათი შეძლებისდაგვარად მონაწილეობის აღმზრდელობითი მნიშვნელობა, გამოყოფილია მორიგეობა.

პროგრამის მიხედვით უფრო სრულყოფილი გახდა გონებრივი აღზრდის პროგრამა. იგი დასისტემებულია და ასახავს სინამდვილის შესასწავლ სფეროთა შორის არსებულ კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას.

გარემოს გაცნობის პროგრამაში მკვეთრადაა ხაზგასმული ორი ასპექტი. ცოდნის ჩამოყალიბება, ერთი მხრივ, გარემომცველ საგნობრივ სამყაროსა და მეორე მხრივ, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

მანამდე არსებულ პროგრამებთან შედარებით დაიხვეწა და შეივსო ბუნების გაცნობის პროგრამა, გამოიკვეთა ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე წარმოდგენების ჩამოყალიბება. ცოცხალი ბუნების გაცნობა გათვალისწინებულია სამი მიმართულებით, რომლებიც ეყრდნობიან უმნიშვნელოვანეს ბიოლოგიურ კანონზომიერებებს, კერძოდ, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს მრავალფეროვნებას, ცხოველთა და მცენარეთა ზრდა-განვითარებას და მათი სიცოცხლის დამოკიდებულებას გარემოს ფაქტორზე.

მეტყველების განვითარების პროგრამაში დაკონკრეტებულია სხვადასხვა ასაკის ბავშვის მიერ ბგერათა სწორი წარმოთქმის დაუფლების ამოცანები. გაცილებით მეტი ყურადღება დაეთმო სიტყვის აზრობრივი მხარისა და მრავალმნიშვნელობის გაცნობას, გამოყოფილია აგრეთვე, სიტყვის წარმოების უნარ-ჩვევათა განვითარებისა და მეტყველების სინტაქსური წყობის ფორმირების ამოცანები. განსაზღვრულია თხრობის სხვადასხვა სახის გამოყენების თანმიმდევრობა და დადგენილია ამ სახეთა ურთიერთკავშირი (12. გვ.3).

მშობლიური ენის პროგრამაში გათვალისწინებულია ისეთი წმინდა ენობრივი უნარებისა და ჩვევების ჩამოყალიბება, როგორიცაა სინონიმური რიგიდან საჭირო სიტყვის შერჩევა, ასევე გამომეტყველებითი საშუალებების, შედარებების, განსაზღვრებების გამოყენება, სიტყვათწარმოებისა და სიტყვათა შენაცვლების ელემენტების დაუფლება.

უფროსი ჯგუფის პროგრამაში არსებითი სიახლეა კითხვისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობის შინაარსი, რომლის ძირითადი ამოცანაა – განვუვითაროთ ბავშვს სიტყვის ბგერითი ანალიზის სტრუქტურაში ორიენტაციის უნარი.

ელემენტარული მათემატიკის პროგრამაში კი შევიდა ციფრის გაცნობა 5-ის ფარგალში საშუალო ჯგუფის, ხოლო 10-ის ფარგალში უფროსი ჯგუფის აღსაზრდელისათვის. გარდა ამისა, პირობითი საზომებით გაზომვის სწავლების საფუძველზე, 10-ის ფარგალში რიცხვებზე წარმოდგენების ფორმირება.

სახვითი ხელოვნებიდან გამოიყო კონსტრუირება და იგი ცალკე განაყოფად შევიდა პროგრამაში. გამოიკვეთა ბუნების მასალის მუშაობის ხერხები და საშუალებები. კონსტრუირებას საფუძვლად დაედო არსებითი ხასიათის დამოკიდებულებანი. მაგალითად, ობიექტის სტრუქტურის დამოკიდებულება მის პრაქტიკულ დანიშნულებასთან.

ესთეტიკური აღზრდის პროგრამაში გაღრმავებულია მხატვრული შემოქმედების მეცადინეობათა ზნეობრივ-ესთეტიკური ასპექტი. დამუშავებულია 5 წლის ასაკის ბავშვების მხატვრული შრომის შინაარსი, ხალხური, დეკორატიული ხელოვნებისა და მისთვის საჭირო მოწყობილობათა სახეების საფუძველზე. პროგრამაში შეტანილია ბავშვთა მხატვრული მეტყველების განვითარების, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გაცნობის, დამოუკიდებელი მხატვრული შემოქმედების ორგანიზაციის ახალი შინაარსი.

პროგრამაში ესთეტიკური აღზრდის ზოგიერთი საკითხი ახლებურადაა წარმოდგენილი. განაყოფს – სახვითი მოქმედება – ეწოდება სახვითი ხელოვნება.

მხატვრული ლიტერატურა გამოეყო მშობლიური ენის განაყოფს. იგი მოიცავს: აღმზრდელის მიერ კითხვას და თხრობას, ბავშვის მიერ მოსმენილის თხრობას, გამომეტყველებით კითხვას და შემოქმედებით თხრობას.

მუსიკალური აღზრდის საკითხში გამოიკვეთა მხატვრულ-მუსიკალური სახის აღქმის ფორმირება როგორც თვით პროგრამის შინაარსში, ასევე რეპერტუარში.

მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული ბავშვთა ფიზიკური აღზრდის ამოცანები და შინაარსი; დაზუსტებულია ფიზიკური აღზრდის საერთო ამოცანები. გამახვილებულია ყურადღება გამაჯანსაღებელი მუშაობის ჩატარებაზე. ხაზგასმულია სწორი ტანადობის ჩამოყალიბების, ბავშვის ორგანიზმის გაკაჟების, ასაკის გათვალისწინებით ფიზიკური და გონებრივი შრომისუნარიონობის ფორმირების აუცილებლობა.

ბავშვთა შრომისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით საშუალო და უფროს ჯგუფებში არდადეგების დროს (იანვრის დასწაყისი და მარტის ბოლო) მეცადინეობები არ ტარდება.

დაკონკრეტებულია თამაშის პროგრამა. ზნეობრივი, გონებრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის ამოცანებთან ერთად პირველადაა ჩამოყალიბებული საკუთრივ თამაშის განვითარების ამოცანები. მეორე უმცროს ჯგუფში საგანგებოდაა გამოყოფილი თამაშის დროს სათამაშოების შემცვლელი საგნების გამოყენება; საშუალო ჯგუფში – როლის შესრულების წესების სწავლება. უფროს სკოლამდელ ასაკში კი ბავშვის ზნეობრივი განვითარების მიზნით ყურადღება გამახვილებულია თამაშის ეთიკურ მხარეზე, თამაშის დროს ბავშვთა შემოქმედებითი და წარმოსახვის უნარის განვითარებაზე.

პროგრამას ახლავს დანართი, რომელიც მოიცავს მხატვრული ლიტერატურის, თამაშობათა, სახვითი ხელოვნების ნიმუშების, სათამაშოების, ბუნების კუთხის მოწყობილობათა ნუსხას და მეცადინეობათა განრიგს (12. გვ.5-6).

პროგრამა წარმოადგენს სახელმწიფოებრივ დოკუმენტს და თითოეული აღმზრდელის ვალია მისი განუხრელად შესრულება.

2000 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნულმა ინსტიტუტმა დოც. ნ. სამხარაძისა და დოც. ლ. მექვაბიშვილის რედაქტორობით გამოსცა საგანმანათლებლო პროგრამა სკოლამდელთათვის.

განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ წინამდებარე პროგრამის შექმნა განაპირობა ჩვენ ქვეყანაში და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა და იდეოლოგიურმა ცვლილებებმა. პროგრამაში ყურადღება მიექცა თითოეული ბავშვის, რო-

გორც პიროვნების, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ამ შესაძლებლობებისადმი ოპტიმისტურ მიდგომას და მისი განვითარების პროცესის შესატყვისი ქცევის ფორმების მართვას.

პროგრამა შედგება სამი განყოფილებისაგან: 1. განყოფილებაში წარმოდგენილია საბავშვო ბაღის მუშაობის მიმართულებები და ფორმები. აქვე მოცემულია საბავშვო ბარების ვარიანტული ტიპების დახასიათება და საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბავშვო ბაღის მუშაობის ფორმები. აქვე დახასიატებულია საბავშვო ბაღის პედაგოგის, როგორც პიროვნების ჰუმანურ-პროფესიონალური ასპექტები, მისი როლი ბავშვის ინიციატივისა და აქტივობის გამოვლენა - სტიმულირებაში. აგრეთვე წარმოდგენილია ბაღისა და ოჯახის ურთიერთობის ფორმები და მშობლების უშუალო მონაწილეობის შინაარსი საბავშვო ბაღის ცხოვრებაში, აქვე წარმოდგენილი ბავშვის გარემო, საბავშვო ბაღსა და ოჯახში ყოფაცხოვრების ორგანიზაცია; 2. მეორე განყოფილება მთლიანად მიძღვნილია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ბავშვთა აღზრდისა და და განათლების პროგრამისადმი, კერძოდ - თამაშის, სახვითი შემოქმედების, მუსიკის, გარემოს გაცნობის, დედაენის, საგნობრივ-შემოქმედებით და სხვა პროგრამებს; 3. განყოფილებაში წარმოდგენილია ბავშვებთან მუშაობისათვის საჭირო თამაშობების, მხატვრული მასალის, მუსიკალური რეპერტუარის, თვალსაჩინო ხელსაწყო იარაღების ნუსხა. აქვე დღის რეჟიმისა და აღმზრდელის მიერ ორგანიზებული მუშაობის საორიენტაციო განრიგი“ (8. გვ.3-4).

როგორც ავტორები აღნიშნავენ პროგრამას საფუძვლად უდევს ქართული სკოლამდელი აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში დაგროვილი გამოცდილება, პირველ რიგში დ. უზნაძის „ განწყობისა და ფუნქციონალური ტენდენციის“ თეორიები და ბ. ხაჭაპურიძის ფუნდამენტური გამოკვლევები. გარდა ამისა მასში მოცემული და გათვალისწინებულია ჟ. პიაჟეს, ლ.ვიგოცკის, ა. ზაპოროჟეცისა და სხვათა თეორიები, ფსიქო-პედაგოგიური გამოკვლევები, გათვალისწინებულია იმდროინდელი მსოფლიო პროგრესული მიმდინარეობანი.

პროგრამა საბავშვო ბაღის მასწავლებლებს აძლევდა მიმართულებას, თუ როგორ უნდა იმუშაონ იმ უნარებისა და პიროვნული თვისებების განსავითარებლად, რომლებიც ინტენსიურად სკოლამდელ ასაკში ყალიბდებიან, ხოლო შემდგომ ზრდასრული ადამიანის სტრუქტურაში შედიან სოციალურ-ინტელექტუალური და ზნეობრივ ესთეტიკური ღირებულებების სახით.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ბავშვის სულიერი აღზრდის საკითხებს, კერძოდ რელიგიურ-ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, ქართულ მითოლოგიას, ანდაზებს, გამოცანებს, ზღაპრებს, იაგავ-არაკებს, სიმღერას, თამაშობებს. წამოყენებულია მოთხოვნები, აგრეთვე, ბავშვის ცხოვრებაში ქართული ყოფის დასანერგად და ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების აღსაზრდელად.

პროგრამის სიახლეს წარმოადგენს სპეციალური თამაშობები, რომლებიც ხელს უწყობს ხელის წვრილი კუნთების კორდინაციის განსავითარებას და წერისათვის ხელის მომზადებას.

პროგრამში განსაკუთრებული აქცენტი არის გაკეთებული გარემოს გაცნობის, დედაენისა და მათემატიკის პროგრამებზე. გარემოსა და ბუნების გაცნობის პროგრამაში წინაპლანზეა წამოწეული მოთხოვნები ბავშვებისათვის საგნის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ბუნების

გასაცნობად. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბავშვებში ეკოლოგიური ცოდნის დაგროვებას და ეკოლოგიური კულტურის აღზრდას.

დედაენის პროგრამაში ყურადღება ექცეოდა მეტყველების განვითარების სამ ძირითად მიმართულებას:ფონეტიკურს, ლექსიკურს და სტილისტურს. განსაკუტრებული ყურადღებით არის შერჩეული საბავშვო მხატვრული ლიტერატურა, იგი შევსო ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და თანამედროვე ქართული და უცხოური საბავშვო ლიტერატურის ნიმუშებით.

მათმატიკის პროგრამა ითვალისწინებდა ბავშვებში მათემატიკური ცოდნისადმი ინტერესის გაღვიძებას, აზროვნების განვითარებას,რაოდენობაზე წარმოდგენების, თვლის, შედარების, შეკრება-გამოკლების, გეომეტრიის, სივრცეში ლოკალიზაციის ფორმირებას.

პროგრამის მიხედვით საქართველოში მკვიდრდებოდა შემდეგი ტიპის სააღმზრდელო--საგანმანათლებლო სკოლამდელი დაწესებულებები: 1. ერთი ტიპის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სკოლამდელი დაწესებულება: ბაგა, საბავშვო ბაღი, ბაგა-ბაღი, ბავშვთა სახლი, რომელთაც უფლება აქვთ იმუშაონ, როგორც სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებით, ისე სტანდარტზევით, ერთი ან რამდენიმე მიმართულებით (ინტელექტუალური, ფიზიკური, ესთეტიკური); 2. სპეციალური სკოლამდელი დაწესებულებები სხვადასხვა ფიზიკური და გონებრივი ნაკლის ბავშვებისათვის; 3. ეკონომიკურ-სამართლებრივი მდგომარეობის მიხედვით, სააღმზრდელო - საგანმანათლებლო სკოლამდელი დაწესებულებები(საუწყებო (სხვადასხვა ორგანიზაციებთან), შერეული, საავტორო, არასახელმწიფო, საოჯახო, საავტორო).

პროგრამით სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სკოლამდელ დაწესებულებებში იქმნებოდა მზრუნველთა საბჭო, მშობელთა და საზოგადოების წარმომადგენელთა ნებაყოფლობითი ორგანიზაცია. იგი იყო იურიდიული პირი და მუშაობას წარმართავდა მშობელთა კომიტეტთან და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ახორციელებდა საქველმოქმედო საქმიანობას, ამყარებდა ურთიერთობას საწარმოეებთან, დაწესებულებებთან, ფირმებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, კერძო პირებთან, რომლებიც მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას უწევდნენსკოლამდელ დაწესებულებებს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფისათვის, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის და სხვა.

მეოცე საუკუნეში საქართველოში საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის განვითარების საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა პროფ. ბარნაბა ხაჭაპურიძემ. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1929 წელს დაამთავრა. გატაცებული იყო ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის დ.უზნაძის განწყობის მოძღვრებით და აქტიურად ჩაერთო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის მუშაობაში. მან დ.უზნაძის საუკეთესო მოწაფეთა და თანამიმდევართა შორის საპატიო ადგილი დაიკავა.

1938 წელს ბ.ხაჭაპურიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „განწყობის შეცვლის ბუნების შესახებ“, 1961 წელს კი წარადგინა და ასევე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „ფიქსირებულ განწყობათა მოქმედების პრობლემები და კანონზომიერებანი“ რისთვისაც მიენიჭა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ამ

ნაშრომის მეორე ნაწილი დაიბეჭდა რუსულ ენაზე სათაურით: „ფიქსირებული განწყობის მოქმედების პრობლემები და თავისებურებანი“.

მის მნიშვნელოვან ნაშრომთა შორის აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ „დიდაქტიკური მასალები და თამაშობანი სკოლამდელი აღზრდის ზოგიერთ საკითხებთან დაკავშირებით“ (1939). ეს არის პირველი ნაშრომი სკოლამდელ პედაგოგიკაში, აგებული განწყობის ექსპერიმენტის მასალებზე.

„ბარნაბ ხაჭაპურიძე ფართოდაა ცნობილი არა მარტო როგორც ფსიქოლოგი, არამედ როგორც სკოლამდელი პედაგოგიკის თეორეტიკოსი. თავისებური გზით მოვიდა იგი სკოლამდელ პედაგოგიკაში. ბ.ხაჭაპურიძე როგორც მეცნიერი სკოლამდელი აღზრდის პრაქტიკოს მუშაკთა წიაღში დაიბადა. ამას ირწმუნებს ყველა, ვინც წაიკითხავს მის ნარკვევს: „პირველი საბავშვო ბაღის შემოქმედებით–პედაგოგიური მუშაობის შინაარსი“. აშუქებს რა ამ საბავშვო ბაღის აღმზრდელობით საქმიანობას, ბ.ხაჭაპურიძე ხაზს უსვამს ნატალია უნაფქოშვილის (საბავშვო ბაღის გამგის) დამსახურებას საქართველოში სკოლამდელი აღზრდის სფეროში სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ჩასახვა–აღმოცენების საქმეში. 1927 წელს, როგორც ავტორი გვაუწყებს, ნ.უნაფქოშვილმა საბავშვო ბაღში მიიწვია ფსიქოლოგია (ეს გახლდათ სტუდენტი ბ.ხაჭაპურიძე). მას დაევალა საბავშვო ბაღის მუშაობის მეცნიერული შესწავლა. ეს ფაქტი არ იქნებოდა ასე საგულისხმო, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: იმ დროს საქართველოში საერთოდ პედაგოგიური და კერძოდ კი სკოლამდელი ხაზით არც ერთი სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულება არ არსებობდა, ასე გაჩნდა საქართველოში 1927 წელს სკოლამდელი აღზრდის მეცნიერული ერთეულის ჩანასახი“ (16. გვ. 86).

„ბ. ხაჭაპურიძე როგორც მეცნიერი სკოლამდელი აღზრდის პრაქტიკოს მუშაკთა წიაღში დაიბადა. ამას ირწმუნებს ყველა, ვინც წაიკითხავს მის ნარკვევს: „პირველი საბავშვო ბაღის შემოქმედებით–პედაგოგიური მუშაობის შინაარსი“. აშუქებს რა ამ საბავშვო ბაღის აღმზრდელობით საქმიანობას, ბ.ხაჭაპურიძე ხაზს უსვამს ნატალია უნაფქოშვილის (საბავშვო ბაღის გამგის) დამსახურებას საქართველოში სკოლამდელი აღზრდის სფეროში სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ჩასახვა–აღმოცენების საქმეში. 1927 წელს, როგორც ავტორი გვაუწყებს, ნ.უნაფქოშვილმა საბავშვო ბაღში მიიწვია ფსიქოლოგი (ეს გახლდათ სტუდენტი ბ.ხაჭაპურიძე). მას დაევალა საბავშვო ბაღის მუშაობის მეცნიერული შესწავლა. ეს ფაქტი არ იქნებოდა ასე საგულისხმო, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: იმ დროს საქართველოში საერთოდ პედაგოგიური და კერძოდ კი სკოლამდელი ხაზით არც ერთი სამეცნიერო–-კვლევითი დაწესებულება არ არსებობდა, ასე გაჩნდა საქართველოში 1927 წელს სკოლამდელი აღზრდის მეცნიერული ერთეულის ჩანასახი.

იგონებს რა სკოლამდელ ასპარეზზე მოღვაწეობის განვლილ გზას, ბ. ხაჭაპურიძე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს არა მარტო პირველი საბავშვო ბაღის ინიციატივას მიეწვია ფსიქოლოგი მეცნიერული საკვლევაძიებო მუშაობის მიზნით, არამედ იმას, რომ ამ ბაღის პედაგოგიურ კოლექტივს დიახაც ხელეწიფებოდა ამგვარი საქმიანობის წამოწყება და მზად იყო საამისოდ. იგი წერს: 1927 წლიდან ჩემი მუშაობა დაუკავშირდა პირველი საბავშვო ბაღის კოლექტივის მუშაობას იმ აქტუალური მოთხოვნილების საფუძველზე, რომელიც სკოლამდელთა მუშაობის პრობლემების მეცნიერულად დასაბუთებაში მდგომარეობდა. ამ კო-

ლექტივის ხელმძღვანელმა ნატალია უნაფქოშვილმა 1927 წელს სცადა ფსიქოლოგის ჩაბმა საბავშვო ბაღის მუშაობაში რიგი პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად, და ამ დროიდან ჩვენი ყურადღება ამ პრობლემებს არ მოშორებია. ასე რომ, შედეგები, რომლებიც აქ მივიღეთ, იმ ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ნაყოფია, რომელიც დასაწყისში პირველ საბავშვო ბაღის მეოხებით განხორციელდა... და მთელ მეცნიერულ პროდუქციას, რომელიც სათამაშოების ლაბორატორიის სერიით გამოქვეყნდა, იმ პირობათა კომპლექსს უნდა ვუმადლოდეთ, რომელიც ამ პედაგოგიური კოლექტივის მიერ იყო აქ შექმნილი. პირველ საბავშვო ბაღში ბ. ხაჭაპურიძის ხელმძღვანელობით კვლევითმა მუშაობამ სათამაშოების დამუშავების მიმართულება მიიღო. ჩვენი აზრით, ეს იმანაც განაპირობა, რომ ჯერ კიდევ 1931 წელს საქართველოს განათლების კომისარიატმა ნ.უნაფქოშვილის ინიციატივით პირველ ბაღთან სათამაშოების სახელოსნო გახსნა. თვით იდეა კი სათამაშოების დამზადება–დამუშავებისა კიდევ უფრო ადრე დაიბადა. ასე უკვე 1925 წელს საბავშვო ბაღში ჩამოყალიბდა მოხალისეთა ჯგუფი, რომელმაც მიზნად დაისახა დიდაქტიკური მასალების დამუშავება. კოლექტივმა გატაცებით მოჰკიდა ხელი საქმეს და ორიგინალური სათამაშო მასალების დამზადება დაიწყო. დამზადებული მასალა მხოლოდ ერთი ბაღის კუთვნილებად არ რჩებოდა. რამდენადაც 1923 წელს პირველი საბავშვო ბაღი განათლების კომისარიატის საცდელ–საჩვენებელ ბაღად იქნა დამტკიცებული, საბავშვო ბაღი განათლების კომისარიატის საცდელ–საჩვენებელ ბაღად იქნა დამტკიცებული,[3] აქ დამზადებული მასალები მთელ რესპუბლიკაში ვრცელდებოდა. ბევრ საბავშვო ბაღში ნახავდით „ასოების სტამბას“, „ფერების დომინოს“ და სხვა მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებულ სათამაშოებს“ (17. გვ. 4.).

ნ. მჭედლიძე თავის სტატიაში „ბარნაბ ხაჭაპურიძე“ საინტერესოდ აღწერს მის განსაკუთრებულ დამსახურებას დიდაქტიკური სათამაშოების შექმნისა და დამზადების კუთხით. „საბავშვო ბაღის სახელოსნომ თავისი არსებობის პირველ წელსვე შეძლო პედაგოგიური საზოგადოებისათვის წარედგინა მეტად საინტერესო სათამაშო ექსპონატები – საშენი მასალა – ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები, რომელშიც ასახული იყო საბჭოთა საქართველოს სოციალისტური მშენებლობის ობიექტები. მასალა ბავშვებს საშუალებას აძლევდა აეგოთ„ ზაგესი, ჩელიუნკინელების სახელობის ხიდი, ქარხანა, ქართული სტილის სახლი, განახლებული სოფელი.

დიდ სიხარულს ანიჭებდა ბავშვებს სათამაშო ტრანსპორტი – სატვირთო პედალიანი მანქანები. მათ ბავშვები მართავდნენ, ფრთხილად დაჰყავდათ ეზოში, რათა არავინ დაეშავებინათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ტრამვაი“, იგი ელექტროდენით მოძრაობდა, იტევდა 8–10 ბავშვს, საჭეს „ვატმანი“ უჯდა. სათამაშოები ყველას ყურადღებას იქცევა. იყო აზრთა ურთიერთგაცვლად: რამდენად პედაგოგიურია საშენი მასალის მზა სიუჟეტით შემოფარგვლა, როგორ შეიძლება რეალურად ასეთი სათამაშო მანქანების და ტრამვაების შეძენა საბავშვო ბაღებისათვის და სხვ. მაგრამ თვით მუშაობის შეფასებაში ყველა ერთსულოვანი იყო: ჩვენს თვალწინ დიდი საქმე კეთდებოდა. ეს ექსპონატები არა მარტო პატარებისათვის, დიდებისათვისაც სასურველი სანახავი იყო. აქ ექსკურსიით მოდიოდნენ სხვა საბავშვო ბაღებიდანაც, უფროსჯგუფელებიც და უმცროსჯგუფელებიც. მე იმ წლებში მე–2 საცდელ–საჩვენებელ ბაღში ვმუშაობდი და მეც მივიყვანე იქ ჩემი აღსაზრდელები. ისინი ოცნი იყვნენ, ყველა მი-

უჯდა საჭეს, ყველამ „იმგზავრა“ ტრამვაით. ახლად ნათლად მახსოვს როგორ გაიხარეს მაშინ ბავშვებმა. ექსკურსიის დამთავრების შემდეგ ხელმძღვანელმა ბავშვებს მიმართა, შეკითხვები ხომ არ გექნებათო? ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირვებია, თითქმის ყველამ ერთი რამ იკითხა, აქ კიდევ როდის მოვალთო? სამწუხაროდ, ეს ექსპონატები წარმოებამ სერიმული გამოშვებისათვის არ მიიღო. შეიძლება თავისი სირთულის გამო, მაგრამ „ტრამვაიმ“ თბილისის საბავშვო რკინიგზის აშენების იდეა წარმოშვა, რაც მალე წარმატებით განხორციელდა და შემდგომ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში საბავშვო რკინიგზების შექმნის საწინდარი გახდა.

საბავშვო ბაღის სახელოსნოში ბ.ხაჭაპურიძის ახალი დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების დამუშავების გარდა, იქმნებოდა კლასიკური დიდაქტიკური მასალები (ფრებელი, მონტესორი, დეკროლი). მათ უმრავლესობას დ. უზნაძის განწყობის თეორიის დებულებები ედო საფუძვლად.

1932 წელს თბილისში მოეწყო დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების გამოფენა. პირველი საბავშვო ბაღის ექსპონატებმა ყველა სხვა წარმოდგენილი ნიმუშები დაჩრდილა.

1937 წელს დიდაქტიკური მასალები და თამაშობანი – „წრიალა“, „ფორმების სექტორინა“, „ფერების მასალა“, „მასალა თვლისათვის“ წარდგენილ იქნა რსფსრ–ს სახალხო განათლების კომისარიატის სათამაშოების კომიტეტში, რის შემდეგაც ბ.ხაჭაპურიძეს მიენიჭა ავტორის უფლება და მათი წარმოების ნება დაერთო. 1938 წელს ბ.ხაჭაპურიძე მოსკოვში მიიწვია რსფსრ–ს სკოლამდელმა სამეცნიერო კაბინეტმა. მასალებმა, რომლებიც მან იქ წარადგინა, დიდი მოწონება დაიმსახურა. მათი პოპულარიზაციის მიზნით, ბ.ხაჭაპურიძის მოხსენების რეფერატი ჟურნალ „დოშკოლნოე ვოსტპიტანიეში“ გამოქვეყნდა.

ამგვარად, პირველი საბავშვო ბაღის სახელოსნოს საქმიანობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა, იგი თავისი შინაარსი გაცილებით ღრმა და მეცნიერული გახდა, გაიზარდა მოთხოვნილება ექსპერიმენტული მუშაობის გააქტიურებისა. საამისო შესაძლებლობანი ზემოთ აღწერილში წინასწარმა მოსამზადებელმა პერიოდმა შექმნა. ამასთან, უკვე 1936 წლიდან სახელოსნოში მეცნიერ მუშაკთა ახალი შევსება მოვიდა.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ 1939 წლიდან საქართველოს განათლების კომისარიატის მიერ სახელოსნო რეორგანიზებულ იქნა – მის ბაზაზე გაიხსნა საბჭოთა კავშირში პირველი „დიდაქტიკული მასალებისა და სათამაშოების სამეცნიერო–კვლევითი ლაბორატორია“, რომელსაც ბ.ხაჭაპურიძე ჩაუდგა სათავეში.

დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების ლაბორატორიამ ინტენსიური მუშაობა გაშალა ექსპერიმენტულ კვლევათა მიმართულებით, განსაკუთრებით დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების დამუშავების განხრით. საჭირო გახდა ლაბორატორიასთან გახსნილიყო სახელოსნო, რომლის დანიშნულებაც იქნებოდა საექსპერიმენტოდ გათვალისწინებული მასალების ექსპონატების შექმნა. ასეთი სახელოსნო ლაბორატორიასთან მალე გაიხსნა კიდეც. ასევე საჭირო გახდა ექსპონატების ფსიქოლოგიურ–პედაგოგიური და ტექნიკური მართებულობის დადგენაც. ამ მიზნით ლაბორატორიასთან ჩამოყალიბდა სამეცნიერო–ტექნიკური საბჭო, რომელშიც შევიდნენ ცნობილი მეცნიერები, ინჟინრები, ექიმები. საბჭო სისტემატურად იკრიბებოდა და არჩევდა არა მარტო სახელოსნოს მიერ შექმნილ მოდელებს, არამედ

ლაბორატორიის მიერ წარდგენილი სათამაშოების ექსპერიმენტალურად დასაბუთებულ პროექტებსაც. ასე იქცა ლაბორატორია სოლიდურ ორგანიზაციად. იგი როგორც განათლების ორგანოების, ასევე მეცნიერული და პედაგოგიური საზოგადოებრიობის დიდ ყურადღებას იპყრობდა, თუმცაღა, მის რეზიდენციად კვლვ პირველი საბავშვო ბაღი რჩებოდა. ბაღი თვითონ შეადგენდა ლაბორატორიის ორგანულ ელემენტს, აქ ხდებოდა სათამაშოების პრაქტიკული ეფექტიანობის შემოწმება ცოცხალ პედაგოგიურ საქმიანობაში. საბავშვო ბაღის ბევრი თანამშრომელი მონაწილეობდა სათამაშოების დამუშავებაში, განსაკუთრებით ნატალია უნაფქოშვილი. არ უნდა დავივიწყოთ სახელოსნოს ოსტატ–ხელოსანი მ.გუდიაშვილიც, რომლის მიერ დამზადებული სათამაშოები შეტანილია ლაბორატორიის მიერ გამოცემული დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების ლაბორატორიის ექსპონატების ალბომში“ (17. გვ. 88-90).

ლაბორატორიამ ფართო მუშაობა გაშალა დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების პედაგოგიური ეფექტიანობის ექსპერიმენტალურად შესწავლის მიმართულებით. შესრულდა და გამოქვეყნდა ნაშრომები: ბ.ხაჭაპურიძის – „ახალ დიდაქტიკურ მასალათა შემოწმების შედეგები სკოლამდელი აღზრდის ზოგიერთ ამოცანასთან დაკავშირებით“, ქ.მაჩაბლის – „სანაპირო ბატარეის პედაგოგიური ეფექტიანობა“, ნ.ლეჟავასი – „საზენიტო ბატარეის პედაგოგიური ეფექტიანობა“, რ.ნათაძის – „ზოგად ცნებათა ლოტოს პედაგოგიური ეფექტიანობა“, რ.ნათაძის „მიმართულებათა ლოტო“, ბ.ხაჭაპურიძისა და ქ.მაჩაბლის –„აბსტრაქციის უნარის განვითარება ახალი დიდაქტიკური მასალებით მუშაობის პირობებში“, თ.ერისთავისა და „ახალი დიდაქტიკური მასალებით მუშაობის შესახებ (გამოცდილებიდან)“ და სხვ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლაბორატორიის არსებობის პირველსავე წელს შესრულებულ ბ.ხაჭაპურიძის მონოგრაფიას „დიდაქტიკური მასალები და თამაშობანი სკოლამდელი აღზრდის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით“, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა. მასში ჩამოყალიბებულია ბ.ხაჭაპურიძის კონცეფცია, აღწერილია დიდაქტიკური თამაშობები. ყოველივე ეს განხილულია განწყობის თეორიის თვალსაზრისით. ლაბორატორიის სახე წარმოდგა შემდგომ შესრულებულ შრომებშიც. „გამოკვლევები საბავშვო ბაღის ახალი დიდაქტიკური მასალების შესახებ“ (1940 წ., I ტ., 1946 წ. II ტ.). ეს ნაშრომები ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის, მეცნიერული გამბედაობისა და დიდი პასუხისმგებლობის ნიმუშია.

1948 წელს გამოიცა ბ.ხაჭაპურიძის ფუნდამენტური ნაშრომი – მონოგრაფია „დიდაქტიკური მასალებით მუშაობა საბავშვო ბაღში“. მასში წარმოდგენილია ლაბორატორიაში შექმნილი დიდაქტიკური მასალების სერიები, მოცემულია დიდაქტიკურ მასალათა და თამაშობათა სისტემა, ჩამოყალიბებულია სკოლამდელი აღზრდის ძირითადი პრინციპები.

ამდენად ბ.ხაჭაპურიძემ, სავსებით დამსახურებულად საპატიო ადგილი დაიკავა ქართული სკოლამდელი პედაგოგიკის ისტორიის განვიტარებასა და ჩამოყალიბებაში.

ამრიგად საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის განვითარება საქართველოში იწყება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. მანამდე ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში სკოლამდელი ასაკის ბავშვის ოჯახში აღზრდას აქცევდნენ მთავარ ყურადღებას. მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან საბავშვო ბაღებში აღზრდა და სწავლება ხორციელდებოდა პროგრამის-

სახელმწიფოებრივი დოკუმენტის მიხედვით. პროგრამა განსაზღვრავდა სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვებთან მუშაობის მიზნებს, ამოცანებსა და შინაარსს. მასში გათვალისწინებული იყო ჰარმონიული აღზრდის ამოცანა ბავშვის ასაკისა და ინდივიდუალური თავისებურებებათა შესაბამისად.

კითხვები ანალიზისა და თვითშეფასებისათვის

1. რომელი საუკუნიდან იწყება საქართველოში საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის განვითარება?
2. მოკლედ დაახასიათეთ საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის განვითარება მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში.
3. რომელ წელს გაიხსნა სკოლამდელი აღზრდის პირველი დაწესებულება თბილისში?
4. რომელ წელს გახნა იოსებ ოცხელმა სკოლამდელი აღზრდის პირველი დაწესებულება ქალაქ ქუთაისში?
5. რომელ წელს დაარსდა თბილისში „კავკასიის ფრებელის საზოგადოება“?
6. მოკლედ დაახასიათეთ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის (1918-1921 წწ.)ღონისძიებანი საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის განვითარების საქმეში.
7. მოკლედ დაახასიათეთ საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღმოცენებული ის პროექტები, პროგრამები და მეთოდური დოკუმენტები, რომლებიც განსაკუთრებულ ისტორიულ ეტაპზე გამოხატავდა სკოლამდელი აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების არსებულ დონეს მეოცე საუკუნის საქართველოში.
8. მოკლედ დაახასიათეთ ბარნაბა ხაჭაპურიძის როლი ქართული სკოლამდელი პედაგოგიკის განვიტარების ისტორიაში.

ლიტერატურა

1. მოდებაძე ნ., ევროპული განათლების გავლენა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაზე საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების შექმნის პერიოდში(1918-1921 და 1991-2009 წწ., საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი, „ინტელექტი“, № 2(34), 2009 .
2. მურღულია თ., განათლება და პედაგოგიკური აზროვნება 1918 – 1921 წლების საქართველოში, დისერტაცია წარდგენილი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოზე, განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის სახით.
3. გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, N 131, 179 .
4. როსტომაშვილი ივ., სკოლა სეირნობისა, ანუ საბავშვო ექსკურსიატი, ,,ივერია“, 1900, N 168.

5. გაგუა ვ., სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბილისი, 1974.
6. თავზიშვილი გ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II, თბილისი,1977 .
7. ბუროვცევა მ., სკოლის ასაკამდე თანადროული დაწესებულებები, პედაგოგიური კრებული, სკოლის ასაკამდე აღზრდა, რედაქტორი მ. ორახელაშვილი, სახელგამი, ტფილისი, 1926 .
8. საგანმანათლებლო პროგრამა სკოლამდელთათვის, რედაქტორები: დოც. ნ. სამხარაძე, დოც. ლ. მექვაბიშვილი, თბილისი, 2000 .
9. მაჩაბელი ქ., დიდაქტიკური სამაგიდო თამაშები საბავშვო ბაღში, თბილისი, 1959 .
10. უნაფქოშვილი ნ., თამაშობები საბავშვო ბაღში, თბილისი, 1975 .
11. ფალავანდიშვილი მ., მოძრავი თამაშობანი ბავშვებისათვის, თბილისი, 1994 .
12. საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების ტიპიური პროგრამა, რედაქტორი ნ. ახობაძე, თბილისი, 1987 .
13. სკოლამდელი პედაგოგიკა, ვ. იადეშკოსა და ფ. სოხინის რედაქციით, თბილისი, 1987.
14. საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების ტიპიური პროგრამა, მ. 1984 წ., რ. კურბატოვისა და და ნ. პოდიაკოვის რედაქციით(რუსულ ენაზე).
15. ჭანიშვილი გ., სოფიო არღუთინსკაია – დოლგორუკოვა–სკოლამდელი აღზრდის ამაგდარი. თბილისში საბავშვო ბაღის დაარსების 100 წლისთავის გამო, ჟურნალი „დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა“, №1, 1987 .
16. მჭედლიძე ნ., ხაჭაპურიძე ბ., ჟურნალი „დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა“, №1, 1987.
17. ხაჭაპურიძე ბ., თბილისის პირველი საბავშვო ბაღი., თბილისი, პედინსტიტუტის გამომცემლობა, 1951.
18. ფალავანდიშვილი მ., გლობალიზაცია, სახელმწიფო განათლების სტანდარტები და სკოლამდელი დაწესებულება, საქრთველოს განათლების აკადემიის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „მოამბე“, № 6., თბილისი, 2003.
19. ფალავანდიშვილი მ., გლობალიზაცია და საგანმანათლებლო სტანდარტები, სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“, თბილისი 2008, № 5.
20. Акты, № 7.

§ 16. თანამედროვე ადრეული განათლების კურიკულუმები, საკანონმდებლო დოკუმენტები და სტანდარტი ოცდამეერთე საუკუნის საქართველოში

1989 წელს როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მემკვიდრეობით მიიღო ცენტრალიზებული სკოლამდელი განათლების სისტემა, რომელიც როგორც წინა პარაგრაფებში აღვნიშნეთ გულისხმობდა 2-დან 6 წლამდე ბავშვების განათლებასა და აღზრდას. მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა უარყოფითად იმოქმედა, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე, ისე სკოლამდელი განათლების სისტემაზეც. მკვეთრად შემცირდა სახელმწიფოს მიერ სკოლამდელი განათლების დაფინანსება, დაიხურა ბევრი საბავშვო ბაღი და სკოლამდელ განათლებაში ჩართულ ბავშვთა რაოდენობა განახევრდა. განათლების სამინისტროს მონაცემების მიხედვით 1990 წელს არსებული 2454 ბაღიდან 1996 წელს დარჩა მხოლოდ 1253 ბაღი, ხოლო ბავშვთა რაოდენობა შემცირდა 200 000-იდან 83 000-მდე. ამდენად, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე შემცირდა მოთხოვნა სკოლამდელ განათლებაზე.

ქვეყნის მთავრობა ცდილობდა მოეძებნა სხვადასხვა გზები და საშუალებები საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის სისტემის სრულყოფისათვის. მაგრამ, მათ მხოლოდ ადგილობრივი პროფესიული კადრების საშუალებით ვერ მოახერხეს სკოლამდელთა განათლების სრულყოფა. უფრო მეტიც უნივერსიტეტთა უმეტეს ნაწილში, სადაც მზადდებოდა სკოლამდელ აღზრდის აღმზრდელ-მასწავლებლები გააუქმეს მიღება(ზოგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხელმძრვანელი პირების მიერ გაცხადდა ბავშვის ჩაცმას და გახდას რათ უნდა აღზრდა და სწავლება). ყველა ადამიანს, რომელსაც ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება (ინჟინერი, მათმატიკოსი, ბიოლოგი, ქიმიკოსი და სხვა), მაგრამ საერთოდ არ იცოდა ბავშვის ფსიქოლოგია, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, არ ჰქონდა სპეციალური პედაგოგიური მომზადება, არ იცნობდა ბაგა-ბაღში სწავლების მეთოდებს მიეცა სკოლამდელ დაწესებულებებში აღმზრდელ-მასწავლებლობის უფლება. შედეგად მივიღეთ აღზრდისა და სწავლების დაბალი დონე, ბავშვების ფსიქოლოგიური სტრესი(არასპეციალისტი მასწავლებლები ბავშვების დასაწყნარებლად იყენებდნე ასეთ მეთოდებს გაჩერდით თუ არა მგელი მოვა და შეგჭამთ), ფიზიკურად არა ჯანმრთელი თაობა, შემცირდა ბაღების რაოდენობა, მივიღეთ უმუშევარი აღმზრდელ-მასწავლებლები.

ქვეყანა დარჩა უცხოური, არასამთავრობო ორგანიზაციების იმედზე.

1998 წლიდან საქართველოში დაინერგა **ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა,** რომელიც მიზნად ისახავდა ჩაენაცვლებინა იმდროინლდელი ავტორიტარული სწავლება ბავშვზე ორიენტირებული მიდგომით. ეს პროგრამა პროდუქტია „ნაბიჯ ნაბიჯ“ საერთაშორისო ასოციაციის, რომელიც აერთიანებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის 30 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს. ქართულ ენაზე გამოვიდა წიგნი „ნაბიჯ-ნაბიჯ:პროგრამა ბავშვებისა და მშობლებისათვის, შევქმნათ ბავშვზე ორიენტირებული ჯგუფები.“. წიგნის ავტორები არიან კრისტენ ა. ჰანსენი, როქსან კ. კაუფმანი, კეიტ ბერკ უოლში. წიგნის შესავალში აღნიშნულია, რომ „თანამედროვე ბავშვები, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, თავიანთი ცხოვრების გზაზე არაერთხელ აღმოჩნდებიან ცვლილებათა წინაშე, სოციალური, პოლიტიკური და გარემოს ცვლილებები იქ-

ნება ეს, გარდაქმნები მეცნიერებასა და ტექნიკაში, წარმოების განახლება, რაც თავის მხრივ, გავლენას მოახდენს შრომის ბაზარზე. ასე სწრაფადცვალებად თანამედროვე სამყაროში ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვებში აღვზრდოთ მისწრაფება-ისწავლონ მთელი ცხოვრების მანძილზე“ (1. გვ.1.). პროგრამის ავტორებს მიაჩნიათ, რომ პროგრამა „ნაბიჯ-ნაბიჯ“ ბავშვებში თვითშემოქმედ მოსწავლეებად აღზრდისათვის იმგვარი დამოკიდებულების, ცოდნისა და უნარის ჩამოყალიბებას უყრის საფუძველს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ თანამედროვე თუ ოცდამეერთე საუკუნის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. მთლიანობაში პროგრამა აღიარებს, ჯეროვნად აფასებს და ხელს უწყობს იმ თვისებათა განვითარებას, რომელთა ფლობაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სწრაფ გარდაქმნათა ეპოქაში.

ეს თვისებებია:

- შეესატყვისებოდე გარდაქმნებს და თავად ახორციელებდე მათ;
- იყო კრიტიკულად მოაზროვნე და შეგწევდეს არჩევანის გაკეთების უნარი;
- შეგეძლოს პრობლემის დასმა და გადაწყვეტა;
- გაგაჩნდეს შემოქმედების, გამომგონებლობის და წარმოსახვის უნარი;
- ზრუნავდე საზოგადოებაზე, ქვეყანაზე, გარემოზე.

როგორც წიგნის შესავალშია აღნიშნული „პროგრამა „ნაბიჯ-ნაბიჯ“ უნიკალური პროგრამაა სამიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის. პროგრამაში ერთმანეთს ერწყმის ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების მეცნიერულ გამოკვლევებზე დაფუძნებული პრქტიკული გამოცდილება და ოჯახებთან და საზოგადოებასთან მუშაობის ზუსტად განსაზღვრული მოდელი, რათა შესაძლებელი გახდეს თითოეული ბავშვის მიმართ ინდივიდუალური მოდოგმის განხორციელება. პროგრამა ისეა შედგენილი, რომ იგი პასუხობს თითოეული ბავშვის განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს, აგრეთვე ითვალისწინებს მრავალეროვან კულტურულ ტრადიციებს. პროგრამის რამდენიმე მახასიათებელი ყველა კლასშია წარმოდგენილი, კერძოდ:

- სწავლების ინდივიდუალიზაცია თითოეული ბავშვისათვის;
- ბავშვთა დახმარება არჩევანის გაკეთებისას, დაგეგმილი აქტივობის მიხედვით და აქტივობის ცენტრების საშუალებით;
- ოჯახის მონაწილეობა მანძილზე“ (1. გვ.1-2.).

ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამის არსი შემდეგში მდგომარეობს, რომ ბავშვი საუკეთესოდ აღიზრდება, თუკი იგი თავად, მთელი არსებით იქმნება ჩართული სწავლის პროცეში. მზრუნველობით დაგეგმილი გარემო ბავშვს უბიძგებს დამოუკიდებელი კვლევისა და შემოქმედებისაკენ. ამავე დროს, აღმზრდელთა ჯგუფი საფუძვლიან ცოდნას უნდა ფლობდეს ბავშვის განვითარების შესახებ. სწორედ მათ უნდა შუქმნან ბავშვს გარემო და უზრუნველყონ იგი სასწავლო მასალით. აღმზრდელთა ჯგუფის როლი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ ბავშვსა და ასევე ბავშვების ჯგუფს, დაუსახოს მათი ინტერესების შესატყვისი მიზნები ისე, რომ გამოვლინდეს და ჯეროვნად დაფასდეს ყოველი ბავშვის ინდივიდუალური უნარი და საჭიროება. ამავე დროს, არ უნდა ჩაიხშოს პატარა ბავშვისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა, რითაც ხელი შეეწყობა ერთობლივი სასწავლო პროცესის განხორციელებას.

პროგრამაში განხილული და გაანალიზებულია ადრეული ასაკის ბავშვის განათლების თეორიები, კერძოდ ის თეორიები, რომლებიც განიხილავენ ბავშვთა სწავლებას სამიდან ექვსი წლის ასაკში. გამოკვეთილია ორი ძირითადი მიმართულება.პირველი გახლავთ ბიჰევიორისტული მიმართულება, რომლის თანახმადაც, ბავშვებში არ არსებობს ცნებათა აღმოცენებისა და სპონტანურად ჩამოყალიბების წინამძღვრები ანუ ყოველი ცნება ბავშვს გარედან მიეწოდება და ბავშვიც მათ შეიწოვს ან ითვისებს. ბიჰევიორისტული მიდგომის მიხედვით ჯგუფის ცენტრალური ფიგურა მასწავლებელია. მასწავლებელი ჩამოყალიბებული, მზამზარეული ინსტრუქციით „ტენის“ ან „ავსებს“ ბავშვებს, ისევე, როგორც დროდადრო ჩვენ ვავსებთ ავზს ან რაიმე ჭურჭელს.

მასწავლებელი ბავშვს სპეციფიურ ინფორმაციას მზა რეცეპტის სახით აწოდებს. ჩვეულებრივ, ეს ინფორმაცია გულმოდგინედ არის გაანალიზებული, დანაწილებული დავალებებად და ბავშვსაც თანმიმდევრულად მიეწოდება. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მთელი ინფორმაციის „მესაკუთრედ“ ან „მფლობელად“ წამოგვიდგება. მისი მოვალეობაა ბავშვს ესა თუ ის ცოდნა გადასცეს. ბავშვიც, თავის მხრივ, სავარჯიშოებზე მეცადინეობით მანამ იწაფება, სანამ ცოდნას ისე არ დაეუფლება, რომ შემდგომ საფეხურზე გადავიდეს.

ბიჰევიორისტული თეორიის თანახმად, მასწავლებელმა გულისყურით უნდა შეაფასოს ბავშვის მიერ ათვისებული ინფორმაციის ხარისხი და შემდგომ საფეხურზე გადასვლამდე კვლავაც განამტკიცოს განვლილი მასალა. უამრავი სახელმძღვანელო, თვალსაჩინოება და ტესტი არსებობს, რომელთაც მასწავლებელი კლასში ცოდნის შესამოწმებლად იყენებს.

ბიჰევიორისტული თეორიის საპირისპიროდ პროგრამა „ნაბიჯ-ნაბიჯ“ სრულიად განსხვავებულ, განვითარების თეორიას იზიარებს. განვითარების ეს მოძღვრება ისეთ გარემოში წარმართავს ბავშვის აღზრდას, რომელიც ბავშვის ბუნებრივი ზრდა-განვითარების პროცესის შესატყვისია. „ ამ მოძღვრების თანახმად ბავშვები:

- არიან აქტიური მონაწილეები. ისინი თამაშის პროცესში გამუდმებით ახალ-ახალ ინფორმაციას იღებენ გარესამყაროს შესახებ;
- მათი წინსვლა განვითარების წინასწარგანსაზღვრულ საფეხურებს შეესატყვისება;
- ისინი დამოკიდებულნი არიან გარე სინამდვილეზე, რადგან მათი ემოციური და გონებრივი განვითარება სოციალურ ურთიერთობათა მეშვეობით ხორციელდება;
- ისინი არიან უნიკალური ინდივიდები, რომლებიც სხვადასხვაგვარად ვითარდებიან;

მოძღვრებას ბავშვის განვითარების შესახებ საფუძვლად უდევს ჟან პიაჟეს, ერიკ ერიკსონისა და ლ. ს. ვიგოტსკის თეორიები.

პიაჟეც და ვიგოტსკიც ბავშვს განიხილავენ, როგორც ბიოლოგიურ არსებას. თუმცა, მათ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ იმის თაობაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს ბუნება და საზოგადოება ბავშვის განვითარების პროცესზე. გლასმანი ამ ორი პედაგოგის კონცეფციებს შემდეგნაირად აჯამებს:

- განითარების ორი ფრთა – ბუნებრივი და სოციალური განვითარება-უწყვეტად მონაწილეობს გონებრივი განვითარების პროცესში. თითოეულ მათგანს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შემეცნების განვითარებოსათვის;

- შემეცნების განვითარება საწყის ეტაპზე გარე სინამდვილიდან მიღებული გამოცდილების უშუალო შედეგია. თანდათანობით კი ბავშვებისათვის შესაძლებელი ხდება განახორციელონ მიღებული გამოცდილების აზრობრივი ტრასფორმაცია შინაგანი რეფლექსიის გზით;
- ინდივიდულური განვითარების ტემპი განპირობებულია სოციალური გარემოს ზემოქმედებით;
- შემეცნების განვითარება ცნებათა ძირეულ, ხარისხობრივ ტრანსფრმაციას გულისხმობს.

პიაჟეს თვალთახედვით, მოზარდი განვითარების მრავალ საფეხურს გადის. პირველი, სენსომოტორული პერიოდი დაბადებიდან ორი წლის ასაკამდე გრძელდება. ამას მოსდევს კონკრეტულ ოპერაციათა განვითარების საფეხური და იგი ორიდან თერთმეტი წლის ასაკამდე გრძელდება, მესამე ფაზა, ფორმალურ ოპერაციათა სტადია, ჩვეულებრივ, სიმწიფის ხანაში იწყება.

ვიგოტსკის თანახმად, აზროვნება რადიკალურ ტრანსფორმაციას განიცდის, როდესაც ბავშვს უვითარდება ლინგვისტური კომუნიკაციისა და სწავლების შედეგად საკუთარი აზრების შემუშავების უნარი“ (1. გვ.1-3.).

ერიკსონის ფსიქოლოგიური განვითარების თეორია სამ ასაკობრივ ეტაპს მოიცავს და ასახავს ინდივიდის ურთიერთობას სოციალურ გარემოსთან. ერიკსონს მიაჩნია, რომ ბავშვის ჯანსაღი განვითარება განპირობებულია იმ წინააღმდეგობებით, რომლითაც ხასიათდება ყოველი ასაკობრივი სტადია. დაბადებიდან სამ წლამდე ასაკში ბავშვებში ვითარდება ნდობა; ერთიდან სამ წლამდე ასაკი გამოირჩევა ავტონომიურობის ჩამოყალიბებით, ხოლო სამიდან ექვს წლამდე ასაკში ჯანსარი ბავშვი ინიციატივის უნარით გამოირჩევა.

პროგრამის შესავალში აღნიშნულია, რომ „განათლების ეს კონცეფციები ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას ბავშვის განვითარების შესახებ და მეტად ყურადსაღებ მოსაზრებებს გვთავაზობენ თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელებისათვის. ეს თეორიები ძალზე დიდ სარგებლობას მოუტანს მასწავლებლებს, რადგან მათში უშუალოდ ბავშვის განვითარების პროცესია ასახული. როდესაც განვითარების თეორია პრაქტიკულად ხორციელდება, პროგრესიული განათლების ისტორიულ კონტექსტში სასწავლო პროგრამების დაგეგმვისას ბავშვი ამოსავალი წერტილი ხდება. სწორედ ეს განსაზღვრავს ისეთი ჯგუფების შექმნას, რომელთა ცენტრი ბავშვია“ (1. გვ.1-3.).

პროგრამა „ნაბიჯ-ნაბიჯ“ მოიცავს ადრეული ბავშვობის სამ წამყვან პრინციპს, ეს პრინციპებია: კონსტრუქტივიზმი, განვითარების შესატყვისი აქტივობები და პროგრესიული განათლება.

კონსტრუქტივიზმი. კონსტრუქტივიზმის მიმდევრებს მიჩნიათ, რომ სწავლის პროცესი იწყება მაშინ, როდესაც ბავშვი ცდილობს გაერკვეს გარე სამყაროში. ამგვარად, სწავლა ინტერაქტიური პროცესია, რომელშიც ჩართული არიან თავად ბავშვები, უფროსები, სხვა ბავშვები და მთელი გარე სინამდვილე. საერთოდ, ბავშვები თავად აგებენ და აშენებენ საკუთარ ცნობიერებას. ისინი გარე სინამდვილეს შეიმეცნებენ ადრე მიღებული ცოდნისა და ახალი

გამოცდილების სინთეზის გზით. ჟაკლინ და მარტინ ბრუკები (1993) ამ პროცესს შემდეგნაირად აღწერენ:

„ჩვენ ხშირად გადავაწყდებით რაღაც საგანს, მოვლენას ან ურთიერთობას, რომელსაც ვერ ვიგებთ. როდესაც ამგვარი, საწყისშივე გაუგებარი, წინააღმდეგობრივი საგნის, ინფორმაციის ან შეგრძნების წინაშე აღმოვჩნდებით, ჩვენ ან ამ უცნობი ობიექტისა და შეგრძნების ინტერპრეტაციას ვახდენთ ჩვენში ამჟამად არსებული ხატებისა და ცნებების ენაზე, რომელთა მეოხებითაც აქამდე განვმარტავდით და ვაწესრიგებდით ჩვენსავე სამყაროს, ანდა ახალ სახეებსა და ხატებს მოვუხმობთ, რომლებიც უკეთ შეგვაძლებინებს მოცემული ობიექტის შემეცნებას. ორივე შემთხვევაში ჩვენი შეგრძნებები და ცნებები უწყვეტად მონაწილეობენ იმ ფერხულში, რომელიც ჩვენს ცნობიერებას აყალიბებს“ (1. გვ.1-4.). პროგრამაში კონსტრუქტიული სწავლების საილუსტრაციოდ შემდეგ მაგალითია მოყვანილი: „პატარა ბავშვი, რომელსაც შინ ძაღლი ჰყავს, მშობლებთან ერთად მანქანით ქალაქგარეთ სეირნობს. მანქანამ ძროხას ჩაუქროლა. ბავშვმა ძროხა შენიშნა და წარმოსთქვა „ძაღლი“. მშობლებმა აუხსნეს, რომ ეს ძაღლი კი არა ძროხაა და იგი განსხვავდება ძროხისაგან. ამრიგად, ახალი ინფორმაცია ჩაენაცვლა არსებულს და ახალი აზრობრივი მიმართება დამყარდა.

მართალია, ბავშვები თავად ქმნიან საკუთარ ცნობიერებას, შემეცნებასა და ცოდნას, მედიატორის როლი, რომელიც უფროსებმა უნდა იკისრონ, მაინც არსებითია. აღმზრდელობითი ჯგუფი უზრუნველყოფს ბავშვებს სასწავლო მასალით, დამხმარე ხელსაწყო იარაღებით, ხელმძღვანელობს და ხელს უწყობს, რომ მაქსიმალურად გამომჟღავნდეს ბავშვის მისწრაფება ცოდნისაკენ“ (1. გვ.1-4.).

განვითარების შესატყვისობა. განვითარების შესატყვის სასწავლო პროგრამას საფუძვლად უდევს ცოდნა ბავშვის განვითარების შესახებ ანუ მასაზრება, რომ ყველა ბავშვი განვითრების საერთო საფეხურების მიხედვით ვითარდება, ერთსა და იმავე ვადებში და ამავე დროს, ყოველი ბავშვი უნიკალური და ინდივიდუალური არსებაა. აღმზრდელობით ჯგუფს საფუძვლიანი ცოდნა უნდა ჰქონდეს ბავშვის განვითარების შესახებ, რათა სასწავლო მასალისა თუ აქტივობის შერჩევისას ბავშვს რეალისტური, შესატყვისი სასწავლო გარემო შეუქმნას. აღმზრდელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ერთი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების განსხვავებულ უნარსა დ ინტერესებს (სიფელდტი, 1994; ბრიდკემპი, 1993) განვითრების შესატყვისი სასწავლო პროგრამა შედგენილია ბავშვთა ინტერესების, აზროვნების დონისა და მათი სოციალური და ემოციური სიმწიფის გათვალისწინებით. ამგვარად შედგენილი პროგრამა იმისკენ არის მიმართული, რომ ბავშვებს კიდევ უფრო გაუმძაფრდეთ ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა, სიამოვნება მიიღონ სწავლის პროვესში და გაუჩნდეთ მისწრაფება დამოუკიდებლად იკვლიონ საკუთარი იდეები.

განვითარების შესატყვისი პროგრამის მიზანია დაეხმაროს ბავშვებს დამოუკიდებლად გასცენ პასუხი მათ მიერვე დასმულ შეკითხვებს. როგორც კი ბავშვი კითხვას დასვამს, ავტომატურად ამოქმედდება ინტერესი, მოტივაცია და ყურადღება. მასწავლებლის როლი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვმა თავად მიაგნოს პასუხს, თანაც ისე, რომ არც ზედმეტად გაამარტივოს კითხვა და არც ზედმეტი, დაუძლეველი ინფორმაციით გადატვირთოს ბავშვი. განვითარების შესატყვისი თეორიის პრაქტიკულად განხორციელება საშუალებას აძლევს მასწავ-

ლებელს მონახოს ისეთი ბალანსი, რომელიც აკმაყოფილებს და აფართოვებს სასწავლო სიტუაციას.

პროგრესული განათლება. ჯონ დიუი პროგრესული განათლების მოძღვრების მამამთავრად არის აღიარებული და თვლის, რომ განათლება უნდა მოიაზრებოდეს, როგორც პროცესი და არა, როგორც მზადება მომავალი ცხოვრებისათვის. დიუი (1938) აცხადებს, რომ განათლება, რომელიც მომავალი ზრდასრული ცხოვრებისთვისაა გამიზნული „ახშობს (უარყოფს) ბავშის ბუნებრივ თვისებებს -აღმაფრენასა და ცნობისმოყვარეობას, რომლებიც ბავშვს სკოლაში მოაქვს. ამგვარი განათლების ყურადღების ცენტრში ბავშვის ინტერესები და შესაძლებლობები კი არ დგას, არამედ, გაცილებით აბსტრაქტული ცნებები, რაც ბავშვს მომავალში გამოადგება“.

ჩვენი მოძღვრება, რომლის ცენტრიც ბავშვია, ორივე მიმდინარეობას იაზრებს, რადგან მიაჩნია, რომ აღნიშნული ორი თვალსაზრისი ურთიერთს არ გამორიცხავს. პროგრესული განათლების მოძღვრების პრაქტიკულად განხორციელებას საფუძვლად განვითარების თეორიისა და კონსტრუქტივიზმის პრინციპები უდევს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური უნარისა და ინტერესების გამოვლენას და ასევე, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სწავლებისას ბავშვების პატარა ჯგუფებად ან წყვილ-წყვილად დაყოფას.

ინდივიდუალური სწავლება. „ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამის აღმზრდელთა გუნდი ბავშვებში ისეთი თვისებების აღზრდას უყრის საფუძველს, რომ ისინი მომავალში სრულყოფილ, მიზანდასახულ, აქტიურ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც იზრუნებენ სხვებზე და უნარი ექნებათ საკუთარი კვალი დააჩინონ გარე სამყაროს. ამასთანავე მასწავლებლები ითვალისწინებენ „აქ და ახლა“ ფაქტორს, რომელიც ბუნებრივია ბავშვობის პერიოდისთვის.

ამ მიზნით, ისინი მიმართავენ თამაშსა და სწავლების ინდივიდუალურ მეთოდებს. სწავლების ინდივიდუალიზაცია ყოველი ბავშვის განვითარების საფეხურის განსაზღვრითა და ამ საფეხურის შესტყვისი აქტივობების დაგეგმვით მიიღწევა ისე, რომ დასახული ამოცანის შესრულებისას იყოს თითოეული ბავშვის წარმატება გარანტირებული, ინდივიდუალიზაციის მეთოდი მოიცავს ცოდნას ბავშვის განვითარების შესახებ ანუ ცოდნას მისი ჯანმრთელობის, ფიზიკური, ემოციური და გონებრივი განვითარების შესახებ.

სანამ გარკვეულ გადაწყვეტილებას მიიღებდეს, მასწავლებელი გულდასმით აკვირდება ბავშვს, ამოწმებს და საზღვრავს სხვადასხვა სფეროში მისი განვითარების დონეს და მხოლოდ ამის შემდგომ უსახავს მას მისი განვითარების შესატყვის ამოცანას.

სწავლების ინდივიდუალიზაცია ნიშნავს, რომ საკლასო მუშაობის განრიგი შეეფარდებოდეს ყოველი მოსწავლის აქტივობისა და დასვენების მოთხოვნილებებს. საკლასო აღჭურვილობა, მასალები და დამხმარე ხელსაწყოები ხელს უნდა უწყობდეს ყოველი მოსწავლის წინსვლას, ხოლო შერჩეული აქტივობანი კი უნდა წარმოაჩენდეს განვითარების დონეს. ამას გარდა, ყოველი აქტივობა ბავშვისათვის გამოწვევის ტოლფასი უნდა იყოს, რასაც თან უნდა ახლდეს მოსალოდნელი წარმატების შეგრძნებაც.

... ინდივიდუალიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია, რომლის მისაღწევადაც უნდა გავისარჯოთ, რადგან, რაც უფრო ინდივიდუალიზებულია სწავლება, მით უფრო ად-

ვილი ხდება კლასში მუშაობა. მოსწავლეთა ქცევა უმჯობესდება, ცოდნისა და განვითარების დონე იზრდება“ (1. გვ.1-6.).

პროგრამაში დასმულია კითხვა მაინც რისთვის გვჭირდება სწავლების ინდივიდუალიზაცია? ავტორები იქვე გვცემენ პასუხს. ინდივიდუალიზაცია საშუალებას გვაძლევს ყოველი ბავშვის განვითარების საფეხური, მონაცემები და საჭიროება შევუსაბამოთ სასწავლო აქტივობას. ამგვარი თანხვედრის პირობებში ბავშვებს უჩნდებათ საკუთარი თავის რწმენისა და თვითშეფასების უნარი. ისინი მზად არიან ახალი გამოწვევის მისაღებად და ახალი ამოცანების გადასწაყვეტად.

ბავშვზე ორიენტირებული ჯგუფები ყოველმხრივ ხელს უწყობს სწავლების ინდივიდუალიზაციას. კლასის მოწყობილობა, მასალები და ხელსაწყოები ყოველი მოსწავლის წინსვლას გულისხმობს, ხოლო შერჩეული აქტივობები ასევე, ყოველი ბავშვის გავითარების შესაფერისია. ბავშვები თავად ახდენენ საკუთარი აქტივობის ინდივიდუალიზაციას, როდესაც ირჩევენ გარკვეულ წრეს ანუ აქტივობის ცენტრს ანდა თორმეტნიშნა თავსატეხის ამოხსნას ხუთნიშნა თავსატეხის ამოხსნას ამჯობინებენ. ინდივიდუალიზაციის მეთოდი მასწავლებლისაგან მოითხოვს ისეთი აქტივობა შესთავაზოს ბავშვებს, რომ თითოელი მათგანი დაინტერესებულიც იყოს და კმაყოფილიც საკუთარი წარმატებით. ცხადია, ინდივიდუალიზაცია კლასში ძალზე ეფექტურად ხორციელდება. თავისუფალი და საინტერესო აქტივობის დაგეგმვით, აქტივობის პროცესში თითოეულ ბავშვზე გულმოდგინედ დაკვირვების შედეგად, მასწავლებელს შეუძლია საჭიროებისამებრ შეცვალოს მასალა და ყოველ ბავშვს შესატყვისი ამოცანა დაუსახოს. ჯგუფური აქტივობანი ძირითადად მცირერიცხოვან ჯგუფებში ხორციელდება, რათა შესაძლებელი გახდეს ინდივიდუალიზაციის ეფექტურად განხორციელება. დღიური გარიგი ყოველი ბავშვის აქტივობისა და დასვენების მოთხოვნილებებს უნდა შეეფერებოდეს. ინდივიდუალიზაცია ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია იმ სასწავლო პროგრამისა, რომელიც ბავშვს სასწავლო პროცესის ცენტრში აყენებს, რადგან, რაც უფრო უკეთ ხორციელდება ინდივიდუალიზაცია, მით უფრო ეფექტურია მასწავლებლის მუშაობა.

აქტივობის ცენტრები საშუალებას აძლევს ბავშვებს, ინდივიდუალური მონაცემებისა და ინტერესებიდან გამომდინარე, თავად მოახდინონ საკუთარი თავის ინდივიდუალიზაცია. ასე მაგალითად, ხელოვნების ცენტრში, ერთი ბავშვი მხოლოდ ხევს ფურცლებს, მაშინ როდესც, მეორე – რთულ ფიგურებს ჭრის მაკრატლით. ასევე, მანიპულატივების ცენტრში, ერთი ბავშვი თუ ოთხნაჭრიან ხის ასაწყობ სათამაშოს ირჩევს, მეორე – ოცდახუთნაჭრიან მუყაოს ასაწყობ თავსატეხს ამჯობინებს. მასწავლებელი აკვირდება ყოველ ბავშვს და აღნიშნავს მათი განვითარების დონეებს. დროდადრო, იგი ყოველ მათგანს მათი განვითარების დონის მიხედვით, უფრო საინტერესო და რთულ ამოცანათა შესრულებას სთავაზობს, ხოლო, თუკი საჭიროა, თავად ეხმარება გარკვეულ უნართა დახვეწაში.

როდესაც სწავლების ინდივიდუალიზაცია სკოლამდელ ასაკში ხდება, ბავშვები საკუთარი ტემპით ვითარდებიან. „ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამის საკლასო ოთახი დინამიური, ცვალებადი გარემოა, სადაც მასალა და აქტივობა ბავშვის ინდივიდუალური ინეტერესებისა და განვითარების შესაბამისად იცვლება. მასწავლებელთა გუნდი გეგმავს საკლასო სივრცესა და აქტივობებს ისე, რომ იგი შეესაბამებოდეს თითოეული ბავშვის განვითარების საფეხურს.

დღიურ გეგმაში საკმაო დრო ეთმობა მუშაობას: ეს იქნება მცირე სასწავლო ჯგუფებში მეცადინეობა თუ ინდივიდუალური დავალებების შესრულება, ხან მასწავლებლის ხელმძღვანელობით, ხან - დამოუკიდებლად. ამგვარი დღის წესრიგი ეხმარება ბავშვებს დამოუკიდებლად გააკეთონ არჩევანი და გამოამჟღავნონ საკუთარი ინტერესები და უნარი. „ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამის მომუშავე ჯგუფში ყურადღება იმაზე მახვილდება, რომ ბავშვებმა ისწავლონ არჩევანის დამოუკიდებლად გაკეთება, შეეძლოთ პრობლემის გადაწყვეტა, შესწევდეთ სხვებთან კომუნიკაციის უნარი და ესწრაფვოდნენ საკუთარი მიზნების აღსრულებას.

„ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამა საშუალებას აძლევს ბავშვებს თავად აირჩიონ კლასი. ყოველი საკლასო ოთახი რამდენიმე აქტივობის ცენტრს აერთიანებს, სადაც ცენტრის შესაბამისი სათამაშო და სასწავლო მასალა აწყვია. სხვადასხვა კლასში სხვადასხვა ცენტრია მოთავსებული, თუმცა, ცენტრებში მუშაობა ძირითადად შემდეგი მიმართულებით მიმდინარეობს:ხელოვნება, კუბურები, სამზარეულო, დრამწრე, წერა-კითხვა, მათემატიკა/მანიპულატივები, მუსიკა, სუფთა ჰაერზე, ქვიშა და წყალი, ბუნებისმეტყველება“ (1. გვ.1-7.).

სახელმძღვანელო წიგნის შესავალში განმარტებულია თითოეული ცენტრის დანიშნულება და მნიშვნელობა. არნიშნულია, რომ „ხელოვნების ცენტრში მუშაობა ხელს უწყობს ბავშვების შემოქმედებითი უნარის გამომჟღავნებასა და შესწავლას. ახალ მასალასთან შეხება ბავშვს ართობს და სიამოვნებას ანიჭებს. ამ სფეროში შემდეგი მასალა გამოიყენება: საღებავები, ქაღალდი, მაკრატელი, ფერადი ფანქრები, ცარცი, ქსოვილი, წებო. ამ ნუსხას შეიძლება დაემატოს სხვა მრავალი ბუნებრივი მასალა როგორიცაა: ხე, ფოთლები, ქვიშა. ამ ცენტრში მუშაობა ხელს უწყობს ბავშვებში შემოქმედებითი უნარის, ვერბალური და ნონ-ვერბალური კომუნიკაციის, მცირე და დიდი მოტორული სისტემის განვითარებას; ზრდის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და ბავშვებში თვითშეფასებას, ღირსების გრძნობას აღვიძებს.

კუბურებით თამაშის წრეში ათასგვარი სხვადასხვა ზომის და ფორმის კუბურები აწყვია, წარმოსახული თუ ნაცნობი კონსტრუქციების ასაგებად, ეს გახლავთ: სახლები, ქალაქები, სოფლები, ფერმები, ზოოპარკები. კუბურებით მშენებლობა მრავალ რამეს ასწავლის ბავშვებს, ვითარდება მათემატიკური მონაცემები, აზროვნება, უმჯობესდება სოციალური ჩვევები და ყალიბდება პრობლემის გადაწყვეტის უნარი. ამ პროცესში ბავშვი ამჟღავნებს თავის შემოქმედებით მონაცემებს და განსაკუთრებულად უვითარდება კონცენტრაცია. შესაძლოა, მასწავლებელმაც და ბავშვებმაც სხვა მრავალი დამატებითი საგანი შემოიტანონ ამ ცენტრში. მაგ.: მანქანები, საბარგო მანქანები, ცხოველები, ადამიანები, თვითმფრინავები და ქსოვილის ნაკუწები.

სამზარეულოს წრე გვთავაზობს შესანიშნავ საშუალებებს, რათა ბავშვებს ბუნებისმეტყველების საფუძვლები გავაცნოთ. ამასთანავე, ისინი გემოს უსინჯავენ ახალ-ახალ საჭმელს, ხალისით მიირთმევენ საკუთარი ხელით მომზადებულ კერძებს და თან ისეთ მათემატიკურ სიდიდეებს ეუფლებიან, როგორიც არის ზომა და წონა. საჭმლის ერთად მომზადების პროცესში ბავშვები ეუფლებიან სოციალურ ურთიერთობათა წესებს, ეჩვევიან ჯგუფში და წყვილ-წყვილად მუშაობას, გაღებასა და გაზიარებას. სამზარეულოს წრე მრავალი არსებითი ჩვევის გამომუშავებას უწყობს ხელს. მასწავლებელი საუბრობს ფერებზე, რიცხვებზე, ფორ-

მებზე, კვებასა და ბუნებაზე. სამზარეულოს წრე ნამდვილ ცხოვრებისეულ გამოცდილებას სთავაზობს ბავშვებს.

დრამატული თამაშისათვის განკუთვნილ ცენტრში უამრავი თეატრალური და საკარნავალო ტანსაცმელი აწყვია, რაც ბავშვებს საშუალებას აძლევს განასახიერონ საყვარელი პერსონაჟები, უკეთ შეიმეცნონ სამყარო, ითამაშონ სხვადასხვა როლები. ამ სფეროსათვის განკუთვნილი მასალა და ნივთები აღმზრდელთა ჯგუფის მიერ არის შერჩეული. ერთი კვირა, შესაძლოა გამოვიყენოთ რეცხვისათვის განკუთვნილი მოწყობილობანი და ბავშვებს რეცხვა ვასწავლოთ, ხოლო მეორე კვირას კი ასტრონავტები ვათამაშოთ ან საცირკო წარმოდგენები დავდგათ და შესაბამისი საგნები გამოვიყენოთ. აქვე შესაძლოა გვქონდეს ცხოველთა მოვლისათვის საჭირო ნივთები. ნივთების არჩევანი დამოკიდებულია ბავშვთა ინტერესებსა და მისწრაფებებზე.

წერა-კითვისათვის განკუთვნილ კუთხეში წიგნები, წერისა და მოსმენისათვის საჭირო მასალები აწყვია. სწორედ აქ ათვალიერებენ ბავშვები წიგნებს, ერთმანეთს უკითხავენ ან მასწავლებელსა და ზოგჯერ მოხალისე მშობელს უსმენენ. „ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამის სკოლამდელი ასაკის ბავშვების დღის განრიგში ვრცლად გამოიყენება ლიტერატურა. ბავშვები თავად ქმნიან საკუთარ წიგნებს, თხზავენ ამბებს, ყვებიან ან უსმენენ.

მათემატიკის-მანიპულატივების ცენტრში უამრავი დასაშლელი და ასაწყობი სათამაშოა თავმოყრილი. მაგ.: კონსტრუქტორები, პატარა კუბურებისგან შედგენილი თავსატეხები და ა. შ. ამ ცენტრში ისეთი თამაშებია გათვალისწინებული, რომლებიც ბავშვს თვლას, შეფარდებასა და კლასიფიკაციას ასწავლის. ხშირად ბავშვები თავად იგონებენ თამაშებს, ავარჯიშებენ მეტყველებას. ეს ცენტრი ხელს უწყობს ბავშვის ინტელექტუალური დონის ამაღლებას, ავარჯიშებს მცირე და დიდ კუნთებს, ავითარებს მზერისა და მოქმედების კოორდინაციას. ამასთანავე, მსჯელობაში, პრობლემათა გადაწყვეტასა და აზრთა ურთიერთგაზიარებაში იხვეწება მათი სოციალური თვისებები.

მუსიკა მთელი დღის განმავლობაში თან ახლავს სხვადასხვა აქტივობებს. სიმღერა, ცეკვა, ტაში, საკრავ ინსტრუმენტებზე დაკვრა და მუსიკის მოსმენა კარგად ავსებს მთელ დღეს. მუსიკა ავითარებს გრძნობებს, რითმს. ასწავლის ბავშვებს თვლასა და ხვეწავს მეტყველებას. აძლიერებს მცირე და დიდ კუნთებს, ბავშვებს შემოქმედებითად განაწყობს.

დღის განრიგის ერთ-ერთი მთავარი აუცილებელი ნაწილი სუფთა ჰაერზე ყოფნაა. ყოველივე ის, რაც საკლასო ოთახში ისწავლება შეიძლება გარეთაც ისწავლებოდეს. სუფთა ჰაერზე ბავშვები პატივისცემითა და მადლიერებით იმსჭვალებიან ბუნების მიმართ, უვითარდებათ სოციალური ჩვევები. ეუფლებიან ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის საფუძვლებს, სუფთა ჰაერზე თამაში ავარჯიშებს და აძლიერებს მცირე და დიდ კუნთებს. დრამატული წარმოდგენები და ჯგუფური თამაშები ზრდის მათ შემოქმედებით უნარს. მიზანშეწონილია, სუფთა ჰაერზე განსაკუთრებული ღონისძიებების ჩატარებაც, მაგ.: საჭმლის მომზადება, სადილი, მებაღეობა, ღებვა, ხატვა, თეატრალური რეკვიზიტების დამზადება, თოვლში, გუბეში თამაში. ადგილობრივი ბაზრებისა და სახანძრო სადგურების დათვალიერება სასარგებლო ცხოვრებისეულ გამოცდილებას სძენს ბავშვს. სუფთა ჰაერზე ბავშვი უკეთ ეცნობა გარე სამყაროს და სწავლობს უკეთ როგორ უნდა მოერგოს მას. სუფთა ჰაერზე გატარებული დრო

ერთგვარად ავსებს საკლასო ოთახის განრიგს და ისევე გულდასმით არის დაგეგმილი, როგორც ეს უკანასკნელი.

ქვიშითა და წყლით თამაში კლასშიც, ქვიშისა და წყლისათვის განკუთვნილ მაგიდასთან და გარეთაც, საქვიშესა და წყალში ძალზე სასარგებლოა ბავშვებისათვის. ამგვარ თამაშებში ბავშვის ყველა შეგრძნება ჩართულია. ბუნებრივი მასალის შესწავლისას ბავშვები ქმნიან, აზროვნებენ, ურთიერთობენ. ისინი ავარჯიშებენ მცირე და დიდ კუნთებს. ამ სფეროში სამუშაოდ გამოიყენება ნიჩბები, საცერი, ძაბრი, ვედრო. ამგვარი თამაშები ბავშვში ავითარებს მათემატიკურ მონაცემებს, შემოქმედებით, კვლევით უნარს. ბუნებისმეტყველების ცენტრი ხელს უწყობს ბავშვთა ცნობიერებაში რეალური სამყაროს ასახვას. ამ ცენტრში ბავშვები იკვლევენ ბუნებრივ საგნებს. მასწავლებელს საგანგებო ადგილები აქვს გამოყოფილი „განძის“ შესანახად, რომელიც ბავშვებმა უნდა აღმოაჩინონ. ამ ცენტრისათვის განკუთვნილ კუთხეში ხშირად იცვლება საგნები, მასალა ბავშვთა ინტერესების, წელიწადის დროთა ცვალებადობისა და თემატური სწავლების შესაბამისად. ფიზიკური ცდის საშუალებით ბავშვები ეცნობიან მაგნეტიზმის, გრავიტაციული მიზიდულობის კანონებს, წყლის თვისებებს.

ბავშვები ცოდნას იძენენ გარემოზე, ბუნებაზე, ხეებზე, მცენარეებსა და ცხოველებზე დაკვირვების საშუალებით. მასწავლებლის როლი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვებს ინტერესი გაუღვივოს და განავრცოს მეცნიერული კვლევის პროცესი.

სხვადასხვა ცენტრისათვის განკუთვნილი მასალა ხშირად იცვლება და გადანაწილდება აქტივობათა შესაბამისად. მაგალითად, სათამაშო ცხოველებს ბავშვები ხშირად იყენებენ კუბურების ცენტრში, როდესაც ისინი კუბურებით ზოოპარკს აშენებენ.

აღმზრდელობითი ჯგუფი მთელი წლის განმავლობაში ცვლის და აახლებს აქტივობის ცენტრებისათვის განკუთვნილ მასალას, ბავშვთა ინტერესებისა და განვითარების შესაბამისად. თუ სივრცე საკმარისია, შესაძლებელია ზემოთჩამოთვლილ აქტივობებს ახალი აქტივობები დაემატოს. მაგალითად, ხეზე მუშაობა, კულინარია და ზეიმების მოწყობა.

აღმზრდელთა ჯგუფი ზრუნავს გარემოს შექმნაზე. მასწავლებელი ბავშვებს ისე ესაუბრება, რომ გარკვეული თემისადმი ინტერესი აღუძრას, ცნობისმოყვარეობა გაუღვივოს. გარდა ამისა, მასწავლებლები გულდასმით აკვირდებიან ყოველ ბავშვს, რომ არ გამოეპაროთ მათ განვითარებაში მომხდარი ცბლილებები და დროულად მოაწოდონ შესტყვისი მასალა. ჯგუფური და ინდივიდუალური აქტივობები ჩვეულებრივ, ერთი კვირით არის ხოლმე დაგეგმილი, მშობელთა და მასწავლებელთა ერთობლივი მუშაობის შედეგად და მუდამ გარკვეული დავალების შესრულებისაკენ არის მიმართული. როდესაც მშობლები საპროგრამო კლასის მუშაობას ესწრებიან, თავად რწმუნდებიან, რაოდენ ენერგიულად საუბრობენ, მსჯელობენ და სწავლობენ მათი შვილები. მართლაც ბავშვები ყოველდღიურად ახალ-ახალ ცოდნას იძენენ და ყველა იმ საჭირო ჩვევას ეუფლებიან, რაც შემოქმედებითი და ნაყოფიერი პიროვნების ჩამოყალიბებას განაპირობებს“ (1. გვ.1-10.).

მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი ოჯახის როლს და მონაწილეობას სასწავლო პროცესში.პროგრამა ითვალისწინებს, რაოდენ დიდია ოჯახის ზეგავლენა ბავშვზე და მიიჩნევს, რომ სწორედ ოჯახია პირველი მასწავლებელი. ყოველი მშობლის სანუკვარი ოცნებაა, შვილმა მომავალში წარმატებას მიაღწიოს და ღირსეულ, წარმატებულ მოქალაქედ აღი-

ზარდოს. ამდენად, მშობლები უფრო აქტიურად უნდა ჩაებან შვილების აღზრდა-განათლების პროცესში და ხელი შეუწყონ მათ წინსვლას. როგორც აღვნიშნეთ ჩვენი პროგრამა მხარს უჭერს ბავშვთა სწავლების პროცესში მშობელთა მონაწილეობას. ამისათვის უამრავი გზა და ხერხი არსებობს: მაგალითად, მეზობელი ოჯახების დამეგობრება, რამდენიმე ოჯახთან ერთობლივი მუშაობა და სხვა. პროგრამის აღმზრდელობითი ჯგუფი და ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ხელს უწყობს ყველა ოჯახს, აქტიურად ჩაებას პროგრამის ყველა ასპექტში.

პროგრამა ითვალისწინებს ე.წ. საოჯახო ოთახის შექმნას. ამ ოთახში მშობლები ხვდებიან მასწავლებლებს, ეცნობიან ლიტერატურას, სადაც ბავშვთა განვითარების პროცესია აღწერილი ან განხილულია მონაცემები ბავშვთა ჯანმრთელობის, მათი დისციპლინის შესახებ. მშობლებს შეუძლიათ ეს ლიტერატურა შინაც წაიღონ, ამ ოთახში ტარდება მშობელთა კრებები და სემინარები. მშობლებს მოხალისეებად იწვევენ, სთავაზობენ შეძლებისდგავარად დაეხმარონ აღმზრდელობით ჯგუფს სხვა მშობლებთან ურთიერთობის დამყარებაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვაში და ა. შ. ზოგიერთი მშობელი, სასურველია მასწავლებლის თანაშემწედაც ავიყვანოთ სამსახურში; დანარჩენებს, თავისუფალ დროს თავ-თავისი წვლილი შეაქვთ პროგრამის წარმატებით განხორციელებაში. მაგალითად, ეხმარებიან მასწავლებელს სამუშაო გარემოს შექმნაში, თან დაჰყვებიან ექსკურსიებსა და ლაშქრობებში და სხვა.

აღმზრდელობითი ჯგუფისა და ოჯახების ურთიერთთანამშრომლობა „ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ამ თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმაა საოჯახო და სასკოლო ჟურნალების შემოღება, რომლებშიც აღინიშნებს ყოველი ბავშვის წარმატება და ჩამორჩენა. შესაძლებელია, აგრეთვე მშობელთა აქტივის შექმნა, მშობელთა კრებებისა და სემინარების მოწვევა, მასწავლებელთა სტუმრობა მოსწავლეთა ოჯახებში, მშობელთა კრებები და კონფერენციები რეგულარულად უნდა ტარდებოდეს. ამ კრებებზე მასწავლებლები და მშობლები იმსჯელებენ არსებულ პრობლემებსა და ხარვეზებზე, მეთოდის დადებითი და უარყოფით მხარეებზე. აქვე ერთობლივად დასახავენ ახალ გეგმას ბავშვის შინ და სკოლაში სწავლების შესახებ.

პროგრამის მეორე მნიშვნელოვანი კომპონტია მშობელთა კომიტეტის დაარსება, რომელიც დროდადრო ხვდება აღმზრდელობით ჯგუფს და მსჯელობს პროგრამის მიმდინარეობაზე. ცხადია, კომიტეტი მოსწავლეთა მშობლებისაგან შედგება, თუმცა, არ არის გამორიცხული საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც ავირჩიოთ წევრებად. მშობელთა კომიტეტი ოჯახებთან ცალკე მუშაობს, რათა სრულად შესწავლოს და შეაფასოს ყოველი ბავშვის ოჯახური მდგომარეობა.

და ბოლოს, „ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამა მიზნად ისახავს კარგად შეკრული ორგანოს ჩამოყალიბებას, რომელშიც ერთმანეთის გვერდიგვერდ ითანამშრომლებენ ბავშვების მშობლები, მასწავლებლები და საზოგადოების წარმომადგენლები. ამ ორგანოს წევრები ერთად იმსჯელებენ იმ საკითხებზე, რომლებიც ბავშვთა განვითარებას და მათ ოჯახებთან მჭიდრო ურთიერთობას უწყობს ხელს.

პროგრამაში საუბარია განვითარების შესატყვის აქტივობებზე. განვითარების შესატყვის ორ ასპექტს გამოყოფენ: ასაკობრივ შესატყვისობას და ინდივიდუალურ შესატყვისობას. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ასაკობრივი შესატყვისობა. ადამიანის განვითარების შესახებ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ბავშვები დაბადებიდან სამი წლის ასაკამდე განვითარების წინასწარ დადგენილ, უნივერსალურ სისტემას ექვემდებარებიან. ეს ცვლილებები ბავშვთა განვითარების ყველა სფეროს მოიცავს: ფიზიკურს, ემოციურს, სოციალურსა და შემეცნებითს. ცოდნა ბავშვთა ტიპიური განვითარების შესახებ საფუძვლად უდევს განვითარების პროგრამას და აღმზრდელობითი ჯგუფის მიერ სასწავლო გარემოს შექმნასა და პროგრამის დაგეგმვას განაპირობებს.

იმისათვის რომ განვითარების შესატყვისი აქტივობები შევთავაზოთ ბავშვებს, აღმზრდელთა ჯგუფს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ბავშვთა განვითარების სტადიები. მასწავლებლებმა ისიც კარგად უნდა იცოდნენ, რომ წინასწარდადგენილი განვითარების საფეხურების მიუხედავად, თავად სტადიები და მათგან გამომდინარე ცვლილებები ყველა ბავშვისათვის ერთდროული არ არის. ამდენად, ერთ კლასში განვითარების სხვადასხვა დონის ბავშვთა არსებობა გარდაუვალია.

ტიპიური განვითარების სქემაში, რომელიც წიგნის მეორე თავს ერთვის, აღწერილია მცირე და დიდი კუნთების მოტორული განვითარების შესაბამისი ვადები, საკომუნიკაციო უნარის, აზროვნების, მეტყველების, სოციალურ და საყოფაცხოვრებო ჩვევების განვითარების საფეხურები. იმისათვის რომ, სასწავლო პროგრამა სწორად დაიგეგმოს, მასწავლებლებმა რეგულარულად უნდა გადახედონ ხოლმე განვითარების სქემას.

როდესაც საკლასო მუშაობა არ შეესატყვისება განვითარების დონეს, ბავშვები გულგატეხასა და იმედგაცრუებას განიცდიან. „ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამა მიზნად ისახავს ბავშვებმა წარმატების სიამოვნება განიცადონ და არა გულგატეხა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლებმა ყველაფერი როფი უნდა გაუადვილონ ბავშვებს. პირიქით, ბავშვებს დასაძლევი, მაგრამ რთული ამოცანები უნდა დაუსახოთ რათა, ინტერესი არ გაუნელდეთ“ (1. გვ.1-12.).

ინდივიდუალური შესატყვისობა. ყოველ ბავშვს განვითარების და წინსვლის ინდივიდუალური გზა და ტემპი აქვს. თუმცა, ყოველი ბავშვის პიროვნული თვისებები, ათვისების უნარი და საოჯახო პირობები განსხვავებული და განუმეორებელია. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროგრამაც და უფროსების დამოკიდებულებაც ყოველ ბავშვთან მისი ინდივიდუალური მონაცემების შესატყვისად უნდა განისაზღვროს. ყოველი ბავშვის ცოდნა ძველი გამოცდილებისა და ახალ საგნებთან, ცნებებთან და ადმიანებთან ურთიერთობათა ჯამია. ამდენად ყოველი ახალი გამოცდილება ზუსტად უნდა შეესატყვისებოდეს ბავშვის განვითარების დონეს, ბავშვში ინტერესსა და შემეცნების უნარს აღვიძებდეს.

იმისათვის რომ საკლასო მუშაობა ყოველ ბავშვს ინდივიდუალურად შეესატყვისებოდეს, აღმზრდელთა ჯგუფმა თითოეული ბავშვი კარგად უნდა შეისწავლოს, უნდა განისაზღვროს ბავშვის მონაცემები, სუსტი და ძლიერი მხარეები, საჭიროებანი, ინტერესები, ტემპერამენტი და ამის შესაბამისად დადგინდეს სწავლების მეთოდი. აგრეთვე, საჭიროა, ყოველი აქტივობის ცენტრის პოტენციურ შესაძლებლობათა კარგად ცოდნა.

ის ბავშვები, რომლებიც თავისი განვითარების დონისა და შესაძლებლობების შესაბამისად საქმიანობენ, თავს მუდამ კარგად გრძნობენ, ახალი საგნების დაუფლებისა და შესწავლისაკენ ისწრაფვიან, ხოლო ის ბავშვები, რომლებიც განვითარების დონისათვის შეუფერე-

ბელ, ზედმეტად რთულ ან მარტივ მოთხოვნებს ვუყენებთ, როგორც წესი, ინტერესს მალე კარგავენ, იღლებიან, ბეზრდებათ და გული უცრუვდებათ.

„**ინდივიდუალიზაცია თამაშის პროცესში.** თამაში ყველა გონივრულად დაგეგმილი საბავშვო პროგრამის სული და გულია. მეცნიერული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ თამაშს ბავშვების ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. თამაში და განვითარება თანხვედრი პროცესია, ამდენად, გარემო ბავშვებისათვის ისე უნდა დაიგეგმოს, მათ საკმარისი დრო ჰქონდეთ თავისუფალი თამაშისათვის. თამაშის მრავალი სახეობა არსებობს: მარტო თამაში სათამაშოებით ან საგნებით, არაორგანიზებული თამაში ორ ბავშვს შორის, ჯგუფური წარმოდგენების გამართვა თოჯინებით, ორგანიზებული ჯგუფური თამაში უფრო მოზრდილი ბავშვებისათვის და სხვა. სპეციალისტებს მიაჩნიათ:

„თამაში აუცილებელია ბავშვების შემეცნებითი და მოტორული განვითარებისათვის, სწორედ თამაშის საშუალებით ერკვევიან ბავშვები სოციალურ სამყაროში და იქ თავის ადგილს აგნებენ. ბავშვებს სოციალური ჩვევები თანატოლებთან თამაშში უვითარდებათ - ეუფლებიან ქცევისა და ურთიერთობის წესებს, წარმოდგენა ექმნებათ სამართლიანობასა და უსამართლობაზე, ბავშვებთან ურთიერთობისას გამოიცდებიან და უყალიბდებათ თვითშეფასების გრძნობა. მოკლედ, ბავშვი სხვა ბავშვებთან თამაშში ვითარდებიან ფიზიკურად, პიროვნულად და ინტელექტუალურად“.

„ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამა ითვალისწინებს თამაშის უაღრესად დიდ მნიშვნელობას ბავშვის განვითარებაში. აღმზრდელობითი ჯგუფი ცდილობს თამაშისათვის მიმზიდველი გარემო შექმნას კლასებშიც და კლასების გარეთაც. ყოველი აქტივობის ცენტრების მუშაობა ისეა დაგეგმილი, რომ ყოველი საქმიანობა ზუსტად შეესაბამებოდეს თითოეული ბავშვის ნიჭსა და უნარს, ინტერესებს, ოჯახურ პირობებსა და საერთო განვითარების დონეს. ამდენად, ყოველი აქტივობის ცენტრი ერთგვარი ლაბორატორიაც არის ბავშვის ინიციატივის, ნიჭისა და წარმოსახვის უნარის გამოსამჟღავნებლად.

აქტივობის ცენტრების თემატიკა განსაზღვრავს კლასის მოწყობილობასა და გარემოს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი კონკრეტული ცენტრი არ ზღუდავს ახალი აქტივობის დამატებასა და ჩართვას მუშაობის პროცესში. მაგალითად, თოჯინებს ბავშვები ხელოვნების ცენტრში ამზადებენ, მაგრამ იგივე თოჯინები შეიძლება გამოვიყენოთ კუბურების ცენტრში მუშაობისას, როდესაც ბავშვები კუბურებით თეატრალურ სცენას აშენებენ, ანდა დრამწრეში, სადაც თოჯინების თეატრს აწყობენ. მასალის ამგვარი თავისუფალი გამოყენება კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ პროგრამის შინაარსი ძირითადად ბავშვების ინტერესებზეა დამოკიდებული.

დღის განრიგში საგანგებო დროა გამოყოფილი იმისათვის, რომ ბავშვი გაერკვეს და დამოუკიდებლად აირჩიოს, რომელ ცენტრში სურს მუშაობა. ბავშვები არ არიან ჩვეულნი ამგვარი მრავალფეროვანი გარემოსა და აღჭურვილობის ხილვას, ამიტომაც თავიდან ცენტრიდან ცენტრში სირბილის სურვილი უჩნდებათ, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი თავისი ინტერესების შესაბამის ცენტრს ირჩევენ. თამაშიც და მუშაობაც უშუალო და თავისუფალი უნდა იყოს, ამიტომაც ბავშვებს სურვილისამებრ შეუძლიათ ცენტრიდან ცენტრში გადასვლა.

იმისათვის რომ ბავშვები გარკვეული მიმართულებით განვითარდნენ, უფროსებმა ისეთი თამაშები უნდა დაგეგმონ, რომლებიც მათ შემეცნებით და ემოციურ განვითარებას შეუწყობს ხელს. ბავშვთა ფსიქოლოგ სტენლი გრინსპენს, რომელიც წლების მანძილზე იკვლევდა ბავშვთა ემოციურ მოთხოვნილებებს, მიაჩნია, რომ მშობლებმაც და მასწავლებლებმაც საგანგებოდ უნდა შეარჩიონ დრო, როდესაც შეეძლებათ ბავშვებთან ერთად იატაკზე ითამაშონ (გრინსპენი, 1989). იატაკზე ბავშვის გვერდით მოკალათებულ უფროსს საშუალება ეძლევა, ნამდვილი ბავშვივით ჩაერთოს თამაშში, ისე უხელმძღვანელოს თამაშის მსვლელობას, რომ ბავშვებმა დამოუკიდებლად წარმართონ თამაშები.

ცენტრში თავმოყრილი მასალები ბავშვში სტიმულს აღძრავს ყველა შეგრძნება ჩართოს თამაშის პროცესში. ექსპერიმენტების, ცდის, კვლევისა და აღმოჩენების შედეგად, ბავშვები თავად აგნებენ პასუხებს საკუთარ კითხვებზე, დამოუკიდებლად მოიპოვებენ ინფორმაციას.

სწორედ აქედან იწყება არჩევანის, პრობლემის დასმისა და გადაწყვეტის უნართა ჩამოყალიბება, კრიტიკული აზროვნების განვითარება, თვალსაწიერის გაფართოება.

ყოველი ცენტრიდან ზუზუნი და ხმაური მოისმის, რადგან ბავშვები თანატოლებთან ურთიერთობენ. როგორც აღვნიშნეთ, ბავშვი სხვებთან ურთიერთობაში იძენს სოციალურ ჩვევებს. თამაშის პროცესში ბავშვებს უვარჯიშდებათ დიდი და მცირე კუნთები, მზერისა და მოქმედების კოორდინაცია.

მასწავლებელს ბავშვებსა და გარესამყაროს შორის შუამავლის როლი აკისრია. მასწავლებელთა მოვალეობაა განავრცონ და უფრო საინტერესო გახადონ თამაშისა და მუშაობის პროცესი. ისინი ბავშვებს ისეთ შეკითხვებს უსვამენ, რომლებიც უფრო ინტენსიურ აზროვნებას მოითხოვს. მათ კარგად იციან, როდის უნდა მიაწოდონ ბავშვს ახალი შესატყვისი ინფორმაცია, როგორ დაეხმარონ წინააღმდეგობათა დაძლევაში, როდის შესთავაზონ ახალი თუ დამატებითი მასალა ან როდის დაგეგმონ ისეთი ექსკურსიები, რომლებიც ბავშვებს კიდევ უფრო გაუძლიერებს ინტერესს გარკვეული თემისადმი. ის მასწავლებლები, რომელთაც უყვართ და შეუძლიათ თამაში, უკეთეს სათამაშო გარემოს ქმნიან“ (1. გვ.1-14.).

პროგრამაში საუბარია ბავშვზე ორიენტირებული თეორიის პრაქტიკულად განხორციელებაზე. სადაც აღნიშნულია, რომ ბავშვზე ორიენტირებული ჯგუფების შექმნა ორ ძირითად პრინციპს ეფუძნება. ეს პრინციპებია:

1. ბავშვები თავად იძენენ ცოდნას, გარე სამყაროსთან ურთიერთობის პროცესში გამოცდილების დაგროვების გზით.
2. მასწავლებლები ხელს უწყობენ ბავშვის წინსვლასა და განვითარებას მისი ინტერესების, საჭიროებების, მოთხოვნილებებისა და ნიჭის შესატყვისი სასწავლო პროგრამის განხორციელებით.

საკლასო ოთახი ერთგვარ ლაბორატორიას წარმოადგენს, სადაც ბავშვი მრავალ ცდას ატარებს. იგი ხან მკვლევარია და მეცნიერი, ხან მხატვარი. სწორედ მასწავლებელმა უნდა აქციოს საკლასო ოთახი ლაბორატორიად და თავი მოუყაროს იმ მასალას, რომელიც ბავშვის შემოქმედებით უნარს გამოამჟღავნებს და თან საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად აღმოაჩინოს, იკვლიოს და გადაწყვიტოს პრობლემები.

მასწავლებლები იმდენად აფასებენ ბავშვის იდეებს, რომ სწორედ ამ იდეების საფუძველზე ადგენენ სასწავლო პროგრამას. მასწავლებლები ბავშვთა მუშაობისა და თამაშის პროცესის თანამონაწილეები არიან. ისინი მაგალითს აძლევენ ბავშვებს და ამგვარად ასწავლიან სოციალურ ჩვევებს, მაგალითად, როგორ უნდა დაეხმარო სხვას, როგორ უნდა იზრუნო მოყვასზე და ა. შ. აქტივობის ცენტრებში მუშაობისას მასწავლებლები გულდასმით უსმენენ ბავშვებს, აკვირდებიან, იწერენ შენიშვნებს და შემდგომ შესაბამის დასკვნებს აკეთებენ. სწორედ ამ დასკვნების საფუძველზე ადგენენ სამუშაო გეგმებს და ეძიებენ ყოველ ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობის ხერხებს. ასეთ პირობებში, ანუ მაშინ, როდესაც მასწავლებლები ცდილობენ ბავშვებმა ინტერესების შესაბამისად იმუშაონ, თავად ბავშვებს საკუთარი თავის რწმენა და თვით-ინიციატივა უვითარდებათ.

მასწავლებელს შემოაქვს კლასში განწყობილება. იგი თავად არის იმ თვისებების განსახიერება, რომელთა აღზრდაც მოსწავლეებში სურს. ეს თვისებებია: გულისყური, ზრუნვა, ენთუზიაზმი, ცნობისმოყავრეობა. მასწავლებელს არც ის უნდა დაავიწყდეს, რომ გართობაც საჭიროა. ძნელად თუ რამე შეედრება იმ სიხარულს, რომელსაც ბავშვი განიცდის, როდესაც ის მასწავლებელთან ერთად თხზავს მოთხრობას ან უბრალოდ ხუმრობს. ხალისიან მასწავლებელს სწავლის პროცესში სიცოცხლე და აღტაცება შეაქვს, ხოლო ცივი, მკაცრი მასწავლებელი ხშირად აფრთხობს ბავშვს და მის განვითარებას აფერხებს.

მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად წარმართავენ სწავლების პროცესსაც და თამაშსაც. თავიდანვე ინაწილებენ როლებს. იციან, ვინ რას უნდა უხელმძღვანელოს, ვინ უნდა დასვას შეკითხვა და ვინ უნდა უპასუხოს. მასწავლებელი ბავშვებს აქეზებს თავად უხელმძღვანელონ სასწავლო პროცესს.

სწორედ მასწავლებელი ქმნის კლასში განწყობილებას. იგი თავად არის იმ თვისებების განსახიერება, რომელთა აღზრდაც სურს მოსწავლეებში. ეს თვისებებია: გულისყური, სიყვარული, მზრუნველობა, ენთუზიაზმი, ცოდნისმოყვარეობა. მასწავლებელმა არ უნდა დაივიწყოს, რომ გართობა და ხალისი მუშაობისას აუცილებელია. ძნელად თუ რამე შეედრება იმ სიხარულს, რომელსაც ბავშვი განიცდის როდესაც იგი მასწავლებელთან ერთად მოთხრობას თხზავს, ხუმრობს, ოხუნჯობს ან თავის ინტერესებზე მსჯელობს.

მხიარულ, გულითად მასწავლებელს სიცოცხლე შეაქვს სწავლის პროცესში და ბავშვის აღტაცებას იმსახურებს, ხალისდაკარგული და მკაცრი მასწავლებელი კი პირიქით, ბავშვებსაც აფრთხობს და მისი მისწრაფებების განვითარებასაც აფერხებს.

ჩვენი პროგრამის მონაწილე მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად წარმართავენ და ხელმძღვანელობენ მუშაობისა და გართობის პროცესებს. ისინი დელიკატურად ადგენენ ვინ რას უნდა უხელმძღვანელოს, ვისი რიგია, შეკითხვა დასვას ან უპასუხოს. მასწავლებლები აქეზებენ ბავშვებს თავად უხელმძღვანელონ საქმიანობას. ყოველი შემოქმედებითი წინადადება ქებასა და დაფასებას იმსახურებს. მასწავლებლები ბავშვის სასარგებლოდ იყენებენ მის მრავალფეროვან ინტერესებსა და თამაშის სიყვარულს. აქ ბავშვს მრავალი შესაძლებლობა ეძლევა უშუალო კონტაქტი დაამყაროს ადამიანებთან, საგნებთან, გარე რეალობასთან, რაც ხელს უწყობს მის ინტელექტუალურ წინსვლას.

ყოველი აქტივობის ცენტრი ბავშვს სწავლისათვის მრავალფეროვან არჩევანს თავაზობს. მართალია, აქტივობის თემატიკა და პროექტები მასწავლებლის მიერ იგეგმება, მაგრამ უთუოდ ბავშვთა ინტერესებს ეყრდნობა და ზოგჯერ ამ ინტერესებიდან გამომდინარე სრულიად იცვლება.

„ბავშვებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იმუშაონ იმ თემაზე ან პროექტზე, რომელიც მათ არ აინტერესებთ. სწორედ ამიტომ, საკლასო ოთახში არჩევანის მრავალი შესაძლებლობაა. როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა აქტივობის ცენტრებში სამუშაოდ განსხვავებულ მასალასა და საგნებს იყენებენ და ბავშვებს მუდამ აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ.

ბავშვზე ორიენტირებული ჯგუფები:

- ბავშვებს არჩევანის შესაძლებლობა აქვთ
- ბავშვები აქტიურად თამაშობენ
- სამუშაო მასალის რაოდენობა არ არის შეზღუდული
- ბავშვები ერთად თამაშობენ და უყვართ ერთმანეთი
- ბავშვები პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს

„ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამის მიზანია ყოველდღიური განრიგი წინასწარ იყოს განსაზღვრული და ბავშვთა უსაფრთხოებას ითვალისწინებს. მასალა ბავშვთა განვითარების შესატყვისად უნდა შეირჩეს და მასალის რაოდენობა არ უნდა იყოს შეზღუდული. მასწავლებლები აკვირდებიან ბავშვების ურთიერთობას თანატოლებთან მათ დამოკიდებულებას სამუშაოს მიმართ, მათ დაინტერესებას მასალით და ამ დაკვირვების საფუძველზე განსაზღვრავენ ბავშვთა განვითარების საფეხურს და მათს მოთხოვნილებებს. ბავშვებს თავიდანვე აჩვევენ ერთმანეთისადმი პატივისცემას და სიყვარულს, რაც სკოლამდელი პროგრამის ამოსავალი წერტილია“ (1. გვ.1-16.).

ამრიგად „ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამის მთავარი მიზანია, თითოეული ბავშვი ისე განვითარდეს, რომ შემდეგი თვისებები ჩამოუყალიბდეს:

შემოქმედების, წარმოსახვის, გამომგონებლის უნარი.

კრიტიკული აზროვნება და არჩევანის გაკეთების უნარი.

პრობლემის დასმისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარი.

სიყვარული და მზრუნველობა საზოგადოებაზე, ქვეყანასა და გარემოზე.

ამ თვისებათა აღზრდისათვის „ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამა მიზნად ისახავს, ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომლის ცენტრსაც ბავშვი წარმოადგენს. ეს პროგრამა ხელს უწყობს ბავშვებს დამოუკიდებლად შეიმეცნონ:

ფიზიკური სამყარო – გაზომვის, აწონვის, კუბურებით მშენებლობის, ხეზე მუშაობის, ქვიშასა და წყალთან თამაშის, ბორბლების, თოკებისა და საღებავების მეშვეობით.

სოციალური და კულტურული ინფორმაცია – თამაშის, კულინარიის, კითხვის, დრამატულ თამაშში და საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობით.

ლოგიკა და მათემატიკა – გაზომვის, შედარების, თვლის, გამოთვლის, ტოლი სიდიდეების აღმოჩენის, წესრიგის, თანმიმდევრობის, შერჩევისა და კლასიფიკაციის მეშვეობით.

წერა-კითხვა და მეტყველება – კითხვის, წერის, ხატვის, კარნახის, მოსმენის და საკუთარი მოსაზრებათა გამოთქმის გზით.

იმდენად, რამდენადაც პროგრამის საფუძველი არის ბავშვის განვითარების თეორია, სასწავლო პროგრამა მთლიანად ბავშვზე არის ფოკუსირებული ანუ ითვალისწინებს ბავშვის განვითარების ყველა ასპექტს: ფიზიკურს. სოციალურს, ემოციურსა და შემეცნებითს. პროგრამა ხელს უწყობს:

ფიზიკურ განვითარებას – მოძრაობის, ცოცვის, ჭრა-კერვის, ხატვის, წერისა და ჩაცმის საშუალებით.

სოციალურ-ემოციურ განვითარებას – კამათის, კონფლიქტების მოგვარების, გრძნობათა გამოხატვის, იმპულსების მართვის, სხვების მიმართ პატივისცემის, ზრუნვისა და ინიციატივის გამომჟღავნებით, გაძღოლისა და გაყოლის უნარის განვითარებით, საგნებისადმი ფაქიზი დამოკიდებულებისა და თანამშრომლობის უნარის გამომუშავებით.

გონებრივ განვითარებას – პრობლემის გადაწყვეტის გზით, საგანთა კლასიფიკაციის, წესრიგისა და ლოგიკური აზროვნების გამომუშავების, აზროვნების ორგანიზაციის, განსჯის, აზრის გამოთქმის შესაძლებლობის განვითარებით.

„ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამა იზიარებს განვითარების თეორიის პრინციპებს, კონსტრუქციული სწავლების თვალსაზრისს და საგანმანათლებლო პროგრესულ კონცეფციებს.

UNICEF-ის მონაცემებით 2005 წლისათვის,საქართველოში სკოლამდელი განათლების 3-5 წლის ასაკის ბავშვების დაახლოებით 43% სწავლობდა.სკოლამდელი დაწესებულებების დიდი წილი უფრო მეტად ქალაქზე მოდიოდა.საქართველოში მშობლების უმრავლესობისათვის საბავშვო ბაღი ძირითადად ბავშვის უსაფრთხო გარემოში დატოვებისა და არა ბავშვის განვითარებისათვისა და აღზრდისათვის აუცილებელი საშუალებას წარმოადგენს.

რაც შეეხება სამართლებრივ საფუძვლებს, 2006 წლამდე სკოლამდელი განათლების მართვა ცენტრალურ დონეზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ხდებოდა.

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მიხედვით, „საქართველოს სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით“. აღნიშნული ჩანაწერი უმთავრესი საფუძველია იმისათვის, რომ სახელმწიფოში არსებობდეს სკოლამდელი აღზრდის ისეთი სისტემა, სადაც მოზარდის სრულფასოვანი განვითარების ყველა პირობა იქნება უზრუნველყოფილი.

სკოლამდელი და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის №308/ნ ბრძანებით დარეგულირებულია სკოლამდელი აღზრდის სფეროს შემდეგი მიმართულებები:

- მოთხოვნები მიწის ნაკვეთისადმი;
- მოთხოვნები შენობებისადმი;
- მოთხოვნები ბუნებრივი და ხელოვნური განათებისადმი;
- ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების შენობათა ხელოვნური განათებისათვის რეკომენდაციები;
- მოთხოვნები სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობისადმი;
- მოთხოვნები სათავსების მოწყობისადმი;
- მოთხოვნები სათავსებისა და ნაკვეთის სანიტარიული მდგომარეობისადმი;

- მოთხოვნები სითბურ-საჰაერო რეჟიმისადმი;
- მოთხოვნები კვების ბლოკის აღჭურვილობის, პროდუქტების შენახვისა და საკვების მომზადებისადმი;
- პერსონალის პირადი ჰიგიენა;
- მოთხოვნები სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა მიღების წესებისადმი;
- მოთხოვნები დღის რეჟიმისა და სასწავლო მეცადინეობის ორგანიზებისადმი;
- მოთხოვნები კვების ორგანიზებისადმი;
- მოთხოვნები ფიზიკური აღზრდის ორგანიზებისადმი;
- ფიზიკური აღზრდის მეცადინეობათა სახეები და სამუშაოს ფორმები;
- მოთხოვნები სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჰიგიენური სწავლებისა და აღზრდისადმი;
- პასუხისმგებელობა სანიტარიული წესების დაცვაზე.

ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის №280/ნ ბრძანება, სკოლამდელ დაწესებულებებში არეგულირებს შემდეგ საკითხებს:

- ზოგადი მოთხოვნები კვების ორგანიზებისადმი;
- სხეულის ჭარბი წონის მქონე ბავშვების კვება;
- ალერგიული ბავშვების კვება;
- რეკონვალესცენტ ბავშვთა კვების თავისებურებანი;
- მოთხოვნები კვების ბლოკის აღჭურვილობის, პროდუქტების შენახვისა და საკვების მომზადებისადმი;
- კვების ბლოკის თანამშრომელთა პირადი ჰიგიენა;
- საკვები პროდუქტების ორგანოლეპტიკური შეფასება;
- მოთხოვნები ბავშვთა და მოზარდთა აღმზრდელობით და სასწავლო დაწესებულებებში სადეზინფექციო ღონისძიებებისადმი.

ორგანულ კანონში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ სკოლამდელი განათლების საკითხები შემდეგი მუხლებში არის აკუმულირებული.

2006 წლიდან განხორციელდა სისტემის დეცენტრალიზაცია და სკოლამდელი განათლების სფეროს მართვა და დაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებლობის ქვეშ მოექცა.არ არსებობდა ბავშვის განვითარების სტანდარტი, არც საგანმანათლებლო პროგრამის სახელმღვანელო დოკუმენტი და სწავლა-აღზრდის განსაზღვრული მეთოდოლოდია. ამ წელს მოხდა სკოლამდელი განათლების სისტემის რეორგანიზაცია და შედეგად ადგილობრივ თვითმმართველობებს დაეკისრათ სკოლამდელი განათლების დაწესებულების შექმნის,ათი დებულებების დამტკიცების, საქმიანობის მართვისა და დაფინანსების ვალდებულება.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის კ[1] პუნქტის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობა:

- აფუძნებს სკოლამდელ სააღმზრდელო, სკოლის გარეშე საგანმანათლებლო, სკოლის გარეშესაგანმანათლებლო სააღმზრდელო და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით;
- აღნიშნული კანონის 26-ე მუხლი ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილებას ზოგადი განათლების სფეროში, რაც გულისხმობს სამინისტროს მიერ აღნიშნულ სფეროში პოლიტიკის განსაზღვრას, ეროვნული სასწავლო გეგმების შემუშავებას და სხვ.

UNICEF-მა 2007 წელს საქართველოში პირველად ჩაატარა სკოლამდელი დაწესებულებების ორგანიზაციული,საგანმანათლებლო და ფიზიკური გარმოს მახასიათებლების დეტალური შეფასება ECERS-R მეთოდით.UNICEF-ის მონაცემებით,თბილისში 164 საბავშვო ბაღია,სადაც 43700 ბავშვი ირიცხება.მთლიანად საქართველოში 1200-მდე სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებაა.კერძო საბავშვი ბაღები სკოლამდელი დაწესებულებების სულ 2 % შეადგენს და მათი უმეტესობა თბილისსა და საქართველოს მსხვილ ქალაქებშია.

2007 წლიდან პროფესიული საზოგადოების და აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ორგანოების მხრიდან მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პრობლემებზე. მართალია, არ შემუშავებულა სკოლამდელი განათლების ერთიანი კონცეფცია, მაგრამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და UNICEF-ის ძალისხმევით დაიწყო ბავშვთა ადრეულლი განვითარების სტანდარტზე მუშაობა, საბავშვო ბაღებისათვის შემუშავდა სააღმზრდელო გეგმა და საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც 2012 წლიდან უკვე იყენებენ საბავშვო ბაღები.

2010 წელს გამოიცა „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები“, 2011 წელს „საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო“, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ 2012 წელს შემუშავდა „სასწავლო სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის“, 2015 წელს ‘სასკოლო მზაობის პროგრამა“. ქვემოთ შემოგთავაზებთ თითოეული მათგანის მოკლე შინაარს და ანალიზს.

ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები (2010 წ.). ადრეული ასაკი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ადამიანის ფიზიკურ, გონებრივ, სოციალურ და ემოციურ განვითარებაში. შესაბამისად ამ ასაკში მიღებული გამოცდილება დიდ გავლენას ახდენს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პროცესსა და მიღწევებზე. ბავშვის სრულფასოვანი და მრავალმხრივი განვითარებისათვის საჭირო გარემოსა და პირობების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს, მშობლების, სასწავლო დაწესებულებებისა და თემის ერთობლივი მონდომებისა და ძალისხმევით.

1994 წელს ბავშვთა უფლებების დეკლარაციის რატიფიცირებით საქართველომ დაადასტურა, რომ აღიარებს ყოველი ბავშვის უფლებას ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას. ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტები სწორედ ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებს ეხმიანება და საზოგადოების ფართო წრისთვის არის შექმნილი. სტანდარტებს საფუძვლად უდევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მი-

ნისტრის 2008 წლის 11 ნოემბრის № 958 ბრძანებით დამტკიცებული სკოლამდელი განათლების ეროვნული მიზნები.

ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტების მთავარი დანიშნულებაა საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიურ განვითარებას; ხელი შეუწყოს მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებას და მის სასკოლო მზაობას. ამ დოკუმენტის ძირითადი სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ იგი შედეგზეა ორიენტირებული: ჯერ განსაზღვრულია შედეგი, რომელსაც გვინდა რომ მიაღწიოს ბავშვმა და შემდეგ ისახება ამ შედეგის მისაღწევი გზა. სტანდარტის ამგვარი სტრუქტურა ბავშვთან ინდივიდუალური მიდგომისა და საგანმანათლებლო პროგრამის მისი საჭიროებების მიხედვით ამოქმედების შესაძლებლობას იძლევა. აღმზრდელს შეუძლია იხელმძღვანელოს სტანდარტით, დააკვირდეს ბავშვს და შეურჩიოს ის აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

სტანდარტების საფუძველზე შესაძლებელია შეიქმნას მშობელთა საგანმანათლებლო პროგრამები ბავშვის აღზრდისა და განვითარების შესახებ, რომლებიც პოპულარულ ენაზე გააცნობს მეურვეებს (აღმზრდელებსა და მშობლებს) ბავშვის განვითარების თავისებურებებს და ამ მიმართულებით კონკრეტულ რჩევებსაც შესთავაზებს. აგრეთვე შესაძლებელია, სტანდარტების დოკუმენტი საფუძვლად დაედოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამას და მასწავლებელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებს. შტანდარტების გამოყენება შეუძლიათ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს პროფესიონალებსაც.

სტანდარტების სტრუქტურა, შინაარსი და მიზნები. დოკუმენტში ბავშვის განვითარება პირობითად ხუთ სფეროდ არის დაყოფილი: ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება, შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა, სწავლისადმი მიდგომა, მეტყველების განვითარება და სოციალურ-ემოციური განვითარება.

ყოველი "სფერო" "ქვესფეროებს" მოიცავს, რომლებიც, თავის მხრივ, "მიმართულებებს" აერთიანებს. თითოეულ "მიმართულებაში" განსაზღვრულია "შედეგები". "შედეგი" არის ბავშვის განვითარებაში დასახული კონკრეტული მიზანი. ასაკის მატებასთან ერთად ბავშვის განვითარების მიზნები უცვლელია. მიზნის მიღწევაზე ზრუნვა გრძელდება ზოგადი განათლების მიღების ბოლო ეტაპამდე, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ როგორც უნარ-ჩვევების, ასევე დამოკიდებულებებისა და ღირებულებების განვითარებისათვის საფუძვლის ჩაყრა ადრეული ასაკიდანვე დაიწყოს. ამდენად, სტანდარტებში განსაზღვრული "შედეგები" დაბადებიდან 6 წლამდე არ იცვლება. იმისათვის, რომ კონკრეტულ ასაკში ვიცოდეთ, რა უნდა კეთდებოდეს თითოეული "შედეგის" მისაღწევად, თითოეული შედეგისათვის განსაზღვრულია "ინდიკატორები". სწორედ "ინდიკატორი" არის შედეგის მიღწევის მაჩვენებელი და ასაკის მიხედვით განვითარების დონის შესაბამისად იცვლება. "ინდიკატორები" არის მკაფიო, ნათლად აღწერს ბავშვის ქცევას, რომელიც აღმზრდელმა ან მშობელმა ადვილად უნდა შეიცნოს და შემდგომში მასზე შესძლოს დაკვირვება.

მაგ: **შედეგი I : ბავშვი განასხვავებს მოვლენათა მიმდინარეობისას წარსულს, აწმყოსა და მომავალს**

ინდიკატორი 3-დან 5 წლამდე: იყენებს დროსთან დაკავშირებულ სიტყვებს (მაგ., დღე/ღამე, გუშინ/დღეს).

ინდიკატორი 5-დან 6 წლამდე: ადეკვატურად იყენებს დროის აღმნიშვნელ სიტყვებს: გუშინ, დღეს, ხვალ; სწორად პასუხობს კითხვაზე, როგორი ამინდი იყო გუშინ.

ყოველ შედეგს ინდიკატორების გარდა თან ახლავს "რჩევები მეურვეთათვის", რომლებიც აღმზრდელებსა და მშობლებს სთავაზობს იმ აქტივობებს, რომლებიც დაეხმარება ბავშვს დასახული შედეგის მიღწევაში. "რჩევები მეურვეთათვის" ზოგადი ხასიათისაა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მოყვანილია კონკრეტული მაგალითებიც. "მეურვეში" იგულისხმება ის ადამიანი, რომელიც ზრუნავს ბავშვის აღზრდა-განვითარებაზე, ეს შეიძლება იყოს როგორც მშობელი, ოჯახის სხვა წევრი, ასევე საბავშვო ბაღის მასწავლებელი ან აღმზრდელი.

რჩევები მეურვეთათვის

ესაუბრეთ ბავშვს იმის შესახებ, თუ რა მოხდება მომავალში ან/და რა მოხდა წარსულში (მაგ., "ამ დილით საუზმეზე რა ჭამე?", ან "ხვალ სადილისათვის რა მოგიმზადო?").

არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე ასაკისათვის არ არის მითითებული ინდიკატორი, მაგ.:

შედეგი III:

ბავშვი ამჟღავნებს საკუთარი და სხვა ქვეყნების კულტურისა და ტრადიციების ცოდნას, პატივისცემას

ინდიკატორები

0-6 თვე

6-12 თვე

- ამჩნევს ადამიანებს შორის არსებულ მარტივ განმასხვავებელ ნიშნებს (მაგ.: ამჟღავნებს ინტერესს ადამიანის მიმართ, რომელიც ატარებს სათვალეს ან განსაკუთრებული ბრწყინვალების მქონე სამკაულს).

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ასაკში მოცემული შედეგის განვითარების დამადასტურებელი მაჩვენებელი არ ვლინდება, ანუ – 0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვი ვერ აჯგუფებს საგნებს ზომის, ფორმისა და დანიშნულების მიხედვით, მაგრამ იმისათვის, რომ ეს უნარი განუვითარდეს, მას უნდა ჰქონდეს სხვადასხვაგვარი სათამაშო, რაც მითითებულია რჩევაში.

ასევე არის შემთხვევა, როდესაც შედეგის ქვეშ კონკრეტულ ასაკში შეტანილია ინდიკატორი, რომელიც ამ უნარის განვითარებისათვის მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენს. მაგ.: 6-დან 12 თვემდე ბავშვი სხვა ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების ცოდნას ვერ გამოამჟღავნებს, მაგრამ დამოკიდებულების განვითარებას თავისი მოსამზადებელი ეტაპები აქვს: იწყება მარტივი თვალსაჩინო განსხვავების შემჩნევით (მაგ. სათვალის ტარება), ამას მოჰყვება თვალსაჩინო, მაგრამ უფრო რთული განსხვავების შემჩნევა და მიღება (მაგ. სხვა ენაზე საუბარი), ამგვარი განსხვავებების შემჩნევასა და მიღებას კიუკვე ეფუძნება პატივისცემა.

პრინციპები, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა სტანდარტების შექმნის პროცესში

- თითოეული ბავშვი თავისებურად სწავლობს და ვითარდება, რადგან ყოველ ბავშვს აქვს სწავლის ინდივიდუალური სტილი და განსხვავებული უნარები;

- ბავშვი სწავლობს გარემოს აქტიური შემეცნებისა და უსაფრთხო გარემოში (რომელშიც ცხოვრობს, სწავლობს, თამაშობს) საკუთარი აღმოჩენების გზით;
- ბავშვი სწავლობს მოზრდილებთან და თანატოლებთან ურთიერთობის დროს;
- ბავშვი ახალს სწავლობს წარსულში შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, რასაც საფუძველი ეყრება ბავშვის სხვა ბავშვებთან თამაშისა და მათთან სოციალური ურთიერთობების დროს;
- ბავშვები სწავლის პროცესში საუკეთესო შედეგებს აღწევენ მაშინ, როდესაც ჯანმრთელნი და სრულფასოვნად ნაკვებნი არიან;
- ბავშვს საკუთარი ძალების რწმენა მაშინ ეუფლება, როდესაც მას ყოველდღიური საქმიანობისას არჩევანის უფლება არ ეზღუდება;
- ბავშვის უპირველესი აღმზრდელები და მასწავლებლები ბავშვის ოჯახის წევრები არიან.

სტანდარტების გამოყენების გზები:

- დოკუმენტი შეიძლება საფუძვლად დაედოს ადრეული ასაკის ბავშვზე ზრუნვისა და აღზრდის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, ერთიანი, ინტეგრირებული სისტემის შექმნას;
- სტანდარტების შინაარსი დაეხმარება იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ მშობელების, ბავშვის აღზრდისა და ბავშვის განვითარების პროგრამებზე;
- სტანდარტების დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროცესისათვის აუცილებელი გარემოს ორგანიზებასა და მოწყობისათვის, რომელიც პასუხობს ბავშვის მრავალმხრივი განვითარების მოთხოვნებს;
- სტანდარტების დოკუმენტი არის სახელმძღვანელო საშუალება მასწავლებლების, მშობლებისა და აღმზრდელებისათვის, რათა მათ შეუქმნან ბავშვებს შესაფერისი სასწავლო და სააღმზრდელო გარემო;
- დოკუმენტში მოცემულია რჩევები მასწავლებლებისა და მშობლებისათვის, რათა მათ კონკრეტული აქტივობით ხელი შეუწყონ ბავშვის უნარების განვითარებას. დოკუმენტში მოყვანილია მარტივი თამაშები და მითითებები, რომელთა გამოყენებით უფროსებს საშუალება მიეცემათ მიზანმიმართულად იმუშაონ ბავშვის თითოეული შედეგის მისაღწევად;
- მასწავლებლებს შეეძლებათ დაგეგმონ სასწავლო პროცესი და მიუსადაგონ სასწავლო აქტივობები სტანდარტების დოკუმენტში ჩამოყალიბებულ მიზნებსა და ბავშვის განვითარების შედეგებს;
- სტანდარტები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მასწავლებელთა საგანმანათლებლო პროგრამების შედგენისა და დანერგვის პროცესში;
- სტანდარტების დოკუმენტი სახელმძღვანელო ხასიათისაა და მისი გამოყენება შესაძლებელია სასწავლო და სააღმზრდელო ფორმალურ და, ასევე, არაფორმალურ გარემოში. სტანდარტებში ჩამოყალიბებული ინფორმაცია დაეხმარება მშობლებს, მასწავლებლებსა და აღმზრდელებს, რომ მათ უკეთ წარმართონ ბავშვის აღზრდისა და განვითარების პროცესი.

სტანდარტების გამოყენება დაუშვებელია:

- სტანდარტების გამოყენება დაუშვებელია ბავშვის ფიზიკური თუ გონებრივი უნარების სამედიცინო ან მეცნიერული შეფასებისათვის. სტანდარტებში ჩამოყალიბებული ინფორმაციის გამოყენება არ შეიძლება ბავშვებისათვის "იარლიყის" მინიჭების მიზნით ან ბავშვების აღრიცხვაზე აყვანისა და მათი სწავლების შემდეგ საფეხურზე გადაყვანის შეფერხების მიზნით;
- დაუშვებელია სტანდარტების დოკუმენტში ასახული მოლოდინებისა და სურვილების ნორმატივად გამოყენება, როდესაც ვაფასებთ ბავშვის განვითარებასა და მიღწევებს სწავლაში. სტანდარტში მითითებული ვადები მხოლოდ საორიენტაციო ხასიათისაა და არ ნიშნავს, რომ ყველა ბავშვს კონკრეტულ ასაკში უნდა შეეძლოს ამა თუ იმ ინდიკატორის ჩვენება (ითვლება, რომ სტანდარტებში მოცემული ინდიკატორების ჩვენება შეუძლია ბავშვების 40-60%-ს). მეორე მხრივ, მითითებული ვადები ხელს უწყობს მშობელსა და მასწავლებელს, რომ მხედველობაში იქონიონ ბავშვის გავითარების ყველა სფერო და დაეხმარონ ბავშვს მრავალმხრივ განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები შეიძლება ერთ ინდიკატორს განსხვავებულ დროში აღწევდნენ, უფრო მოგვიანებით, ვიდრე ეს მითითებულია სტანდარტების დოკუმენტში. განსაკუთებული ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვები კი, ალბათ ზოგიერთ ინდიკატორს უფრო ადრე მიაღწევენ, ვიდრე სხვა დანარჩენი ბავშვები.
- წინამდებარე დოკუმენტი არ წარმოადგენს ბავშვის განვითარების ნიშნების ნაკრებს, ეს არის დამხმარე საშუალება სწავლა-აღზრდის პროცესის წარმართვისათვის. თუ ბავშვი მიეკუთვნება განსაკუთრებული საჭიროების მქონეთა კატეგორიას, მისთვის ექიმების, ფსიქოლოგების, პედაგოგებისა და სხვა სპეციალისტების მონაწილეობით უნდა შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც აისახება სტანდარტით განსაზღვრული ყველა სფერო, მაგრამ წარმოდგენილი იქნება კონკრეტული ბავშვისათვის შემუშავებული ინდიკატორები, რომლებიც ხელს შეუწყობს მის განვითარებას.

სწავლისა და განვითარების სფეროების მოკლე მიმოხილვა.

სფერო - **ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება**

სიცოცხლის პირველი წლების განმავლობაში ადამიანის სხეული მუდმივად და მნიშვნელოვნად იცვლება. ეს ცვლილებები გამოიხატება არა მხოლოდ ბავშვის სიმაღლეში ზრდასა და სხულის მასის მატებაში, არამედ მისი აღნაგობისა და პროპორციების ცვლილებებში, კოორდინაციის უნარისა და მოძრაობის დახვეწაში.

ბავშვის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მისი ადეკვატური ზრდისა და განვითარების ერთ--- ერთი აუცილებელი პირობაა. ქვემოთ წარმოდგენილ სფეროში **ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება**

გაერთიანებულია შემდეგი ქვესფეროები:

- მოტორული განვითარება;
- ფიზიკური განვითარება;
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

მოტორული განვითარება არის ბავშვის უნარი, სხვადასხვა ჯგუფის კუნთების ამოქმედებით შეასრულოს ესა თუ ის მოძრაობა. მოტორული განვითარება მოიცავს მსხვილ, ანუ უხეშ

და წვრილ, ანუ დახვეწილ მოტორიკასა და სენსომოტორულ, ანუ მგრძნობელობით-მოძრაობით უნარებს.

- **მსხვილი მოტორიკა (უხეში მოტორიკა)** არის ბავშვის უნარი, აკონტროლოს კიდურები და მსხვილი კუნთები, რომელთა საშუალებითაც იგი ახერხებს თავის დაჭერას, ჯდომას, სიარულს, სირბილსა და სხვა.
- **წვრილი მოტორიკა (ნატიფი მოტორიკა)** არის ბავშვის უნარი, აკონტროლოს წვრილი, თხელი კუნთები (მაჯისა და თითების მომხრელი და გამშლელი კუნთები და თვალის სწორი და ირიბი კუნთები, რომლებიც განსაზღვრავენ მხედველობის მიმართულებას), რომელთა საშუალებითაც იგი ახერხებს თვალი გააყოლოს საგნებს, მოეჭიდოს სათამაშოს და სხვა.
- **სენსომოტორული (მგრძნობელობით-მოძრაობითი) ჩვევები** გამოხატავს ბავშვის უნარს, გრძნობათა ორგანოების (მხედველობის, ყნოსვის, სმენის, გემოვნების, შეხების) გამოყენებით შეასრულოს გარკვეული მოძრაობები, შეძლოს კოორდინირება და გარემოს აღქმა თუ შეცნობა. სენსორულ--- მოტორული განვითარების ერთ--- ერთი საკვანძო ასპექტია თვალისა და ხელის კოორდინაცია.

ბავშვის მოტორული განვითარება **3 ძირითად კანონზომიერებას** ეფუძნება:

- მოძრაობის უნარის განვითარება, რომელიც იწყება ზემოდან ქვევით, ანუ თავიდან ფეხებისაკენ (კრანიოკაუდალური მიმართულება). ჯერ იწყება მზერის ფიქსაცია, შემდეგ – თვალის კოორდინირებული მოძრაობა, თავის დაჭერა, მერე – ზედა კიდურების, ტანისა და ბოლოს ქვედა კიდურების მოძრაობა.
- მოძრაობითი უნარების განვითარება მიმდინარეობს ცენტრიდან პერიფერიისაკენ ანუ განშტოებებისაკენ (პროქსიმოდისტალური). თავდაპირველად იხვეწება იმ კუნთების მოძრაობა, რომლებიც სხეულის ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული. ამდენად, ადამიანი ჯერ სწავლობს თავის დაჭერას და შემდეგ ვითარდება ხელის ტაცების მოძრაობა.
- მსხვილი (უხეში) და წვრილი (ნატიფი) მოტორიკის პროგრესირებადი, მზარდი განვითარება გულისხმობს არაკოორდინირებული, მარტივი მოძრაობების თან დათანობით სპეციფიკური და რთული მოძრაობებით შეცვლას.

ფიზიკური განვითარება ზრდის დინამიკური პროცესია, რომელიც დამოკიდებულია, ერთი მხრივ გენეტიკურ, ხოლო, მეორე მხრივ, გარემო ფაქტორებზე. ზრდის დინამიკური პროცესი გულისხმობს სხეულის მასის, სიგრძის, თავისა და გულმკერდის გარშემოწერილობების მატებას, სხეულის ცალკეული ნაწილის პროპორციების ჩამოყალიბებასა და ბავშვის ორგანიზმის ბიოლოგიურ მომწიფებას.

მართალია, ბავშვის ფიზიკური ჩვევები და უნარები გარკვეული კანონზომიერებით ვითარდება, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ყველა ბავშვი უნიკალურია და განვითარების ტემპიც ინდივიდუალური აქვს. მაგალითად, ბავშვების მცირე ნაწილმა შეიძლება საერთოდ გამოტოვოს "ცოცვის" ეტაპი და პირდაპირ დგომასა და სიარულზე გადავიდეს.

ბავშვის ფიზიკური ჯანმრთელობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პირადი ჰიგიენისა და მოვლის საბაზისო უნარ--- ჩვევების ცოდნაზე. კარგი ფიზიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობა განაპირობებს ბავშვის ენერგიულობას, ძალას, ამტანობასა და მოქნილობას. ეს

საშუალებას აძლევს ბავშვს, ჩაერთოს სხვადასხვა აქტივობაში, გამოხატოს ინტერესი, მოახდინოს ყურადღების კონცენტრაცია, რაც მეტად მნიშვნელოვანია სწავლის პროცესში.

უსაფრთხოება ფიზიკური კეთილდღეობის სრულყოფილების მნიშვნელოვანი ასპექტია. უსაფრთხოებისათვის აუცილებელია ორი პირობის შესრულება. ესენია:

- ბავშვის დაცვა ზიანის მომტანი სხვადასხვა ნივთიერებისა და სიტუაციის ზემოქმედებისაგან;
- ბავშვისათვის იმის სწავლება, თუ როგორ მოერიდოს სახიფათო ნივთს და როგორ აიცილოს თავიდან სხვადასხვა საშიში სიტუაცია.

ამ უნარების განვითარებისათვის ბავშვმა უნდა ისწავლოს უსაფრთხოების წესები და რეგულაციები, ანუ მოძრაობების წარმართვა. უნდა იცოდეს, როდის და როგორ ითხოვოს დახმარება და გაიაზროს, რომ არსებობს ზღვარი უსაფრთხოებასა და საშიშროებას შორის.

ძირითადი სტრატეგიები:

მშობლებმა და მომვლელებმა ხელი უნდა შეუწყონ თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ ზრდასა და განვითარებას, რათა მან გამოავლინოს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოჯახისა და გარემოს თავისებურებებისა თუ სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად.

ფიზიკური კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და მოტორული განვითარების ხელშეწყობისათვის ყველა ბავშვთან, დაბადებიდან სკოლაში შესვლამდე, საჭიროა შემდეგი სტრატეგიების გამოყენება:

- აუცილებელი, ყველასათვის დადგენილი და მისაღები სამედიცინო მომსახურება და ვაქცინაციის უზრუნველყოფა;
- ადეკვატური, ასაკის შესაბამისი კვება;
- განვითარების სტიმულაცია, ანუ ხელშეწყობა და წახალისება;
- სხვადასხვა თამაშისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა;
- ადეკვატური, შესაბამისი გარემო პირობების შექმნა შინ და გარეთ;
- ბავშვის სათამაშო გარემოში უსაფრთხოების პრინციპების დაცვა;
- სიტყვიერი, მხედველობითი და ფიზიკური მინიშნებების გამოყენება, რათა ბავშვი მიხვდეს, რა უნდა გააკეთოს;
- ბავშვის სურვილების გათვალისწინება და მისი აზრებისა და ემოციის პატივისცემა.

სფერო – **შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა**

შემეცნება არის ცოდნის მიღების პროცესი, წარმოდგენების შექმნა სამყაროს მოვლენების, მათი თანაარსებობისა და თანმიმდევრობის შესახებ. შემეცნებით განვითარებას ეტაპობრიობა ახასიათებს, კერძოდ, განვითარების ყოველი შემდგომი ეტაპი ეფუძნება წინა ეტაპზე მიღებულ გამოცდილებას.

შემეცნებითი უნარების, შესაძლებლობის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარების პირველი წლები. ბავშვს ცოდნის შეძენასთან ერთად უვითარდება ის ფუნქციები, რომელთა მეშვეობითაც ამ ცოდნას იძენს. ადამიანს სამყაროს შესახებ წარმოდგენა ადრეული ასაკიდანვე ექმნება, დასაწყისში ეს გამოიხატება მხოლოდ ხმაზე ან მხედვე-

ლობით გამღიზიანებელზე რეაქციით, თანდათან შემეცნებითი პროცესები ვითარდება, ადამიანი აღიქვამს, იმახსოვრებს გარე სინამდვილეს, წარმოიდგენს და აანალიზებს მას.

შემეცნებით განვითარებას საციცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება როგორც ყოველდღიური ფუნქციონირებისათვის, ასევე წარმატების მისაღწევად. შემეცნებითი განვითარებისათვის საჭიროა, ბავშვს განუვითარდეს რაოდენობრივი წარმოდგენები, ჩასწვდეს მოვლენებს შორის სივრცით, დროით და მიზეზშედეგობრივ კავშირებს.

ცოდნის თვალსაზრისით ბავშვი იღებს ინფორმაციას როგორც ფიზიკური, ისე სულიერი სამყაროს შესახებ ადამიანებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის საშუალებით. ასევე მნიშვნელოვანია, ჩართული იყოს შემოქმედებით პროცესებში და ჰქოდეს თვითგამოხატვის მრავალფეროვანი საშუალება. ყოველივე ეს ხელს უწყობს, რომ ბავშვს შეექმნას წარმოდგენა ადამიანის სპეციფიკურ მახასიათებლებზე, შემომოქმედებაზე, ზოგადად კულტურაზე და სოციალურ მახასიათებლებზე – ოჯახზე, საზოგადოებაზე.

შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა აერთიანებს ოთხ ქვესფეროს:

- ესთეტიკა და კულტურა
- ბუნება და ტექნოლოგია
- რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარება
- მოვლენებს შორის მიმართებების წვდომა.

ესთეტიკა და კულტურა მოიცავს ბავშვის უნარს გამოხატოს და წარმოადგინოს საკუთარი თავი, მისი შინაგანი სამყარო მუსიკის, ცეკვის, ხატვისა და სხვა ვიზუალური და გამომსახველობითი ხელოვნების საშუალებით. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს ბავშვის მიერ ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების სწორ აღქმას, გაგებასა და დაფასებას.

ამ ქვესფეროში ასევე დიდი ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორია ბავშვის მიერ საკუთარი თავის აღქმა სხვებთან მიმართებით, მისი წარმოდგენა იმ სოციალურ გარემოზე, რომელშიც იზრდება. აქ იგულისხმება გათვითცნობიერებულობა ოჯახის, საზოგადოებისა და კულტურის თვალსაზრისით. ეს ქვესფერო მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- შემოქმედების აღქმა და გაგება
- შემოქმედებითი თვითგამოხატვა
- ოჯახი, საზოგადოება და კულტურა.

ბუნება და ტექნოლოგია გულისხმობს ბავშვის უნარს გაიგოს, შეიმეცნოს ფიზიკური გარემო, დააკვირდეს, გამოიკვლიოს, ჩაატაროს ექსპერიმენტები იმ პროცესებზე, რომლებსაც თვალსაჩინო შედეგი მოსდევს. გარემოს შესახებ ცოდნის შეძენით ბავშვი ინფორმაციას იღებს, მაგ., დედამიწის და ცოცხალი ბუნების შესახებ. ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარება ბავშვს ეხმარება გამოსცადოს და გამოიყენოს მიღებული ცოდნა ასაკის შესაბამის პრაქტიკაში, ექსპერიმენტის დროს.

რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარება მოიცავს ანგარიშს, გაზომვას და კანონზომიერებების დადგენას. ყველა ამ უნარს მნიშვნელოვანი ღირებულება აქვს იმისათვის, რომ ბავშვს შეეძლოს იმ მათემატიკური საკითხების გადაჭრა, რომელიც მას ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიძლება შეხვდეს. ეს ქვესფერო მოიცავს:

- ანგარიშს;

- გაზომვას;
- კანონზომიერების დადგენას.

მოვლენებს შორის მიმართებების წვდომა რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს.

დროითი მიმართებები გულისხმობს – როდის ხდება კონკრეტული მოვლენა? – წარსულში, აწმყოსა თუ მომავალში. ასევე მოვლენათა თანმიმდევრობას, ხანგრძლივობასა და თანხვედრას.

სივრცითი მიმართებები გულისხმობს – საგანთა მდებარეობის აღქმას – სად მდებარეობს კონკრეტული საგანი? ჩემს ზევით, ქვევით და ა.შ. საგანთა ურთიერთგანლაგების აღქმასა და წარმოდგენას.

მიზეზეზშედეგობრიობა გულისხმობს – საგნების ან მოვლენების დაკავშირებას ერთმანეთთან, იმის გარკვევას, თუ რა იწვევს ცვლილებას, რა ზემოქმედება განაპირობებს მას.

ძირითადი სტრატეგიები:

ყოველი ბავშვი ინდივიდუალურია. თითოეული მათგანი ვითარდება და სწავლობს სხვადასხვა გზით და სხვადასხვა დონეზე. ქვემოთ მოცემული სტრატეგიები უნდა გამოიყენებოდეს ყველა ბავშვისათვის, რათა ხელი შევუწყოთ მათი შემეცნებითი უნარების განვითარებას.

- შეუქმენით ისეთი გარემო, სადაც შემოქმედებითობა, ორიგინალურობა და მრავალფეროვნება იქნება დაფასებული.
- მიეცით საშუალება და შეუქმენით საკუთარი იდეების, გრძნობების, ემოციების სხვადასხვა საშუალებებით გამოხატვის პირობები.
- გამოყავით დრო, რათა შეისწავლოთ თითოეული ბავშვის ყოველდღიური გამოცდილება როგორც სახლში, ასევე მის გარეთ.
- გამოიყენეთ თქვენი ცოდნა და გააფართოვეთ ბავშვის წარმოდგენები, შეხედულებები, გამოცდილება სამყაროს შესახებ.
- თქვენი სწავლების მეთოდები და მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებს.

სფერო – **სწავლისადმი მიდგომა**

ადამიანს სამყაროს მიმართ დაბადებიდანვე აქტიური შემეცნებითი დამოკიდებულება აქვს.

ბავშვის ცნობისმოყვარეობა პირველივე თვეებიდან იჩენს თავს და ვითარდება მთელი სიცოცხლის მანძილზე. სწავლისადმი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სფეროა სასკოლო მზაობისათვის. ბოლო წლებში მეცნიერები და პედაგოგები დიდ ყურადღებას უთმობენ ამ სფეროს კვლევასა და განვითარებას.

სწავლისადმი მიდგომა აერთიანებს სწავლისადმი დამოკიდებულებასა და სასწავლო უნარ-ჩვევებს. ამიტომ, სწავლისადმი მიდგომა მჭიდროდ უკავშირდება როგორც შემეცნებით, ასევე სოციალურემოციურ სფეროს. სწავლისადმი დამოკიდებულება მოიცავს მოტივაციურ ასპექტებს, რომლებიც ხსნის რატომ და რისთვის სწავლობს ბავშვი, ხოლო სასწავლო უნარ-ჩვევები კი მოიცავს შემეცნებით ასპექტებს, რომლებიც ხსნის, თუ როგორ სწავლობს

ბავშვი. ამ პრინციპზე დაყრდნობით სწავლისადმი მიდგომაში გამოვყავით **ორი ქვესფერო: მოტივაცია და სასწავლო უნარები.**

მოტივაცია არის ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიური საფუძველი. ის აძლევს ბიძგს მოქმედებას. სწავლის მოტივაცია განაპირობებს მოსწავლის ჩართვას სწავლის პროცესში. ოტივაცია თავის მხრივ მოიცავს:

- **ცნობისმოყვარეობას და ინტერესს,** რომელიც გამოხატავს ბავშვის ცნობისწადილით აღსავსე დამოკიდებულებას, ახალი ინფორმაციის მოპოვების, ახალი გამოცდილების შეძენისა და სწავლის სურვილს.
- **ინიციატივას და დამოუკიდებლობას,** რომელიც გამოხატავს ბავშვის მზაობას ჩაერთოს მოქმედებაში, ნებაყოფლობით, თავისი სურვილით მიიღოს მონაწილეობა სასწავლო აქტივობებში, გამოიჩინოს გამბედაობა სიახლის ათვისებაში.

სასწავლო უნარები გულისხმობს ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების გზასა და სტილს. სასწავლო უნარები მოიცავს:

- **ყურადღების კონცენტრაციას,** რომელიც გამოხატავს ბავშვის უნარს მიმართოს ყურადღება საქმიანობაზე და ბოლომდე შეინარჩუნოს იგი, არ გადაერთოს სხვა საკითხზე მის წინაშე დასმული ამოცანის შესრულებამდე.
- **შემოქმედებითობასა და გამომგონებლობას,** რომელიც გამოხატავს ბავშვის უნარს, გაიღრმაოს არსებული ცოდნა, გამოიყენოს წარმოსახვა და გონებაში გარდაქმნას ფორმები და სახეები, რომლებსაც იმ მომენტში რეალურად ვერ ხედავს.
- **პრობლემის გადაჭრ**ას, რომელიც გამოხატავს ბავშვის უნარს გაუმკლავდეს რთულ სიტუაციას, მოძებნოს გამოსავალი და რამდენიმე ხერხით სცადოს პრობლემის გადაჭრა.
- **აზრის გამოხატვ**ასა **და რეალობასთან კავშირს,** რომელიც ემსახურება ბავშვის ეტაპობრივ მომზადებას სიმბოლოების გამოყენებისა და გაგებისათვის. განზოგადების უნარის განვითარებას.
- **გააზრებას და ინტერპრეტაცი**ას, რომელიც გამოხატავს მოსწავლის უნარს, ისწავლოს გამოცდილებაზე დაყრდნობით – გაიგოს, აითვისოს ინფორმაცია და გამოიყენოს გამოცდილება იმისათვის, რომ წინასწარ მოიაზროს, დაგეგმოს მომავალი მოქმედება.
- **კრიტიკულ აზროვნებასა და კვლევას,** რომელიც გამოხატავს ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების პროცესებს, საშუალებებს. ბავშვი ამ ასაკში სამყაროს შესახებ ინფორმაციას ძირითადად ობიექტებთან უშუალო კონტაქტით, მოსინჯვით, ცდისა და შეცდომის მეთოდით იღებს. იკვლევს ობიექტებს, მასალებსა და მათ მახასიათებლებს, აღმოაჩენს ცვალებადობასა და განმეორებადობას, მსგავსებასა და განსხვავებას. სვამს შეკითხვებს, როგორ და რატომ მოქმედებენ საგნები ამგვარად.

ძირითადი სტრატეგიები

თითოეულ ბავშვს ახასიათებს განვითარების ინდივიდუალური ტემპი და უპირატესი, ანუ მისთვის ყველაზე ახლობელი, გამორჩეული სფერო, ასევე სწავლის სტილი და ინფორმაციის მიღების უპირატესი, უფრო მეტად განვითარებული არხი (მხედველობითი, სმენითი, მოტორული) აქვს. უფროსმა უნდა გაითვალისწინოს ეს მრავალფეროვნება და ერთი

მხრივ, გაუადვილოს ბავშვს ინფორმაციის მიღება, ხოლო მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს მას, თანდათანობით აითვისოს სწავლის სხვადასხვა ხერხები.

- დაუთმეთ დრო თითოეული ბავშვის ყოველდღიური გამოცდილების შესწავლას სახლში, საზოგადოებაში;
- შეუქმენით ინფორმაციის სხვადასხვა გზით მიღების საშუალება, რათა ბიძგი მიეცეს მათ განვითარებას! აამოქმედებინეთ ხუთივე შეგრძნება (მხედველობა, სმენა, შეხება, ყნოსვა, გემო);
- მიეცით მრავალფეროვანი გამოცდილების მიღების საშუალება, რათა ხელი შეუწყოთ შემოქმედებითობის განვითარებას და წინ აღუდგეთ სტერეოტიპების ჩამოყალიბებას;
- გულისხმიერებით მოეკიდეთ ბავშვის შემეცნებით ინტერესებს, გაეცით კორექტული პასუხი მის შეკითხვებს, დააკმაყოფლეთ მისი ინტერესები;
- ეთამაშეთ და ესაუბრეთ ბავშვს ყოველდღე, რათა ხელი შეუწყოთ და წაახალისოთ მის მიერ გარემოს შემეცნება! მიეცით დრო, რათა დაუფიქრდეს მოვლენებს, ობიექტებს და შეძლოს აღმოჩენის გზით სწავლა;
- გაუმარტივეთ რთული, კომპლექსური ამოცანა, დაყავით შედარებით მცირე, მარტივ ნაწილებად და განუსაზღვრეთ ამ ამოცანის გადასაჭრელად დასახული ნაბიჯების თანმიმდევრობა;
- დღის განმავლობაში ჩართეთ ბავშვი მრავალფეროვან მოქმედებებში, რათა შეუნარჩუნოთ მაღალი მოტივაცია და ინტერესი.

სფერო – მეტყველების განვითარება

მეტყველება, ენა და აზროვნება ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ენა აზრის გამოხატვის საშუალებაა. ენას თავისი კანონები აქვს, რომელიც საერთოა ერთ ენაზე მოსაუბრე ადამიანებისათვის. რა განსხვავებაა ენასა და მეტყველებას შორის? მეტყველება ამოქმედებული ენაა, რომელსაც კონკრეტული ადამიანი სხვადასხვა შინაარსის გამოსახატავად იყენებს. ასხვავებენ წერითსა და ზეპირ მეტყველებას. მეტყველების განვითარება კომპლექსური პროცესია, რომელიც დაბადებიდან იწყება ზეპირი მეტყველების განვითარებით. ადამიანის მეტყველების პირველი ნიშა ნია ღუღუნი, რომელიც თანდათან ხანგრძლივდება, ემოციურ ელფერს იძენს და ტიტინში, შემდეგ კი სიტყვების წარმოთქმაში გადაიზრდება. წერით მეტყველებას ბავშვი სასკოლო ასაკში ეუფლება, თუმცა ადრეულ ასაკში ბავშვს ესაჭიროება წერითი მეტყველების ასათვისებლად მომზადება, წინაწერითი (გრაფიკული) უნარებისა და კითხვითი საბაზისო უნარების განვითარება. სფეროში – მეტყველების განვითარება – გაერთიანებულია **ორი ქვესფერო: მეტყველება და წიგნიერება.**

მეტყველება გულისხმობს ზეპირ მეტყველებას, ბავშვის უნარს, ერთი მხრივ, გამოთქვას თავისი შეხედულებები, ფიქრები, მეორე მხრივ, მოისმინოს და აღიქვას გარშემომყოფების ნათქვამი. ძეპირ მეტყველება მოცავს: რეცეპციულ მეტყველებას (რა ესმის), ექსპრესიულ მეტყველებას (რისი თქმა შეუძლია) და პრაგმატულ განვითარებას (რა სიტუაციაში და როგორ იყენებს ენის ცოდნას). გამოიყოფა მეტყველების სხვადასხვა ტიპები:

რეცეპციული მეტყველება გულისხმობს მოსმენასა და მოსმენილის გაგების უნარს. ბავშვი მიუთითებს დასახელებულ საგანზე ან ასრულებს დასახელებულ მოქმედებას (უთითებს სად არის თოჯინა, სადა აქვს ცხვირი; თხოვნაზე, დაუკრას ტაში, უკრავს ტაშს), ასე იწყება რეცეპციული მეტყველების უნარის განვითარება. შემდგომში ბავშვის ლექსიკური მარაგი იზრდება, ესმის მეტი სიტყვის მნიშვნელობა, უვითარდება რთული გრამატიკული სტრუქტურისა და ვრცელი ტექსტის გაგების უნარი.

პროდუქტიული, ექსპრესიული მეტყველება მოიცავს ბავშვის უნარს სიტყვიერად გამოხატოს სხვადასხვა შინაარსი. ბავშვი იწყებს ღუღუნს, ტიტინს, სიტყვების, ფრაზების წარმოთქმას. თანდათან ბავშვი სულ უფრო მეტ სიტყვას იყენებს საუბრის დროს, აგებს რთულ გრამატიკულ და სინტაქსურ კონსტრუქციებს, ეუფლება გაბმულ მეტყველებას.

პრაგმატული განვითარება გულისხმობს დიალოგის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას, გასაგები კომუნიკაციისა და თხრობის უნარის გამომუშავებას. რა მიზნით და რა სიტუაციაში იყენებს ენას ბავშვი? პრაგმატული განვითარება იწყება მოთხოვნილებისა და სურვილის გამოხატვით და სრულდება წარმატებული კომუნიკაციით. კომუნიკაცია შეიძლება იყოს ვერბალური და არავერბალური, ვერბალური კომუნიკაცია მოიცავს შინაარსის სიტყვიერ გამოხატულებას, ხოლო არავერბალური კი – ჟესტიკულაციას – სახის გამომეტყველებას, სხეულის მოძრაობას, ინტონაციასა და სხვა არასიტყვიერ მახასიათებლებს. წარმატებული ურთიერთობის დროს მოსაუბრე სათქმელის ჩამოყალიბებისას ითვალისწინებს მსმენელის ინტერესებს და იმ სიტუაციას, რომელშიც მიმდინარეობს მათი ურთიერთობა. თავის მხრივ, მსმენელი ცდილობს ჩასწვდეს არა მარტო სიტყვების მნიშვნელობას, საუბრის თემას, არამედ მოსაუბის მიზანიც ამოიცნოს.

წიგნიერება გულისხმობს წერითი მეტყველების დაუფლებისათვის მომზადებას, წერა--კითხვის მიმართ ინტერესის გაღვივებასა და დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ბავშვის გათვითცნობიერებას იმ საკითხებში, თუ როგორ და რა მიზნით გამოიყენება ნაბეჭდი მასალა. აღნიშნული ქვესფერო აერთიანებს წერისა და კითხვის მიმართულებას:

კითხვის მიმართულება ემსახურება იმ საბაზისო უნარების განვითარებას, რომლებიც ხელს უწყობს შემდგომში კითხვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას (მაგ.:: მეტყველების ნაკადში ბგერებისა და სიტყვების გამორჩევის (ფონოლოგიური) უნარები, ნაბეჭდ მასალასთან მოპყრობის ჩვევა). კითხვის დროს ადამიანი იღებს ინფორმაციას სხვადასხვა დანიშნულების ტექსტებიდან. როდესაც ბავშვს მხატვრულ ლიტერატურას უკითხავენ, უნდა შეეძლოს ესთეტიკური სიამოვნების განცდა; როდესაც საგანმანათლებლო ტექსტებს აცნობენ, შემეცნებითი ინფორმაციის მიღება უნდა შეძლოს, ხოლო, თუ წერილობით ინსტრუქციას გააცნობენ, ამ უკანასკნელის შესაბამისად მოქმედება უნდა შეძლოს.

წერის მიმართულება ემსახურება წინაწერითი (გრაფიკული) უნარების განვითარებას: ხელით ზუსტი მოძრაობების შესრულებას, იმის გათავისებას, რომ ნაწერი სიტყვებისაგან შედგება და რაღაცას აუცილებლად აღნიშნავს.

ძირითადი სტრატეგიები:

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ თითოეულ ბავშვს განვითარების ინდივიდუალური ტემპი ახასიათებს. ყველა ბავშვი საჭიროებს სიყვარულს, მზრუნველობასა და განვითარების ხელშეწყობას. მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისათვის ყველა ბავშვთან დაბადებიდან სკოლაში შესვლამდე საჭიროა შემდეგი სტრატეგიების გამოყენება:

- ბავშვის საუბრისა და ურთიერთობის წახალისება. ხშირი საუბარი და ურთიერთობა ბავშვთან. საუბრისას სახის გამომეტყველების, ჟესტების, ინტონაციის გამოყენება და მარტივი და გამართული ენით საუბარი;
- ურთიერთობის დადებითი მაგალითის მიცემა, კომუნიკაციის ძირითადი სოციალური ნორმების დაცვა;
- ნატიფი მოტორიკის განვითარების ხელშეწყობა სპეციალურ გასაფერადებელთა გაფერადებით, ხატვით, ძერწვით, მოზაიკის აწყობით და სხვ.;
- წიგნიერების (კითხვის, წერის) დადებითი მაგალითის მიცემა. დასურათებული წიგნების დათვალიერება, წიგნების წაკითხვა, ბავშვთან თამაში დასურათებული კუბურებით, რომლებზეც ნახატთან ერთად შესაბამისი ასოა გამოხატული;
- უზრუნველყოფა იმ მასალითა და სათამაშოებით (სახატავი საშუალებებით, პლასტილინით, წიგნებით, გასაფერადებლებით, ასაწყობებითა და სხვ.), რომლებიც ხელს უწყობს წერისა და კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებას;
- იმ ოჯახებში, რომლებშიც ქართული მეორე ენაა, მნიშვნელოვანია ოჯახის წევრებმა ხელი შეუწყონ იმ მარტივი ქართული სიტყვების სწავლებას, რომლებიც ყოველდღიურ ურთიერთობაში გამოიყენება.

სფერო - სოციალურ-ემოციური განვითარება

ადამიანის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. სოციალურ-ემოციური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ემოციური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, შეძლოს საკუთარი გრძნობების გაგება და გამოხატვა, სხვათა გრძნობების გაგება (თანაგრძნობა) და სათანადოდ რეაგირება.

ბავშვი, როგორც სოციალური არსება, ადრეული ასაკიდანვე ამჟღავნებს ადამიანებთან ურთიერთობის სურვილს. ის აკვირდება უფროსს, რომელიც უვლის, ყურს უგდებს, ცდილობს შეეხოს, უღიმის. გამოხატავს სიხარულს, როცა ახლობელ ადამიანს ხედავს და იწყენს, როცა ის მიდის. წინასასკოლო ასაკში ბავშვებს უკვე მრავალფეროვანი ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან. Iსინი მეგობრობენ, ჩხუბობენ, რიგდებიან, სწყინთ, ეჭვიანობენ და ასევე ეხმარებიან ერთმანეთს. ბავშვები ამ ურთიერთობებს ძალიან მძაფრად განიცდიან და განსხვავებული გრძნობები ეუფლებათ. ამ ასაკში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბავშვის შემდგომ ურთიერთობებზე და დამოკიდებულებებზე სამყაროს მიმართ.

ამიტომ, ამ სფეროს განვითარებას კრიტიკული როლი ენიჭება ბავშვის პიროვნული ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

სოციალურ-ემოციური სფერო თავის მხრივ მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

თვითიდენტობა ("მე"-კონცეფცია)– ეს არის ადამიანის წარმოდგენა საკუთარი თავის შესახებ: ვინ ვარ მე? რომელ ჯგუფს ვაკუთვნებ ჩემს თავს? ბავშვი მიაკუთვნებს საკუთარ თავს გარკვეულ სქესს, ეროვნებას და ა.შ.

თვითშეფასება - ეს არის ადამიანის დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ, როგორ აფასებს საკუთარ თავსა და ქცევას – დადებითად თუ უარყოფითად, აგრეთვე საკუთარი თავის რწმენასა და იმედს, რომ წარმატებული იქნება ამა თუ იმ საქმიანობაში ან სხვებთან ურთიერთობის დროს.

თვითმართვა, რაც გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს, რაც მოიცავს სტრესული სიტუაციების დაძლევას, იმედგაცრუების და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით.

თვითგამოხატვა, რაც გულისხმობს ადამიანის უნარს სწორად გაიგოს საკუთარი განცდები და სათანადოდ გამოხატოს საკუთარი თავი, დამოკიდებულებები და გრძნობები.

ურთიერთობა - ეს არის ადამიანებს ან ჯგუფებს შორის კავშირის დამყარების პროცესი, რომელიც რთული და მრავალმხრივია. ბავშვი ჯერ იწყებს უფროსთან ურთიერთობას და შემდეგ ვითარდება ურთიერთობა თანატოლებთან.

ადაპტაციური სოციალური ქცევა, რაც გულისხმობს ბავშვის უნარს შეეგუოს იმ ადამიანებს, რომლებთანაც უწევს ურთიერთობა და იმ სიტუაციას, რომელშიც იმყოფება. ერთი მხრივ, გამოამჟღავნოს ნდობა, გასაგებად და თავდაჯერებულად გამოხატოს თავისი სურვილები და განცდები და, მეორე მხრივ, გაუგოს სხვას. ეს ასპექტი მჭიდროდაა დაკავშირებული როლური უნარ-ჩვევების განვითარებასთან, რაც გულისხმობს მოვლენათა სოციალური კონტექსტის სხვადასხვა პერსპექტივიდან, სხვადასხვა პოზიციიდან დანახვისა და შეფასების უნარს. სხვისი როლის გათავისების უნარის უქონლობა ბავშვს ხელს უშლის დაინახოს მოვლენები სხვა ადამიანის თვალთახედვიდან, თანაუგრძნოს სხვა ადამიანს. ასაკობრივ ზრდასთან ერთად ბავშვს ეს უნარყ უვითარდება, რაც სხვების მიმართ კეთილგანწყობასა და სოციალური სიტუაციების სწორ შეფასებაში მჟღავნდება.

ძირითადი სტრატეგიები:

ყველა ბავშვი საჭიროებს სიყვარულსა და მზრუნველობას. ამასთანავე, აუცილებელია გარემოსთან ჯანსაღი ურთიერთობის უნარის განვითარებაში დახმარება, გრძნობების მართვისთვის დადებითი მაგალითის მიცემა.

- დაეხმარეთ ბავშვს საკუთარი თავის შეცნობაში ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით;
- შეაქეთ და პოზიტიური განწყობა შეუქმენით ბავშვს სწავლისა და შემეცნების პროცესში;
- აჩვენეთ დადებითი მაგალითი ემოციების მართვისას, ამასთანავე, წაახალისეთ ბავშვის გულწრფელი ურთიერთობა ოჯახის წევრებთან და თანატოლებთან;

- იყავით თანამიმდევრული და ზომიერად მკაცრი. შეაჩვიეთ ბავშვი ყოველდღიურ საქმიანობას და დაანახვეთ ამის აუცილებლობა;
- მიაქციეთ ყურადღება ბავშვის დამოკიდებულებას განსხვავებული ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, წაახალისეთ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობა;

საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო (2011წ.).

ადრეულ ასაკში ბავშვისადმი სათანადო დამოკიდებულება და სწავლის ხელშეწყობა მომავალში მისი პიროვნებად ჩამოყალიბების და ინტელექტუალური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური მდგომარეობის ფორმირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამას ემსახურება ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო, სადაც გაერთიანებულია ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების თეორიული მიმოხილვა, სწავლების მეთოდოლოგია და პრაქტიკული სავარჯიშოები.

სახელმძღვანელო ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ მომზადდა გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) თანამშრომლობით, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს სკოლამდელი განათლების სისტემის რეფორმას საქართველოში, განსაკუთრებით კი, სკოლამდელი განათლების პოლიტიკისა და სტრატეგიის ჩამოყალიბებას, მეთოდოლოგიური რესურსებისა და სასწავლო პროგრამის შემუშავებას, ინკლუზიურ განათლებასა და სასკოლო მზაობის კვლევას.

საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნაში მონაწილეობდნენ ფსიქოლოგები, პრაქტიკოსი პედაგოგები, სხვადასხვა დარგის (ხელოვნება, მუსიკა, სპორტი) სპეციალისტები.

ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმღვანელო დაეხმარება აღმზრდელებს უკეთ გააცნობიერონ ბავშვის განვითარების ინდივიდუალობა, დაგეგმონ და განახორციელონ საქმიანობები, რომლებიც ხელს შეუწყობს როგორც ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებას, ასევე მის მომზადებას სკოლისა და მომავალი ცხოვრებისათვის. სახელმძღვანელო დაეხმარება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლებს სააღმზრდელო და სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და წარმართვაში.

სახელმძღვანელო შედგება სამი თავისაგან:

I თავი: სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებანი

II თავი: სწავლების პრინციპები და მეთოდოლოგია სკოლამდელი განათლების საფეხურზე

III თავი: თამაშები და პრაქტიკული სავარჯიშოები

სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურების თავისებურებები იწყება განმარტებებით რა არის განვიტარება? ღრმად ეხებიან ბავშვის განვითარების სფეროებს, ესენია: **ფიზიკური ზრდა, კოგნიტური პროცესების განვითარება, პიროვნული ზრდა-განვითარება, სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარება.** თითოეული განხილულია ცალ-ცალკე და ასაკის გათვალისწინებით, რომელიც დაყოფიალი შედეგ ჯგუფებად: **2-3 წლის ასაკის ბავშვები** - უმცროსი ჯგუფი; **3-4 წლის ასაკის ბავშვები** - საშუალო ჯგუფი; **4-5 წლის ასაკის ბავშვები** - უფროსი ჯგუფი; **5-6 წლის ასაკის ბავშვები** - სკოლისათვის მოსამზადებელი ჯგუფი. ცალკე

არის საუბარი პიროვნულ-ემოციური სფეროს განვითარებაზე, რომელიც ეხება ემოციურ-ნებელობით განვითარებას, მოტივაციას, თვითშეფასებას, ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარებას, მოტორიკის განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ესთეტიკურ განვითარებას, როელშიც ცალ-ცალკე გამოყოფია მუსიკა და სახვითი ხელოვნება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წიგნიერების მნიშვნელობას, თუ რა უვითარებს ის ბავშვებს: ბავშვებში წიგნის მიმართ ინტერესის გამოწვევა, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, მოსმენის უნარის გამომუშავება, წიგნის ნახატებიდან შინაარსის ამოცნობა და კითხვის დასმა მოსმენილთან დაკავშირებით.

მე-2 თავში - სწავლების პრინციპები და მეთოდოლოგია სკოლამდელი განათლების საფეხურზე - საუბარია სკოლამდელი დაწსებულებსი გარემოსა და კვირის განრიგზე. კვირის განრიგი არის სააღმზრდელო-განმავითარებელი აქტივობებისა სხვა საქმიანობის დროში განაწილება მთელი კვირის განმავლობაში; კვირის განრიგის დანიშნულებაა დაეხმაროს აღმზრდელს სწორად გაანაწილოს დრო სააღმზრდელო პროცესისათვის. მასში ყურადღება არის გამახვილებული ფიზიკურ აქტივობებზე, ძილისა და დასვენების მნიშვნელობაზე, კვების რაციონზე, სეირნობაზე, რომელიც დღეში 2-ჯერ მაინც უნდა განხორციელდეს და რაც მთავარია პირადი ჰიგიენის დაცვა. შემდეგ წიგნში დეტალურად და ცალ-ცალკე განხილულია განმავითარებელი გარემო, საგნობრივ-სივრცითი გარემო და მონტესორის სკოლა, მისი დიდაქტიკური მასალების წვლილი ბავშვების განვითარებაში.

ამ თავსი დეტალურად არის განხილული როგორ ვასწავლოთ სკოლამდელ ასაკში, განსაკუთრებით სწავლების მეთოდები და პრინციპები. მთავარი არის ბავშვის ქცევისა და უნარების განვითარებასა და გამდიდრებას შევუწყოთ ხელი. ვინაიდან სკოლამდელი ასაკის წამყვანი ქცევა თამაში არის, სწორედ თამაშის საშუალებით იქნება შესაძლებელი ბავშვის ფსიქიკისა და პიროვნების განვიტარებისათვის განსაკუთხებული ხელსაყრელი პირობების შექმნა. სკოლადელ დაწესებულებებში მეცადინეობის პროცესი უნდა განსხვავდებოდეს სასკოლო გაკვეთლილებისაგან. მისი მიზანი ბავშვისათვის მხოლოდ გარკვეული ცოდნის მიწოდება კი არ არის, პირველ რიგში ბავშვის ფსიქიკური პროცესების: აღქმის, მეხსიერების, აზროვნების, მეტყველების და პიროვნული თავისებურებების განვიტარების ხელშეწყობაა.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობისას უნდა გვახსოვდეს შემდეგი პრინციპები:

- სწავლების პროცესში ცენტრალური როლი თვითონ ბავშვს ეკუთვნის. აღზმდელმა უნდა უზრუნველყოს გარემო, სადაც მოხდება ბავშვის ხუთივე გრძნობის ორგანოს ჩართვა. გარემოს გაცნობისას ბავშვს უნდა შეეძლოს ყველაფრის დანახვა, მოსმენა, ხელით შეხება, სუნისა და გემოს შეგრძნება;
- აღზრდა-სწავლება სკოლამდელ დაწესებულებაში ჯგუფური მეცადინეობის სახით მიმდინარეობს და მოიცავს თამაშით მეცადინეობებს მეტყველების, კითხვისათვის საჭირო უნარების, მათემატიკური უნარების განვითარების მიზნით, გარემოს გაცნობას, ესთეტიკურ და შემოქმედებით საქმიანობას;
- სკოლამდელ დაწესებულებაში ბავშვის განვითარების მთავარი პირობა უფროსისა და ბავშვის თანაშრომლობაზე დაფუძნებული საქნმიანობაა, როდესაც აღმზრდელი ითვალისწინებს თითოეული ბავშვის განვითარების თავისებურებებს.

თანამშრომლობისას აღმზრდელი რამდენიმე მოდელს იყენებს:

- უყვება ბავშვს ახალ შინაარსს, უვითარებს ახალ ჩვევებს;
- ბავშვი საქმიანობის მონაწილეა;
- ეხმარება წამოჭრილი სირთულეების დაძლევაში, აძლევს რჩევებს, უსწორებს შეცდომებს.

ამავე თავში საფუძვლიანად ხდება თითოეული მეთოდისა და ქვემეთოდების განხილვა და გამოყენების შესაძლებები: **თამაშის ქცევის განვითარება** - დარწმუნების მეთოდი; პრობლემური სიტუაციის მეთოდი. **ესთეტიკური აღზრდის მეთოდები** - სიტყვიერი მეთოდები; თვალსაჩინო მეთოდები. **შემეცნებითი განვითარება; მეტყველების განვითარება** - იმიტაცია; საუბარი/კითხვა-პასუხი; გამეორება; თხრობა. **ფიზიკური განვითარება** - დემონსტრაცია; იმიტაცია; თვალსაჩინო ორიენტაცია; ხმოვანი ორიენტაცია; სიტყვიერი ახსნა; პრაქტიკული.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვის სკოლისათვის მზაობას: **ფიზიკური მზაობა** (მსხვილი კუნთების განვითარება, ნატიფი მოტორიკა, ნერვული პროცესების მდგრადობა); **კოგნიტური (შემეცნებითი) მზაობა** (აღქმის დანაწევრება; ყურადღების კონცენტრაცია; ანალიტიკური აზროვნება; ლოგიკური დამახსოვრება; სენსომოტორული კოორდინაცია; ნიმუშით ხელმძღვანელობის უნარი; მოტორიკა); **სოციალურ-პიროვნული მზაობა** (თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება; მოსწავლის როლის შესრულების უნარი; ქცევის მართვის უნარი; იმპულსების შეკავების უნარი; უინტერესო საქმის ხანგრძლივად კეთების უნარი; ემოციის სიტყვით რეგულირების უნარი). ბოლოს კი საუბარია როგორი უნდა იყოს **ინკლუზიური განათლება სკოლამდელ საფეხურზე.** ამ ნაწილიში საუბარია ინკუზიური განათლების ძირითადი ღირებულებებზე, როგორ უნდა შევძლოთ ბავშვის განსაკუთრებული საჭიროებების იდენტიფიკაცია და როგორია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ჩართვის პრინციპები. ვინ უნდა იყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტები (ბაღის დირექტორი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, აღმზრდელი, აღსაზრდელის მშობელი); ინკლუზიური განათლების დაგაგემვისათვის აუცილებელია სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის მოდიფიკაცია და ინდივიდუალური გეგმის შედგენა.

მესამე თავის არის **თამაშები და პრაქტიკული სავარჯიშოები,** რომელშიც განხილულია აქტივობები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში; აქტივობები მუსიკაში; აქტივობები წიგნიერებაში; აქტივობები სოციალური და ემოციური სფეროს განვითარებისათვის; აქტივობები ფიზიკური განვითარებისათვის; აქტივობები შემეცნებით უნარებში; აქტივობები მეტყველების განვითარებისათვის. მაგ.: აქტივობები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში - ასაკობრივი ჯგუფი - 3-6; თემა: ფიგურები, გეომეტრიული ფიგურები (ძერწვა); მიზანი: დაკვირვების უნარის, სივრცული აღქმის და ნატიფი მოტორიკის განვითარება, ბავშვმა შეძლოს სხვადასხვა ზომის საგნების შედარება და გარჩევა, სიბრტყეზე განაწილება. ჩამოთვლილია საჭირო რესურსი და მსველეობა - თითოეუ;ი აქტივობა და ბოლოს რჩევა აღმზრდელს.

სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის (2012 წ.).პროგრამის მეთოდოლოგია. პროგრამის მეთოდოლოგიად გამოყენებულია თემატური სწავლება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და ეფექტური მეთოდი. თემატური დაგეგმარება არის სასწავლო-სა-

აღმზრდელო პროგრამა, რომელშიც თემები იყოფა ქვეთემებად და მოცემულია თემატური აქტივობები სფეროების მიხედვით. თემატური დაგეგმარება გვეხმარება ბავშვის ცალკეული უნარების (შემეცნებითი, მეტყველების, მოტორული, შემოქმედებითი) განვითარებაში, ხელს უწყობს მის პიროვნულ განვითარებას.

პროგრამაში შესულია ისეთი თემები და აქტივობები, რომელიც ბავშვის სოციალური და ემოციური კომპეტენტურობის ზრდას უწყობს ხელს. პროგრამა ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშავებულ 0-6 წლამდე ბავშვის განვითარების სტანდარტებს. პროგრამამ ერთი წელი გაიარა პილოტირება, ადაპტაცია და შემდეგ მიიღო საბოლოო სახე.

პროგრამაში შესული თითოეული თემა მოიცავს ბაღში განსახორციელებელი აქტივობების მთელ პაკეტს.

აქტივობები დაყოფილია კატეგორიებად:

1. ხელოვნება;
2. მუსიკა და მოძრაობა;
3. სამაგიდო თამაშები;
4. წიგნიერება/მეტყველება;
5. დრამატული აქტივობები;
6. სენსორული აქტივობები;
7. მეცნიერება;
8. კონსტრუქციული აქტივობები;
9. დილისა და საღამოს წრეები.

ხელოვნება. ხელოვნება ახდენს ბავშვის შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას. ხელოვნების აქტივობები აუცილებელია ასევე ემოციური, ფიზიკური, სოციალური და ინტელექტუალური უნარების განვითარებისათვის. ვითარდება სენსორული აღქმა, ხელისა და თვალის კოორდინაცია, ნატიფი მოტორიკის კონტროლი, სილამაზის აღქმა. ხელოვნებით დაკავება ბავშვებში სიამოვნებისა და კმაყოფილების განცდას ზრდის და ეს საკუთარი თავის გამოხატვის საშუალებაა.

მუსიკა და მოძრაობა. მუსიკა და მოძრაობა ანვითარებს მსხვილ მოტორულ უნარებს. მუსიკა ენის დასწავლისა და მეხსიერების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. სიმღერის საშუალებით ბავშვები ადვილად იმახსოვრებენ სიტყვებს. მოძრაობა ეხმარება ბავშვს სტრესის შემცირებაში, ენერგიის გამოთავისუფლებაში, განცდების გამოხატვაში, ყურადღებისა და კონცენტრაციის უნარების განვითარებაში. სხეულის მრავალმხრივი გამოყენება თამაშისა და სწავლის პროცესში გააუმჯობესებს კოორდინაციას.

სამაგიდო თამაშები. სამაგიდო აქტივობები და თამაშები ნატიფი მოტორიკის განვითარებას უწყობს ხელს. ნატიფი მოტორიკის მიზანია ხელისა და თითების კუნთების განვითარება, ხელისა და თვალის კოორდინაციის სრულყოფა, რაც მომავალში წერისა და კითხვის უნარებზე აისახება აქ ბავშვებს უვითარდებათ დამოუკიდებელი მუშაობის, პრობლემის გადაჭრისა და აზროვნების უნარები. ეს აქტივობები ასევე მნიშვნელოვანია მათემატიკური უნარების განვითარებისათვის.

წიგნიერება/მეტყველება. ეს ცენტრი კითხვისათვის მზაობას უზრუნველყოფს. ბავშვებს უყალიბებს წიგნისა და კითხვის მიმართ დადებით დამოკიდებულებას, უვითარდებათ მოსმენის კულტურა. ხელს უწყობს ფონემურ აღქმას, მათი გამორჩევისა და სინთეზის საწყისი უნარების განვითარებას. ბავშვების აზრებისა და განცდების ვერბალურ გამოხატვას სწავლობენ.

დრამატული აქტივობები. დრამატული თამაშები დასწავლის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, როდესაც ირგებენ სხვადასხვა სოციალურ როლებს, ურთიერთობენ, იღრმავებენ წარმოდგენას გარე სამყაროს შესახებ, ხდება წარსული გამოცდილების ხელახალი განცდა და დაუფლება. დრამატული, წარმოსახვითი თამაში სასაუბრო ენის განვითარებას უწყობს ხელს. ბავშვები ამ დროს სწავლობენ მოლაპარაკებას, აზრის გამოთქმას და პრობლემის გადაჭრას. წარმოსახვითი თამაშებით ბავშვები უფრო ეგუებიან გარემოს და ნაკლებ სტრესს განიცდიან.

სენსორული აქტივობები. ბავშვი გარე სამყაროს შეგრძნებების (სენსორების) - შეხების, ყნოსვის, ხმის, მხედველობის და გემოს საშუალებით აღიქვამს და შეისწავლის. სენსორული თამაშები და აქტივობები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც სასწავლო პროცესის დაგეგმვისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. სენსორული მასალაა: ქვიშა, წყალი, სათამაშო ცომი, თიხა პლასტელინი, ასევე კულინარული პროდუქტები და სხვა, ყველაფერი ის რაც ბავშვის სხვადასხვა შეგრძნებების სტიმულირებას ახდენს.

მეცნიერება. თითქმის ყველა აქტივობა ამა თუ იმ მეცნიერებასთან არის კავშირში. მაგ.: ფერების შერევა ხელოვნების ცენტრში, სიმაღლის გაზომვა სამაგიდო/მათემატიკის ცენტრში. მეცნიერული აქტივობებით ბავშვები სწავლობენ: დაკვირვებას, კვლევას, ცდების ჩატარებას, შედეგების განსაზღვრას და პრობლემის გადაჭრას. მეცნიერული აქტივობების განხორციელებისას წაახალისეთ ბავშვები დასვან კითხვები, გაუზიარონ ერთმანეთს აზრები, გაჭვრიტონ შედეგები, მოახდინოს კლასიფიცირება და დაკვირვება.

კონსტრუქციული აქტივობები. კუბურებით და სხვა „საშენი“ მასალით თამაში აუმჯობესებს მანიპულაციურ უნარებს, რაც თავის მხრივ ხელისა და თითების კუნთებს აძლიერებს და ზრდის თვალისა და ხელის კოორდინაციას. კუბურებით თამაში არის სოციალური ურთიერთობის შესაძლებლობა. ბავშვებს უვითარდებათ წარმოდგენები ზომაზე, ფორმაზე, წონაზე, სივრცესა და რაოდენობაზე.

შემდეგ კი მოცემული თემატური დაგეგმარება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:

თემები 3-4 წლიანებისათვის: თემა - პირველი კვირა ბაღში - 1. პირველი დღე ბაღში (ჯგუფში ორიენტაცია); 2. მეორე დღე ბაღში (დღის რეჟიმის გაცნობა); 3. მესამე დღე ბაღში (ბაღის წესები); 4. მეოთხე დღე ბაღში (მეგობრობა); 5. მეხუთე დღე ბაღში (ექსკურსია ბაღში). **თემა - ფერები ჩემ გარშემო** - წითელი; 2. ყვითელი; 3. ლურჯი; 4. მწვანე; 5. სტაფილოსფერი; 6. იასამნისფერი; 7. შავი; 8. თეთრი; 9. ვარდისფერი; 10. ყავისფერი. **თემა - შემოდგომა და რთველი (2 დღე)** - 1. შემოდგომა; 2. რთველი. **თემა - ზღაპარი (4 დღე)** - წითელქუდა; 2. სამი გოჭი; 3. ნაცარქექია; 4. კომბლე. **თემა - მე და ჩემი სხეული (4 დღე)** - 1. მე და ჩემი სხეული, სხეულის ნაწილები; 2. ხელები და თითები; 3. ფეხები და ტერფები; 4. სახის ნაკვთები. **თემა - მე და ჩემი გარემო (7 დღე)** - 1. მე და ჩემი სამყარო; 2. ჩემი ოჯახი; 3. მშობლები;

4. ბებია-ბაბუა; 5. ჩემი და-ძმა, 6. ჩემი ბაღი; 7. მეგობრები ბაღში. **თემა - პროსოციალური ქცევა (6 დღე)** - 1. კარგი მანრებეი; 2. გაზიარება. თხოვნა. რიგის დაცვა; 3. კონფლიქტის გადაჭრა; 4. დახმარება; 5. როგორ მოვიქცე სხვადასხვა ადგილებში (ქუჩასა და სუფრასთან ქცევის წესები); 6. როგორ მოვიქცე სხვადასხვა ადგილებში (მუზეუმსა და ბიბლიოთეკაში). **თემა - სახლის ცხოველები (5 დღე)** - 1. სახლის ცხოველები; 2. ძაღლები და კატები; 3. თევზები; 4. კუები და კურღლები; 5. ზაზუნა და ზღვის გოჭი. **თემა - ამინდი (5 დღე)** - 1. მზიანი დღეები; 2. ქარიანი დღეები; 3. ღრუბლიანი დღეები; 4. წვიამიანი დღეები; 5. ცივი და თოვლიანი დღეები. **თემა - ზამთარი და შობა-ახალი წელი (7 დღე)** - 1. ზამთარი; 2. შობა-ახალი წელი; 3. საახალწო ნაძვის ხე და სათამაშოები; 4. თოვლის ბაბუა; 5. საახალწლო და საშობაო საჩუქრები; 6. საახალწლო დეკორაციები. **თემა -ფორმები ჩემ გარშემო (5 დღე)** - 1. წრე; 2. ოთხკუთხედი; 3. სამკუთხედი; 4. სხვადასხვა ფორმები: გული, ვარსკვლავი, ნახევარმთვარე, ჯვარი; 5. ფერადი ფორმები. **თემა - საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (9 დღე)** - 1. დიდი და პატარა; 2. მაღალი და დაბალი; 3. გრძელი და მოკლე; 4. მაღლა, დაბლა 5. შიგნით და გარეთ; 6. ქვეშ და ზემოდან; 7. წინ და უკან; 8. განიერი და ვიწრო. მსუქანი და გამხდარი; 9. დღე და ღამე. **თემა - კატეგორიები (7 დღე)** - 1. ტანსაცმელი და აქსესუარები; 2. სათამაშოები; 3. ცხოველების სახლები; 4. ავეჯი და ჭურჭელი. **ფერმა და ფერმის ცხოველები (6 დღე)** - 1. ერმა და ფერმერი; 2. ცხოველები ფერმაში; 3. ძროხები და ცხენები; 4. ქათმები და იხვები; 5. გოჭები; 6. ცხვარი, ბატკანი და თხე. **თემა – დედის დღე. ზოოპარკი და ტყის ბინადრები (8 დღე)** - 1. რა ცხოვრობს და ვინ მუშაობს ზოოპარკში? 2. ლომები და ვეფხვები; მაიმუნები და გორილები; 3. ზებრები და ჟირაფები; 4. დათვები; 5. სელაპები, წავები (თახვი) და პინგვინები; 6. მელა, მგელი; 7. ციყვი; 8. ფრინველები. **თემა – პროფესიები (5 დღე)** - 1. გამყიდველი; 2. მეხანძრე; 3. პოლიციელი; 4. ექიმი და ექთანი; 5. ბიბლიოთეკარი. **თემა – გაზაფხული (3 დღე)** - 1. გაზაფხული; 2. გაზაფხულის ჩიტები; 3. გაზაფხულის ყვავილები. **თემა – საქართველო (4 დღე)** - 1. საქართველო 1; 2. საქარტველო 2; 3. დედაქალაქი – თბილისი; 4. დამოუკიდებლობის დღე. **თემა - მწერები (5 დღე)** - 1. ჭიანჭველები; 2. საქმიანი ფუტკრები; 3. ჭიამაიები; 4. ციცინათელები; 5. მუხლუხოები და პეპლები. **თემა - ზაფხული (2 დღე)**

1. ზაფხული; 2. ზაფხული და ზღვა.

ასეთივეა თემატური დაყოფა 3-4 წლიან და 5-6 წლიანთა ჯგუფებისათვის.

სასკოლო მზაობის პროგრამა (2015წ.).სკოლამდელი ასაკი უმნიშვნელოვანესი პერიოდია ბავშვის განვითარებაში. ამ დროს ყალიბდება ყველა ის ძირითადი უნარი, რომელსაც შემდგომ ბავშვი იყენებს, როგორც სკოლაში, ასევე, ზოგადად, მთელი ცხოვრების განმავლობაში.

საქართველოში სკოლამდელი განათლების ახალი მოდელის ორგანიზება საშუალებას აძლევს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს ხელი შეუწყონ ბავშვების მრავალმხრივ და სრულფასოვან განვითარებას. ადრეულ ასაკში მიღებული ხარისხიანი განათლება დაეხმარება ბავშვებს იყვნენ უფრო წარმატებულები განათლების შემდეგ ეტაპებზე (იქნება ეს სკოლა, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებელი თუ სხვა).

სასკოლო მზაობის პროგრამა იმ ბავშვებისათვის არის შექმნილი, ვისაც სასწავლო წლის დაწყებამდე 5 წელი შეუსრულდათ და მომავალ სექტემბერს სკოლის პირველ კლასში უწევთ სწავლის დაწყება. სასკოლო მზაობის პროგრამამ, რომელიც მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლია სახლსა და სკოლას შორის, ხელი უნდა შეუწყოს ბავშვების წარმატებულ გადასვლას ნაკლებად ფორმალური გარემოდან (ოჯახი, საბავშვო ბაღი) შედარებით ფორმალურ გარემოში.

სასკოლო მზაობის პროგრამის სახელწოდება - **თ-ა-მ-ა-შ-ი,** წარმოადგენს პროგრამის ცენტრალური ცნებების აკრონიმს:

თანამშრომლობა
აღმოჩენა
მოტივაცია
არჩევანი
შემოქმედებითობა
ინდივიდუალობა

სასკოლო მზაობის პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ადრეული ასაკის სწავლისა და განვითარების სტანდარტებით განსაზღვრული ხუთივე სფეროს (ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება, სწავლისადმი მიდგომა, სოციალურ-ემოციური განვითარება, შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა, სამეტყველო განვითარება) შედეგების მიღწევას თითოეული ბავშვის უნიკალურობის გათვალისწინებით. სასკოლო მზაობის პროგრამა შესაძლებლობას აძლევს ბავშვებს, იმოქმედონ საკუთარი ინტერესების მიხედვით, ისწავლონ ხალისით,

გაერთონ და გაუმკლავდნენ ახალ გამოწვევებს. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვის აზროვნებისა და თანამშრომლობის უნარის, ურთიერთპატივისცემის გრძნობის განვითარებას, აგრეთვე სხვების, საკუთარი თავის, კულტურის და გარემოს მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებას. პროგრამა ეხმარება თითოეულ ბავშვს, მაქსიმალურად განივითაროს საკუთარი პოტენციალი. სასკოლო მზაობის პროგრამა ხორციელდება ჯგუფში, სადაც ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა 25-ს შეადგენს. ჯგუფში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს უძღვებიან აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე.

სასკოლო მზაობის პროგრამის ძირითადი მიზნებია:

- ბავშვს განუვითარდეს საჭირო უნარ-ჩვევები მომავალი ცხოვრებისათვის, წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის;
- ბავშვს განუვითარდეს სიღრმისეული, მოქნილი და შემოქმედებითი აზროვნება საუკეთესო არჩევანის გასაკეთებლად და ახალ გამოწვევებთან გასამკლავებლად;
- ბავშვს შეუწყოს ხელი ფიზიკური და ემოციური სიჯანსაღის შესანარჩუნებლად საჭირო უნარების განვითარებაში;
- ბავშვი სათანადოდ მოამზადოს პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის;
- ბავშვს ჰქონდეს ხალისიან გარემოში სწავლის და განვითარების შესაძლებლობა ერთი წლის განმავლობაში.

სასკოლო მზაობის პროგრამის სტრუქტურა

სასკოლო მზაობის პროგრამა შედგება სამი კომპონენტისაგან:

1. **სასკოლო მზაობის სასწავლო გეგმა:** დოკუმენტი განსაზღვრავს 5 წლიდან სასკოლო ასაკის მიღწევამდე ბავშვებისთვის განვითარების ყველა სფეროში მისაღწევ შედეგებს და შედეგების გასაუმჯობესებელ პრაქტიკულ მაგალითებს. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებს“ (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2010) და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რაც ხელს შეუწყობს ბავშვის წარმატებულ გადასვლას სწავლის ახალ საფეხურზე.
2. **აღმზრდელის სახელმძღვანელო:** სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს აღმზრდელებს, სასწავლო- სააღმზრდელო პროცესის, სასკოლო მზაობის პროგრამის საგანმანათლებლო პრინციპებზე დაყრდნობით და ბავშვის პიროვნული თვისებების, თავისებურებებისა და განვითარების დონის გათვალისწინებით წარმართვაში.

აღმზრდელის სახელმძღვანელო დეტალურად განიხილავს პროგრამის იმ ოთხ ძირითად საფუძველს, რომლებსაც ეყრდნობა მისი კონცეფცია და შინაარსი. ესენია - სკოლამდელი ასაკის ბავშვის წამყვანი ქცევა - თამაში, ჯგუფის ერთობა, აზროვნება და შესაბამისობა. სახელმძღვანელოში ასევე მიმოხილულია სასკოლო მზაობის ჯგუფის ფიზიკური გარემოს მოწყობის პრინციპები და ის რესურსები, რომელთა გამოყენებაც სასურველია სასკოლო მზა-

ობის ჯგუფში ბავშვის მრავალმხრივი და სრულფასოვანი განვითარებისათვის. მიმოხილულია სასკოლო მზაობის ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობები და პროცესები, ის თემატური მიმართულებები, რომლებზე დაყრდნობითაც იშლება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი. თითოეულ თემატურ მიმართულებას თან ახლავს საქმიანობათა ნიმუშები და რეკომენდაციები თემების დაგეგმვისათვის. სახელმძღვანელო აგრეთვე შეიცავს რეკომენდაციებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში კვირისა და თვის დაგეგმვისათვის, ბავშვზე დაკვირვების პროცესის წარმართვის, ჩანაწერების წარმოების, მისი საქმიანობისა და პროგრესის დოკუმენტირებისათვის. სახელმძღვანელოს ახლავს დანართი ერთი ტიპიური დღის აღწერით.

3. **აქტივობების წიგნი:** აქტივობების წიგნი მოიცავს სასკოლო მზაობის პროგრამის პრინციპების მიხედვით შედგენილ 30 კვირის გეგმებსა და შესაბამის აქტივობათა ნიმუშებს. აქტივობათა წიგნი წარმოადგენს დამხმარე რესურსს, რომელიც აღმზრდელებს დაეხმარება თემებისა და საქმიანობების წარმართვასა და ახალი იდეების გენერირებაში.

სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელის როლი: სასკოლო მზაობის პროგრამას - შესაბამისი მომზადების შემდგომ გაუძღვებიან აღმზრდელები, რომლებიც იქნებიან პროგრამის წარმატებულ დანერგვაზე პასუხისმგებელი მთავარი პირები. აღმზრდელებს მუშაობის პროცესში სათანადო მხარდაჭერა ექნებათ სასკოლო მზაობის პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ მხარეთა მხრიდან.

სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელები:

- ზრუნავენ ბავშვებზე, პატივს სცემენ, აფასებენ, ასწავლიან და სწავლობენ მათგან;
- საკუთარი საქმის პროფესიონალები არიან, მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე;
- ბავშვებს აკვირდებიან, ობიექტურად აფასებენ, ავლენენ მათ ძლიერ მხარეებს, ინტერესებსა და საჭიროებებს და ამ ცოდნას ბავშვებისთვის საინტერესო, შემოქმედებითი და შინაარსიანი საქმიანობების დაგეგმვისთვის იყენებენ;
- რადგან იციან ბავშვების განსაკუთრებული თვისებები, პიროვნული მახასიათებლები, ინტერესები, შესაძლებლობები და განვითარების დონე, ცდილობენ მაქსიმალურად მიუსადაგონ თითოეულ ბავშვს სააღმზრდელო და განმავითარებელი პროგრამა;
- წაახალისებენ ბავშვებს, რათა დამოუკიდებლად იკვლიონ, აღმოაჩინონ, დასვან კითხვები და თავად მოიძიონ პასუხები, იპოვონ პრობლემის გადაჭრის გზები;
- ბავშვებს შეცდომებისთვის არ კიცხავენ და ამის ნაცვლად, ასეთ მომენტებს იყენებენ, როგორც სწავლის შესაძლებლობას;
- ქმნიან გარემოს, სადაც ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია, იყენებენ ჯგუფის მართვის პოზიტიურ სტრატეგიებს, თავად სთავაზობენ მაგალითს თითოეული ბავშვის მიმართ გაწონასწორებული, კეთილგანწყობილი, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობით.
- კონფლიქტური სიტუაციის დროს, როდესაც ბავშვები თავად ვერ აგვარებენ კონფლიქტს, მათ სიტუაციის განმუხტვის მშვიდობიან გზებს ასწავლიან;
- უზრუნველყოფენ თითოეული ბავშვის მაქსიმალურად ჩართთვას მიმდინარე სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში, აღიარებენ და აფასებენ ბავშვების არჩევანს;

- უზრუნველყოფენ, რომ თითოეული ბავშვი, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა, სქესისა, რელიგიური აღმსარებლობისა, ეთნიკური მიკუთვნებულობისა და სოციალური და ეკონომიკური გარემოებებისა, სრულად იყოს ჩართული აქტივობებში და ხელი მიუწვდებოდეს ჯგუფში არსებულ ყველა რესურსზე;
- ხელმძღვანელობენ „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპით, რაც გულისხმობს ისეთი გარემოსა და პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველყოფას, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი და საინტერესოა, მიუხედავად იმისა, ჯგუფში არიან თუ არა სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები;
- ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებით, ურთიერთობენ ბავშვების ოჯახებთან და კოლეგებთან და ამ პროცესში ბავშვის უფლებათა კონვენციით, თანამედროვე კვლევებითა და ბავშვის განვითარების თეორიებით ხელმძღვანელობენ;
- ბავშვებს ეხმარებიან ასაკობრივად და განვითარების შესაბამისი მრავალმხრივი ცოდნის შეძენასა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. ამ მიზნის მისაღწევად იყენებენ ბავშვებისთვის სახალისო, შინაარსიან და საინტერესო საქმიანობებს: როლურ და წესებიან თამაშებს, პროექტებსა და აქტივობებს.
- ზრუნავენ ესთეტიკურად მიმზიდველი ფიზიკური გარემოს შექმნაზე, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების ხალისიანი განწყობილების ჩამოყალიბებას, მათ მრავალმხრივ განვითარებას და იძლევა მრავალფეროვან შესაძლებლობებს ბავშვის დამოუკიდებელი მოქმედებისთვის.

თანამშრომლობა ოჯახთან და თემთან: ოჯახი და თემი ძირითად როლს თამაშობენ ბავშვის განვითარების პროცესში. ბავშვის ჯანსაღი სოციალური, ემოციური, ფიზიკური და შემეცნებითი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ოჯახს, თემსა და სკოლამდელ დაწესებულებებს, სასკოლო მზაობის ჯგუფებს შორის. სასკოლო მზაობის პროგრამა ბავშვს სკოლასთან ადაპტაციაში უწყობს ხელს. ოჯახის წევრები და აღმზრდელები ბავშვის სასარგებლოდ აქტიურად თანამშრომლობენ.

სასკოლო მზაობის პროგრამის ძირითადი პრინციპები

სასკოლო მზაობის პროგრამა რვა ძირითად პრინციპს ეფუძნება:

1. სასკოლო მზაობის პროგრამა და თავად სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის შემადგენელი ელემენტები ითვალისწინებს ბავშვზე ორიენტირებულ პრაქტიკას.

პროგრამა და აქტივობები ბავშვების ინტერესებსა და საჭიროებებს ემსახურება. ბავშვებს ეძლევათ ასაკისა და განვითარების დონის შესაბამის აქტივობებს შორის არჩევანის გაკეთებისა და გადაწყვეტილებების მიღების საშუალება. აღმზრდელების მოლოდინი მათ მიმართ მაღალია, მაგრამ მოქნილი და რეალისტური.

2. ბავშვების ემოციურ სიჯანსაღეს უპირატესი მნიშვნელობა აქვს.

ბავშვებსა და აღმზრდელებს შორის ურთიერთობა ურთიერთპატივისცემასა და ზრუნვაზეა დამყარებული. აღმზრდელები ხელს უწყობენ სტრესის შემცირებასა და ბავშვებში ბედნიერების განცდას. წახალისებულია საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, სასკოლო მზაო-

ბის ჯგუფის აღმზრდელები ხელმძღვანელობენ ჯგუფის მართვის პოზიტიური სტრატეგიებით. აღმზრდელები საჭიროებისამებრ ეხმარებიან ბავშვებს განივითარონ ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისი უნარები: სიამოვნების მიღების გადავადება, ქცევის ნებელობითი მართვა, ყურადღების კონცენტრაცია გახანგრძლივებული დროით. საჭიროებისამებრ, ეხმარებიან ისწავლონ დამოუკიდებლობა და გამოიმუშაონ ჰიგიენისა და თვითმომსახურების ჩვევები.

3. სასკოლო მზაობის პროგრამა მრავლისმომცველი და მრავალფეროვანია. პროგრამა ეფუძნება სწავლა-სწავლების სხვადასხვა სტრატეგიას, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას და ითვალისწინებს მის საჭიროებებს საგანმანათლებლო პროცესში.

ემოციურ განვითარებაზე ორიენტირებასთან ერთად, პროგრამა ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის შემეცნებით, სოციალურ, ფიზიკურ, მეტყველებისა და კომუნიკაციის განვითარებას. თემატურ მიმართულებებზე (ბუნება და ფიზიკური სამყარო, სოციალური და კულტურული სამყარო, რაოდენობრივი წარმოდგენები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, საშემსრულებლო ხელოვნება, წიგნიერება, მეტყველება და კომუნიკაცია) მუშაობა მიმდინარეობს ინტეგრირებულად და ასაკისთვის შესაბამისი სტრატეგიების საშუალებით. კონკრეტული ცოდნის მიღებასა და უნარების განვითარებასთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია სწავლისადმი მიდგომის განვითარება და ხელშეწყობა, მათ შორის ცნობისმოყვარეობის, სიახლეების გამოცდისა და რისკის გაწევის (რისკები უნდა იყოს ასაკთან შესაბამისი და უსაფრთხო), შემოქმედებითობისა და სწავლის მოტივაციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

4. პროგრამის აქტივობები ხელს უწყობს აქტიური და ინტერაქტიული გზებით შემეცნებისა და აღმოჩენის პროცესს.

სასკოლო მზაობის ჯგუფში ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ ცოდნა მიიღონ და ახალი უნარ-ჩვევები თემატური მიმართულებების ინტეგრირებული სწავლებითა და მრავალფეროვანი საქმიანობების გზით განივითარონ. მნიშვნელოვანი დრო ეთმობა ბავშვების მიერ არჩეულ თამაშებსა და მრავალფეროვან აქტივობებს. სასკოლო მზაობის ჯგუფები აღჭურვილია პრაქტიკული, მიმზიდველი და მრავალფეროვანი რესურსებით, რაც სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.

5. აღმზრდელები საჭიროებისამებრ სთავაზობენ ბავშვებს როგორც საკუთარ მხარდაჭერას, აგრეთვე გამოწვევებთან დამოუკიდებლად გამკლავების შესაძლებლობებს.

საგანმანათლებლო პროცესის დროს აქტივობები და ურთიერთობები ინდივიდზე, ბავშვის განვითარების უახლოეს ზონაზეა მორგებული. გარდა იმისა, რომ აღმზრდელები ბავშვებს სთავაზობენ ახალ ამოცანებს, ამავდროულად იმაშიც ეხმარებიან, რომ მათ თანდათანობით, დამოუკიდებლად შეძლონ ახალი ცოდნის გამოყენება და უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

6. სააღმზრდელო გარემო ის სივრცეა, სადაც ბავშვები სწავლობენ მრავალფეროვნებისა და განსხვავებების პატივისცემას, თანაცხოვრებას, სხვებზე და საკუთარ თავზე ზრუნვას.

სასკოლო მზაობის ჯგუფები ინკლუზიურია. ყველა ბავშვი, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები, გოგოები და ბიჭები, სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური ან სოციო-ეკონომიკური წარმომავლობის მქონე ბავშვები, ერთვება ყველა აქტივობაში. მათ ხელს უწყობენ, რომ მისდიონ საკუთარ ინტერესებს და გაიჩინონ ახალი ინტერესის სფეროები. აღმზრდელები ბავშვებს იმგვარად აჯგუფებენ, რომ სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ბავშვებმა ერთად მუშაობა და ერთმანეთის დახმარება შეძლონ. ბავშვებს უსწორებენ სტერეოტიპულ და დისკრიმინაციულ გამონათქვამებსა და ქცევას. აღმზრდელები პირადი მაგალითით აჩვენებენ და უვითარებენ ბავშვებს იმ სოციალურ უნარებს, რომლებიც საჭიროა ერთმანეთის მიმართ გულისხმიერი და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის.

7. **აღმზრდელები იყენებენ და მხარს უჭერენ გარემოზე მზრუნველ საქმიანობებს**

აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს დააფასონ, პატივი სცენ და იზრუნონ ბუნებასა და გარემოზე. ბავშვები სწავლობენ რესურსების მოფრთხილებას: დაზიანებისგან, ცვეთისგან და დაკარგვისგან დაცვას. სასკოლო მზაობის ჯგუფში მასალები შეძლებისდაგვარად მრავალჯერადად გამოიყენება. ზრდასრულები და ბავშვები ერთად ზრუნავენ ეზოს სისუფთავეზე, მომდევნო აქტივობაზე გადასვლის წინ ერთად აწესრიგებენ სამუშაო გარემოს.

8. **სასკოლო მზაობის პროგრამის შემადგენელი ყველა კომპონენტი ურთიერთდაკავშირებული და თანმიმდევრულია.**

პროგრამის ხარისხთან, აღმზრდელის საქმიანობასთან, ბავშვების ცოდნასა და უნარებთან დაკავშირებული მოლოდინები შეესაბამება ზემოაღნიშნულ პრინციპებსა და ღირებულებებს.

სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელთა სატრენინგო პროგრამის შინაარსი და მეთოდოლოგია ასევე ეფუძნება პროგრამის ძირითად პრინციპებს.

2016 წელს მიღებული იქნა კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ მასში თავმოყრილია ყველა ძირითადი სტანდარტი, რომლითაც ადრეული და სკოლამდელი აღზრდის სფერო უნდა დარეგულირდეს.

კანონის თანახმად, სკოლამდელი აღზრდისთვის გათვალისწინებულია ორსაფეხურიანი სასწავლო სისტემა - ადრეული აღზრდა და განათლება 2 წლამდე ბავშვებისათვის და სკოლამდელი განათლება- 2 წლიდან სკოლაში შესვლამდე. რეგულირდება დაწესებულების დაფუძნებისა და ავტორიზაციის წესები. ავტორიზაცია სავალდებულოა ყველა დაწესებულებისათვის, ავტორიზაციის ვადა 4 წელია. იმისათვის, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია გაიაროს, უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს, რაც გულისხმობს განათლების, კვების, ჰიგიენისა და ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღჭურვილობის მაღალი სტანდარტების დაცვას.

კანონში გაწერილია დაწესებულებების უფლებები და ვალდებულებები ბავშვებთან და მშობლებთან მიმართებით. დაწესებულებები უზრუნველყოფენ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობას ნებისმიერი ბავშვისთვის, მიუხედავად მისი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლისა.

დაწესებულებაში აკრძალულია ბავშვთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, ფიზიკური დასჯა, უგულებელყოფა, შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი მოპყრობა. დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს ბავშვზე ძალადობის პრევენცია, მათ შორის, მშობელთა განათლება და ინფორმირება. ასევე ძალადობის იდენტიფიკაცია და შესაბამისი რეაგირება, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად.

სკოლამდელ განათლებაში მშობელთა სრული ჩართულობის უზრუნველსაყოფად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში იქმნება საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც ხელს შეუწყობს დაწესებულების ეფექტურ ფუნქციონირებას. საკონსულტაციო საბჭოები 7 წევრისგან შედგება- 5 მშობელი და დაწესებულების 2 აღმზრდელი-პედაგოგი. საკონსულტაციო საბჭოს უფლებამოსილებებს შედის: დაწესებულების საქმიანობაში პრობლემების იდენტიფიცირების შემთხვევაში, მათ აღმოფხვრასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა, როგორც სკოლისთვის, ასევე, შესაბამისი მუნიციპალური სამსახურისთვის.

კანონით გაწერილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფის შემადგენლობა. ჯგუფები შემდეგი ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით ნაწილდება: 2-დან 3 წლამდე - სკოლამდელი განათლების პირველი წელი; 3-დან 4 წლამდე - სკოლამდელი განათლების მე-2 წელი; 4–დან 5 წლამდე - სკოლამდელი განათლების მე-3 წელი; მე-4 წელს კი 5 წლიდან სკოლის დაწყებით საფეხურზე შესვლამდე სასკოლო მზაობის პროგრამა განხორციელდება. ასევე, განსაზღვრულია ჯგუფების მოცულობა და აღმზრდელ-პედაგოგების ბავშვებთან თანაფარდობა. კანონპროექტის თანახმად, 2 –დან 3 წლამდე ბავშვების ჯგუფში შეიძლება იყოს არაუმეტეს 25 ბავშვისა; 3 –დან 4 წლამდე ბავშვების ჯგუფში - არაუმეტეს 30 ბავშვისა; 4 –დან 5 წლამდე ბავშვების ჯგუფში - არაუმეტეს 30 ბავშვისა; სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფში კი - არაუმეტეს 30 ბავშვისა.

რაც შეეხება აღმზრდელ-პედაგოგების რაოდენობას,- 2 დან 3 წლამდე ბავშვების შემთხვევაში, კანონპროექტის თანახმად, აღმზრდელ-პედაგოგის ბავშვთან თანაფარდობა უნდა იყოს: 1:13; 3 დან 4 წლამდე ბავშვების შემთხვევაში 1: 15; 4–დან 5 წლამდე ბავშვების შემთხვევაში 1: 15; ხოლო სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფში 1:15.. კანონის ავტორების განმარტებით, მცირე ჯგუფების არსებობა აღმზრდელს ბავშვებზე ინდივიდუალურად ზრუნვის შესაძლებლობას აძლევს. ასე ნაკლები დრო იხარჯება ორგანიზაციულ საკითხებზე, მეტი ყურადღება კი ბავშვის სწავლასა და განვითარებაზე მახვილდება. გადანაწილებულია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების კომპეტენცია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კანონის თანახმად, შეიმუშავებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტებს. ასევე, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს. გარდა ამისა, სამინისტრო მოამზადებს საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიურ რესურსებს ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით; განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ხოლო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შეიმუშავებს ტექნიკურ რეგლამენტს დაწესებულებაში

სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესების დადგენის მიზნით. გარკვეული მოვალეობებია განსაზღვრული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მიმართებაში. იგი შეიმუშავებს ტექნიკურ რეგლამენტს დაწესებულებაში სურსათის უვნებლობის წესების დადგენის მიზნით; გარდა ამისა, მონაწილეობას იღებს ძალადობისგან ბავშვების დაცვის (რეფერირების) პროცესში.

კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტების კომპეტენციაში შედის ხელმისაწვდომი ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი ახორციელებს მუნიციპალურ კონტროლს, სკოლამდელ დაწესებულებათა მონიტორინგს. ასევე მის კომპეტენციაში შედის ავტორიზაციის მინიჭება, შეჩერება, შეწყვეტა.

ამრიგად ადრეული განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების ფუნდამენტია. კვლევებით დასტურდება, რომ ბავშვი, რომელიც სკოლამდელ განათლებას იღებს მომავალში უკეთ სწავლობს და მის მიერ სკოლის დატოვების ნაკლები შანსი არსებობს.

ჩვენი აზრით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინოვაცია, რომელსაც სკოლამდელი განათლების კანონი გვთავაზობს, აღმზრდელის პედაგოგის რანგში გადაყვანაა, რათა ის მასწავლებლის სტატუსს დაუახლოვდეს. მაგრამ ვიდრე აღმზრდელები კანონით მინიჭებული სტატუსით ისარგებლებენ, სასკოლო მზაობის პროგრამის უკეთ დანერგვის მიზნით, მათ ტრენინგის გავლა მოუწევთ. განსაკუთრეით უნდა ავღნიშნოთ ის სიძნელეები, რომლებიც საბავშვო ბაღის აღმზრდელებს ხვდებათ დღეს. ჩვენი აზრით, ეს არის ჯგუფების მეტისმეტად გადატვირთვა ბავშვებით, რაც ართულებს აღმზრდელის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის სრულყოფილად განხორციელებას. ცალკე უნდა ავღნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, თანამედროვე ბაღების უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ბავშვების უმრავლესობა საბავშვო ბაღის გარეთ არის დარჩენილი და მათი სკოლისთვის მომზადების საკითხიც გადაუჭრელი რჩება.ჯერ კიდევ, სრულად არ არის უზრუნველყოფილი ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ეფექტურ ტრანზიციას ადრეული განათლების სისტემაში.

დღეისათვის საქართველოს ადრეული განათლების დაწესებულებები ფუნქციონირებს **2-წლიდან 6 - წლამდე** ასკის ბავშვებისათვის და კომპლექტდება ჯგუფებად ასაკის გათვალისწინებით. მოიცავს ორ საფეხურს: **ბაგა და ბაღი.**

ბაგა არის სააღმზრდელო დაწესებულება, რომელიც ანხორციელებს ძირითადად 2-3 წლის ასაკის ბავშვთა მოვლის, აღზრდისა და განათლების პროგრამას.

საბავშვო ბაღი არის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება, სადაც ხდება მოვლა, აღზრდა და განათლება 3 წლიდან სასკოლო ასაკის მიღწევამდე (სკოლაში სწავლის დაწყებამდე).

ზემოთთქმულიდან გამომდინარე **ბაგა-ბაღი** არის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება,რომელიც ერთდროულად ბაგისა და საბავშვო ბაღის პროგრამებს ასრულებს.

- **ბაგის უმცროსი ჯგუფი: 2 - დან 3- წლამდე ასაკის ბავშვები;**
- **ბაღის უმცროსი ჯგუფი: 3 - დან 4 - წლამდე ასაკის ბავშვები;**
- **საშუალო ჯგუფი: 4- დან 5 - წლამდე ასაკის ბავშვები;**
- **უფროსი ჯგუფი: 5 -დან 6- წალმდე ასაკის ბავშვები;**

აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ ის სირთულეები, რომელსაც თითქმის ყველა საბავშვო ბაღში ვაწყდებით. ეს არის ბავშვთა გადაჭარბებული რაოდენობა ჯგუფებში. დადგენილი სტანდარტით ბაგაში 15 აღსაზრდელზე 3 მასწავლებელი უნდა მოდიოდეს, ბაღის უმცროს ჯგუფში 24 აღსაზრდელზე 3 აღმზრდელი, საშუალო ჯგუფში 27 აღსაზრდელზე 3 აღმზრდელი და უფროს ჯგუფზე 30 აღსაზრდელზე 3 აღმზრდელი. ჩვენდა საწუხაროდ, სტანდარტით დადგენილი კანონი არ სრულდება ბაღებში. ჯგუფში გაცილებით უფრო დიდი რაოდენობაა ბავშვების ვიდრე დადგენილია, რაც პირველ რიგში აღმზრდელს უქმნის სირთულეს და ვეღარ აღწევს იმ ხარისხს რისი მიღწევაც მას სურს.

საბავშვო ბაღის პერსონალის შემადგენლობა ასეთია:

- საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი;
- დირექტორის მოადგილე მეთოდურ დარგში;
- აღმზრდელი;
- აღმზრდელის თანაშემწე;
- დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში (მნე);
- მუსიკის მასწავლებლი;
- სამედიცინო პერსონალი (ექთანი);
- ბუღალტერი;
- მზარეული;
- ლოგოპედი;
- სპეც. მასწავლებლი და ფსიქოლოგი;
- მუშა და დამლაგებელი.

დადგენილია საბავშვო ბაგა-ბაღის პერსონალთან დაკავშირებული მოთხოვნები:

- საბავშვო ბაგა-ბაღის ნებისმიერი თანამშრომელი უნდა იყოს 18 წლიდან ზემოთ.

საბავშვო ბაგა-ბაღის ნებისმიერი თანამშრომელი ვალდებულია:

- გაეცნოს და შეასრულოს ორგანიზაციის წესდება, შინაგანაწესი და მისი ნებისმიერი ცვლილება;
- იცოდეს თავისი უფლება-მოვალეობანი;
- დროულად გამოცხადდეს სამუშაოზე;
- ზუსტად, ყოველგვარი დარღვევის გარეშე, დაიცვას სამუშაო ხანგრძლივობა და ზედმიწევნით შეასრულოს დაკისრებული სამუშაო;
- დროულად, ზუსტად და გულმოდგინედ შეასრულოს ადმინისტრაციის განკარგულებანი და სხვა მნიშვნელოვანი წესები;

საბავშვო ბაგა-ბაღის პროგრამული მოთხოვნები

დღის განრიგი:

თითოეული ჯგუფის პედაგოგიურმა პერსონალმა გუნდური მუშაობის საფუძველზე უნდა შეიმუშაოს, გამოაკრას და შესაბამისად, განახორციელოს ჯგუფთან ჩასატარებელი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს:

- თითოეული ბავშვის ემოციურ, სოციალურ, ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებას;
- თითოეული ბავშვის განვითარებას ასაკის, საჭიროების და შესაძლებლობების შესაბამისად;
- როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური საქმიანობის შესაძლებლობებს;
- ბალანსს აქტიურ და წყნარ დროის მონაკვეთს შორის
- ეზოში/სათამაშო მოედანზე თამაშს დილის და საღამოს საათებში.

ჩვენ მიერ განხილული საკანონმდებლო დოკუმენტებიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ დღევანდელ ეტაპზე ადრეული განათლება საქართველოში თანამედროვე ინოვაციების გათვალისწინებით ვითარდება და სათანადო ადგილს იმკვიდრებს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში. კარგი იქნება, რომ სამომავლოდ შეიქმნას საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამები სკოლამდელი აღზრდის კუთხით, რათა მომზადდეს სკოლამდელი დაწესებულებებისათვის კვალიფიციური მასწავლებლები.

კითხვები ანალიზისა და თვითშეფასებისათვის

1. მოკლედ დაახასიათეთ „ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამის არსი და მნიშვნელობა.
2. რომელი არის „ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამის მთავარი პრინციპები?
3. მოკლედ დაახასიათეთ ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტის არსი და მნიშვნელობა.
4. მოკლედ მიმოიხილეთ სწავლისა და განვითარების სფეროები სტანდარტის მიხედვით.
5. მოკლედ დაახასიათეთ საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელოს არსი და მნიშვნელობა.
6. მოკლედ დაახასიათეთ სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის არსი და მნიშვნელობა.
7. მოკლედ დაახასიათეთ სასკოლო მზაობის პროგრამის არსი და მნიშვნელობათანამედროვე ადრეული განათლების სისტემაში.
8. დაახასიათეთ საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ არსი და მნიშვნელობა.

ლიტერატურა

1. კრისტენ ა. ჰანსენი, როქსან კ. კაუფმანი, კეიტ ბერკ უოლში „ნაბიჯ-ნაბიჯ: პროგრამა ბავშვებისა და მშობლებისათვის, შევქმნათ ბავშვზე ორიენტირებული ჯგუფები, თბილისი, 2000 .

2. ინანეიშვილი მ., საგანმანათლებლო კურიკულუმები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე შესრულებული სამაგისტრო შრომა, ხელნაწერის უფლებით, ქუთაისი 2016 .
3. ბაგა ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბილისი, 2015.
4. ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგია , თბილისი, 2011.
5. ჯანიაშვილი ვ., ფალელიშვილი ლ.,, სკოლამდელი განათლების როლი მოსწავლის აკადემიურ მიღწევებში, gypa.ge 5.12. 2014.
6. ჯანელიძე ა., ადრეული განათლების მნიშვნელობა მომავალი წარმატებისათვის, 27 აგვისტო, 2015, www. mastavlebeli.ge
7. სასკოლო მზაობის პროგრამა, თბილისი, 2015 .
8. სასწავლო სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის, თბილისი, 2012 .
9. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მართვის გზამკვლევი, თბილისი, 2011 .
10. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე და 35-ე მუხლები.
11. საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, www.parliament.ge/.../adreuli-agzrdisa-da-ganatlebis-shesaxeb-**kan**., 2016 .
12. ბასილაძე ი., ბერუჩაშვილი მ., ადრეული განათლების კურიკულუმის არსის საკითხისათვის თანამედროვე ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის(პედაგოგიური ფაკულტეტი) VIII საერთაშორისო კონფერენციის შრომები, სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები, ISSN:2298-0539, ქუთაისი, 2017.
13. ბასილაძე ი., ახვლედიანი მ., ადრეული განათლების მნიშვნელობის ზოგიერთი საკითხისათვის თანამედროვე ქართულ პედაგოგიკაში, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ მეცნიერება და ცხოვრება“-№2(16) ,2017 წ.UDC(უაკ)001.1+001.5]051.2 მ-621 ISSN 1987-9377.
14. ბასილაძე ი., ბერუჩაშვილი მ., ბავშვზე (მოსწავლეზე) ორიენტირებული კურიკულუმის ძირითადი პრინციპები ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ მეცნიერება და ცხოვრება“-№2(16) ,2017 წ.UDC(უაკ)001.1+001.5]051.2 მ-621
ISSN 1987-9377